


114
1953/2


საქართველოს
საქართველოს

განათლება

12

განათლება



1953



მნათობი

უოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მწიგნობის კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამეათე

12

★

დეკემბერი



ახელგამი
თბილისი



ჩუდაქტობი

ალიო მირცხულავა

სარედაქციო კოლეგია

ნიჟოლოზ აგიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), დიმიტრი ბენაშვილი,
ნიკო კაცხოშვილი, სანდრო შანშიაშვილი, ოთარ ჩხეიძე,
სერგო ბილაია.

მთა ჟალია

ზღვა ღიბაღა

პოემა

★

პროლოგი

ქვეყნად იმდენი რომ შევიგენი,
ამომეკითხა წიგნში ანბანი,
მაშინ შევიცან ბოლშევიკების
დიდი ბრძოლების დიდი ამბავი.
სამეფო ტახტის ამფეთქებლები
რომ მიაფრენდნენ დროშებს დიდებით,
მტრების დროშების დამფლეთელები
ქქუბდნენ მამები — ბოლშევიკები.
ველებზე ბევრი ჭრელი ყვაილი
მათი სისხლისგან იქცა ყაყაჩოდ,
იმ ტრამალეზზე სადაც გაივლი,
დგას კომუნისმის წმინდა ხარაჩო.
იმ ხალხის ქებას როგორ მოვიშლი,
ათიათასჯერ რომ შემოქია,
ძმებო, ვადიდოთ, ვინც სამშობლოში
ძვლებით ხორცამდე ბოლშევიკია.
ძვლებით ხორცამდე ვინც შეიყვარა
აწმყო ქვეყნისა და მომავალი,
დაბადებულან მტრის შემრისხავად
და ჭირ-ვარამი ახსოვთ მრავალი:
ციხე, ჭარ-ცეცხლი გადაულახავთ,
შიში არასდროს აცახცახებდათ,
სად არ უვლიათ, რა არ უნახავთ:
ხუნდი, კატორღა, გადასახლება.
ახლა სამგორის გვალვას აგდებენ,
როგორც სისხლიან მეფეს ტახტიდან,
უკატურ ტრამალს ბაღად აქცევენ,
მათი სიტყვა და საქმე ნაღდა.

თბილისი, ბაქო თუ სტალინგრადი
მათმა მარჯვენამ ბაღად აქცია,
ოში არ ახსოვთ — რა პირადი,
ყველა საქვეყნო საქმის კაცია.
მიისწრაფიან მზისკენ დროშებით,
თან მიჰყვებიან დროშებს რიგები,
მიჰყავს ლენინის გაზრდილ ბოლშევიკს
ძღვევამოსილი ბოლშევიკები.
მშვიდობის ჰიმნით დედამიწაზე
გაქქუხან ახლა მთა საგმობად.
და იფურცლება ჩემს მაგიდაზე
წიგნი — პოემა რომ შთამაგონა,
წიგნი — პოემა რომ მიკარხანა,
ბევრი მასწავლა და მაგრძნობინა,
განა ცხოვრების შორით დანახვას,
ნამდვილ სიცოცხლეს დამამშობილა.

თავი I.

კომუნისტია გმირი პოემის,
მისი სიცოცხლეც სასწაულია, —
დიდი კვეთების, დიდი ბრძოლების,
დიდი ცხოვრების გზა გაუვლია.
მრავალი ბრძოლა განვლო ფიცხელი,
ბევრჯერ გადარჩა კაცი ნაბრძოლი,
ძმა ჯარისკაცთა და პოლიტხელი,
ძმა მეომართა და წინამძღოლი.
ორიოლიდან ბრანდენბურგამდის
ნაიერიშალს იცნობს ქალაქებს,

სიცოცხლე კიდევ რამდენს უქადის,
სიცოცხლეს რადგან თვითონ განაგებს.
ნაღმით, შრაპნელით ორჯერ დაჭრილი,
სიკვდილის საწოლს ორჯერ მიკრული,
ორჯერ გადარჩა კობერაშვილის
ამაყი სული ბოლშევიკური.

მაღალ-მაღალი კაცი პირხმელი,
ლაშქრობის ცეცხლში ბულში
ნაწრობი,

ერთ დროს ფრონტელი და პრლიტხელი
ახლა სამგორის უბნის პარტორგი,
ჩაფიქრებული ზის მანქანაში,
ძლივსლა ჩაესმის ძრავის ძაგძაგი,
ძლივსლა ჩაესმის ქარის განგაში,
ფიქრებს ებმება ძალთა დაძაბვით.
ორბის თვალეზი იქით გაურბის,
სადაც უპირებს წყალს დაგუბებას,
სადაც ბურჯები დიდი საგუბრის
უჯარმის ციხეს ჰგვანან ბუმბერაზს.
მიჰქრის მანქანა, გზა დაკეცილი
ვაქაყას ჩაგრეხილ ელვას აგონებს,
გზისპირ ხრამები გადარეცხილი
გადაუთხრიათ ექსკავატორებს.
ამოუესიათ ღორლით, ლოდებით,
დაუმსხვრევიათ ქეები რიყისა,
დინჯად იძვრიან ბულდოზერები,
გულში უნთიათ ცეცხლი გიზგიზა.
მიჰქრის მანქანა, ჩანან კორდები,
მზის კაშკაშისგან გახუნებული,
ლოდები ყრია, როგორც ზოდები
გადასადნობად გახურებული.

ბორცენი. გვირავით გულგანაბზარნი
შველას შესთხოვენ ზეცას მარტონი,
როგორც ყირაფი უზარმაზარი,
ჩანს გრძელყისერა ექსკავატორი.
გორაკებშუა კაშხალებია, —

დულაბით მიწის პირს ჩაბლუჯული,
ქვანახშირით ჩაშავებიათ
მუშებს კისრები მზით გარუჯული.
ამოძარღვიათ მსხვილი მკლავები,
დატრიალებენ რკინის ნიჩბებით.
დასწითლებიათ სიციხით თვალები,
ირუჯებიან მზეში ბიჭები.
კობერაშვილი, ბორცთან შემდგარი,
ნატრობს, მომცაო მათი ასაკი,

მათი ძალ-ღონე მომცა-ნეტავი,
საქმეც მომკითხონ მაშინ ასაკი...
ვაქაყებს ოფლის ცხელი წვეთები
ელვრებათ, როგორც წყარო ნასხური,
ადის ღრუბლებად მტვერი ცემენტის.
თითქოს ზღვა ორთქლავს

წარმოსახული.

თითქოს ზღვა ორთქლავს, მაგრამ სად
არის...

— ზღვა!.. ზღვა!.. ნატრობენ მზით
გარუჯულნი.

წამით აცხადდა თითქოს ზღაპარი,
გმინავს სამგორში გვალვის ურჩხული-
ხახას უესებენ ხეებს დულაბით,
კედლებს უგებენ ზღვას ბრიგადები,
გვალვას იწვევენ ომში მუქარით
რკინა-ბეტონის ბარიკადები.
რაზმებს ზეცამდის აჰყავთ კაშხალი —
უზარმაზარი კომკის საღარი,
ხელში სჭერია ამ ხალხს შაშხანა,
ასე უჭრია ომში სანგარი.
არ ამინებდა ამ ხალხს ნაღმები.
ჰქუხდნენ: — ბერლინში! დროზე
ვიქნებით!

ჰქუხდნენ უტეხი ამხანაგები,
წინ მიუძლოდნენ ბოლშევიკები.
მამები ხსოვნას ხომ ინახვენ
ცხრაასპირველის მაისობისას.
მოდი, იორო, მოდი ახლავე,
წმინდა ადგილმა ვარდი მოისხას.
მოდი, იორო, და მოახალე
რკინა-ბეტონის ქონგურს ზვირთები,
მიწა დააღბე, ბალი ახარე,
მოდი, გიხმობენ კომუნისტები.

თავი II.

ახალ „პობედას“ გზაზე ღრუბლებად
მოშავო კვამლი დარჩა ბორცვებთან,
ტრამალის თავზე ცა აგრუხუნდა
დამწვარი მიწის გასაცოცხლებლად.
წამყვანის გვერდით იჯდა სტუმარი,
გულით მიჰქონდა მთელი ქვეყანა,
მხრებზე ჯერ მუქი, გაუხუნარი,
კობტად დაწნული თმები ეყარა.
ნაწვიმარ ტრამალს გადასქეროდა.

ბუნებობდა ბორცვის გადაღმა.
თამარს ოცნებად გადაქცეოდა
იმ დიდებული კორდის დანახვა,
სადაც ატლასი წითლად ლელავდა,
როგორც უქრობი კვალი ხსოვნისა,
სადაც წარმოთქვა სიტყვა ბელადმა
ცხრაას პირველში, მაისობისას.
ღია სარკმლიდან ქარს მანქანაში
სუნე შეჰქონდა მომდგარ აედრისა.
ზეცას მოღრუბლულს, ტრამალს
გადაშლილს

სწვდებოდა მზერა მოქანდაკისა.
თამარს ღიმილი რომ შეაღწინა,
პარტორგმა მისკენ გადაიწია.
— გახედეთ—უთხრა კობერაშვილმა, —
ეტყობა, წუხელ კარგად იწვიმა!..
მანქანა ხვეთან გაჩერდა ბოლოს,
მხურვალე ძრავის მიწყდა განგაში;
ხეში მუშები გამოჩნდნენ, როგორც
უსახურავო დიდ ქარხანაში.
— მობრძანდით. ნახეთ სხვა
ღანარჩენიც,

ჩვენი უბანი აი, აქ არის, —
კობერაშვილმა თქვა და მარჯვენით
მოაჯახუნა კარი მანქანის.
ქამთასელისაგან თიმბშებოლილი
ვაყკაცი თამარს ეშველებოდა:
— სანამ ამ უბანს არ შემოივლით,
როგორ გაიცნობთ ჩვენს
მშენებლობას?!

დასავლეთისკენ გახედეთ ტრამალს,
ხალხი რომ მოჩანს კორდზე გაშლილი,
კაშხალს ვაშენებთ. — უხსნიდა თამარს
უბნის პარტორგი კობერაშვილი.
მხრებში მოხრილა ვაყკაცი ოდნავ,
ღონე მოსდევდა უწინ ლომისა,
სახეზე მწვანე ფერი დაჰკეროდა
მეტე ჯაფისგან, უძილობისგან.
მაგრამ თვალეებში ისეთი მძლავრი
ცეცხლი უკრთოდა, როგორც დასტური,
რომ უზომოა, რომ ჰარბად არის
ამ კაცში ძალა ახალგაზრდული.
ფრონტზე დაშორდა თურმე ვაყიშვილს,
ოჯახში არვინ აღარ მიეღის,
ბინა-ღა უცდის დავითს თბილისში,

ბინა ტიალი და ცარიელი.
ომმა მის გულზე გადაიარა,
გული დაუწვა შვილის სიკვდილით.
გაუტეხელმა აღამიანმა
მაინც დაუწყო სიკვდილს კიდილი.
და უცხადდება დიდი ოცნება —
სიკვდილს ამარცხებს იგი ნამდვილად
ათიათასი შვილი მოძებნა
სამგორში ერთი შვილის მაგივრად.
ახლა დიადი საქმით ინთება,
ერთდროს ფრონტელი და პოლიტბელი,
მხოლოდ ასეთი კაცი იქნება
სხვისი გულისთქმის ამომკითხველი.
მხოლოდ ასეთი კაცი გაუგებს
დიდი საქმისთვის თაედადებულებს,
კომუნისტებად დაზრდილ ჰაბუეებს,
წმინდა დროშის ქვეშ დაბადებულებს.
— გახედეთ, ჩვენსკენ მოდის ჰაბუეკი,
ვინც ცეცხლში მნახა და მომიარა.
მან კენიგსბერგის და ბრანდენბურგის
ბრძოლები ჩემთან გამოიარა.
ქვეყანა იცნობს ახლა ინჟინერს,
თქვენც გაგონილი გქონდეთ, იქნება...
შვიდი წლის იყო, როცა იშვილეს
ობოლი ბიჭი ბოლშევიკებმა.
მაშინ ეღირსა ქვეყნის შეილობა,
ბაღს სიხარული მაშინ ეღირსა.
ცხენზე შეისვა თურმე კიროვმა
ობოლი წითელარმიელისა.
ღღეს სამგორელი ინჟინერია,
გაგაცნობთ, ჩვენი თვალი ეგ არის.
თვალუწვდენელი დიდი ველია
მაგისტრის ბურთი და მოედანიც! —
თქვა და გაუშრა პირში სათქმელი,
გული მოაწყდა უცბად საბუღარს.
შეერთა დავითი. მისი ნაქები
ვაყკაცი უცებ უკან გაბრუნდა.
პარტორგს შორიდან მისცა საღამი,
არც გაუღიმა, არც გაუცინა,
ერთი უბრალო სიტყვა რა არის, —
უბრალოდ ხმაც კი არ გაუცია.
გაბრუნდა, ხშირი ჰქონდა ქოჩორი, —
ფერი კუნაპეტ შუალამისა.
თაედამართს ჩაჰყვა ოდნავ კოჭლობით
ჯმუხა ვაყკაცი, შუატანისა.

თამარს შეაელო დაეითმა თვალი, სხვა რაღა ეთქვა. სიტყვა ვერ ნახა. ბოლოს ხმადაბლა შეკბედა კრძალვით: — რამ დაგაღონა? მითხარ, გეთყავა! — გველნაკემნივით შეერთა სტუმარი, გორიზად შეკრა უცბად წარბები. — შინ დაგბრუნდები, უკე დრო არის, ჩემს საქციელზე ნუ გაცხარდებით! — თქვა და შეირხა ელდნაკრავი, ჩუმად, უსიტყვოდ ამოიგმინა. მან სამწუხარო, ან გულსაკლავი რა დაინახა, რა მოისმინა? — რა დაგემართათ? — ჰკითხავს დაეითი

მისი შეკითხვა ისე გაისმა, დღე აკლდებოდეს თითქოს ამითი, თუ ვერ შეიტყობს მიზეზს დარდისას. დუმდნენ, უსმენდა მიწა ბებერი ფეთქვას თამარის ამაყ გულისას; ქვიშნარ ნიადაგს ჰკრიდა სკრეპერი, ვით ყინულს ღვარი გაზაფხულისა. ხევი მიღროდნენ მიწისმთხრელები, ხევიც დარხეულ ეხოს ირეკლდა, შორით მოჰქონდა ტბილი ბგერები, როგორც გუგუნე მქეორწილეთა. სამგორში გვალვის დამარცხებაზე თქმული სიმღერა აღარ ცხრებოდა. გულჩათხრობილი თამარ ცხედაძე უსაზღვრო ტრამალს გადასცქეროდა. რაღა ეთქმოდა მადლობის მეტი, როგორ მიეძღვნა სამადლობელი... ქალარა კაცი თამარის გვერდით ღელავდა. როგორც მამა-მშობელი. — არ ჩამომართვათ სიტყვაძვირობად, — (თავს იმართლებდა ქალი დაეითთან). — მოკლედ სჯობია, რა საჭიროა თავგადასავალს მოვეყვე თავიდან. რისთვის გაუფითრდი ავადმყოფივით? შეკითხებოდით გაოცებული. თქვენ დამანახეთ ჩემი ყოფილი ქმარი შინიდან გამოქცეული. მომხედა. სიტყვაც კი არ მადირსა, ელდისგან ლამის ცნობა წამერთო. გულში ერთბაშად სიამაყისა და სინანულის გრძნობა ამენთო.

დამშორდა. ბავშვსაც აღარ აკითხავს. ბიჭი მიტირის მამის ნატრული. სამგორში განა ვინმე გაჰკიცხავს? საქვეყნო საქმით არის განთქმული. ზურგი აქცია წმინდა სიყვარულს, სირცხვილის ლაფი თავზე დაისხა. მე არ მოვიტხოვ მისგან სიბრაღულს, მაქვს სიამაყე ქართულ ქალისა. შინ დაბრუნებას ეთხოვდე, სად თქმულა? —

თქვა და გაჩუმდა თვალკრემლიანი, მშობლის ხელივით მოეფათუნა თამარს მშვენიერ თავზე ნიავი. ნიავს უსმენდა ველი მწყურვალი, თრთოდა შოღრუბლულ ზეცის მხილველი.

მიწას თამარის ცხელი ჯერცხალი ეგონა წვიმის წვეთი პირველი. დაეითის თვალეებს რომ შეხვდა უცბაცეცხლდაქცეული ქალის თვალეები, კობერაშვილის დაღარულ შუბლზე უფრო გახშირდა მაშინ ღარები. ანთებულ თვალთა აღი უქრობი კაცს აბრუებდა დარდით, ჩივილით და შეყუარებდა ქალი უცნობი პარტორგს საკუთარ ქალიშვილივით. ამ დროს დაუშვა წვიმამ შხაპუნით, ამოიფშვინა მიწამ საამოდ, ღრუბლების ჩრდილი, ძირს გაშხლართული.

თანდათანობით იქცა სადამოდ. ცას ტყეისფერი გადაეხურა, სეტყვის, ღვართქაფის წინამორბედად. მთავარ ბაზისყენ, ვით ქორს—ბელურა, უცბად გაექცა წვიმას „პობედა“.

იქუფრება ცხრათვალა მზე. — ცხრავე თვალი დალუღვია და გგონია, ამ ტრამალზე გვალვას ჯერ არ გაუვლია. სადღაც მეზი დაეარდება, დაეშვება ძირს ღრუბელი. რძის სურნელი ავარდება, მიწას — ცხელი რძის სურნელი. ნიაღვრებად აქცევს ხევებს

ღრუბლის ერთი ჩაქროლებაც,
 ქეას და ბალახს ამეტყველებს,
 განა მარტო შთაგონებას.
 გარუხდება ცა სამგორის,
 სისხლისფერად გაიღვლებს.
 სიხარულით გასაგონი
 ხმა ჩასწვდება ქართლის ველებს.
 ეჯახება ველს შხაპუნით,
 წვიმა თითქოს დელგმად იქცა,
 თითქოს ძლიერ დენს ჩართული
 იგრიხება დედამიწა.
 ელვა, როგორც კაკლის ტოტი,
 სეტყვის კაკლებს ყრიდა ციდან.
 ღრუბლებიდან მტკვარი მოდის,
 ძლივს გაწვიმდა, ძლივს გაწვიმდა!
 არ ცხრებოდა ცაში ელვა —
 უცბად ცეცხლის სვეტად იქცა
 და გრუხუნმა საშინელმა
 შეარწია დედამიწა.
 სამი დევის თავის დარად
 ჩანდა სამი გორის თავი,
 ბობოქარი ქარი ტრამალს
 ჩაპლმუოდა ლომის ბანით.
 მიწამ ხარბად მოსვა წყალი,
 მიწას ზარავს დელგმა, თქეში.
 წვიმა, სეტყვა, ხოშკაკალი
 აირია ერთმანეთში.
 ჰქუხს სამგორის ცა გულბნელი,
 ფრუანტელი ტრამალს წვდება,
 ხართა ჰიდილს ჰგავს ღრუბლების
 რქებით რქებზე დანარცხება.
 სამი გორა უცქერს შებმას,
 შეჯახებას სწორებისას, —
 ალბათ, ხმა თუ გაახსენდა
 გარდასული ბრძოლებისა.
 ფაუბერა უცებ ქარმა,
 გააშველა მორკინალნი
 და აანთო უეცარმა
 შუქმა ველი ხორკლიანი.
 გადიარა ქარიშხალმა,
 გადუქროლა ბარს ბლავილით
 ნაფლეთებდა დიშალა
 ცა დაბლანდულ საბანივით.
 წითელ ტბასთან ხმა მოისმა
 არხის მკრეღთა ბრიგადების:

— მკედარო მიწავ სამგორისა,
 ხელმეორედ იბადების...
 ამონთო ცხრათვალა მზე,
 დაიწრიტა, შეწყდა ღვარი.
 გეგონება, ამ ტრამალზე
 არც ყოფილა ჯერ ავდარი.

თავი III

ტბებისკენ გაჰყვნენ შარას ნაწვიმარს
 უბნის პარტორგი და მოქანდაკე.
 — ის თუ საქვეყნო საქმის კაცია,
 მეც ხომ რიგითი ვარ მოქალაქე.
 — ამ დამცირებას განა შევარჩენ?
 მე მის წინ ქედის მოხრა არ მინდა...
 კვლავ განაგრძობდა თამარ ცხველად
 თავგადასავლის თხრობას დაეითთან.
 — გარეთ რომ გავალ, — „მოვიდეს
 მამა“, —
 ჩემი პატარა ბიჭი მომძახის, —
 ხელის ჩაქნევით წარმოთქვა ქალმა;
 — ასე დაინგრა მკვიდრი ოჯახი.
 ვიცი, ერთმანეთს ველარ შევხვდებით
 ვიცი, გაუუძლებ ვარამ-სამსალას.
 რომ არ მენახა იგი შემთხვევით
 არ მოვყვებოდი თავგადასავალს.
 კობერაშვილმა თამარს დარდიანს
 ტკბილმშობლიური მისცა ნუგეში:
 — ბოლოს ინანებს იგი ნამდვილად,
 რაც დააშავა სიჭაბუკეში.
 ჩემი ასაკის კაცის წესია,
 ასეთ დროს რჩევა არ დაინანოს,
 რისთვის დაგშორდა, რა მიზეზია;
 არ გვითხავ, კარგო აღამიანო.
 ყველა აღიღებს მის ვაეკაცობას,
 მიყვარს, ვენდობი და მომიყვება,
 რა დაემართა, რისთვის დაგშორდით,
 ყველაფერს მტყვევის, გამომიტყვდება.
 საქმეს შევეუდგეთ ახლა პირდაპირ,
 ახლახან გახდა ჩემთვის ცნობილი
 თქვენი ოცნება, სწრაფვა დიადი,
 კომუნისტური, კეთილმშობლი.
 სამგორში თქვენი მოსვლის მიზეზი
 გუშინ მაცნობეს ამხანაგებმა.
 ვიცი, რომ დიდი ეპოქის ღირსი
 უნდა აღმართოთ აქ, ქანდაკება.

მზის და ქარიშხლის სული მღვლეარე უნდა ჩაგუბდეს მარმარილოში, უნდა გამოჩნდეს, როგორც მწვერვალი, დიდი ბელადი ამ რაიონში.

ამ რაიონში, ზღვის რაიონში ხალხი შეხედავს მის ქანდაკებას, სისხლიან დროში, სიმწარის დროში რევოლუციას ვინც ქადაგებდა. გახედოს, გვალვა როგორ მარცხდება. სამგორს მოაელოს თვალი მშობლისა, იგივე ბორცვი ჰქონდეს კვარცხლბეკად, რომელზეც იდგა მაისობისას.

მის გარეშემო მაშინ მშვიერი მუშები იდგნენ დარღით დამწვრები. ქანდაკთან მივლენ მათი შვილები — მზის, კომუნისმი: ჯარისკაცები. მივლენ, ნახვენ ბელადს ქვეყნისას და შესძახებენ მზის ქანდაკებას:

— მამებს თუ არა, ჩვენ ხომ გვეღირსა, რომ დავსწრებოდით ზღვის დაბადებას! მათ შეძახილზე ივრის ტალღებში გაინახება გუნდი კალმახთა, ალუბლისა და კაკლის ბალებში

აბღღრიალდება ლურჯი მახათა. ამ რაიონში, ზღვის რაიონში უნდა აღვმართოთ მზის ქანდაკება, სისხლიან დროში, სიმწარის დროში რევოლუციას ვინც ქადაგებდა! — გაიმეორა კობერაშვილმა,

ზეგანს გაჰხედა — გვალვის სამყაროს. თამარს ტბისპირა ბორცვზე აჩვენა: — აქ საძირკველი უნდა ჩაეყაროთ? — პარტორგმა ბოლოს საათს დახედდა და გაახსენდა უცბად საქმენი.

— წავიდეთ ახლა, ტბასთან დაგვხედება ერთი მოხუცი მუშა ქართველი. იგი სტუმრობას გუშინ დამპირდა, — უჩვენოდ წავა და გაბრუნდება.

ის გვიციდის ახლა ტბათა ნაპირთან, თქვენც გარგებთ მასთან გასაუბრება. იგი მცოდნეა ამ ადგილების, ტკბილმოუბარი ბერიკაცია. ბორცვს მიგვასწავლის დანამდვილებით. სადაც ბელადმა ხელი ასწია და გადასძახა მუშებს ხმამალა,

დროშები წუთით არ დაეხარათ, არ დაეყარათ ძირს იარაღი, მტრის სისხლით მიწა გადაეხრამათ, არ გაეტეხათ ყადრი ძმობისა და, ნიშნად პირველ გაზაფხულების, ყოველთვის — პირველმაისობისას, — გამოსულიყვნენ დარაზმულები! ხმა ირზეოდა მლაშე ტბებიდან ვიდრე კასპიის გაშლილ ველამდის, — პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერდით! — ჰქუნდა ხალხში ბელადი. — პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! — ჰქეძნენ პროლეტარებიც, ვი, რომ მრავალს ველარ ეღირსა ცხადად ეხილა დრო ნეტარების! როცა შეტევის ძალამ იმატა, როცა ინათა ცეცხლმა რისხვისამ, აღდგნენ ტალღები ადამიანთა — განმახლებელნი დედამიწისა. სამეფო ტახტის ამფეთქებლები წინ მიაფრენდნენ დროშებს დიდებით, მტრების დამლაზვრავ-დამფლეთელები მიგუფუნებდნენ ბოლშევიკები.

მათგან ცოცხალი ბევრი გადარჩა, გამარჯვებული ხალხის მსახური, ნიშნად ხსოვნისა ძველი ფარაჯა ყველას სათუთად აქვს შენახული. ეს ბერიკაციც — ჯირში ნამყოფი — მაშინ შეება შრომის უღელში, მაშინ დატოვა თურმე მარტყოფი და გაერია კონკის მუშებში. აქ დასწრებია დიდ მაისობას, რა დაევიწყებს მიხა შიოშვილს, დიდი ჰაბუცის ხმა რომ ისმოდა ამ რაიონში, ზღვის რაიონში. ჯოხსდაყრდნობილი, ჯანგატეხილი მოსულა მიხა მლაშე ტბებამდის, ბორცვთან შემდგარა ხმაგაქმენდილი, სად თითქოს ახლაც ხმა ჰქეძს ბელადის. უბნის პარტორგი და მოქანდაკე ლიმილით შეხვდნენ მიხა შიოშვილს, — რომ გაჰყურებდა ფიცრულ ბარაკებს ახლადანაგებს ზღვის რაიონში. — აქ დასახლება მეც გადავწყვიტე, ერთი წადილი დამაქვს ბერიკაცს,

ნეტავ სიკვდილი ცოტას მაკლიდეს,
ხელს არ მახლებდეს ამ ათ წელიწადს.
ცოტა ხანს კიდევ მინდა ცხოვრება,
ყველა ბებერი ასე იძახის.

მიყვარს სიცოცხლე, მიყვარს ოცნება,
მიყვარს ხვალის დღე ქართველი ხალხის.
ბოლოს ღიმილით თქვა ბერიაკაძე:

— მამაც გახლავართ ორი ქაბუკის, —
თქვა ბერიაკაძე და შეინაცვლა

ცაცია ხელში ჯოხი ბამბუკის.
ახლა ორივე იბრძვის სამგორში,
გული მათ ცქერით აღარ ბერდება.
ნეტავ მომესწროს მწიორ მიდამოში
ბალ-ვენახების ახავერდება.

მერე შემომკრას სიკვდილმა ცელი,
შთამომავლობას ამას ვაველებ:

ვრცელია ველი, დიდია ველი,
ამ ველზე ჩემი გაკრან სამარე.

სიტყვა მოუქრა კობერაშვილმა:

— ჩვენი ცხოვრების თქვენ ხართ
მერცხლები,

არ დაიდარდო, რამ შეგაშინა,
მიხავ, კომუნისმს შენც მოესწრები.

შენც იზეიმებ ზღვის დაბადებას,
ზეიმზე ერთად შევესვათ ბადაგი

ამ მიდამოში მზის ქანდაკებას
როცა აღმართავს ეს ამხანაგი.

შენც ხომ აღიღებ ჯანსაღ სიცოცხლეს,

შენც ხომ ოცნება გიყვარს თამამი,
ამ ახალგაზრდა მხატვარს იცნობდეთ, —
თქვა და გააცნო მიხას თამარი.

ბებერ ორბს ჰგავდა მამა ორბების
სახის იერით, კუშტი ცქერითაც,

შრომის წითელი დროშის ორდენი
აბღღერიანებდა შუქით ბერიაკას.

იღვა მოხუცი, სოფლად ცნობილი
სიბრძნით, სიწმინდით, კარგიკაცობით,

და ეტყობოდა, რომ კმაყოფილი
დარჩა შემოქმედ ქალის გაცნობით.

ათას მოხუცშიც გამოირჩევა
სახემწითური კაცი ტანჩია,

დაღარულ, ნახმლევ შუბლზე ემჩნევა
რაც განუცდია, რაც უტანჯია.

ძველი თბილისის კონკის წამყვანი
ხელში შაშხანით გაჰყვა არწივებს;

ქვეყნად ახალი ყოფის აკვანი
მათ გამოთალეს, მათ დაარწიეს.
ოთხმოც წელიწადს გაცილებული
ახლაც საბრძოლო დროშებს მიჰყვება.

ქვეყნად სიცოცხლე გაბრწყინებული
მას შეაყვარეს ბოლშევიკებმა.

— ნუ შიშობებ სტუმარს მარტოცა,
მიმეჩქარება, მივალ ლილოში.

სტუმარს გაბარებ, — უთხრა პარტორგმა
ქვაზე ჩამომჯდარ მიხა შიოშვილს.

თქვენთან დარჩენა გულით მინდოდა,
საქმე შეძახის, რაღას დავიციდი? —

ასე ბოღიშით დაემშვიდობა
ოცნებადქცეულ თამარს დავითი.

მაღალ ბორცვზე იდგა ქალი,
წლებს წვდებოდა მზერა მისი,

მაღალ ყელზე, ვით შაქარი,
იდნებოდა მზე მაისის.

ტრიალ ტრამალს გაჰყურებდა
მეტი წვისგან ხორცნაკლები,

აღონებდა, აბრუებდა
ნახვა შიშველ ბორცვაკების.

გასცქეროდა და სჯეროდა —
მოვიდოდა აქ სწორებთან,

სამუდამოდ დარჩებოდა
ზღვის ნაპირზე საცხოვრებლად.

იღვა ქალი, ლალ ოცნებას
ჰგავდა გულის გამხარებელს,

და ოცნებით აცოცხლებდა
გადარუჯულ, გამხმარ ველებს:

ივრის წყალი რწყავდეს ყამირს,
გადმოფინოს მუხამ ჩრდილი, —

ხადაც ერთ დროს, პირველ მაისს,
შეხვდა კობა ჯულაშვილი.

მგზავრო, როცა აქ შედგებოდა,
ზღვაში როცა ნახავ გედებს,

მაშინ ძველი მლაშე ტბების
რაიონი გაგახსენდეს.

გაიხსენე, მგზავრო, ტყეში,
რომ აქ ჩამშრალ მლაშე ტბასთან,

ბორცვთან ცხრაას პირველ წელში
ზღვა აღელდა ბაირალთა,

რიყრათისას გასცდა ჩუმიად
ხუთასამდე მუშა თბილისს

და აქუხდა ვაჟაკურად
სიტყვა კობა ჯულაშვილის.
არსად ჩრდილის ნატამალი,
არსად წყარო, არსად ბუჩქი,
მარტო გვალვა და ტრამალი
თვლემდა უწყლო ნავსადგურში.
ხელის ზღვასთან მალე ბალებს
აფეთქებს გარიერაფი,

ტოტებს — მწვანე ბაირალებს —
ჩაახედებს ნამდვილ ზღვაში.
გაბრწყინდება, ვით მარინი,
ვით ზეცაში ირმის კვალი
მომავალი ჩემი ქვეყნის, —
წმინდა, როგორც ივრის წყალი.

დაემშვიდობა, არ დაახანა
პარტორგმა, გზაზე მარჯვნივ გასწია.
თუმც შესთავაზა ქალმა მანქანა, —
რად უნდა — ძველი ჯარისკაცია.
ელბამდე ფეხით მიჰყვა არმიას,
მას არ სჩვევია დაღლა მუხლისა.
მისი კუნთები ჯერ მაგარია,
როგორც ტოტები ამაყ მუხისა.
მოსდევს იმედი მძლავრი ძარღვების,
გული ვერ უცემს კვლავ ძველებურად.
ჭალარა მამა ჯარისკაცების,
ქვემდებოდა ზათქში დაბრძენებულა.
რა დაავიწყებს ალყას ნაღიჩთან,
როცა გამაგრდნენ დაბის გამოღმა.
მტერი უშენდა, მართლაც გაჭრდა,
მშვიტ-მწყურვალე ხალხი ჩამოხმა.
ტყვიის წივილი, ნაღმთა ღმუილი-
შიმშილს სიმკაცრით ვერ შეედრება,
შიმშილზე უფრო ჰკლავდათ წყურვილი.
ასე უძლებდნენ ველზე შეტევას.
დაკლეს ცხენები. გაქრა შიმშილი,
მაგრამ წყურვილი სძრავდა მეომრებს.
მაშინ წამოდგა კობერაშვილი, —
ერთი გაჰხედა ნაცად მეგობრებს:
გაუპარსავენი ისხდნენ სანგრებში,
უცდიდათ ცხენის ხორცის სადილი.
ჯარის დასიცხულ, მღვრიე თვალებში
ენტო წყურვილის მოკვლის წადილი.
მაშინ წამოდგა კაცი კეთილი,
მთრთოლვარე ხელი სტაცა მათარას.

თითო სათითო წყალი ნელთბილი
მთელ ასეულში ჩამოატარა,
ბრძანება გასცა: — არ დაეღლიათ,
თვითონ მწყურვალმა და დასიცხულმა,
ცხარე წყურვილი რომ დაეძლია.
წყალი წვერებზე გადაისხურა.
მშვიდად აიღო სამართებელი
და წამოიწყო პარსვა პირისა.

ეს ქცევა იყო გამამაგრებელი,
გამმხნევებელი გასაჭირისას.
თუმცა მწყურვალთა თვალს იტაცებდ
წყალი ლუგუმი, უკანასკნელი,
დავითს წაბაძეს ჯარისკაცებმა:
პირზე შეისხეს უცხად სასმელი.
ნასადილარნი, პირგაპარსულნი,
ჰგავდნენ აშვებულ ღომებს ბიჭები,
აქუხდა ჯარი რისხვად დაძრული.
წინ დაირაზმნენ ბოლშევიკები,
ბრძოლის ყიყინა, ბრძოლის სურვილი.
ხანძრად გადიქვა დაღამებისას.
მაშინ მოიკლა ჯარმა წყურვილი,
როცა გაგლიჯა ალყა მტრებისა.
წყალი შეხვრიბეს რკინის ჩაჩქნებით,
გასცდნენ მდინარეს, მთა გადიარეს.
სულიც, სხეულიც, ჰირში ნაქედი,
ჰქონდათ ნაალყარ ადამიანებს.
იხსენებს იგი წყურვილს გამოვლილს.
ახლა გვალვაა წინ აღმართული.
მწყურვალ კაცივით ფშვინავს
სამგორიც.

— წყალი! — იძახის მიწა ქართული.
პარტორგს ჩაესმის მიწის ძახილი
და ეცოდება ველი ტიალი, —
სადაც ჩაქანგდა სისხლი დაღვრილი.
სადაც ჩაჩუმდა ხმლების ტრიალი.
სადაც წინაპართ თავის ქალები
მარხია გვალვით დანაცრებული.
მარხია ჯიქის ტყავის ფარები —
ისრებისაგან საცრად ქცეული.
გამომწყვდეულან გვალვის ალყაში,
ძვლებს აწრიალებს ღამე შავბნელი,
ჩაჰბლავლებთ ცხელი ქარი განგამით,
ქვიშა წამოვა, როგორც შრაპნელი.
შეკრთება ველზე გარინდებული
სამი მადლობი — სამი სიმსივნე, —

დამფრთხალ პეპელას გაკიდებული გველი როდესაც გაისისინებს. ამობურღულა მიწა ხერელებით, — მათი მშობელი ავი გვალვია. მიწისქვეშეთში ბინა გველების ხმლით გაჩეხილი თავის ქალაა. მაგრამ მათივე დაუძინარი მტერი — მეტრძოლი გასაოცარი, მათი მმუსრავი აბა ვინ არის, თუ არა თავის ქალა ცოცხალი, რომელშიც ბუდობს დიდი ოცნება, გაჰყავს გვალვასთან ომში რაზმები. დამწვარი მიწა ვისგან ცოცხლდება, თუ არა მასში შობილ აზრებით. როცა ჩაცვდება გვალვა ტიალი, წყალი ჩქერებით ტრამალს გასძახებს: — ეს გაუმარჯოს ადამიანის დიად გონებას, თამამ განზრახვებს.

თავი IV

ქვები აჰყარა ნალმმა ზეცამდის, კლდე აგრიალდა მკერდგაგლეჯილი. — ზათქი! — ბრძანებდა თამარ ცხვედაძის ყოფილი ქმარი მენაბდიშვილი. — ზათქი! — ზედიზედ გასცა ბრძანება. სივრცეს ჰაერის კვეთდა ტალღები, — ახალ კაშხალსაც აზანზარებდა ნგრევა. კლდეების, ფეთქვა ნალმების. იდგა გაოფლილ მიწისმთხრელებთან ომში მოვლილი ადამიანი, განვლილ ბრძოლების ხმას ახსენებდა მას სამშვიდობო ნალმთა გრიალი. — ზათქი! — ბრძანებდა პირშავგვრემანი კაცი შავთმება და ბოხხმინი, ღორღი, ქვიშნარი, ვით შადრევეანი ზედ ასკდებოდა სამგორს ხრიალით. ქვა წამოსული, როგორც კომეტა შებოლილ ჰაერს ხედა ზუზუნით, რაზმები ქართველ კოლმეურნეთა შეჭთარებოდნენ ხეცს გალურსულნი.

შეწყდა ნალმების ხმა საშინელი, დახედეს დათხრილ მიწას გლეხებმა: დაფლეთილიყო კლდე კაციანი, გაფანტულიყო ძირს ნატეხებად.

ზედ დასცემოდა ქვები სორიებს, გადაეთხარა ნაყამირალი, გადაეთარა მიწა ორმოცებს, როგორც სხეული ნაყავილარნი — გამოდით! — ბრძანა მენაბდიშვილმა. გამოიშალნენ ველზე ბიჭები, — ნალმებზე ძლიერ ჰქექს ყივინა, დაუტრიალეს ბელტებს ნიჩბები.

ცისკენ ასდის გრძელ სვეტებად ტყეისფერი ბული მიწას, გრუხუნობდნენ სკრუპერები, ვით ღრუბლები ქუხილისას. უშუერ ფოლადს ამღერებულს, ჰკრეტ მანქანის სილამაზეს, სამოსს — ოფლით დასველებულ გლეხკაცები ყრიან განზე. ჯიუტ მიწას გლეჯენ ბარით, მხრები მზისგან გარუჯვით, ალბათ მათში ბევრს სანგარი სტალინგრადთან გაუჭრია. ქვებს ამსხვრევენ წერაქვებით. წინ მიუძღვის ტოლებს ტოლი, მათი თეთრი პერანგები შორით მოჩანს, როგორც თოვლი. არსად გრილო, წყალი არსად, არსად მუხა კოყრიანი, დატრიალებს კვამლის მსგავსად მლაშე ტბების ოხშივარი, დატრიალებდა არხის მკრელებთან, ყველას სწვდებოდა მზერა ინეინრის. არ ჩერდებოდა, არ ისვენებდა წუთით გაიოზ მენაბდიშვილი. კაცი ჩქარობდა, ვით ნიაღვარი, სიფიცხე სძლევედა ახალგაზრდული, და სიბრძნის ძარღვით შუბლი მაღალ შუაზე ჰქონდა გადახაზული. გაიოზს შავი და ნალვლიანი თვალები ერთო სვედით ნადალი, გულჩათხრობილი ადამიანი გეგონებოდათ ერთი დანახვით. დგებოდა იგი რძისფერ რიყრაჯზე. დატრიალებდა არხის მკრელებთან, ტრიალ სამგორში მისებრ სიმარჯვეს ბევრი ვერავინ დაიჩემებდა.

სიმტკიცე მისცა ქართველ ინჟინერს მომავლის დიად დროზე ფიქრებმა, შვიდი წლის იყო, როცა იშვილეს ობოლი ბიჭი ბოლშევიკებმა. შვიდი წლის იყო, როცა გაიგო რაა სამშობლო — ბუდე მართეების, შვიდი წლის იყო, როცა გაიგო გზა სიცოცხლისა, გზა განათლების. ძმებზე ვიფიქრებდი უყვარს არხის მოხრელები. მათთან ტრიალი უყვარს გაიოზს, დაკოყრებული მათი ხელებით ტრამალმა წყალი უნდა დალიოს.

თავი VI

ინჟინერს ჰქონდა კარგი თვისება საქმის წყურვილით აღზრდილ ვაჟაკის, აღრე, ცისკრისას, გაიღვიძებდა, დღიურს ავსებდა გარიყრაჟამდის. წერდა. საწერი ჰქონდა უღვევი, ბოლავდა ფიქრი გაიოზისა, ელენთავდა ფიცრულ ოთახს სურნელი ახრჩოლებული პაპიროსისა; უბნის პარტორგი და ინჟინერი ერთად ცხოვრობდნენ მამა-შვილივით, იწვა საწოლში კაცი ხნიერი, თმები უჩანდა თაბაშირივით. როცა მორთავდა ხმაურს რადიო და მიწყდებოდა მამლის ყვილი, დავითი ფიქრში ჩაფლულ გაიოზს გადახედავდა მამის ღიმილით. გადახედავდა და მის მზერაში დაიღვრებოდა შუქად ალერაი, თითქოს შეიღმოკლულ მამის წინაშე ძე გაცოცხლდაო უსაყვარლესი. იწვოდა მისი პირმშოს მსგავსება და ასე ყოველ გარიყრაჟისას, თითქოს შეწყვეტილ დღიურს ავსებდა კობერაშვილის მკვდარი ვაჟისას. და ვინ რა იცის, როგორ ცდილობდა დავითი, როგორც ღვიძლი მშობელი, რომ ახალგაზრდა კაცის სულიდან ამოეშანთა ხინჯი ყოველი. რომ ამოეწვა ყველა ხორცმეტი, რაც გულს ჰბუჟურს შეჰღვიძლებოდა

ჰალარა პარტორგს ასეთ ოცნებით, ასეთ განზრახვით ეღვიძებოდა. ერთად ხვდებოდნენ ვარამს ქაოცებულში კაცი ჰაბუკი და ხანდაზმული, ერთად მოსულან ახლა სამგორშიც, რომ მორწყან მიწა გადახანძრული. რომ დაარხიონ ქვეყნად ნაყოფი, იღვწვიან დროის ჰაპნის გამწვენი. იბრძვიან ერთი ქვეგანაყოფის ომგადახდილი ჯარისკაცები. მწარე შიშშილი, მკვლელი წყურვილი, სისხლის წვიმები ერთად უნახავთ, იცნობს საკუთარ ხელისგულივით დავითი ვაჟაკს მკვრდშეულახავს. თავს გაიმეტებს უტუნ ფიცისთვის კაცი ნაწრთობი, განა ჯაბანი; კობერაშვილზე უკეთ ვინ იცის მენაბდიშვილის ავან-ჩავანი. მაგრამ სიძნელეც სწორედ აქ არის, დავითი კარგად იცნობს ცხოვრებას. იცის, — ძნელია ჯავარმაგარი კაცის კი არა, ხის გასწორებაც. განა ცხოვრების ნამდვილ ყალიბში ჩადგა ვაჟაკი გაკაყებული? შინ ჩამოსულმა თავი აიშვა, დათმო მეუღლე ახლადშერთული. როცა გაიოზს უბნის პარტორგმა ჰკითხა მიზეზი კერის დარღვევის, ჰკითხა: ცოლ-შვილი რად მიატოვა ასე ჯიუტად და ხელალებით? — მენაბდიშვილმა დავითს პასუხი შეუღვიანა, ადგა ზვიადი: — ცოლს მონასავით თავს ვერ დავუხრი, დავბადებულვარ სხვა ხასიათის. — გუშინ პირველად ვნახე თამარი, — უთხრა დავითმა გმირს პოემისას. — მითხარ, რა არის მაინც მთავარი მიზეზი კერის მიტოვებისა. გაიოზ! ჩემთან რაღას დიდგულობ, შენ ჩამოგახმო, ვიცი, ნალველმა, ვიცი, რომ გულში გაქვს საიდუმლო. სხვასთან არ გინდა მისი გამხელა. მენაბდიშვილმა უკმაყოფილოდ წაიბურტყუნა რაღაც თავისთვის.

— ხმა ამოიღე, შე დალოცვილო, —
 თქვა და წამოდგა ახლა დავეითი.
 წამოდგა, იგრძნო დაგვა გულისა.
 ატეხა გულმა მეგრულში ფართქალი.
 ცივმა სითეთრემ გადაუნისლა
 ლაწვეები, როგორც თეთრი ფართალი.
 ხუთი წელია, გულის ტკივილი,
 ტეხვა გულისა დავითს დასჩემდა.
 გულზე ძმების და შვილის სიკვდილის
 კრილობა ეწვის და იტანჯება.
 კობერაშვილიც უცებ აენთო,
 უთხრა: — გაიოზ, გატყობ, გეწყინა.

ცოტა ხნის წინათ უერთმანეთოდ
 ცხოვრება ვერც კი წარმომედგინა.
 მე შენ გულახდილ კაცად გიცნობდი,
 არ შემიტყვია წამით ღალატი,
 კაცად გიცნობდი და, რა ვიცოდი,
 თუ საიდუმლოს დამიმალაგდი.
 სიტყვა რა არის — არ დაგცდენია,
 ნუთუ სინდისის ძარღვი გაგიწყდა,
 რას მიმალაგდი, არა გრცხვენია?
 ჩვენი წარსული რად მიგავეიწყდა?
 გეთქვა, იქნება დაგხმარებოდი,
 დინჯად მისმინე, ნუ მიცხარდები.
 მე მიხარია ნახვა მეგობრის,
 რომ ვუთხრა ჩემი გულის ნადები,
 რომ ვუთხრა ჩემი დარდიც, ვარამიც,
 როგორც მეგობარს და მასწავლებელს.
 დედამიწაზე კაცი არ არის,
 რომ ოდნავ რამე არ აწვალდეს.
 შენც გყავს ასეთი კაცი, გაიოზ, —
 წლები ბრძოლებით ვინც გადათვალა:
 იქნებ ახალი კარი გაგიღოს
 მისმა ნუგეშმა, მისმა ნათქვამმა.

ვინც გამოსცადა ელდაც, შიმშილიც,
 შვილის სიკვდილი, ცეცხლი ომისა...
 შეკრთა გაიოზ მენაბდიშვილი,
 შეოფლილ შუბლზე ხელი მოისვა.
 თავი ასწია გაბრუებულმა,
 ჯმუხა ვაჟკაცი მთლად ცახცახებდა.
 ღრმად ჩაისუნთქა და უნებურად
 ძვალმსხვილ მაჯაზე საათს დახედა.
 ფიცრულში შექვი იდგა დილისა,
 და უთვალავი ტყუპი სხივები
 ცას სამგორისას რძის და ლილისფრად

ჩითავდნენ მქროლავ ღრუბლის
 ფთილებით.

— გაიოზ, დადგა წასვლის საათი,
 ვერ მოგვიხერხდა დღეს საუბარი,
 წავიდეთ; ერთი გვაქვს მისამართი,
 შემოვიაროთ ერთად უბანი.
 წავიდეთ, მაგრამ ერთიც იცოდეთ,
 არ გთვლი გულახდილ ადამიანად,
 შენ სამგორელი ძმები გიცნობენ
 მხოლოდ ცალმხრივად, განა მთლიანად.

თავი VII

მენაბდიშვილმა დავითს პასუხად
 მოუქრა უცხად მწარე ღიმილით:
 — ჩემს ამხანაგებს მაინც რად უნდათ,
 რომ შემისწავლონ გაკვეთილით.
 სამგორელებმაც კარგად იციან
 წესი კაცური, წესი ჭართული,
 მე ხომ არასდროს არ დამიწყია
 სხვის გულში ჩემი ხელის ფათური.
 და ერთიც უნდა ითქვას ახლავე:
 საქმით მტკიცდება კაცის კაცობაც.
 ტყუილ-უბრალოდ განიზრახავენ
 ჩემი პირადი საქმის გაცნობას.
 ფრონტზე საკუთარ თავს არ ზოგავდა-
 ცეცხლი, ჯახირი განვლო მრავალი,
 ახლაც არ ცხრება. აი, ზოგადად
 ჩემი წარსული და მომავალი.
 ჩრდილში სიცოცხლე არ მინატრია.
 ჩემზე არ უთქვამთ — სხვისი ლანდია.
 წვერად მიმიღო მაშინ პარტიამ,
 როცა გავილე სისხლი ნამდვილად.
 დიახ, ნამდვილად ვეგდე მიწაში,
 და უთქვამთ ჩემზე: — მკვდარიც
 ადგება...

შენთან ვიბრძოდი და შენს წინაშე
 რისთვის მჭირდება თავის მართლება.
 სიკვდილმა ჩემთვის არ მოიცილა,
 შინ ჩამოვედი განკურნებული,
 ცოლად შევიერთე ქალი, ვისგანაც
 ვიყავ ომამდე გაბრუებული.
 მაშინ შევიერთე ცოლად თამარი. —
 გულში უჩემოდ აქ გაგიცენია...
 პირველ ჭაბუკურ ტრფობის ჯავარის-
 კილეა რა კაცის საკადრასია.

შენ თუ ძალიან გინდა გაიგო, შინიდან ჩემი წასვლის საბაბი, — გეტყვი: იმასთან რამ შემაროგოს, თუგინდ ფოლადის ჯაჭვით დამაბი. ერთი იმედით, ერთი ოცნებით ცოლი შევირთე ომგადახდილმა, რომ ორი გულის წრფელი გრძნობები ფუჭედ ჰქონოდა ოჯახს ნამდვილად. ვინც მპარუებდა, გულს ვინც მიკლავდა, მასთან შეხვედრას ძილშიც ვნატრობდი, მისი თვალები უფრო მსიბლავდა, ვიდრე მისივე ნიჭი მხატვრობის. რა დაგიმალო, მე რა მეგონა, რას ვითქვებდი ბიჭი ზეიადი, თუ ჩემს მეუღლეს და ჩემს მეგობარს მზითვად გამოჰყვა ნიჭი დიადი. მართლაც ბრწყინვალედ აქანდაკებდა, (კეისარს უნდა უძღვნა კეისარის), ბჭობდა შემოქმედ ამხანაგებთან, აღარ ეცალა თბილი კერისთვის. სტუმრებს ხვდებოდა ჩვენი ოჯახი, ბევრჯერ გვესტუმრა აბაკელიაც, ცოლის ნათელი, ვრცელი ოთახი ჰგავდა სამხატვრო აკადემიას. ბევრჯერ ყოფილა თვით ნიკოლაძეც, უქია თვისი ნამოწაფარი, ყველა ხელოვანს, ცნობილ მოლვაწეს ყველას იცნობდა ახლოს თამარი. მიზეზი უნდა გითხრა მთავარი: ერთგულ მეუღლეს თავს ვეველებოდი, ღამეს ღამეზე ტეხდა თამარი და ხშირად არც კი ვახსენდებოდი. ომგადახდილი კაცის ოცნება, სამჯერ დაჭრილის ფიქრის საგანი იყო ოჯახი, წყნარი ცხოვრება, ცოლის „ნანინა“, ბიჭის აკვანი. დრო გადიოდა. ბავშვიც გვეყოლა, ჩემი ზეიმი ნეტავ გენახა, ვაჟი გვეყოლა, მაშინ მეგონა, რომ დავიბადე ქვეყნად ხელახლა. სამსახურიდან დაბრუნებული გადავაწყობდი განზე ნახაზებს და ბედში ჩემებრ დარწმუნებული არვინ მეგონა ამ ქვეყანაზე. გადავაწყობდი განზე ქალაღლებს.

ჩაეხუტებდი გულში პატარას, ვკოცნიდი შეილის თვალებს ^{სარწმუნო} ^{საყვარელს.} რომ მინათებდნენ სულში ღამპარად. ერთხელ ოჯახში სამსახურიდან მოვიპატივე ძველი ძმობილი: — წამო, ძმისწულის ნახე თუ გინდა. წამო, გაიცან ჩემი ცოლ-შვილი. წამოიყვანე თან ოჯახობა, ნუ იპატიეებ თავს სტუმარივით, ვუთხარ: დაგხედება ჩემი სახლობა კეთილი გულით და პურმარილით. ცოლით გვეწვია იგორ ლაპტევი, — ხიდმშენებელი სახელგანთქმული, ვაჟკაცს ჰყოლია დედა ქართული და მიტომ ჰქონდა სახე ქართული. მამა ჩრდილოეთ კავკასიაში მოუკლავთ მისთვის ჩერქეზ ყაჩაღებს. ჩვენ უდედმამო ბავშვთა ბინაში ერთად ბედნიერ დღეს შეგვასახლეს. ჩვენ დაგვაიწყა მაშინ ობლობა მომავლის დიად დროზე ფიქრებმა, ჩვენ გაგვიწიეს მაშინ მშობლობა ღვიძლმა მამებმა — ბოლშევიკებმა. ყველა ჩვენგანი ერთს ოცნებობდა: გადაეხადა ხალხის ამაგი, დიდი ცხოვრების გზაზე ეპოვნა ყველას თავისი საქმე ალაგი. უდედმამოთა სახლში სუყველა ვაჟკაცდებოდა, ღონეს იკრებდა, და ყველა ჩვენგანს სწამდა ურყევად, — დავიზრდებოდი ბოლშევიკებად. ძველი ძმობილის სახლში სტუმრობა ჰგავდა ბაღლობის ახმოვანებას, მასთან სიცილი, მასთან ხუმრობა, მასთან სიმღერა მაფრთოვანებდა. ჩვენთან ლაპტევის ფეხის შემოდგმა მაშინ დაუჯდა თამარს ცრემლებად, როცა იგორმა, ძმას და მეგობარს მითხრა: — თბილისი აღარ მეთმობა, მაგრამ მივიღივარ, რა გაეწყობა, — მგზავნიან სწავლის გასაგრძელებლად... არც შენ გასვენებს, როგორც გეტყობა, ის, რაც ძილშიაც არ გასვენებდა, წამო, ჩამოხვალ სახლში სულ მალე. —

მიტხრა და თავი ისე ასწია, თითქოს მოსკოვში ჩასვლისუმაღვე შხად გვექნებოდა დისერტაცია.

სიტყვა მოუტრა სტუმარს თამარმა, იგორს თვალეზში ცივად შეხედა: — ქმარს ნუ მიქეზებ, — უთხრა

თამამად,

მოურიდებლად სიტყვა შეჰხედა.

— თქვენ გაგზავნიან, თქვენ

წაბრძანდითო,

ვიცდით მოსკოვი დიად საქმისთვის, —

თქვა და კვარივით ხელად აენთო გული ოჯახის დიასახლისის.

— გაიოზს რატომ ეპატიეებით, ახლადშეძენილ ბავშვის მამაა, — თქვა. დამაცქერდა მე დაეინებით, თამარს ეგონა, მაშინ მამაა.

მან რა იცოდა, როგორ მინდოდა, როგორ მწყუროდა სწავლის განგრძობა, როგორც ბედნიერ მშობელს მშვიდობა, როგორც ხანდახმულს ყმაწვილკაცობა.

ვარ დამნაშავე, ცოლს ვუმაღავდი განზრახვას. არ ღირს გაზვიადებად.

რაც მოხდა — მოხდა. უნდა მანამდის მომესწრო ფიქრის გაზიარება.

ორი თვის შემდეგ დავემშვიდობე თამარს ამბორით და სიყვარულით.

მახსენდებოდა და ძილს მიკრთობდა მისი ალერსი ნაზი, ჭალური.

მახსენდებოდა ჩემი არჩილის,

ჩემი პატარას ფართო თვალეზი, ვკოცნიდი ცოლის წერილს ბავშვივით,

ვროკავდი ბალღურ აღფრთოვანებით.

ოთხი ვაქცაცის ფართო ოთახი, —

დღე-ღამის თეთრად გამსწორებელი.

დაფიქწყარი იყო ოჯახი

ჩვენი საერთო საცხოვრებელი.

შთამგონებელი იყო ყველასთვის,

კრემლის საათის ხმა რომ გვესმოდა.

თვითონ მზეკაცი, თვითონ ბელადი

ჩვენთან ცხოვრობდა ახლო მეზობლად.

როცა კრემლიდან სამი სარკმელი

წითელ მოედანს გაანათებდა,

ძილს გვიფანტავდა მათი ნათელი,

გვაფოლადებდა. ძალას გვმატებდა.

და ძმები, წიგნებს შექიდებულნი, შექს რომ ვხედავდით უჭარბს,

მანლობელს,

ვძლევდით ერთმანეთს შეჯიბრებულნი. ჩვენთვის აქამდე უცნობ მალლობებს.

სამი სარკმელი — შხრა ქვეყნისა

მავზოლუუმის კედლებს სწვდებოდა,

ლენინის ნაცვლად სტალინს ეღვიძა,

შხე მზის ამოსვლას ეგებებოდა.

განთიადისას სამი სარკმელი

რომ დაეკეცავდა ფარდის წამწამებს.

გეწამდა: დიადი კაცი ამ დილით

ახალ უდაზნოს გადაამწვანებს.

ჩვენთან ცხოვრობდა წყარო სინათლის,

შხე და იმედი მაცოცხლებელი,

ვინც შეგვაყვარა აწმყო დიადი,

ძმობა, საერთო საცხოვრებელი.

ვინც შეგვაყვარა ტეხა ღამისა,

გარჯა ხალხისთვის ვინც შეგვაყვარა,

ვინც შეგვაყვარა დილა ხვალისა, —

ნათელი, როგორც მისი ჭალარა.

კამათში ხშირად ღამეს ვათევდით,

თუთუნის კვამლით ჭერი შევბოლეთ.

იგორი რუსი და მე ჭართველი

სუყველას ღვიძლი ძმები ვეგონეთ.

სამი ზაფხული ასე გავიდა,

სანამ ცოცხალი ვარ, მეხსომება:

მეგონა, ისე ვიწყებ თავიდან

ახალ, ბედნიერ გზაზე ცხოვრებას.

„ჩვენი არჩილი ობლად გვეზრდება,

შენზე იძახის: მამა სად არი?

როდის ჩამოხვალ?“ — მომამბეზრებლად

ერთს და იმევეს მწერდა თამარა,

და როგორც წიგნის ბოლო ფურცელი,

მოსკოვში სწავლის ბოლოც გამოჩნდა.

ასპირანტურის ბოლოკურსელი

ჩავაბარებდი ბოლო გამოცდას

და ჩავიდოდი თბილისს ცოტა ხნით...

მელეიძებოდა ასეთ ოცნებით,

მელოდა ჩემი ტკბილი ოჯახი,

ჩემი პატარა დასაკოცნელი.

აი, გათენდა დილა ნანატრი,

დილა მოსკოვეურ გაზაფხულისა,

თუმცა ვცდილობდი, ვეღარ ვფარავდი

რადაც უცნაურ ცახცახს გულისას.

მაშინ მიგრძნობდა გული საოცრად, რომ მშხამდებოდა დილა გამოცდის. ფოსტალიონიც იმ დროს გამოჩნდა. ფერი მეცვალა, დიდად გავეოცდი. ასეთი ელდა, შიში აროდეს არ განმიცდია ომის დღეებში: „არჩილი ცუდად არის, ჩამოდი“. — მატყობინებდა ცოლი დეპეშით. ელდამ, ვარაშმა გული ამომწვა, აჩრდილად მედგა თვალწინ არჩილი.

ვერ ჩავებარე რთული გამოცდა, დავრჩი ორმაგი დარდით დაქრილი. მანუგეშებდა იგორ ლაბტევი. ბედი ძმობილის სწავდა, ღელავდა. ვიცო, ყველასთვის იყო ნათელი, ასე უეცრად რაც დამემართა. ჩაქრილი ისევ შინ ებრუნდებოდი, თავს შავი ფიჭრი დამტრიალებდა. კაცი ბოდმისგან ვიგულებოდი და შვილზე დარდი მატრიალებდა. რას დავცქეროდი თვითმფრინავიდან. ბარს თუ მთა-გორებს, არ მასხენდებია: შავი, ტიალი ფიჭრი თავიდან არ მცილდებოდა, არ მასვენებდა. და როცა სახლის კარი შევალე. შვილის დანახვით გახარებულმა, „ო, გენაცვალე, არჩილი!“ — შევძახე ხმამალა, როგორც გადარეულმა. დამხვდა ჯანმრთელი, საღსალამათი ბავშვი, ლხინობდა თავისებურად. სად მქონდა თავი დავა-კამათის, ცოლს გადავხედე განრისხებულმა და მივხვდი, შვილის ავადმყოფობა რად მოიგონა მაშინ თამარმა. მივხვდი, მობეზრდა მას მარტოობა, ყოფნა პატარა ბავშვის ამარა. მე მან გამწირა, წყალში ჩამიგდო სამი წლის შრომა, ტეხვა ღამეთა. და რადგან გული ერთხელ გაიბო. მძიმე ჭრილობა ვედარ გამოთელდა. მივხვდი, მეუღლე არ მიფასებდა საქმის სიყვარულს, ცოდნის

წყურვილსაც.

ალარ შემეძლო სახლში გაძლება თავი ჩავთვალე ცოლის უღირსად.

დავთმე ოჯახი და გამოეწიე სამგორისაკენ ერთი ოცნებით. თქვენთან მივიღებ გამოცდილებას. საქმეს ორიოდ წელში მოვრჩებით. მერე მოსკოვში უნდა გაცოცხლდეს ჩემი მიზანი, ფიჭრი ბავშვობის, უნდა დავიცვა, უნდა გამოვცე წამოწყებული დიდი ნაშრომი.

თავი VIII

ქალებს დაჰყურებს ციხე უჯარმის სათოფურების შავი თვალებით, ქვიტიკის კიდეზე მისდევს ბუჩქნარი — ნავსაყუდარი დალილ მგზავრების. ღრმად ჩაუბზარავს ფესვებს კედლები და უხსენებლებს ჰგვანან საშინელს. ახვალ, გგონია, შეეფეთები ვახტანგ გორგასლის სპათა აჩრდილებს ახვალ და ქალებს უნდა გახედო, მზერას მოგტაცებს პალდოს ტაფობი, სადაც იორი უნდა ჩაკეტონ ქვაბში ვერცხლივით გამოსადნობი. მარცხნივ მოტორებს გააქვს გრიალი, მკერდგახვრეტილი მთა გამოჩნდება. სადაც ბრიგადებს ვაჰყავთ გვირაბი დედა-სამგორის გასანორჩებლად. ტიალ ტრამალზე დარჩათ წინაპრებს კვალგადაშლილი ნაშთი რაბების, ახლა სამგორში ვაჰყავთ ბრიგადებს იორი არხით და გვირაბებით. პალდოს ესტუმრა გმირი პოემის. საქმემ ვაჰყავი აქ გამოგზავნა, უცდის გაიოზს დიდი ბრძოლები, გადუღებელი აქვს ამოცანა: სულ სხვა უბანზე გადმოისროდეს გვირაბის მჭრელთა დასახმარებლად. იგი დავითთან ყოფნას იხსენებს, რჩევას მშობლიურს და დაყვავებას. საავადმყოფოს კედლებს იხსენებს. სადაც პარტორგი, გულით სნეული. წევს სარეცელში, წევს და ისვენებს კაცი ლომკაცურ ქუხილს ჩვეული. დიდი ბრძოლები, ცხარე ბრძოლები ელის გაიოზს — ხმალს არ ჩააგებს. გვერდზე ისეთი ჰყავს მეგობრები,



მათთან სიკვდილსაც არად ჩააგდებს.
 გვირავი უნდა დააგვირგვინოს,
 სძლიოს გაუტეხ ძალას მთებისას,
 რომ სალუტების დარად იგრავინოს
 ნალმებმა ნიშნად გამარჯვებისა.
 მაგრამ სამი თვე, ასე ხანმოკლე
 დრო სად ეყოფა ამ დიდ საქმისთვის,
 მას რომ აშინებია, მას რომ აღონებს
 მკვრივი კედელი არის სალი კლდის.
 მარტო ბურღებით ვერას გახდები,
 ვერას გახდები კლდესთან წერაქვით,
 ისმის მთის გულში ფეთქევა ნალმების
 და გვალვა შიშით კვდება ვერაგვი.
 ისმის გრუხუნე, ფეთქევა დენთისა,
 თითქოს ვულკანმა უნდა იხეთქოს,
 წყდება გუგუნე შელამებისას,
 მთასაც გულმკერდი სურს გაიღეღოს.
 თითქოს გლეხებთან ვახშმად დაჯდომა
 მთასაც სწყურია დაჭრილს, დადაგულს,
 მაგრამ საკუთარ უილაჯობას
 გრძნობს და ხალხისკენ გზავნის
 ნაკადულს.

მოჩქრიალებს უკვდავება,
 მოჩქრიალებს წყარო ცივი,
 ლურჯტალღება, ლურჯთვალღება,
 მერცხლის ენით დალოცვილი.
 კენჭებს წყალში დაკარგულებს,
 ლალებს, გიშრებს რა დაიტევეს,
 ტალღა წყნარად აკაქუნებს
 მოცახცახე მარგალიტებს.
 დილით, როცა ბალახები
 შეიბნევენ ნამის ლილებს.
 ხარ-ირემი გალაღებით
 მივა წყალთან, გაიღიმებს,
 რქებს სარკეში აკვირდება,
 მარგალიტი თუ დაება,
 შეისვენებს. გაგრძიდება,
 დაატყვევებს უკვდავება.
 დაატყვევებს საოცრება,
 ცხელი ცრემლი შეუშრება,
 თითქოს წყალთან გამოჩნდება
 ფურ-ირემი სველტუჩება.
 გამოჩნდება ნეტარება,
 ირმის ღებრი და თცნება,
 ფურს ზღვრებით ნება-ნება

ეტანება საკოცნელად.
 გადალულავს ხარი თვალმებს,
 წყაროს სარკეს დაეხრება,
 ნატერას ველარ გაიქარვებს
 და ცრემლები დაეღვრება.
 ასე უღეთოდ აცრემლდება,
 ანუგეშებს ნაკადული.
 ხარ-ირემსაც ახსენდება
 ბედი ერთხელ დაკარგული.

ნოყიერ ვახშმით დანაყრებულ
 გლეხები ახლა წვანან წყაროსთან.
 კოცონი ახლო გაჩაღებული
 შეხამებულა წყალთან საოცრად.
 წვანან ბალახზე კლდეთა მნგრევლები,
 ძილისთვის ჯერაც არა სცალიათ,
 ამოუღვიათ თავქვეშ ხელები
 და შეპყურებენ ცას ვარსკვლავიანს.
 არა სცალიათ ახლა ძილისთვის,
 მათი თვალებით ცა იკოცნება,
 წყარომ თუ არა, აბა ვინ იცის
 კლდეებთან მებრძოლ ხალხის ოცნება.
 წყაროა მათი ოფლის გამბანი,
 სახეებს ცეცხლის სითბო ანაზებს.
 წევს და ოცნებობს ყველა მათგანი
 დედა-სამგორის დიდ მომავალზე.
 ცეცხლმოღებულ შიშა შიშინით
 აბღღვრიალებდა მინდორს გათელილს.
 კოცონს მიუჯდა მენაბდიშვილიც,
 გახსნა წერილი იგორ ლაპტევის.
 ხალხს გამოეყო იგი ანაზდად,
 გადაიკითხა ხელად ბჭკარები.
 შუა სტრიქონზე შეკრთა, გაბრაზდა,
 გაცხარებულმა შეკრა წარბები.
 ნალვერდალივით ისიც გაწითლდა,
 და გაიფიქრა: „სხვამ არ გაიგოს“.
 ძმობილი სწერდა ციმილიანსკიდან:
 „კვლავ დაუბრუნდი თამარს, გაიოზ!“
 ზოგმა შენიშნა მას განრისხება,
 ერთურთს ჩაუტრეს თვალი მუნჯურად,
 — წერილს ვერც კი კითხის იქნება,
 — ვილაცხმე რაღებდ შენიჭრულა.
 ფრობელი ჩაჩჩინულ უტყალ გაიოზს
 გულს უშვებდა მთელი სიმტკიცით.
 „ნუთუ სუყველამ უნდა ამიგდოს,

ნუთუ გიგოლაე ჩემზე იცინის. სხვაგან ამნაირ მასხრად აგდებას, ამნაირ კილვას რად მოვითმენდი? რა ეუპასუხო? ახლა ადრეა, ხვალ მოერიგდებით!"

თქვა გაიოზმა გულში ქადილით, ცერად გახედა ელამ გიგოლას. არა უთხრა რა. მან წელანდელი ჩურჩული თითქოს ვერ გაიგონა. ჩაპყვა წერილის ბჭკარებს ხელახლა.

შიგ სიყვარული იყო რამდენი, სწყუროდა ვოლგის მხარე ენახა, — რომ უხატავდა იგორ ლაპტევი:

... უმეგობრებოდ ხომ ჩავეჭრებოდით, როგორც მხედრები უსასარეხო, დღეს განთიადზე, როცა ვდგებოდი. შენ გაგიხსენე, უსაყვარლესო.

ნეტავ განახა, რა დიდებული სანახავეია ვოლგა აპრილში, ყინულებს ლეწავს ადიდებული. გამოიწყვედეული ბორგავს: გამიშვით!.. რა ზღაპრულია, რა უერცესია მარად ურწყავი ეს ყამირები.

სად ომს ტყვიები დაუთესია და გაზაფხულის მხეს — ყვავილები. რაზმები აქეთ მოიჩქარიან, ფრთებად ქცევიათ მკერივი ხელები, ნეტავ განახა დიდი არმია — ომით შებოლილ მიწის მთხრელების.

კაცი კაცს ძახილს ვერ გააგონებ, მიწა ხმაურით ბრუნავს დამზრალი. გუგუნი გააჭვს ექსკავატორებს, არხი იჭრება უზარმაზარი.

არ შეიძლება არ აღფრთოვანდე. დღე არ დალოცო შენი გაჩენის, როდესაც არხში ნახავ ზომალდებს, არხში, რომელიც ჩვენვე გავჭვრით. ჩემი ოცნების, ფიქრის სიგრძეა ტრამალი სახნავ, გადასაბარი. ეტრიალებ, ძმაო, რაც შემიძლია, რით გამოვადგე მამულს, აბა რით?.. ვიცი, რომ ახლა ჩემი ძმობილიც დედა-სამგორში ასე იქცევა. ამაზე წმინდა, კეთილშობილი შემოქმედება არც შეიძლება...

მშობლიურ მიწის თითო ვორახიც მეძახის: — მომრწყე, კაცო, დამბარე!.. ვოლგასთან ვცხოვრობ ჩემი ოჯახით, ხვალ სხვაგან წავალ, ვარ მომთაბარე".

იფერფლებოდა წყალთან კოცონი და მძლავრდებოდა ხმა ნაკადულის. ალი ქრებოდა და წამოწოლილ ხალხს ძილი ჰქონდა გადაკარგული. სახეწითური და ბოხხმიანი ამბობს გიგოლა ენაკვიმატი:

— რამ გაგაჩუმათ, ხალხო, მითხარით, რამ შეგიცვალათ ყველას სიფათი? ადგა ახმაზი, თვალბეციმციმა, კაცი ხუმარა და საყვარელი, თან საჭიდაოდ გამოიწვია ცეცხლთან მოვლემარე დათა

გლდანელო:

— დამეჭიდე, გლდანელო, ხელ-პირ დაუბანელო! — თქვა და ბიჭებში ატყდა სიცილი. წუთი ჩამოდგა გასახარელი, — ჰე, არ გვაჭამო, დათავ, სირცხვილი, ტყუილად გქვია დათა გლდანელი? იწვა ვაეკაცი შუა ტანისა, შებლი მოლუშა, არც კი წამოდგა: — დანაყრებულზე, შუალამისას სად გაგონილა აქ ჭიდაობა! — დათავ, გატყდი, რომ შეშინდი. სორო ვერ გიპოვნია. შეშინებულს თურმე ბინდი შუალამე გგონია.

დათამ ადგომა ახლა იკადრა, ჯერ განზე მიდგა დარბაისლურად, მერე გაჯგიმულ ახმახს მიეარდა, კისრულით რუში გადაისროლა.

ხალხის ხარხარი და ქრიაშული უჯარმის გულბნელ ციხეს სწყვდებოდა. იწვა გიგოლა, ლაფში ჩაფლული. წამოყენებას იხვეწებოდა. ბოლოს წამოდგა იგი ბარბაცით. ცეცხლთან მივიდა და გაიბოლა. წუთის წინ ზორბა ტანის ვაეკაცი ახლა ტანჩია ჩანდა გიგოლა. დასველებული, მთლად გალაფული ავალს არიდებდა ხალხს ვალახული.

დაეცემოდა ჩვენს წინ ვედრებით:
— „წყაილი!“ — გვესმოდა ხმა უცნაური,
და ვფითრდებოდით ძმები — მხედრები.
ჩამოვბტებოდით და ებურთაობდით,
ბოლოს ნარ-ეკლით დაკაწრულები
ტრიალ ტრამალზე წყაროს

ენატრობდით,

დავეყრებოდით დაქანცულები.
წამით წაგეთვლებოდა — გვეზმანებოდა
წვიმით ნაბანი ტყემლის ბუჩქები.
თვალის გახელა გვეზარებოდა,
გვეყუმებოდა სევდით ტუჩები.
ხან ნაკადულის ხმა ჩაგვესმოდა
სიცხით დახაშმულ ბალებს სიზმარში,
ხან ჩახრიალა გადაგვესხმოდა,
ხან გვაცრუებდა ცაზე მირაჯი.
მე ორ მემკვიდრეს შიოშვილისას
წლებს ვაეხსენებ გულში ჩარჩენილს.
როცა დამაშრულ მინდორს შილიფად
გადმოვღვრება ლურჯი ჩანჩქერი,
გარდა მამულის ღრმა სიყვარულის,
ვიცი, ბალობის ხსოვნაც არკინებს
ორ ძმას, ბურღების მძაფრი დგარუნით
კლდე კაეიანი რომ გაანგრის.
არ ჩამომართვას არაეინ ტრაბახად,
სიტყვის ჯავარი მომცა სამგორმა,
წიგნი ბალობის დღემ მიკარნახა,
მან დამაფიქრა და შთამაგონა.
გადავიწყებას როდი მიეცა,
ხმა გარდასული აღწევს ჩვენამდის,
ორი ოთარი, ერთი ქიტესა
ხბორებს მივლევდით მლაშე ტბებამდის.
მამინ ბაღლებმა განა ვიცოდით,
რომ უწმინდესი ნატვრა გულების
აცხადდებოდა, ზღვა გაჩნდებოდა
პარტის, ხალხის განკარგულებით.
მოხუცი დინჯად მიაბიჯებდა,
კრძალვით მისდევდა გზას სტუმარივით.
ფიქრობდა მიხა: „მივალ ბიჭებთან
სავსე ტიკტორით და პურმარლით.
დავსხდებით, ყველას ჩვენთან მოიყვანს
სუფრა ქართული, მოლზე გაშლილი,
არ შემოგვეთვლის შორით მოკითხვას,
მოვა პარტორგი კობერაშვილი.
მგზავრს ეხლებოდა ქარი ზედაზნის,

ეხუტებოდა, თავს ველებოდა,
მიხა შიოშვილს თამარ ცხვედაძის
დიდი განზრახვა ახსენდებოდა,
და შემოქმედის წმინდა ფიქრები
შუქს ღვრიდა, როგორც მზე საოცარი.
მეც იმ ბედნიერ დილით ვიქნები
თუ არა ნეტავ, ქვეყნად ცოცხალი.

მიდიოდა მიხა გზაზე,
მინდვრად სიცხე იდგა ცხარე,
მაგრამ ხვალის სილამაზეს
გრძნობდა მგზავრი წინასწარვე.
მიდიოდა ბერიკაცი, —
მზისგან სახეშეკორფლოლი,
ქრელ ხურჯინში გრძელი ყანწი
და შოთები ეწყო თბილი.
მგზავრს თავისი ნახელარი
ქადის გემო აეჭვებდა,
ტვირთის ერთი ნახევარი
თხის ტიკტორას გაეჭექა.
ცალი თვალი ხურჯინისა
სავსე იყო ხორცეულით,
მოხუცს საგზლის სიმძიმისგან
მხარი ჰქონდა მოქცეული.
ველი მარჯვენო, ველი მარცხნო
მიხას განა თვალს სტაცებდა,
დატვირთული ბერიკაცი
შემთვრალივით ბარბაცებდა.

მუხლდაქანცული და ხანდაზმული
მიაბიჯებდა მიხა გულდინჯად,
თავი, პირწმინდად გადააარსული,
სტიყოდა დალილს, სუნთქვა

უქირდა.

მაგრამ შეილების ნახვის წყურვილი
უათმაგებდა ძალას ბერიკაცს,
ველიც ხენეშოდა დაქანცულივით.
ველი შიოშვილს ჰგავდა ფერიოთაც.
ბალახდამქნარი, გაყვითლებული
ჩანდა ტრამალი დამსკდარ ხრამებით.
მგზავრს შესცქეროდა გარინდებულ
ნარის წამწამთა დახამხამებით.
ბოლოს გამოჩნდა ტბა კუკიისა
და ბორცვი, სადაც დიდ მაისობას
ერთვოდა მძლავრი ხმა გუგუნისა.

სადაც ჩამკედარი მიწაც იძვროდა,
 სადაც აჰქუხდა დიდი ჭაბუკი,
 ატყდა გრიგალი, ტახტის დამმხოზი.
 ჩვენი ცხოვრება იმ დიდ ქარბუქის,
 იმ დიდ მიზანთა არის ნაყოფი.
 იმ დიდ შეხლათა, იმ დიდ მიზანთა
 ძალით სამშობლო გახდა მთლიანი,
 ხალხში მზის დარად ამოიზარდა
 უზარმაზარი აღამიანი.
 ვისი ყოველი სიტყვა არხია,
 გამარჯვებაა, ვრცელი ზღვა არი,
 ვისი ყოველი სიტყვა ბალია,
 იარაღია მტრების მზარავი.
 ახსოვს შიოშვილს, როცა პარადზე
 ქექდა ბელადი დიდი იმედით:

— ლენინის წმინდა დროშა
 გფარავდეთ! —
 თქვა და აქუხდნენ დივიზიები.
 — დროშა გფარავდეთ დიდი ლენინის! —
 თქვა და დაიძრნენ გმირთა გმირები,
 დასცეს, დაამხეს რისხვით ბერლინი,
 დაღეწ-გაჯეგეს მტრის არმიები.
 რუკა გაშალა დღეს მაგიდაზე,
 ბრძანა ბელადმა შეცვლა ბუნების,
 რომ გაახშიროს დედამიწაზე
 გუგუნი ზღვების, ელსადგურების,
 რომ მტრების თვალის დასაბრმავებლად
 ახაროს მუხა, ნორჩი ჩინარი.
 პარტიის ნებით ბრუნავს პლანეტა,
 ლენინ-სტალინის დროშის შრიალით.

(დასასრული იქნება)

ახალი ჰორიზონი

რომანი

წიგნი მეორე

ნაწილი პირველი



1.

კლებიდან შახტამდე შორისორს მოკიაფე ელნათურებით განათებულ გზაზე თამარელასთან ერთად სხვებიც ეშურებოდნენ. თამარელა, მართალია, ამჩნევდა თანამგზავრთა ცნობისმოყვარე მზერას, მაგრამ ახლა არავის ყურადღებას არ აქცევდა. უცნობებს რა ეთქმოდათ, ნაცნობთაგან ზოგს იქნებ აკვირვებდა და სწყინდა კიდევ მისი გულგრილობა. თამარელა ახლა მარტო იმ ფიქრით იყო შეპყრობილი, რომ თავისი საჯარო, სიტყვიერი აღთქმა საქმედ ექცია; ის კი, რაც ორიოდ წუთის წინ მოხდა და რამაც ხალხში ასეთი უჩვეულო ცნობისმოყვარეობა აღძრა მისდამი, ამ გოგონასათვის უკვე წარსული იყო.

შახტის კომბინატის ეზოში თამარელას გამოჩენას ხალხი აღტაცებით შეხვდა. როცა თამარელა სამკვედლოს გაუსწორდა წამით მიწყდა ჩაქუჩის რიტმული ცემის ხმა. შუშებჩამტვრეულ ფანჯარაში თავგამოყოფილმა ყმაწვილებმა, და ხნიერებმაც, ეს გოგონა ცნობისმოყვარე მზერით გააცილეს, ერთმა ყველას გასაგონად დაიძახა: „რას ჩაეციედი ამ სამკვედლოს! არა, ძმაო, მე ზვალადანე იმ უბანში სამუშაოდ გადავდივარ, სადაც თამარელა იქნებოა“. მეორეს კი ხელის დაქნევა ეწადა, მაგრამ მისი ხელის მოძრაობა თამარელას არ შეუნიშნავს.

შახტის კომბინატის წინა ეზო დღესავით იყო განათებული. ელნათურები აქ რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე გაქიმულ მავთულზე ეკიდა მწყკრევად. თამარელა ახლა უცხოისავით იყურებოდა აქეთ-იქით. ბუნკერის გვერდით რომ ჩაიარა, ხელი კინალამ ყურებზე აიფარა, ისეთი ხმაურით იცლებოდა ვაგონში ნახშირი. ბუნკერს იქით, მარცხნივ, შტოლნამდე ჩანდა ეიწრო ლიანდაგზე ჩამოყენებული ვაგონების ორი გრძელი მწყკრევი. სახურავის ნაპირის გასწვრივ გარული ლოზუნგები თავისუფლად შიგვედლოთ წაგეკითხათ ელნათურის შუქზე.

საყიაროზე გაცილილი ვაგონტების გამგორებლები რიგრიგობით უმატებდნენ ვაგონეტს უკვე საკმაოდ გრძელ შემადგენლობას. საყიაროსთან მოფუსფუსე ერთ-ერთი მუშა, სწრაფად მიაბამდა თუ არა ვაგონეტს. კვლავ ამხანაგებს წაეხმარებოდა.

ეს აღამიანები, ეს საგნები, ადრეც მრავალჯერ ხილული, ეს ხმები, ადრეც მრავალჯერ გაგონილი, სულ სხვაგვარ გრძნობებს აღძრავდა, სხვაგვარ გამოძახილს პოულობდა თამარელას არსებაში.

ხელმარჯვნივ, საკმაოდ მოზრდილ ტერიტორიაზე, ზოგან მწყკრევად ეწყო, ზოგან კი უწყესრიგოდ ეყარა ფიქვის უამრავი საბიჯე ძელები. მუშები სიმსხოსა და სიგრძის მიხედვით ცალ-ცალკე აწყობდნენ მათ.

თამარელამ სწრაფად მოავლო თვალი ამ მხარესაც და მხატვის კომპიზატის შენობის მთავარ შესასვლელს მიაშურა. შესასვლელთან შეჯგუფულ ნაცნობებსა და უცნობებს არ გამოლაპარაკებია, სწრაფად დაუტრა მათთვის და კიბების საფეხურები სულმოუთქმელად აირბინა, თითქოს ვინმე მოსდევს. მარცხა ბაქანზე შემობრუნდა, დაინახა, რომ შემოსასვლელთან შეჯგუფულთა მზერა მოაცილებდა მას. თამარელამ თავი დახარა და ახლა უფრო დინჯად აპყვა ნაპირებმოცვეთილ და ქვანახშირის მურით გაშავებულ საფეხურებს. კიბეზე მიმავალმა ხელისგულზე დაიხედა, დრო და დრო მოაჯირს რომ ავლებდა, ხელიც გამუროდა, არ ესიამოვნა: ვინმე რომ მომესალმოს, ეს ხელი როგორ გაუწორო. ამის გაფიქრება და იდაყვის ზემოთ, მკლავზე შემოკერილი სახელის ნაპირიდან ცხვირსახოცის გამოძრობა ერთი იყო, მაგრამ გამურულ ხელისგულს ხელისგულისოდენა ცხვირსახოცით ვერაფერი მოუხერხა.

ამ შენობაში თამარელა ადრე სამჯერაც არ იყო ნამყოფი; ახლა ის ძალიან ცდილობდა, თავი ისე ყოჩაღად დაეკვირა, რომ უცხოობა არაის შეემჩნია. აქ იმდენი დერეფანი, ოთახები, გასასვლელ-გამოსასვლელი აღმოჩნდა, რომ თამარელას სულ აერია ასაველ-დასაველი, ვარაუდით კი ნიკო არაბიძის საგანრიგოსათვის ვერ მიეკვლია. ნიკოს უბნელთა შორის ხუთიოდე მუშას, მართალია, იცნობდა, მაგრამ ზოგი მათგანი უკვე ფრონტზე გაემგზავრა, დანარჩენებს კი შეიძლება ღამის ცვლაში სამუშაოდ გამოსვლა არ უწყევდათ. თამარელა რომელიმე მათგანის უეცრად დანახვის იმედს მაინც არა კარგავდა და საგანრიგების ღია კარებს რომ ჩაუვლიდა, სწრაფად მოავლებდა თვალს იქაურობას.

ეტყობოდა, ცვლის შეკრებამდე ჯერ კიდევ ადრე იყო. წელან საყვირმა, მართალია, ერთი გაბმით დაიბღაველა, მაგრამ მეშახტეთა უმეტესი ნაწილი ადგილზე არა ჩანდა. თამარელა მიხვდა, რომ საყვირმა ჯერ მხოლოდ ცვლაში გამოსასვლელი ჭამის მოახლოვება აუწყა მეშახტეებს.

ერთ-ერთ საგანრიგოში, რომლის კარზე რომაული ციფრი III ეწერა, თამარელამ იცნო ნიკოს თანაშემწე გონტა. კარის ზღურბლიდან მყის უკან დაიხია, სული მოითქვა. მერე კვლავ შეიხედა და ხმადაბლა იკითხა:

— შეიძლება?

გონტას თავი არ აუღია, ისე უპასუხა — შემოდით. ამ კაცს არასოდეს არ ელუოდა საწერი; ახლაც გონტა რალაცას თავისებური სიდინჯით წერდა და სიოცვების გამოთქმის შესაბამისად, როგორც სჩვეოდა, ტუჩებს უხმოდ ამობრავებდა. თუ მის ჩვეულებას არ იცნობდით, გეგონებოდათ, თავისთავს ეჩურჩულებო.

გონტას გარდა საგანრიგოში ოთხი მეშახტე იმყოფებოდა. ისინი თამარელას გამოჩენისთანავე ხის გრძელი მერხიდან მხედრული წესით წამოიჭრნენ. მეშახტეების თუხზე წამოჭრასა და ფუსფუსზე გონტამაც იკადრა თავის აწევად. ანდრეი რამდენჯერმე იყო ნამყოფი ზიბზიბამის ოჯახში და თამარელასაც იცნობდა. მან დინჯად წამოიწია ადგილიდან და ხელიც გაუწოდა თამარელას. თამარელა ოდნავ შეცბა; გაახსენდა, ხელი რომ გამურული ჰქონდა, მაგრამ არ დაიბნა; გონტას ხელის მტევანი რომ დაინახა, გაცოცხისაგან თვალები დაახამხამა; თამარელას ხელი ისე ჩანდა ანდრეის ხელთან, როგორც ხის ვოვზი თიხის დიდ ჯამთან. აქი ჩაიმალა კიდევ მაჯამდე თამარელას ხელი გონტას მსხვილ თითებსა და ხელისგულში.

— შენი სიტყვა მომიწონა, ქალიშვილო! — ანდრეიმ ჩქემოდან ახედა თამარელას. ნიკოს თანაშემწის ქერაწამწამებიან და წვრილჭრილიან მოცხსტრო

თვალბს კარგა მოზრდილი ბლუჯა წამწამები შიშის მომგვრელად წამოჭარებოდა. გონტა წარბებს იმ სიმაღლეზე ასწევდა ხოლმე და უცებ დაუშვებდა, რომ გაოცდებოდიოთ.

— ის, რაცა თქვი, მართალი გულის ძახილი იყო! აბა, შენ იცი; საქმით როგორ გაამართლებ! — გონტამ კვლავ შეხედა თამარელას, თან კედლის გასწვრივ ჩამწკრივებულ მესახტეებზე ანიშნა:

— ამათ ყველას იცნობ? —

თამარელამ მიმზიდველად, მორცხვად გაულიმა მესახტეებს და მათთვის თვალის მოუშორებლად, ხმადაბლა მიუგო გონტას:

— ვიცნობ... შორიდან.

— მაშ, შეგიძლია, ახლოც გაიცნო!

— როგორ არ გიცნობთ, მარა კიდევ ერთხელ გაცნობითაც რა დაგვიშავდება! აფრასიონი ვარ, უკლებს! — ამ სიტყვებზე მალაღმა, გამხდარმა მესახტემ თავისი გრძელი და ხველი ხელი შორიდანვე ისე გაუწოდა, ნაბიჯის გადმოდგმა არც კი დასჭირვებია. აფრასიონის სიტყვა-პასუხმა, ალერსიანმა, თანაც ოდნავ სახუმარო კილომ დ ქალარამ უცებ მოინადირა თამარელას გული. თამარელა რომ ჯერ კიდევ მისი თვალღერებით იყო გართული, აფრასიონმა ისე მოღრეცილად დახიდა გვერდით მდგომ მესახტეს და გაკიმული ცერიც ისე მარჯვედ და შეუმჩნეველად ატაკა ფერდში, დიდი მოთმინება და წინასწარი წრთობა იყო საჭირო, ერთი მხრივ, იმ გამოხედვის და მეორე მხრივ, ცერით შემოტევის გასაძლებად. ვიდრე ყმაწვილი რამეს იტყოდა, ისევ აფრასიონის ხმა გაისმა:

— მეგონა, ამ ჩემს ბლარს მაინც იცნობდით, ქალიშვილო!

ყმაწვილმა სწრაფად გაუწოდა ხელი თამარელას. ჰაბუკური სილალით და უდარდელობით იყო აღბეჭდილი აფრასიონის ვაჟის მოძრაობაც და გამომეტყველებაც. მესახტის მუზარადი კიფაზე დარდობანდულად მოეგო, ხუტუქი ქორჩორის რამდენიმე ხვეული შუბლზე ჩამოსცვენოდა და თეთრ შუბლს მისი სიშავე ძალზედაც შევნოდა. მკერდი ისე მოეღელა, თითქოს საჭიდაოდ გამოსულაო. სულ თავდახრილი იდგა, ხელ-ფეხს კი მოუსვენრად ატოკებდა, ერთ აღვილზე წყნარად დგომა არ შეეძლო. სახტი არა მარტო გონიერთა, არამედ ღონიერთა, მხნეთა და გამძლეთა ასპარეზიცაა. მესამე მესახტი. აფრასიონის განიერ და ბრტყელ ბეჭებს რომ ეფარებოდა, უფრო დინჯი ყმაწვილი ჩანდა. მისი გამომეტყველება მშრალი და უფერული იყო, მისი მოძრაობა — ძუნწი. უბრალოდ ქუთუთოსაც კი არ ასწევდა-დასწევდა.

როდესაც თამარელამ აფრასიონის შეთვალწარბა, ფერმკრთალი, მკვირცხლი ყმაწვილი გაიოზი გაიცნო, ქერასაც გადახედა, აფრასიონიც სწრაფად შებრუნდა მისკენ.

— სულ ნუ გამოლენნდი, ბიჭო! რავა გამოუძინებელივით ლულავ მაგ თვალბს! — აფრასიონმა წამით თამარელას მოხედა, თვალი ქერაზე უყო და დასძინა; — ეგ, ჩემი ძმისშვილია, მარა, — ერთი დამკინავად ჩაიციხა, — არც ძმას დაამგვანა გამჩენმა, არც... ბიძას! — აფრასიონმა თავი ასწია და ზედა ქუთუთოები მედიდურად დაახამხამა, — ისე... მუშაობაში ღმერთმა მოგცეს! — დასძინა ბოლოს.

ქერა ყმაწვილმა ნელა გაუწოდა ხელი თამარელას; ჩამორთმევისას თამარელამ იგრძნო, რომ მუშაობაში ყმაწვილის გაუხმებულ ხელს ღონე არ აკლდა.

გონტა არავითარ მონაწილეობას არ იღებდა მოსულისა და დამხედურთა გაცნობ-გამოცნობაში, იცოდა, სადაც აფრასიონი იყო, იქ საქმე არ დაბრკოლდებოდა. თვითონ გულმოდგინედ აწრიაინებდა კალამს ქალაქის ხან ერთ ფურცელზე, ხან მეორეზე.

თამარელამ მეოთხე შესახტისთან გაცნობა ველარ მოასწრო; ის ცალი ბეჭით ფანჯარასთან კედლის ნაპირს იყო მიყრდნობილი, შესახტის მუხარადი შუბლზე წამოეწია და პირის კუთხეში გაჩრილ პაპიროსს დინჯად სწევდა. აფრასიონმა წელან ერთი-ორჯერ იმასაც გახედა, მაგრამ შესახტე ადგილიდან არ დაძრულა; არ ჩქარობდა, თითქოს სულაც არ ეხალღებოდა, გაიცნობდა თუ არა თამარელას.

დერეფნიდან ფეხის ხმა, ჩოჩქოლი და გაურკვეველი ლაპარაკი მოისმა. ყველას ყურადღება მიიპყრო ამ ხმებმა. ერთი წუთის შემდეგ საგანრიგოში ნიკო შემოვიდა. არაბიქემ თამარელას დანახვაზე გაოცებით და სიხარულით წამოიძახა:

— აქ მოსვლაც მოგვასწარი? რაო, ლამის ცვლაში ხომ არ აპირებ გასვლას? თამარელამ ისე შეხედა, ნიკო დარწმუნდა, რომ განზრახვას მიუხედა, და ცოტა წარბი შეიკუმხნა.

— ახლა ასეც ნუ გავითამამდები, ქალიშვილო! — წარბი კვლავ გაშალა და სახეზედაც ღიმილი მოეფინა.

— სულ ერთი არ არის? — მიამიტად იკითხა თამარელამ. — თანაც, ახლავე რომ უკან დავიხიო და არჩევანს შევუდგე, ნიკო ძია, ივარგებს?

ნიკოს ახლა მთლად გაუბრწყინდა სახე, თამარელას უცებ მარჯვენა ხელი ბეჭზე მოხვია და საგანრიგოში მყოფთ ამაყად გადახედა.

— ბიჭებო, გესმით?

ხმა არავის გაუღია, მხოლოდ აფრასიონმა წაიკნავლა ძლივს გასაგონად:

— როგორ არ გვესმის, შენ შამოგველეო.

გონტამ ნიკოს გამოჩენისთანავე წამოდგომა დააპირა ადგილის დასათმობად, მაგრამ უბნის უფროსმა ხელით ანიშნა — იყავიო. ნიკოს ახლა დასაჯდომად არ ეკალა.

— ანდრეი, შეხტის უფროსს არ დაურეკია?

— ჩემს აქ ყოფნაში არა.

— რალას ელოდებიან? ბარემ გავგენაწილებინა ახლებიც და ის იქნებოდა. გვეცოდინებოდა მაინც, ზვლიდან დილის ცვლაში რამდენს გაიყვანდით.

— ნიკო ძია, ჩემს გარდა სხვებიც აპირებენ ამ ლამის ცვლაში მუშაობას. — შენიშნა თამარელამ.

— მართლა? — სიხარულით იკითხა ნიკომ, — მთლად უკეთესი. მესამე ცვლას მაინც ყოველთვის უჭირს ხოლმე!

— შერე, რამდენი უნდა გვერგოს ნეტავი, ამხანაგო ნიკო!

ნიკომ ქუდი უკან გადაიწია, წითელი ზოლით გადასერილ შუბლზე ხელი გადაისვა.

— ათამდე მაინც, ა? — ეკვით იკითხა უბნის უფროსმა.

— თუ ყოველ ცვლაში ათამდე მაინც შემოგვემატა, კიდევ არა უშავს! აგერ, სიასაც გადახედე. ფრონტზე წასული ბიჭების გვარები ცალკე ამოეწერე. მიწოდებული ფურცელი ნიკომ უმაღ ჩამოართვა და თვალი გადააგლო.

— რა დარჩილი ბიჭობი გაგვიჩაენია! რაც მაგათი გამოზრდისათვის ვიშრომეთ. სულ მწგრეველები, შტრეკების გამყვანები და მეზიგეები!

ნიკო უცებ თამარელასაც მიუბრუნდა.

— შენი სიძეც ამით რიცხვში მოხვედრილა! ზიბზიბაძე, აკაკი სარდიონისძე. ანდრეი, ხედავ ამ ზიბზიბაძეს?! თავისი ბრიგადიანად წასულა ფრონტზე!

— ერთი კაცი მაინც დაუტოვებია ჩვენთვის... მეზიგე სირზილაძე!

— სირზილაძე? — გაკვირვებით იკითხა ნიკომ.

— ვერ ყოფილა კარგი მორბენალი, ამხანაგო ნიკო, არა? ყველას გაუსწრია! — შემპარავი დაცინვით წაიკნავლა თავისებურად აფრასიონ უკლებამ.

ნიკოს ყურადღება არ მიუქცევია უკლებას შენიშვნისათვის, თუმცა ყველას ღიმილი მოერია. თამარელას კინაღამ ხმაშალა გაეცინა, მაგრამ სხვების თავშეკავებულმა ღიმილმა შეაჩერა. თამარელას ახლა ძალიან ფხიზლად ექირათვალი და ყური, ცდილობდა, თვითონაც ისე მოქცეულიყო, როგორც მიღებული იყო მემახტეთა წრეში.

— ეს ქალღიმილი მე დამპირდება.

ნიკომ გონტასაგან მიწოდებული ფურცელი ოთხად დაკეცა და გულის გარეთა ჯიბეში ჩაიდო. მერე კვლავ თამარელას მიუბრუნდა, ამ დროს ტელეფონმაც დარეკა. მდივანი გოგონა ნიკოს შატრის უფროსის კაბინეტში უხმობდა.

— მი ალბათ დიდხანს არ დამაგვიანდება... — ნიკომ საათს დახედა, — ცვლაში მუშების გასტუმრებამდე ორმოცდახუთი წუთი დარჩენილა.

— ყველაფერი რიგზე იქნება, ყველაფერს მოვასწრებთ! — რწმენით თქვა გონტამ.

— თამარლა, რაკი ჩემს საგანრიგოში მოსულხარ, გეტყობა, ჩვენს უბანში გასურს იმუშაო!

თამარელამ ღიმილით დაუქნია თავი ნიკოს.

— მერე-და, სხვა უბნების უფროსები დამანებებენ, ქალო, შენს თავს? — ხუმრობით შენიშნა ნიკომ და თამარელას მხარზე კვლავ ფროთილად შეახო ხელი. — ვეცდები, შენი თავი არავის დაიანებო! — ისე თქვა ნიკომ, თითქოს მართლაც ვინმე ედავებოდა. — ჩემს დაბრუნებამდე თუ აქ ყოფნა მოგწყინდეს, ეგერ, საერთო საგანრიგოს დარბაზში შეიარე, ვინც ახალია, ყველა იქ იყრის თავს... დაიცა! გონტა. რას იტყვი? რვა-ათი ქალი რომ შევარჩიოთ და მოვაშინალოთ, არა სჯობს, ვიდრე განაწილებას დაველოდოთ? თუ ათს მოგვიცემენ, ზომ კარგი, თუ არა და დაგვაკლონ, რა გაეწყობა!... ჩვენ ყი ხალხი მომზადებული გვეყოლება და გავატანთ კიდევ მუშებს ცვლის გასტუმრებისას.

გონტამ, როგორც იყო, კალამს ხელი უშვა. შუბლზე მოისრისა და ცალი წარბის უეცარი შეტოკებით დაიძახა:

— საუცხოო აზრია, ამხანაგო ნიკო! ათზე მეტი იქნება, თუ ნაკლები, ხალხი ზომ მაინც უნდა გვერგოს და, არა სჯობს თადარიგი დავიჭიროთ, დრო არ დაგკარგოთ?... — გონტამ წამით თავი ჩაღუნა, დაფიქრდა, მერე ისევ ნიკოს გაუსწორა თვალი: ცალი წარბი, რომლის მოძრაობაც თამარელას ისე აკრთობდა, კვლავ ზემოთ შეისროლა და დასძინა:

— მაგრამ... რომ გამოაცხადო, აბა, ვინ წამოეა არაბიძის უბანში სამუშაოდო, ყველაფერი აირ-დაირევა, ყველა შენთან მოსურეებს მუშაობას. ხომ იცი, რა სახელი გაქვს და ეს გამოუტდელი ხალხი, შენ-ოთრო გენდობა!

ნიკომ არ იცოდა, რა ეთქვა, რა ელონა. გონტას შიში უსაფუძელო არ იყო.

— ეგ საქმე მე მომანდით, თქვენ შამოგველით! — გაიმართა წელში აფრასიონ უკლებამ. თხელი და გრძელი უღვაშიბი თავმოქმონედ შეისწორა, ბრუნების ქურთუკის განიერი საყელოდან აფრასიონის წვრილი კისერი ერთ მტკა-

ველზე იყო აცილებული და ამ ძარღვებგამომბერილ და კუთხურად ბორჩის ბორცვგამოჩრილ კისერზე თავი ისე მოუჩანდა, გეგონებოდათ, სარზე ჩაქოც- მული ქოთანიაო. ნიკომ გამომწვევად გაუსწორა თვალი უკლებას, **მეხველი**

— აბა შენ იცი და შენმა მოხერხებამ. აფრასიონ, გესმის? **ახალხმად** არ აგვიწრიალო, თორემ...

ნიკოს შენიშვნაზე აფრასიონმა გაკვირვების ნიშნად თავი უცებ უკან გადა- იქნია, მუცელი წამოსწია და ეს მოძრაობა ისე სასაცილო გამოვიდა, ყველას ძალაუნებურად გაეღიმა.

ნიკომ ერთხელ კიდევ ახედ-დახედა აფრასიონს და მერე ეკვით იკითხა: — ხედავთ? კიდევაც რომ სურდეს ვინმეს ჩვენთან მუშაობა, ამის შემხედ- ვარე ვაი თუ სულ აღარ გამეკაროს!

აფრასიონს შიშველ ფეხზე წადის კალოშივით ცხვირწაწვეტებული, უხეში ჩუნი ეცვა. რომ არ წასძრობოდა, ჩუნი ტერფზე გადახვეული ზონარით ამო- ეკრა. ისედაც მოკლე შარვალი, კიდევ უფრო აეწია და მისი სათავე წელზე ისე შემოეჭირა მსხვილი თოკით, რომ გარშემო სულ ნაოქები შემოდგომოდა. კოჭი- დან შარვლის ბოლო ერთი მტკაველით იყო აცილებული შიშველ წვივზე. სია- რულში შარვალი შიგა მხრიდან ლაჯებს მკიდროდ ეკვროდა, გარეთა მხარე კი თავისუფლად ფართატებდა.

— ტანისამოსს რა ქუა აქვს, ამხანავო ნიკო, თავი და თავი სიტყვა- პასუხია!

ნიკომ კვლავ დახედა საათს. ამ ლაპარაკში ხუთი წუთი უკვე გასულიყო. ღიმილი მყის გაუქრა თვლებში. წარბები შეკუმუნა, ბრძანების კილოთი გა- დასძახა აფრასიონს:

— აბა, შენ იცი! რომელსაც შეატყობ, რომ ჩვენს უბანში გამოდგება, შე- მირჩიე ათამდე ქალი. საერთო საგანრიგოში უმრავლესობა უთუოდ შეკრე- ბილი იქნება.

აფრასიონი უცებ დაპატარავდა, წელში მოიხარა, თითქოს ოთხად მოიკე- ცაო; კარებში კი არ გავიდა, სწორედ რომ გაძვრა.

ნიკომ გონტას სპიკსამოსებზე მოთხოვნილებების ფურცელი სასწრაფოდ გამოაწერიხა, ხელი მოაწერა და მყის შახტის უფროსის კაბინეტს მიამწერა.

ხუთი წუთის შემდეგ ნიკოს უბნის საგანრიგოში პირველად შემოიჭვირება შახტის წითელ კუთხეში მომუშავე გოგონამ. თამარელას დანახვაზე ცაცა საგან- რიგოში სხვების ყოფნას აღარ მოერიდა, თამარელასთან მიიჭრა და წელზე ხელი მოხვია.

— აფრასიონმა გამომგზავნა... თამარელა გეძახისო! მე ტყუილი მეგონა...

ორი წუთის შემდეგ საგანრიგოში მოუბოდიშებლად შემოაბიჯეს ღებმა— კლარა და შორა არსენიძეებმა. ისინი კოოპერატივში მოშაობდნენ ნოქრად. მათ შახტის უბანში ყველა კარგად იცნობდა და თავაზიანობისათვის ყველა პატივს სცემდა. არსენიძეებს ფეხდაფეხ მოჰყვა შატბის მეზობელი — ლილა და სამი დისახლისი — ხორხომელიძის და რიმა, მეუღლე ქეთევანი, ელიზბარის მეუღ- ლე მარინე, გონტას ქალიშვილი ულია. ყველაზე უფრო მოულოდნელი მალა- ქია ლებანიძის მეუღლის ვენერას გამოჩენა იყო. მის დანახვაზე მთელი საგან- რიგო ახმაურდა.

გონტამ საგანრიგოში მყოფნი მოათვალიერა, მერე აფრასიონის მკვირცხ- ლი ვაჟი — გაიოზი თავისთან მოიხმო, სპიკსამოსის მოთხოვნილობის ფურცე- ლი გადასცა და დაავალა, — საწყობის გამგე მოენახა და სპიკსამოსები საგარ-

დერობოში მიეზიდათ. როცა გაიოზი გარეთ გაიქრა, გონტამ ახლა ვენერას გადახედა და უთხრა:

— შენ აქაურობის ასაველ-დასაველი კარგად იცი! წაიყვანე ეს ხალხი საგარდერობოში, სპეცსამოსებში გამოაწყვე და მერე სალაიფესაკენ გაუძეხი. იცოდე, კარგი ლამფები შეარჩევინე! ამ საქმისათვის ოცდახუთ წუთს გაძლევეთ. თერთმეტის ნახევარზე აქ უნდა იყოთ. ამასობაში ნიკოც დაბრუნდება და ვნახოთ, რას გვეტყვის, ვის რომელ ბრიგადაში და რა საქმეზე გაგამწესებენ.

2.

ლუკას გარშემო ახლა ისე ირეოდა ხალხი, კაცს თავბრუ დაეხვევოდა. კაბინეტის კარი ღია იყო, მისვლა-მოსვლა აღარ წყდებოდა. ლუკა ხან ვის ეთათბირებოდა, ეკამათებოდა გაცხარებით, ხან ვის. დროდადრო ტელეფონის ზარიც რომ დარეკავდა, ერთი წუთით კაბინეტში ხმაური მიწყდებოდა, ყველანი ხმაგაკმენდილი მისჩერებოდნენ შახტის უფროსს. საიდან არ ურეკავდნენ ლუკას — რაიკომიდან, რაილმასკომიდან, ტრესტიდან, ხან შინიდან, მეტწილად კი ისევ შახტის რომელიმე უბანი თუ შეახსენებდა თავს. ლუკას ყველა უბნისა და ცვლის უფროსები გაფრთხილებული ჰყავდა — დროდადრო ყველაფერი მაცნობეთო. მოათავებდა თუ არა ტელეფონით ლაპარაკს, ისევ მიესევოდნენ ლუკას, ისევ აბზუვლდებოდნენ კაბინეტში მყოფნი. ათი ყური და ამდენივე პირი რომ გქონოდეთ, მაშინაც ალბათ გაგიჭირდებოდათ ყველას მოსმენა და, მით უმეტეს, პასუხის გაცემა. მაგრამ საგულისხმო ის იყო, რომ ლუკა სწორედ ასეთ შემთხვევაში იჩენდა საკვირველ უნარს — ერთსა და იმავე დროს ხუთ კაცს თუ უსმენდა ხუთივეს თვალის დახამხამებაში ისტუმრებდა გარკვეული პასუხით. რა თქმა უნდა, ლუკას პასუხი ყველასათვის ერთნაირად დამაკმაყოფილებელი და, ზოგჯერ, ხელსაყრელიც არ იყო, მაგრამ ახლა რა გაეწყობოდა, დინჯად მოსმენისა და, ვრცელი განმარტებისათვის დრო არ იყო. ბევრ რამეს თვითონვე უნდა მიხვედრილიყვნენ, მუშა იქნებოდა, ცვლის უფროსი, ბრიგადირი თუ უბნის უფროსი.

ლუკა უცებ წამოიჭრა ზეზე, ორივე ხელი ჰაერში გამალა, და რადგან კაბინეტში ხალხი ხმაურობდა, თითქმის ყვირილით აუწყა იქ მყოფთ:

— ამხანაგებო, გარდა უბნის უფროსებისა, ცოტახნით ყველამ უნდა დაგეტოვოთ... ვისაც ეჩქარება, ლეონტის მიმართოს.

ერთი წუთით ხმაგაკმენდილი ხალხი ლეონტის გაგონებაზე კვლავ ახმაურდა.

ლუკამ მაგიდის ზარს ხელი სტაცა და მანამდე აწკარუნა ჰაერში, სანამ მის მიერ დასახლებულთა გარდა ყველანი კაბინეტიდან არ გავიდნენ. ლუკას ტექნიკური მდივანი მერი, ტანმოორჩილი, ქერა გოგონა, ამ ხნის განმავლობაში ერთთავად კარებთან იდგა და დიდრონ ცისფერ თვალებს გაოცებით აცეცებდა; ხან ლუკასკენ იქიჩებოდა, ხან გარეთ მიმავალთ აყოლებდა მზერას.

როცა კაბინეტი დაიცალა, მერიმ კარი მიხურა, თვითონაც ზურგით მიეყრდნო და ლუკას ყურადღებით დაუწყო ყურება.

ლუკა მოსხლეთით ჩამოჯდა, მაგიდის ნაპირსაც იდაყვით დაეყრდნო და ხელით სახე ნებიერად მოისრისა. მერისაკენ გაიხედა და დინჯად, უხალისოდ თქითხა:

— ვისი გამოძახებაც დაგავალე, ყველას ელაპარაკე?

ტექნიკურმა მდივანმა კარიდან ერთი ნაბიჯით წამოიწია და მიუგო:

— ყველანი აქ გახლავთ, გარდა მთავარი ინჟინრისა.



— ლევანს რაღა დაემართა?

— ეს-ესაა შახტიდან გამოვიდა... კვლავ დაურეკავ საერთო საგანრიგოს... თუ ჯერ იქიდან სააბაზანოში არ წასულა..

— დაურეკე! — მოკლედ მოუპრა ლუკამ და მერე მაგიდის გარშემო შემომწყრივებულ უბნის უფროსებს გადახედა.

— ახლო მოდით, დაესხდეთ და ა, ფურცელი, ა, ფანქარი! როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო...

— ქალების განაწილების თაობაზეა ლაპარაკი? — ისე მიაპიტად იკითხა კოსტა ქარქაშაძემ, თითქოს ჯერ კარგად არ იცოდა, რის შესახებ დაიბარა ლუკამ ის და სხვა უბნის უფროსები.

ლუკამ მრავალმნიშვნელოვნად გადახედა მას, მერე თავი დახარა და მიუგო:

— აბა, მე აქ საკოსტუმე ნაპრებს არ ვარიგებ!

— ქალების განაწილება მერეც შეიძლებოდა... ახლა ტყუილ-უბრალოდ მოცდენას...

ყველა გააკვირვა კოსტას მოსაზრებამ. რატომ ეგონა ტყუილად მოცდენა ამ უბნის უფროსს ის ამბავი, რომ მუშახელის დანაკლისი ნებაყოფლობით შახტში სამუშაოდ მოსული ქალებით შეეცსო.

თითქოს ყველას მაგიერად სურს პასუხის გაცემაო, ლუკამ ბოლოს გამომწვევად გაუშტერა თვალი ქარქაშაძეს „მოცდები თუ არა, შენმა მზემ, დიდ რამეს აკეთებო“, — კინალამ უთხრა, მაგრამ თავი შეიკავა; მისი გამოწვევა ახლა ზედმეტად მოეჩვენა. უფრო რბილად და ლომობიერად შეეკამათა:

— როდისღა, შე კაცო!.. მესამე ცვლის გასტუმრებას, — საათს დახედა, მომართა, — რაღა უკლია!

კოსტას მართლა ის კი არ აწუხებდა, ამ ცვლაში ქალები გაბედავდნენ თუ არა სამუშაოდ გასვლას; რამდენიც უნდა მიშვლებოდა, ქარქაშაძეს იმედი არა ჰქონდა თავისი უბნის ჩამორჩენის გამოსწორებისა და დაძლევისა. ზოგიერთი მუშის ფრონტზე წასვლით შახტში შექმნილი მდგომარეობა ხელსაყრელი საბაბი იყო კოსტასთან ხელმძღვანელობისათვის ჩამორჩენილობის გასამართლებლად და ამ მიზეზს კიდევ ებღაუჭებოდა ქარქაშაძე ასე გულმოდგინედ. ქარქაშაძე წინააღმდეგი იყო, რომ ამ ღამით მის უბანში ქალები სამუშაოდ გაეშვათ, „პრინციპში“ არ ეთანხმებოდა ამ შეხედულების მომზრეებს, რასაც ვირველია, სხვებსავით კოსტასაც არანაკლებ აინტერესებდა წარმატება, მაგრამ არ იცოდა, რა გზით მიეღწია მისთვის. რაც უფრო მეტად ატანდა ძალას თავის გონებას, მით უფრო უძნელდებოდა შექმნილ ვითარებაში გარკვევა.

— ვითომ ამ ცვლაში მართლა აპირებს მეოჯახე ქალთაგან რომელიმე სამუშაოდ გასვლას? — გაკვირვებით იკითხა კოსტამ და ჩაიციინა, — მაგათ შახტი ბოსტანი ზომ არ ჰგონიათ... ერთი ჩამოჰყონ ცხვირი და ნახეთ მაგათი სერიო!

ერთი წამით დუმილი გამეფდა, თითქოს არავინ არ აპირებდა კოსტასთან შედავებას. ნიკომ ისარგებლა ამ დუმილით და, ვიდრე სხვა უბნის უფროსები, ლუკა ან ელიზბარი, რამეს იტყოდნენ, თვითონ შენიშნა:

— სხვისი არ ვიცი და, ჩემს უბანში კი ერთი ათიოდე ქალი აპირებს სამუშაოდ გასვლას.

— არ გაბრიყვდე, ნიკო! — გამაფრთხილებლად მარცხ-ნა ხელის აწევით დაიძახა კოსტამ, — ნახევარი საათის შემდეგ საკაცეებით გამოსატანი არ გაგინდნენ ისინი!

ერთი შეხედვით ამ „წინდახედულ“ უბნის უფროსს და „გულშემადგენელ“ ადამიანს“ თითქოს სხვებიც უნდა დასთანხმებოდნენ, მაგრამ ზოგიერთებმა ისეთი თვალით შეხედეს, გულისწყრომას უფრო გამოხატავენ, ვიდრე თანხმობას.

პირველი უბნის უფროსი მშვიდობაძე, ცოტა არ იყოს, შეაყოყმანა ქარქაშაძის ვარაუდმა.

— კაცო, მეც ვაპირებდი ამ ცელაში ძველი მუშებისათვის მაგათ გაყოლებას, დანაკლისის შევსებას, მაგრამ...

ნიკომ იცოდა, მშვიდობაძესა და ქარქაშაძეს უბნის უფროსებში ყველაზე მეტად უჭირდა, და ამიტომაც მოახსენა გადაკრულად:

— თქვენ ისე ლაპარაკობთ, ჩანს, არ გიჭირთ, მე კი რას ვიზამ, ძალა აღმართს ხნავს..

— გვიჭირს კი არა, ყელის გამოსაქრულად გვაქვს საქმე, მაგრამ... მეშინია, ის ხალხი სულ არ დაგვიფრთხეს! ხომ იცით, მოსასვლელი კიდეც ბევრია, ისინი ამ პირველ შერცხლებს შესცქერიან და, რა გამოვა, თუ...

ერთბაშად კარი ფართოდ გაიღო. კაბინეტში შემოვიდა მთავარი ინჟინერი ლევანი. როგორადაც შახტიდან გამოსულიყო, ისევე გამურული გამოცხადდა თათბირზე, მაგრამ ამ ვარემოებისათვის არავის ყურადღება არ მიუქცევია.

— ლევან, დაჯექი. — ისე უთხრა ლუკამ, თითქოს ამით უნდოდა მიეხვედრებინა, აქ შენც საჭირო ხარო.

— რა დამსევამს, ამხანაგო ლუკა! თავზე რომ თმა მქონდეს, ალბათ ცეცხლი წამეკიდებოდა!

ლევანმა ამ სიტყვებზე მეშახტის მუშაარადი მოიხადა და ახალ გადაპარსულ თავზე ხელი რამდენჯერმე გადაისევა.

— მაგისტანა ცეცხლი ახლა ყველას გვიკიდია, მაგრამ ჯერ ცოცხლები ვართ! შენ ისა თქვი, რა ამბავია უბნებში, სად უფრო უჭირთ?

პასუხის მაგივრად ლევანმა დინჯად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, პატარა მაგიდასთან მივიდა, მაგიდაზე რადიომიმღები იდგა, ჩართო და ყური მიუგდო. საიმფორმაციო ბიუროს ცნობის მოსმენა ეწყადა. აინტერესებდა, რა ხდებოდა ფრონტებზე. რაც შეეხებოდა გასაჭირს, ლუკამ რომ იკითხა, ლევანის აზრით, ფრონტელების გასაჭირს ახლა ვისი გასაჭირი შეედრებოდა.

3.

ქალები ჯერ უსიტყვოდ მიამბიჯებდნენ, მერე ორ-სამმა, სამ-სამმა ერთმანეთში ჩურჩული გააბეს.

წინ მიდიოდნენ თამარელა, ლელა და ცაცა. ლელა ახლა თამარელას ერთი ნაბიჯითაც არ შორდებოდა; ხან მხარდამხარ მისდევდა, ხანაც ისე ჩასკიდებდა მკლავში ხელს. ისე ეკვროდა, თითქოს სცივაო. ცაცას კი თუ ადრე სიტყვასაც ვერ ჩამოუგდებდი შახტში მუშაობაზე. ახლა ყველაზე თამამად ის გამოიყურებოდა. გუნებაში ცოტა ნაწყენიც იყო — როგორ მოხდა, რომ თამარელამ მოიფიქრა, დამასწრო და პირველმა ითავა შახტში სამუშაოდ წასვლაო.

მათ ფეხდაფეხ მისდევდნენ კლარა და შურა. დები არც დაწინაურებულ, არც მომდევნო ჯგუფის სჯა-ბაასში არ ერეოდნენ, თავისთვის, დროდადრო ერთმანეთში თუ წაიჩურჩულებდნენ რამეს და ისევ დუმილით განაგრძობდნენ გზას.

თამარელას ტოლები — მეცხრე კლასელი კომკავშირლები — რიმა და ულია ვენერას მისდევდნენ მხარდამხარ. მათთან იყვნენ ქეთევანი და მარინე.

ვენერას ყველა იმედის თვალთ შეპყრებდა. ის გრძნობდა ამას და გუნებაში თავიც მოსწონდა. ვენერა ორმოც წელს მიღწეული ქალი იყო. თხუთმეტობდნე წლის წინ ქმართან ერთად მუშაობდა მალაროში. საცოლო სალამფეში გაიწყო მალაქია ლებანიძემ. პირველად მის დანახვაზე ვენერა სიცილით იგულდებრდა, ხანდახან, თამამი გოგონა უეარგის ლამფასაც მიაჩეჩებდა ზოლმე მალაქიას, მალაქია კი მოთმინებით იტანდა ყველაფერს. ამხანაგები, ვინც ვენერასთან ერთად მუშაობდა, ზუმრობით კიდევ აფრთხილებდნენ მას, — ვენერა, იცოდე, მაგას უფრთხილდი, დიდთავა და პატარა კაცი სხვაზე უფრო საშიშიაო. შიშის საბაბს მალაქია მართლაც იძლეოდა. ისე იცოდა თავის დაკერა, სიტყვა-პასუხიც ისე უკრიდა, ხანდახან უნებლიეთ ჩაგაფიქრებდათ. ერთი წლის შემდეგ მართლაც მოხდა „უეცარი“ ამბავი. არავის არა სჯეროდა, თუ ის ახოვანი ქალი მაჩვივით კაცს მისთხოვდებოდა, თუმცა დაუჯერებელი ამ ამბავში უკვე აღარაფერი იყო. როცა იქორწინეს, ვენერამ დაიჩემა — მალაქია, რაღა სალამფეში ვიმუშაო, ბარემ წამოვალ შახტში და ის იქნება... სადაც შენ, მეც იქო! მალაქიამ, როგორც იცოდა, ჯერ წყნარად სთხოვა, ნუ იხამ მაგასო, თუმცა გუნებაში მეუღლის გამბედაობა ძალიან მოეწონა. როცა თხოვნამ არ გასკრა, წაიყვანა. პირველ დღეებში ქალი შიშით იყო შეპყრობილი, მაგრამ არ ამხელდა, ქმარს ერთი ნაბიჯითაც არ შორდებოდა; ერთად მუშაობდნენ მტვირთავად. დასვენების დღეც ერთად მისცეს, მერე, რაღა თქმა უნდა, შეეჩვია და სხვა ცვლაშიაც არ უჭირდა მუშაობა; როცა საქმე მოითხოვდა, უმალაქიოდაც აღარ ეშინოდა. ამ შეუთოვარი ქალისათვის მალაროში მუშაობას თავისებური იერი მიეცა. მისი ყოველი სიტყვა თუ მოძრაობა ვეკაცური პირდაპირობისა და სითამამის დალით იყო აღბეჭდილი. მეზობლებში ხშირად უყვარდა იმ წლების მოგონება, როცა მალაროში მუშაობდა. რაგინდ გაზვიადებულაც უნდა ყოფილიყო მისი თავგადასავლები, მაინც სჯეროდათ, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჯან-ლონე კვლავც მოსდევდა და მაშინ ზომ, თავისთავად ცხადია, უფრო მარჯვე და ღონიერი იქნებოდა; მეორეც, ისე იცოდა მოყოლა, ძალიანაც რომ არ გდომებოდათ, მაინც ჩაგითრევედათ, სმენას მარტო მისი ოდნავი ბოხი, თანაც მკაფიო, ხმა და თამამი კილო მოგიტაცებდათ. ტანდაც წარმოსადგე ქალს რომ ქმარი მალაქია ლებანიძე თეძომდე ძლივს. სწედებოდა, მხოლოდ ეს იწვევდა სიცილს, თუ ერთად დაინახავდნენ. ღამე რომ ერთად მომავალნი შემოგხვედროდათ, ვიდრე მალაქიას გაარჩევდით, უეკველად იფიქრებდით — ამ ქალს ქმარი კი არა, აღბათ ბავშვიც ახლავს თანო. ტანად ჩია — თითქოს თხა კიკინებსო — ისე წერილ ხმაზე მოლაპარაკე, მაგრამ საოცრად ფიცხი მალაქიას ბრიგადა თუ უბანში ყოველთვის მოწინავე და გამარჯვებული იყო, მასაც ცოლის მიზეზით ხსნიდნენ. ეგ შეჩვენებულთ თურმე ცალი ხელით ორი კაცის საქმეს აუღისო, ვენერაა ყველაფერიო. სინამდვილეში, ცხადია, ვენერა იმდენს არაფერს აკეთებდა მალაქიას ბრიგადაში, რამდენსაც ვარეშენი მიაწერდნენ. ზოგს მართლა სჯეროდა ამ ქალის დევემირობისა, ზოგი კიდევ მალაქიას „სისხლის მოსაწამლავად“, გამოსაჯავრებლად აზვიადებდა, ვითომდა ცოლის შემწეობით, მალაქიას ბრიგადის წარმატებებს. ბრიგადაც ვენერას სახელით იყო ცნობილი და არა მალაქიასი. მალაქია ლებანიძე თავს თუმცა შეურაცხყოფილად გრძნობდა, მაგრამ ვერაფერი ელონა, უნებლიეთ რომ ხალხის სალაპარაკოდ არ გამხდარიყო ცოლისადმი ქმრის „შურიანობა“, ენაზე კბილის დაკერას ამჯობინებდა ყოველთვის. კაცი მაშინ არის კაცი, თუ ენა მოკლე აქვსო — გულს იღუმალ მეუღამ

ამ რწმენით იოხებდა და თავის მდგომარეობასაც ძალაუნებურად ურჩევდებოდა. საგარდერობოსავე მიმავალი ქალები დროდადრო ისე გაიტვრიანებოდნენ, თითქოს ვინმე ლაპარაკ უშლითო. თუ რომელიმე მათგანს დასცდებოდა ერთი-ორი ხმაშემალი სიტყვა, ვიდრე პასუხს გასცემდნენ, დუმილში ისე შემოიჭრებოდა ბუნკერის ხრიალ-გრიალი, ან კომპრესორის რიტმული დუგდუგი, რომ პასუხი ძალაუნებურად გვიანდებოდა. ქალების ისედაც დაძაბულ ყურადღებას ეს ხმები იპყრობდა. თუ კომპრესორი არა, ზოგჯერ ისეთი უჩვეულო მყუდროება ჩამოვარდებოდა, გაგიკვირდებოდათ. სადღა იყო ადრინდელი „პარიარალე“, ომამდელი ცხოვრების ხალისიანი პანგები, უდარდელი სიმღერა და საყოველთაო მხიარული განწყობილება. თუ ვინმე გაიციინებდა, ამ სიცილშიაც იგრძნობოდა, რომ გული ახლა არ იყო საამისოდ განწყობილი.

ომზე და ომში წასულ ახლობელთა ბედ-იღბალზე ფიქრს შეეპყრო ახლა როგორც თამარელას, ისე რიშას, ქეთევანისა და ყველა დანარჩენის მთელი არსება. ეს იყო მათთვის მთავარი საფიქრელი და არა ის, თუ რა მოელოდათ თვითონ როგორ შეეგუებოდნენ, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ამდამინდელი მონახულება შახტისა...

ქალებს ეწადათ საგარდერობოს ვიწრო კარებში შესვლა, მაგრამ ანაზღად მის ზღურბლზე შეეგუფდნენ და ახმაურდნენ.

სპეცსამოსში გამოწყობილ მეშახტეთა დანახვაზე თვალები დაჟყიტეს, თითქოს პირველად დაენახათ ასე მოკაზმული ადამიანები. ისინი ფიქრობდნენ: რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა სპეცსამოსს ჩაგვაცვამენ, ნუთუ ჩვენც ასეთი შესახედავი ვიქნებითო. როგორ უნდა მოერგოთ ეს ბრეზენტის პიჯაკი და, მით უმეტეს, რაღაც შარვლის მსგავსი უხეში და უფორმო ორტოტიანი სამოსი, ან მეშახტის მუზარადი.

— რა ამბავია? — მოისმა ვენერას მკაფიო, მკაცრი და ბოზი ხმა მეშახტეების ჩოჩქოლსა და ჩურჩულში. მეშახტეებმა შეძახილით — „მობრძანდითო“, გზა უტიეს მალაქია ლებანიძის ცოლს. შემდეგ გარეთ მყოფნიც რიგრიგობით შევიდნენ დერეფანში.

ქალებს კიდევ დასჭირდათ ლოდინი, ვიდრე საწყობიდან სპეცსამოსებს მოიტანდნენ.

4.

აფრასიონის ვაჟი ოფლით გახვითქული მოვარდა. ერთი მეშახტის დაბმარებით მოზიდული ათი წყვილი ბრეზენტის პიჯაკი, შარვალი, ფეხსაცმელები საგარდერობოს მორიგის ოთახში ტახტზე დაახვავა და მერე გარეთ გაიჭრა.

გონტას უკვე დაერევა საგარდერობოს მორიგისათვის ქალების შესახებ. მორიგე წარუშოვა ქალებს საგარდერობოსაცენ, რომელიც საერთო აბანოს შენობაში იყო მოთავსებული.

საგარდერობო ოთახში კედლების გასწვრივ, ოთხივ მხრით ჩარიგებული იყო ვიწრო და მაღალი კარადების წყება. ყოველი კარადა ორი განყოფილები-საგან შედგებოდა. ერთი განყოფილება სუფთა ტანსაცმელისათვის იყო დანიშნული. მეორე — ქუჭყიანი სპეცტანისამოსისთვის. კარადის თითქმის ყოველ კარზე, სწორად თუ ირიბად, ტლანჩი ასოებით ეწერა მეშახტეების გვარები. სპეცსამოსისა და კარადის „დასაკუთრების“ უმალ თამარელას გარდა ყველა გახდას შეუდგა. ის კი კარადის ღია კართან ატუხული გაოცებით აქეთ-იქით იცქირებოდა.

საგარდერობოში იმათ გარდა, ვინც დღეს პირველად მიდიოდა შახტაში.

სხვებიც ბლომად იყვნენ. თამარელამ დაინახა, თუ როგორ იყებოდნენ ისინი ფხსახვევს და იცვამდნენ შარვალს, იკრავდნენ თმებს ხილაბანდით, თუმცა ის ყველაზე გვიან შეუღდა გახდას, მაგრამ სპეცსამოსის ჩაცმა, არსენიძის ქალიშვილებს გარდა, სხვებს მაინც დაასწრო. მხოლოდ მსხვილ ნაწნავებს გერეფდნენ მოუხერხა. თამარელა ახლა ისე უხერხულად გრძნობდა თავს ამ ბრეზენტის ქურთუქსა და ბრეზენტის შარვალში, რომ ნაბიჯის გადადგმაც კი ეძნელებოდა.

სანამ ჩითის კაბა ეცვა, თამარელა სულაც არა გრძნობდა, რას ნიშნავდა მეშახტე, მაგრამ, გამოეწყო თუ არა ბრეზენტის სპეცსამოსში, გაკვირვებით და, თანაც იღუმალი მღელვარებით, შეათვალიერა თავისი გარეგნული მორთულობა. თავი ძალიან ეუცხოვა ამ სამოსში.

თამარელას თავი ახლა მეომრად წარმოედგინა, და ეს ამბავი უკვე ისე მოსწონდა, რომ თუ თვალს უნებლიეთ მოჰკრავდა მსუბუქ, პეპლებიან კაბას, თავი უკვე აღარ ებრალებოდა ბრეზენტის უხეშ სპეცსამოსში.

თამარელამ შარვლის ტოტები რეზინის მაღალყელიან ჩექმებში ჩაიტანა, თუმცა ვენერამ ურჩია, რომ ზემოდან გადმოეშვა, რათა ლაფი არ ჩასვლოდა, ან ნახშირის ნამტვრევები არ ჩასცივებოდა და ფეხი არ სტკენოდა. ნაწნავებს და ქუდს კი ვერაფერი მოუხერხა: რამდენჯერაც ქუდი დაიხურა, იმდენჯერ გვერდზე მოექცა და კინაღამ გადმოუვარდა მუზარადი. ერთხელ გაწბილებული ვენერა თამარელას მაინც არ ეშვებოდა. მან ისე მწყრალად უთხრა — აქ მომეცი შენი ქუდიო, რომ თამარელამ ერთი კი შეხედა გაკვირვებით, და უმალ დაემორჩილა უფროს ამხანაგს. ვენერა უსიტყვოდ გავიდა საგარდეროზოდან. თამარელა მოუთმენლად, ჩუმი მღელვარებით ელოდა მის დაბრუნებას. ეგონა, უფრო პატარა ზომის მუზარადის შოვნას თუ აპირებდნენ. მაგრამ მუზარადის მაგივრად ვენერამ ცალ მხარეს უჩვეულოდ ფარფლწაგარძელებული რეზინის ქუდი მოუტანა. თამარელას ხელიც არ დააკარებინა, თვითონ დაახურა, შუბლზე ნაპირიც აუკიცა, ყბებს ქვემოდ ზონარითაც შეუკრა. მკიდროდ რომ ხურებოდა და თავზე არ წასძრობოდა. ბოლოს ნიკაპზე ხელი მოსჭიდა და თავი ძალათი აქეთ იქით შეაბრუნ-შემოაბრუნებინა.

— როგორ მოგწონთ, უხდება? — თავმოწმონედ იკითხა ვენერამ.

თანხმობის ნიშნად ყვილა ერთად ახმაურდა.

— პატარძალია, ქვესახელის პატარძალი!

კარადის წინ ნარზე ჩამომჯდარმა ვენერამ მომღიმარ ქალიშვილებს თვალის შემფოთებით მოაეღო. მერა მუხლებზედაც დაიკრა ხელი და ზეზე წამოიჭრა. ყველამ გაოცებით შეხედა მას.

— როგორ ავყვეით ამხელა ქალი! არიქა, სალამპესაკენ, თორემ დავიგვიანეთ!

5.

ლუკას კაბინეტში რომ თათბირი იყო, იმ ღამის ცალაში ქალების გაგზავნა არგავზავნის თაობაზე, მოსაცდელ ოთახში მორიდებით შემოაბიჯეს მეგიმ და სულიკომ. ლუკას ტექნიკური მდივანი მერი აქამდე არ იცნობდა მეგის და სულიკოს, მაგრამ კარგად იცოდა, ვინც იყვნენ ისინი. იგი თავაზიანად შეეგება მათ.

— ამ უღროოდროს რაზე შეწუხებულხართ? — ცნობისმოყვარეობით იკითხა მერიმ და სტუმრებს სთხოვა — დაბრძანდითო.

მეგიმ და სულიკომ მადლობა კი გადაუხადეს, მაგრამ არ დამსხდარან.

— შახტის უფროსი კაბინეტშია?

— კაბინეტში კი გახლავთ, მაგრამ... — მერიმ სათქმელი აღარ დაამთავრა, სულიკოს შეხედა და უხერხულად გაიღიმა.

სულიკოსაც გაეცინა.

— წინასწარ ვიცოდი, მაგას რომ იტყოდით.

მერიმ ცოტა წყენითა და გაკვირვებით შეხედა სულიკოს.

— ჯერ არ მახსოვს, — განაგრძო სულიკომ, — რომელიმე მდივანს ეთქვას ჩემთვის, რომ უფროსს სცალიაო!

— როცა სცალია, არც ჩვენი უფროსი არც მისი მდივანი ხალხს უარს არ ეუბნება! — ღიმილითვე მიუგო მერიმ სულიკოს. — თუ გნებავთ შებრძანდით... სტუმრისათვის ჩვენში კარი არსად დაკეტილი არ არის, მაგრამ, გარწმუნებთ, არა სცალია... რაღაც სასწრაფო საქმეზე უბნის უფროსები გამომამახებინა და სწორედ მათ ეთათბირება.

სულიკო ცბიერის ღიმილით ნუსხავდა მოკრძალებულ გოგონას, თითქოს თვალებით ამცნობდა, სრულებით არ მაინტერესებს შენი ახსნა-განმარტება. მაგრამ როგორ მომწონხარ, როცა ლაპარაკობ.

მერი მტყუანივით წამდაუწუმ წითლდებოდა და ისევ თავის თავს ამტყუნებდა — ალბათ მე მეჩვენება ასე, თორემ სულიკო წესიერად მელაპარაკება და წესიერად მიცქერისო.

— იქნებ მოიცადოთ? არა მგონია, დიდხანს გაგრძელდეს თათბირი.

— აჲ არ ვიცი და, ჩვენთან, თბილისში, ზოგიერთი დაწესებულების უფროსს, რომ მიუშვა, კრებისათვის ოცდაოთხი საათიც არ გყოფა!

— რა თქმა უნდა, ხუმრობთ...

— მაიაკოვსკიც ხუმრობდა?! — მრავალმნიშვნელოვნად იკითხა სულიკომ და მეგისაც გადახედა, — იმ ლექსს რა პქვია?

— „სხდომობია“, თუ რაღაც, კარგად არ მახსოვს, წყნარად მიუგო დაიკომ ძმას და თვალითაც ანიშნა — ამდენს რა გალაპარაკებსო.

— მაშ წაგიდეთ, რალას ველოდებით? მეგონა, რომ ამ დროს მაინც იქნებოდა უფროსი თავისუფალი.

— მოგეხსენებათ, რომ შახტში ოცდაოთხი საათის განმავლობაში ერთი წუთითაც არ წყდება მუშაობა... უფროსსაც ვერ დაძრახავთ, ამ დროსაც კი თუ მოკლილი არ დაგხვდებით! — აქამდე ღიმილით მოლაპარაკე მერიმ უცებ გუნება იცვალა და იკითხა — თუ რამე გადაუდებელი და სასწრაფო საქმეა, გხვავთ, დაურეკეთ, გნებავთ, მოვახსენებ...

მეგიმ იცოდა ძმის ხასიათი და თვითონ დაასწრო პასუხი:

— ვერ ვიტყვით, რომ... სასწრაფოა, ან გადაუდებელი...

სულიკომ უკმაყოფილოდ გადახედა მეგის, გუნებაში კი გაიფიქრა: „რა გენალეულებოდა, გეთქვა... ახლა კი ყველაფერი ჩამალე და ინებე შინ უშედეგოდ დაბრუნებაო“.

მოსაცდელ ოთახში მოულოდნელად შემოიჭრა შახტის უფროსის მოადგილე ლეონტი ბუზალაძე და მტკიცე, ბეჯითი ნაბიჯით კაბინეტს მიაშურა. მაგრამ, ვიღრე შევიდოდა, კარებთან უცებ ისე დიდკაცურად მოიხედა, თითქოს სტუმრებს თავიდანვე ყურადღება იმიტომ ვერ მიაქცია, ფიქრებში იყო გართული. მოიხედა და გაცოცხებით, თანაც მედიდურად, დაიძახა:

— ამათ აქ რა უნდათ?!

მისი კილო საკმაოდ თავაზიანი იყო, გამომეტყველება კი ისეთი, ზოგიერთ

უფროსს რომ თავისი მდგომარეობის შესაფერისად და ხელსაყრელად მიიჩნია „უმცროსებთან“ შეხვედრისა და ლაპარაკის დროს.

რამდენადაც სულიკოს გაუყვირა, ლეონტიმ რომ სტუმრების იქ ყოფნა მოსვლისთანავე ვერ შეამჩნია, იმდენად უფრო გაახარა ახლა ლეონტის „ყურადღებამ“.. რაკი იცნო და ასე გაკვირვებითაც შეეგება უფროსი, რაღა ეჩქარებოდა სულიკოს; დინჯად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და დინჯადვე გაუწოდა ხელი. სხვა რამ თქვით, თორემ თავის დაჰკერა და „წარდგომა“ სულიკოს დიახაც ემარჯვებოდა.

— ბოდიშს ვიხდი, რომ ადრე ვერ მოგესალმეთ. სულიკოს ბრალია. — ლეონტი ამ სიტყვებზე თვითონ გაეშურა მეგისაკენ. თუ სულიკოს გამართული, ზედმეტად გაჭიმულიც კი შეეგება. მეგისთან წელში ოდნავ მოიხარა და ხელიც უფრო თავაზიანად ჩამოართვა.

„ცოტა პლუტი და თავმოწონე ხომ არ არის?“... — არაფერი არ აძლევდა სულიკოს იმის საბაბს, რომ ლეონტის შესახებ გუნებაში ასეთი რამ ეფიქრა. მეგი კი სულ სხვა აზრისა იყო. როცა მან ძმას თვალი გაუსწორა, სულიკომ მეგის მზერაში ადვილად ამოიკითხა, რასაც იგი ლეონტის შესახებ ფიქრობდა: „რა თავაზიანი, მხნე და მტკიცეა!..“ სულიკომ ეშმაკურად ჩაიღიმა და ანიშნა — ცდებო.

არც ლეონტი დარჩენილა ვალში. მისი აზრით რამდენადაც სანდო და კეკლუცი ჩანდა მეგი, იმდენად უნდო და გვესი უნდა ყოფილიყო სულიკო. თუმცა მან ისიც კარგად იცოდა, რომ პირველი შთაბეჭდილება ყოველთვის არ არის საბოლოოს შესატყვისი.

— რაო, რაზე შეწუხებულხართ?

სულიკომ თვალთ ანიშნა ლუკას კაბინეტისაკენ.

— თუ ლუკას ნახვა გსურთ... — ლეონტიმ სიტყვის დასრულებამდე მერის გადახედა საყვედურითა და ყოელისშემძლე კაცის თვალთ, — აქ რომ ალოდინებდი, არ გეშინოდა, ბიუროკრატობა რომ დაგეწამონ?

მერი თან იღიმებოდა, თან უხერხულად იშმუშნებოდა.

ლეონტიმ კარი გააღო და უცერემონიოდ შეუძღვა სტუმრებს ლუკას კაბინეტში.

ლუკასთან ერთად, ელიზბარმაც, ნიკომაც, დანარჩენებმაც ერთად მოიხედეს ახალშემოსულებისაკენ.

სულიკოსა და მეგის დანახვამ ყველაზე მეტად ნიკო არაბიძე გააოცა. „რა მოხდა, რა გაუჭირდაო“, — გაიფიქრა გუნებაში.

— ლუკა, ამ ამხანაგებს თქვენი ნახვა სდომებიათ, — ამ სიტყვებზე ლეონტიმ ფრთხილად უბიძგა ზურგში მეგის და სულიკოს. და-ძმამ უნებლიეთ მოიხედა ლეონტისაკენ და ერთი ნაბიჯი კიდევ წადგა წინ. ლეონტიმ განაგრძო: — რახანია თურმე მოსაცდელში გელოდებიან.

ლუკა წამოდგა და სტუმრებს ხელგამლილი შეეგება.

ლეონტის გამოჩენისთანავე ლუკას მაგიდასთან, ხელმარცხნივ მჯდარი კოსტა ქარქაშაძე მორჩილად ზეზე წამოდგა და ლეონტის ჯერ ანიშნა, მერე სიტყვიერადაც სთხოვა — აქეთ მობრძანდით. თავისი აზრით, შახტის უფროსის მოადგილეს კუთვნილ, საპატიო ადგილს უთმობდა ქარქაშაძე; ამით იდუმალ მორჩილებასა და პატივისცემასაც უცხადებდა ლეონტის, მაგრამ ამ მიპატივებაზე ლეონტის მაგივრად სულიკო გაეშურა კოსტასაკენ და, ცოტა არ იყოს,

გაოცებულ ქარქაშაძეს თავაზიანად გადაუხადა მადლობა და მოუხატრებლად დაჯდა სხვისთვის შეთავაზებულ სკამზე.

ნიკომ თავიდანვე შეამჩნია ქარქაშაძის აფუსფუსება, ყველაფერს უკარგად მიხედა და, თუმცა სულიკოს საქციელში მოსაწონი არაფერი იყო, ამ შემთხვევაში მისი სითამამით გულის სიღრმეში დიდად ნასიამოვნები დარჩა.

ქარქაშაძემ ისე შეხედა ლეონტის, რომ ამ უკანასკნელმა თანაგრძნობით, დაუფარავად გაუღიმა, მერე მეგის მკლავში ხელი ფრთხილად მოჰკიდა, ფანჯარასთან მიიყვანა და ტყავის რბილი სავარძელი შესთავაზა, თვითონაც გვერდით მიუჯდა. მისი პირველი კითხვა იყო — როგორ მოგწონთ ჩვენი ქალაქი, როგორ მოიწყვით?

— ამხანაგებმა უნდა მამატიონ ეს უყურადღებობა! — ლუკამ ჯერ მეგის გადახედა, მერე სულიკოსაც მიაპყრო მხერა, — რამდენიმე წუთში მოვრჩები უბნის უფროსებთან მოლაპარაკებას და მერე თქვენს განკარგულებაში ვიქნები!

— არც ვაპირებდით თქვენს შეწყუბებას თათბირის დასრულებამდე, მაგრამ... — მეგიმ დინჯად მიუგო ლუკას, მერე კეკლუცად შეაბრუნა თავი ლეონტისაკენ და თავბრუდამხვევად გაუღიმა.

თათბირი განახლდა.

ელიზბარის, მთავარი ინჟინრის — ლევანის და უბნის უფროსების ცნობით, თანაბაძი განაწილების შემთხვევაში თვითივე უბანს ხუთი-ექვსი ქალი მაინც შეხედებოდა, მაგრამ რაკი ზოგი უბნიდან ხალხი მეტი იყო წასული ფრონტზე, ზოგიდან კი ნაკლები, განაწილებაც, ცხადია, ამის მიხედვით უნდა მოხდინათ. ვიდრე განაწილებას შუადგებოდნენ, ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ ჰქონდათ, იმ ღამის ცვლაში გაეშვათ თუ არა სამუშაოზე გამოსული ქალები თავიანთი ნება-სურვილით.

ლეონტი გუნებაში იმის მომხრე იყო, რომ ვისაც სურდა, ღამის ცვლაშიაც გაეშვათ მაგრამ შეიტყო თუ არა ქარქაშაძისაგან ნიკოს მოსაზრება, მყისვე შეიცვალა აზრი. ლუკას შეკითხვაზე — შენ როგორ ფიქრობო, ლეონტიმ თავმომწონად მიუგო:

— ჩემი მოსაზრება ზოგიერთ ამხანაგს იქნებ არ მოეწონოს, მაგრამ ახლა საქმე მოწონებაზე არ არის, ჩემი რწმინით, ქალების ამ ღამის ცვლაში გაგზავნა არც ნაყოფიერი იქნება, არც მიზანშეწონილი... პირველ დღეს ეგენი შახტის გაცნობას და შეჩვევას მოუწადებიან...

ლუკამ ისე გადახედა რიხით და დამაჯერებლად მოუხარ ლეონტის, ვითომდა თავისი ფალაგანიოა.

მეგი ცნობისმოყვარეობით აღევნებდა თვალყურს მოამათიებს, სულიკო კი დიდად დაინტერესებულვით გამოიყურებოდა, მაგრამ შინაგანად გულგრილად იყო განწყობილი. მას მხოლოდ ერთი რამ აოცებდა: როგორ ბედავდნენ ქალები შახტში სამუშაოდ შესილას?

ლუკამ ლეონტის მოსაზრება მოისმინა, შამდეგ ნიკოს ისე გადახედა, თითქოს ეუბნებოდა — რაღა გვეთქმისო. ელიზბარი კი არ დაელოდა ლუკას შეკითხვას — შენ რას იტყვიო, და დაიწყო:

— ვერ გამოგია, რაზეა აქ ლაპარაკი? რათ უნდა გამორკვევა იმას, რაც გამორკვეულია — ვინ წაყა, ვინ არა...

— ამხანაგო ელიზბარ, — ჩაირია ლუკა, — ეს უბრალო საკითხი არ არის და, თუ ვისმის აქვს რაიმე მოსაზრება, გამოთქვას.

ლუკას ჩარევამ ქარქაშაძეც გაათამამა.

— რა უფლებით, რა საბუთით ვენდოთ იმ გამოუცდელ ხალხს? აღარც ნიკოს ეყო მოთმინება, თავის მხრივ მან კოსტას შეუტია:

— გაჩერდი, თუ კაცი ხარ! შენ სამთო სკოლებზე დაეცე, ამათგან რომელიმე რომა იწყებდი, რა დიდი გამოცდილი შენა მყავდი.

კოსტა წამოდგა, მაგრამ ლეონტიმ სახელოთი დაბლა დასწია, დასვა და ერთი წახურჩულებით დააწყნარა კიდევ.

აქამდე რომ მოთმინებათ უსმენდა, ელიზბარმა ისე განაგრძო, ვითომც არაფერი სმენიო. არც ლუკას შენიშვნას გამოდავებია, არც ქარქაშაძის შეკითხვაზე გაუცია პასუხი, არც ნიკოსათვის მიუცია მხარი.

— ცხადია, ახლა ის წავა, ვისაც ახლა წასვლა შეუძლია, და არ წავა ის, ვისაც არ შეუძლია. ყველამ ვიცით, რომ ერთი ნაწილი ჩვენი ამხანაგებისა, მეშახტეებისა, ფრონტზე წავიდა. შახტს მუშა ხელა მოაკლდა. მართალია, ძველებიდან ვინც დარჩა ენერჯიას გაათყევეს, მაგრამ... ხალხი მაინც საჭიროა. სწორედ ამ გასაჭირში მხარში ამოგვიდგნენ ჩვენი მეოჯახე ქალები, დები, ნათესავები, კომკავშირელი მოსწავლეები. გულახდილად უნდა ითქვას, მათი მხრივ ეს დიდი თავგანწირვაა! — ელიზბარი წამით გაჩუმდა და ახლალა შეამჩნია, როგორი ყურადღებით უსმენდნენ ყველანი. რა მყუდროება სუფევდა შახტის უფროსის კაბინეტში. ელიზბარმა თვალი მოავლო იქ მყოფთ და მერე ისე მიაჩერდა ბელადის სურათს, თითქოს მას მიმართავს; — რატომ ეშინია ზოგიერთ ამხანაგს ჩვენი ქალების მაგივრად, ჩემთვის გაუგებარია. ჩვენ ახლა ისინი კი არ უნდა შევაშინოთ და შევაეჭვოთ, პირიქით, უფრო მეტად უნდა გავამხნევოთ, დავეხმაროთ.

— ესეც მართალია! — წაეხმარა ლუკა.

— პირადად მე, — ელიზბარმა ახლა ლუკას გაუსწორა თვალი, — ახლავე გადავიცეამ სპეცტანისამოსს და რომელ უბანშიაც უფრო საჭიროდ მიგაჩნიათ, იმ უბანს მივაშურებ... რასაც სიტყვით შევძლებ, სიტყვით დავეხმარები ამხანაგებს, რასაც საქმით შევძლებ, საქმით დავეხმარები!

— ხელმძღვანელიც იმიტომ ხარ, რომ უხელმძღვანელო! — რიხით შენიშნა ლეონტიმ, მაგრამ ელიზბარმა კილოზე შეატყო, რომ მის რიხში გულწრფელობა ახლა ნაკლებად იყო; ამას ისე, სხვების გასაგონად ეუბნებოდა, გუნებაში კი, ვინ იცის, შეიძლება ეცილებოდა კიდევ.

ლეონტი კარგად გრძნობდა, კარგად ესმოდა, რომ ელიზბარის სიტყვა თავიდან ბოლომდე მის წინააღმდეგ იყო მიმართული, იმასაც ხედავდა, რომ ახლა ყველა ელიზბარს უჭერდა მხარს. თათბირის მონაწილეთა თვალში ასე გაწვილილ და შერცხვენილ შახტის უფროსის მოადგილეს მარტო მეგი თანაუგრძნობდა გულის სიღრმეში. მარტო მას ებრალებოდა და თან უკვირდა, ლეონტის „წინდახედულება“ და ქალებისადმი „გულშემამტკიერობა“ ასე აბუჩად რომ აიგდეს.

რა იცოდა ლეონტიმ, თუ მეგი ასე თანაუგრძნობდა გუნებაში. შახტის უფროსის მოადგილე ახლა იმას დარდობდა, წინდაუხედავობა რომ გამოიჩინა და თავის ამ სამარცხვინო გაბიაბრულებას სტუმრებიც დაასწრო. რას იფიქრებდა კაცი... ლეონტის თავის მოწონება უნდოდა უთუოდ, მაგრამ მოწონების მაგივრად თავი შეიკცხვინა.

— მე, ამხანაგებო, სიტყვითაც და საქმითაც მხარს ვუჭერ ელიზბარის მოსაზრებას! — კმაყოფილებით შენიშნა ნიკომ და წამოდგა. — ათი ქალი უკვე შერჩეულია მყავს, სპეცსამოსში გამოწყობილიც... ახალი ცვლის გასასტუმ-

რებელი საყვრის გაგონებისთანავე გავაყოლებ ბრიგადირებს თითოს, თრ-ორს და, ამ ღამეს მეც შახტში გავათე!

— ნიკო, ასეც არ შეიძლება, — ღიმილით დაიწყო კოსტაშვილი, — შენ სულ დარჩეულებს წაიყვანდი და ჩვენ კი...

— აგრეც რომ იყოს, მერე რა, შენთვის სულ ერთი არ არის?!

— თუ წაყვანაზეა საქმე, კარგი არც მე მაწყენდა, ბიძია! მერე უნდა თქვათ, ქარქაშაძემ ვერ ივარგაო!

ნიკოს, მართალია, გაეცინა, მაგრამ ეს უფრო უსიტყვო დაცინვა იყო. ვიდრე წყნარი გაეცინება. ლეონტიმ კარგად შენიშნა ყველაფერი და პირველი შენიშვნის შემდეგ გაწბილებული, კვლავ ჩაერია საქმეში.

— ამხანაგო ლუკა, ქარქაშაძე მართალია. წინასწარ ხალხი უნდა გავგენა-წილებინა, თორემ ახლა რა გამოდის? ერთს ყველა კარგი და საიმედო შეხედეს, მეორეს კი...

ლუკამ მხრები აიჩეჩა და ცალკებად გაიღიმა.

— ჯერჯერობით, ამხანაგო ლეონტი, ყველას ერთი ფასი აქვს. იმ ქალთაგან, ნიკოს რომ თავისი უბნისათვის „შეურჩევია“, მგონია, არც ერთს არ უნდა ჰქონდეს დამთავრებული სამთო აკადემია.

თუმცა ლუკას კილო მწყრალი, პასუხი კი დამცინავი იყო, მაგრამ ლეონტის სულაც არ შეუმჩნევია, ვითომც მას არ ეხება, რაც შახტის უფროსმა თქვაო. გუნებაში კი გულმოსულად გაიოცა — ეს როგორ გამიბედესო. დამცინავ შენიშვნას ღუმილით შეხედა, თავს დამარცხებულად მაინც არ თვლიდა. ბუნებით ჯიუტი იყო. ვინც არ იცნობდა, მას კი ეგონა, პრინციპის კაციო. ასეთ ადამიანთან ლაპარაკი ძნელია, არ იცი, რაზედ აგზიბრდება და რაზე მოგეფერება. თუ რამე სთხოვე და ერთხელ უარი მიიღე, სხვა გზა აღარ არის, უნდა უცადო „გამოდარებას“.

ქარქაშაძემ და სხვა უბნის უფროსებმა დავა რომ ხელახლა ატეხეს, ნიკო არაბიძის მხრით წინასწარ ხალხის შერჩევა უმართებულოაო, მოულოდნელად ლეონტის ჩარევამ გადასწონა მათ საწინააღმდეგო მხარეს. ლეონტიმ იცოდა, რომ ქარქაშაძე, სულ ერთია, გეგმას ვერ შეასრულებდა, რამდენი ქალიც უნდა გაეგზავნათ მის უბანში, ამიტომ ცდილობდა ნიკოსთვის ხელი შეეშალა, ბოლოს რომ ეთქვათ — უბნის უფროსების უნარი კი არა, რალაც სხვა მიზეზია, გეგმის შესრულებაში რომ ხელს გვიშლისო. იცოდა, მაგრამ მაინც არ გაუწია ანგარიში თავისი მომხრის იღუმალ წადილს... ის ახლა უფრო შორს უმზინებდა... კოსტასათვის მხარის დაჭერაში ხელსაყრელს ვერაფერს ხედავდა. ლეონტის ახლა ეწადა, თავისი საქმე მოწინააღმდეგეების ხელით გაეკეთებინა.

— ამხანაგებო, წელან მეც ასე მეგონა, მაგრამ, რომ დაუფიქრდი, თურმე... არა ხართ სწორი! ნიკოს მაგალითი გასაკიცხი კი არა, მისაბაძია! რას ემართლებით? ამიერიდან მაინც იცოდეთ, აი ცოცხალი მაგალითი იმისა, — ლეონტიმ ხელით ნიკოზე ანიშნა, — თუ როგორ უნდა ზრუნავდეს უბნის უფროსი თავისი უბნის წარმატებისათვის!

ამ სიტყვებზე ლეონტის მომხრენი უსიამოვნოდ მოიღუშნენ, მოწინააღმდეგეთ კი სახე გაეხადრათ.

— ამხანაგი ლეონტი ამ შემთხვევაში ცამდე მართალია, — კმაყოფილებით და ბავშვური სიხარულით შენიშნა ლუკამ. რაკი შეატყო, ლეონტის მოსაზრება ბოლოს უღებდა ზოგიერთის ახირებას, — ლეონტის შენიშვნაში ყოველი სიტყვა ისე ნათელი და სამაგალითოა, რომ განმარტებას აღარ მრითხოვს და... მე მგო-

ნია დავასაც არ იწვევს, — კაბინეტში მყოფთ ლუკამ თვალი მოავლო, — მამ ასე, — დაუმატა ღიმილით, — ლეონტის წინადადება მიღებულია ერთმანად!

ქარქაშაძემ უკმაყოფილოდ გადახედა ლეონტის — ეს რა გვეყავიერად როს დაგვიღე ფეხიო, მაგრამ ლეონტის გამოხედვამ მყის დაარწმუნა ცხატისა და მჯერად ასე იყო საჭიროო. შენი ახირება ორივეს დაგვამარცხებდა, ჩემი „მხარდაკერა“ კი ორივეს გვიხსნისო. ლეონტი არც ისე შლუ იყო, რომ არა სცოდნოდა — თუ ტყუილში დაგიჭირეს, მერე მართალსაც აღარ დაგიჯერებენო.

ნიკო, მართალია, ლეონტის ჩარევით კმაყოფილი იყო, მაგრამ სულ იმაზე ფიქრობდა, ნეტავი ვიციოდე, აქ რომ გვიტია, სად გვიპირებს დახვედრასო.

ნიკოს გარდა პირველი უბნის უფროსმა კუხმინმაც ათი ქალი მოითხოვა; დანარჩენები კი, მათ შორის ქარქაშაძე და მშვიდობაძე, ხუთ-ხუთი მუშით დაკმაყოფილდნენ, ისიც სახვალიოდ, დილის ცვლაში გასაყვანად. შახტის უფროსმა და პარტორგმა ამაზედაც თანხმობა განაცხადეს. ქარქაშაძე და მშვიდობაძე ერთი მხრივ მართალი იყვნენ. მათი უბნები შედარებით უფრო დაზიანებული, მოუწესრიგებელი იყო და იქ გამოუცდელი მუშების, ისიც ქალების, ასე ერთბაშად სამუშაოდ შეყვანა არ იყო მიზანშეწონილი. ისიც ცხადი იყო, რომ ეს უბნები კიდევ დიდხანს იქნებოდა ამ მდგომარეობაში და რა განსხვავება იყო, ერთი ცვლით გვიან წაიყვანდნენ ისინი ახალ მუშებს, თუ ერთი ცვლით ადრე. მოცდის დრო აღარ იყო; ლუკას კაბინეტი ერთ წუთში დაცალიერდა. ლუკასთან დარჩნენ ლეონტი, მეგი და სულიკო. ლეონტიმაც ის-იყო დააპირა წასვლა, როდესაც ლუკამ მიაძახა:

— შენთან საქმე მაქვს!

6.

სალამზე — კომბინატის მთავარი შენობიდან ოციოდე ნაბიჯით იყო დაშორებული.

აქაც, ხალხი ირეოდა. თუ ერთნი აჩქარებით შედიოდნენ, მეორენი ანთებული ღამით უფრო დინჯად უქცევდნენ გზას „დაგვიანებულ“ და იქვე, შენობის საძირკვლის გაყოლებით დაგებულ ცემენტის ოდნავ დაქანებულ ფილაზე სხდებოდნენ. აქ-იქ მხარეთქობზე წამოწოლილებსაც შენიშნავდით. ღამის სიგრილეში, სუფთა ჰაერზე წოლას მათთვის ახლა არაფერი სჯობდა.

როცა თამარელა საღამოეს დერეფანში შედიოდა, ერთმა მეშახტემ გვერდი გაჰკრა. ვენერა რომ არა, თამარელა კიბის საფეხურიდან გადაეარდებოდა. ვენერამ თავისი მუშარადი წაიძრო და მეშახტის მუშარადს ლეწა. ამ დარტყმამ ისეთი ხმა გაიღო, გვეგონებოდათ, რალაც გასკდაო. უეცარ „თავდასხმაზე“ მეშახტე მეხდაკრულივით სწრაფად წაიკუშა და განზე გახტა; ჯერ ეგონა, შემოდან რალაც გადმოეარდა და დამეცაო, მაგრამ შეასწრო თუ არა თვალი ვენერას, ყველაფერს მიხვდა. ამ ქალთან შებმას ისევე შერიგება ამჯობინა, ხელი დაუქნია და გზა ჩქარი ნაბიჯით განაგრძო. ვენერამ კი გამარჯვებულის და, თან, მედიდური კილოთი მიაძახა:

— იციოდე ქალის პატივისცემა!

უეცარი დატაკებისაგან დაბნეული თამარელა ახლა კმაყოფილებით იღიმებოდა. ისე სწრაფად მოხდა ყველაფერი — დერეფნიდან მეშახტის გამოხტომაც, დატაკებაც, ვენერას მიერ თამარელასათვის ხელის მიშველებაც და ბოლოს, მუშარადის მუშარადზე დაქიქბაც, რომ თამარელა უფრო ნასიამოვნებთ დარჩა ამ შემთხვევით, ვიდრე ნაწყენი.

ახლა იგი მიამიტად ნაბედა თვალს, ისე გამოიყურებოდა, იფიქრებდით,

მასზე უმწურო არსება ჯერ აქაურობას არ უხილავსო. თამარელს სახეზე მარტო მაშინ აღიბეჭდა უეცარი და უცნაური სიხარული, სალამპეს დიდ ოთახში თარობზე გამწკრივებულ ნათურებს რომ მოჰკრა თვალი. სალამპე ოთახში სხვა სინათლე არ ენთო და ეს უთვალავი ნათურები ისე აკყვებდნენ თვალს, თითქოს იქაურობას ციციანთელები შემოსევიათ. სალამპე ოთახისაგან დერეფანი გადატიზრული იყო მეტრანახევარი კედლით, კედლის ზედა ნაპირიდან ჰერამდე აკიმული იყო მსხვილი მავთულის ფართოთვალეებიანი ბადე. დღისით აქ ბევრჯერ ყოფილა თამარელა, ლამით კი ახლა პირველად ხედავდა ამ სანახაობას. თუ უჩვეულო სიხარულს განაცდევინებდა შუშის პატარა ხუფქვეშ ციციანთელსავეით მომწყვდეული პაწაწინა ნათურების კიაფი, უნებლიე ღიმილს გვრიდა ბადის იქით სალამპე ოთახში მოფუსფუსე გოგონები, რომლებიც ახლა ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს დიდ გაღიაში დაუმწყვდევიათო. გოგონები დაუზარელად მიქირა-მოქროდნენ თაროების შორის. ისინი ნათურას გაწაფული ხელით სინჯავდნენ.

თამარელას თვალი სულ „ციციანთელებისაკენ“ მიუბრუნდა. ვიდრე ვენერას ძახილს გაიგონებდა, მოჯადოებულებით გასცქეროდა ამ ზღაპრული სილამაზით აღსავსე სანახაობას.

ვენერა თამარელას, რიმას, ულიას და სხვებსაც რიგრიგობით უხმობდა. დერეფნის ბოლოში ერთი სარკმელი ვენერას ძალით დაესაკუთრებინა, ლამპაც მიეღო და ახლა „თავისიანებსაც“ არ ივიწყებდა.

თამარელამ და გელამ ხალხით გაქედილ დერეფანში ვენერასაკენ მიაშურეს. შუა გზაზე თამარელას ვილაკამ მკლავში ხელი სტაცა და ვიდრე მიხვდებოდა, თუ ვინ სტაცა ხელი, ან რისთვის, თამარელა უკვე სარკმელთან აღმოჩნდა. როცა გარშემო მყოფნი შეათვალერა, მათში იცნო აფრასიონის მკვირცხლი ბიჭი — გაიოზი. დარწმუნდა, რომ, თუ ახლა სარკმელთან იდგა და ლამპაც სხვაზე ადრე და ადვილად შეეძლო მიეღო, ეს გარემოება სწორედ გაიოზის ყურადღებას და სიმარჯვეს მიეწერებოდა.

დერეფანში ხალხის დენა და ფუსფუსი ცოტათი მიწედა. ვენერამ აკუმულატორული ნათურებით შეიარაღებულ ქალიშვილებს თავი მოუყარა და აუხსნა როგორ უნდა გაესინჯათ ნათურა. წესრიგში იყო თუ არა საეკტი. მკეთრად ანათებდა თუ არა პაწაწინა ელნათურა; ხომ არ იყო გაბზარული შუშის ხუფი, ნათურის კორპუსს ხომ არ ჰქონდა ნახვრეტი. თუ კორპუსიდან ფონავდა მწვავე ტუტა, საშიში იყო. როგორც კი მისი წვეთი ადამიანს კანზე მოხვდებოდა, ამოსწავდა, ამოსკამდა იმ ადგილს. ქალიშვილები ნათურას მშვიდად აკვირდებოდნენ, მაგრამ მათმა „სწავლულმა“ ამხანაგმა რაწამს მწვავე ტუტაზე ჩამოუგდო სიტყვა, ყველამ შიშით ცქვიტა ყური და ქალიშვილებმა უცებ ისე შორს დაიჭირეს ნათურა, თითქოს ეს-ეს არის მწვავე ტუტა უნდა გადმოიღვაროსო. ვენერას გაეცინა, თამარელამ კი გაკვირვებით გადახედა ამხანაგებს.

თამარელა ყურადღებით უსმენდა ვენერას. ახალ-ახალი შთაბეჭდილებებით და შახტში შესვლის მოლოდინით ისე იყო გაბრუებული, აღარ შეეძლო ყურადღების დაძაბვა რჩევა-დარიგების დასახსომებლად. მთელი გულსყური ახლა შახტისაკენ ჰქონდა მიპყრობილი და ვინ იცის, რა უცნაურად არ ეხატებოდა იქაურობა.

თამარელა მაშინ-ღა გამოერკვა, როცა ვენერამ მის ნათურას წაავლო ხელი და გასინჯვის შემდეგ სალამპეში მომუშავე გოგონას დაუბრუნა საყვედურით:

— დიკო, ვერ ხედავ ამ გოგონას, როგორ ანათებს?! — ვენერამ თავის სწრაფი შემობრუნებით ანიშნა თამარელაზე. — ლამა კი ისეთი აგირჩევია, ძლივს ბეუტავს!

გვერდით მდგომმა, წვერგაპარსულმა ხნიერმა მემახტემ ^{მარცხენა} მარცხენა მხარეს შენიშნა ახლო მყოფი კაბუკებს.

— თვალს თუ ნაბავდეს, ისეთს, ბიძია, ნურც ნათურას ენდობით, ნურც ქალიშვილს!

კაბუკებს გაეცინათ, ვენერა კი სწრაფად შებრუნდა წვერგაუპარსავი მემახტისაკენ და ამ „კეთილისმარჩეველს“ გამომწვევად შეაკტერდა, მერე დოინჯი შემოიყარა და ცბიერი ღიმილით ჰკითხა:

— საკუთარი განოცდილებით ხომ არ ლაპარაკობ, ძია კირილე?

კირილემ იცოდა, ვენერას მოურიდებელი სიტყვა ნათურის მწეავე მტუტეზე უფრო საშიში იყო და ამიტომაც პასუხს დუმილი ამჯობინა, მით უმეტეს, ამოდენა ხალხი მათ უსმენდა და შემოსიქეროდა.

ქალიშვილი, რომელსაც თამარელას ნათურა გადააწოდა სარკმელში ვენერამ, ოთახში მისვლა-მოსვლით უკვე დაღლილიყო, მან ვენერას გაუღიმა და ლამაპაც ხალისით ჩამოართვა. თაროებს, რომელთა გასწვრივაც ნათურები ახლა უფრო ხალვათად კიაფობდნენ, თვალი შორიდანვე ააყოლ-ჩააყოლა. ოთხი ლამაპა თავისი ხელით გასინჯა; ერთი მათგანი, რომლის ხუფიდან მოთეთრო შუქი იფრქვეოდა, თამარელას გადააწოდა სარკმელში.

თამარელამ ახლა უფრო მეტი დაკვირვებით შეათვალიერა ნათურა და შეუჩვეველი ხელით მოსინჯა მისი ხუფი.

მემახტეები ღერეფანში კვლავ ფუსფუსებდნენ. ყველა გულმოდგინედ სინჯავდა აკუმულატორულ ნათურას; ამ ამბავს შეიძლება გაეკვირვებინეთ, მაგრამ ვინ იცის, შახტში უნათუროდ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადაადგამ. თუნდაც კატის თვალი და ალღოც გჭონდეს. თუ მათ შუქის ფერი და ძალა არ მოეწონებოდათ ან სხვა რამ ნაკლს აღმოაჩენდნენ, ნათურას უკან ამბრუნებდნენ.

კაცია და გუნებაო, იტყოდნენ ზოლმე სალამპეში მომუშავე გოგონები; თრი თანაბარშუქიანი ნათურა რომ გაუწოდო, მემახტე დარწმუნებული იქნება, რომელიც აირჩია, ის უკეთესად ანათებსო.

სალამპედან წამოსული თამარელა ახლა უფრო თამამად მიაბიჯებდა, ამხანაგების ლაპარაკს კი ყურს არ უგდებდა. მართო თავისი ფიქრებით იყო გატაცებული. ადრეც ხომ ბევრჯერ ყოფილა იგი საგარდერობოში, სალამპეში, საგანრიგოებშიაც, მაგრამ ახლა სულ სხვანაირად ეჩვენებოდა ყველაფერი. აქამდე თუ გულგრილად უყურებდა მემახტეთა მორთულობასაც და საქმიანობასაც, ახლა მეტისმეტი გაფაციცებით აღევნებდა თვალს მათს ყოველ მოძრაობას, გატაცებით უსმენდა მათს ლაპარაკს, საქმიან, თუ უწყინარ, ზოგჯერ რაობას, გატაცებით უსმენდა მათს ლაპარაკს, საქმიან, თუ უწყინარ, ზოგჯერ რაობას, გატაცებით უსმენდა მათს ლაპარაკს, საქმიან, თუ უწყინარ, ზოგჯერ რაობას, ემსახურებოდნენ. თამარელას, მართალია, ჯერ კიდევ იღუმალი შიშით უძგერდა გული, ვიდრე თავის თავზე არ გამოცდიდა ყველაფერს, რაც აქამდე მიწის გულში მომუშავე ადამიანების შესახებ გაეგონა.

ლეონტიმ დაძმას გადახედა, მერე ლუკას ეშმაკურად შენიშნა:

— იქნებ ამხანაგებს ცალკე სურთ შენთან საუბარი.

სულიკომ წამოიწია, ლეონტის თავი დაუკრა და თქვა:

— ცალკე მოსალაპარაკებელი და დასამალი არაფერი გვაქვს, — ამ სიტყვებზე სულიკომ ისე გადახედა და გაუცინა, თითქოს დასაც იმოწმებო.

— თუ რამ დახმარებაა საჭირო და თქვენს მასპინძელს არაფერი არ ძალუძს, გვითხარით, მზადა ვართ. გემსახუროთ! — გამამხნეველმა კლდეში და ღიმილით შენიშნა ლუკამ. ამ სიტყვებზე თვითონაც წამოიღვა. მამაკაცები მაგიდის კუთხესთან შეჯგუფდნენ მეგი კი ისევ ტყავის სავარძელში იჯდა და ყურადღებით უსმენდა მათს ლაპარაკს.

მეგომ დაიწყო:

— სწორედ ეს გვინდა შევიტყოთ, რით შეგვიძლია გემსახუროთ, პატივცემულ ამხანაგებო, ვიდრე აქ ვიმყოფებით!

— თუ კი რამეში გამოგადგებით, მზად ვართ, საერთო საქმეს თქვენთან ერთად ვემსახუროთ, — თავის მხრივაც შენიშნა სულიკომ.

ლეონტიმ თვალი ამაყად შეაღწო სულიკოს, მერე ბეჭზე ხელი შემოჰკრა და თქვა:

— მადლობის მეტი რა გვეთქმის! — მერე ლუკას გადახედა და ისევ დამას მიუბრუნდა:

— რა გვეთქმის; მხედველობაში გვექნება, ამხანაგებო, თქვენი განცხადება, და თუ რამეში დაგვეკირდა თქვენი დახმარება, უსათუოდ დაგიძახებთ.

— ვითომ ისე გავგვიკირდება, ლუკა, რომ სტუმრებს... ნიჩაბი მივეცეთ ხელში? — ლეონტიმ ეშმაკური ღიმილით გადახედა მეგის.

— ნიჩაბი არა და... შე კაცო, ერთი მხატვარია, მოქანდაკე, მეორე მომღერალი ცხოვრება კი არ შეჩერებულა. თუ მშვიდობის დროს მშვიდობის საქმეს ემსახურებოდა შემახტის შრომაც, მხატვრობაც, სიმღერაც, ახლა ეს ყველაფერი მტერზე გამარჯვების საქმეს ემსახურება!

— ჩვენი საინფორმაციო ბიუროს ცნობები მოვისმინოთ, — თქვა ლუკამ და ჩართო რადიო.

მეგის აშკარად ეხატებოდა სახეზე მოუთმენლობა. ის ახლა განწყობილი არ იყო ლუკასა და ლეონტისთან სასაუბროდ.

— პატივცემულო ლუკა, თქვენთან საუბარი ძალიან საინტერესოა, მაგრამ რარიგ თავიზიანადაც არ უნდა გვეპატიებოდეთ. მაინც ადვილი მისახვედრია, სადა გცალიათ ახლა ჩვენთვის...

— რასა ბრძანებთ... აღამიანი ხომ მანქანა არ არის, სულ ერთი და იგივე აკეთოს... ხანდახან საჭიროა, აი... ასეთი გამოთიშვაც... სხვა პროფესიის აღამიანებთან გასაუბრება, საქვეყნო იქნება, თუ ოჯახურ ამბებზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა... როგორ ფიქრობთ, ჩვენც „ყოფილი“ თბილისელები ვართ! ჩვენი ახალგაზრდობა, ოცნებით მოსაგონარი ხანა სტუდენტობისა იქ გავგიტარებია... ასე რომ... ზოგი რამ საერთო შეიძლება ჩვენცა გვექონდეს...

— რასაკვირველია... — მეგომ ცოტა წაიბოროძია, რადგან შემდეგ აღარ იცოდა, რა ეთქვა.

მეგის სიტყვას ღუმილი მოჰყვა. ამ ღუმელში ყველა უხერხულად გრძნობდა თავს, გაისმა ტელეფონის ზარის ხმა. ლუკამ მილაკი აიღო და უპასუხა.

— რაო!

ლუკა უსმენდა და მის სახეზე აშკარად იხატებოდა გაოცება და უკმაყოფილება. ბოლოს მწყურალად დაიძახა:

— დამალაპარაკე ცვლის უფროსთან, — მილაკი ორკაზზე დაავლო. მერე ნიკოსაც ახედა.

— ას ჰორიზონტზე გალიის ჰაურში ვაგონეტი ჩავარდნიათ.

— Безопасие! — თქვა ლეონტიმ. გამოთქმაში სიბრაზე ეტყობოდა, მაგრამ გარეგნულად მშვიდად გამოიყურებოდა.

ლუკამ იგრძნო, რომ ამ ამბავმა სტუმრები გადაავიწყა. და ისევ შეგინა და სულელოს მიუბრუნდა:

— თქვენთან ბოდიშს ვიხდი, ას ჰორიზონტზე პატარა მარცხი მოსვლიათ და შემატყობინეს...

— თქვენ, მგონია, შახტი ჯერ არ მოგინახულებიათ?

და-ძმამ უხერხულად გაელიმა შახტის უფროსს.

— ეგ არაფერი. სავალდებულო არ არის. სწორედ ისე, როგორც თბილისის მრავალსართულიან სახლებში, აქაც გამართულია ლიფტისებური მოწყობილობა. ნოლიდან ას ჰორიზონტამდე სპეციალურად გაკრილ ჰაურში მოძრაობს ლიფტის ორსართულიანი კამერა — გალია. გალიით, რასაკვირველია ჩაგვყავს ხალხი და ჩაგვაქვს სხვადასხვა საჭირო ნივთი, ხე-ტყის მასალა, ცარიელი ვაგონეტები, ქვევიდანაც ამოგვყავს ხალხი და ამოგვაქვს ნახშირით დატვირთული ვაგონეტები. სწორედ ამ ჰაურის ძირში ას ჰორიზონტზე, ეტყობა, გამოუცდელივით თუ დაუდევრობით ლიფტის ჩამოყენებამდე გაუგორებიათ ვაგონეტი, რომელიც ჩავარდნილა ჰაურის ძირში ოთხიოდე მეტრის სიღრმეზე. ახლა დამირეკავს ცვლის უფროსი და ვეტყვი, როგორ მოიქცენ.

— ძნელია? — იკითხა მეგომ.

ლუკას გაელიმა.

— ყოველშემთხვევაში, კბილის ამოღებაზე ძნელი მაინც არ არის.

მეგი უცებ შეიკმუნა და თქვა:

— ძალიან ძნელი ყოფილა!

მეგის შენიშვნაზე ყველას გაეცინა.

— ახლა კი გაგათავისუფლებთ, პატივცემულო ლუკა. მალე აღბათ ცვლის უფროსიც დაგირეკავთ და ჩვენთვის აღარ გეცლებათ.

მეგი და სულელო წამოდგნენ. მეგის ორი ნაბიჯიც არ გადაედგა, რომ ლუკა სწრაფად გაეშურა მისკენ, ხელი თავაზიანად ჩამოართვა და შერე სულელოს მიუბრუნდა. როცა მეგი ლეონტისაც გამოემშვიდობა, და-ძმა შახტის უფროსმაც და მოადგილემაც კარებამდე მიაცილეს.

უკან რომ ბრუნდებოდნენ, ლეონტიმ გულახდილად უთხრა ლუკას:

— შე რომ მკითხო, მაგათაც არ აწყენდა ახლა შახტში „საგზურის“ მიცემა და ოროყიანი ნიჩბით ნახშირის ყრა რეშტაკზე. განსაკუთრებით კარგი სანახავი იქნებოდა ეგ ქალიშვილი!

ლუკამ უკმაყოფილოდ შეაელო თვალი ლეონტის და გაიფიქრა: „სიავით მოსდისო“.

— რას ერჩი... თავის ფეხით მოვიდნენ და თავიანთი სურვილი გვაუწყეს! კიდეც რომ გაგზავნო, ეგენი შახტში იმდენს რას გაგვიკეთებენ... დიდი-დიდი, ორი-სამი ნიჩაბი ნახშირი აიღონ... ნუ გეშინია, მაგათთვისაც გამოვნახავთ შესაფერის საქმეს, სადაც უფრო გამოდგებიან. უნდა იცოდეს, ვის რა შეუძლია და რა დაეალო!

ლეონტი უგულოდ უსმენდა ლუკას, ცოტა სწყინდა კიდეც — რა ჰკუას მასწავლისო.

ღია ფანჯარაში უცრად შემოიჭრა საქონლის ჯოგვივით აბლავლებული საყვირის ხმა.

ლუკამ ყური ათხოვა ამ ხმას, თითქოს შახტის უფროსისთვის იგი ახლა უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე აქამდე. ფანჯარასთან მივიდა, შტოლნის მიმართულებით გზას გახედა. იმათი დანახვა თუ ეწადა, ეინც ამ ცვლამ აბრეულად აბრებდა შახტში შესვლას.

საყვირის ხმა წამით შეწყდა, მერე ისევ მოეფინა მიდამოს მისი გამაყრუებელი ხმა. სამჯერ განმეორდა ასე. სამჯერ შეიძრა ღამის მყუდროებაში გარინდებული მიდამო.

მოულოდნელად გაისმა დიქტორის ხმა. საბჭოთა საინფორმაციო ბიურო ფრონტის ამბებს იტყობინებოდა.

7

ნიკომ დაინახა თუ არა კარის ზღურბლზე მომდგარი ქალიშვილები. ზეზე წამოიჭრა, მკლავები გაშალა და გულუხვ მასპინძელივით ხმამაღლა დაიძახა:

— მობრძანდით, მობრძანდით!

თამარელამ პირველმა შემოაბიჯა, დანარჩენები კი ერთად, ჯგროდ შემოიჭრნენ ოთახში და ასე შეჯგუფულნი შედგნენ კარიდან ორ სამ ნაბიჯზე. ქალებს შემოსულისთანავე საგანრიგოში მყოფი მეშახტეებიც წამოიშალნენ.

ნიკომ კვლავ თავაზიანად მიმართა ქალიშვილებს:

— დასხედით, ამხანაგებო! ასე ერთად უნდა ვიყოთ ჭირშიაც, ლხინშიაც, თუ გვინდა, რომ შტერმა ვერაფერი დაგვაკლოს.

ქალები მეშახტე ვაეების გვერდით, ჩამოსხდნენ გამურული მერხების ნაპირზე და სულგანაბლნი ნიკოს მისჩერებოდნენ.

ნიკომ ადრე დაწყებული სიტყვა განაგრძო. ის ახლა განსაკუთრებულს არაფერს ლაპარაკობდა, რამდენჯერ სმენიათ მისი შინიშვნები, რჩევა-დარიგება, საყვედურებიც, დაცინვაც, როცა საქმე ჩამორჩენას ეხებოდა. როგორც ყოველთვის, ახლაც ისეთი ყურადღებით და გატაცებით უსმენდნენ, გოცდებოდნენ. ნიკო ცოტა აღელვებული ჩანდა. ის დროდადრო თამარელასაკენ აყრობდა მზერას და, შეხიდავდა თუ არა მეშახტის სპეცსამოსში გამოწყობილ გოგონას, ერთი მხრივ, უნებლიე გოცება და, მეორე მხრივ, იღუმალი სიხარული მამხილებელ ღიმილს ჰკარგდა. გაიოზი. ბირძე, სხვა ჰაბუკებოც უთუოდ მიხედნენ უბნის უფროსის სიხარულის გამოშხატველი ღიმილის მიზეზს და თვითონაც ხან ნიკოსაკენ აბარბობნენ მზერას, ხან თამარელასაკენ. თამარელა, მართალია, კარგად გრძნობდა ჰაბუკების თვალთვალს, მაგრამ არ იმჩინებდა და ისევ ისე გაუნძრევლად იჯდა, ისევ ისე წარბშეუხრელად იცქირებოდა ნიკოსაკენ.

არაბიძეს პირში ქება არ უყვარდა. ზურგს უკან კი, იცოცხლეთ, თუ რომელიმე დაიმსახურებდა და შახტში თავს გამოიჩინდა, აქებდა, ცამდე აზიდავდა. დანარჩენებიც სულ იმის ნატვრაში იყვნენ, ნიკო არაბიძის ქება-დიდება დაემსახურებინათ.

ნიკომ დღეს შედარებით მოკლედ მოსჭრა სიტყვა: ცვლის უფროსს ბრიგადირებთან ერთად სამუშაოთა მასშტაბი და გეგმა გააცნო; წამყვანი პროფესიის მეშახტეებსაც განუმარტა დავალება და ბოლოს ისევ საგანრიგოში შეკრებილთ მიუბრუნდა.

ნიკოს სიტყვის დამთავრების შემდეგ აგიტატორად გამოყოფილმა, მესამე ცვლის უფროსმა კორნაქემ მოკოთხრო მეშახტეებს ფაშისტური გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირზე თავდასხმისა და წითელი არმიის მებრძოლთა უმაჯაღითო მამაცობის შესახებ. მეშახტეები სულგანაბული უსმენდნენ აგიტატორს,

მათი გამომეტყველება ცხადყოფდა მტრისადმი უსაზღვრო სიძულვილს და მრისხანებას. ყოველი მუშახტე, ქალი თუ კაცი, ჰაბუკი თუ ჰარაბაგი, ისე იყო ანთებული მტრისათვის სამაგიეროს მიგების წადილით, რომ ვერადგარი აღუდგებოდა ხალხის ამგვარ აზვირთებას.

თავის უბანში ნიკოს ისე გადაეჯგუფებინა ძველი მუშები, რომ ყველა ბრიგადა უზრუნველყოფილი იყო მნგრეველითა და თითო მეზიგით. ამათთვის დახმარება და სხვა სამუშაოთა შესრულებაც ზოგ ბრიგადაში, უეჭველია, ქალებს მოუხდებოდათ. ნიკომ ქალებიც „გასაჭირისამებრ“ გაანაწილა ბრიგადებში. როცა აგიტატორმა სიტყვა დაასრულა, ნიკო ერთი წუთით სულის მოსათქმელად დაჯდა; მუშახტეები კი წამოიშალნენ. ვინ პნევმატურ ჩაქუნს წამოავლო ხელი, ვინ ბარსა და თოხს, ვინ ზერხს, ასაფოთქებელ მანქანას, შპურის ბურღს, ლურსმნების ყუთს თუ ნაჯახს. იარაღები ხელახლა გადაენაწილებინათ და წინა ცელაში მომუშავეებს საწყობში კი არ შეენახათ, თან წამოეღოთ, რომ შემდეგი ცვლისათვის პირადად გადაებარებინათ.

საგანრიგოდან გასვლის წინ ყოველ ბრიგადირს, ვისაც დამხმარე მუშახელი აკლდა, ნიკო ატანდა ერთს ან ორ ქალიშვილს და თან მკაცრად აფრთხილებდა. ყურადღებით მოპყრობოდნენ მათ, ნიკომ თამარელსაც კი გაიხედა, მისმა შემერთალმა მზერამ ცოტა გააკვირვა, იფიქრა, აქ რაღაც ამბავიაო, და იმ ბრიგადირს, ვისთვისაც თამარელსა და ლელას გაყოლებას აპირებდა, თამარელს მაგიერად სხვა ჩააბარა.

როცა ყველანი გაიკრიფნენ, თამარელა ნიკოს მიუახლოვდა და ერთ წუთს იდგა ასე, თავდახრილი, მერე გაუბედავად გაისმა მისი ხმა:

— ნიკო ბიძია, დოოს თქვენც აპირებთ მგონია შახტში შესვლას.

— სულ ცოტა ხანში... გადავიცვამ თუ არა...

— შეიძლება მეც თქვენთან ერთად წამოვიდე?

ნიკომ გაცივრებებით გადაიხდა თამარელას. ღიმილით ჰკითხა.

— რატომ არ გინდოდა შინს ამხანაგებს გაპყროლოდი?

თამარელა ყოყმანობდა, ხან შეხედავდა ნიკოს, ხან ისევ დახრიდა თავს. ვერ გაებდა ნიკოსთვის იმის თქმა, რაც ეწადა, რაც გუნებაში ჰქონდა.

— მითხარი, ნუ გეშინია, ნუ მერყეობი. უცხო ვარ თუ რა?!

თამარელამ, მართალია, არ გაუშხილა ნამდვილი მიზეზი — ვაითუ შემეშინდეს ამ პირვილ შესვლაზე და, მრცხენია, ამხანაგები რას იფიქრებენ, უეჭველად დამციინებენო, — მაგრამ ნიკო უთქმელადაც მიუხედა თამარელას და გუნებაში ჩაეცინა.

— კარგი. — დინჯად შენიშნა ნიკომ, — რაკი ჩემთან წამოსვლა გსურს, წამოდი.

თამარელა აქამდე მოუთმენლად ელოდა შახტში შესვლას და წინასწარვე წარმოიდგინა კიდევ. როგორ წაოძოვებოდა ამხანაგებს. მაგრამ უკანასკნელ წუთში ყველაფერი შებრუნდა. თუ წელან სვობის გასამხნივებლადაც კი მზად იყო, ახლა თვითონვე შეეშინდა. რასაც ფიქრობდა, პირიქით მოხდა.

ვიდრე სპექსამოსის ჩასაცმელად წასული ნიკო დაბრუნდებოდა, თამარელა მარტო იყო საგანრიგოში. გონტაც წელან შახტის უფროსთან გავიდა.

თამარელამ ცალი ფანჯარა გამოაღო და ყური ათხოვა კომპარესორის შორეულ, ერთფეროვან დუგდუგს. ამ ხმაურში შორიახლოს მიმავალი მუშახტეების ლაპარაკიც ძლივს აღწევდა მის ყურამდე. მუშახტეები, ანთებული ნათურით, აუჩქარებლად ემურებოდნენ შტოლნის თაღოვანი შესასვლელისაკენ.

ლამეში შტოლნის კამარა ისე წარმოუდგა თამარელას. როგორც უდაბრელი ცხოველის ხახა, სადაც დაუსრულებლად ინთქმებოდა ყველა, ვინც კი ახლოს მიეკარებოდა. რაც უფრო ცდილობდა თამარელა ამ ახირებულდროის სანახაობის თავიდან მოცილებას, მით უფრო მეტად შლიდა ფრთებს მისი ცნობისა...

კარებში შემოსულ ნიკოს თამარელამ ცნობისმოყვარეობით დაუწყო ცქერა. მეშახტის სპეცსამოსში ნიკო ჯერ არ ენახა. უბნის უფროსი სპეცსამოსის შახტში შესვლამდე რამდენიმე წუთით წინ იცვამდა და გამოსვლის უმალ იხდიდა საგარდერობოში. ნიკო მუდამ ისე სუფთად ჩაცმული და სუფთად გაპარსული დადიოდა, კაცი ვერ წარმოიდგენდა, თუ მისი ნახვა სხვაგვარად შეიძლებოდა.

ნიკომ გონტას დაუბარა:

— თუ დილის ცვლის გამოსტუმრებამდე ვერ ამოვიდე, ახალი ცვლისათვის ხალხი მოამზადე. ახალი მუშების შესახებ კიდევ შეახსენე ლუკას... ხუთ ქალს გეიმბტებენ, მაგრამ იქნებ როგორმე სამიც... — ნიკომ ხელით ანიშნა, გამოსტაცაო, — მიც დაველაპარაკები ლუკას ტელეფონით. ახლა, თუ ძმა ხარ, ხშირ-ხშირად შეახსენე ამხანაგებს, ხე-ტყისა და ცარიელი ვაგონეტების დროზე მიწოდება რომ არ დაბრკოლდეს.

ვიდრე ნიკო ლაპარაკობდა, გონტაც ხან თავს დაუქრავდა უბნის უფროსს, ხან ხელს შეათამაშებდა, ხანაც წამოიძახებდა: ყველაფერი რიგზე იქნებაო. ზოგჯერ თავის საყვარელ „Bo, Bo“-საც დააყოლებდა და წარბებსაც მაღლა ასწევდა.

ის-იყო, ნიკო კარებში გასვლას აპირებდა, რომ უცრებ მობრუნდა, თამარელას გზა დაუთმო და ხელითაც ანიშნა გასასვლელისაკენ.

ეზოში გამოსვლისთანავე ნიკომ მარჯვნივ გაუხვია. თამარელა ძალიან ცდილობდა, ნიკოს არ ჩამორჩენოდა. მალე შტოლნაში შესასვლელი კამარაც გამოჩნდა. თამარელა მოუთმენლად ელოდა ამ წუთს და, თუმცა გული ახლა წელანდელზე უფრო გამალებით უცემდა, თავს მაინც მხნედ გრძნობდა.

8.

შტოლნაში თამარელამ ადვილად შეაბიჯა. ამ პირველი, ყველაზე ძნელი ნაბიჯის გადადგმა უთუოდ იმანაც გაუადვილა, რომ გვერდით ნიკო ახლდა. საკმარისი იყო ერთი უბრალო შეყოყმანება და წაბორძიკება, რომ ნიკოს წინაშე სამუდამოდ შეერკებინა სახელი თავმომწონე გოგონას. თამარელა ახლა ისე იყო დაძაბული, აღარ იცოდა, რისთვის მიეჭკვია ყურადღება, როცა ყველაფერი ესოდენ უცბოდ, საინტერესოდ და ფიქრების აღმძვრელად გამოიყურებოდა. შტოლნის რკინა-ბეტონის გვირაბი ისე დაბალი ჩანდა, ახოვანი კაცი ხელსაც კი აუწვდენდა მის ქერში შორიშორს მოკიადე ელნათურებს. ჰერიდან ორი-სამი მტკაველის დაცილებით. გაქიძოლი იყო ელმავლის მავთული — ტროლეი, მაღალი ძაბვის დენით. ნიკომ აქ შემოსვლისთანავე გააფრთხილა თამარელა — იცოდე, არასოდეს არც ხელით შეეხო, არც რამე რკინის იარაღი მოგიხვედეს მავთულზე, თორემ დენი დაგკრავსო. თუმცა მავთული სამი-ოთხი მტკავლით მაღლა ეკიდა, მაგრამ ნიკოს გაფრთხილების შემდეგ მაინც სულ ეჩვენებოდა — ვეხებიო. და თავს უნებლიეთ დაბლა ხრიდა. თამარელას დენიანი მავთულის ბავშვობიდანვე ეშინოდა. ახლაც ნიკოს შენიშვნამ ბავშვობის დროინდელი უსიამოვნო შემთხვევა მოაგონა.

ლიანდაგის ძელების ზედაპირი ზოგან მიწასთან და ქვიშასთან იყო გასწორებული, ზოგან ზემოთ ამოწეული და თუ წინ არ იყურებოდი, თან ნათუ-

რით გზას არ ინათებდი, ადვილად შეიძლებოდა ძელზე ფეხის წამოკერა და დანარცხება. თუ ლინდაგის მარცხენა მხარეს წაიქცეოდით და თავსაც დროზე ვერ შეიკავებდით, შეიძლება შტოლნის კედლის გასწვრივ მოგეტრნებულ თხრილშიაც გადაგორებულყოფით. ამ თხრილში შახტის ქვედაპირაგან ამოქაჩული მღვრიე, კუქყიანი წყალი გარეთ მიედინებოდა. თამარელა ხან წინ უსწრებდა ნიკოს, ხანაც უკან მიჰყვებოდა ორიოდ ნაბიჯზე და სულსაც ჩუმ-ჩუმად ითქვამდა. ის ლელავდა და, იყო თუ არა, მაინც ყველაფერი შიშის აღმძვრელად ეჩვენებოდა. რამდენსაც მოელოდა, იმდენად დასაფეთებელი, ჯერ შტოლნში არაფერი ჩანდა. გვირაბის ჭერში დასაწყისიდანვე ელნათურები ისე კიაფობდნენ, გვეგონებოდათ, ცის კიდეში ჩამოხრილა დაბლა და ვარსკვლავები მოახლოებულანო.

შტოლნის გვირაბი საკმაოდ გრძელი ეჩვენა თამარელას და, ვიდრე მის ბოლოში გავიდოდნენ, ისე შეეჩნია აქაურობას, ისე გათამამდა, რომ შიშს აღარ გრძნობდა. ახლა თამარელას ისიც კი უკვირდა, რა საჭირო იყო ამ სიძიმე აქუმულატორული ნათურა რომ ჩამოგვეკიდეს კისერზე, თუ აქაურობა ასე განათებული იყო.

ერთგან ნიკო შეჩერდა, ნათურას შუქი გვირაბის კედელსა და ჭერში მიმოატარა, მერე თამარელას თვალებში მიანათა და უთხრა, აქ დასრულდა შტოლნაო.

ნიკომ ახლა ცოტა მოშორებით, შტოლნის აფიცრულ მხარეს მიაშუქა ნათურა და თამარელას აუწყა, აქ გვირაბი სპეციალური კარით არის გადაკეტილი; თუ ვინცობაა, სუფთა ჰაერი იქით წავა, მაშინ გამონამუშევარი გაუნიავებელი დარჩებაო. ნიკომ ფიცრისტიხართან მიიყვანა თამარელა, სწორედ მის შუა ნაწილში დატანებულ, დაბალ, ვიწრო კარზე უჩვენა — გააღეო.

თამარელამ ხელი მოსჭიდა მის სახელურს და, როცა აღებდა, იგრძნო, რა წინააღმდეგობას უწყევდა შტოლნში შემოჭრილი ჰაერის ნაკადი. როცა კარი ღონიერად მოსწია და გააღო, ჰაერი შხელით გაიჭრა ტიხარის მეორე მხარეს, წყვილიადში. ნიკომ ხელი შეაშველა, ნახევრად გაღებული კარი ახლა თვითონ დაიჭირა და თამარელას საშუალება მისცა, შტოლნიდან ბნელ გვირაბში შესულიყო. როცა ნიკო გავიდა და კარი ხმაურით დაიხურა, აქეთ მყის ჩაღდა ქარიც, ზურგში რომ სცემდათ. გვირაბის ამ მხარეს ისე ბნელოდა, თვალში თითხვერს მიიტანდით. ნათურის შუქი აქ ტეხილად ეფინებოდა ჭერს, კედლებს და ხან რას ამოიტაცებდა წყვილიადიდან, ხან რას. იატაკი ამ ხერელში ძველ საურამე გზასავით უსწორმასწორო, დაღარული და ქვებით მოფენილი იყო. თამარელა ნათურას ხან დაბლა დასწევდა, ხან ზემოთ ჭერს უსწორებდა. თამარელას უკვირდა, აქ სად მოეხდით. ეს ადგილი ჰგავდა გამოქვაბულს, რომლის ჭერიც აქა-იქ მსხვილი მორით გაემაგრებინათ.

გამოქვაბულის მარცხნივ ბნელი ხერელი ჩანდა, მარჯვნივაც ასეთივე ხერელი იყო. ნიკომ თამარელას აუხსნა, რომ ახლა ჩვენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფრთის საზღვარზე ვიმყოფებითო. ნიკომ თამარელა დასავლეთის ფრთით წაიყვანა. თვითონ წინ მიდიოდა, თან დროდადრო რჩევას აძლევდა თამარელას, როგორ უნდა გაეშუქებინა ერთსა და იმავე დროს გზა და ჭერი. თამარელა ჯერჯერობით მაინც ვერ შესჩვეოდა ჭერისა და იატაკის რიგრიგობით, მაგრამ ისეთი სისწრაფით განათობას, როგორც ამას ნიკო ახერხებდა. თუ თავის ყურადღებას და ნათურის შუქს „იატაკისაკენ“ მიმართავდა, „ჭერი“ მხედველობიდან გამოჩნდებოდა ხოლმე. რომ მეშახტის მუზარადს არა, თავს

აქამდე ხუთჯერ გაიტეხდა. შახტში შესვლამდე თამარელას რეჰისის დიდფარფლიანი ქუდი ეხურა. ნიკომ იგი უსიტყვოდ შეუცვალა მუზარაღით.

გვირაბის გზა აქ უკვე ძნელად სავალი ჩანდა. ზოგან თუ ხროტი და ხშირი იყო, ზოგან კიდევ ღრუბებში წყალი მუხლამდე იდგა. ამ გვირაბში რომ შემოდიოდნენ, ნიკომ თავიდანვე აუწყა თამარელას, რომ ახლა ჩემი უბნის საველე შტრეკში ვიმყოფებითო. თამარელამ ჯერ არც შტრეკის ასავალ-დასავალი იცოდა, არც ველისა და სულ მოელოდა — აი ახლა გადაიშლება ჩვენს წინ მიწისქვეშა ველი, აი ახლავ. თამარელას არა სმენოდა, რომ თეთრული უბნის ფარგლებში მოქცეულ ყოილა შრეს ნოლ ჰორიზონტიდან ასამდე ველი ეწოდებოდა. არ იქნა და არ გამოჩნდა ველი. ისინი დაუსრულებლად ეშურებოდნენ ამ ვიწრო გვირაბით — საველე შტრეკით და, რაც უფრო წინ მიდიოდნენ, სიარულიც მით უფრო ჰქონდა. საველე შტრეკის კედლებიც, ჰერიც ერთმანეთზე მჭიდროდ მიწყობილი ფიჭვისა და წიფლის მორებით იყო გამაგრებული; დროთა ვითარებაში ზოგან ჰერი დაზიანებულიყო, ზოგან — კედელი. ფენის დაწოლას ერთგან ჰერის მორები ჩამოეღუწა, მეორეგან კედლის მორები დაეხეთქა, დაეგრძობა, ზოგან დაეთელა, დაეძენა და გადაემსხვრია კიდევ. ამ სანახაობის პირველ ხილვაზე არ შეიძლებოდა დიდი გულადიც არ შემკრთალიყო, გაოცებით არ მიეპყრო მზერა დაზიანებული კედლისა თუ ჰერისათვის. ჰერი და კედლები ალაგ-ალაგ სველი, დანოტიოებული იყო, როცა ჰერის მორებისაკენ მიმართულ შეჭზე რალაცამ თეთრად იელვა, თამარელა შედგა. ნათურა სულ ახლოს მიიტანა თეთრ ლაქასთან და გაოცდა. მორის ნოტიო ზედაპირს ხავერდივით მოკლებულსუსებნიანი, აბედის მსგავსი რბილი და თეთრი მასა მიჰკეროდა. წყვილიადის ეს უცნაური პირშო ხის ობი იყო, უცქეროდა მას თამარელა და უკვირდა, ბუნებას რაჩივ დაეპირისპირებინა ერთმანეთთან უკიდურესი სიბნელე და უკიდურესი სითეთრე. თამარელამ ცალ ხელზე ბრუნგრის ხელთათმანი წაიძრო და ისე ფრთხილად შეეხო ობს, თითქოს ებრალება, განგებას რომ მისთვის სამარადისოდ ამ სიბნელეში ყოფნა მიუსჯიას. თამარელამ სცადა ობის პატარა ნაწილის მოგლეჯა. მაგრამ ეს ნაწი და რბილი მასა ისე მოისრისა თითებში, რომ თავი მიანება მის მოგლეჯაზე ფიქრს. ობი უფრო თეთრი ჩანდა, ვიდრე ახალი თოვლი ან ტყემლის ყვავილი, უფრო ნაწი. ვიდრე ადამიანის ხელით შექმნილი, ძვირფასი ქსოვილი. ამ სითეთრესა და სინაზისთან მასში იყო რალაც მომზიბლველი ძალა, რის შემწყობითაც იგი წყვილიდთან შეჭიდებასაც ბედავდა, მის დათრგუნვას ლამობდა.

ნიკომ დაინახა, რომ თამარელა ადგილიდან აღარ იძვროდა და ჰერში რალაცას გაფაციცებით მისჩერებოდა; მივიდა და ობის დანახვაზე ჩაიციანა.

თამარელამ უთხრა:

— ზომ ლამაზია, ნიკო ძია, ეს სანახაობაო, — თითქოს თავს იმართლებდა უბნის უფროსის წინაშე.

— აქეთ რომ ვეშურებით, ჩვენ ასეთი რამეები არ გვაინტერესებს! — თქვა ნიკომ.

თამარელა ნიკოს უხმოდ აედევნა.

აღარც შტრეკს, აღარც სიბნელეს ბოლო არ უჩანდა. რაც უფრო ღრმად იჭრებოდნენ ამ გვირაბში, თამარელა მით უფრო მეტს ფიქრობდა. გარეთ მშვიდობით გავალწიოთო. ამ ფიქრებში მოულოდნელად მოესმა, რომ შორს ვიღაცა მღეროდა. რაც უფრო წინ მიიწევენენ, გაცხარებული „რიჩა-ორეკაც“ უფრო

მკაფიოდ ისმოდა. შიშისფეთებით გვირაბში მიმავალ თამარელას გული მოუვიდა — იმ ოჯახქორს, ვილაკაა, ნეტავი რა ამღერებსო?!

შორს, შტრეკის სიღრმეში გამოჩნდა ნათურების შუქზე ზოფუსფუსე თარი სილუეტი. ისინი კედლის გადაშსხერეული მორების გამოცვლას შუქშიაბნდნენ. როცა ახლოს მივიდნენ, თამარელამ იცნო ერთი მათგანი — აფრასიონმა კვლავ განაგრძო. ათიოდე ნაბიჯიც არ გაველოთ, რომ აფრასიონმა კვლავ შემოსძახა „ჩირა-ორერაო“...

ნიკომ მოიხედა. ნათურის შუქით განათებულ თამარელას მწყრალად წარბებმოზიდულ სახეზე გაკვირვება ამოიკითხა, ადვილად მიხვდა ამის მიზეზს. გაუღიმა და აუხსნა:

— სიმღერა კაცს შრომაში ხალისს ჰმატებს!

ერთხანს მდუმარედ მიაბიჯებდნენ. ეს მოგზაურობა თამარელასათვის უჩვეულო იყო. იგი სიზმარს უფრო ჰგავდა, ვიდრე ცხადს.

შტრეკში ერთგან დაგუბებულ წყალში გადაყირავებული ფერდშეკყულეტილი ვაგონეტი ეგდო. ცოტა მოშორებით ეყარა საბიჯე მორები. როგორც ჩანს, სიმსხოს გამო გამოსაყენებლად უყარგისად უცენიათ, გარეთაც აღარ გამოუტანათ და გზაშივე, შტრეკის კედლის გაყოლებასზე მიუყრიათ. თამარელას უკვირდა, რომ ამ სიღრმეში შემოტანილი ხე-ტყე ასე უპატრონოდ ეყარა, ვაგონიც უპატრონოდ ეგდო და ენგი ჰამდა. ნიკომ შეამჩნია თამარელას გაკვირვება, ცნობისმოყვარეობა, როცა მობრუნებისას ნათურის შუქი სახეში უსწორა, და საქმიანის კილოთი შენიშნა.

— ყველაფერი გამოსადეგია. ხვალ-ზეგ ამ ადგილას უბრალოდ ნაფოტსაც ვეღარ ნახავ! — ამ სიტყვებზე ნათურის შუქი შტრეკის კედლის გასწვრივ მიყრილ მსხვილ ბიგებს გააყოლა.

ერთგან რკინის მილს ენგისაგან ნასვრეტი გასჩენოდა და კუმში ჰაერი იქიდან ისეთი მსუილით ამოდიოდა, რომ ამ ვიწრო გვირაბში გამეღელის ყურთასმენას ახშობდა. ზოგან წყალი შტრეკის ქერიდან შხეფებად იფრქვეოდა და ისე ვერ გაივლიდით, რომ არ დასველებულიყავით. როცა თამარელა ნათურის შუქით გზას ინათებდა და ქერი ავიწყდებოდა, უსათუოდ ატაკებდა თავს კუმში ჰაერის რკინის მილს. მუშარადისა და რკინის შოჯახების ხმა უმალ მოაგონებდა, სადაც იმყოფებოდა, რა სიფხიზლე იყო საჭირო, უმარცხოდ რომ გაგველოთ ეს უცნაური გვირაბი. დაჯახების ხმაზე შეიმკრთალი თამარელა მყის შიჩერდებოდა, ქერს შუქით მოათვალიერებდა და მერე უფრო ფრთხილად განაგრძობდა გზას.

თამარელა ამდენ შიშისფეთებას, თუ მანძილს — მოეჩანცა.

ერთხანს კიდევ იარეს საველე შტრეკით. გზადაგზა ახლა მათ ხედებოდათ აფიორული გვირაბები, ნიკო უხსნიდა თამარელას, რომ ეს გამომუშავებული უბნებია, უკვე ჩამოქცეული, გაუქმებული და გადაკეტილი. იქ შესვლა აღარ შეიძლებოდა, რადგან გამონამუშევარში აღრი გროვდებოდა. ასეთ გამონამუშევრებში ჩვეულებრივ ხდება ქერის ჩამოქცევა. მაგრამ ჩამოქცეული ქანები ზოგჯერ ისე ვერ ავსებს სივრცეს, რომ იქ აღიზა აღარ დაიბუღოს.

შტრეკის კედელში თამარელამ შენიშნა ვეებერთელა ხერელი, იგი დაქანებული გვირაბის სათაფი იყო. როგორც შტრეკის კედელთან, ისე გვირაბის შესასვლელში ეყარა ფიჭვის საბიჯე მორები.

ნიკომ შტრეკი სიგრძით გაანათა, შუქი წყლის ზედაპირს გააყოლა, მერე თამარელას უთხრა: ერთი იქითაც გავხედავ საქმეს, მიზიდეს თუ არა ადგილზე

ბიჭებმა მორებიო, და წყალში ფრთხილი ნაბიჯით შევიდა, ათიოდე ნაბიჯი რომ გადადგა, ერთგან მაინც დაუტურდა ფეხი. ცალი ჩექმის ყელში წყალი ჩაუვიდა. ნიკომ ისევ განაგრძო გზა. თამარელა გაფაციცებულად დევნიდა თვალს ნიკოს ყოველ მოძრაობას, თავისი ნათურითაც ვითომ შეველრდებოდა ქვას უნათებდა.

თამარელას კიდევ ესმოდა, როგორი შხუილით მიარღვევდა ნიკო დამდგარ წყალს. მერე ხმაც თანდათან მიწყდა, სინათლევ გაქრა და წყალიც კვლავ სიბნელეში გაუჩინარდა.

გავიდა ხუთიოდე წუთი. აქ საამურად გრილოდა, მაგრამ თამარელა ახლა სულაც არა გრძნობდა ამ სიგრილეს. მარტო დარჩენილი, შიშს ახლა უფრო მეტად შეეპყრო, ვიდრე აქამდე. ამ მარტოობაში და მყუდროებაში თამარელას მკაფიოდ ჩაესმა რაღაც ხახუნის მსგავსი ხმა. ეს ხახუნი თანდათან უფრო ძლიერდებოდა. დაქანებულ გვირაბში რომ გადაიხედა, გაოცდა: შორს ორი აჩრდილი შენიშნა, ერთი წინ მოაბიჯებდა, მეორე ცოტა მოშორებით მოჰყევებოდა. წიელს ზემოთ ოდნავ განათებული ჩანდნენ. თმები გაეშალათ. ეს საფრთხობელასავეით შესახედავი ლანდები ისეთი ძალუმი შრიალით მოარღვევდნენ სიბნელეს, კაცს თავზარი დაეცემოდა. თამარელამ იბრუნა პირი, შევარდა წყალში. გადადგა ათიოდე ნაბიჯი, მერე აკანკალებული ხელით ჩააქრო ნათურა და სიბნელეში გაინაბა. უცნაური შრიალი სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. გვირაბის პირდაპირ უცებ მრგვალად განათდა შტრეკის კედელი. შტრეკში გამოვიდა ორი უცნაურად ჩაცმული კაცი. თამარელას რომ გაშლილ თმებად მოეჩვენა, ეს იყო რეზინის, ფართოფარფლიანი ქუდი. უცხო კაცებს ტანთ ეცვათ რეზინისავე ქურთუკი და ტოტებგანიერი შარვალი, სიარულში შარვალს ლაქებში ხახუნზე ისეთი ხმა გაუდიოდა, გეგონებოდათ, რაღაცას თხეკენო. ვიდრე ის უცნაურად გამოწყობილი უცნობები შტრეკში არ მიიმალნენ და შრილის ხმაც არ მიწყდა. თამარელა სუნთქვაშეკრული იდგა სიბნელეში. იგრწყლიდან გამოვიდა, ნათურა აანთო, მაგრამ დაჯდომას ვერ ბედავდა.

თამარელას უცებ წყლის შხაპაშხუბის ხმა ჩაესმა. ნათურის შუქი წრიულად ანათებდა ხან წყლის ზედაპირს, ხან შტრეკის კედელს და სწრაფად გადაქროდა ერთი ადგილიდან მეორეზე. მალე ნიკოც გამოჩნდა.

ნიკო ნელა მოარღვევდა წყალს. როცა შშრალ ადგილზე გამოვიდა, მისი პირველი კითხვა იყო: — ხომ არ შეგშინებია. მარტო რომ დაგტოვეო! — მერე შტრეკის კედელთან მორებზე ჩამოჯდა და მარცხენა ფეხზე რეზინის ჩექმა წაიძრო, წყალი გადმოლვარა, ფეხსახვევიც გასწურა. ნიკო ამჩნევდა თამარელას დაკვირვებას, ცნობისმოყვარეობას და გუნებაში უხაროდა, ეს ქალიშვილი უმნიშვნელო წვრილმანებითაც კი ასე რომ იყო დაინტერესებული.

ნიკოს არც ის გამოარჩენია მხედველობიდან, რა გაფაციცებით ადევნიებდა მას თვალს თამარელა.

ნიკომ და თამარელამ საველე შტრეკიდან კვერშლაგში გადაუხვიეს. აქაც გრძელ ღრუბებში ადგილადგილ წყალი მუხლამდე იდგა, ამ ვიწრო ბერელშიც გააფთრებით ქროდა ქარი.

კვერშლაგიდან ნიკო და თამარელა გავიდნენ ნახშირის შტრეკში, მეთხუთმეტე პორიზონტზე. ვიდრე შტრეკის ბოლომდე მიაღწევდით, მარცხნივ მას ჰკვეთდა შურო. აქაც ნახშირის შტრეკის კედელში ჩანდა კედლისავე სიმაღლის და ორიოდ მეტრის სიგანის პირამოლამებული ხერელი.

აქ პირველად შემოესმა თამარელას ზედხედ ყრუ, შორეული გუგუნის ხმა, და ეს ბნელი სივრცეც უცნაურად დაირწა, ფეხქვეშაც თითქოს ნიადაგი შეტოკდაო; ჰერიდან გამალებით იწყო ცვენა ნახშირის ნამცეცხმსა თამარელა ადგილიდან არ დაძრულა, თუმცა ძალზე გააკვირვა და შეამფრთხა ამ ყრუ-გუგუნმა.

— დაიწყეს ბიჭებმა! ეს უთუოდ ოცდამეთხუთმეტე ჰორიზონტზე აფეთქდა ფენა, — თქვა ნიკომ.

შუროს დაქანებული გვირაბი მთელ სიგრძეზე ორ თანაბარ ნაწილად იყო გაყოფილი ერთმანეთისაგან ნახევარი მეტრით დაცილებული ბიგებით. ბიგებზე შუამდე აქედელი იყო ფიცრები. ნიკო წინ მიუძღოდა თამარელას. სადაც საფეხურები მოშლილი იყო და ჩასვლა ჰქონდა, უბნის უფროსი ხელს მიაშველებდა მას და ფრთხილად ჩაჰყავდა ქვემოთ. ერთგან შუროში სიბნელეს ნათელი ზოლი კვეთდა. თამარელამ დაინახა, რომ სინათლე შუროს კედელში შეჭრილი ზერელიდან გამოდიოდა. შუროში ნიკო პირველი გადავიდა ნახშირის დასაცურებელ ნაწილში, იქიდან კი ზერელის პირს მიადგა. როცა ნიკომ უბნო, თამარელაც რის ვაი-ვაგლასით გადაბობლდა აფიცრულზე, გაძვრა ბიგებს შუა და ცალ ხელში მომარჯვებელი ნათურით შეჰყვა ნიკოს ზერელში. მცირე შტრეკით ისინი სანგრევში შევიდნენ.

თამარელასათვის აქ ყველაფერი უცხო და უცნაური სანახავი იყო. ნიკომ ნახშირის მოსანგრევ კედელს მიაშუქა ნათურა და კარგად შეათვალიერა იგი. ნათურის შუქის ზოლში წამით გამოჩნდა ორი მეშახტის სახე და ისევ გაუჩინარდა სიბნელეში. აქ ახლა არც ისე ბნელოდა, რომ ვერაფერი გაგერჩიათ. ზოგ მეშახტეს ნათურა ქურთუკის ფოლაქის შესაბნევე კრილზე ეკიდა. შუქის ზოლები სიბნელეში ისე მოძრაობდნენ, თითქოს გარბი-გამორბიანო. ორი ნათურა კაუჭიანი მავთულის წვერით ჩასობილი, ბიგზე ეკიდა და მნგრეველების სამუშაო ადგილს წრაულად ანათებდა.

ნახშირის კედლის შეთვალიერების შემდეგ ნიკომ ნათურის შუქი ახლომახლო მყოფ მეშახტეთა სახეზე მიმოატარა. თამარელამ იფიქრა, „ეს უთუოდ მეშახტეთა თავისებურ მისალმებას ნიშნავსო“, და თვითონაც ასე იქცეოდა. ნახშირის დასაცურებელ რკინის ლართან — რეშტაკთან ორ ფიგურას უსწორა ნათურა. მიშუტება და შეყვირება ერთი იყო:

— რიმა, ქეთევან! აქა ხართ, გოგოებო!

მსწრაფლ მათკენ გაეშურა. გადადგა თუ არა სამიოდე ნაბიჯი, ფეხი დაუსხლტა დაფერდებულ იატაკზე და მოეჩვენა, თითქოს ყველაფერი აღმა შეტრიალდა... ნათურა ჰაერში აიჭნია, თვითონ კი დაგორდა. თამარელას არ გაუგია, არ დაუნახავს, ჯერ კიდევ ჰაერშივე როგორ სტაცეს მის ნათურას ხელი. ან როგორ წამოაყენეს ფეხზე სწრაფად და მსუბუქად. ის დარცხვენილი ხრიდა თავს და ხან ერთ მხარეს ჩაიბერტყავდა ქურთუკის კალთას, სახელოს, თუ შარვალს, ხან მეორე მხარეს, რიმა და ქეთევანი გულიანად იციროდნენ. იციროდნენ სხეებიც, მაგრამ მალულად, უხმოდ. თამარელას რომ არ სწყენოდა.

თამარელა გაოცებით გასცქეროდა თვალწინ გადაშლილ სანახაობას და სულ უფრო მეტად აკვირვებდა ყველაფერი. გრძელი, სამნახევარმეტრიანი ბიგებით გამაგრებულ მალაქერიან სანგრევში თავს ახლა ისე გრძნობდა, გეგონებოდათ, დაბურულ, უღრან ტყეში მოხვედრილაო. ვეებერთება გამოწამუშევარი სივრცე ფიქვის ბოძებით იყო შევულად დასერილი და ერთი შეხედვით ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა იგი, თითქოს გარშემო უფოთლო და უტრტებო

ხეებიან. ბიგებს შორის სიბნელე დასერილი იყო ნათურის შუაფიქვით შუქით. ვისაც ნათურა კისერზე ან ქურთუკის ფოლაქის შესაბნევე ქრილზე ჰქონდა ჩამოკიდებული, მისი შუქი პატრონის მიხერა-მოხერაზე, ხელის მოძრაობაზე მოუსვენრად აქეთ-იქით მიმოჭროდა, ვისაც კაუქის წვერით ნათურა ბიგზე დაეკიდებინა, შუქი უძრავად ერთ მხარეს ანათებდა.

ქალიშვილებმა გამალებული ჩურჩული გამართეს, ერთმანეთს აღარ აცლიდნენ პირველ შთაბეჭდილებათა გაზიარებას. თამარელას კითხვაზე — როგორ იმოგზაურეთ, თავს როგორ გრძნობთო, ქეთევანმა გაუმხილა ამხანაგს: — გზაში ელმავალმა და ვაგონების რახრახმა დაგვაფეთა, ახლაც გვეჩანკალებს მუხლებით.

ქეთევანისა და რიმასათვის ერთი ნიჩაბი მიეცათ. ამ ნიჩბით ისინი რიგრიგობით ყრიდნენ რეშტაკზე, მონგრეულ ნახშირს. დაცურებული ნახშირი, ხრიალით რომ მიედინებოდა რკინის ფართო ლარში, ერთი შეხედვით შავი მდინარის ნაკადი გვეგონებოდათ, სანგრევის ბოლოში ნახშირი იყრებოდა მომხვეტ კონვეიერზე, კონვეიერი სწორი კუთხით უერთდებოდა რეშტაკს და თარაზულად გასდევდა სანგრევის ქვედა ნაპირს, საიდანაც გადიოდა შუროში. აქ ნახშირი იყრებოდა შუროს ლარში და საშინელი ქუხილით მიჰქროდა ქვევით, მეთხუთმეტედან მეასე პორციზონტისაკენ, კოღამდე.

ვიდრე ნიკო მუშებთან ლაპარაკით იყო გართული, თამარელამ რიმას გამოართვა ნიჩაბი და პირველ აღებაზე გაუბედავად სცადა რეშტაკზე ნახშირის დაყრა. რიმა ამ აცალა, ვიდრე თამარელა ორ-სამ ნიჩაბ ნახშირს აიღებდა, მერე თამარელას ხელი ჩასჭიდა და ნიჩბის ტარზე უჩვენა, როგორ უნდა სჭეროდა იგი, თუ უნდოდა ნახშირი უფრო ხვევრილად აეღო. შეუჩვენეველისათვის სანგრევის ამ დაქანებულ იატაკზე ადვილი არ იყო დგომა და დატვირთული ნიჩბის მოქნევის დროს წონასწორობის შენარჩუნება. რიმას უბრალო განმარტების შემდეგ თამარელამ სამუშაოს სწრაფად აუღო ალღო და, ეტყობოდა, ამ საქმეს მალე დაეუფლებოდა.

რიმამ გააფრთხილა თამარელა, რომ მტვირთავი ვალდებულია, ფუქი ქანის ნატეხები დროზე, შეამჩნიოს და ნახშირს არ გააყოლოს, ნახშირის დიდი ნატეხები კი დაფშენას, რათა უფრო ადვილად წაიღოს კონვეიერმა და გზადაგზა არ დაზიანდოს.

ამ ლაპარაკში უცებ სამივენი შეკრთნენ და ზემოთ, სანგრევის თავისაკენ იწყეს გამალებით ცქერა. შპურის სახერცტმა ბურღმა უცებ ისე დაიხრიალა, ვეგონებოდათ, რამდენიმე კაცი ერთბაშად ყელში წყალს ხვარხვალით ივლებსო. ეს ხმა წამიწამს კლებულობდა და სულ უფრო და უფრო შორდებოდა იქაურობას.

როდესაც ფენა გასინჯეს, გამოცდილმა მნგრეველმა ბურღიც მოიმარჯვეა, თამარელასა და მის ამხანაგებსაც ნახშირში ბურღის პირველი შეჭრის ხმაც, აჩქედან მოგსმიათ. თუ ეს ხმა ძველებისათვის ნაცნობი და ჩვეულებრივი იყო, ახლებს კი ისე ეუცხოვათ, რომ გული გადაუბრუნდათ.

ბურღის მოძრაობაზე მბურღავის გამოცდილი მარჯვენა შეუცდომლად გრძნობდა, — სმენით კი ხმაზე ატყობდა. — როგორი წარმატებით იჭრიბოდა ნახშირის ფენა. პირველი შპური რამდენიმე წუთში უკვე შვით იყო. მბურღავმა კვლავ მოიმარჯვე ბურღი. მკერდსა და მუცელს შუა მიიბჯინა მანქანა, რომელშიაც ჩასმული იყო ორმოცრიანი, ძველი შუბივით უსაშველოდ გრძელი ბურღის ბოლო, და დაიწყო ბურღვა.

თამარელას ახლო მისვლისაც ეშინოდა, მაგრამ გულიც ვერ ტანჯებდა. გამბედაობამ და ცნობისმოყვარეობამ მაინც თავისი გაიტანა. თამარელას უჭირდა ნახშირით მოფენილ სანგრევის ფერდობზე ასვლა, წამდაწვევით უსუსტებოდა ფეხი, ნახშირი ვერ იმაგრებდა, წაშს ცურდებოდა დაქანებულ, მკისი იატაკზე. მან მაინც მიაღწია სანგრევის თავამდე, შეუმჩნევლად ნიკოს ამოუდგა გვერდში. ნიკო გატაცებით ადევნებდა თვალ-ყურს შპურის ხვრეტას. თამარელამაც ცნობისმოყვარეობით იწყო ცქერა ბურლის გასწვრივ. ნათურის შუქის მოძრაობაზე ნახშირის ფენის დანაწევრებული ზედაპირიც და ნაწიბურებიც ისე ბრჭყვიალებდნენ, როგორც დაბზარული შუშა. ტეხილხაზოვან ღრუების კუთხეებში ჩაფენილი ჩრდილებიც შუქის რხევის მიხედვით ტოკავდნენ და ეს ბრჭყვიალიც, ჩრდილთა რხევაც ისეთი წარმტაცი სანახავი იყო, უცხო მნახველს შეიძლება ადვილად დაეიწყებოდა, სად იმყოფებოდა.

აქ ახლა მართო შპურის ხვრეტა არ წარმოებდა, — სამაგარ ჩარჩოვბსაც ამზადებდნენ. ბრიგადის წევრთა შეწყობილად და გატაცებით შრომას რომ ხედავდა, თამარელა ახლა აღარც შიშს გრძნობდა, აღარც აქაურობა ეუცხოებოდა. მუშაობის წყურვილი და ხალისი მასაც გაჰღვიძებოდა. მბურღავს, მნგრეველს თუ მებიგვს შესცქეროდა ყოველ მათგანში შატბია ელანდებოდა; ეს განცდები მასში სულიერ აღმაფრენას იწვევდა.

ნიკო ჯერ ყურს ათხოვებდა შპურის ხვრელში ბურლის ხროტინს, მერე ისევ ახლომახლო მყოფთ მიუბრუნდებოდა და, ვისაც ელაპარაკებოდა, ხან იმას მიაშუქებდა ნათურას, ხან იმ ადგილს გაანათებდა, რომლის შესახებაც ელაპარაკებოდა ამ სიბნელეში.

— თამარელა, როგორ მოგწონს, — ნიკომ რიგრიგობით ჩამოატარა ნათურის შუქი ახლომახლო მდგომთა სახეებზე, — ხომ მარჯვე ბიჭები არიან? რომელსაც გინდა, ხელი დაადე, ყველა ამირან ამირანის-ძეა! შენ ხომ ამირანის ასული ხარ! თუ აქ პირველად ცოტა შეგეშინდა, არც მაგას უშავს რამე. ვისაც არ შეშინებია, ის ვერც ვერავის შეაშინებს. ყველაფერში გამოცდილებაა საჭირო. ახლა აქ თუ ასე შიშისმომგვრელად, შავად და პირქუშად გიმხერს ყველაფერი, ეს პირველი შთაბეჭდილებაა. შენი გამოცდა სწორია! მერე, იტოცხლე, გაგიშინაურდებიან. ასე ვიყავით ყველა, ასე გვეშინოდა ამ შავ, აბრჭყვიალებულ კედლებისაც, ამ ზღაპრულ ტყეხავით ასეტილი ბიგებისაც. ნურც ამის შეგეშინდება, თუმცა უფროსილდი! სიფრთხილე შატში უფრო გონივრული წინდახედულებაა, ვიდრე შიში, — ამ სიტყვებზე ნიკომ მოულოდნელად გაანათა ხუთიოდე ნაბიჯზე მდგარი ბიგი. ჭერის სიმიძიეს ისე მოეთელა მისი თავი, წელშიაც ისე გაედრიკა და გადაემსხვრია, რომ ბიგის დახლეჩილი ტანი და გადამსხვრევის ადგილას აქეთ-იქით გამოჩხვრილი ხიწვები ძალაუნებურად ტანში გაგბუქავდათ, ფერს გიცვლიდათ. ამ საცოდავად დაძებგილ ფიჭვის მსხვილ ბიგს ვერ გაეძლო თავზე დაწოლილი საშინელებისათვის და დანებებოდა. რარიგ საშინელი და უღომბელია ის უხილავი ძალა, რომელიც აქ სუფევს და ყოველწამს მოსალოდნელია მისი „თავდასხმა“, თუ მარჯვედ და ფხიზლად არ იქნები.

თამარელას ცოტა გულს მოეშვა, როცა ნიკომ იმ დაგლეჯილ ბიგს შუქი აარიდა, მაგრამ ახლა თვითონ მოესურვა მისი ნახვა. თამარელას ცნობიერებაში უკვე ისე აღიბეჭდა ამ უბრალო, დაღეწილი ხის ბოძის იერი, რომ აღბათ შეუძლებელი იქნებოდა მისი დავიწყება. რაც უფრო მეტხანს უცქეროდა მას თა-

მარეა, უფრო მეტად რწმუნდებოდა, რა შემხარავი შთაბეჭდილების მოხდენა შეუძლია თურმე არა მარტო სულიერ არსებას, არამედ უსულლო საგანსაც!

მბურღავმა დაასრულა შპურების ბურღვა და სპეციალური გამოსახუბეკი კოვზით გამოხვეტა მეტრნახევარი სიღრმის შპურიდან ბურღვის დროს დაგროვილი ნახშირის მტვერი. მოულოდნელად გაისმა ამფეთქებლის სასტეენის ხმა. ეს იყო პირველი ნიშანი. ამფეთქებელი აფრთხილებდა ყველას, რომ სანგრევიდან გასულიყვნენ. მასთან დარჩენა შეეძლო მხოლოდ თანაშემწეს და ბრიგადირს.

რიმამ და ქეთევანმა პირველმა მიაშურეს სანგრევიდან გასასვლელს. გავიდნენ ძველი მუშებიც. თამარელამ ნიკოს ამფეთქებლის თანაშემწესა და ბრიგადირზე ანიშნა, მერე ჩურჩულით იკითხა:

— თუკი ისინი რჩებიან, რატომ არ შეგვიძლია, აფეთქებამდე ჩვენც აქ ვიყოთ?!

— აკრძალულია! — მოკლედ მოუპრა უბნის უფროსმა, თუმცა ატყობდა რაზიგ აინტერესებდა თამარელას, თავისი თვალით ეხილა შპურების გატენის პროცესი.

ნიკომ ხელი ჩასჭიდა თამარელას, სანგრევის ფერდობზე ჩასვლაში შეეშველა. თუ შეატყობდა, თამარელას ფეხი უსხლტებოდა და თავს ველარ იმაგრებდა. უმაღლეს მიაშველებდა ფეხის მისაბჯენად. ასე ჩამოვიდნენ სანგრევის ბოლოში. ნიკომ მარტო აქედან თვალთვალის ნება დართო თამარელას. შორიახლოს იდგნენ მეზობე და მნგრეველი ჩაფიძე.

ჩაფიძის დანახვაზე ნიკოს მოაგონდა, როგორ ეუცხოვა მას პირველად შპურის სახერეტი მანქანის ხმარება. მანქანა, რომელიც მკერდს ქვემოთ უნდა მიიბჯინოს მუშამ, ისე ძაგძაგებს, კაცს ეგონება, გულ-მუცელს ალარ შემარჩენსო. გოგია ჩაფიძემ ერთი ორი შპური კი გახვრიტა ნიკოს თანდასწრებით და ვაი-ვაგლახით, მესამეზე კი მოიქნია მანქანა თავისი ბურღიანად და გადააგდო.

— ამას გამოვადლებინებ სწორედ გულ-მუცელსო, — იყვირა და ისე გადახედა გვერდით მდგომ ნიკოს. თითქოს მასაც რამეს უპირებსო. მერე დაავლო ხელი თავის ძველ და ნაცად იარაღს — ლომს და შეუდგა მამამაპური წესით სანამდე ხერელის ხერეტას.

ნიკომ ჯერ უყურა, უყურა, მერე, გაბრაზებულმა, სწრაფად აიღო მანქანა ბურღით და კვლავ გაუწოდა ჩაფიძეს. თანაც მუქარით შენიშნა:

— ახლავე მოჰკიდე ამ ბურღს ხელი. გოგია, თუ არა...

გოგიამ ერთი კი მოხედა ნიკოს და მარე უფრო გაცხარებით განაგრძო ლომის ცემა ნახევრად გამოთხრილ ხერელში.

რაკი სიტყვით ვერაფერი გააწყო ნიკომ, ახლა ხელი წაავლო მკლავში გაჯიუტებულ გოგიას, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც არ დაჰყვა მის ნებას.

— გამიშვი ხელი, თუ კაცი ხარ! რა უფლებით მიშლი? მე ასე შემარჯვება, მაგით კი, ვისაც მოსწონს, ის ამუშავე!..

— ამიერიდან, ყველა ამ ბურღით იმუშავებს! სანამდე უნდა ვიჩანჩალოთ?!

— რა გინდა, ბიძია, ჩემზე რაც დაკისრებულა, გავაკეთებ და... ფქვენ ირბინეთ, მე კი ასე ვიჩანჩალებ!

— გაჩერდი! — იყვირა ნიკომ და ახლა ჩაფიძის ლომს წაატანა ხელი.

ჩაფიძემ, სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, ლომი უკანასკნელად კიდევ ჩაანარცხა ხერელში, მერე გაბოროტებით განზე გააფურთხა და სანგრევიდან გაეარდა.

ნახევარი საათის შემდეგ ნიკოს ტელეფონთან დაუძახეს. პარტკომი სთხოვდა, ახლავე ამოსულიყო შახტიდან და მასთან გამოცხადებულოყო, კაბინეტში ელოდა მოსალაპარაკებლად.

ნიკო არ წავიდა. ტელეფონითვე უბასუხა:

— მანდ, ამხანაგო ალექსი, არაფერი მოხდება, თუ არ მოვალ, აქ კი საქმე გაფუძდება, გეგმა ჩამეშლება, ახლა რომ სანგრევი მივატოვო. — ნიკომ აცოდა, რა მოჰყვებოდა ასეთ განმარტებას, და მილაკი ისე სწრაფად დაჰკიდა, ალექსიმ ერთი სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო.

ალექსის აღარ დაურეკია.

გვიან ნიკომ მაინც შეიარა პარტკომთან. ვიდრე ალექსი ნიკოს საყვედურით მიმართავდა, უბნის უფროსმა დაასწრო და აუხსნა, რომ ჩაფიქვ არ იყო მართალი. ალექსიმ ნიკოს შემარიგებლად გაუღიმა.

— მეგონა, წამოსვლას აპირებდი, ცვლის დასრულებას აღარაფერი უკლდა, და მეც იმიტომ გამოგიძახე, ორივეს ერთად მოგლაპარაკებოდით.

— ცვლის დასრულებას, ჯერ ერთი, ბევრი უკლდა, ამხანაგო ალექსი, მეორეც...

ალექსიმ ბეჯითად მოუჭრა სიტყვა, თავისი სათქმელი განაგრძო:

— გაგვერკვია საკითხი, აგვეხსნა იმ კაცისათვის ახალი ტექნიკის უპირატესობა...

— ახსნა-განმარტება არც მე დამიკლია, ამხანაგო ალექსი! ეპ! ძველი წესის და ჩვეულების გადაჩვევა რომ ადვილი არ არის, ამას, როგორც ხედავთ, ჩაფიქვის მაგალითიც გვიდასტურებს.

ალექსის გულშემატკივრობა ჩაფიქვისადმი იმით იყო გამოწვეული, რომ პარტკომს განსაკუთრებით მოსწონდა, როცა რაიმე საკიბროროტო საკითხის მოსაგვარებლად პირველად მას შესთხოვდნენ დახმარებას, პირველად მას მიმართავდნენ და არა სხვა რომელიმე ხელმძღვანელს, რომელსაც უშუალოდ ეხებოდა ის საქმე.

უბანში სხვა უფრო დაინტერესებული მუშის შემწეობით ნიკომ მალე მოუხვეჭა სახელი ჩაფიქვის მიერ დაგმობილ ბურღს. ამ ბურღის შემწეობით პირველად ცვლაში სამჯერ მეტი სანალმე ზერელი დაამზადეს და ორჯერ მეტი ნახშირი მოანგრეს. წარმატება თანდათან იზრდებოდა. მერე. იცოცხლეთ, ჩაფიქვმაც გამოიჩინა ყურები. კვლავ შეურიგდა ნიკოს და ბურღსაც მალე ისე შეეჩვია, კირს ჰამდა ზეწნით ნიკოს — ბურღი საკუთრად მე მქონდესო.

აფეთქების წინ სანგრევი ერთხელ კიდევ მოიარეს აირის საზომი ნათურით. ყველა კუთხე საგულდაგულოდ შეამოწმეს, აირი რომ არსად დაგროვდო.

თამარელა რომ თვალს ადევნებდა აირის მზომავებს, ახლო სანგრევში შუტრების უცარი აფეთქების გამოძახილზე შეკრთა. სადაც ბიგმაც ცივად გაიპრიალა და სანგრევის უბრალოდ, დროებით გადამაგრებულ ჰერიდანაც ნახშირის წვრილი ნატეხები შავი სეტყვასავით წამოვიდა. თამარელა ადგილიდან არ იძროდა, მაგრამ დაფეთებული აცეცებდა სიბნელეში თვალს. მას ახლა უფრო ის უკვირდა, რა მშვიდად, ყურის „გაუბარტყუნებლად“ მუშაობდნენ ამფეთქებლები და მისი თანაშემწე, რა დინჯად განაგრძობდნენ აირის ძებნას. კვლავ მოისმა ზედიზედ ყრუ გუგუნე, კვლავ იძრა წიალი და ტაკატკუცით წამოვიდა ჰერიდან ნახშირის ნამტკრევები. თამარელამ აღარ იცოდა, რას გაფრთხილებოდა: მიწას, რომელზედაც ფეხი ედგა, თუ ჰერს, ასე პირქუშად რომ გადმოპირქვაებოდა თავზე და ნახშირის ნატეხებსაც აყრიდა. თა-

მარელას მუზარადზე ნახშირის ნამტვრევებს ჭახანი გაუდიოდა, ახლა კი დას-
ცინა თავისთავს თამარელამ: „ახია ჩემზე, რატომ არ დაუუჯერე ნიკოს, როცა
აქედან გასვლას მიჩვენებო?“

აფეთქების ყრუ გუგუნნი და წილის ტორტმანი რომ მიწყდა, თამარელას
ახლა-ლა გაახსენდა, რომ მის გვერდით სხვებიც იყვნენ. ჯერ გაუკვირდა, მერე
შერცხვა, ისინი რომ აგრე მშვიდად გამოიყურებოდნენ და არ აქცევდნენ ყუ-
რადღებას, რაც გარეთ, ახლობელ სანგრევში, ხდებოდა.

სანგრევში, რომლის შესასვლელთანაც თამარელა იდგა, მეორედ გაისმა
სასტვენის ხმა. ყველამ გასასვლელს მიაშურა. მათ შორის იყვნენ ბრიგადირიც,
ამფეთქებელიც და მისი თანაშემწეც. ამფეთქებელს ახლა მხარილივ ეკიდა
ელდენით შურის ასაფეთქებელი მანქანა. როცა სანგრევში და შუროში მო-
მუშავე ხალხმა-საიმედო ადგილს შეაფარა თავი, მესამედ გაისმა სტვენა, წი-
ნანდელზე უფრო ხანგრძლივი. ნახევარი წუთის შემდეგ აფეთქების ძლიერმა
ხმამ ისე შეაზანზარა იქაურობა, რომ თამარელას ეგონა, ეს არის, ვიღუპებითო.
წიდანდელ. შორეულ, ყრუ გუგუნთან შედარებით ეს რაღაც თავზარდამცემი
იყო. ჩაფიქმ, თამარელას გვერდით რომ იჯდა არხეინად, პირველმა შენიშნა
თამარელას დაფეთება და გულუბრყვილოდ გაეცინა. აფეთქება აფეთქებას
მოსდევდა, თამარელას სულის მოთქმაც ველარ მოესწრო, თავს ძლივს ეკავებდა,
რომ არ ეყვირა.

შუროს კედელთან ჩამჯდარი თამარელა ყოველ აფეთქებაზე ისე შეტოკ-
დებოდა, წამოიწევდა, თითქოს ვინმემ უბიძგაო. ერთად შეჯგუფული მუშე-
ზის ნათურები ახლა იქაურობას მკაფიოდ, ყოველი მხრით ანათებდა და ყვე-
ლანი კარგად ხედავდნენ ერთმანეთს. თამარელას იდუმალ გული იმაზე მოს-
დიოდა, რომ ეს შუქი ამხელდა მის შიშსა და გამოუცდებლობას.

აფეთქების ხმები რომ მისწყდა, ნიკომ და თამარელამ კვლავ განაგრძეს
გზა ქვემოთ.

ოცდამეთხუთმეტე პორიზონტზე, სანგრევში, სადაც ნიკო თამარელას შე-
უძღვა. გაცხარებული მუშაობა იყო. წილან პირველი აფეთქების ხმა სწორედ
აქედან მოესმათ, როცა ნიკო და თამარელა მეთხუთმეტე პორიზონტის ერთ-
ერთ სანგრევში იმყოფებოდნენ; აფეთქების შემდეგ გადმოსხვავებულ ნახშირს
თანდათან ემატებოდა. ორი კაცი მისდგომოდა ახლახან აფეთქებულ კედელს
და, რაც ამონალს ვერ გადმოეჭკია, მას წერაქვით ანგრევდა, შლიდა, კედელს
და ჭერს ასწორებდა.

ორი ნათურის შუქზე ნახშირის მოზრდილი ნამსხრევები ლაპლაპით მიხ-
რიალებდა სანგრევის იატაკზე. ერთი მუშა გამალებით ჰყრიდა ნახშირს
რეშტაკზე. შორიახლოს მუშაობდა მეზიგეც. ვეებერთელა, სამმეტრიან მორს
საბიგელ ამზადებდა. მისი გაწაფული ხელის მოძრაობაში და მოსაზრებულე-
ბაში იმდენი სილამაზე და მიზიდველობა იყო, რომ იფიქრებდით, ეს კაცი
ალბათ ამ საქმისათვის დაბადებულაო. საქმე რომ ემარჯვებოდა და ეადვილე-
ბოდა, მეზიგეც აკი იმიტომ მუშაობდა ხალისით და გაატაცებით. თამარელასთან
ერთად ნიკომაც მიაქცია ამ მუშას ყურადღება და კმაყოფილებისაგან მის სა-
ხეს მალე ღიმილიც მოეფინა. ერთი მხრიდან კუთხის ჩათლა მორის თავში, მერე
მორის შემობრუნება, კვლავ ჩათლა თავისა, და მორის ისევ ოსტატურად
შემობრუნება სულ ნახევარი წუთის საქმე იყო. მეზიგის ხელში ფიჭვის ვეე-
ბერთელა მორი სულიერი გეგონებოდათ, ისე ტოკავდა და ბზრიალებდა.

ბიგზე დაკიდებული ნათურის შუქზე თამარელას ჯერ მისი ნაჯახის პი-

რის კრიალი და ხელის მოძრაობა სტაცებდა თვალს, მერე, როცა მებეგე წამოიშორა და ბიგის თავი ჭერისაკენ მსუბუქად შეისროლა, სახეც დაინახა და გაოცდა. ეგ სწორედ ის ქერა, ერთი შეხედვით, მოთენთილი და მთელმარე-სავით გარინდებული ყმაწვილი იყო, საგანრიგოში რომ აფრასიონ უკლებამ თავის ბიძაშვილად გააცნო. მებეგე, ეტყობოდა, ისე იყო გატაცებული თავისი საქმით, სულაც არ აქცევდა ყურადღებას, ვინ ჩაუვლიდა წინ და ვინ არა. მას ახლა არც თამარელასა და ნიკოსთვის მიუქცევია ყურადღება, თუმცა თამარელა დროდადრო საკუთარი ნათურითაც შველოდა, სამუშაო არეს უნათებდა.

ნიკო თამარელას არც ამ სანგრევში უპირებდა დატოვებას, რაკი აღუთქვა, ვერ ყველა პორიზონტებზე დაგათვალეირებინებ სამუშაოს და მერე „გაგამწესებო“. ამიტომაც უთხრა, რამდენიმე წუთს აქ დამელოდე, ბიჭებს გავხედ-გამოვხედავ და, მოვბრუნდები თუ არა, გზაც განვაგრძობთ.

იატაკზე. აქაც უცნაურ ტყესავით გამოიყურებოდა ფიჭვის ზოგან მსხვილი. ზოგან წვრილი მორებით გამაგრებული სივრცე. წინ რომ შექი უნათებდა გზას.

ნიკო მარჯვედ მიაბიჯებდა ნახშირის ხევეში, სანგრევის დაფერდებულ ნიკოსათვის თვალი არ მოუშორებია. ვიდრე ის სანგრევის თავში ლანდებივით განათებულ ფონზე ნიკოს ფიგურა მკაფიოდ გამოკვეთილი ჩანდა, თამარელა მოძრავ მუშებს არ შეერია. აფეთქებული კედელი მსგრეველებს ის-ის იყო ჩამოესწორებინათ. ერთი მათგანი ახლა ამხვეტს ეხმარებოდა, მეორე კი ბიგის დასადგმელად მებეგეს იატაკს უშზადებდა.

უკებ შოისმა მკაფიო ტკაცანისებური ხმა, თითქოს ახლოს ვინმეს სილა გააწნესო. მალე ტკაცანი ზედიზედ განმეორდა, თამარელამ თავიდანვე მიაქცია ყურადღება ამ ხმას და ახლა სულგანაბული ელოდა მის განმეორებას ტკაცატკეცი თანდათან ძლიერდებოდა სანგრევის სიბნელეში და, ვისთვისაც იგი ნაცნობი იყო, ფიჭვის ვადრეკილი მორის ეს ხანდაზმული ზღვის ხმა, შეუძლებელი იყო სმენა არ გაემახვილებინა. როცა ნიკომ შუამდე გახლეჩილი ბიგი ნათურის შუქზე შეათვალეირა, სხვებსაც უხმო. ნათურის შუქი ერთ ადგილას, დაზიანებული ბიგის ირგვლივ იყრიდა თავს, ერთი შეხედვით მოგეჩვენებოდათ, ბიგს კი არ ანათებენ, თვითონ ბიგი ანათებსო. ნიკოს ერთ შეძახილზე — რაც შეიძლება სწრაფად გადავამაგროთ ეს ადგილიო, ყველა დაფაცურდა. ერთი მორი მტვირთავმა და მსგრეველმა მოარბენინა, მეორე — მებეგემ. ის-იყო პირველი ბიგი გამართეს, რომ სამი მეტრის დაშორებით იხუვლან ჭერმა და მოზრდილი ფენა ზათქით დაენარცხა იატაკს. ნათურების შუქის ზოლში მუქად ამორიალდა ერთბაშად ავარდნილი შავი მტვერის ბოლქვები.

ამ მტვერში თამარელას ერთი წუთით თვალთ დაუბნელდა, მაგრამ ის ახლა არც ადგილიდან დაძრულა, არც ხმა გაუღია. იგრძნო, ნახშირის უფეარ ჩამოწვევებზე როგორ დაცხა მუხლებში. არ გასულა ერთი წუთიც, რომ თამარელას ზურგს უკან მიიღო ჭერიდან ზღარათანი ნახშირის ვეებერთელა ფენამ, ნახშირმა მერე წვრილადაც იწყო ცვენა.

ნიკომ მოძებნა თამარელა ნათურის შუქით და ხმამალა დაუძახა — მანდ რას უდგეხარ, გასასვლელისაკენ მაინც გადაინაცვლეო. — მის ხმაში სულაც ვერ იგრძნობდით, რა განსაცდელში იყო ახლა იგი. თამარელას ისე მოეწონა ამ თავზეხელაღებული ადამიანების გარჯა, რომ მათთან ახლო ყოფნას, მათი გასაჭირის გაზიარებას სასაცილოდ და საჭიროდ თვლიდა. მეგობრებთან მსგრეველთან და მტვირთავთან ერთად შრომაში ჩაბმულმა ნიკომ მოკრა თვალი თამარელას, რომელიც მუშების ძახილზე ხან ყუაფიცრის გადანაჭერს, ხან

სოლს თუ წუთით ძირს დაგდებულ ნაჯახს ხელახლა აწოდებდა მათ. ნიკოს უნდოდა დაეყვირა მისთვის — აქ სად მოსულხარო, მაგრამ გაახსენდა, ახლა თამარელაც ისეთივე მუშა იყო, როგორც სხვა დანარჩენები.

ასე თავგამოდებით იმიტომაც მუშაობდნენ ახლა მეშახტეები სასწრაფო გადამაგრებაზე, რომ ამ სანგრევის დაქცევა არასგზით არ შეიძლებოდა. ეს რომ მომხდარიყო, ნახშირის გამოტანა შეუძლებელი გახდებოდა, უბანიც თუ ჯერჯერობით წინ იყო, ერთბაშად ჩამორჩებოდა დანარჩენებს. ნიკომ სხვა მეზობელი ნანგრევებიდანაც მოიშველია მუშები და როგორც იყო, ერთ საათში ისე გაამაგრა იქაურობა, რომ სანგრევი დაქცევას გადაარჩინეს.

წელანდელ დახლეჩილ დაქვრივ ბიგს ექვსი ახალი ბიგი შედგომოდა მხარში. ძველ ბიგებს შორის ყუაფიციარი ისე ელასტიურად ჩამოზნექილიყო. არ დაიჯერებდით, რომ ის ხისა იყო და არა რეზინისა. ეს სანახაობა ცხადყოფდა, თუ მეტი არა, ასიოდე მეტრის სისქე ნიადაგის სხვადასხვა ფენის დაწოლა რას ნიშნავდა ამ ტყესავით, შიშველ, ღეროშემართულ ბიგებზე.

ნიკომ გააფრთხილა ცვლის უფროსი კვერნაძე, რომ ამ მესამე, და მომდევნო ცვლაში არ ებურღათ და არ აეფეთქებინათ შპურები, ვიდრე ჰქვრს ერთხელ კიდევ საგულდაგულოდ არ დაათვალიერებდნენ და დამატებით არ გადაამაგრებდნენ.

— რამდენ ნახშირსაც ამ გადამაგრებაზე დაკარგული დრო დაგვაკლებს. ის მერე გაორკეცებული შრომით უნდა ავინაზღაუროთ.

8

თამარელა, მართალია, არც შიშს იმჩნევდა, არც ჩქარობდა, მაგრამ ერთი სული ჰქონდა, ვიდრე სანგრევიდან მშვიდობით გამოაღწევდა. სულ ელანდებოდა და ელოდა, სადაც ვდგვივარ, სწორედ ჩემს ზემოთ, ეს-ესაა ჰქერი უნდა იძრას და ფენა ჩამოიქცესო. ნიკოსაც თითქოს ახლა აეშალა იმ გაუთავებელი რჩევა-დარჩევების და მითითებების საღერღელი. ხან ერთ მეშახტეს აფრთხილებდა და ავალებდა რალაცას, ხან მეორეს. თამარელა შურისში ერთმანეთზე დაწყობილ ბიგებზე ჩამოჯდა. სული მოიბრუნა და მერე ნიკოს გამოჩენის მოლოდინში სანგრევში შესასვლელ ხერხებს თვალი გაუსწორა. თამარელამ სცადა, მესხიერებაში აღედგინა ის სურათი, რომელიც წელან ნახა, და გაოცდა — სად ვიყავი, რატომ გული არ გამისკდაო. მაგრამ ვინც იქ დარჩა, ისინიც გაიხსენა და სულ სხვა გუნებაზე დადგა. მოულოდნელად ისეთი სიბრალული აღეძრა სანგრევში დარჩენილი ამხანაგებისადმი, თითქოს მისი დაძმანი ყოფილიყვნენ.

ამ ფიქრებში თამარელამ ერთბაშად გადაწყვიტა: რომ ვიცოდე, ეს ლავი ამალამ პირწმინდად დაიქცევა. მაინც შევალო, და წამოვდგა. სწორედ ამ დროს, რალაც ეშმაკად, გამოჩნდა შუქი ნანგრევის ხერხელში და ნიკო არაბიძეც ერთ წუთში თამარელასთან გაჩნდა.

— განვაგრძოთ ჩვენი გზა, — თქვა ნიკომ და ნაბიჯიც გადადგა, მაგრამ შენიშნა, რომ მის სიტყვებზე თამარელა აღვილიდან არ დაძრულა და გაკვირვებულმა მზრუნველობით ჰკითხა:

— დაილაღე, თუ... შეგეშინდა?!

თამარელამ სახე მოიჩრდილა, რაკი ნიკოს ნათურის შუქი თვალებში სცემდა, და მორცხვად უთხრა:

— ნიკო ბიძია, მეც რომ გამოგყევით... ხომ არ იფიქრებენ ამხანაგები, თავს უფრთხილდება და იმიტომ გვტოვებსო?

ნიკომ ჯერ გაოცებით შეხედა თამარელას, მერე გაელიმა.

— რომელ სანგრევშიაც უნდა შეხვიდე, ჰერის ჩამოქცევა ყველგან მოსალოდნელია, თუ თადარიგს არ დაიჭერ... ჩვენ რომ მივეშურებით, რა იცი, იქნებ იქ უარესი ამბები დაგვხვდეს?!

ნიკო ახლა ამას უფრო თამარელას გასამხნეველად ამბობდა, გუნებაში კი ფიქრობდა, ღმერთმა ნუ ქნას, სხვა სანგრევებშიაც ასეთი ამბავი დაგვხვდესო!

თამარელამ ერთი შეხედა ნიკოს, მერე თავი დახარა და უსიტყვოდ გაჰყვა.

9

ოცდათხუთმეტიდან ორმოცდამეათე პორიზონტამდე შუროში ძალიან ძნელი სასიარულო შეხვდათ.

შახტში პირველად მოხვედრილი ადამიანისათვის იოლი როდი იყო ბიგებით ჩახერგილ, ჩამოსაქცევად მომზადებულ და კედელგამოხეთქილ შუროში სვლა. ნიკოც ხშირ-ხშირად მოხედავდა ახლა თამარელას, გაუღიმებდა და შეჩერდებოდა, რათა გამოუცდელ თანამგზავრს წუთით სული მოეთქვა მერე ისევ გრძელდებოდა ოთხად მოკაკულ მდგომარეობაში ძრომა. მართალია, აქაც ცივი ქარი შხელით ქროდა, მაგრამ უჩვეულო მდგომარეობაში დროდადრო სიმწრის ისეთი ოფლი დაგასხამდათ, ყინულიც რომ შემოგეკათ გარშემო, გადნებოდა. ცივი ქარი გახურებული ადამიანისათვის ახლა შვების, მომგვრელიც იყო.

თამარელა ატყობდა, რომ ნიკო მაინცდამაინც არ ცდილობდა მიშველებას, გამხნეებას სიძნელეთა გადალახვაში; იქნებ ფიქრობდა კიდევ ეს გამოცდილი შემხატე: დაე ახლა გაუჭირდეს, ყველაფერი გამოსცადოს, რომ შემდეგში აღარაფერი ეუცხოვოს, როცა საქმეს ხელს მოჰკიდებს და მეტი მოქნილობის გაბედულების გამოჩენა დასჭირდება.

ერთხელ კიდევ შეისვენეს. ნიკომ თამარელას უთხრა:

— ახლა ჩვენ მიწის ზედაპირიდან ორასამდე მეტრის სიღრმეზე ვიმყოფებით... ამ სიტყვებზე ნიკომ ნათურის შუქი კედლის გასწვრივ ჩამოატარა და უცებ ერთ-ერთ ბიგზე შეაჩერა, — ხედავ, რა დღეშია?! მაგრამ რა გასაკვირია! ორასი მეტრი სიმაღლე ნახშირისა და ფლუი ქარის ფენები კი არა. ბამბაც რომ იყოს, იმასაც ვერ გაუძლებდა.

ნიკოს მიერ განათებულ ბიგს მართლაც ისეთი დღე დასდგომოდა დაწოლისაგან, რომ მისი შეხედვა შეგაშინებდათ, თავგაჩეჩქილი, თითქოს გოლიათის ხელით მოგრეხილი და მოყევილი, ძლიეს-ლა იდგა მწყობრში. თამარელამაც ააყოლ-ჩააყოლა თვალი ამ ბიგს, მერე ნიკოს საყვედურით შენიშნა:

— ნიკო ბიძია, ძალიან გინდათ შემაშინოთ?! — გაუღიმა, ნათქვამს მხნედ დაუმატა, — სულ ერთია, არ შემეშინდება!

— ბიჭოს! — დაიძახა ნიკომ და ფართოდ გახელილი თვალებით თამარელას შეაკერდა. ამ შეძახილში გაოცებაც იგრძნობოდა და იღუმალი სიხარულიც. ნიკოს უხაროდა, რომ თამარელა შიშს არ იმჩნევდა და არ ემოდარებოდა — აქედან გამიყვანეთ. — შესაშინებლად არ მითქვამს, არც მიფიქრია, — დინჯი კილოთი დაუმატა ნიკომ. შუროში კიბის მურთან საფეხურზე ჩამომჯ-

დარს თავი დაეხარა და ლაპარაკში ისე დასცქეროდა გაბრღვილებულ ნათურის ხუფს, თითქო იმ ხუფქვეშ ციციანათელასავით მომწყვდეულ პატარა ნათურას ელაპარაკებო. — ზომიერი შიში სიფრთხილეა. — დინჯად შენიშნა ნიკომ. — უზომო კი სიმხდალე! — ბეჯითად დაასვენა და წამოდგა. აქედან შურო უფრო წესიერად გამოიყურებოდა, კედლის ბიგებიც, ხალხის სასიარულო კიბეც, და შუროს ტიხარზე აქედელი ფიცრებიც წესრიგში იყო.

ორმოცდამეათე პორიზონტზე ბრეზენტის მსხვილი მილით შეპყავდათ ჰაერი სანგრევეში; სანგრევი საკმარისად არ ნიავედებოდა და მუშებს აფეთქების საშუალებას არ აძლევდა.

სანგრევეში სხვა მხრივ სრული წესრიგი იყო. მნგრეველად აქ მუშაობდა შარშან დონბასიდან ჩამოსული სერდილცი, მებიგედ — სირბილაძე. ამ სანგრევეში გამოგზავნეს დები არსენიძეები ეა ვენერა.

ყველას ეგონა, ვენერა ქმრის ბრიგადაში გამწესებას მოითხოვსო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ.

— ბარემ საფლავშიაც ჩამაყოლეთ მალაქიას და ის იქნებო, — ხალხის გასაფონად, ხმამალა დაიძახა ვენერამ, როცა მისი უარი ეუცხოვათ.

ნიკო და თამარელა რომ ამ სანგრევეში შემოდოდნენ, ის-ის იყო ვენერამ გამზადებული სამმეტრიანი ბიგი სირბილაძის დაუხმარებლად მსუბუქად ამართა და ქერსაც მარჯვედ უსწორა. ეს ამბავი ისე სწრაფად მოხდა, რომ ცალი მუხლით ბიგის თლის დროს წამოჩოქილმა სირბილაძემ წამოდგომაც ვერ მოასწრო. მერე ისეთი კილოთი უთხრა ვენერას — მაგხელა ბიგს რა დღეს აყრი და... ახლა კი მჯერა, მალაქია ლებანიძე შენს ხელში დაპატარაებულაო. — თითქოს სულაც არ ხუმრობსო.

წამით დღმილი ჩამოვარდა, შემდეგ ვენერას ბოხი ხმა მკაფიოდ გაისმა სანგრევეში.

— ეჰ, რა გითხრა, ბიძია, ჩამორჩენილხარ ცხოვრებას!

ყველა მიხვდა ამ სიტყვებში რას გულისხმობდა ვენერა, ყველამ წარმოიდგინა ძლივძლივობით მოსიარულე სირბილაძე და გულიანადაც გაიციინეს.

ნიკომ ელვისებურად მოაელო შუქი სანგრევეს და მწყურალად იკითხა:

— აქ... ცირკია, თუ სანგრევი?!

უბნის უფროსი ხმაზე ყველამ იცნო. როცა იგი სირბილაძეს და მის თანა შემწეს მიუახლოვდა, ვენერამ მრავალმნიშვნელოვნად იკითხა:

— ამხანაგო ნიკო, ომს მოვიგებთ, რომ ვიტყვით?

— არა მგონია.

— აბა, თუ გვინდა, ვაჯობოთ, მხნედაც უნდა ვიყოთ! იმან იკითხოს, თორემ ჩვენ რა გვაქვს სატირალი?

— შეხედულებები სწორი გქონია, მაგრამ ბიგს რომ ვერ დგამ სწორად. საიმედოდ? — ამ სიტყვებზე ნიკომ ერთ-ერთ ბიგს ფეხი ოდნავ გამოჰკრა და სწრაფად უტია; ბიგი მოწყვეტით დაენარცხა სანგრევის იატაკს.

სირცხვილნაჭამი ვენერა და სირბილაძე ყურებამდე გაწითლდნენ. შურა და კლარა შორი-ახლოდან თვალ-ყურს ადევნებდნენ ამ სეირს და ჩუმად ეცინებოდათ.

ნიკო ჭკუის სწაელებას არ შედგომია; დარწმუნებული იყო, ვენერა და სირბილაძე ამიერიდან ნაკლებს ილაპარაკებდნენ და დაკისრებულ საქმეს კი უკეთ გააკეთებდნენ.

ნიკომ სერდიუკიც მოინახულა, თამარელა კი არსენიძეებს გამოეცხა-
რაჲა.

— დარჩი ჩვენთან, — უთხრა კლარამ.

თამარელამ ჯერ კლარას შეხედა, გაუღიმა, მერე სანგრევს თვალი მოავლო
და ათვალისწინებით თქვა:

— აქ რა მინდა?!

დებმა გაოცებით გადახედეს ერთმანეთს.

— მაშ საით აპირებ?!

თამარელამ დაუყოვნებლივ მიუგო:

— საითაც უფრო ძნელია!

არსენიძეებს აქამდის ეგონათ, თამარელაზე უფრო ჯანიც მოგედევს.
გამბედაობაც და თავმოყვარეობის საკითხშიაც უკან ვერ დაეხვეთო, მაგრამ
ახლა ცოტა დაირცხვინეს, თავიც გუნებაში დამარცხებულად სცნეს, ისე მოუ-
ლოდნელი და მოსწრებული გამოვიდა, მათი აზრით, თამარელას პაპუხი.

არსენიძეებმა მუშაობა განაგრძეს, თამარელა კი მარტო დარჩა სიბნელეში.
მან იგრძნო, რომ თავისი პასუხით კლარას და შურას ცოტა აწყენინა, მაგრამ
ამის გამო სინანულს არ მისცემია: თამარელამ ისიც იგრძნო, თუ რატომ შემოს-
თავაზეს დებმა აქ დარჩენა. უთუოდ იფიქრეს: „ჩვენ კი მოგვიწოდა და
ჩაგება, მაგრამ თვითონ არსად არ სურს მუშაობა და უსაქმოდ უკან დასდევს
უბნის უფროსსო“. მიხვდა მათს ვარაუდს და იმიტომაც გააწბილა თამარელამ
არსენიძეები.

იღგა ახლა თამარელა განმარტოებით და ვერ გადაეწყვიტა, ნიკოსთან
მისულიყო, თუ სანგრევის შემოსასვლელთან დალოდებოდა მას. წელანაც, აქ
შემოსვლის წინ, აშკარად იგრძნო, რომ მთელ სანგრევში ფიჭვის სურნელი
იყო გამდგარი; ახალაც ისე ეგონა, ნახშირის სანგრევში კი არა, ღამით ვერ
შემინიშნავს და ფიჭვის ტყეში შემოვსულვარო.

რაც უფრო მეტს თლიდა და ზედმეტ სიგრძესა სჭრიდა მორს სირბილაძე,
ფიჭვის საამური სურნელებაც სანგრევს უფრო მეტად და უფრო შორს ეფი-
ნებოდა.

10

ორმოცდამეათე ჰორიზონტზე სერდიუკის სანგრევიდან რომ გამოვიდნენ,
შუროში ნიკოს შეეფეთა ცალის უფროსი კვერნაძე. ნიკომ თავით ფეხამდე
შეათვალეირა იგი და მერე მწყრალად იკითხა:

— დაგეძინა, თუ სად ხარ აქამდე, რომ არსად ჩანდი?!

კვერნაძე ახლა ისე იღგა, როგორც ბავშვი მკაცრი მამის წინაშე, და მორ-
ჩილად ისმენდა უბნის უფროსის საყვედურს.

თამარელამ შეხედა ნიკოს. აქამდე მისი ხმამაღალი სიტყვა ერთხელაც არ
სმენოდა.

როცა ნიკომ სათქმელი დაასრულა, ახლა თავის მხრივ ცალის უფროსმაც
მოახსენა გასაკირი, სად რა დაბრკოლება შეხვდათ მეშობს. თამარელას
აზრით, კვირნაძე თავს დამაჯერებლად იმართლებდა. მაგრამ ნიკო ისეთი კაცი
არ იყო, რომ ერთი საქმის გაკეთებისა და მეორის უყურადღებოდ მიტოვებისა-
თვის მადლობა ეთქვა ვინმესთვის.

ნიკოს გულისწყრომას საზღვარი არა ჰქონდა: — ამა და ამ სანგრევში შპურებს რომ მითითების მიხედვით არა სკრიან, იციო?.. ამა და ამ ადგილას საველე შტრეკში წყალი რომ დაგუბებულა... ხე-ტყე რომ ჩაუხერხდათ და სანგრევში დროზე არ აწოდებენ, იციო?.. ამა და ამ პორტუნტზე მშურთში კედლის ბიგები რომ დამსხვრეულა, ჭერიც დაზიანებულა, იციო?

თამარელა, მართალია, მთელი შეგნებით ნიკოს მხარეზე იყო, მაგრამ კვერნაძესაც ვერ იმეტებდა. „ამდენი რამე როგორ შეიძლება ერთმა კაცმა იცოდეს, თვალ-ყური ადევნოსო“, — ფიქრობდა გუნებაში გაოცებული გოგონა.

ცვლის უფროსი კვერნაძე ორ ცეცხლ შუა იყო. თუ იტყოდა, ვიცოი. კიდევ უფრო მეტი რისხვა და გაკიცხვა მოელოდა. შეიძლება ისიც კი ეთქვა ნიკოს: — მაშ ბოროტმოქმედი ყოფილხარო. თუ ეტყოდა, არ ვიცოი, — მაშ არ ვარგებულხარო, — მოკლედ მოუქრიდა და ამ სიტყვებით იქვე მიწასთან გაასწორებდა. თუ მიწის ზედაპირზე, შახტის გარეთ ნიკო გულჩვილი და ზოგჯერ ლმობიერიც იყო, შახტში ისე მკაცრი მოგეჩვენებოდათ, გაოცდებოდათ. ცვლის უფროსმა კვერნაძემ კარგად იცოდა მისი ხასიათი. კარგად იცოდა ისიც, რომ ნიკოს მხოლოდ საქმის დიდი სიყვარული ალაპარაკებდა.

როცა ნიკო არაბიძე სანგრევს ათვალეერებდა და უსიტყვოდ ამოწმებდა მუშაობის მსვლელობას, თავის მოწონებას მით გამოსატყვედა, თუ დუმდა. ერთხელ თუ შეანათებდა სახეში ნათურას, ვისი მუშაობითაც კმაყოფილი იყო. და სანგრევიდან ისე მოულოდნელად გავიდოდა, როგორც შემოვიდა.

მასთან ყველაზე უფრო ცვლის უფროსებს უჭირდათ მუშაობა, მაგრამ საკვირველი იყო, რომ სხვა უბანში რა ხელსაყრელი პირობებიც უნდა ჰქონოდათ, მაინც ნიკოსთან ერჩიათ მუშაობა. „კაცი ის არისო“. — იტყოდნენ ზოლმე.

შახტში ცვლის უფროსზე უფრო გამძლე, დაუღალავი, მოსაზრებული და გაბედული, არ შეიძლება ვინმე იყოს. მისთვის ყველაფერი ცნობილი უნდა იყოს, სად რა და როგორ კეთდება. თუ ცვლის უფროსი ნოლ, ან მეთხუთმეტე პორიზონტზე იმყოფება და ამ დროს ორმოცდამეათე, გინდ მეასე პორიზონტზე ნახშირის მონგრევის შტრეკის გაჭრის, განიავების საქმე შეუფერხდა. მისი ბრალია; თუ გარედან ცარიელი ვაგონეტები დროზე ვერ შეუგზავნეს. მისი ბრალია; თუ შახტში ვინმე დაშავდა, მისი ბრალია, მისი სახელია ყველაფერი, რაც ცვლის განმავლობაში კარგი გაკეთდება, მისი ბრალია ყველაფერი. რაც ცვლის განმავლობაში ვერ შესრულდება, გაფუჭდება ან მარცხი რას მოხდება. ამიტომაც უბნის უფროსები თავიანთ მარჯვენა ხელს — ცვლის უფროსებს მუდამ საგანგებოდ არჩევენ.

მართალია, ნიკო ახლა მწყარალად ელაპარაკებოდა ცვლის უფროსს, ხანდახან დაიყვირებდა კიდევ, თითქოს შურთში დაცურებულ ნახშირის ხმაურს უნდა გადააჭარბოსო, მაგრამ არც მისი მწყარალი კილო, არც მისი შეყვირება, შეურაცხყოფის გრძნობას არ იწვევდა, თავმოყვარეობის შელახვად არ იღებდა კვერნაძე. საკვირველი ის იყო, ზოგს ნიკო სწორედ მაშინ რომ მოსწონდა. როცა გამწყარალი ჩანდა. სამართლიან გულისწყრომაში ყველაზე უკეთ ჩანდა ნიკო არაბიძის ნებისყოფაც, ადამიანობაც. თუ საქმე გაფუჭდებოდა, აზრადაც არ მოუვიდოდა თვითონ ხელი დაებანა და ყველაფერი სხვისთვის დაებრალეზინა.

ცვლის უფროსმა ნიკოს ყურადღებით მოუსმინა, მერე ისე უცებ მოწყდა ადგილიდან, თამარელამ თვალის ვერ შეასწრო. კვერნაძე თავისი ნათურის

შუქით განათებულ შუროს საფეხურებს ხტომით აჰყვია; წინ განათებულ არეზე მისი სხეულის სილუეტის ელასტიკური მოძრაობა ისე მკაფიოდ ჩანდა, ფიქრებდით, ეს ყველაფერი განგებ არის შეხამებულიო. თამაშულად უტოხანს ცნობისმოყვარეობით გასცქეროდა ოცდამეთხუთმეტე პორტოგალისკენ ასე სწრაფად მსრბოლ ცვლის უფროსს. მისი მარჯვე მოძრაობა აცვიფრებდა. მისი მონდომება და საქმის სიყვარული, ხიბლავდა.

ნიკო და თამარელა ათი — თხუთმეტოდე ნაბიჯით კიდეე ჩამოქვეითდნენ შუროში; ნიკოს ნათურის შუქზე თამარელამ დაინახა შუროს კედელში შედგმული და ბიგებით კარგად დაცული ტელეფონის ვეებერთელა თუჯის აპარატი დიდი ყურმილით. ნიკო ტელეფონს მიუჯდა, მაგრამ, ვიდრე დარეკავდა, საათი გასინჯა და გაკვირვებით, თავისთვის შესძახა: „ბიჭოს, რა დრო გასულა!“

ნიკომ სწრაფად დაატრიალა ტელეფონის სახელური, მერე ყურმილიც აიღო, მაგრამ სახელურის დატრიალება ორ-სამჯერ კიდეე დასჭირდა, ვიდრე უპასუხებდნენ.

— ბოდიში, ქალბატონო! ხომ არ გაგაღვიძეთ? — დამკინავეი კილოთი ჰკითხა ნიკომ ტელეფონისტ გოგონას, — შემეფრთე მესამე უბნის საგანრიგო. ნახევარი წუთიც არ გასულიყო, რომ ყურმილში ნიკოს გონტას ხმა მოესმა:

— ანდრეი! — ხმამალა დაიძახა ნიკომ, — როგორ ატყობ საქმეს?

უბნის უფროსს კილოზე შეეტყო, რარიგ გაეხარდა გონტას ხმა.

როცა გონტამ მგრგვინავეი ხმით და თავისებური მხნეობით ჩამოსძახა ნიკოს — რაც უნდა გაჭირდეს, ჩვენი საქმე მაინც არ შეფერხდებაო, — ნიკომაც თითო-თითოდ ჩამოუთვალა, „შეახსენა“ რა და როგორ უნდა გაეკეთებინა, რა დასჭირდებოდა უბანს ახალ ცვლაში. — ახლა კი რაც შეიძლება, მოგვყარე ცარიელი ვაგონეტები. ვარდა ოცდამეთხუთმეტე პორტოგალის ერთი სანგრევისა, საქმე ყველგან კარგად მიდის... იქნება მოვასწროთ, ამოვჭაჩოთ, რაც დღეს ჩვენს უბანში ნახშირი მოინგრა... შენ მანდ იმარჯვე, მე კი აქ დავხვდები დილის ცვლასაც!

ნიკომ ტელეფონის ყურმილი ის-ის იყო კაუჭზე ჩამოჰკიდა! რომ თამარელა მაჯაში სწვდა. საბრალო გოგონას დაუგვიანდა მისი გაფრთხილება. ნიკომ გაკვირვებით მოიხედა, მაგრამ უცებ ვერაფერს მიხვდა, მაინც, ისე ეჭვით შეეკითხა:

— შენც გინდოდა დაგერეკა?!

თამარელამ აჩქარებით დაუქნია თავი, თან სალოკი თითი ტუჩის კუთხესთან მიიღო და შესაბრალისად გაიღიმა.

— ვისთან, ქალო? — თანაგრძნობით, თანაც შეწუხებულის ხმით იკითხა ნიკომ.

— სახლში... ჩემს დასთან.

თამარელას ერიდებოდა ნიკოს შეწუხება. ალბათ ამიტომაც გული ახლა გამაღებით უცემდა და ხმაც მილეოდა. ნიკომ ძლივს გაიგონა მისი ნათქვამი. უბნის უფროსმა წელანდელზე უფრო ფაცხარებით და ხანგრძლივად დაატრიალა ტელეფონის სახელური.

როცა ნიკომ ტელეფონის მილაკი გადააწოდა, თამარელამ ჯერ ცალი ხელით სცადა მისი ჩამორთმევა, მაგრამ მაშინვე მეორე ხელიც მიაშველა. ტელეფონის ასეთი მძიმე და ვეებერთელა ყურმილი მას პირველად ეჭირა ხელში.

— რომელი ხარ? — აჩქარებით, ხმადაბლა, თითქოს სხვამ არაინ გაიგონოსო, ჩასძახა თამარელამ ყურმილში. პასუხის მაგივრად მიახს შეკითხვა რომ მოესმა, ვინ არისო იფიქრა, ხმა ვერ მივაწვდინეო და უფროს გაბეჭდულად ჩაძახა:

— მაია! გესმის? მე ვარ, თამარელა.

— თამარელა? — გაოცებით იკითხა მაიამ, — გოგო, მართლა შენ მელაპარაკები? მართლა შახტაში ხარ? ჩვენ კი დარდით აღარა ვართ და... ჩემი გაქირებება არ მეყოფოდა? იქით კაკო, აქით ბავშვები... გეთაყვა, შე შეჩვენებულო, სადაც მიდიოდი... ჯერ სადგურზე გეძებდით... კაკომ თავი მოიკლა. თამარელას უნახავად როგორ წაეიდეთ... სად იყავი, შე არგასაშვებო! ერთი კი ჰოგყარი თვალი და... სადგურიდან რომ ვბრუნდებოდი, ძლივს მომქონდა ფეხები, როდის დავეცემოდი არ ვიცოდი... გულს კი ვიმაგრებდი, რა დაემართებოდა, კარგად იჩნება და სახლშიაც დამხედება-მეთქი. მაგრამ გული მაინც ეკვობდა, და არ გინდოდა ამ ყოფაში სახლამდე მოღწევა? მოვედი სახლში და სულ გავაყრუე იჭაურობა ძახილით... გაგიგონია, სად არის თამარელა... მერე შახტაშიაც დავრეკე, და იქ მითხრეს... ახალა, როდის დამენახებები თვალით, როდის? — მაიამ ცოტა შეისვენა, სული მოითქვა და, უცებ სულ სხვა პანგზე ამღერდა. — თამარელა, გესმის, დაიკო?

— შენი ხმა კი მესმის, მაგრამ ვერ გამოვიგია, რა დაგემართა, მოვალ სახლში და მელაპარაკე, რამდენიც გინდა, ახლა მეჩქარება!

— გოგო, თუ მე არ გებრალუბი, ამათ რაღას ემართლებოდი, დაიხოცნენ გია და გურამი ტირილით. აღარც ამათ ეძინებათ, წარამარა მეკითხებიან — დეიდა თამარელა როდის მოვაო, ეშინიათ, არაფერი მოიწიოსო.

ტელეფონით მოლაპარაკენი მოულოდნელად გათიშეს. თამარელამ ტელეფონში ერთი ჩაბერა. ხელში შერჩენილი მილაკი შეაბრუნ-შემოაბრუნა, მერე ნიკოს შეხედა.

— არ გაცალეს? ხდება ხოლმე... იქნებ შახტის უფროსს დასქირდა უბანთან დალაპარაკება. თუ კიდევ გინდოდა გეთქვა რამე... მოუცადოთ...

— წაეიდეთ, ნიკო ბიძია... თქვენ არ გცალიათ. მე კი ჯერ მუშაობა არც დამიწყია.

თამარელა ძლივს წამოდგა. ამ ხერტლებში ძრომით და თავქვე სიარულით მუხლები მოკვდითოდა და მოთენთილიყო.

ნიკომ თამარელა სამოცდამმეტხუთმეტე ჰორიზონტზე დატოვა. იფიქრა: „დღეს ეყოფა თვალიერება, აქ ცოტას შეისვენებს; წაიმუშავეს და ცვლის დასასროლს კვლავ მოვაკითხავო“. თვითონ ათასი საქმე ჰქონდა და ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, საიდან და რით დაეწყო. მთელი უბანი თავიდან ბოლომდე ერთხელ კიდევ უნდა მოველო. ყველა სამუშაო — იქნებოდა ეს ნახშირის მონგრევა. გეზენკის გაქრა, ახალი შტრეკის გაყვანა თუ სარემონტო ბრიგადის საწმინაობა, თავისი თვალით უნდა ენახა. თუ შეატყობდა, სადმე უჭირდათ, დახმარებაც უნდა გაეწია. შეუძლებელი იყო. არ შეემოწმებინა, როგორ მიმდინარეობდა წყლის ამოქაჩვის, კუმში ჰაერის მიწოდების, მონგრეული ნახშირის ამოტანის, ელმავლების დეპოს, ცენტრალური ქვესადგურის მუშაობის საქმე.

ნიკომ ბრიგადირი გამოიძახა და თამარელა ჩააბარა.

— შენ აქ როგორ მოხვედი? — გაოცებით იკითხა ნიკომ.

ბრიგადირმა ცალყბად გაიღიმა.



— ამხანაგო ნიკო, საითაც მისროლეთ, იქ „მოვხვები“.

— ბიჭო... უღონობას არ ვუჩივი, მაგრამ არც მაგდენი შემეძლო! ცოდვ-
გამოტეხილი სჯობს, იტყვი თუ არა?

ბრიგადირი მთლად მოიკაკვა.

— შე შეგონა, ყველაფერი იცოდით... თქვენ რომ უარი მითხარით, მოძ-
რაობის ცვლის უფროსობიდან შახტში სამუშაოდ ჯერჯერობით არ გადა-
გიყვანო, მერე... — დანარჩენი სათქმელი ყელში ძვალევით გაეხირა და ველარ
ამოთქვა.

— მერე? — დინჯად ჰკითხა ნიკომ.

— მერე... მოვედი ლეონტისთან და... ტელეფონით ელაპარაკა გონტას.
დაავალა ჩემი გადაყვანა, სადაც მთხოვდი.

— ლეონტის... შეეძლო მაგის გაკეთება... მე მხოლოდ უბნის უფროსი ვარ,
ის შახტის უფროსის მოადგილეა, თანაც ჩემზე უფრო განათლებული, უფრო
ჰკვიანი... ხომ ასეა?... ხელ ალბათ ჩემთან სახლშიაც მოხვალთ და მეტყვიეთ,
სადაც კურკლის კარადა მიდგას, იქ საწოლები უნდა დავდგა და...

წამით დუმილი ჩამოვარდა

— შენს ბრიგადაში ვინ არიან?

ბრიგადირმა დაუსახელა.

— კარგი, წადი, დატრიალდი! მერე არ დამაბრალო, უბნის უფროსმა
გამაცდინაო.

ბრიგადირმა წასვლა დააპირა, ნიკოს ყოყმანით შეხედა, თამარელაზე
ანიშნა:

— თუ ამ ქალიშვილს ჩვენთან ტოვებთ, დღეს ხელს არაფერზე დავაკარე-
ბინებ, იღგეს და უყუროს, ვინ რას აკეთებს.

ნიკომ ჰერი ნათურის შუქით მოათვალიერა.

— იცოდეთ, გამონამუშევარი კარგად გამაგრებული და ნახშირიც წესიე-
რად მონგრეული დაახვედრეთ შემდეგ ცვლას, თორემ...

— ყველაფერი ისე იქნება, თქვენ რომ მოგეწონებათ! — უპასუხა ბრიგა-
დირმა ნიკოს.

ნიკო თამარელას აქ მხოლოდ იმ იმედით ტოვებდა, რომ ბრიგადირი ახლა
განსაკუთრებით ეცდება ჩემი გულის მოგებას და თამარელასაც ისე გაუ-
ფრთხილდება, როგორც საჭიროაო.

ბრიგადირმა თამარელას თავაზიანად შენიშნა:

— საითაც გნებავთ. გაიხედ-გამოიხედეთ, გაიარ-გამოიარეთ ჩვენს სან-
გრევში და, რაც მოგეწონათ, იმ საქმეს მოჰკიდეთ ხელიო. — კაცი ვერ იფიქ-
რებდა, თუ მასზე უფრო გულისხმიერი და გულჩეილი იმ არემარეზე სხვა
კიდევ მოიპოვებოდა.

ნიკო რომ მიდიოდა, თამარელას გული აუჩუყდა. ვერ წარმოედგინა ახლა
შახტში ისე ყოფნა, თუ გვერდით ნიკო არ ეგულებოდა. მარტო მას ენდობოდა,
მარტო მისი იმედი ჰქონდა. როცა ნიკო სანგრევიდან გავიდა, თამარელამ იქაუ-
რობა ისე მოათვალიერა, თითქოს მართლა მარტო დარჩენილიყოს. არავის არ
ეცალა ახლა მისთვის. ბრიგადირმაც მიატოვა. ყველა თავისი საქმით იყო გარ-
იული. მომხვეტები დროდადრო ორიოდე წუთით რომ შეისვენებდნენ, კვლავ
შეუდგებოდნენ ნახშირის ხვეტას და ტრანსპორტერზე ყრას. აქ რეშტაკი არ
იყო და ნახშირს ზემოდან ქვემოდ სწევდნენ, ხვეტავდნენ თოხით.

ერთი მუშა დადიოდა სანგრევში და ჰერს აქა-იქ აშუქებდა სპეციალური ნათურით. იფიქრებდით, რამეს ეძებსო. და მართლაც, ის ნათურით იგებდა, იყო თუ არა სანგრევში მეტანის აირი. აირის ძებნას თამარელაში ჯერ ყველა ოცდამეთხუთმეტე ჰორიზონტზე მიაქცია ყურადღება. ეს ამბავი მისთვის უკვე ახალი აღარ იყო. თამარელა თვალს არ ამორებდა ნათურას; სანგრევის ჰერში ზოგან ისე შეტოვებოდა მისი ალი, თითქოს უხილავი ხელით ხან აუწევდნენ პატრუქს, ხან ჩაუწევდნენ.

თამარელას ვერ გადაეწყვიტა, ვისთან მისულიყო. ქალები კაცებისაგან ვერ გამოერჩეოდა. ყველას შარვალი და ქურთუკი ეცვა, ყველა ერთნაირად გამურული გამოიყურებოდა. ქალებიც ისე მუშაობდნენ, როგორც მამაკაცები.

ნიკო რომ გვერდით აღარ ეგულებოდა, თამარელა ახლა უფრო გაფაციცებით აღევნებდა თვალ-ყურს ყველაფერს, რაც ირგვლივ ხდებოდა, რაც ხილული იყო.

სანგრევში დაფეთებულევით შემოვარდა ცვლის უფროსი კვერნაძე. მას უკვე მოეწოლო ზედა ჰორიზონტების სანგრევები და ახლა ქვემოთ ამოწმებდა მუშაობის მსვლელობას.

კვერნაძეს მოახსენეს, რომ მეტანის აირი გვიშლის ხელს შპურების აფეთქებაში. ცვლის უფროსმა ყურადღებით მოისმინა ბრიგადირის სიტყვა, მერე ერთ-ერთ მუშას გამოუძახა... თამარელა გაუბედავი ნაბიჯით მიუახლოვდა კვერნაძეს.

— ორმოცდაათზე, მარჯვენა სანგრევში ვენტილაციის ათისთავი უნდა იყოს. უთხარი, ჩამოვიდეს!

თამარელა ადგილიდან არ დაძრულა. გაკვირვებით შეხედა ჯერ კვერნაძეს, მერე ბრიგადირს. ვიდრე კვერნაძე შეიტყობდა, რაში იყო საქმე, ბრიგადირი სწრაფად მოსწყდა ადგილიდან და გასასვლელს მიაშურა.

კვერნაძემ ჯერ ბრიგადირს გააყოლა თვალი, მერე თამარელას თვალებში უხეშად მიანათა და უხეშადაც უბრებდა სიტყვით გამასპინძლებას, რომ უცებ იცნო, მოაგონდა, წელან ნიკოს რომ ახლდა, გაეცინა.

— ჯერ ახლებს ვერა ვცნობ. მოგწონს აქაურობა, ეს ხალხი?

— ჯერ ძველებს ვერა ვცნობ! — ეშმაკური ღიმილით მიუგო თამარელამ. კვერნაძეს მისი პასუხი უფრო გაუკვირდა, ვიდრე მოეწონა. „სიტყვა მომიქრა“, — გაიფიქრა გუნებაში.

რამდენიმე წუთის შემდეგ ბრიგადირი დაბრუნდა. ვენტილაციის ათისთავის თანხლებით. კვერნაძესთან ერთად ათისთავმაც გაზომა აირი და დარწმუნდა, რომ მეტანი სანგრევში საკმარისი რაოდენობით დაგროვილიყო. ცვლის უფროსმა ბრიგადირი გააფრთხილა, — ვიდრე ჰაერი არ განიავდებოდა, შპურების დატენას არასგზით არ შესდგომოდნენ.

სილუეტებად ქცეული ადამიანების მოძრაობა, ლაპარაკი ირგვლივ შემოწოლილ სიბნელეში, უცნაური და იდუმალი შიშის აღმძვრელი იყო შეუჩვეველისათვის. თამარელას უკვე კარგად ჰქონდა შეგნიბული, რომ აქ შიშით ვერაფერს გააწყობდი. ყველაზე საშიში, მისი ღრმა რწმენით, აქ ახლა ის იყო, თუ შიში დაგუფლებოდა. მაგრამ გონების გადაწყვეტილებას და კარნახს აქ ნაკლებად ემორჩილებოდნენ გული და ნერვები. სულიერი წონასწორობა შეიძლებოდა დაერღვია ჰერიდან ჩამოვარდნილი ნახშირის სულ პატარა ნატეხს.

ბრეზენტის მილი გამართეს თუ არა, რამდენიმე წუთში ყველამ იგრძნო, როგორ აგრძიდა ლავში. ისევ თავიდან დაიწყეს ნათურით აირის სინჯვა.

ნიკომ რომ სანგრევში თამარელას სანახავად და მუშაობის მიმდინარეობის შესატყობად შემოიარა, მეორედ გაბურღული შპურებიც უკვე კარგა ხნის აფეთქებული იყო. ორი-სამი მტკაველის სისქეზე გადმოხევავეშულ ნახშირს სანგრევის იატაკის ზედა ნახევარი მთლიანად დაეთარა. ორი მუშა ნახშირს თრხით ქვემოთ აცურებდა, მესამე კი მას რეშტაკზე ჰყრიდა. ნახშირის დამცურებელთა შორის ერთ-ერთი თამარელა იყო. ნიკომ შემოსვლისთანავე ის ვერც კი იცნო. გოგონა მარჯვედ მუშაობდა, რადგან თოხი არ იყო მისთვის უცხო იარაღი და არც ეს საქმე მოითხოვდა დახელოვნებას.

ნიკომ პირველად ბრიგადირს მიაშურა. გასინჯა ნახშირის კედელი და მუშაობა ნაწილობრივ დაუწუნა:

— შპურების არასწორი განაწილების გამო კედელი არათანაბრად მოგინგრევიანო! — შპურების შემდგომი განლაგების წერტილებზე მიუთითა და მერე მებიგეს მიუბრუნდა, არც მისი მუშაობა შეუქია. მებიგე გამოედავა:

— ბიგები, მართალია, შორიშორს დაედგი, მაგრამ რა მექნა, მასალა ცოტა ჩამომაწოდეს და მეც ასე გავანაწილე. ბრიგადირსაც არაფერი უთქვამს... ალბათ ლეონტის მითითებაც ჰქონდა ამ საქმეშიაც.

ნიკოს დაცინევა სხვებისთვის იყო გაუგებარი, თორემ ბრიგადირი კარგად მიხედა და გაწითლდა კიდევაც. ნიკოს იგი მუდამ პატივს სცემდა. მისი განაწყენება ახლა სახარბიელოდ არ მიაჩნდა.

— ამხანაგო ნიკო, ასე იციან, თუ თავზე არ ადგახარ. უსათუოდ რამეს იტულღუტებენ.

— შენი აზრით, ვითომ რაზე უნდა მეცუღლუტა, გადანარჩუნება მინდოდა? სამმეტრიან ფიჭვის ბიგს ჯიბეში ჩავიდებდი და სახლში წავიღებდი თუ რა! — გაბრაზებულმა მებიგემ ნაჯახიც გაბრაზებით მოიქნია, ბიგს მიასო და დონიჯი შემოიყარა. ხვალ ან სხვა ცვლაში გადაყვანას ვითხოვ, ან სხვა სანგრევში.

— როგორ გგონია, — დინჯად გაისმა ბოლოს ნიკოს ხმა, — შენ მართალი ხარ თუ არა — ბიწაძესთან?

— ბიწაძესთანაც მართალი ვარ და...

— მაშ რა გაბრაზებს? ვინც მტყუანია, ის უნდა წაეიღეს, მართალი კი დარჩეს!

მებიგემ მაღლიერი თვალთ შეხედა ქომაგს, თუმცა სახეზე კვლავ მწყრალი იერი შერჩენოდა.

— შენ რა გვარი ხარ?

— ცირეკიძე.

ნიკომ გუნებაში გაიმეორა მისი გვარი, შეხედა და უსიტყვოდ გამობრუნდა. ნიკო ახლა უკვე სახვლიო ლონისძიებებზე ფიქრობდა. ამ ღამის ცვლაში შახტის დათვალიერებამ დაარწმუნა, რომ ბევრი რამ გამოჩენია მხედველობიდან.

ნიკომ თვალი ვერსად მოჰკრა თამარელას, ისევ ქვევით დაეშვა. გზადაგზა ბიგებისა და ჰერის მდგომარეობას ამოწმებდა, თან ნათურის შუქით თამარელას მიგნებას ღამობდა.

თამარელა ახლა ტრანსპორტერზე ნიჩბით ნახშირსა ჰყრიდა, ისინი კი, წელან რომ აქ რიგრიგობით მუშაობდნენ, ახლა თოხით ნახშირს სწევდნენ ზემოდან ქვემოთ.

ნიკომ თვალი მოჰკრა თამარელას, შორიახლოს შეჩერდა და ერთხანს კმაყოფილებით ადევნებდა თვალს მის გულმოდგინე მუშაობას.

სანგრევეში მოულოდნელად შემოვიდა ოთხი მუშა. ძველები მიხედნენ, რომ მათი ცვლა დასრულებულიყო.

ნიკო მხოლოდ ახლა მივიდა თამარელასთან, ჯერ მას, მერე დანარჩენ ორ მომხვეტ ქალიშვილსაც გამოელაპარაკა.

დრო ისე სწრაფად გავიდა, თამარელას არც კი სჯეროდა, თუ ამ სანგრევეში ხუთი საათი დაჰყო.

ახალ ცვლაში მოსულმა ბრიგადირმა სანგრევეი დაათვალიერა. ზოგი რამ არც მას მოეწონა. ნიკო ახლა მათთან იყო და ერთად ბუბუნდნენ. ვიდრე სანგრევიდან გავიდოდა, თამარელამ რამდენჯერმე მოიხედა უკან. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, დალოდებოდა თუ არა ნიკოს. თან ახალი გაცნობილი ამხანაგებისა ეხატებოდა, ჩვენთან ერთად წამოდის, სთხოვდნენ მას. ეს გოგონებთ სწორედ თამარელას მოწოდებამ მოიყვანა აქ და ახლა მასთან ყოფნაც, მუშაობაც, მასთან ერთად მგზავრობაც ესიამოვნებოდათ და თავიც ესახელებოდათ. ნიკო ისე იყო გართული ახალ ცვლაში მოსულ მუშებთან თათბირით, რომ თამარელამ იფიქრა „მას ახლა ჩემთვის აღარ სცალიაო“, და ახალ გაცნობილ გოგონებთან ერთად გავიდა სანგრევიდან. შუროთი მეასე ჰორიზონტისაკენ დაეშვნენ.

გზადაგზა მათ ხედებოდნენ ახალ ცვლაში სამუშაოდ მომავალი მეშახტეები. ერთი ნაწილი მუშებისა, რომელთა სამუშაო ლავეები ასზე ან სამოცდამეტხუთმეტე ჰორიზონტებზე იყო, ლიფტისებური ორსართულიანი გალიით ეშვებოდნენ, მეასე ჰორიზონტზე და შემდეგ აქედან ეშურებოდნენ თავთავიანთ სანგრევეებში. ისინი კი, რომელთა სანგრევეები ზედა ჰორიზონტზე იყო, ფეხით მიდიოდნენ.

ჩაეიდნენ თუ არა მეასე ჰორიზონტზე თამარელა და მისი ამხანაგები მათ ნიკოც წამოეწიათ. მას თან ახლდნენ აფრასიონ უკლება და რამდენიმე მეშახტე. ნიკომ ისინი აფრასიონის წინამძღოლობით გალისსაკენ გაისტუმრა.

— იცოდე, მშვიდობიანად გაიყვანე ხალხი შახტიდან. გზაში არაფერი მოიწიონ, არაფერმა შეაშინოთ, ელმავალს მოერიდეთ, თორემ ვერ გადაამირჩებით!

აფრასიონმა აღარ დააყოვნა, ერთი — შემოუძახა ახლებს, თავის გარშემო მოაგროვა და მერე წინ წაუძღვა. კაპიტალური შტრეკი, სადაც ახლა ისინი მიაბიჯებდნენ, ელნათურებით განათებული და ერთმანეთზე მჭიდროდ მიწყობილი მუხის ბიგებით იყო კედელგამაგრებული. ასევე მორებით იყო საგულდაგულოდ გამაგრებული ჰერიც. თუ ზემოთ, ლავეებში, ათასნაირი ხმები განუწყვეტლივ ისმოდა, აქ, პირიქით, საოცარი მყუდროება სუფევდა. აფრასიონის „ამალას“ მარტო ერთგან მოუნდა ნამდვილი, წვიმისებური ლუარტაფის ქვეშ გავლა. ხუთიოდე ნაბიჯის მანძილზე შტრეკის ჰერიდან, ფუქი ქანის ნაპრალებში გამოკონილი ბუნებრივი წყალი უხვად მოჩქეფდა. როცა მეშახტეები ამ ადგილს დაუახლოვდნენ, მათ თვალწინ ნათურების შექმნე გადაიშალა ლამაზი სანახაობა. შტრეკის ჰერიდან წყალი მართლაც ღვარად მოდიოდა. წყლის არათანაბარი სვეტები ნათურის შექმთა ზოლებში წარმტაცად ლივლივებდა და ბრკევილდებოდა. წყალს შტრეკის იატაკის მცირე მონაკვეთი გადაურეცხა, ჩაელრმავებინა, აქაიქ გუბებშიც იდგა და წყლის ნაკადები ხალისიანად სჩქე-

ფავდნენ მის ზედპირზე. ანკარა გუბის ფსკერზე მოჩანდა, ქვიშის მოზრდილი და მომკრო მარცვლები. ლიანდაგის ორ თუ სამ ძელს ნიანდაგი სულ გამოსცლოდა.

აფრასიონმა ისე გაიარა ლვართქაფის ქვეშ, რომ სულაც არ შეუნიშნავს იგი და არც გაწუწვა უვრძენია. ქალები ჯერ შეყოყმანდნენ, მაგრამ მერე ანგარიშმიუტეველად მიჰყენენ აფრასიონს და ხტუნვით, კისკისით გაიარეს „წვიმაში“.

გზაში ყველას მხნედ ეჭირა თავი. მარტო ერთხელ გაუდგათ მუხლებში შინის ქარი. უეცრად გამოჩენილი ელშავალის რახარახმა ქალები შეაშინა — ყვირილი და კივილი მორთეს. ზოგმა სწრაფად იბრუნა პირი უკან და გაკურცლა. აფრასიონმა ქალების კივილზე მოიხედა, ჯერ ხარხარი აუტყდა, მერე ელშავალს გზა სწრაფად მოუჭრა. მემანქანემ ელშავალი შეაჩერა და იყვირა:

— ვინა ხართ, რა ამბავია?

აფრასიონმა ქალიშვილებს უხმო:

— ნუ გეშინიათ, ჩემთან მოგროვდითო! — მაგრამ ვიღას ესმოდა მისი ძახილი. ხალხი ერთ წუთში მიმოიფანტა.

ელშავალის უეცარმა გამოჩენამ თამარელაც შეაშინა, მაგრამ იგი ადგილიდან არ დაძრულა, არც უყვირია. მისმა სიღინჯემ ორი სამი სხვაეც გაამხნევა. ეს არ იყო ადვილი საქმე, მაგრამ თამარელამ ამ „გამოცდასაც“ გაუძლო და ახლა გულში ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ არ დაიბნა და ამხანაგების სსააცილო არ შეიქნა.

აფრასიონი დიდხანს არ დამცხრალა, სულ იმუქრებოდა და ტრაბახობდა ზოგს მისი მუქარისა და ტრაბახისა სჯეროდა, ზოგს კი გუნებაში ეცილებოდა. ქალიშვილებს ამ ამბავმა ისე გადააფიქვა წელან ნაგებები შიში, რომ არც კი გაუგიათ, როგორ გამოიარეს სამასიოდე ნაბიჯი. გზაში ყველაზე მეტად თამარელა იჩენდა ყურადღებას და ცნობისმოყვარეობას. მას მხედველობიდან არ გამოჰპარვია მიწისქვეშა სამკედლოს არსებობა, საელშავლო დეპო, სადაც იდგნენ სარეზერვო და სარემონტო ელშავლები. მიწისქვეშა, პირველი დახმარების სამედიცინო პუნქტის ღია კარიდან თამარელამ დაინახა ნაცნობი ამხანაგი გოგონა. ის ზეწარგადაფარებული ტახტის კუთხეში იჯდა და წიგნს კითხულობდა. თამარელას, ცოტა არ იყოს, ეოცა, ვერ წარმოედგინა, — ას მეტრზე, მიწის გულში თუ შეიძლებოდა თეთრკედლებიან ოთახში ადამიანის ნახვა.

გალიასთან ჯერ მხოლოდ ოთხი-ხუთი მუშა შეგროვილიყო. გალიას ორი გოგონა ემსახურებოდა, ვაგონეტების გამგორებლებად კი უღია და ციცა გაეშწესებინათ. ისინი შეეგებნენ თამარელას. მერე, ხალისით განაგრძეს მუშაობა. ცაცა ლიანდაგზე ჩამოყენებულ შემადგენლობას ნახშირით სავსე მორიგ ვაგონეტს მოხსნიდა, მერე ვაგორებაშიაც შევლოდა ულიას. ისინი ზურგით აწვებოდნენ ვაგონეტს, ხელის განძრევა არც კი სჭირდებოდათ.

კაპიტალური შტრეკის სიღრმეში მომავალი მეშახტეები ორასიოდე ნაბიჯის სიშორეზედაც მკაფიოდ ჩანდნენ. ზემოდან შტრეკის ელნათურები ანათებდა, ქვემოდან კი აკუმულატორული ნათურები.

გალია მოულოდნელად ჩამოსრილდა და მსუბუქად იწყო ტოკვა, ხალხიც უმალ წამოიშალა და იქით მიაშურა. გალიის იატაკს პირი ვერ ესწორებინა შტრეკში დაგებული ლიანდაგისათვის.

აფრასიონმა ბევრი უტრიალა გალიასთან ერთბაშად მისეულ ხალხს, მაგრამ ვერაფერი გააწყო. მას უნდოდა, თავი გამოეჩინა და ისინი პირველად შეეყვანა გალიაში. იმედი თითქმის გადაიწყვიტა, რომ ამ დროს მოესმა — „გზა, გზაო“, და თვითონ რომ უტია, ხალხიც აქეთ-იქით მირეკა. უღია და ცაცა დატვირთულ ვაგონეტს მოაგორებდნენ. აფრასიონს ეშმაკურმა აზრმა გაურბინა თავში, ვიდრე სხვები დაასწრებდნენ, თავის ამაღას უცებ დაუარა და ისინი ვაგონეტს მიაყოლა. მოათავსეს თუ არა ვაგონეტი გალიის ქვედა განყოფილებაში, გალიამ ერთი განყოფილებით დაბლა დაიწია, ხერელის პირას მომზადებული ქალიშვილები პირველნი შევიდნენ გალიის ზედა განყოფილებაში. აფრასიონის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, თუმცა სასიხარულო და საზეიმო აქ ბევრი არაფერი იყო. თამარელას ასევე ჯერ სულაც არ უნდოდა, არ ეჩქარებოდა. პირიქით, ახლა აქ უფრო ეხალისებოდა ცოტა ხნით ყოფნა, ვინც სამუშაოდან, სანგრევებიდან, შტრეკებიდან ბრუნდებოდა, მათი გაცნობა, გასაუბრება და ყველაფრის გულდასმით მოსმენა. შახტში ყოფნით თამარელას უკვე თავი ესახელებოდა და გულით ეწადა, ყველას ეხილა, დარწმუნებულიყო, რომ ახლა ისიც მათთან იყო. მაგრამ აფრასიონის ჩარევამ ხელი ააღებინა თამარელას ამ სიამოვნებაზე. გალია რომ დაიძრა და მსუბუქად შეიჭრა ხერელში, თამარელას გაახსენდა ბავშვობა, როცა მას, საქანელას ფიცარზე მჯდომს, რამდენჯერმე გააქან-გამოაქანებდნენ და მერე ღონივრად გასტყორცნიდნენ ცისაკენ. თითონ კი, საქანელას ქვეშ გამძვრალი, წინ გაირბენდა გამამხნევებელი შეძახილით... თამარელას მაშინ ქარი უწეწავდა აშლილ თმებს, ხელებში ღონე ეცლებოდა და გულიც ამოფრენას ღამობდა; იმდენ სითამამეს იჩენდა, დროდადრო ხელსაც გაუშვებდა ზოლზე საქანელას ხან ერთ მავთულს და ხან მეორეს. ახლაც, თითქოს იმ საქანელაზე ზისო, ხელები უმაღლ გაასავსავა ჰაერში და გვერდით მდგომ ამხანაგს მკლავში ჩაავლო. ამხანაგმა გაკვირვებით შეხედა თამარელას. ნათურების შეუჭრე ახლა ყველა უცნაურად გამოიყურებოდა და ამხანაგსაც ისე მოეჩვენა, თითქოს თამარელას გალიაში ჯდომისა ეშინოდა.

თამარელამ სულის მოთქმაც ვერ მოასწრო, უჩვეულო სისწრაფით აღმა მსრბოლი გალია რომ უცებ მსუბუქად შეტოკდა და შეჩერდა.

გააღეს დაბალი კარი, რომელიც გვირახის ნაპირს კეტავდა. ქალიშვილები ერთბაშად გამოცვივდნენ გალიიდან. ყველანი ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს არა სჯეროდათ, რომ კვლავ მიწის ზედაპირზე იმყოფებოდნენ... ელნათურებით განათებული ხერელი ჯერ კიდევ ეძვს იწვევდა... გაიარეს ეს ხერელიც და გამოვიდნენ ნაცნობ შტოლნაში. მათს იდუმალ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა შორიდანვე შენიშნეს დღის სინათლე შტოლნის შემოსასვლელ კამარაში. გრძნობდნენ, რომ ნაბიჯს მოუჩქარეს. მაგრამ სიხარული, გულს რომ აგრერიგად უძგერებდა ქალიშვილებს, წინ უსწრებდა ამ აჩქარებულ ნაბიჯსაც.

პირველი ნაწილის დასასრული

„ლეილი და მეჯნუნიდან“

1953 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში შესრულდა 730 წელს დიდი აზერბაიჯანელი პოეტისა და მოაზროვნის ნიჰამი ბანჯალის გარდაცვალებიდან. საბჭოთა კავშირის მშრომელებმა ფართოდ აღნიშნეს ეს თარიღი. ვბეჭდავთ ერთ ნაწყვეტს ნიჰამის ცნობილი რომან-პოეზიიდან „ლეილა და მეჯნუნი“.



მიზაზი, რომელმაც დამაწერიდა ეს წიგნი

„ქეიყობადის მსგავსად ვლზინობდი,
ერთ დღეს ბედნიერ ცხოვრებით
მთვრალი,
მე ვკითხულობდი ჩემს ლექსთა
„დივანს“,
წარბი მოზრალი მქონდა, ვით რკალი.

ბედმა წინ სარკე გადამიშალა,
გადამივარცხნა თმა დახვეული,
მესალმებოდა ვარდებით დილა,
იაგუნდებდად გადაქცეული.

ვით ჩირალდანის ცეცხლში პეპელამ,
როგორც ბულბულმა, მსტვინავმა
გშხით,
მეც კოშკზე სიტყვის დროშა აღმართე,
და მოვიმარჯვე კალამი ხელში.

ბატის ფრთა იქცა ოქროს ნისკარტად,
ენა შემექნა დურაჯზე ყბედი,
გულმა მანიშნა: დრო დადგა, აღსდგე,
მდიდარ სასყიდლით გესტუმრა ბედი.

სანამ ვესუნთქავდე უსაქმოდ ქვეყნად,
ვიყო სოფლისგან გამდგარი განზე?
ცხოვრება არის ხელგამრჯე კაცის,
ააწყვე საზი სიკეთის ჰანგზე.

მშიერი კუჭით, შინ უქმად მჯდომი,
თუნდაც ქოფაკი იშოვის პურსა?
ქვეყანა არის სიმართლის მოქმელის,
ვინც ხალხის ვარამს ათხოვებს ყურსა!

თუ შენს დროებას გვერდით მიჰყევი,
თვით ეს დროც მაშინ გეკუთვნის შენა,
თუ გინდა თავი გამოიჩინო,
უნდა მოსძებნო ყველასთან ენა.

თუ სარკესავით ყველგან გაჩნდები, —
ყოველი ნივთი სწორად გვაჩვენე,
თუ დაეუფლა ოსტატს სიყალბე,
ის სიმართლესაც მრუდედ ახსენებს.

როცა მე ასე ვმარჩიელობდი,
ვარსკვლავთა ხომლი ტოვებდა ცასა,
ვამბობდი: შრომის ბოლო — სიტკბოა,
ვისაც ბედი აქვს, — იპოვის განძსაც.

ამ დროს აივანს ელჩი მოადგა,
მომცა ბარათი, არც ისე ვრცელი,
ის შეიცავდა სულ თხუთმეტ სტრიქონს,
შაჰს დაებეჭდა ლამაზი ხელით.

ყოველი ასო ბალივით ხარობს,
ჩირალდანივით სიტყვები კრთიან:
„ნიჰამი, ძმავ და მეგობარო,
შენ, ვისაც სიტყვის მეუფე გქვია.

გამოიღვიძე ტკბილი ძილისგან,
გვაჩვენე ძალა, ყოვლის მპყრობელი,
აღსდგე, გამოდი საასპარეზოდ,
გვიმღერე ლექსი, ლამაზად თქმული.

გვინდა მეჯნუნის სიყვარულისთვის,
გახსნა სიტყვების საღარო ბრძნული.

და, ლეილასებრ, სუფთა, უბიწო,
გვიმღერო ლექსი, ლამაზად თქმული.

რომ, როცა ამ წიგნს გადავიკითხავ,
ვთქვა: „გვირგვინია მისი ახალი,
რომ სიყვარულზე რაც უმღერიათ,
ყველა წიგნზეა იგი მალალი.“

ეს თემა არის სიტყვების მეფე,
იგი მოითხოვს შენგან სიმღერებს,
შენც არაბულ თუ ფარსულ ლექსით
მორთე პატარძლის სიმშვენიერე.

ხარ პატიოსან თვალთა სალარო,
ჩვენ კარგად ვიცნობთ გულდამწველ
სიტყვებს,

მაგრამ ჩვენ გვინდა ვიცოდეთ ისიც
ვის ძაფზე ასხამ ამ მარგალიტებს?

ჩვენ დაგვადაბლებს ენა თურქული,
დაბალი ზნე არ გჩვევია ჩვენა,
დიდ გვარიშვილთა შთამომავლებს
შეგვფერის სწორედ მალალი ენა.

უეცრად სისხლი ავარდა თავში,
მყის ბაგეებმა იწყეს კანკალი.

გამბედაობა არ მაქვს, გავიქვე,
ველარც საუნჯეს იხილავს თვალი.

ჩემი ცხოვრება მთლად გაცამტვერდა,
დავდნი, გაქვავადი, მუნჯად ქცეული,
ან შეგობრები სადღა არიან,
რომ გამიქარვონ დარდი წყვეული?

თურმე ჩემს სიტყვებს უყურადებდა
მამის სიბერის იმედი დიდი,
მომიახლოვდა შვილი მუჰამედ,
ჩემს ფერხთით დაჯდა ლანდივით
მშვიდი.

მითხრა: „ვინც ზეცას ესაუბრები,
ვინც ხოსროვ-შირინს უმღერდი
გრძნობით,

ახლაც ხალხს გული გაუხალისე
ლეილისადმი მეჯნუნის ტრფობით.

მარგალიტები შენც დააწყვილე,
დიდ საგანს შეენის დიდი ჰანგები,
საამურია, როდესაც წყვილად
დასეირნობენ ფარშავანგები.

შირვანშაჰ დიდი მბრძანებელია,
ვრცელი ირანის მფლობელი სრული,
იგი ანიჭებს ხარისხს, სიმდიდრეს
ხელოვნების და სიტყვის მსაჯული.

ის ითხოვს შენგან უცხო სამკაულს.
შენც სწერე, მგოსნის უჩვენე ძალი!“
შვილს ვუთხარ: „შვილო, შენ მართალი
ხარ,

შენი სიტყვაა მტკიცე, ვით რვალი.

ჩემი აზრები მეტად ფართოა,
და გულისთქმა კი — დიდია ძალზე,
თუ დერეფანი თხრობის ვიწროა,
სიტყვაც კოჭლობას დაიწყებს გზაზე.

მსურს მოედანი თავისუფალი,
როგორც დოღის ცხენს — მინდორი
ვრცელი,
გული აღარ გრძნობს დაშოშმინებას,
არ მატკობს შვეების წუთები მწველი.

სიხარული და ლხენაა სიტყვის
მთავარი ძაფი, ფუძე ნამდვილი,
ბორკილებით და სევდით შეთხზული,
სიტყვა სულს აწევს მწარე დარდივით.

თუ ზომაზე მეტს მოთხრობას მორთავ,
იმდენად ლაქებს შეამჩნევ მეტსა,
თუმც მოედანზე არ გამოვდივარ,
მაინც ბრძნულ სიტყვას ვიტყვოდი
ერთსა.

ამ მოთხრობაში არც მთა, არც ბალი
 არ ჩანს გაშლილი ვარდის კონებად,
 უდაბნოს ქვიშა ვის შთააგონებს,
 ან რა ძალა აქვს ამ შთაგონებას?

უსიხარულოდ შობილი სიტყვა
 მკვდარია, მაგრამ შაპი ბრძანებდა,
 მეც შევასრულე ზუსტად ყოველი,
 რასაც ბრძანებით ის მავალებდა.

დღეიდან ლეილ-მეჯნუნის ტრფობას
 მოვრთავ უნაზეს ქება-დიდებათ,
 რომ ამით შაპის გზა მომიფინოს
 ფასდაუდებელ მარგალიტებით.

თუ მკითხველს, როცა გადაიკითხავს,
 გულს აუღელვებს ლექსები თქმული
 დაე, სიყვარულს მანაც შესწიროს,
 თუ გააჩნია ნამდვილად სული!

თარგმანი ვასო ზორბაძისა.

უღელგეხილზე

მოთხრობა



შესავალი

სანქაროს უღელტეხილზე ხეტიალით დაქანცულს, კოდორის ხეობით ქლუხორისაკენ მიმეჩქარებოდა...

საბარგო ავტომანქანის მძღოლი აეარელი გაიოზ გუჯეჯიანი, როგორც ადგილობრივი მკვიდრი და მთის ბრძოლების მონაწილე, კოდორის ღორღიან ბილიკებზე კარგად იყო გაწაფული, ოღონდ ბაგადის კლდე მასაც აშინებდა.

— წყეული ბაგადა! — წამოიძახებდა ხანდახან გაიოზი და უკანასკნელ ღონეს ძაბავდა, როგორმე დაღამებამდე გადაგველახა ბაგადის კლდე — კოდორის ხეობის ეს ყველაზე სახიფათო ადგილი.

გაიოზის სიჩქარე მარტო ბაგადის შიშით არ იყო გამოწვეული. ჩვენ უნდა დავწეოდით აეარის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, მოსე ჯაფარიძეს ფოსფორიტებით დატვირთული ავტომანქანების ქარაჯანს რომ მიუძღოდა. ჯაფარიძის ქარაჯანმა ჩვენ სულ ერთი საათით გამოგვასწრო სუბუმიდან და მერე ვერაფრით ვერ შევძელით, დავწეოდით მას.

მართალია, ძალიან ეჩქარობდით და გზაც არცთუ ისე კარგი იყო, მაგრამ გაიოზმა, სიცოცხლით საესე ახალგაზრდა სევანმა, მაინც მოახერხა ბევრი საინტერესო ამბის მოყოლა. ის ჰყვებოდა ნადირობაზე, კოდორის ხე-ტყის დაცურებაზე, აეარელ კოლმეურნეთა ცხოვრებაზე...

გაიოზის ნათქვამიდან განსაკუთრებით მეხსიერებაში ჩამრჩა ომის წლებში მოსე ჯაფარიძის საგმირო ამბები. აეარელ ჯაფარიძეებთან ძველი ნაცნობობა მქონდა. მაინც ვერაფრით ვერ ვიგონებდი, რომელ მათგანზე შეუბნებოდა გაიოზი.

— მოსე ჯაფარიძემ, — მიყვებოდა იგი, — ზებირად იცის ჩვენი მთების ყველა ბილიკი და წაეარნა. ახლა სროლას არ იკითხავთ? ისეთი მსროლელია, ისეთი, რომ ტყვიას მიწაზე არ დაადგებს. გაქცეული ირემი თუ გაფრენილი ფრინველი მის ტყვიას ვერ აიცილენს. ჯაფარიძის ფიზიკურ თვალს არ გამოეპარება ნადირის ბუნაგი, არწივის ბუდე და ისიც დანამდვილებით შეუძლია თქვას. თუ რომელი მხეცი რომელი საცალფეხო ბილიკით გადაინაცვლებს ადგილსამყოფელს.

ეს, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებული მეჩვენა. მცდელი თვალთ გადავხედე მას. კოჭრიანი ხელებით მანქანის საჭეს ჩაფრენილი გაიოზი უშფოთვლად გაჰყურებდა ფრიალო კლდეებზე მიმავალ გზას და კი არ ანელებდა ჯაფარიძის ქება-დიდებას, უფრო უმატებდა...

მე ძალიან მაინტერესებდა გაიოზის ნაამბობი, მაგრამ არანაკლებ მაინტერესებდა ის, თუ როდის გამოჩნდებოდა ბაგადა. ყოველი კლდის თუ ხრამის გამოჩენისას, გაიოზს ვაჩერდებოდი სახეში. ბაგადაზე მიახლოებდა მინ თვალებში მინდოდა ამომეკეთხა.

— აი, ბაგადაც!..

ჩვენს წინ აღმართულიყო მრისხანე გოლიათი, რომლის ჩამოთლილი ქათქათა ტინები რიყრაცს აყენებდა შეღამების ბინდით მოცულ ხეობაში. ცამდე ატყორცნილი და არწივის ბუდეებით თითქოს მოჩუქურთმებული კლდის ქიმებზე გვირგვინებივით ჩანდნენ მეჩხერი ნაძვები, რომელთა ზემოთაც უკანასკნელ ირაოს აკეთებდნენ მთის ფრინველები. კლდის შუა წელს ზონარივით მიუყვებოდა დაკლავილი გზა. გზას ნისლივით გასდევდა ლოდებს დაჯახებული მდინარის თეთრი შხეფები.

ამ კლდის წინაშე მანქანაც და ადამიანებიც კიანჭველებივით ვჩანდით. ჩვენ მაინც მზად ვიყავით, პირისპირ შევბოდით მას და, შეღამების მიუხედავად, გადაგველახა იგი. მოულოდნელმა სტვენამ მიიქცია ჩვენი ყურადღება. მანქანა შეჩერდა. გავიხედეთ კაბინიდან.

გზის მხარმარცხნივ, წაბლონში ფარაჯიანი კაცი სვანურ ქუდს გვიქნევდა, რითაც გვანიშნებდა, მისთვის დაგვეცადა. ფარაჯიანი კაცის უკან საბარგო მანქანები და ნაბღის კარვები ჩანდა. კარვების წინ მინდორზე ცეცხლი ენთო.

— ჯაფარიძე! — აღტაცებით მითხრა გაიოზმა და კაბინის კარი გამოაღო. მოახლოებისთანავე ფარაჯიანმა გაიოზს მიმართა:

— არ გაბედო! ყოველ წუთს კლდის ნაფშვენები ეცემა გზას. რა ძალა გვადგას, დილაშდე შეეცადოთ!

ჯაფარიძის ამ სიტყვებში სიმხდალე და შიში კი არა, სიფრთხილე და წინდახედულება დავინახე.

გაიოზიც უსიტყვოდ დათანხმდა ჯაფარიძის წინადადებას. მანქანა გზის ნაპირზე დაეაყენეთ და ჩამოვედით. ჯაფარიძეს სანამ ხელის ჩამოსართმევად მიუვახლოვდებოდით, ჩემს თვალში ნაცნობმა სახემ გაიელვა, ჯაფარიძეც დავიხრებოდა მომჩერებოდა. ეტყობოდა, რალაც შორეულს იგონებდა.

— მეცნობით, — დავასწარი სიტყვა.

— მეც, — მომიგო ჯაფარიძემ.

— თუ არ ვცდები, ამ თხუთმეტითდე წლის წინათ საკენში ხეტყის დაცურებას ხელმძღვანელობდით!

— მართალია, და რამდენადაც ვიცი, თქვენ ჩემი ერთ-ერთი მეჯორგი იყავით.

— თქვენ არა მარტო ჩვენი მეთაური, პირადად ჩემი გადამრჩენელიც ხართ. არ გახსოვთ. დაშლალმა ჯორგმა რომ გამიტაცა და ჩანჩქერში გადამაგდო. თუ არა თქვენ, დაღუპვა არ ამცდებოდა!

— ეს კი არ მახსოვს. მაინც სასიამოვნოა ისეთ რამეს რომ მოგაწერენ, რაც ავთილშობილურია. მამ გამარჯვება!

გულითადად გადავეხეიეთ ერთმანეთს და ჯაფარიძის გასაგონად გაიოზს ვუთხარი:

— არაფერი ცვლილება არ განუცდია ამ თხუთმეტი წლის მანძილზე. ისეთივე ჯმუხი და ვაჟაყური. ისეთივე უნაოპო სახე. ოღონდ წვერ-ულვაშში შეჰპარვია ცოტაოდენი ჭალარა.

— ქალარა ხანდაზმულობის ბრალი არ არის. მთებში ხეტიალმა გამაქალარავა, — ჯაფარიძემ ნისლით დაბურული ქედებისაკენ გაიშვირა ხელი.

— რაც ამ ომში შენ გადაიტანე, კაცი კი არა, რკინა ყოფილხარ, — გამოეპასუხა გაიოზი.

უფრო მეტად დაერწმუნდი, რომ გაიოზმა მოსეს შესახებ რაც მიაბზო, გადაქარბებული არ იყო. ის არც ნადირობის ამკებში ტყუოდა. მეც მინახავს მოსეს სახლში ბორბლებზე შემდგარი ჯიხვის ფიტული და ვინ დაითვლის, რამდენი ირმის თუ არჩვის რქა იყო კედელზე მიჭედული. იატაკი ხომ სულ დათვის ტყავებით იყო მოფენილი.

ჯაფარიძემ მეზობლები გაგვაცნო, საგზალს რომ შეექცეოდნენ, და ბოლოს თავის კარავში შეგვიპატიყა. კარავში შესვლისთანავე მას ჩემი მგზავრობის მიზანი (ომგადაბდილი სოფლების დათვალიერება) გავაცანი.

— სალაპარაკო ბევრი გვაქვს, დროც ჩვენს ხელთ არის, — ღიმილით გვითხრა ჯაფარიძემ და მიწაზე დაგებულ ცხვრის ტყავებზე მიგვითითა დაემსხდარიყავით, — ოღონდ, სანამ მე დაეიწყებდე, შენ მოკვებები, რა ნახე ფსხუსა და სანქაროში?

— ნუ მკითხავთ. მე ვნახე ტყვიებით გასხლული ტყე... ყუმბარებით გადათხრილი მიწა... ძმათა სასაფლაოები... დაღწილი ბლინდაეები... ვნახე როგორ აღვივებდა მამაცი ფსხუელი ჩამქრალ კერას, დამწვარ-დაფერფლილ ნაფუძარზე როგორ აგებდა ახალ სახლს, როგორ აღადგენდნენ კოლმეურნეები დანგრეულ ბოსელსა და კანტორას. ვნახე ხალხი — მეომარი, ხალხი მშენებელი, — მივუგე მე.

— ახლა ჩემიც მოისმინეთ, — გვითხრა ჯაფარიძემ... — გვიან ღამით, როდესაც ის-ის იყო ნადირის ხორცს შევექეციით და ორიოდ ტოლჩა არაყიც გადავკართ, ჩვენმა მასპინძელმა დაიწყო:

თავი პირველი

უცნობი ჯარისკაცი

ეს მოხდა სამამულო ომის დაწყების მეორე წლის ზაფხულში. ერთხელ ღამით, როცა შრომით დაღლილ-დაქანცულ სოფელს ჩაეძინა, ღრუბლიან ცაზე შექმა გაიელვა. პროექტორებმა მრავალჯერ გაანათეს ჩვენი სოფელი.

გამანადგურებელი ბატალიონის ყველა მებრძოლისათვის გასაგები იყო, რომ ციდან მტერი გვზვერავდა.

მდინარე საკენს გაღმა, პატარა კუნძულზე მალე მტრის პარაშუტები დაეშენენ. მახლობლად ბომბიც აფეთქდა... მოსახლეობის ერთი ნაწილი ტყეში გაიხიზნა. ხოლო ზოგიერთმა იარაღი აისხა და ჩვენი ბატალიონის ქვეგანაყოფებთან კაეშირი დაიჭირა.

ბატალიონის შტაბიდან გვაცნობეს: იქ, სადაც მდინარე საკენს კალმახურა ერთვის, ხიდის დაცვა გაგვეძლიერებინა. დამატებით ერთი ათეულიც მოგვაშველეს.

უცებ ყვილაფერი მიწყდა. სოფელი კვლავ ძილს მიეცა. ახლა მხოლოდ მდნარეების შხუილი ისმოდა და ქლუხორის უღელტეხილიდან მონაბერი ცივი ნიავი შარიშურბდა ირგვლივ.

ღრუბლებში ზოგჯერ მთვარე გამოაშუქებდა და გაღმა მაღალ გორაზე, ძველისძველ ციხეს ვერცხლის გვირგვინს ადგამდა.

სურათი და უსურვაზით შემოთასმული ეს ციხე საუღელტეხილად სამხედრო გზატკეცილს გუშავობს და დალის ხეობას საიმედოდ კეტავს. მტერსაც კარგად ესმოდა ამ ციხისა და საუღელტეხილო გზის მნიშვნელობა. ამიტომაც ხშირად სხამდა ამ რაიონში საპაერო დესანტს...

ნაშუალამევს შესამჩნევად აცივდა. წვიმაც დაუშვა. თოფის საკეტი ერთხელ კიდევ მოვსინჯე, ტანზე ნაბადი შემოვიხვიე, იდაყვზე დაყრდნობილმა თვალი ისევ ციხეს მივაპყარი.

დაძაბულ წუთებში ილეოდა ივლისის ღამე და არსად ადამინის ბაიბური არ ისმოდა...

ძნელი იყო ასეთ ღროს სწორი სამოქმედო გზის გაგნება, მაგრამ ჩვენი ბატალიონის შტაბის მეთაური გიორგი ჯიშყარიანი არ დაბნეულა. დესანტის გადმოსხმიდან რამდენიმე ხნის შემდეგ მისი მეორე განკარგულებაც მივიღეთ ციხის სააღყო რაზმის გაძლიერებაზე. მე და რამდენიმე მეზრძოლმა მდინარე ფონდაფონ გადავლახეთ და ციხის მახლობლად, წიფლნარის გასწვრივ, სანგარში გავმაგრდით.

ამ უძძიმეს წუთებში ყველაზე უფრო იმედი მქონდა ჩვენი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის — ლევან თავბერიძის, როგორც რევკომის ყოფილი თავმჯდომარის, ბრძოლაში გამოცდილის და უშიშარისა.

დანამდვილებით გავიგეთ, რომ მტრის პარაშუტისტების ნაწილი ციხეში გამაგრებულიყო, მეორე ნაწილი კი მახლობელი ტყის გამოქვავულს შეხიზნებოდა.

ირაკრავა თუ არა, ჩვენს ზემოთ, მაღლობზე დაბანაკებულმა რაზმებმა გრიგალისებური სროლა ატყეს... დიდი სროლა ატყდა კალმახურას სანაპიროებზეც. მათ ჩვენც გამოვებმურეთ.

სანგარს ზარის ხმასავით მოედო ლევანის მრისხანე ძახილი. — დასცხეთ, ბიჭებო!

ჩვენც თავგანწირულად ვიბრძოდით.

ბრძოლის ამ წუთებში ჩვენს სანგარს შეხიზნოდა ერთი უცნობი ჯარისკაცი. პირველად მას ეჭვის თვალთ შევხედეთ. მეზრძოლების ერთი ნაწილი იმ აზრისა იყო, რომ ახალმოსულისათვის გვესროლა, რადგან, მათი აზრით, ის შენიღბული მტერი იყო, მაგრამ ახალმოსული ჩვენდამი მტრობას არაფრით არ იჩენდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ციხის შიგნით სროლა მინელდა. უცებ თითქოს ყველაფერი ჩაკვდა. წინასწარ ვიცოდით, რომ რამდენიმე ფაშისტს ბოლო მოვუღეთ.

ჩვენი სანგარის უკან მდებარე მაღლობიდან უცებ თავს დაგვესხა მოწინააღმდეგე. სრულად მოულოდნელად ხელიდან გამოგავაკალა ჩვენი ათეულის რჩეული მეზრძოლი ლევან თავბერიძე. ღელის პირას წაქცეულ ვაფკაცს თოფი ხელიდან გაუვარდა და ჩურჩულია აღმოხდა. დღესაც არ ვიცი, მას რისი თქმა სურდა. იქნებ იგი ბრძოლისაკენ მოგვიწოდებდა, იქნებ ცოლშვილთან რამეს გებაარებდა...

სანამ მდგომარეობაში გავერკვეოდით, მტერმა პარაბოლუმის რევოლვერის მეორე ჯირიც დასცალა და ერთ-ერთი ჩვენი მეზრძოლი მსუბუქად დასჭრა. მტერმა სწრაფად აიარბინა ქარათა და როცა ქვადგმულებში გამაგრებებს.

აპირებდა, ჩვენ მიერ ექვემდებარებულმა ჯარისკაცმა მას ბეჭეტი ტყვია მოატყუა. მოწინააღმდეგე ღორღებზე წაიკეცა. როდესაც პარაშუტისტს ხელიდან რევოლვერი გაუვარდა, დავრწმუნდით, რომ მას ბოლო მოეღო.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო უცნობმა ჯარისკაცმა, რომელმაც ლევანის მკვლელს სწრაფად სინუსტით ესროლა. ეტყობოდა, ქართული იყო, შეკითხვებზე პასუხიც ქართულად გაგვცა.

ჩვენი გამოწვევით გელა დაშინიანის რაზმებიც ჩამოვიდნენ გენწვიშიდან. ბატალიონის შტაბის უფროსის ჯიშკარიანის განკარგულებით, დაშინიანის რაზმები კალმახურას ტყეში გაიგზავნა იქ თავმოყრილი ჩვენი ქვეგანაყოფების გასაძლიერებლად.

სროლა ოდნავ მინელდა.

ჩანდა, მტრის უკანასკნელი ნაშთიც გატეხა ჩვენი იარაღის სიძლიერემ. რამდენიმე წუთით შესვენების საშუალება მოგვეცა, და ეს წუთიც ლევანის ხსოვნას მიეუძღვენით.

მეორე დღეს, სამხრობის ემს, როცა სროლა თითქმის შეწყდა, ჯიშკარიანის განკარგულება მოვიდა ციხეზე ალყის მოხსნის შესახებ. იგი გვატყობინებდა, სასწრაფოდ თავი მოგვეყარა აქარის სასოფლო საბჭოში.

ლევანის ცხეღარი ჯალამბარზე დავასვენეთ, ზედ ნაბადი დავაფარეთ და სასოფლო საბჭოს მიმართულებით გზას გაუღდექით. უცნობი ჯარისკაცი ჩვენთან არ წამოვიდა. ქლუხორისაკენ პირშექცეულმა მოგვაძახა:

— გზა მშვიდობისა, ბიჭებო, არ დამივიწყეთ!

უცნობ ჯარისკაცს ვთხოვეთ ჩვენთან წამოსულიყო.

— სამხედრო წესრიგი მავალებს ჩემს ნაწილში დროზე გამოცხადდე, — გვიპასუხა მან.

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დაღუპულ მეზობლს მაინც ეციოთ პატივი და ამაღამდელი ღამე ჩვენთან გაათიეთ, — ვთხოვეთ ყველამ. თვითუღმებრძოლს სულით და გულით სურდა ახალგააცნობილი ჯარისკაცი ჩვენთან წამოსულიყო.

ბოლოს ისიც დავეთანხმდა და აქარისაკენ ერთად გავწვიეთ.

გზატყუცილზე ტყვია-წამლის ბოლი იდგა...

უცნობი ჯარისკაცი ჩვენს შორის ახლობელივით გრძნობდა თავს. მისი უბრალოება და თავაზიანობა საბაბს გვაძლევდა დავვიანებოთ, მაგრამ მაინც გამოგვეკითხა ვინაობა. იგი თითქოს მიგვიხვდა, თავისთვის ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

— დალახეროს ეშმაკმა! რამდენი ხანია ფრონტზე სიყვდილს პირისპირ შევეცქერი და მშვიდობიან გზაზე მაინც როგორ ვიფიქრებდი, თუ ასეთი შეტაკების მოწმე გავხდებოდი!.. — ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მან ჯიბიდან ნაცრისფერი პორტსიგარი ამოიღო და ეშერული თუთუნი შემოგვთავაზა.

— დიდი ხანია ფრონტზე ხართ? — ეკითხე რამდენიმე ხნის დუმილის შემდეგ.

ამ დროს მან ცალი ხელით ღურბინდი მომართა და საკენსგაღმა შორეულ სერებს გახედა; ლამაზი სანახაობით მოხიბლულს, თითქოს გადააფიქვდა ჩემი შეკითხვა. კარგახნის შემდეგ მიპასუხა:

— არც ისე დიდი ხანია, რამდენიმე თვე გულრიფშის ჰოსპიტალში ვიწვიქი.

— რომელ ფრონტზე დაიჭერით?

მან სახეზე ოფლი მოიწმინდა და დაგვიანებით მიპასუხა, — ქერჩნი! — მერე ტყავის ჩანთიდან გახუნებული რვეული ამოიღო, რომელზეც მრგვალი ასოებით ეწერა: „სურვილი და სანგარი“. აღმაცერად ფანქრით ეყრდნობოდა: „ავთანდილ მეუნარგიას საფრონტო ჩანაწერები“.

გვიხარიათ

— შეხედეთ, როგორ არის გამურული, რამდენი ტალახი და სისხლი აცხია ზედ. ბევრი ჩემი ფრონტელი მეგობრის მოგონებას შეუბღალავად ინახავს ეს ფურცლები...

მეუნარგიას ნათქვამი იმდენად გულწრფელი და დამაჯერებელი იყო, რომ იგი ყველა ჩვენგანს გულის სიღრმეში ჩაწვდა.

გზაზე ჩვენი ბატალიონის მებრძოლები შემოგვხვდნენ. ბიჭებმა გულწრფელად დაიტირეს ლევანის ცხედარი. ერთხელ კიდევ დიდებით მოვიგონეთ მისი ნათელი სახე. მებრძოლებს გავაცანით ავთანდილ მეუნარგია და გზა განვაგრძეთ.

სწორი არჩევანი გაეკეთებინა მეუნარგიას. ვინაიდან ყუბანიდან ბაქოს მიმართულებით ჩრდილო კავკასიის გზები მტერს ჩაეკეტა, მას გადაეწყვიტა, კოდორის სამხედრო გზით ევლო და ქლუხორის უღელტეხილით გადასულიყო ჩრდილო კავკასიაში, სადაც მას ფრონტელი მეგობრები ეგულებოდნენ; ამიტომაც გასაგები იყო ავთანდილ მეუნარგიას სწრაფვა ფრონტისაკენ. ამხანაგების სიყვარული, მხედრული მოვალეობა და სამშობლოს დაცვის გრძნობა მას კავკასიის ფრონტზე მიაჩქარებდა.

ახალგაზრდა ჯარისკაცს, რომელსაც ფრონტზე ბევრი სისხლი უღერია, გული და ღონე ერჩოდა, სწრაფად გადაეღაზა კავკასიის მთაგრები და ცხრა მთას იქით მებრძოლ ძმებს მიშველებოდა.

ჩვენი ბატალიონის შტაბის მეთაურს — ჯიშკარიანს, როგორც კი გაეგო ლევანის მკვლელობა, ხუთი მებრძოლი წამოეყვანა და წამოსულიყო. სოფლის მისადგომებთან წამოგვეწია იგი.

ის იყო გენწვიშელ პარტიზანს გელა დაშნიანს თავისი მებრძოლები კალმახურას ჭალებზე დაებანაკებინა და ახალი განკარგულების მისაღებად შტაბში წამოსულიყო.

ჩვენს წინ საოცარი შესახედაობის კაცი იდგა. შავი, ხშირი უღვამ-წარბები და შავი თვალები დაშნიანს მრისხანე, ვაჟკაცურ გამომეტყველებას აძლევდა.

დაშნიანმაც თავისი მწუხარება გამოთქვა ჩვენ მიერ ქებაშესხმული ვაჟკაცის დაღუპვაზე. ბოლოს დაშნიანსა და ჯიშკარიანს გავაცანით ავთანდილ მეუნარგია.

საჭირო იყო სწრაფი მოქმედება. მით უმეტეს, ახალი ცნობა მოვიდა, მტრის პარაშუტისტები აღმოეჩინათ მარუხის მთის კალთებზე აძგარის მეჯვე წყლებთან. მათ სროლა აეტეხათ მარუხში მოქმედი ჩვენი ბატალიონის მებრძოლებისათვის.

რათი მდგომარეობა რთული იყო, ჯიშკარიანმა გადაწყვიტა, მარუხში თვითონ წასულიყო შეიარაღებული რაზმებით. მე ხუთი მებრძოლი მომცა. დაგვაგალა, მიცვალებული მშობლიურ სოთელში წაგვესვენებინა. ხოლო ჩვენი ახალგაყნობილი ამხანაგი მეუნარგია უპატივცემლოდ არ გავვეშვა. დაშნიანიც ჩვენსკენ უნდა წამოსულიყო, რადგან მას ჭრილობა გახსნოდა, თანაც მთებში ზედიზედ სამი ღამე ეთია და რამდენიმე საათით უნდა დაესვენა.



ქართველი
წიგლიწოდებენ

თავი მეორე

პირისპირ

სალამოვდებოდა, როცა აუარიდან გავედით და ლევანის სახლისაკენ ქვეითად გზას გავუდევით.

გეხსოვებოდა, როგორი ლამაზია ჩვენი სოფლის მიდამოები, განსაკუთრებით სალამოვამს, როცა მზე მეწამულ სხივებს ზღვაში ჩაუშვებს და ერთმანეთზე მიჯრილი მთები ლურჯ ფერს გადაიკრავს; მიხვეულ-მოხვეული გზები გაუქმდებიან და ნახირი ბლავილით შინ ბრუნდება.

მდუმარედ მივყვებოდი ჩემი სოფლის გზატკეცილს და სულ ლევანზე ვფიქრობდი.

ავთანდილ მეუნარგია ღრმად ჩაფიქრებული მოდიოდა ჩვენს შორის. მას ის აღონებდა, რომ ჩრდილო-კავკასიის ფრონტზე მისი გამგზავრება გვიანდებოდა. ავთანდილს თურმე განზრახვა ჰქონდა, ამაღმდელი ღამე გენწვიშში გაეთია, სადაც მისი ფრონტელი მეგობრის ომანე გელოვანის დედას უნდა სწევოდა სტუმრად. თან იქ მყოფი მეგობრები მოენახულებინა და ზეგ მაინც ჩასულიყო ჩრდილო-კავკასიაში.

— ვაგლახ, — ამბობდა მეუნარგია, — ქერჩის ნახევარკუნძულზე, როდესაც სისხლისაგან ვიცლებოდით და სანიტრებს ბრძოლის ველიდან გამოვყავდით, ჩემს ფრონტელ მეგობარს ომანე გელოვანს პირობა მივეცი, თუ ზურგში გავიგზავნებოდი, უსათაუოდ შენახა დედამისი. მაგრამ. როგორც ჩანს, ვერ ვასრულებ ჩემს დაპირებას.

გელოვანის ხსენებისთანავე დაშინიანმა ყური ცქეცია, შავ უღვაშებზე ნერვულად ხელი ჩამოისვა და აღელვებულმა ავთანდილს შესძახა:

— ნუ დარდობთ ამხანაგო მეუნარგია, მოესწრებით გელოვანების სტუმრობას, თუმცა, გაუგებარია, რა გესაქმებათ იქ?

მეუნარგია გააოცა დაშინანის ასეთმა მოულოდნელმა გულფიცხობამ. იქნებ ხუმრობსო, — გაიფიქრა, და დაკვირვებით შეათვალიერა დაშინანი. მაგრამ, როცა მის სახეზე სიწითლე შენიშნა, თვითონაც გაცხარდა.

ორთა შორის მოულოდნელად ატეხილმა დავამ იმდენად სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ მეუნარგია იძულებული იყო ახალგაყნობილისათვის ასე მიემართა:

— გეტყობათ, დაშინანო, ჯერ კიდევ შეგრჩენიათ მთიელების გულამაყოფა, მაგრამ საკმარისია ფრონტზე ორიოდ შეტაკების მონაწილე გახდეთ და სვანურ ჭიანურზე დაკრულ ჩარგასავით მოთვინიერდეთ!

კამათში ჩვენც ჩავერიეთ. მიცვალებული გზის პირას მდებარე დავასვენეთ. მეუნარგია ნაძვის მორზე დავსვით. მას ხელები გაუშეშდა, სახე გაუფითრდა, თითქოს ახალმორჩენილი ჭრილობაც გაეხსნა.

ბიჭებმა დაშინანი მოშორებით გამხმარ ჯირკვლ დასვეს და დაამშვიდეს. ხანდახან თოფნაკრავივით წამოხტებოდა იგი, ჩიხა-ახალოხს გაისწორებდა, სპილოს ძელის ვადიან სატევარს ქარქაშიდან ხან ამოსწევდა და ხან ჩააგდებდა; ამით თითქოს ამბობდა:

— მზად ვარ, ყოველივე ხიფათს ვაქცატური გული შევაგებო.

ჩვენ ჯერ კიდევ გონს ვერ მოვსულიყავით. ყველა ჩვენგანისათვის გაუგებარი იყო ამ მოულოდნელი შეხლის მიზეზი. განსაკუთრებით გვაოცებდა, თურაზე გაცხარდა დაშინანი ომანე გელოვანის ხსენებაზე; მით უმეტეს, თურაზე ორივე გენწვიშიდან ყოფილა და, როგორც გავიგეთ, ერთმანეთსაც კარგად იცნობდნენ.

დალამდა...

შორს ქლუხორის უფლებიანზე შავი ღრუბლები ჩამოწვა. შეღამების ბინდბუნდში გაუჩინარდნენ ფრიალო კლდეები და ქარაფები. დაშინანი გენწვიშის კალთებს გაპყურებდა და ფიქრობდა:

„ვინ იცის, ელისრება თუ არა იგი ამ მთების ძირას მდებარე თავის მშობლიურ სოფელში დაბრუნებას“.

მთებიდან კვლავ ყრუ გრუხუნე მოისმოდა. მთის ნიავს თითქოს დენთის სუნეც ჩამოჰქონდა.

მეუნარგია უცებ წამოდგა, მაგრამ ჯერ კიდევ გონს მოუსვლელს დაისრული, ყვითელი ნაპერწკლებით ავესო თვალები.

მიმოიხედა ირგვლივ. ლევანის გაციებულ გეამს თვალი შეავლო. მერე დაშინანის გარშემო თავმოყრილ მებრძოლებს გადახედა და მკეპარედ შემოგვძახა;

— წავიდეთ!

ჩვენც უსიტყვოდ გვეყვით მას.

ლევანის ცხედარი მშობლიურ სახლში მივასვენეთ. მისი ცოლ-შვილი და მშობლები ვანუგეშეთ. მერე იქვე შტაბში გამოვცხადდით.

გვიან ღამით დაშინანიც და მეუნარგიაც ვახშმად ჩემი ძმის სახლში მივიწვიე, თან წამოგვეყვა ბატალიონის ორი მებრძოლი.



სახლის აივანზე ვისხედით, მეუნარგია მიყვებოდა ფრონტზე მისი ცხოვრებისა და ბრძოლების ამბებს.

გელა დაშინანი კი ოთახში ტახტზე წამოწოლილიყო და სულგანაბლულ უსმენდა ჩვენს საუბარს.

დაშინანი მოულოდნელად წამოდგა. ორჯერ ზედიზედ ჩახველა და აივანზე გამოვიდა. ნალით დაქედილმა ჩექმებმა იატაკზე ბრახუნი მოაღინა. ჯაგარივით აშლილ თმაზე ხელი გადაისვა, ზანტად დაამოქნარა და მთვარეს ახედა, სხივებს უხედა რომ ჰტენდა მთაგორებს, ნორჩი სიმინდის ყანებს.

ზაფხულის წყნარი ღამე იყო.

მთაგორიან სოფელში აქა-იქ ძაღლები ყეფდნენ. არსად ქოხებში ხინათლის შუქი არ ციმციმებდა. სოფელშიც შეჩვეულიყვნენ შუქშენილებას. არც სიმღერა, არც სოფელელთათვის ჩვეული გნისი და გადაძახილი არსაიდან ისმოდა.

გაყოჩებულები ადამიანიც და ბუნებაც.

მეზობელი ბიჭები მრგვალ მაგიდას უსხდნენ და კამათელს აგორებდნენ. დაშინანის თანამგზავრებს ტახტზე წასძინებოდათ.

— პირდაპირ საოცარია, — დამწვიდებულად დაიწყო დაშინანმა ბანგრძლივი დღემილის შემდეგ, — ომანე გელოვანისა და ჩემი შეტაკების ამბები ლეგენდასავით დადის მთელს დალში და ჩვენმა პატივცემულმა ამხანაგმა დღეს

თითქოს საგანგებოდ მის შესახებ ჩამოაგდო საუბარი. ვინც ჩვენს ურთიერთობას კარგად იცნობს, ჩემს განრისხებას არ გაიკვირებს.

დაშინანის ასეთმა ლმობიერმა აღიარებამ დამაინტერესებდა მეუწარგია ც

გაინაბა. სანამ მე მას გამოვკითხავდი გელოვანის გადამტერების მიზეზს, დაშინანმა თვითონ დაიწყო;

— დალში თუ პირველი არა, უკანასკნელი კაცი მაინც არ ვიყავი. ჩემი წინაპარი დაღეშქელიანების ყმა არასოდეს არ ყოფილა. თავკაცების სათემო ბჭობაზე მეც სიტყვა მეძლეოდა. ზოგიერთი ჩიტირეკია ახალგაზრდის ფასი ძველ დროს ყაბარდო-ბალყარეთიდან ნაქურდალი ცხენები მეყოლება გადმოყვანილი. ყაჩაღებთან ბრძოლაში სამი ჭრილობა მივიღე, მაგრამ მკურნალობისათვის ექიმში არასოდეს არ შემიწუნებია. იარა ჩემ მიერ შემზადებული სამკურნალო ბალახებით მოვიმუშე.

ჩვენი ხელისუფლების დამყარებისათვისაც ცოტა არ მიბრძოლია. ხელისუფლების ურჩი სვანები ბევრი მომირჯულებია, როდესაც ზემო სვანეთში ვცხოვრობდი და მულახის თემს განვაგებდი. ორი შვილი აღვზარდე, ორივეს მალალი განათლება მივალბინე; უფროსი ვაჟი სამთო ინჟინერია, ქალიშვილმა ახლახან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ამჟამად ჩემთან სოფელში ისვენებს. ამ ხნის კაცი ვარ, ამდენი რამ თავს გადამხდომია და არ მახსოვს, ჩემი წადილი არ ამესრულებინოს, ომანე გელოვანმა კი ჩემს სურვილებსაც და ჩვენს ადათებს თავსლადი გადაასხა.

აქ დაშინანმა თხრობა შეწყვიტა, შავ წვერზე კვლავ ხელი ჩამოისვა, მერე ჩიბუხი თუთუნით გატენა და გააბოლა. ჩვენც გავაბოლეთ ავთანდილის ეშერული თუთუნი და სმენად ვიქექით.

დაშინანი ჰყვებოდა;

— ჩვენებური, სვანური, ადათების თანახმად, ჩემი ქალიშვილი ლამარა აკვანშივე სარძლოდ ჰყავდა დანიშნული მულახელ გაიოზ ფალიანს. მისი ვაჟი გივერგილი რომ წამოიზარდა, ლამარა გაიქნო. ფალიანებსა და ჩვენს ოჯახს შორის მოკეთეობას და მეგობრობას მტკიცე საფუძველი ეყრებოდა. ლამარა სულ თბილისში მყავდა სასწავლებელში და იგი გივერგილს იშვიათად ხვდებოდა.

ქალმა რატომღაც გივერგილზე თანდათანობით გული აიცრუა. როგორც შემდეგ გავიგეთ, ამ საქმეში ომანე გელოვანის ხელი ერია.

თბილისში, უმაღლეს სასწავლებელში ყოფნისას, გელოვანმა შთაუწერა ლამარას გივერგილის სიძულვილი და ყველაფერი ეს თურმე იმიტომ გააკეთა, რომ მას სურდა მისი მეგობარი სტუდენტი ყოფილიყო ჩემი ქალიშვილის ქმარი. კიდევაც მოწყობილი ჰქონდა თურმე საამისოდ საქმე.

ეს ამბავი გივერგილმა რომ შეიტყო, დასნეულდა. დიდხანს მინერალური წყლებით იმკურნალა მთებში, მაგრამ ბოლოს მაინც დარდს გადაყვა. როდესაც გივერგილის ცხედარი სამარეში ჩაუშვეს და მიწა მიასარეს, გული ბოლმით ამევსო, თავი ვერ შეეიკავე და მულახიდან დაბრუნებისას, გელოვანს რისხვად დავატყდი!

მას შემდეგ დიდი ხანია... მერე ომანე გელოვანი ფრონტზე წავიდა, მის შესახებ არც ავი მსმენია და არც კარგი...

— სწორედ კარგი შესანდობარაა ყოველივე ეს გელოვანისათვის. — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა მეუწარგია დაშინანის გასაგონად.

დაშინიანი შეება, ეტყობოდა, ცნობისმოყვარეობამ აიტანა, მაგრამ გაჩემდა. არაფერა უკითხავს მეუნარგიასათვის. მე კი ვერ მოვითმინე.

— ღვთის გულისათვის, გვითხარი, რა მოუვიდა გელოვანს?

— დიდი ხანია გელოვანის სისხლი ქერჩის მიწამ შეიწოვა.

— როგორ თუ! — დაიღრიალა დაშინიანმა.

— დიახ, იგი ბრძოლის ველზე დაეცა, მაგრამ ქართველობა და საქართველო დიახაც არ შეურცხვენია!

— ღმერთო! — კვლავ აღმოხდა დაშინიანს.

— და მე მინდოდა, გელოვანის უბედური დედა მენუგეშებიანა. ამ ამბავს მოჰყვა ჩენი მოულოდნელი შეხლაც.

— საწყალი ომანე! ვაი დედამისის ბრალი! როდესაც ომანეს სახელს გავიგონებ, — განაგრძო გელამ, — გივერგის წამებული სახე თვალწინ წარმომიდგება და არ შემოძლია, მოვითმინო. მეუნარგიასადმი ჩემი შელაპარაკებაც სწორედ გელოვანის ხსენებით იყო გამოწვეული. გთხოვთ, ნუ დამწამებთ, თითქოს პატარა არ ვცემდე ჩენს ახალგაუნობილ მეგობარს; მას ხომ მამულის დასაცავად სისხლი უღვრია და ამავე მამულის დასაცავად ამჟამად ჩრდილო კავკასიაში მიიშურება.

— მაშ, თქვენს ქალიშვილს ლამარა ჰქვია? — შეეკითხა მეუნარგია.

— დიახ, ლამარა ჰქვია. — მიუგო დაშინიანმა.

— თქვენთან სოფელში დიდიხანია იმყოფება?

— არც ისე დიდი ხანია; სულ რამდენიმე თვეა, რაც თბილისიდან ჩამოვიდა.

— მგონი, ვიცნობ თქვენს ქალიშვილს, მეც ხომ თბილისის უნივერსიტეტიდან ვარ... — ჩვეულებრივზე უფრო დაბალი ხმით მიუგო მეუნარგიამ.

— აღვიღად შესაძლებელია, იცნობდეთ, შავგვრემანი გოგოა, საშუალო ტანისა, — უთხრა თუ არა ეს სიტყვები, დაშინიანმა მცდელი თვალებით შეხედა მეუნარგიას.

ავთანდილი რატომღაც დაიბნა... ზედმეტმა სიხარულმა აიტანა. თავი ვერ შეიკავა და ოდნავ ხმაკანკალებულმა აღტაცებით წამოიძახა:

— მე თქვენს ქალიშვილს ლამარას დიდი ხანია ვიცნობ!

— სასიამოვნოა.

— და ვიცნობ, როგორც კარგ გულითად მეგობარს, რომლისთვისაც მე ცუდი არა მსურს.

— მაპატიეთ, მაგრამ მე ვერ გავიგე თქვენი სიტყვები. ეს ალბათ ჩემი ჩამორჩენილობის ბრალია. გთხოვთ პირდაპირ ილაპარაკოთ.

— უნდა გამოგიტყდეთ, რომ თქვენს ქალიშვილს ლამარას პატივსაც ვცემ და ბოლომდე ერთგული ვარ მისი. ჩვენ ამის შესახებ კარგა ხანია შევთანხმდით.

— გატყობ, ამხანაგო მეუნარგია, მოყვრას ნიღაბით ჰფიქრობ ჩემთვის სასიკვდილო ლახვარის ჩაცემას. თუ ასე გაქვს განზრახული იცოდე, ბოლოს ინანებ!

— გეფიცებით სინდისს, აღამიანობას და ჩემს სიყმაწვილეს, რომ მე თქვენი ქალიშვილი ლამარა ნამდვილად მიყვარს და თქვენდამი ჩემი თხოვნა იქნება არ გადაეღობოთ ჩენს სურვილებს.

მეუნარგია თანდათანობით მხნევდებოდა, მის უკანასკნელ სიტყვებში მეტი გამბედაობა და სიმტკიცე ჩანდა.

ყოველივე ამან ჩააფიქრა დაშინიანი.

მეუნარგიამ, როგორც კი შენიშნა, რომ მისმა სიტყვებმა დაშინიანებ ცოტად თუ ბევრად იმოქმედა, უფრო გაბედულად დაიწყო;

— რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენ ერთად ვისმენდით, ლექსებს, ერთმანეთს გავუგეთ გულის წადილი და სულიერად დაემეგობრდით. მე შორეულ ქერჩისა და ყუბანის ველებში თან დამყვებოდა მისი ტრფიალი და ფრონტებზე ბრძოლის ცეცხლით აღმანთებდა, — გულდაჯერებით თქვა მეუნარგიამ და ტყავის ჩანთიდან სამკუთხედად დაკეცილი წერილი ამოიღო, რომელიც თურმე ლამარას გაეგზავნა მეუნარგიასათვის, როცა ეს უკანასკნელი ფრონტზე იყო.

— თუ ჩემი არ გჯერათ, ამ ფურცელს მაინც ერწმუნეთ! — თითქოს გამომწვევად მიუგო დაშინიანს მეუნარგიამ და წერილი მარჯვენა ხელით მაღლა შეათამაშა.

— საკვირველება! — ოხვრით აღმოხდა დაშინიანს. რატომღაც უცებ გაინაბა და ენა დაემა. ავთანდილ მეუნარგიას სიტყვებმა და ლამარას წერილმა იგი საბოლოოდ დაარწმუნა სიმართლეში.

ახლა უკვე ნათელი იყო დაშინიანისათვის, თუ რატომ გადაუდგა ომანტ გელოვანი ლამარას და გივერგილ ფალიანის გამიჯნულებას. აი, თურმე ვის საქმეს ჩარხავდა გელოვანი. ყველაფერი გასაგებია ახლა დაშინიანისათვის, და იგი ამ მდგომარეობამ ჩააფიქრა. ცოტა არ იყოს, ეწყინა კიდევ, რომ მან ამის შესახებ არაფერი იცოდა. რად დაივიწყა მშობელი მამა მისი ხელით გაზრდილმა ერთადერთმა ქალიშვილმა.

დაშინიანს გადამთიელი მეგობრების გამიჯნულებაში მიუღია მონაწილეობა და, აფსუსს, მისმა ქალიშვილმა ზურგი აქცია მას. მაგრამ დაშინიანმა თავი იმით ინოჯგუშა, რომ ვეუკაცთან ჰქონია მეგობრობა და ამით მაინც არ შეურცხვენია მშობლების ამავი.

სუფრაზე ლევანის შესანდობარი დავლიეთ, ტკბილად ვიპურმარილეთ. ანწლის არყით შეზარხოშებულმა გელამ და ავთანდილმა ერთმანეთი მეგობრულად გადააკონცეს.

სუფრის დასასრულს მეუნარგიამ დაშინიანს გააწოდა საფრონტო დღიურებისა და ჩანაწერების რვეული; „სურვილი და სანგარი“.

თავი მესამე

ლამარა

დილაადრიან მივყვებოდით ქლუხორისაკენ მიმავალ გზას. დალის ზეობაში მოქმედი გამანადგურებელი ბატალიონის მებრძოლთა ერთი ჯგუფი ქლუხორის ულილტეხილზე გაგზავნენ. დაგვავალეს. დავხმარბოდით ულილტეხილზე მოქმედ ჯარებს საბრძოლო საქურველისა და სურსათის მიწოდებაში.

როგორც ახალმღებელი ცნობებიდან ირკვეოდა, გერმანელები მაგრად უტევდნენ კავკასიის უღელტეხილებს, ებლაუჭებოდნენ ყოველ ბორცვსა და მაღლობს.

ტყვიისფერი ნისლი იწვა საკენსა და კალმახურას ნაპირებზე.

ჰქროდა ნაძვისა და ფიჭვის სურნელებით გაქლენილი ნელი ნიავი.

მოჯარდნენ გზატკეცილზე სამხედრო საჰაერო დატვირთული ავტომანქანები, ურმები, ფურგუნები, სამთო ცხენები და სახედრები. შეუწყვეტელ წაყადად მიედინებოდნენ უღელტეხილისაკენ ჩვენი ქვეითები და კავალერისტები, მიგუგუნებდა სამთო არტილერია. მშობლიური მთების დასაცავად მიდიოდა რკინისა და ფოლადის ნიაღვარი.

ქლუხორის სამხედრო გზატკეცილი, რომელიც ჯერ კოდორისა და შემდეგ საკენ-კალმახურას ნაპირებს გასდევს, ბევრ ადგილას სახიფათოა. მოსახვევებში მანქანის მძღოლს დიდი სიფრთხილე და დაკვირვება სჭირია. გზა ბევრგან ბაგადასავეით ჩამოთლილ ფრიალოებზე გადის. აქ ფხიზელი შოფრები მანქანის საჭეს უშიშრად მართავენ და საბედისწერო ხეობაში მშვიდობით მოგზაურობენ.

ამ ხეობაში განსაკუთრებით სახიფათოა თვითმფრინავით ფრენა. ჩვენი ავიაგამანადგურებლები და ბომბდამშენები კი ყოველგვარ დაბრკოლებებს სძლევენ, დღედაღამ განუწყვეტლივ მიფრინავდნენ უღელტეხილისაკენ, სადაც ომის ცეცხლი მძვინვარებდა.

შორეულ მთებიდან და მალლობებიდან ჩვენამდე ყრუდ აღწევდა ტყვიამფრქვევებისა და ზარბაზნების ქუხილი.

გზაზე გვხვდებოდნენ დაქრილი წითელარმიელები, რომლებიც მანქანებით მოჰყავდათ.

გენწვიშამდე მივალწიეთ. ერთი კაკლის ჩრდილქვეშ შევისვენეთ, ცხენები საბალახოდ მიეუშვიეთ და მთავე წყლებისაკენ გავწიეთ.

წყაროს მიუახლოვდით თუ არა, გოგო-ბიჭების გუნდს გამოეყო ახალგაზრდა, გიშრისფერთმიანი ქალიშვილი და აღტაცებით შესძახა:

— მამა! მამა! — ქალიშვილმა სწრაფად ჩამოიბრბინა პატარა დაღმართი და გელა დაშნიანს ყელზე შემოეხვია.

„ეს ლამარა უნდა იყოს“, — გავიფიქრე და მეუწნარგიას გადავხედე. მისი ალუწილი ლოყები, მოკრძალებული გამოხედვა ჩემს ნაფიქრალს აგვირგვინებდა.

ეს მეორე თუ მესამე დღეა, რაც შემთხვევა მომეცა, ლამარა შორიდან გამეცნო. და აი, ახლა ცხადად წარმომიდგა იგი — საშუალო ტანის ქალიშვილს შოწითალო ბეწვიანი სვიტერი ეცვა, რომელიც ძალიან შეენოდა. ლამარა ყველა ჩვენგანს გამოეცნაურა. დაღში აეთანდლო მეუწნარგიას ჩამოსვლაზე თავისი გაკვირება გამოთქვა. უსაზღვროდ გაახარა მისმა ჩამოსვლამ, მაგრამ ჭკვიანმა ქალიშვილმა მამის წინაშე თავი შეიკავა. ქალიშვილის ასეთი სიდინჯე მომეწონა.

დაკვირვებული კაცი ადვილად შეამჩნევდა, თუ რა ძლიერი სიყვარულით იყო მათი გული აღსავსე.

ჩვენს გვერდით მოდიოდა ლამარა შევლივით მარდი და მთის ნაკადულივით ცქრილა.

— ეს მესამე დღეა, — თქვა ლამარამ, — ქარიშხალი მძვინვარებს მთებში და სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბუნება ათასნაირ ხიფათს უშვადებს ადამიანს.

ლამარა ეზოში შეგვიძღვა. ოჯახში სიამოვნებით მიგვიღეს.

შეიქმნა გორიდან გორზე გადასახილი, მოვიდნენ ქალ-ვაჟნი, ყველა მათგანი ცნობისმოყვარეობით გვათვალისწიებდა.

დაშინანის სახლი ამალღებულ სერზე იყო წამოდგმული, ირგვლივ ტყით შემოსილი, ამწვანებული მთები ეკრა. იქვე, ცოტა მოშორებით, სათიბები და ყანები იყო გადაშლილი. ქვევით მღვრიე საყენი ღრიალით მიგუგუნებდა ორწობებში. მღინარის ნაპირებიდან დარბეული ცივი ქარი სახლის წინ მდგარ უხარმარ კაკლის ტოტებს ასრიალებდა.

მალე სუფრაც გაიშალა.

მასპინძელს სტუმრების პატივსაცემად ყველაფერი ჰქონდა, ღვინოც, ანწლის არაყიც, მაგრამ სუფრაზე მაინც მოწყენილობა იგრძნობოდა. სვანები ავთანდილს მისჩერებოდნენ, თუ რას იტყოდა იგი ახალს ომის შესახებ. რაკი ავთანდილი სიტყვაქუნწი და უხალისოდ იყო, თანამესღვრენიც დუმდნენ.

ავთანდილის მოწყენა უშთაერესად იმით იყო გამოწვეული, რომ მას გვერდით უჯდა ომანეს დედა ძაძუ, რომელმაც არაფერი იცოდა შვილის დაკარგვის შესახებ.

ავთანდილის ნახვით გახარებული ძაძუ თავს ისე გრძნობდა, თითქოს მისი ერთადერთი შვილი ომანე ჩამოსულიყო ფრონტიდან. ავთანდილი და ომანე სამი თუ ოთხი წელიწადი ერთად სწავლობდნენ თბილისში და ძმებოვით უყვარდათ ერთმანეთი. როდესაც ძაძუ თბილისში ჩადიოდა, როგორც შვალისათვის, ისე ავთანდილისა და ლამარასთვისაც მიჰქონდა საჩუქრები. ავთანდილსაც დედასავით უყვარდა ძაძუ და გულზე ბოლმა აწევებოდა, რომ შვილდაკარგულ დედას სიმართლეს უშალავდა. გელა ავთანდილს თვალებით ხშირად ანიშნებდა, რომ ომანეს შესახებ არაფერი წამოცდენოდა. ავთანდილი განგებ თავს არიდებდა ომანეზე ლამარას, მაგრამ რალაც გუშანით დაეპყვებული დედა შეკითხვებით მოსვენებას არ აძლევდა სტუმარს.

ავთანდილიც ანგაროშს უწევდა დედისა და ახლო მეზობელთა სურვილებს და ჰყვებოდა ფრონტის ამბებს, ომანესა და მის თავგადასავალს. სმენად მცეული ლამარა ალერსიანი თვალით მისჩერებოდა ავთანდილს.

— ომის გამოცხადების პირველ დღესვე უნივერსიტეტიდან ბევრი გაგვიწვიეს ჯარში, — ამბობდა ავთანდილი, — მე და ომანე მწვერავ ათეულში მოვხვდით. მართალია, ახლო ნაცნობები მართო ჩვენ ორნი ვიყავით, მაგრამ ერთი წუთითაც არ გვიგვრძენია მოწყენილობა. ბევრ თბილსელ და უცხო ამხანაგს გავეცანით, მმასავით შევეთვისეთ. არასოდეს არ დამავიწყდება უკრაინელი სერგეი სინენკო. ჩვენ დიდხანს დაყავით ფრონტსა და ზურგში და ისე დაეძმობილდით, არ მეგონა, თუ უიმისოდ გაეძლებდი.

რომელი ერთი მოვიგონო. რამდენიმე თვეა, მეგობრების შესახებ არაფერი გამიგია. ჰოსპიტალმა საფრონტო ცხოვრებას მომწყვიტა. განსაკუთრებით მაინტერესებს ჩვენი სანიტარი ქალის ციციხო ჩხაიძის ამბავი. მან, სრულიად ახალგაზრდამ, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტმა საუკეთესოდ შეიფერა არმიული ფარაჯა. არაჩვეულებრივი გულისხმიერი და ერთგული იყო, მეგობრებისათვის თავდადებული. ჯერ კიდევ ზურგში ყოფნისას ბიჭებმა მას მეტსახელად „მებრძოლების მალამო“ შეარქვეს. იგი მართლაც იმსახურებდა ამ სახელს. თოვლში, წვიმაში, თუ ცეცხლში, იგი მზად იყო დაქრილს მიშველებოდა.

თავიდანვე ძალიან დაუმეგობრდნენ ერთმანეთს ომანე და ციციხო, ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ომანემ იგი საცოლედ დანიშნა. მათს მეგო-

ბრობას საფუძველი ჩაეყარა ჩვენი ეშელონის ჩრდილო-კავკასიიდან ქერჩში მოგზაურობის დროს. გზაზე ხან ვვოხუნჯობდით, ხან მეგობრულად ვბაასობდით და ხან ემღეროდით. თქვენებური „ლილე“ ომანესთან ვერცერთმა ვერ იმღერა ციცინოს გარდა. ომანეს კი თავდაიფყებამდე უყვარდა ეს სიმღერა. ციცინო და ომანე ხშირად მღეროდნენ. სიმღერით დამეგობრდნენ და მერე კირსა და ლხინში განუყარელი შეიქნენ.

ძაძუს თვალები უბრწყინდებოდა, როდესაც დიდი ხნის უნახავი შეილის სასიხარულო ამბავს ასე დაწვრილებით ისმენდა. გატაცებით უსმენდნენ ავთანდილის ნაამბობს ძაძუს მეზობელიც. გელაც კი, რომელიც ომანესთან მწყურვალად იყო, ენით უთქმელ სინანულს შეეპყრო. მან ჯერ კიდევ გუშინ გაიგო ომანეს დაღუპვა და, ძაძუს რომ შეხედავდა, თვალეზე ცრემლი ადგებოდა. ძაძუს კი ბოლომდე უნდოდა მოესმინა შეილის ამბავი.

— ქერჩში დიდხანს დავყავით, — განაგრძობდა ავთანდილი, — იქ ზღაპრული ბრძოლები გადაგვხდა. ბევრი დაიღუპა, ბევრი დასახიჩრდა, მაგრამ მტრის წინაშე მაინც არ დაერჩენილვართ ჯაბანი. იქ ერთ-ერთ ბრძოლაში ომანე დაიჭრა. ციცინომ და სხვა სანიტრებმა საველე ჰოსპიტალშივე განკურნეს იგი...

ყველა ჩვენგანისათვის შესამჩნევი გახდა ავთანდილის ამ სიტყვებზე როგორ გააეროლა დედას. გულმა რაღაც უგრძნო, ცუდად შეიქნა. ავთანდილმა საუბარი შესწყვიტა და დედას დაუყვავა.

— მერე, ის-იყო მაგრად შემოგვიტია მოწინააღმდეგემ, და იძულებული გავხდით, ქერჩი დაგვეტოვებინა. უანთახოისას მი ჩვენს ნაწილებს მოვწყუდი და საღვარე ტყეში ქართველ პარტიზანებს შევლორთოდი. ზამთარი იყო. უმკაცრეს ყინვებში, თოვლსა და ქაბუქში ჩვენი პარტიზანული რაზმები უშიშრად უტარდნენ და ანადგურებდნენ მოწინააღმდეგეს. ერთხელ ღამით, როდესაც მტრის რყვია-წამლის საწყობის ასაფეთქებლად მივითოდით, გზაზე ბუქში ნაღმის ნამსხვრევი მომხვდა, მძიმედ დავიჭერი. მერე ჰოსპიტალი... ოპერაცია...

სულრაზე წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. უცებ საიდანღაც მოისმა ნაზი და ტკბილი ჰანგაბი.

ჩანგს აცნისებდნენ კერასთან მსხდომი ქალები. ჩანგის ხმაზე წამოვიშალეთ. თვალცრემლიანმა და საცოდავად წელში მოკაკულმა ძაძუმ ავთანდილს თხოვა ომანისათვის წაეღო ჯიხვის ტყავის ჩუდი და ხელთათმანები.

— ნუ წუხნობი, დედი, თბილელი იქაც ბლომად გაქვს, — ეუბნებოდა ავთანდილი, მაგრამ ძაძუ თავისას არ იშლიდა. რა იცოდა ბედშავმა, რომ ომანე ვერასოდეს ვერ ჩაიციამდა დედის მოქსოვილ ხელთათმანებს.

იმ ღამეს გელას სახლში მოვიხეენეთ. დაწოლის წინ ავთანდილმა ღამარას უთავაზა საფრონტო დღიურებისა და ჩანაწერების რვეული „სურვილი და სანგარი“.

განთიადისას წამოვდექით და გელასთან ერთად ქლუხორისაკენ გაიხსენით. გამოთხოვების წინ ავთანდილმა ღამარას აღუთქვა, ხშირად მოიწერდა წერილებს, თავის მოძმებთან ერთად ყოჩაღად იბრძოლებდა. ღამარას დააბარა, მისი დედისათვის ხშირად მიიწერა წერილი ზუგდიდში და გაუბედურებული ძაძუ ყოველმხრივ გაიმხნივებინა.

ორუბლიანი იღო იყო. ქლუხორის მწვერვალი სქოლ ბურუსში იყო გახვეული. ხანდახან მწვერვალებიდან მსუბუქი ნიავი დაუბერავდა და ლეგა ნის-

ლებს შორს გადალაღავდა. პორიზონტებზე ჩნდებოდა ცად ოზიდულნი გუმბათიანი ნაძვები, თოვლგანუყრელი მწვერვალები. ხშირად ელავდა. ხანდახან შორეული ქუხილიც ისმოდა. ჩანდა, ცუდი ამინდი იქნებოდა და მეუნარგიას გაუძნელდებოდა უღელტეხილების გადალახვა.

სალამოს ქლუხორში ვიყავით და მეუნარგიას ქლუხორიდან ჩრდილო-კავკასიაში ვაცილებდით.

როცა თავისუფალი დრო მქონდა, მე და ლამარა შეუწელებელი ინტერესით ვკითხულობდით ავთანდილ მეუნარგიას დღიურებს.

თავი მეოთხე

ავთანდილ მეუნარგიას რვეულიდან



...მთის ძირას ბორცვზე პატარა კარავი გავშალეთ და სამხედრო ულუფას შევექვეით. ჩვენი დივიზია აქ რამდენიმე დღე დარჩება. ლეშის მამებარ ყორნებს კავკასიის მწვერვალებზე ჯერ არ უფრენიათ, მაგრამ ჩვენ ყოველ წუთს მზად ვართ მათ შესახებდრად.

ზაფხულის ღრუბლიანი საღამოა. ბორცვზე ვზივართ. ზოგი თოფის საკეტს პოხავს, ზოგი ოხუნჯობს.

უცებ ღრუბლებიდან მზემ გამოანათა, ჟანგისფერი კლდეების წვეროკინებზე ნისლი აბრეშუმით გაცურდა. კლდის ქვემოდან ფლატეზე ჯიხვი გამოჩნდა. ლოდინიდან ლოდზე მარტად გადახტა, უმალ შედგა, მოკაუქმებული რკით ხერხემალი მოიფხანა, მიიხედ-მოიხედა და მწვერვალისაკენ გაეშურა. ჯიხვი საცაა კლდის ზემოთ გაუჩინარდება.

კალმახელიძემ თავისი სნაიპერული თოფი მომართა და, როცა დაიმუხლა, ჩვენი კარავის ქვემოთ ორჯერ ზედიზედ იქეჭა ავტომატმა. ჯიხვი ახტა, ყირაზე გადაგორდა. ბოლოს კალმახელიძემაც ბეჭში მოარტყა ნაგვიანევი ტყვია; განგმირული ჯიხვი კლდის ქვემოთ ღრანტეში ჩაიჩეხა.

ჯიხვისთვის პირველი ტყვია ესროლათ თურმე, თამაზსა და გიგოლას, რომლებიც ჩვენს ნაწილობს ერთი დღით ჩამორჩნენ და ის-იყო ჩვენი ბანაკისაკენ მოეშურებოდნენ. ორმა ჩვენმა ამხანაგმა დანები ალესა და ჯიხვის გასატყავებლად დაიმართზე დაეშენენ.

სალამოს ჩვენს ბანაკში ჯიხვის მწვეალი შიშხინებდა და ნადირის ხორცის ჭამის მოლოდინში მადაგახსნილი ბიჭები მღეროდნენ, ოხუნჯობდნენ, იცინოდნენ.

მას შემდეგ, რაც ყაზარმის ბინადარი გავხდი, დღეს პირველად ვნახე ნადირის სისხლი. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ჩვენ ზომ მონადირეებს გვეძახიან.

დაე, გვერქვას სვავებზე მონადირე, მტრის წინააღმდეგ სროლისას ჩვენ ხელები არ აგვიკანკალდება.

წუხელ სიზმრად გნახე, წითელი კაბა გეცვა, სწორედ ამ ჯიხვის სისხლის ფერი.

სალამოვდება, მზე ჩადის. ბანაკში თანდათან სიჩუმე ისადგურებს. ლამაზია კავკასიონი, როდესაც ჩამავალი მზის სხივები უკანასკნელად ემშვიდობებიან მწვერვალებს.

მთას მთა ხურჯინით მხრებზე ჰკიდია. ჰიუსს ჩონგურის თეთრი სიმებ-
ვით აზია ნაკადული და განუწყვეტლივ ჩაგესმის ყურში რალაც უჩინარი, ტკი-
ლი მუსიკის აკორდები. ყველაფერი მშობლიური და ახლობელია, თვით უნუ-
ლის მუზარადებიანი მწვერვალებიც კი.

სანამ ყაზარმამი ეცხოვრობდი, იშვიათად გწერდი წერილებს, რის გამო
შენი არაერთი სამართლიანი საყვედური დავიმსახურე. თუ ამჟამად რატომ მოხ-
და ჩემში ასეთი გარდატეხა, მგონი მიმიხვდები.

ჩვენ ცეცხლის ხაზზე მივემგზავრებით. მშობლიურ მიდამოებს ვეთხოვე-
ბით. კარგა დაგეშოლები რუსეთის ველებში აფთარზე ვინადირებთ.

თოფს შეეუამხანაგდი, მას მივანდე ჩემი გული, ჰაბუეის სიცოცხლე.



მთის უბეში მიმალული რკინიგზის პატარა სადგური! ჩრდილო-კავკასიის
ამ პატარა და ლამაზ სადგურში წინათაც ვყოფილვარ, მაგრამ ახლა სრულიად
გამოცვლილი მეჩვენა იგი.

დაღლილი მგზავრების ერთი ნაწილი მოსაცდელი დარბაზის ტალანზე
დაყრილა და მკედრის ძილით ჩასძინებია. დაპრილი წითილარმიოიები აიარ კი-
დევ ვერ შისჩევიან ყაფარჯნებს. ჯარისკაცობი ჯგუფჯგუფად სხედან, არაყსა
და ქონიან შაშხს ეძალებიან. ადგილობრივ მოსახლეობას აქ გასაყიდად უმთაე-
რესად ანწლის არაყი გამოუტანია. მთიელების ერთ-ერთი საუკეთესო სასმელი
ხომ ეგ არის! როცა სოფელში ემოგზაურობდით, მთიელები მათთვის ჩვეული
გულუბხობით გვიმასპინძლებოდნენ.

— იოლდამ, იოლდამ. — მოგეძახოდნენ აზეირბაიჯანელი თათრის ქალები
და ნახუქებს გეთავაზობდნენ. ზოგ მათგანს მეომრებისათვის მზად ჰქონდა სა-
განგებოდ დამზადებული ბეწვოული და იმასაც გულწრფელად გვაძლევდნენ.
დედაბრები გზას გვილოცავდნენ, პიონერები კი თაიგულებით გეასახუქ-
რებდნენ.

სერგეი სინენკო კუთხეში დამადარა, რატომღაც მოუწყინია. თითქოს თვა-
ლებზე ცრემლიც მორევია. კარგად რომ დაეკვირდი, შევამჩნიე წამებული
დის, ტანიას სურათი ხელში ეჭირა, ალბათ, მწარე მოგონებამ ვაეკაცს გული აუ-
ჩუყა: შეეხედე და ქრუანტილმა დამიარა!..

— საწყალი სერგეი, მშობლები და ნათესავები ომში დაელუბა. მშობლიურ
სამყოფელს მოსწყდა, ორჯერ მძიმედ დაიჭრა. სისხლი დაღვარა და ისევ ფრონ-
ტზე მიემგზავრება, მოგიკვდის ჩემი თავი, — შორიდან ჩომად ანოგიშა ციციანომ.

— კავკასიაც მისი სამშობლოა, — დასძინა თამაზმა, — მან კარგად იცის,
რომ ბრძოლა კავკასიისათვის ბრძოლაა უკრაინისათვის, მისი დებისა და ძმები-
სათვის.

გიგოლამ კვერი დაუქრა:

— სერგეი სინენკოს ეს შეგნებული რომ არ ჰქონდეს, ის ასეთი ზალისით
არ წამოვიდოდა ფრონტზე ხელმეორედ, მით უმეტეს, მას თადარიგში ტოვებ-
დნენ.

მართლაც, სინენკოს გარეგნობაში იგრძნობა მტკიცე ნებისყოფა და ვაქ-
ცაური სული. შეგობრებს გვიყვარს იგი, ძმებვით შევეთვისეთ ერთმანეთს.

ამჟამად, კუთხეში მჯდარი რომ ვნახეთ, ჩვენთან მოეუხმეთ, თუნუქის ბატარა ტოლჩით ანწლის არაყი შეეთავაზებთ. სინენკოს ბევრი პატივი არ დასჭირებია. არაყი დალია და ციკინო ჩხაიძეს გვერდით მოუჯდა. როგორც სინენკო იტყოდა, ციკინო ყოველივე კეთილის ღირსი იყო. ციკინო მეტინშეტად გულკეთილი, სათნო ადამიანია, თან უაღრესად გულწრფელი, თავმდაბალი. ის ამტანი, მკვირცხლი და მტკიცე ნებისყოფის მქონეა; მამაკაცოვით შეიფერა ჩექმა და სამხედრო ფარაჯა; ვარსკვლავებიან ღილებს ქვეშ სცემს მისი მგრძნობიარე გული. რომელიმე წითელარმიელი რომ თითს გაიკაწრავს, ციკინოს მიაშურებს.

სადგურზე ტევა აღარ არის. ხალხი ფუტყარივით ერთმანეთში ირევა. მოდის ევაკუირებული მოსახლეობა. ქალებით, ბავშვებით, მოხუცებით და დაჭრილი ჯარისკაცებით გაქედლია ვაგონები.

შურდულებივით ჩაიქროლებენ სამხედრო ეშელონები და სადღაც შორეულ ჰორიზონტებზე ინთქმებიან.

ლიანდაგებს გადაღმა ისმის განერვიულებული მემისრის ხრინწიანი ძახილი. ვილაცას ხელბარგი მოჰპაროს და გახელებულმა დედაკაცმა კივილით მთელი სადგური აიკლო. მილიცია წესრიგს იცავს.

ომის საშინელებამ ყველგან თავისებური კვალი დააჩნია ცხოვრებას. ეს საშინელება აქაც, ამ ბატარა სადგურშიც აფორიაქებს ხალხს.

• •

დიდი ხნის მგზავრობის შემდეგ სადგურ კრიმსკაიაში ჩამოვედით. ახლა შორს ვართ ერთმანეთისაგან მაგრამ, ჩემო ლამარა, სულით და გულით მაინც შენთან ვარ. ყოველ თავისუფალ წუთებში გიგონებ. ხანდახან, როდესაც ჩაეთვლემ, სიზმარში გხედავ.

სადგურიდან ჩამოსვლის შემდეგ რამდენიმე კილომეტრი ქვეითად ვიარეთ და შელამებისას ერთ ბატარა სოფელში შიგვით. რამის გასათევად მოსახლეობაში გაგვანაწილეს. მე მოვხვდი ერთი მოხუციის სახლში, სადაც გულწრფელად მიმიღეს. ჩემს მასპინძელს ფრონტზე ორი შვილი ჰყოლია; ორივეს სურათები მშობლების საწოლ ოთახში ჰყიდია. დედ-მამა დღედაღამ იმედის თვალთ შეპყურებს ამ სურათებს; მეც მშობლიურად მომეპყრნენ, როგორც ფრონტელს.

— ჩვენს სოფელში ახალგაზრდობის უმრავლესობა ნებაყოფლობით წავიდა ფრონტზე, — მიაშობს მასპინძელი, — ქალიშვილებიც წავიდნენ. ჩემი უმცროსი ქალიშვილი ჯერჯერობით შინ მყავს, მაგრამ დღეს-ხვალ ისიც გამგზავრებაზეა.

— უკვე დაგვიზამთრდა, შვილო, ვინ გათოვლოს უპატრონოდ მიტოვებული სახლები, ვინ მოუაროს ამდენ მოხუცს და გაზაფხულამდე რომ მივალწიოთ. ვინ დახნას და ვინ დათესოს ყანები, — გოდებდა მოხუცი მასპინძელი.

ხანდახან თავის თავსაც იმხნევებდა და მეც მამხნევებდა, ამბობდა:

— რუსეთს უფრო დიდი გაჭირება ახსოვს, შვილო. იყო დრო, გვშიოდა. გვეიოდა, მაგრამ მტერი მაინც დაგვიმარცხებია. მუხანათების წინაშე ქელი მონურად არასოდეს არ მოგვიხრია. რუსეთი დიდია, რუსეთი ვრცელია!

ამ ახალგაყენებულ ოჯახში მე მსჯელობის საგანი ვაყენებდი. ერთი ასაკი-
დნენ: მე აუცილებლად რუსების შთამომავალი ვიყავი. ამას იმით ასაბუთებ-
დნენ, რომ მრგვალი პირისაზე მქონდა და ქერა ვიყავი, მათი მზრით ვუკულა-
ფერს აგვირგვინებდა მოკლე და ოდნავ მაღლა აწეული ცხვირი.

მე კი ვხუმრობდი: საქართველოს ისეთ მივარდნილ სოფელში დავიბადე
და აღვიზარდე, სადაც რუსებს გზადაც არ გაუვლიათ-მეთქი...

ამ კამათმა და სჯა-ბაასმა ერთმანეთს დაგვაახლოვა და ერთმანეთი შეგვა-
ყვარა. სამწუხარო ის არის, რომ ამ კარგ და გულუხვ მასპინძელთან დიდხანს არ
ვრჩები, მალე გავემგზავრებით ფრონტისაკენ.

ქერჩის ნახევარკუნძულზე ნაღმების ცეცხლი ანთია და დღეს თუ ხვალ
კავკასიიდან ახალჩამოსული ყმაწვილებიც საბრძოლო ნათლობას მივიღებთ.

მშრალად თოვს. სუსხიანი ქარი დაძრწის ვრცელ მინდვრებზე.



ვწევარ და სულმოუთქმელად ვთხრი სანგარს. იქნებ ეს ნაჩქარევად გათხ-
რილი სანგარი ჩემი სამარე გახდეს! იქნებ აქ დაიძარხოს ჩემი სურვილები, მაგ-
რამ იმასაც ვფიქრობ, ეს სანგარი გადამარჩენს-მეთქი.

ნაცნობთაგან ჩემს ქვეგანაყოფში სერგეი სინენკო და ეფრემ გოდერძი-
შვილი მოხედნენ, სხვა ყველა უცნობია, მაგრამ ერთმანეთს ძმებოვით ვშველით.
ჯერ სროლა არ დაგვიწყია, მოსამზადებელი სამუშაოები კი ძირითადად შეს-
რულებული გვაქვს.

ვილით განკარგულებას!

მზვერავეები ცნობების მოსატანად წავიდნენ. საცაა ისინიც მოვლენ.

ცივა, ირგვლივ ფრთავაშლილი გრიგალი დაძრწის.

ჩემი სანგრის ახლოს თავგანჯილი ჯარისკაცის გვამი გდია. მე ხანდახან
მორიდებულად ვიმზირები მისი. ჩვენს შორის ჩამდგარა იღუმალი სიჩუმე.
უცნაური დუმილი ზოგჯერ შიშსაც მგვრის ხოლმე. მის ირგვლივ თოვლი სის-
ხლითაა შეწითლებული. სუსხიანი ქარი დაძრწის გავერანებულ ვილებზე და
გვამს ნამქერს აყრის სახეში. ეტყობა, ამ კაცს სიკვდილის წუთებში მიწა და
თოვლი უთხრია. სიკვდილის წინ ამაოდ უბრძოლია. უღმობელ ტყვიას ახალ-
გაზრდა სიკოცხლისთვის შაგი წერტილი დაუსვამს. მისი ახალგაზრდული ოც-
ნება ქერჩის ველზე დამიწებულა.

— ვინა ხარ, ძმაო, იქნებ ჩემი ტოლი ხარ და მეზობილი! ვაი დედიშენის
ბრალი, რომელმაც აკვანი გირწია და ნანა გიმღერა! იქნებ ბავშვები გყავს და
შენს მოლოდინში ჩიტის ბარტყებოვით ჩოჩრტულეები!

ბრძოლის ველზე სანიტარული შემოწმება დაიწყო. უცნობი ჯარისკაცი
ძმათა სასაფლაოზე წაასვენეს. ერთ სანიტართაგანს ქართულად აღმოხდა:

— საწყალი დათო არეშიძე!

რაღაცამ ელემტრონული ძალით გამკრა და გამაყრიალა. ჩემი თბილისილი
შეგობრის დათო არეშიძის სახემ თვალწინ გამოიღვა, თითქოს თვალთ დამიბ-
ნელდა. ბარი ხელიდან გამივარდა. ცოტა ხნის შემდეგ, გონს რომ მოვედი, სა-
ნიტართა ათეულისაკენ გავემართე. სანიტრები კი თოვლით დაფარულ პატარა-
ბორცვს მიეუარნენ და გაუჩინარდნენ.



მერწმუნე, ჩემო ლამარა. პირველი გასროლის წინა წუთები წარმოუდგენლად მძიმეა. ასე შეიძლება ითქვას: თითო წუთი თითო წელიწადს უდრის.

მე ახლა შეზარხოშებული კაცივით ვარ. ან რა გასაკვირია, მე ხომ ბევრი საშინელება ვნახე და უფრო მეტსაც მოველი. დამშვიდებულ დროსაც ძნელია მთელი სისრულით ამ საბედისწერო წუთების აღწერა.

და ამასობაში პატარა, აბორცვილი გორაკის იქით, ჯაგებთან კვამლი გაჩნდა. იგი თანდათანობით გაიზარდა, გორაკიდან გორაკებს გადაედო. მას ყრუ გრუხუნის მიჰყვა, იმატა ქუხილმა.

გამაყრუებელ გრგვინვა-გრიალს ადამიანის გამყვინარი ხმაც მოჰყვა.

ერთბაშად, თითქოს დედამიწამ ხახა დაალო და ამოანთხია მის გულში დაგროვილი ღვარძლი, ამოსკდა ქვის. ქვიშის, ხისა და ნახშირის ნიაღვარი. დადგა კვამლისა და ბულის კორიანტელი.

ერთხანს თავბრუ დამეხვა, ყურთასმენა დამეხშო. სინათლეგამქრალ თვალეში თითქოს შავი ლანდები ბუქნაზე გადავიდნენ, თითქოს ტყვიით დაიციხრილა ჩემი სხეული, თითქოს მიახლოვდება შავი სიკვდილი და კუშტად მზირალი თვალეებით შემეჭრება.

ამ დროს აქ გაჩნდა ჩემი მოხუცი დედაც. ის შავ თავშალსა და შავ ძაძებშია გახვეული და მესმის კენესა: „შეილო“!

რამდენი თბილი და ენით გამოუთქმელი გრძნობაა ამ სიტყვებში ჩაქსოვილი. იგი მტრის წინააღმდეგ საბრძოლო მოწოდებაც არის და ხიფათის წინაშე დარიგებაც. ხან ალესილი ხმალია და ხან მშობლიური ნანა.

ამ ღრიანცელში ჩვენი ბატალიონის მეთაურის ხმაც მესმის და ყოველივე ეს ზოგჯერ თითქოს ზღაპარია, ზოგჯერ კი მკაცრი სინამდვილე. უცებ ჩემი ავტომატი დადუმდა. ჩანს, პირველი ჯერი დავცალე.

მდგომარეობიდან ოდნავ გამორკვეულმა, როცა სავანზე ჩანთიდან ტყვიებს ვიღებდი და ავტომატს ხელმოკრედ ვტენიდი, ბურუსგადაცლილ მალლობზე ეფრემ გოდერძიშვილი შევნიშნე. ხის დატოტილ ფესვებს ამოფარებოდა იგი და, ოფლში გაწურული, რომელიღაც წერტილს თავდავიწყებით უშენდა.

ჩემგან ცოტა დაშორებით უზარმაზარი ტოტებდაზღაროული ხე დგას. ეს ერთი ხანია მას თავზე დაატყდა ტყვიების მეხი და დაუღუწა კანდაკორძებულ ტოტები. ბოლოს მთლიანად გადაილო ზედა ტანი და ოდნავ აფრენილი ხე მიწას დაენარცხა. ვხედავ, სანგარში მყოფი სამი მებრძოლი უსულოდ დაეცა ერთი მათგანი ჩელიაბინსკელი იყო. რომელმაც სროლის დაწყების წინ ძმობა შემომფიცა და მითხრა: „თუ შენზე წინ მოვედდი. დაუმარხავს ნუ დამტოვებო, ხოლო ვინიცობაა ჩემზე წინ ბედმა გიმუხთლა. ჭირისუფლობას არ მოგაკლებო“.

და აი, ეს ჩელიაბინსკელი მეგობარი ხემ მიწაში ჩაიტანა. მე მას დაპირება ვერ ავუსრულე.

საოცრად მომწყურდა... თითქოს ნაკადულის ჩხრიალი მომესმა. თავი წამოვყავი. უცებ ტყაცანი გააღინა და ტყვიამ თავზე მუზარადი გადამაცალა.

არა უშავს-რა, კარგი და, თანაც. მწარე გაკვეთილია! ჩანს, რომელიღაც ბლინდაიქიდან კარგად დაგეშილი სნაიპერი მითვალთვალებს, მაგრამ ვერ მოგართვის!

ტყავის ხელთათმანის ღილები კარგად შევიბნე: ქურჭზე ქამარი შემოვიჭირე, მუზარადი კვლავ დავიხურე, ერთი ამოვისუნთქე და ბოლოს ომანიანად დავკვიცილე.



წავიდა და წავიდა მტრის ბანაკში ტყვიების სეტყვა.

— სამშობლოსათვის! — ისმის ბატალიონის მეთაურის საიერიშო ყიყინა და ანთია ჩაუქრობელი ხანძარი... აქ ადამიანები ერთმანეთს ცეცხლის ენებით ესაუბრებიან.

ზღვის ლურჯი ჰორიზონტიდან ფოლადის ფრინველებმა დაბლა ფრენით გადაუქროლეს ხაზს და სადღაც მიიმალნენ. ფერღობებიდან ამოგრიალდნენ ავიგამანადგურებლები და თვალის გახელვის უმაღლესი გაუჩინარდნენ...

თავი მხუთე

უღელტეხილზე

როცა თავისუფალი დრო გვქონდა, მე და ლამარა შეუწელებელი ინტერესით ვკითხულობდით ავთანდილ მუენარგიას ამ დღიურებს. როგორც ლამარამ მითხრა, იგი თურმე ყოველ ღამე დაწოლის შემდეგაც დიდხანს კითხულობდა მუენარგიას ხელნაწერებს და, როდესაც ტბილ ოცნებაში ჩასთვლემდა, რვეულებს სასთუმალქვეშ ინახავდა. ლამარა აღტაცებით მიამბობდა დღიურების კითხვით მიღებულ შთაბეჭდილებებს.

— თითქოს ყოველ ღამესო, — მიამბობდა ერთხელ ლამარა, — ქლუხორის მაღალ სერზე გადმოდგება ავთანდილი და ოქროსფერ სათიბებში სალაღობოდ მჩხმობსო...

გვაწუხებდა, რომ ჩრდილო-კავკასიაში გამგზავრების შემდეგ ავთანდილის შესახებ არაფერი ვიცოდით. არც ავთანდილის მეგობრებისაგან ისმოდა რამე...

ყოველივე ამან მწარედ ჩააფიქრა ლამარა. შემოდგომის მშვიდ საღამოებში ის სახლის მახლობლად მდებარე სათიბებში დადიოდა და ამალღებული ბორცვებიდან გაკუჩრებდა შორეულ ჰორიზონტს, საიდანაც უკანასკნელად თვალებს მიეფარა ავთანდილი.

— წერილი მაინც... — წუხდა ლამარა, მაგრამ წერილიც არსიდან ჩანდა. უღელტეხილებიდან ახლად გადმოსულ ჯარისკაცებს საგანგებოდ უხედებოდა იგი, მაგრამ ვერავის შეხვდა ისეთს, რომელიც ავთანდილის შესახებ რაიმეს უამბობდა. ომანე გელოვანის დედა ძაძუ ხშირად გვევედრებოდა:

— დედაშვილობას, გვითხარით, მუენარგია თუ რამეს იტყობინება ომანეს შესახებო. როდესაც ძაძუ ჩვენგან უარყოფით პასუხს მიიღებდა, გულდაწყვეტილი შინ ბრუნდებოდა.

ხანდახან. როდესაც უღელტეხილიდან დაშინანის სახლში ვბრუნდებოდით, მახლობელი სერიდან მესმოდა, თუ როგორ მოუხმობდა ძაძუ სამოვრებზე შეფენილ ძროხებს. ზოგჯერ ღამით. შეგვიანებულზე, გამოკეტილი სახლის წინ ძაღლები გულშემზარავად ყმუოდნენ.



სროლის ხმა თანდათან ნელდებოდა. ფრონტი დასაელოთისაკენ მიიწევდა: ამაყად იდგნენ კავკასიონის მწვერვალები. არც ქარიშხალი, არც სეტყვა და თოფ-ზარბაზნების გამაყრუებელი გუგუნი ამ გოლიათებს მარადიულ სიმშვიდეს არ უფრთხობდა.

შემოდგომაზე კვლავ გამოგვიძახეს ქლუხორში. დაგვეაღვს: ჩრდილო-კავკასიიდან მომავალი დაპრილი წითელარმიელები უვნებლად გადმოგვეყვანა სამშვიდობოზე. ჩვენთან იყვნენ გამოცდილი პარტიზანები და სამთო დივიზიები.

ქლუხორზე სამი დღე-ღამე ქარბუქი მიძინვარებდა.

სამი დღე მამაცურად ვუმკლავდებოდით ამ შფოთსა და გრივალს.

მწვერვალზე მალიმალ გადაიგრიალებდა ჩვენი ესკადრილები. ხანდახან თავზე რუკრუკით გადაგვიფრენდნენ ტყის ქათმები, როჭოები და ქედებს გადალბა იკარგებოდნენ.

ულელტეხილზე სახელი გაითქვეს დაშნიანის ბატალიონის მებრძოლებმა. მათი მეშვეობით რამდენიმე ასეული წითელარმიელი ხიფათს გადარჩა.

ნახირი, რომელსაც წითელარმიელები ჩრდილო-კავკასიიდან მოერეკებოდნენ, ქლუხორში ითოშებოდა. პირუტყვის ნაწილი იღუპებოდა. ჩვენ უკანასკნელ ღონეს ვძაბავდით, რათა ნაკლები მსხვერპლის გაღებით სამშვიდობოს გადაგვეყვანა ადამიანი და პირუტყვი.

ხანდახან, როდესაც ქარი ნისლს გადალალავდა, გამოჩნდებოდნენ მალალი მთის კოპებშეკრულა მწვერვალები. თითქოს წალუკვით გვემუქრებოდა დედებუნება.

ულელტეხილზე დიდხანს დაყავით.

ერთ დღეს, როდესაც ჯარისკაცებს ნახირის გადმოდენაში ვშველოდით, ჩვენთან მოვიდა სამი სანიტარი ქალი. ეტყობოდათ, მთებში სიარულით გაწვრთნილიყვნენ, მაგრამ მაინც უძნელდებოდათ მოლიბულ გზაზე ფეხის მონაცვლება. ისინი თურმე ჩრდილო-კავკასიიდან ჯარისკაცთა ჯგუფს მოჰყვებოდნენ. როდესაც მწვერვალზე ქარბუქი ამოვარდა, ამხანაგებს მომწყდარიყვნენ და გზა დაბნეოდათ. გელა დაშნიანმა გაიყვანა ისინი სამშვიდობოს.

შელამების ეამს, როდესაც მე და დაშნიანი კვლავ ერთმანეთს შევხვდით. მან ოდნავ მოწყენილმა სამკუთხედად დაეცილი წერილი გადმომცა, რომელიც ავთანდილ მეუნარგიას გამოგვზავნა ჩრდილო-კავკასიიდან. ჩემს შეკითხვაზე, თუ ვისი მეშვეობით მიიღო ეს წერილი, დაშნიანმა მიპასუხა:

— სანიტარმა ქალმა ციცინო ჩხაიძემ ჩამოიტანა. სამი ქალიშვილიდან, რომელიც ჩვენ დღეს ულელტეხილზე გადმოვიყვანეთ, ერთი ციცინო ჩხაიძე ყოფილიყო, ავთანდილი თავის დღიურებში რომ ახსენებს; ერთმანეთის გამოცნაურების შემდეგ ციცინომ ავთანდილის ეს წერილი გადმომცა.

წერილიდან შევიტყვე, რომ ავთანდილი ისევ დაპრილიყო და ძალუჯიყაუს ჰოსპიტალში მკურნალობდა. ამის შემდეგ ჩემთვის გასაგები იყო, თუ რატომ იყო მოწყენილი დაშნიანი. მაინც გამეხარდა ავთანდილის წერილის წაკითხვა.

როგორც შემდეგ გავიგე, ციცინო ჩხაიძე სანიტარულ ათიულს ჩამოჰყოლოდა ჩრდილო-კავკასიიდან. მათ დავალებული ჰქონდათ აფარაში დაბანაკებულიყვნენ და დაპრილი წითელარმიელებისათვის პირველი დახმარება აღმოეჩინათ.

რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც ჩვენ ულელტეხილის ოპერაციებს მოვრჩით, ავთანდილის წერილი ლამარას მივეტანეთ. წერილმა გაახარა, ოღონდ შეაწუხა ავთანდილის დაქრამ. ჩვენ თანდათანობით შევეუმსუბუქეთ ლამარას ჯულის დარდი.

თავისი ძველი ამხანაგებიდან ავთანდილს მხოლოდ სინენკო დახვედროდა. დანარჩენები ზოგი სხვა ნაწილში გადაეყვანათ, ზოგი დაპრილიყო და ზოგიც

დაღუპულიყო. ციციო მოგვითხრობდა სინენკოს გმირობის ამბებს. მისთვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭებინათ.....

ავთანდილი ძაძუს სწერდა: ომანე არც შემხვედრია და არც ნათაფერი მსმენია მის შესახებო.

თავი მეთექვსე

მინგთაუ

ლამარამ და ციციომ ერთმანეთი გაიცნეს და დამეგობრდნენ. ისინი ხშირად ერთად დადიოდნენ.

ხანდახან სალამოობით შევიყრებოდით დაშინანის სახლის წინ კაკლის ხის ძირას; სულგანაბული ვუსმენდით ციციოს. იგი გვიამბობდა ფრონტის საინტერესო ამბებს.

ერთ სალამოს სამკვედრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა ბაქსანის ხეობაში, — მოგვითხრობდა ციციო, — ეს ის დრო იყო, როდესაც ჩვენი ჯარის ნაწილებმა მტერს გამანადგურებლად დაარტყეს ძაუჯიყაუში.

მტერი უკზო-უკვლოდ გარბოდა უკან, მაგრამ ზოგჯერ მოგვიბრუნდებოდა. მიწურებში ჩაგვისაფრდებოდა და ძლიერ ცეცხლს გვიჩალებდა.

იმ სალამოსაც მაგრად გაგვიმკლავდა მოწინააღმდეგე. სისხლით მოირწყო ბაქსანის ვალმა-გამოღმა მხარე. ჩვენებმა მტრის ყოველგვარი წინააღმდეგობა სძლიეს და უკუქველ ურდოს ფეხდაფეხ დაედევნენ. გუგუნებდა საიერიშო ძახილი. გამარჯვებულთა ყოიინა ედებოდა მთებს და ხეობებს.

იალბუხზე ქარიშხალი მძვინვარებდა. იმ სალამოს იალბუხი ნისლსაც არ იკარებდა. მისი გაშლილი მხარ-ბეჭი და შეკრული შუბლი, მის ზურგზე ამოტყორცნილი მყინვარები თითქოს ერთად მოგვიწოდებდნენ:

— დაჰკარით და თქვენია!

ბაქსანის მღვრიე ტალღები სისხლმა შეღება. შხუოდა აბობოქრებული მდინარე. თითქოს გმინავდა და მოსთქვამდა. შეწითლებული ტალღები ლოდებს ეხეთქებოდა.

გაყუჩებულ ბრძოლის ველს ჩამავალი მზის წითელი შუქი ეფინა. ვლადიმერ კალმახელიძე, რომელიც ომის დაწყებიდან ბრძოლის ველზე იმყოფებოდა. იმ სალამოს მძიმედ დაიჭრა. მან ავტომატი არავის დაანება, არც არავის დაემორჩილა. გულზე ბოღმა მოწოლილი წამოიმართებოდა, ნაბიჯს გადადგამდა და უმაღლეს ჩაიკეცებოდა. მტრის მიმართულებით მუშტებს იშვერდა და ყვიროდა:

— ადრე იყო ჩემი სიკვდილი!

სალამოყამს, როდესაც დაჭრილი კალმახელიძე საველე ჰოსპიტალში მიგვყავდა, ომგადახდილ მინდორზე სამი მსუბუქი მანქანა გაჩერდა. თითქო პაცოცხლებელი სხივი მოანათესო მზეგადასულთა გვამებს, ისე გაბრწყინდა ბრძოლის ველი. ერთი მანქანიდან სამი სამხედრო პირი ჩამოვიდა. დინჯად გახედეს ბრძოლის ველს.

სამივე ვაჟაკი მღუმარედ იდგა ნაქარბუქვე მინდორზე. ერთ მათგანს, შუაზე მდგომ გენერალს მრისხანე მოღუშული პირისახე უჩანდა.

ვინ იცის, მის გულში რა ცეცხლი ღვიოდა! ორი გენერალი, როგორც ორი ბურჯი, მას მარჯვნივ და მარცხნივ ამოსდგომოდა. ეტყობოდათ, ისინიც ბრძოლის ცეცხლით იწვოდნენ.

შუათანა გენერალმა შეხედა იალბუზს, აცეცხლებული თვალებით მთაგორებს გახედა, რომელიც თოვლიანი მწვერვალებიდან რიყრაყიან შუქს აფრქვევდა. მერე ბაქსანის შეწითლებულ ტალღებს თვალი გააყოლა.

ხარბად შეისუნთქა მთის სუფთა ჰაერი; მორიდებით დახედა ბრძოლის ველზე დაცემულ ვაჟაკებს, მინდორს კვლავ თვალი მიმოავლო, ქუდი მოიხადა, თითქოს მყინვარის ნაკადულებს გაოფლილი შუბლი გასაგრილებლად მიუშვირა.

კიტელის შეხსნილ ლილზე გულთან ხელი დაიდო და თითქოს ყველას ყველას მდუმარედ გაეხშიანა:

— თქვენ შემოგწირავთ ამ გულს!

მანქანები კვლავ დასაელეთისაკენ მიჰქროდნენ...

შორს მძლავრი საარტილერიო სროლა ისმოდა და ნალმების ალი ზეცას ანათებდა.

გენერალი ლესელიძე ფრონტის ხაზზე შედიოდა!



ყოველივე ამას ციციხო ხან ცრემლმორეული და ხან ოდნავ გაღიმებული გვიყვებოდა.

ლამდებოდა, მთებში ბინდი იპარებოდა. მაგრამ ჩვენ დაშლა არ გვინდოდა.

ბევრი ვისაუბრეთ და ბოლოს ციციხომ ფანდურზე დაამლერა ბაქსანში გაგონილი ლექსი მინგითაუზე¹.

ლამაზია მინგითაუ —
ფერად-ფერად ფარჩებს იცვლის,
ლამაზია მინგითაუ,
როცა ნისლებს შემოიცილის!
მინგითაუ ღრუბლებშია,
შეუგრძენია ქვეყნის კიბი,
ნაკადულის ცრემლის ფრქვევით
ჩირს დაცემულ ვაჟაკს სტირის.

მინგითაუ, მინგითაუ,
ქედმაღალი და დიადი,
შნის ციაგი შენი არის
და პირველი განთიადი.
ლამაზია მინგითაუ,
ფერად-ფერად ფარჩებს იცვლის,
ლამაზია მინგითაუ,
როცა ნისლებს შემოიცილის.

ფანდორის წყრილა ხმა აღვიძებდა მთის ბუნებას. მისი ჰანგები საკენის ჩქერების შხუილს ეხმიანებოდა.



გადიოდა შემოდგომის დღეები... მთებში სროლის ხმა თანდათან ნელდებოდა...

რადიო იუწყებოდა: სტალინგრადი მკერდით დაიკვეს ჩვენმა დევგმირებმა, გერმანელები შორს, შორის დასაელეთისაკენ გარბიანო!
ფრონტიდან ახალ-ახალი სასიხარულო ამბები მოდიოდა!

¹ იალბუზს მინგითაუს ეძახიან ბაქსანელები.



ლამარამ ციციწო ომანე გელოვანის დედას — ძაძუს გააცნო.

— იცნობდე, დეიდა ძაძუ. შენი მომავალი რძალიაო, — ასე შეახვედრა ერთხელ ლამარამ ისინი ერთმანეთს.

მას შემდეგ ძაძუ ხშირად ნახულობდა ციციწოს სამსახურში, ძვირფას საჩუქრებს სთავაზობდა მას.

— ნუ შორცხვობ, შვილო, ლამარას ხშირად ამოჰყევი სახლში, — დედა-შვილური ალერსით ეუბნებოდა ძაძუ ციციწოს.

ისინი ერთმანეთს ისე შეეთვისნენ, რომ ბოლოს ციციწო ძაძუს სახლში გადავიდა დროებით მობინადრედ.

სალამობით აივანზე გადმოდგებოდა ციციწო და ოცნებით გაჰყურებდა წეატყორცილი მთების მწვერვალებს.

გულით კი ერთსა და იმავეს ფიქრობდა:

— ნუთუ არ დაბრუნდება!

ლამარა და ციციწო ოცნებით ათენებდნენ ღამეებს ღალში.

ლამარა დღე-დღეზე ელოდა თავისი გულის სწორის დაბრუნებას.

ციციწო ჩხაიძე კი ომანე გელოვანის მშობლიური სამყოფელის მზერით გულს იოხებდა.

თავი მეშვიდე

ყავარჯენი

— ჩამოხსენით მამისეული კეიჯანი თოფი, დამბაჩაც, ჩამოხსენით და მომწოდეთ! კარები გააღეთ, გარეთ გამოდით და გაიხარეთ!

გელა დაშინანის ამ სიტყვებს თოფის ხმაც მიჰყვა. გომურში ნაგაზი აყუფდა. არემარე ახმაურდა.

მოულოდნელი ხმაურით შეშფოთებულმა ლამარამ ფანჯარაში გამოიხედა, მაგრამ დილის მზემ თვალები აუჭრელა და ვერაფერი შენიშნა.

— მომწოდეთ-მეთქი ჩემი დამბაჩა! — ამას უკვე აივანზე იძახოდა სირბილით აქლოშინებული გელა.

ლამარამ მკვირცხლად ჩამოხსნა კედლიდან დამბაჩა და კარი რომ გააღო, ეზოს გადაღმა მომავალ ხალხში ავთანდილი შენიშნა.

შეჰკივლა, უკანაც არ მოუხედავს, თვალის გახელის უმალ მინდორში გაჩნდა ხალათისა და ფოსტლების ამარა.

გელას მამაჰპაურმა დამბაჩამაც იჭექა.

— მოგვილოცავს, ლამარა, მოგვილოცავს! — ყოველმხრივ შეაგებეს მეზობლებმა ლამარას.

ბედნიერების მალწყებელი ეს სიტყვები ლამარას სიხარულით უესებდა გულს. უნდოდა გადახვეოდა ავთანდილს. მაგრამ მშობლებისა და მეზობლების წინაშე შორცხვობდა, მალიმალ სახე ემღეროდა.

ციცინო ჩხაიძე გვერდში მოჰყვებოდა მისი დიდი ხნის უნახავ ფრონტელ ძეგობარს. ძაძუ კვალდაკვალ მისდევდა მათ. აეთანდლის ყოველ სიტყვაზე ყური ეჭირა ძაძუს, იქნებ ომანეს შესახებ რამე წამოსცდესო. **მარცხენული**

ათანდილი ოდნავ კოჭლობდა. ზოგჯერ, როდესაც ქეას **განგაზნაძე** მისას ფეხს დააბიჯებდა, წაიფორხილებდა, ყავარჯენსაც მაშინ იშველიებდა.

გალიმებული სახით გადახედავდა ხანდახან ლამარას; სიხარულით და სიმორცხვით ლოყებალეწილი ქალიც ალერსიან თვალებს შეაგებებდა, თითქოს ანიშნებდა:

— მე შენი ვიყავი და დღესაც შენი ვარო!

ამ სიხარულს, გელა დაშნიანის ოჯახში შემოსულ ბედნიერებას უმღეროდნენ თითქოს საკენისა და კალმახურას ჩქერებიც...

ჰქროდა შემოდგომის ნელი ნიავი და ეზოში საზეიმოდ შეყრილ ხალხს კაკლის ხის ოქროსფერი ფოთლები ეცემოდა...



დიდი ღზინი გაიმართა გელა დაშნიანის ოჯახში. გელამ სასიამოვნო პატუმრის პატივსაცემად ხბო დაკლა. ნაირნაირი სამკაულებით მორთულ სუფრაზე ჯიხვის ძეწვიანი პატარა ყანწები და ხის ჯამფილები ჩამოარჩეს.

უცებ აგუგუნდა „ლილე“.

არყის თითო ჯერის დაცლის შემდეგ „პოუ ბუბა ქაქუჩელამ“ დაირბინა სუფრა.

დაშნიანი თავს დაგვტრიალებდა.

— არ მოიწყინოთ, ძმებო, ოჯახი არ დამიძრახოთ, — ამბობდა იგი და ხან ერთს მოუჯდებოდა გვერდში, ხან მეორეს.

„შაიმოდი შამორირა“ — მღეროდა გუნდი და ცერებზე დგებოდა ჩვენს სუფრის ენამკვერი თამადა. მსუბუქად უვლიდა სახეგაბრწყინებული ლამარაც.

ათანდილი და ლამარა ერთმანეთის ახლოს ისხდნენ. სუფრაზე მოხერხებულ დროს პოულობდნენ და ერთმანეთს ჩუმად ესიტყვებოდნენ. მათი ალერსიანი თვალები ისედაც ბევრის მეტყველი იყო.

მათთან ცოტა მოშორებით იჯდა ომანე გელოვანის მოხუცი დედა. მას ახარებდა ამ ორი ახალგაზრდის ასეთი ტკბილი, ლამაზი და შინაარსიანი მეგობრობა, მაგრამ მისი ომანე, მისი „პატარა დევი“ რომ მოაგონდებოდა, თავს ვერ იკავებდა და თვალი სინანულის ცრემლებით ევსებოდა. თანაც ის ალოხებდა, რომ აეთანდილისაგან დანამდვილებით ვერ გაეგო ომანეს ამბავი.

ათანდილს არ ეყო გამბედაობა, წინა შეხვედრისას ძაძუსათვის გაემხილა ომანეს დალუპვის ამბავი. ახლა მაინც დრო იყო, დედას თავისი სატირალი ეტირრა. ყოველ წუთს იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ ეთქვა დედისათვის შეილის დალუპვა... ხან ციცინოს გადახედავდა, ხან გელას და ხანაც ლამარას, რომლებმაც იტოდნენ ეს სამწუხარო ამბავი, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ ბედავდა ეთქვა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ძაძუმ სუფრა დატოვა.



ათასში ერთხელ ძაღლის ყრუ ყეფა გაიკრებოდა მთვარიან ღამეში და შორეულ მთებს იქით იკარგებოდა. კალმახურას ტალღების ჩქერასთან კვლავ გუგუნებდა ძლიერი და დიადი „ლილე“.

თამადამ ღამარა და ავთანდილი ერთად ადღეგრძელა, უსურვა მათ ამ საბედისწერო ომში მშვიდობიანად გადარჩენა და ცხოვრებაში გამარჯვება.

უცებ ფერხული გაჩაღდა. გენწვიშელები აუჩქარებლად ცეკვავდნენ და ლექსის ყოველი სტრიქონის შემდეგ დაატანდნენ: „საბრალო ბეთქილ, დენჯირ ბეთქილ“.

„... ღამაში და მშვენიერი იყო მონადირე ბეთქილი, მკლავმეგარი და ახოვანი, ბევრი შენატროდა მის ვაჟეკობას. ბევრი გასათხოვარი დინა¹ ატარებდა გულში მის სახეს“ — უყვებოდა მოხუცი ბიწურზა ავთანდილს დალისა და ბეთქილის გამიჯნურების ლეგენდას.

მოცეკვავენი ისევ ბუქნაზე გადადიოდნენ.

ავთანდილი ხშირად იმეორებდა აკვიატებულ სიტყვებს: „საბრალო ბეთქილ, დენჯირ ბეთქილ“.

ჯიხვის ტყაოსანი თამადა ფეხზე წამოდგა. მარცხენა ხელით უღვაშები გაისწორა, მარჯვენათი ყანწი მალლა ასწია, ვერცხლით მოსევადებულ სატეეარს ირიბად დახედა და სუფრაზე ჩამოვარდნილ სიჩუმეში ეს თქვა:

— მე მწამს, რომ გაივლიან დრონი და უშბა და იალბუზი ისევ ისე ამაყად იღგებინან, მათ წარბს არ შეუხრის ყინვა და ქარი; ამ ორ გოლიათს არც კირხლიანი ზამთარი გადმოაყრევიენტებს თვალებიდან ცრემლს, არც მწვერვალუბიდან მოხეტქილი ზეავი და მეწყერი დაუფრთხოზს მარადიულ სიმშვიდეს.

მე მწამს, რომ ჩვენს მშობლიურ მთებში მტრის ბინძური ჩექმით განათელი ბალახი წელში გაიმართება, ისევ იბალახებს ჩვენი ნახირი, მზის ჩასვლისას მარილიან კლდეებს დალოკავენ ღამაში ჯიხვები, ფუტკარს არ დაეღევა ყვავილის ნექტარი და ჩვენს სამშობლოს არ მოაკლდება ჯეელთა მზრუნველი ზელი.

მე მწამს მალე მიწყდება მთებში ჭექა-ქუხილი, აილაგდება მტერი მუხთალო და ჩვენს მაჩუბს ისევ შერჩება პაპისეული სახურავი.

სუფრის ყველა წვერი ფეხზე წამოდგა, საესე ყანწები ერთბაშად დაიცალა. ახალი ენერგიით გაჩაღდა ცეკვა.

ჯერ გელამ და თამადამ იცეკვეს, მერე სხვა მეზობლებმა. ბოლოს ტაში დაუკრეს და ღამარა აცეკვეს. ციბრუტივით დატრიალდა განიერ დარბაზში ყელყარყარა ქალიშვილი. მან ავთანდილის პირდაპირ ორ-სამჯერ გააკეთა ირაო. ომგადახდილი ვაჟეკაცი საცეკვაოდ გამოიწვია.

¹ სვანურად ქალიშვილი.

ავთანდილი ძალაუვნებურად წამოდგა. უცებ თითქოს რაღაც მოაგონდაო, სახე მოედრებლა. თავი დახარა და სინანულით დახედა მარჯვენა ფეხის პრეტეს.

მხოლოდ ახლა მიაპყრეს ყურადღება იქ დამსწრეებმა კუთხეში მიყუდებულ ყავარჯენს.

ლამარა არ დაბნეულა, ტანის ჩუმი რხევით ავთანდილისაკენ გაემართა, მაგრამ კუთხეში მიყუდებული ყავარჯენი კი არ მიუტანა, გვერდით ამოუდგარიტაც თითქოს ანიშნა.

— მე ვიქნები დღეიდან შენი ყავარჯენიო!



ჰყვებოდა ჯაფარიძე ამ ამბავს მთელი გატაცებით. ჩვენს თვალებს ძილი არ ეკარებოდა. ვუსმენდი ჯაფარიძის ნაამბობს და ოცნებას ხან ქერჩში გადაყავდი, ხან თბილისში, ხანაც კავკასიონის უღელტეხილზე.

თენდებოდა... ბაგადის თავზე ჰყიოდნენ არწივები. მიგუგუნებდა ორწოხებში ნაომარი კოდორი და თან მიჰქონდა დალის ხეობაში მოტაცებული სილამაზე.

ტ. თბილისი
1953 წელი, ივლისი



სამშობოს მიწაზე

მოთხრობა



მიიწურა ზაფხული შემოდგომისაკენ. უკლეს მერცხლებმა საღამოობით ჰაერში სრიალს, უმატეს მატარებლებმა კივილსა და დაცარიელდნენ ზღვის პირას პაწია ცისფერი კოტეჯები.

სადილობისას ფოსტალიონმა წერილი მოიტანა.

დედამ სადილი მიატოვა და, ვიდრე წერილს ბოლომდე ჩაიკითხავდა, ჩინომ კარგად ისადილა, მერე ატამი დააყოლა, გამოეცნა იზაბელას მტევანი, ლღღისთვის კი ხელი არ უხლია, — დედას შეუწახა.

როგორ უყვართ დედებს მამების გრძელი ბარათები!

ჩაიკითხა დედამ წერილი, გაუღიმა ჩინოს, აუჩეჩა თმა, გადახედა თეფშებს და კმაყოფილი დარჩა ჩინოს სადილობით. თვითონ კი უცნაურ ხასიათზე დადგა, აღარ უსადილია; ამოსდო წერილი ბალიშის ქვეშ, საღამოობით რომ წაეკითხათ, და ახარა ჩინოს, რომ მამა თანახმაა, წელსვე შეიყვანოს სკოლაში, სულ მალე წასაყვანად ჩამოვა და ასე ცალ-ცალკე ცხოვრებასაც ბოლო მოეღება. ნასადილევს დედა გამგზავრების გეგმის შედგენას შეუდგა. ჩინო ფიქრობდა წითელსა და ყვითელ ფანქრებზე, ორხაზიანსა და სამხაზიან რვეულებზე და ქალარა, მუდამ წარბშეკრულ მასწავლებელ ქალზე, რომელიც მათ ქუჩაზე ცხოვრობს თბილისში, და რომელსაც ხელში მუდამ შავად აჭრელებული შინდის ჯოხი უჭირავს.

დედას მეზობელი აგარაკიდან ახლად გაცნობილი ქალი კლავა ეწვია. კლავამ თან მოიყვანა თავისი ცისფერთვალა გოგონა. მაგრამ ჩინოს გოგონებთან თამაში არ უყვარდა, ამიტომ აფოფხდა ყორეზე და მაცვალს ჰამა დაუწყო. კლავა დედას შეეშველა ბორჯომის ბოთლებში ჩაყრილი და მზეზე გამოფენილი ჩაშაქრული ალუბლის დიდ შტოფებში გადაცლაში. დედამ მას თეთრი ტილოთი თავწაქრული და თბილისში წასაღებად გამზადებული ქილები გამოუტანა და მაცვლის, თეთრი ბლის და კაკლის მორაბა დააპაწმინკებინა. მერე ისინი ისხდნენ უნაბის ხის ჩეროზე და საუბრობდნენ, რაღა თქმა უნდა, თბილისიდან მიღებულ წერილებზე. დედა ქარგავდა ჩინოსათვის ჯერ კიდევ გაზაფხულზე წამოწყებულ უკრაინულ ხალათს.

ბატებმა ორლობეში დაიყიყინეს, შეჩერდნენ ხავსიან ყორესთან პაწია მებატე გოგონები, გამოეცნეს ჩინოს თეხქვეშ მაცვლის ბარდი და მალე ისევ განაგრძეს გზა.

მერე ორმა ნაცნობმა წითელარმიელმა ჩაიარა რკინიგზისაკენ; ვეება მგლისფერი ძაღლები მიჰყავდათ თან. ძალიან უნდოდათ ჩინოსთან საუბარი, მაგრამ საგულშაგოზე ეჩქარებოდათ, დრო არ ჰქონდათ, და ასე გზადაგზა გამოეღაპარაკნენ მხოლოდ.

ბოლოს შემორეკეს მეძროხე ბიჭებმა საქონელი ნამკალში, მოართვეს ჩინოს მკვახე ყვითელი და ასეთივე მკვახე წვრილი შავი ხურმა, ყვითელი საკალოო მსხალი, სთხოვეს ბურთი და, ვიდრე ნამკალში სათამაშოდ გავიდოდნენ, ზრდილობისათვის წაესაუბრნენ:

— მე უკვე სკოლაში შევდივარო, — თქვა ჩინომ, — გაეა კიდევ რამდენიმე დღე, ერთხელ კიდევ გამოჩნდება წითელი ციფრი კალენდარზე, ერთხელ კიდევ ჩამოიტანს მამა ვეება საზამთროს თბილისიდან, მერე კი დაგემშვიდობებით!

მეძროხე ბიჭებს შესურდათ ჩინოს ბედი, ერთხელ კიდევ უანგარიშეს წლოვანება, დღე დღეზე მიუთვალეს და განაცხადეს, რომ არსად მთელს საბჭოთა კავშირში ასე არ ხდება, რომ ექვსი წლისა და ექვსი თვის ბიჭებს სკოლაში იღებდნენ.

ჩინო მიხვდა, რომ ბიჭებს შესურდათ მისი ბედი, ეწყინა, მაგრამ მსხალი უკვე შეკმული ჰქონდა, ამიტომ ბურთი უკანვე აღარ წაურთმევია. ჩინომ მათ უთხრა, რომ ზეპირად იცის ოცი ლექსი და ოცი მოთხრობა, ანგარიში — ოცამდე; მამა უყიდის ველოსიპედს, დედა უქარგავს უკრაინულ ხალათს. მეძროხე ბიჭებმა კი მხოლოდ ძროხების მწყემსეა იციან.

რალას იზამდნენ ბიჭები, ველარაფერი თქვეს, გადახედეს ერთმანეთს, ჯერ გაიღიმეს, მერე ჩაიფხუკუნეს და ბურთის სათამაშოდ გასწიეს. ჩინო კი მაინც შეფიქრიანებული დარჩა და, როცა კლავა თავის სახლში წავიდა, დედას უამბო ყოველივე. შეფიქრიანდა დედაც და საქმე აწონ-დაწონა.

— რას იზამ, — თქვა მან, — მართალს უნდა ამბობდნენ ეგ ბიჭები. სკოლაში შეიდი წლის ბავშვებს იღებენ. მაგრამ ეგ არაფერია, თუ მამამ მოინდომა, მიგიღებენ!

— თუ მოინდომა?

— ჰო, თუ მოინდომა.

— როგორ უნდა მოინდომოს?

— როგორ და... უნდა მივიდეს, მოვიდეს, სთხოვოს, უთხრას...

— რა უნდა უთხრას?

დედამ გაიღიმა.

— თვითონ იცის.

— რომ არ მოინდომოს?

— მაშინ, არ ვიცი.

„ვერ ყოფილა საქმე კარგად“, — გაიფიქრა ჩინომ და მოიწყინა. დედაც ჩაფიქრდა.

ჩინომ იმ დღეს მოსვენება არ მისცა დედას, სანამ მამასთან წერილი არ მიაწერინა. წერილში მოკითხვასთან, საყვედურთან და პირზე კოცნასთან ერთად ჩინოს სათხოვარიც ეწერა: მამამ, რაც შეიძლება ძლიერ მოინდომოს, ჩინოს წელსვე მოაწყოს სკოლაში.

გათენებისას, როცა წერილი ჯერ კიდევ არ იყო ჩასული თბილისში, დაიპიპინა ავტომ თანჯრის პირდაპირ, გაიღო „პობედის“ პრიალა კარი და გამოჩნდა ჭრელი გვერდი ვეება საზამთროსი.

— მამა! — შესძახა ჩინომ. ლოგინიდან ჩამოხტა და შარვალს ეცა, დედა კი უკვე ჩაცმული იყო; ყურებამდე გაწითლდა და თანჯარა გამოაღო. იმავე წუთს ეზოში ჩაირბინეს, მაგრამ მამა არსად ჩანდა, მანქანიდან კი ძლივს გამოეცტა ვიღაც მსუქანი, მელოტი ძია, ვეება ჭრელი საზამთრო მოლზე დააგორა

მესერთან, ჯიბიდან ჭრელი ცხვირსახოცი ამოიღო, სქელი კისერი შეიმშალა და იქაურობას თვალი მოავლო.

„ცხადია, ძიას მისამართი შეეშალა და მანქანა შეცდომით გააჩერა ჩვენთან“, — გაიფიქრა ჩინომ და გული შეეკუმშა, მაგრამ, უცნობმა დაინახა თუ არა ჩინო, დაჯერებულად უთხრა:

— რაღა თქვა უნდა, შენა ხარ ჩინო.. გამარჯობა, ბიძიკო!

დედა, რომელიც უკანვე აპირებდა კბეებზე ასვლას, ამ სიტყვების გაგონებაზე ისევ მობრუნდა უცნობისაკენ.

— სალამი, ქალბატონო! — თქვა უცნობმა, — მოვევდი თქვენი აგარაკის ძებნით.. ცოლშვილთან მეჩქარება, აქვე ახლოს ისვენებს... ამანათი მაქვს თქვენთან.

უცნობი რის ვაი-ვაგლაზით მოთავსდა მანქანაში, გაიწკაპუნა კარმა, დაიჭნია ხელი მელოტმა ძიამ, გასრიალდა მანქანა და დატოვა მესერთან საზამთრო, კალათა და ზედ — წერილი, მამის სამსახურის შტამპიანი კონვერტით.

გააყოლეს თვალი მანქანას ჩინომ და დედამ, მერე შებრუნდნენ ეზოში, დასხდნენ მწვანე სკამზე და ბებერი ევკალიპტის ძირში, მოიდგეს გვერდით საზამთრო, კალათა, და გახსნეს წერილი.

დიღხანს კითხულობდა გაცეხული დედა წერილს და დიღხანს შეჰყურებდა შეფიქრიანებული ჩინო მამის ბარათს ქვევიდან ზევით. წაიკითხა დედამ წერილი ერთხელ, წაიკითხა მეორედ, წაიკითხა მერე შიგადაშიგ, შეიკრა წარბი და ჩაჰკიდა თავი.

მიხვდა ჩინო, რაღაც უბედურება იყო მამის თავს, მაგრამ ცრემლი შეიკავა და დაელოდა, რას იტყოდა დედა.

— მამას ჩვენთვის აღარ სცალია, — თქვა დედამ დუმილის შემდეგ, — სხვა სამუშაოზე გადაუყვანიოთ, აღარც შენი სკოლაში შეყვანა ახსოვს, აღარც ჩემი სამსახურში მოწყობა... ის ახლა თავისი ახალი არხებით, ახალი კაშხალებით, ახალი საქმეებითაა გატაცებული. გეწერს, არ ვიცი, როდის მოვახერხებ ჩამოსვლას, ჩემს ჩამოსვლამდე კი ფეხი არ მოიცვალოთ მანდედანო.

ახალი გათენებული იყო; ამოდიოდა ვეებერთელა მზე აღმოსავლეთიდან, იღვიძებდნენ ვერცხლისფერი ევკალიპტები, კოტრიალებდნენ ზღვაში დელფინები და წიწინებდნენ მაყვალში უღარდელი წიწკანები. ჩინოს კი არაფერი უხაროდა.

ერთხანს დუმდნენ.

— განა ასე ზრუნავენ ცოლშვილზე?! — თქვა დედამ წყენით, — თვითონ ყოველთვის გამარჯვებულია თავის საქმეში, ჩვენთვის ვერ იცლის. შენი სკოლაში შეყვანაც არ ეჩქარება.

ჩინოს გაახსენდა, რომ დედას ხანდახან ხუმრობა უყვარდა: ჯერ გულს დასწყვეტდა ყასიდად, შემდეგ კი უცებ გაახარებდა; ამიტომ უკანასკნელ იმედს ჩაებღალუჭა და ნაღვლიანი გამომცდელი თვალები დედას მიაპყრო.

მაგრამ დედას ისეთი თვალები ჰქონდა, როგორც ერთხელ, ამ რამდენიმე თვის წინათ, როცა ჩინოს ყივანა ხველა სჭირდა.

ჩაყლაბა მაშინ ჩინომ რაღაცა მწარე. მოარიდა დედას თვალი და საჩქაროდ მოსცილდა იქაურობას. დედამ კი ამოიოხრა, გააყოლა თვალი ჩინოს და შებრუნდა სახლში ბარგის დასამლეულად და იქიდან ათასი რამის ამოსალაგებლად. რადგან, ვინ იცის, როდის ჩამოვიდოდა მამა.

2.



სალამოს მოიქუტრა ცა და კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა. ამოვარდა გრივალი და ორთ დღის განმავლობაში ბობოქრობდა შავი ზღვა. არსად ჩანდნენ ვულრიპშელი მებატე გოგონები, აღარ მოდენიდნენ საქონელს მემძროზე ბიჭები, აღარ ამოუვლია მეზობელ მებადურს სახრეზე აცმული ბრჭყვიალა სტავრი-ღებინი.

საოცრად მოსაწყენი გახდა ცხოვრება, მეტადრე დღისით.

წვიმდა და წვიმდა. დაეხეტებოდა ეზო-ეზო ნისლი. არაფერი ჩანდა ფანჯ-რიდან, და ჩინო იძულებული იყო ეფიქრა თავის საბავშვობაღელ ამხანაგებზე. რომლებიც მხოლოდ იმის გამოც, რომ მათ მამებს არაეინ აგზავნის არხების გასაყვანად, ახლა უკვე თბილისში სხედან და ხვალ თუ ზეგ სკოლაში წაველენ.

გათენდა პირველი სექტემბერი ჯიბრზე თბილი, წყნარი და ცისფერი. ჩაიარეს გულრიპშელმა მებატე გოგონებმა, ხელში ჩანთები უჭირავთ, ბატები კი არსად ჩანან.

შექუჩებულან მემძროზე ბიჭები, ფორმის ტანსაცმელი აცვიათ, პრილა კა-კარდიანი ქუდები ახურავთ, ეივილ-ხივილით აიკლეს შარავზა, შეჩერდნენ და ზედ ჩინოს სარკმელთან დასძახეს სიმღერა.

დაახალა დედამ სულგუნის ნაჭერს ოთხი კვერცხი, შემოიტანა სამზარე-ულოდან ოთახში, დადგა მაგიდაზე, შემობრუნდა და ხედავს: მიპყრდნობია ჩინო სარკმლის მინას შუბლით, მობღუნძულა, გაბუტულა, თვალებს მალავს. წამწამზე კი ცრემლი უციმციმებს.

მიხვდა დედა, რაშიც იყო საქმე, არაფერი უკითხავს. ჩამოუჯდა ტახტზე, მოჰხვია ხელი თანაგრძნობით, ჩახვდა თვალებში, აკოცა და უთხრა:

— იცი, რას გეტყვი, ჩინო, — აგრე არ ვარგა, აი, მეც მქონდა ერთხელ დარდი, მაგრამ ვაჯობე... გაეიჩინე საქმეები, გაემხიარულდი და გული გადა-ვაყოლე.

ჩინოს უყვარდა საქმეები, ამიტომ ჰკუაში დაუჯდა დედის ნათქვამი, თვალში მუჭა ამოისუვა და თქვა:

— შერე-და, როგორ უნდა გადავყოლო გული?

— მაგას მოფიქრება უნდა, — უთხრა დედამ, — ათასი რამე შეიძლება გამოიგონოს კაცმა... ყველაზე კარგი კი, ასეთ დროს, მოგზაურობაა — უცნობი ადგილების, უცხო ადამიანების ნახვა... ოღონდ შორეული მოგზაურობის წინ მომზადებაა საჭირო და კარგად დანაყრება.

— მომზადება საჭირო?

— ჰო, მომზადება. საჭიროა ხელ-პირის დაბანა, ამინდის შესაფერისი სამოსის ჩაცმა, ქათმებისა და ბაჭიების დაბინავება დანაყრება — და საგზლის წაღებაც. რადგან ასეთმა შორეულმა მოგზაურობამ შესაძლებელია დილიდან საღამომდე, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, მთელი ორი დღეც გასტანოს.

— დანაყრებაც აუცილებელია?

— აუცილებელი!

ჩინო ჩაფიქრდა, მაგრამ არ იყო მეტი გამოსავალი, და თანხმობის ნიშნად დედას თავი დაუქნია. და ისინი შეუდგნენ მზადებას: ისაუზმეს, ჩაიცვეს ტანსაცმელი, ჩაიწყეს ბრეზენტის ზურგჩანთაში საგზალი, მამაზე კი ძალიან გაჯავრებულნი იყვნენ და საზამთროსათვის ხელიც არ უხლიათ.

დაკეტეს კარი და დაუტოვეს გასაღები მეზობლის დედაბერს.

შზიანი დღე იყო, გზა ხეივანით იყო დაბურული.

იარეს, იარეს, გამოვიდნენ ზღვის პირზე და ასე ნაპირ-ნაპირ გაჰყვნენ სუხუმისაკენ მიმავალ დიდ მოასფალტებულ გზას.

წამოეწიათ ჩაის ფოთლით დატვირთული კოლმეურნეობის დიდი მანქანა, მაგრამ ჩინომ შიგ ჩაჯდომა არ ისურვა, რადგან, ჯერ ერთი შოფერს არ იცნობდა, მეორე ის, რომ მანქანა არ მოეწონა — მიიმე იყო, მესამეც ის, რომ სინოპიდან სუხუმამდე კატერით მოელოდა გასეირნებას.

შეჩერდნენ ჯებირთან, სადაც ამასწინათ მეორეკლასელმა გურამ ჩინბამ ნაპირზე გამოირიყული ალი-ფაშას ოქროთი მოჭედილი ყალიონი იპოვნა, ოღონდ ის ოქრო სპილენძის მავთული ყოფილიყო და გურამს თვითონ დაეხვია ზედ, ტუჩომომწვარი ყალიონი კი მოხუც ალექსი მებადურს დარჩენოდა რიყეზე და უკანვე წაართვა გურამს.

ბევრი იცინეს ყალიონზე დედამ და ჩინომ. დიდხანს იდგნენ ჯებირთან. მოაგროვეს კენჭები და ერთმანეთს შორს გასროლაში დაეჯიბრნენ. მერე გარეული იხვის ჭუკებს უთვალთვალეს და ნაპირ-ნაპირ მისდიეს სინოპამდე. ჭინკებივით დამერებოდნენ ტალღებში ეშმაკი ჭუკები.

— ესეც სინოპი! — თქვა დედამ, — აქედან კატერით გავემგზავრებით.

ასეც იცოდა ჩინომ. დასხდნენ და დაელოდნენ კატერს. შორს ჩანდა პალმებსა და ევკალიპტებში ჩაძირული თეთრი ქალაქი, ახლოს — ცისფერი მესერიით შემოზღუდული ზღვის ლამაზი სანახაობა. ჩაისეირნეს სანაპიროზე კატერის მოსვლამდე. ეს, დაცარიელებულიყო ზღვის პირი, თითო-ოროლა ხნიერი მანდილოსანი-ლა წამოწოლილიყო ფიცრულ ქოლგებქვეშ. აღარ ჰყუმიპალაობდნენ პაწია მშიშარა გოგონები ნაპირზე, აღარ იხვეწებოდნენ ზანგებივით ვაშაგებული ტიტლიკანა ბიჭები ზღვაში აბაზიანების გადაგდებას, აღარ ყვინთავდნენ და აღარ ამოჰქონდათ ზღვიდან ლამაზი, ბრჭყვიალა ნიჭარები.

კატერი გამოჩნდა სუხუმის მხრიდან და სულ მალე ნაპირს მოადგებოდა.

„შაინცადამაინც ვერაფერი მოგზაურობა გვაქვს!“ — გაიფიქრა ჩინომ და მოიწყინა. მისთვის პირველი არ იყო ასეთი მოგზაურობა. მან იცოდა, რაც მოხდებოდა შემდეგ: ჩასხდებოდნენ კატერში და ჩავიდოდნენ სუხუმში, გაისეირნებდნენ ბაღში, შექამდნენ ნაყინს, სალამოს კი ისევე შინ დაბრუნდებოდნენ.

მოსრიალდა კატერი, ჩასხდნენ და ოც წუთში სუხუმს მიადგნენ.

შექამეს წესისამებრ ორას-ორასი გრამი ნაყინი, ბაღში აღარ უსეირნიათ. — დედამ თქვა, რომ მიდიან სტუმრად ბზიბზე იმ გეოლოგიურ პარტიის დასათვალიერებლად, რომლის უფროსიც მამის კარგი მეგობარია და ჩინოს ტოლი, თუ ცოტა უფროსი, შვილიცა ჰყავს.

მიიკითხ-მოიკითხეს და მოძებნეს შენობა, სადაც სამგზავრო ბილეთები იყიდება და საიდანაც მგზავრებით დატვირთული დიდი ცისფერი მანქანები განუწყვეტლივ მიქრიან: გაგრისკენ, რიკისკენ, გულრიფშისკენ და ბზიბისკენ.

ჩინო არ იცნობდა ძია გეოლოგს, არც იმის შვილს; არც ის იცოდა, რას ნიშნავდა სიტყვა გეოლოგი, და ცოტა არ იყოს შეფიქრიანებული ჩაჯდა მანქანაში. შემდეგ გაახსენდა, რომ მისთვის სულ ერთია, ვინც უნდა იყვნენ ისინი, რადგან ის მხოლოდ გულის გადასაყოლებლად მოგზაურობს. დედამ კი აუხსნა, რომ გეოლოგებო ის ხალხია, რომელიც ათასგვარი მანქანის შემწე-

ობით ქვესკნელს ბურღავს და იქ, მიწის სიღრმეში, ეძებს: რკინას, ქვანახშირს, ნავთს, ოქროს და ათასგვარ მადანს, რაც ასე საჭიროა ადამიანისათვის.

ეს მართლაც საინტერესო იყო, და ჩინო მოემზადა გეოლოგებთან შესახვედრად, მაგრამ ბზიბი იმდენად შორს აღმოჩნდა, რომ მთელი ორი საათის განმავლობაში ზღვის გაყოლებით მისრიალებდნენ.

მანქანამ მარჯვნივ ხეობაში შეუხვია, აღიმართნენ ვეება ფლატეები. აღგაფუნდნენ იმ ფლატეებში ბზიბის მწვანე ტალღები. შავი ზღვა კი აღარსად ჩანდა.

ბოლოს გამოჩნდა მწვანე სერზე რკინის შავი კოშკი, — მაღალი, სამფეხა სკამივით გალაკული; ათორია ცადაყუდებულმა ამწემ ვეება რკინის მორი მიწიდან, ჩაიჭროლეს ქალაში მუშათა ბარაკებმა და გაჩერდა მანქანა ზედ კოშკის გასწვრივ.

— მოვედით! — თქვა დედამ, მსუბუქად გადმოხტა მანქანიდან და ჩინოს ხელი მიაშველა. მერე ისინი შეჰყვნენ პატარა შეღმართს იმ სამი ფინური კოტეჯისაკენ. რომელთაგან ორში გეოლოგების კანტორა იყო მოთავსებული. ბოლო მესამეში მამის მეგობარი გეოლოგი ცხოვრობდა თავისი ცოლ-შვილით. მანქანამ კი დაიპიპინა, განაგრძო გზა მაღალი მწვერვალებისაკენ და წაიყვანა ათასი ქვეყნიდან ჩამოსული ტურისტები, ქვეყნიერებაზე უმშვენიერესი ტბის — რიცის სანახავად.

ჩინო და დედა ბილიკზე გამოვიდნენ, თვალი მოავლეს იჭაურობას, რომ გავგოთ, რომელ კოტეჯში ცხოვრობდა ძია გეოლოგის უჯახი.

მაგრამ კოტეჯები ჩინელი ბიჭებივით ერთმანეთს ჰგავდნენ და, სერზე რომ აივაკეს, მოუცადეს ყმაწვილს, რომელმაც ის-იყო სააეტომობილო გზიდან კოტეჯებისაკენ მომავალ გზისაკენ გადმოუხვია.

— გამარჯობათ! — წარმოთქვა ბიჭმა მკვირცხლად, როცა დედა-შვილს წამოეწია, ვინ გნებაეთ? — თან იკვნეულად შეათვალიერა უცნობები, — „ჩვენი სტუმრები ხომ არ ხართო?“ კობტად მორგებული მოსწავლის ფორმა ეცვა, პრიალა, კაკარდიანი ქუდი ეხურა, ხელში სამელნე ეჭირა.

— ვისი ხარ? ჰკითხა დედამ. ბიჭმა უპასუხა, ვისიც იყო. დედამ გაიღიმა, აკოცა და ჩინოს მიუბრუნდა.

— აბა, ჩამოართვით ხელი... ეს არის ჩინო. ეს კი გელა.

პირველად, ცოტა არ იყოს, დაირცხვინა გელამ, მერე გამბედაობა მოიკრიბა და სტუმრებს სახლისაკენ წაუძღვა. ბინა დაკერტილი იყო. გამოიღო გასაღები ფარდაგსქვემოდან, გააღო კარი და სტუმრები მიიწვია.

მამა შინ არ იყო, — გეოლოგიური პარტიის საქმეებზე თბილისში გამგზავრებულიყო; დედას ამ გაზაფხულიდან სოფლის საავადმყოფოში დაეწყო სამსახური და მხოლოდ სადილობისას დაბრუნდებოდა შინ.

გელამ ტანსაცმელი გამოიცვალა, სამზარეულოდან ხილი შემოარბენინა და ჩინოს გამოესაუბრა.

— რამდენი წლისა ხარ? — ჰკითხა გელამ.

— ექვსი წლისა და ექვსი თვის.

— მე შეიღის. — თქვა გელამ ფეხების ქნევით, თან ვაშლი ჩაებინა, — ქაშე, კარგი ვაშლია...

ჩინო მიხვდა, რომ თუ გელა შეიღი წლისაა, მაშასადამე, პირველ კლასშია და დღეს პირველად იყო სკოლაში, ამიტომ კინაღამ მტრულად განეწყო, მაგრამ გელა ძალიან გულკეთილი ბიჭი იყო და ამის საბაბს არავის მისცემდა.

— იცი, რა, — წამოიძახა უცებ მან, — მე სადღაც შენი სურათი მაქვს შენახული.

ჩინოს გაუკვირდა, გელამ კი მოარბენინა დიდი ალბომი და გაშალა სურათი მალე იპოვეს და ამან გული მოუგო ჩინოს. ეს იყო დიდიხნის წინანდელი სურათი, ჯერ კიდევ მაშინდელი, როცა ჩინო საბავშვო ბაღშიც არ დადიოდა.

— ეს მე ვარ, — თქვა ჩინომ კმაყოფილებით, — ეს კი ჩემი ცხენი. მამას ამხანაგმა მომიტანა დღეობაზე.

ისაუბრეს ცირკზე და ახალ ფერად ფილმებზე.

ბოლოს გელას გაახსენდა, რომ სამ საათზე ბურღი უნდა გამოეცვალათ ობიექტზე, და დაფაცურდა, ზომ არ დამაგვიანდაო. მერე ეუბნებულა სტუმრების მართო დატოვება და დედას, რომელსაც ჯერ არ მოეთავებინა სადილის დამზადება, ჩინოს გამოშვება სთხოვა.

ჩინოს დედისაგან ნებართვა მიიღეს. გამოვიდნენ ეზოში, გაიარეს სერისერ ორასიოდე მეტრი და მიადგნენ იმ კოშკს, რომლის ქვეშაც გეოლოგებს ბურღი ედგათ.

მაგრამ ჩინომ ბურღი ვერსად დაინახა, სამაგიეროდ, ნახა სამუშაო ტანსაცმელში გამოწყობილი მუშები, რომლებიც გარს ეხვეოდნენ და გამალებით უტრიალებდნენ რაღაც ჭას, ოღონდ იმ ჭას წისქვილის ქეისოდენა ლითონი ეხურა და ზედ ათასგვარი ქანჭიკი ჰქონდა მორგებული.

— აი, სწორედ ეგაა ბურღი, — ჩასჩურჩულა გელამ, — ოღონდ მანდვე კი არ არის ბურღი, ძირსაა, მიწაში, შორს, მთელ კილომეტრზე...

ჩინო გაოცებული შეჰყურებდა ხან აფორიაქებულ მუშებს, ხან ცად წასულ კოშკს, ხანაც ჯადოსნურ ბურღს, რომელიც აქვე კი არ იყო, სადაც ეს მუშები ტრიალებდნენ, არამედ, შორს ქვესკნელში.

დაატრიალეს მუშებმა იმ ჭის რომელიღაც ნაწილი, დაეშვა კოშკიდან ვეება ამწე, ამოსდო დინგი იმ ნაწილს, ამოსწია და ამოაძრო ორსართულიანი სახლის სიმაღლე რკინის მილი.

მიუახლოვდნენ მუშები ვეებერთელა რკინის მილს, ააჩხარუნეს რაღაც იარაღი და, თითქოს ძირში გადასჭრესო, ზედ შეატოვეს ამწეს, რომელმაც ის მილი რკინის კოშკის კედელზე მიაყუდა და ახლა ისევ დაეშვა ახალი მილის ამოსაძრობად.

ის მილები, როგორც შემდეგ ჩინომ გაიგო, ას ცალამდე იყო ერთიმეორეზე გადახრახნილი და ქვესკნელში ჩაწყობილი. სულ უკანასკნელზე ვეება ბურღია მიმაგრებული. ტრიალებს და ბურღავს მხოლოდ ბურღი. მილები კი არ ტრიალებენ, — მათი საშუალებით სპეციალური სითხე ჩადის, იქ ესხმება ბურღის ფარფლებს, როგორც წისქვილის ბორბალს, და აბრუნებს.

მთელი ორი საათი გაგრძელდა იმ მილების ამოღება. კოშკის კედლებზე და მის გარშემო მილების მთელი ტყე დადგა. ჩინო ვერ მიმხვდარიყო, რა საჭირო იყო მილების ამოღება, თუკი ისევ ჩასაწყობი გახდებოდა, ვიდრე უკანასკნელ მილს გაცვეთილი ბურღიც არ ამოაყოლეს და იმის მაგივრად სრულიად ახალი, პრიალა ბურღი არ მოარგეს.

ახლა უკვე გასაგები გახდა მილების ამოღების აუცილებლობა; გაუგებარი იყო მხოლოდ ერთი: რა ცვეთდა ასე მალე ფოლადის ბურღს. მაგრამ გელამ კველადფერი იცოდა და ჩინო ამაშიც მალე გაარკვია. კოშკს უკან აჩვენა ფარდული, სადაც ნახმარი ბურღები ეყარა. დაებლაუჭნენ ერთ, ცოტა უფრო მომცრო, ბურღს ორივენი, მაგრამ ადგილიდან ვერ დასძრეს.

— ხედავ, როგორაა გაცვეთილი, — უთხრა გელამ, — ახლა ეს მიწას თულა გაბურღავს! იქ კი პიტალო კლდეა.

— კლდეა?

— ჰო, კლდეა, მთელი კილომეტრია გაბურღული და მანინც კლდეა. — ახლა მიღების ჩაწეობა იწყებოდა. ეს აღარ იყო საინტერესო, და ბიჭები შინ წავიდნენ.

გელას დედა უკვე მოსულიყო სამსახურიდან და ორივე დედა სუფრას შლიდა. ისინი ძალიან კარგი მეგობრები იყვნენ და, შვილები რომ ერთად დაინახეს, გაეხარდათ მათი ასე უცებ დამეგობრება: გელას დედა ჩინოს მოეფერა, ჩინოს დედა — გელას. ასადილეს შვილები. ნასადილევს დაათვალიერეს ბოსტანი და პატარა ნარინჯოვანი ბაღი, რომელიც გელას დედის ხელით იყო მოვლილი და გახარებული. შემდეგ გელამ ბოდიში მოიხადა ჩინოს წინაშე და მარტო დატოვა მთელი საათი. ის ჩაიკეტა თავის პაწია ოთახში და გაცვეთილებს ამზადებდა. ჩინო იჯდა აივანზე, უგულოდ ღრღნიდა ვაშლს და, საქმე რომ არაფერი ჰქონდა, ყურს უგდებდა დედების საუბარს.

მაგრამ დედებს შვილების სკოლაში მიბარების გარდა, ათასი სხვა რაშე აწუხებდათ კიდევ, და ისინი საუბრობდნენ მრავალ ისეთ რამეზე, რაც ჩინოსათვის გაუგებარი და ძილის მომგვრელი იყო. თანაც მოსალამოვდა და ბზიბის ზეობიდან ისეთმა ცივმა ნიავმა დაუბერა, რომ აივანზე გაჩერება აღარ შეიძლებოდა.

შევიდნენ ოთახში. ჩინო ნამგზავრი და დაღლილი იყო, და არც გაუგია, როგორ გახადეს ტანსაცმელი და როგორ ჩააწვიინეს ლოგინში.



მეორე დღეს ჩამოვიდა გელას მამა და ჩამოიტანა ამბავი, რომ ჩინოს მამა უკვე სამგორშია, მიუციათ „პობედა“, მიუციათ სწორედ ასეთი სამოთახიანი კოტეჯი, ეცნობა თავის ახალ საქმეებს და დღე-დღეზე ემზადება ცოლ-შვილის სამგორში წასაყვანად.

ძია გეოლოგს ალბათ ეგონა, სტუმრებს გაეხარებო, მაგრამ მათ მოიწყინეს, აიპრიზნენ და განაცხადეს, რომ ყოველთვის უჯერებდნენ მამას. ჩინოს დაბადებიდან მეშვიდე წელია უკვე, ათასგვარი არხებისა და კაშხალების მშენებლობაზე ცხოვრობენ, არამცდარაამც არ მოუცდიან მამას, რომ ის მათი სამგორში წასაყვანად ჩამოვიდეს და, პირიქით, დაუყოვნებლოვ გაემგზავრებიან თბილისში. სადაც როგორმე, სხვის დაუხმარებლად მოაწყობენ სკოლაში ჩინოს.

თქვეს და ასრულეს, ბევრი ფიქრი არ უყვარდათ, ჩაიციეს ტანსაცმელი, მოაქურეს ორი დღის განმავლობაში მიღებული საჩუქრები და მადლობა მოახსენეს მასპინძლებს.

არ მოელოდა ძია გეოლოგი საქმის ასეთ შეტრიალებას, ჩაუვირდა მდგომარეობას, გამოცდილებით იცოდა, ასეთ შემთხვევაში როგორ იქცევიან დედები, მიხვდა, რომ გვიან იყო; გამოუძახა თავის მანქანას, დაავალა შოფერს, წაეყვანა სტუმრები აგუძერაში ბარგის გადასატანად სუხუმში და იქ მატარებელშიც დაებინავებინა.

მთელი ორი საათის განმავლობაში მიქროდა გეოლოგების მანქანა ბზიბიდან სუხუმამდე. გზა უკვე გავლილი ჰქონდა ერთხელ და ახლა თითქოს უფრო

მოკლე ეჩვენა ჩინოს. მალე სუხუმიდან აგუძერასაკენ გაუხვიეს, ჩაუჭრათლეს სინოპს. მარჯვნივ მოიტოვეს ცისფერი მესერიით შემოზღუდული ზღვის სანაპირო და მარცხნივ ვაშლის დიდ ბაღებში გაუხვიეს.

აქედან უკვე ახლოს იყო აგარაკი. გასცდებოდნენ კოლმეურნეობის ბაღს და ნახევარ საათში შინ იქნებოდნენ, მაგრამ შეაგვიანათ ბიჭმა, რომელიც ვაშლს იპარავდა ბაღში და მანქანის დანახვაზე ჯერ დაიშალა, შემდეგ კი უკან გამოუდგა ყვირილითა და ვაშლების სროლით.

ბიჭი ყვიროდა რალაც გაუგებარს, მაგრამ ეტყობოდა, რალაცა აწუხებდა და სათქმელი ჰქონდა. ჩინომ იცნო ის და სთხოვა შოფერს, მანქანა გაეჩერებინა. ეს იყო სწორედ ის ბიჭი, რომელმაც ალექსი მებაღურის ყალიონი იპოვნა და არა აღი-ფაშასი.

— რა გაყვირებს, — ჰკითხა ჩინომ, როცა აქოშინებული ბიჭი მანქანას დაეწია, — ხომ ხედავ, რომ გვეჩქარება და შენთვის არა გვცალია?!

— ვხედავ, — თქვა ბიჭმა ღიმილით, — მე თქვენზე ვფიქრობ, თორემ რა მენადვლება. საინტერესო რამე მინდოდა შეთქვა.

— თქვი, თქვი! — გაამხნევა დედამ.

მაგრამ ბიჭმა არაფერი თქვა, ვიდრე მანქანაში არ შეიპატოვეს! შემდეგ კი მოიკალათა დედა-შვილს შუა, მიიჯახუნა მანქანის კარი და დინჯად განაცხადა, რომ დღეს, გაკვეთილების შემდეგ, იყო სტუმრად მათთან. აპირებდა ჩინოს წაყვანას ერთ ძალიან საინტერესო საქმეზე. სახლის კარი ღია დახვდა, მაგრამ არც ჩინო და არც მისი დედა არსად ჩანდნენ. ოთახებში დაბრძანდებოდნენ ქათმები, ქუკები და ბაჭიები. ტახტებზე კი ვილაც ორ ახოვან ძიას ეძინა.

გადახედეს ჩინომ და დედამ ერთმანეთს და გულში თბილი და ტკბილი გრძნობა ჩაელვარათ.

— აბა, გასწი! — თქვა დედამ აჩქარებით.

— გასწი! გასწი! დროზე! — შესძახა ჩინომ შოფერს. — გასწი რაც შეიძლება ჩქარა!

მიგრიალდნენ აგარაკთან, გამოვიდნენ მანქანიდან და ფეხაკრეფით ავიდნენ კიბეზე.

ყველაფერი ისე იყო, როგორც ბიჭი ჰყვებოდა. იატაკის ფხაკაფხუკით გამოიკრიფნენ ქათმები ღია ოთახიდან აივანზე და მოსულებს გზა უტიეს.

შეიხიდეს ფრთხილად კარში, შევიდნენ თითის წვერებზე და ხედავენ: გაუხდია ხალათი და ჩექმები, სახეზე თეთრი დოღბანდი გადაუფარებია, რომ ბუზებმა არ შეჭამონ, გადაუშლია ბანჯგვლიანი მკლავები და წვეს ტახტზე კაცი... ის კაცი კი ჩინოს მამაა.

— არა სძინავს! არა სძინავს! — შესძახეს ერთმანეთს შეყოყმანების შემდეგ ჩინომ და დედამ. — თავს გვაკოდებს, ვითომდა დაღლილია და ჩასძინებია. — მერე დაახტნენ გულშეკრდზე და დააყარეს კოცნა, მუჯლუგუნი და საყვედური.

მაგრამ მამას ნამდვილად ეძინა, რაკი შეკრთა და ძლივს გამოერკვია ბურანიდან, მერე უკებ ტახტზე წამოჯდა.

— ჩჩ, ჩუმად! — წარმოთქვა მან საჩქაროდ და ტუნზე თითი მიიღო. — სძინავს, ცოდვია... — მერე დაწითლებული თვალები მოიფშვინტა, მოხვია ხელი ორივეს და განმარტა, რომ სძინავს შოფერს, რომელიც ძლიერ კარგი

ყმაწვილია, რომელთან ერთად მთელი ლამის განმავლობაში მოსკოალადა სამგორიდან და რომელიც ამიერიდან მასთან იმუშავებს.

მაგრამ შოფერს არ ეძინა. ფანჯრიდან ჩანდა სამგორის მანქანა-ტროლეისაც შოფერი ჩაიკრიკტებდა.

ნიკოლოზიძე

მამამ შოფერს რალაც გადასძახა. დაიბანა პირი, გადაიკვა ხალათი, დახედა საათს, აკოცა ჯერ ჩინოს, მერე დედას და თქვა:

— მაშ ასე, ამხანაგებო, ხვალ სამუშაო დღეა, აუარებელი საქმე მაქვს და სამგორში უნდა ვიქნეთ. თქვენს აქ არ უოფნაში ჩემოდნები ჩავალაგე. მიინტ მიიხედ-მოიხედეთ, არაფერი დაგარჩის. დავკეტოთ კარი, გამოვემშვიდობოთ დიასახლისს და გავემგზავროთ, ამიერიდან სამგორში ვიცხოვრებთ.

ჩინომ და დედამ ერთმანეთს გადახედეს. წუთით დაიბნენ და არ იცოდნენ. რა ეპასუხათ.

— ჩვენ შენზე ნაწყენი ვართ! — თქვა ბოლოს დედამ.

— ნაწყენი ვართ! ნაწყენი ვართ! — გაიმეორა ჩინომაც.

მამამ მხრები აიჩეჩა. ვერაფერი გამოვიდა, — თქვა მან. — გამარკვიეთ. რაზე ხართ ნაწყენი?

— იცი, ძალიან კარგად იცი! — უპასუხა ჩინომ.

— ჩვენ სწავლა გვინდა, — დაუმატა დედამ, — სწავლა გვინდა და ამიტომ სამგორში არ წამოვალთ.

— ხოო... — გააგრძელა მამამ და გაიღიმა, გაიღიმა, როგორც მთელ ქვეყანაზე მხოლოდ მას შეეძლო გაღიმება. და ეს ღიმილი ნიშნავდა რალაც საეჭვოს, მაგრამ კარგს, — მერე და ვინ გიშლით, — თქვა მან. — წამობრძანდით და ისწავლეთ, რამდენიც გუნებოთ... განა სამგორში ვერ ისწავლით?

ეს იყო იმდენად მოულოდნელი, რომ ჩინომ პირი დაალო, დედას კი ენა დაება.

— დაიცა, დაიცა, — თქვა დედამ და დამნაშავესაგვით გაწითლდა იმის გამო, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ამდენი ცუდი იფიქრა მამაზე, — დაიცა. ეგ როგორ, სამგორში ხომ სკოლა არაა, ყოველშემთხვევაში შარშან არ იყო.

მამა ისევ იღიმიებოდა.

— შარშან შეიძლება სხვაც ბევრი რამ არ იყო, ახლა კი... მოემზადეთ და დროს ნუ მაკარგვინებთ. შარშან არც ხალხი იყო სამგორში დასახლებული, ახლა ხალხი დასახლდა. სადაც ხალხია, იქ ბავშვებია, სადაც ბავშვებია, იქ სკოლაა.

შემოვიდა შოფერი, გაიცინო ჩინო და ჩინოს დედა, სიხარულის მიზეზი რომ გაიგო, კვერი დაუყრა მამას და განაცხადა, რომ საკუთარი მანქანით მიართვა სამგორის სკოლის დირექტორს ჩინოს სკოლაში მისაღები განცხადება. ხოლო წამოსვლისას მამასთან ერთად ეახლა იმ დირექტორს და აცნობა, ჩინოს ორი დღით დააგვიანდება.

მერე მთელი ნახევარი საათის განმავლობაში ტვირთავდნენ „პობედას“ ჩემოდნებითა და ფუთებით, ათასგვარი მურაბებითა და ჩირებით. შეიკრიბა მანქანის ირგვლივ წვრილფეხობა, ატყდა ყივილ-ხივილი და ერთის ამბით გააცილეს ჩინო. მაგრამ დარჩენილათ სახლში ერთი დროად მნიშვნელოვანი ფუთა, რისთვისაც ბარე ხუთი კილომეტრის გავლის შემდეგ მობრუნდნენ. ამაზე ძალიან შეწუხდა მეზობლის, დედაბერი და თქვა, რომ არ ვარგა და ცუდის მომასწავებელია გზიდან დაბრუნება, მაგრამ ჩინოს ამის არა სჯეროდა

და მთელი გზა ისე გაიარეს, ისე ჩაეიდნენ სამგორში, ცუდი არაფერი შემთხვევით.

მანქანას ხან შოფერი მართავდა ხან მამა. ეს იმიტომ, რამდენჯერღაცის ნამგზავრები იყვნენ და ძილი აკლათ.

ძნელი იყო ორი დღის უძილობა, ძნელი იყო ამხელა მანძილზე მანქანის მართვა, მაგარმ მამას, თავისი არხებისა და კაშხალების გარდა, ძლიერ უყვარდა აგრეთვე ჩინო და ჩინოს დედაც. ხოლო, როცა ამდენი შესანიშნავი რამ ერთად გიყვარს, ძნელი აღარაფერია!



დაწვა და დაიძინა ჩინომ თავის ახალ სახლში, — ერთი ფიჭრით, — ცხოვრობს სამგორში, ცხოვრება შესანიშნავადაა მოწყობილი, მარჯვნივ მისი პაწია სამუშაო მაგიდა, რომელზედაც ახალი, ჯერ გაუჭრელი, „დედაენა“ დევს, მარჯვნივ კი სარკმელია, რომლიდანაც ბნელში არაფერი ჩანს. მაგრამ, როგორც კი ინათებს, სკოლა გამოჩნდება სერზე.

ძნელი იყო დაძინება, გრძელი იყო ღამე, მაგრამ, რაც არ უნდა გრძელი ყოფილიყო, ხომ უნდა გათენებულიყო მაინც.

ამოიწვერა ვეებერთელა მზე, გაანათა ჩინოს სარკმელი, გამოაჩინა სამგორის ველი, ალაგ ურწყავი, ალაგ მორწყული, და ააკაშკაშა სერზე სკოლის ვარდისფერი შენობა.

უყურეს, უყურეს დედამ და მამამ სკოლის შენობას ფანჯრიდან, ჩაჰკიდეს ხელი ჩინოს და გამოიყვანეს სკოლისაკენ მიმავალ გზაზე. სკოლისაკენ კი სერისერ შეფენილი ყველა უბნიდან მიდიოდა გზა და იმ გზებზე ტივილ-ტივილითა და მზიარული სიმღერით მიეშურებოდა სამგორის ახალი თაობა.

კარგა ხანს იდგნენ სკოლის კარებთან. ბედნიერი იყო ჩინო, ბედნიერი იყო დედაც. კმაყოფილი ილიმებოდა მამა.

— აბა, შენ იცი! — უთხრა დედამ.

— შენ იცი! — უთხრა მამამ.

მერე დაიწვრილა ზარმა, შევიდა ჩინო სკოლაში, წავიდა დედა ქმარ-შვილისათვის სადილის მოსამზადებლად, მამა კი მშენებლობისაკენ გაეშურა.

პარიზის ლეთისმშობლის ტაძარი*



რამდენიმე წლის წინ, როდესაც ამ წიგნის ავტორმა ინახულა, ანუ, უკეთ რომ ეთქვათ, გამოიკვლია პარიზის ლეთისმშობლის ტაძარი, ერთ-ერთი კომპიუტერული ბენელ კონკრეტული შეამჩნია კედელზე ხელით ამოკვეთილი სიტყვა:

'AN'AGKH'

ამ ბერძნულმა ასომთავრულმა წარწერამ, რომელიც ხანდაზმულობისაგან გაშვეებულიყო და საკმაოდ ღრმად იყო ამოჭრილი ქვაზე. გოტიკური დამწერლობისათვის დამახასიათებელმა ზოგიერთმა უცნობმა ნიშანმა, რაც მათ ფორმასა და განლაგებაში იყო აღბეჭდილი და თითქოს ააშკარაებდა, რომ ისინი შუასაუკუნეების ხელმა დაწერა, განსაკუთრებით კი მათში მოთავსებულმა კუშტმა და საბედისწერო აზრმა მეტისმეტად გააოცა ავტორი.

იგი თავისთავს ეკითხებოდა, ცდილობდა გამოეცნო, თუ ვისმა ტანჯულმა სულმა არ მოისურვა დაეტოვებინა ეს ქვეყანა ისე, რომ არ აღებეჭდა დანაშაულისა თუ უბედურების დაღი ამ უძველესი ტაძრის შუბლზე.

შემდეგში ეს კედელი (მე უკვე აღარც ვიცი, რომელი) შეღებეს თუ ჩამოფხიკეს, და წარწერაც გაჰქრა. აგერ თითქმის ორასი წელიწადია, რაც ასე ეპყრობიან შუასაუკუნეების შესანიშნავ ტაძრებს. მათ ასახიზრებენ ყოველმხრივ, როგორც შიგნიდან, ისე გარედან. მღვდელი ლეზავს, არქიტექტორი ფხვს; შემდეგ კი მოულოდნელად გამოჩნდება ხალხი და დაანგრევს მას.

და აი, გარდა ნაზი მოგონებისა, რომელსაც ამ წიგნის ავტორი მიუძღვნის პარიზის ლეთისმშობლის ტაძრის პირველ კომპიუტერულ ამოკვეთილ იდუმალ სიტყვას, დღეს აღარაფერი არ დარჩენილა არც ამ სიტყვისაგან და არც იმ უცნობი ბედისწერისაგან, რომლის საბოლოო შედეგი ეგზომ მელანქოლიურად გამოიხატა მასში. ადამიანი, რომელმაც ეს სიტყვა კედელზე დაწერა, რამდენიმე საუკუნის წინ ამოიშალა ცოცხალთა რიცხვიდან, სიტყვაც გაჰქრა ეკლესიის კედლიდან, და თვით ტაძარიც შიშვლად სულ მალე აღიგავოს პირისაგან მიწისა.

ამ სიტყვის გამო დაიწერა ეს წიგნი.

* ვიქტორ პიქტორს რომანი პარიზის ლეთისმშობლის ტაძარი თარგმნეს ვ. ხაზაიაშვილმა და პაპიაშვილმა. ებეზდეთ ამ თარგმანის პროლოგსა და ეპილოგის ნაწილებებს.

! ბედისწერა (ბერძ. ანაკე).

La creatura bella bianco vestita.¹

(Dante)



ქართული ენციკლოპედია

როდესაც კვაზიმოდომ დაინახა, რომ სენაკი ცარიელი იყო და ბოშაქალი იქ აღარ იმყოფებოდა, რომ იგი სწორედ მაშინ მოეტაცათ, როდესაც ის მას იცავდა, ორივე ხელი თმებზე იტაცა და მოულოდნელობისა და მწუხარებისაგან ფეხები დაბაკუნა; შემდეგ კი აქეთ-იქით ეცა და მთელს ეკლესიაში ძებნა დაუწყო თავის ბოშა ქალს, მისი უცნაური ბლავილი კედლებს აყრუებდა. წითურ თმებს ტაძრის ფილაქანზე აბნეევდა. ეს სწორედ იმ დროს ხდებოდა, როდესაც მეფის მშვილდოსნები გამარჯვებული შევიდნენ ლეთისმშობლის ტაძარში და ისინიც ბოშა ქალის ძებნას შეუდგნენ. კვაზიმოდო, ეს საბრალო ყრუ, მათ ეხმარებოდა ისე, რომ ეჭვიც არ შეჰპარვია მათს ვერაგულ განზრახვაში. ბოშა ქალის მტრებად მას მაწანწალები მიაჩნდა. თვითონ მან აჩვენა ტრისტან განდევნილ ტაძრის ყველა კუნძული, გაულო საიდუმლო კარები, საკურთხეველის ორმაგი ნიშები და საეკლესიო საღაროები. უბედური ქალი რომ ისევ იქ ყოფილიყო, თვითონვე გასცემდა მას.

როდესაც ტრისტანი უნაყოფო ძებნამ მოქანცა, ბოლოს ხელი აიღო ძებნაზე. — მან კი ასე ადვილად როდი იცოდა გულის გატეხვა, — კვაზიმოდომ სრულიად მარტო განაგრძო ძებნა. ოცჯერ, თუ ასჯერ შემოირბინა ეკლესია სიჯრძესიგანეზე, ზევიდან ქვევით, ხან ადიოდა და ხან ჩადიოდა კიბეებზე, დარბოდა, ეძახდა, ყვიროდა, ყნოსავდა, ჩხრეკდა, ხელებს აფათურებდა, თვალს აცეკებდა და თავს ჰყოფდა ყველა ხერხელში. ჩირალდნით ანათებდა ყოველ თაღს, იმედდაკარგული და გაგვიებული. ასე გამძვინვარებით ვერ იღმუველებდა თვით ზეადიც კი, ძუს დამკარგავი.

ბოლოს, როდესაც ის დარწმუნდა, და დარწმუნდა საბოლოოდ, რომ ესმერალდა იქ აღარ იყო, რომ ყველაფერი გათავდა, რომ იგი მას მოსტაცეს, ნელა ავიდა კოშკის კიბეზე, სწორედ იმ კიბეზე, რომელზედაც მან ესოდენი ზეიშითა და აღტაცებით აირბინა იმ დღეს, როდესაც იგი გადააჩინა. მან სწორედ იგივე ადგილები გაიარა, თავდახრილმა, უხმოდ, უცრემლებოდ, თითქმის სუნთქვაშეკრულმა. ეკლესია კვლავ დაცარიელდა და დუმილმა მოიკცა. მშვილდოსნებმა დატოვეს იგი, რათა ჯადოქარს დასდევნებოდნენ სიტეში. კვაზიმოდო, მარტოდმარტო დარჩენილი ლეთისმშობლის ამ უზარმაზარ ტაძარში, რომელიც ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წუთის წინ ესოდენ ახმაურებული იყო გარემომცველთა მიერ, გაემართა იმ სენაკისკენ, სადაც ბოშა ქალს რამდენიმე კვირა ეძინა მისი მფარველობით.

სენაკს რომ მიუახლოვდა, წარმოიდგინა, იქნებ ისევ იქ ენახო ბოშა ქალი. როდესაც იმ ტალანს შემოუტარა, რომელიც გვერდითი ეკედერების სახურავზე გადიოდა, შეამჩნია ვიწრო სენაკი პატარა საკმელით და პატარა კარით, რომელიც მიმალულიყო საყრდენი თაღის ქვეშ, ვითარცა ბუდე ჩიტისა ტოტის ძირას. საბრალოს გული გაუჩრდა, სვეტს მიეყრდნო, რომ არ დაცემულიყო. მან წარმოიდგინა, იქნებ დაბრუნდა ესმერალდა, იქნებ რომელიმე კეთილმა სულმა მოიყვანა იგი უკან; ეს სენაკი მეტისმეტად მშვიდი, საიმედო, უხიფათო, მყუდრო და მშვენიერია იმისათვის, რომ იგი მას არ მიეტოვებინა. ვერ გაბედა ადგილიდან დაძრულიყო, ნაბიჯი გადაედგა, ეშინოდა, ეს თავისი ილუზია არ

¹ მშვენიერა ქმნილება თვითონ მოსლი (დანტე, სალხინგელი, XXX), ივლისსმება ზეატრინე, სიმბოლო სილამაზისა და უბიწო სიყვარულისა.

დაემსხერია. „ღიას, — ეუბნებოდა ის თავის თავს, — იქნებ სძინავს ან ლოცულობს. ნუ დაფურლევით სიმშვიდეს“.

ბოლოს, მთელი ძალ-ლონე მოიკრიფა, როგორც იქნა გაბედა, ცურებზე შედგა, ნაბიჯი წინ წასდგა, შეიხედა, შევიდა. არავინ ჩანდა! სენაკი ისევ და ისევ ცარიელი იყო. უბედურმა ყრუმ ირგვლივ შემოუარა ნელი ნაბიჯით, ლოგინი გადასწია და მის ქვეშ შეიხედა, თითქოს ესმერალდას შეეძლო დამალულიყო ქვის ფილასა და ლეიბს შორის, შემდეგ თავი გააქნ-გამოაქნია და ერთ ადგილზე გაირინდა გაოგნებული. გაშმაგებულმა უცბად ფეხით გაქელა თავისი ჩირალდანი და, სიტყვა არ უთქვამს, ოხერა არ ამოხდენია, ისე გაქანდა მთელი სისწრაფით, კედელს თავი მიახალა და გულშეწუხებული ფილაქანზე დაეცა.

როცა გონს მოვიდა, ლოგინზე დაემხო, გორავდა და თან გაშმაგებით კოცნიდა ჯერ კიდევ თბილ ადგილს, სადაც ამ ცოტა ხნის წინ ახალგაზრდა ქალიშვილს ეძინა; რამდენიმე წუთს უძრავად ეგდო, თითქოს, ეგ არის, სული უნდა ამოხდესო, შემდეგ წამოდგა, ოფლში იწურებოდა, სული ეხუთებოდა, და იწყო გონებადაკარგულმა კედლებზე თავით ხლა ისეთი საშინელი თანაბარზომიერებით, როგორითაც მისი ზარების ენა ქანაობდა აქეთ-იქით, თანაც იმ გადაწყვეტილებით, რომ სასიკვდილოდ გაეხეთქა თავი. ბოლოს, არაქათგამოლეული მეორედ დაეცა ძირს. შემდეგ მუხლებზე ზოხვით გამოცოცდა სენაკიდან და კარის პირდაპირ ჩაცუქდა განცვიფრებული სახით.

ასეთ მდგომარეობაში ერთ საათზე მეტ ხანს დაჰყო უძრავად, თვალგაშტერებული შეჰყურებდა დაცარიელებულ სენაკს, უფრო დამწუხრებული და უფრო დაფიქრებული, ვიდრე ღედა, გლოვად დამჯდარი დაცარიელებულ აკვანსა და თავისი ბავშვის პაწია კუბოს შორის. ერთი სიტყვაეც არ წარმოუთქვამს; მხოლოდ ხანგამოშვებით მძაფრი ქვითინი შეარყევდა ხოლმე მთელ მის სხეულს, მაგრამ ქვითინი უცრემლებოდ, მსგავსად ზაფხულობით უხმოდ აპრიალებული ციავისა.

როგორც ჩანს, სწორედ მაშინ, როცა მწუხარე ფიქრებში გართული კვაზიმოდო ცდილობდა მიეგნო, თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ბოშა ქალის მოულოდნელი მომტაცებელი, მისი გონება არქიდიაკონზე შეჩერდა. გაახსენდა, რომ მხოლოდ კლოდს ჰქონდა იმ კიბის გასაღები, რომელიც სენაკისკენ მიდიოდა; მოაგონდა ახალგაზრდა ქალიშვილზე ღამით თავდასხმის ცდები: პირველად, როცა ის, კვაზიმოდო, მას ეხმარებოდა, მეორედ, როდესაც ხელი შეუშალა. მოიგონა ათასობით წერილმანი და მალე აღარც კი ექვობდა, რომ სწორედ არქიდიაკონმა წაართვა ბოშა ქალი. მაგრამ ისეთი დიდი იყო მისი პატივისცემა ზუცესისადმი, მის გულში ისე ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები მადლიერების გრძნობას. ერთგულებასა და სიყვარულს ამ ადამიანისადმი, რომ ამ წუთშიც კი ეს გრძნობები წინააღმდეგობას უწევდნენ ექვიანობისა და გულაცრუების ქვანგებს.

ის ფიქრობდა, რომ ეს საქმე არქიდიაკონმა ჩაიდინა. მაგრამ სისხლიანი და სამკვდრო-სასიცოცხლო რისხვა, რომლითაც იგი განიმსქვეალებოდა ყოველი სხვა ადამიანის მიმართ, ამეამად, როდესაც საქმე ეხებოდა კლოდ ფროლოს, საბრალო ყრუს კიდევ უფრო მწვავე ტყვილითა და ღრმა მწუხარებით შეეცვალა.

იმ წუთს, როდესაც მისი ფიქრი ზუცესზე შეჩერდა, განთიადის სბივებმა გააშუქა ღვთისმშობლის ტაძრის თაღები, კვაზიმოდომ უცბად შენიშნა მოძრავი

ფიგურა ტაძრის ზემო სართულზე, გარეთა მოაჯირის მოსახვევთან; მოაჯირი აბსიდს გარს ქაშარივით ჰქონდა შემოვლებული. ეს ფიგურა მისცნ მოდიოდა. მან იცნო იგი. ის არქიდიაკონი იყო.

კლოდი მძიმე და ნელი ნაბიჯით მოდიოდა, წინ არ იხედებოდა; ის მიემართებოდა ჩრდილოეთ კოშკისაკენ, მაგრამ სახე მისი მიბრუნებული იყო სენის მარჯვენა ნაპირისაკენ. მას თავი მალა ეკირა, თითქოს ცდილობდა რაღაც დაენახა სახურავს ზემოთ. ასეთი აღმაცერი გამოხედვა ხშირად ბუსა აქვს; ბუ ერთი მიმართულებით მიფრინავს, ხოლო სხვა მხარეს იყურება. ხუცესმა სწორედ კვაზიმოდოს თავს მალა გადაიარა, მაგრამ იგი არ შეუმჩნევია.

ამ მოულოდნელმა გამოჩენამ ყრუ ერთ ადგილზე გააქევა, მან თვალი გააყოლა მიმავალს, ვიდრე იგი არ მიიფარა ჩრდილოეთ კოშკის კიბის კარს. მკითხველმა იცის, რომ სწორედ ამ კოშკიდან მოჩანს ქალაქის თვითმმართველობა. კვაზიმოდო ადგა და არქიდიაკონის კვალს გაჰყვა.

კვაზიმოდო კოშკის კიბეზე ავიდა, რათა გაეგო, თუ რატომ მიდიოდა ზევით ხუცესი. თუმცა კვაზიმოდომ, საბრალო ზარების მრეკელმა, არ იცოდა, რას იზამდა, რას ეტყოდა, რა სურდა. ის გულისწყრომითა და შიშით იყო შეპყრობილი. მის გულში ერთმანეთს შეეჯახნენ არქიდიაკონი და ბოშა ქალი.

როდესაც მან კოშკის მწვერვალს მიაღწია, ვიდრე კიბის სიბნელიდან გამოვიდოდა და ფეხს შედგამდა ბაქანზე, ფრთხილად მოათვალიერა იქაურობა, თვალით ეძებდა, სად იყო ხუცესი. ხუცესი ზურგშექცევით იდგა. სამრეკლოს ბაქანს გარს ერტყა ფაქიზი ხელოვნებით შესრულებული მოაჯირი. ხუცესი, რომელსაც თვალები დაბლა, ქალაქისთვის მიეპყრო, მკერდით დაყრდნობოდა მოაჯირის იმ ერთ-ერთ ოთხ მხარეთაგანს, რომელიც ლეთისმშობლის ხიდს გადაჰყურებდა.

კვაზიმოდო მგლის ნაბიჯით მიეპარა მას და ცდილობდა გაეგო, თუ რას უყურებდა ასე ჩაშტერებით ხუცესი.

ხუცესის ყურადღება იმდენად მიეპყრო რომელიღაც ადგილს, რომ მან ვერც კი გაიგონა ახლოს მისული ყრუს ფეხის ხმა.

დიდებულ და მომხიბლველ სანახაობას წარმოადგენდა პარიზი, განსაკუთრებით კი იმ დროის პარიზი, თუ მას ლეთისმშობლის ტაძრის კოშკის მწვერვალიდან დახედავდით ზაფხულის ცისკრის მართალ სხივებზე. იელისის თვე იყო. ცა სრულიად მოწმენდილი იყო. გვიანობამდე ცას შერჩენილი რამდენიმე ვარსკვლავი აქა-იქ უკვე ჰრებოდა. მხოლოდ ერთი ვარსკვლავი-ღა ბრწყინავდა მეტისმეტად აღმოსავლეთით, სადაც ცა ყველაზე უფრო ნათელი იყო. მზე უკვე ამოსვლას აპირებდა. პარიზი იღვიძებდა. ამ უღარესად თეთრსა და კამკამა შუქზე მკაფიოდ ისახებოდა ათასობით სახლების აღმოსავლეთის მხრის კედლები. სამრეკლოების უზარმაზარი ჩრდილი იშლებოდა სახურავიდან სახურავზე, დიდი ქალაქის ერთი კუთხიდან მეორე კუთხემდე. ზოგიერთ უბანში უკვე ისმოდა ლაპარაკი და ხმაური, აქ ზარების რეკვა, იქ ჩაქუჩის ცემა, ქვემოთ კი მიმავალი ფორნის გრუხუნი. აქა-იქ სახურავების ზედაპირზე, როგორც უზარმაზარი ციკლოპიანი მთის ნაპრალიდან ამოხეთქილი, უკვე ჩნდებოდა კვამლის სვეტები. ვირცხლისთრად იძიმებებდა მოლივლივე მდინარე. რომლის ტალღები ამდენი ხიდის ბურჯებსა და ამდენ კუნძულთა კონცხებს ეხეთქებოდა. ქალაქის ირავლივ. ჩრდის გაღავანს გადაღმა, თვალთახედვა იკარგებოდა ნისლის ჩოღობის ვიიბრთოლა რაალში, რომლის იქით ბუნთად გააჩნევდით ვაკე-მინდორთა განუსაზღვრელ ხაზს და ბორცვების მოხდენილ აზი-

დულობას. ყოველნაირი ხმები გუგუნით ირხეოდა და იფანტებოდა ამ ნახევრად-გალეიქებული ქალაქის თავზე. აღმოსავლეთით დილის ნიავი ცაზე მიერეკებოდა ბამბასავით თეთრ ქულებს, მოწყვეტილს ბორცვებზე გაწოლილი ფაფარ-აშლილი სქელი ღრუბლებიდან.

ტაძრის კარიბჭესთან რამდენიმე ქალი, რომლებსაც რძის ქურჭლები ეჭირათ ხელში, ერთმანეთს გაკვირვებით უჩვენებდა ლეთისმშობლის ტაძრის არაჩვეულებრივად მინგრეულ-მონგრეულ მთავარ შესასვლელ კარებს და სილაქვის ნაპრალებში გაყინულ ტყვიის ორ ნაქადულს. სულ ეს იყო ყველაფერი, რაც კი დარჩენილიყო ღამის არეულობიდან. კვაზიმოდოს მიერ ორ კოშკს შორის დანთებული კოცონი ჩამქრალიყო. ტრისტანმა უკვე გაწმინდა მოედანი და დახოცილთა გვამები სენაში გადააყრევინა. ისეთი შეფეები, როგორცაა ლუი XI, იმაზე ზრუნავენ, რომ ხოცვა-ყლეტის შემდეგ სწრაფად გარეცხონ ქვაფენილი.

კოშკის მოაჯირის გარე მხრიდან. სწორედ იმ ადგილს ქვეშ, სადაც შეჩერდა ხუცესი, იყო ერთ-ერთი უცნაურად გათლილი ქვის წყალჩასადენი ღარი, რომლის შვერილებით აჩრჩილია გოტიკური შენობები. აი ამ ღარის ერთ-ერთ ბზარში ორ მშვენიერ ლეკოიონის ყუავილს ნიავი არხეედა და ისინიც, თითქოს ცოცხლები არიანო, ერთმანეთს გიჟმაყურად უქნევდნენ თავს. კოშკს ზევით, მაღლა, შორს, ცის სიღრმეში ისმოდა ფრინველების ქიკიკიო.

მაგრამ ხუცესს ყოველივე ეს არ ესმოდა, იგი არაფერს არ უყურებდა. ის იმ ადამიანთა მოდგმას ეკუთვნოდა, რომლებსთვისაც არ არსებობს არც დილა, არც ფრინველები, არც ყუავილები: ამ უსაზღვრო ჰორიზონტზე, რომელიც თვალს ამდენ მრავალფეროვან სანახაობას გადაუშლიდა, მისი მზერა მიპყრობილი იყო მხოლოდ ერთადერთი წერტილისაკენ.

კვაზიმოდოს სურვილი სწვავდა, ეკითხა მისთვის, რა უყო ბოშა ქალს; მაგრამ არჭილიაკონი, როგორც ჩანდა, ამ წუთს ამ ქვეყნად აღარ იყო. ეტყობოდა, იგი ცხოვრების იმ ერთ-ერთ მძაფრ წუთებს განიცდიდა, როდესაც ადამიანი ფერხთ ქვეშ მიწის გარღვევასაც კი ვერა გრძნობს. იგი თვალმოუშორებლივ მიშტერებოდა ერთ გარკვეულ ადგილს, იდგა უძრავად და მდუმარედ; და ამ მდუმარებასა და უძრავებაში იყო რაღაც საშინელი; იმდენად საშინელი, რომ თვით ველურ ზარების მრეკელსაც კი ქრუანტელმა დაუარა და ვერ გაბედა ეს მდუმარება დაერღვია. მაგრამ მას სხვა ხერხიც გააჩნდა იმისათვის, რომ არჭილიაკონს შეჭკითხებოდა; მან თვალი გააყოლა მისი თვალთა სხივის მიმართულებას და, ამრიგად, უბედური ყრუს მზერა გრევის მოედანზე შეჩერდა.

მანაც დაინახა ის, რასაც ხუცესი უქექრდა. მუდმივ სახრჩობელასთან დადგმული იყო კიბე. მოედანზე მოჩანდა ხალხის გროვა და მრავალი ჯარისკაცი. ვიღაც მამაკაცი ქვაფენილზე მიათრევდა რალაკას თეთრს, რომელსაც შავი რამ ჩასჰიდებოდა. ეს კაცი სახრჩობელის ძირას შეჩერდა.

ამ დროს იქ რალაც მოხდა, რაც კვაზიმოდომ კარგად ვეღარ დაინახა. იმიტომ კი არა, რომ მისმა ერთადერთმა თვალმა დაქარგვა გამჭრიახოდა, არამედ იმიტომ, რომ ჯარისკაცთა გროვა უშლიდა დაენახა და გაერჩია ყოველივე ის, რაც იქ ხდებოდა. თუმცა ამ წუთს მზეც ამოვიდა, და ჰორიზონტიდან თვალის მომჭრელი სინათლის ისეთი ნაკადი გადმოიღვარა ტალღებად, რომ პარიზის ყველა მაღალი წვირო, გუმბათებისა და კოშკების წვეტები, ბუხრების მილები, კოშკურები ერთბაშად აელვარდნენ, თითქოს ცეცხლი წაეკიდათო.

ამასობაში იმ კაცმა კიბეზე იწყო ასვლა. მაშინ კი კვაზიმოდომ ნათლად გა-
არჩია იგი. მას მოჰყავდა მხარზე გადაწვენილი ქალი, ახალგაზრდა ქალიშვილი,
თეთრად შემოსილი. ამ ქალიშვილს ყელზე მარყუჟი ჰქონდა ჩამოკმული. კვა-
ზიმოდომ იცნო იგი.

ის იყო.

იმ კაცმა კიბის თავს შიალწია. იქ მან მარყუჟი შეუსწორა. აქ ხუცესი, იმის-
თვის, რომ კარგად დაენახა, მუხლებით მოაჯირზე შედგა.

უცბად იმ კაცმა სწრაფად ჰკრა ქუსლი კიბეს, და კვაზიმოდომ, რომელსაც
უკვე რამდენიმე წუთს სუნთქვა შეკროდა, დაინახა, თუ როგორ გაქანდა ქვაფე-
ნილოდან ორი საეენის სიმაღლეზე, თოკის ბოლოზე ჩამოკიდებული უბედური
ბავშვის სხეული კაცთან ერთად, რომელიც მას ფეხებით მოახტა მხრებზე. თო-
კი რამდენჯერმე დაიგრიბა. კვაზიმოდომ დაინახა, თუ როგორ დაუარა საშინ-
ელმა კრუნჩხვამ ბოშა ქალის მთელ სხეულს. ხუცესიც, თავის მხრივ, კისერწა-
წეული და თვალეზგადმოკარკეული, მიაშტერდა ამ გულშემზარავ ჯგუფს,
კაცსა და ახალგაზრდა ქალს, ობობასა და ბუხს.

ამ შემაძრწუნებელ მომენტში დემონისებურმა ხარზარმა, რომელშიც ადა-
მიანური არა იყო რა, დაღრიჯა ხუცესის მკედრისებური სახე. კვაზიმოდოს ეს
ხარზარი არ გაუგონია, მაგრამ დაინახა კი.

ზარების მრეკელმა რამდენიმე ნაბიჯით დაიხია არქიდიაკონის ზურგს
უკან, და უცბად გააფთრებული ეჭგერა მას. თავისი ორი მძლავრი ხელი
ზურგში ჰკრა და გადაიხეზა უფსკრულში, რომლის პირასაც გადახრილი იყო
მამა კლოდი.

ხუცესმა იყვირა: წყეულმეც იყავ! და ძირს ჩავარდა.

მის ქვეშ მყოფმა წყალჩასადენმა ღარმა შეაჩერა მისი ვარდნა. იგი თავ-
განწირვით ჩაებლავა მას ორივე ხელით, და სწორედ იმ მომენტში, როდესაც
მან პირი დაალო იმისათვის, რომ ხელმეორედ ეყვირა, დაინახა მოაჯირის ნა-
პირზე. მის თავს ზევით, კვაზიმოდოს მრისხანე და შურისძიებით აღსავსე სახე.

მაშინ კი იგი დადუმდა.

მის ქვეშ უფსკრულს პირი დაეღო. ქვაფენილამდე ორას ფუტზე მეტი მან-
ძილი იყო კიდევ დარჩენილი.

ამ საშინელ მდგომარეობაში არქიდიაკონს ერთი სიტყვაც არ წამოსცდე-
ნია, ერთი კენესაც არ ამოხდენია. ის მხოლოდ ებლაუქებოდა და ეხვეოდა ღარს
და გაუგონარ ძალ-ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ როგორმე მალა აცო-
ცებელიყო. მაგრამ მისი ხელები გრანიტს არ ეკიდებოდა, უსხლტებოდა,
ფეხებით ამაოდ ფხოჭნიდა გაშავებულ კედელს, ამაოდ ეძებდა დასაყრდენს.
ვინც კი ლთისმშობლის ტაძრის კოშკზე ასულა, მან იცის, რომ უშუალოდ
მოაჯირს ქვეშ ქვის გამოზურკული შვერილია; აი სწორედ ამ გამოწეულ კუთ-
ხეზე ფართხალობდა და არაქათი ეცლებოდა უბედურ არქიდიაკონს. მის ქვეშ
იყო არა შვეული, არამედ დახრილი სრიალა კედელი.

იმისათვის, რომ კვაზიმოდოს იგი უფსკრულიდან ამოეყვანა, მხოლოდ ხე-
ლის გაწოდება დასჭირდებოდა, მაგრამ ის მას არც კი უყურებდა. იგი გრევის
შოედანს გასცქეროდა. სახრჩობელას დაჰაორებდა. ბოშა ქალს უცქერდა.

ყრუ იდაყვით დაეყრდნო მოაჯირს სწორედ იმ ადგილას, სადაც ამ ერთი
წუთის წინ არქიდიაკონი იდგა. და თვალს არ აშორებდა იმ ერთადერთ საგანს,
რომელიც ამჟამად მისთვის ამ ქვეყანაზე არსებობდა. იდგა უძრავად და მღუ-
შარედ, როგორც მეხდაცემული, და ცრემლთა შეუწყვეტელი ნაკადული უხ-

მოდ სდიოდა ერთადერთი თვალიდან, რომელსაც მანამდე მხოლოდ ერთადერთი ცრემლი გადმოვარდნოდა.

ამ დროს კი არქიდიაკონს სული ეხუთებოდა. მელოტი შუბდიდან სამწირის ოფლი ჩამოდიოდა, ფრჩხილებიდან ქვაზე სისხლი წვეთავდა. კედელზე სახუნისაგან მუხლებზე ტყავი გადასპრომოდა.

მას ესმოდა, თუ როგორ სკდებოდა და ირლევოდა ყოველ მის განძრევაზე ღარზე წამოდებული მისი ანაფორა. მისდა საუბედუროდ, ეს ღარი თავდებოდა ტყვიის მილით, რომელიც მისი სხეულის სიმძიმისაგან იღუნებოდა. არქიდიაკონი გრძნობდა, რომ ეს მილი ნელ-ნელა იზნიჭებოდა. ის უბედური ფიქრობდა, რომ, როგორც კი მისი ხელები დალილობისაგან ღონეგამოცლილი მოეშვებოდა, როდესაც მისი ანაფორა დაიხეოდა, როდესაც ტყვიის მილი დაიღუნებოდა, იგი აუცილებლად ჩავარდებოდა, და ამიტომაც შიშის ქრუანტელი ეწვიდა გულ-მუცელში. ხანდახან თავგზააბნეული მშერას მიაპყრობდა ხოლმე ვიწრო ბაქანის მაგვარ ალაგს, რომელიც ათი ფუტით დაბლა შეექმნა რომელიც არქიტექტურულ მორთულობას, და თავისი განწირული სულის სიღრმეში ზეცას ევედრებოდა მისი სიცოცხლე ამ ორ კვადრატულ ფუტის ოდენა ადგილზე გაეთაყვინა, თუნდაც რომ ას წელიწადს დაეყო მასზე. ერთხელ ჩახედა დაბლა მოედანს, უფსკრულში დანთქმულს; როდესაც თავი მალა ასწია, თვალები დაეხუჭა და თმები აებურძგნა.

იყო რალაც საშინელი ამ ორი ადამიანის დუმილში. იმ დროს, როდესაც არქიდიაკონი რამდენიმე ნაბიჯზე ასე უღმობლად დაფავდა სულს, კვაზიმოდო ცრემლად იღვრებოდა და გრევის მოედანს გაჰყურებდა.

არქიდიაკონი ხედავდა, რომ ყოველი მისი შეტოკება მხოლოდ არყევდა მის უკანასკნელ სუსტ დასაყრდენს. ამიტომ გადასწაიბა, მეტი აღარ განძრეულიყო. ღარს ჩახეოდა, სულს ძლივს ითქვამდა, აღარ ინძრეოდა, არ მოძრაობდა. გარდა იმისა, რომ უნებურად ეკრუნჩხებოდა მუცლის კუნთები, რასაც ადამიანი სიზმარში განიცდის ხოლმე, როდესაც ჰგონია, რომ ძირს ვარდება. მისი გამტკრებული თვალები აუადმყოფურად და გაკვირვებით იყო გაფართოებული. ის თანდათანობით კარგავდა ნიადაგს, თითები ღარზე უტურავდა, გრძნობდა, რომ მკლავები თანდათან უსუსტდებოდა და სხეული სულ უფრო და უფრო უმძიმდებოდა. ტყვიის მილის ღუნი, რომელსაც იგი ეჭირა, ქვევითა და ქვევით იხრებოდა უფსკრულისაკენ.

მან ძირს ჩაიხედა და საშინელი სანახაობა წარმოუდგა თვალწინ: სენ-ქან-ლე-რონის სახურავი, პაწია, როგორც ორად გაღუნული რუკა. იგი ხანდახან შეხედავდა კოშკის უგრძობელ ქანდაკებებს, რომლებიც უფსკრულის თავს მისებრ დაკიდულიყვნენ, მაგრამ რომლებიც არც შიშსა გრძნობდნენ და არც სიბრალულს მისდამი. ირგვლივ ყოველივე ქვისგან იყო ნაგები. მის თვალწინ პირდაღებული ურჩხულები, მის ქვემოთ სულ დაბლა, მოედნის სიღრმეში, ქვაფენილი; მის თავს ზემოთ კი — ატირებული კვაზიმოდო.

ტაძრის კარიბჭის წინ მოედანზე შეგროვილიყო ცნობისმოყვარეთა რამდენიმე ჯგუფი, რომლებიც გულდამშვიდებით მსჯელობდნენ და ცდილობდნენ გამოეცნოთ, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ეს გივი, რომელიც ასე უცნაურად ირთობდა თავს. ხუცესს ესმოდა მათი ლაპარაკი, რადგან მათი ხმა აღწევდა იქამდე ნათლად და მკაფიოდ: — „მაგრამ ის ხომ კისერს მოიტებს!“

კვაზიმოდო ქეთინებდა.

ბოლოს არქიდიაკონმა, ცოფმორეულმა და შიშით შეპყრობილმა, შეიგნო.

რომ ყოველივე ამო იყო. თუმცა მან მაინც მოიკრიფა მთელი ძალ-ღონე რაც კი შერჩენოდა, რათა უკანასკნელად კიდევ ეცადა. ღარზე გაიჭიმა, მტხლები კედელს ჰკრა, ორივე ხელით ქვების ნაპრალებს მოეჭიდა და დაახლოებით ერთი ფუტით მოახერხა აფოფხება; მაგრამ ამ მკვეთრმა მოძრაობამ ტყვეობის მილის ღუნი, რომელსაც ის ეყრდნობოდა, უცბად დახარა; მისივე მისი ანაფორაც გაიჩრევა; მაშინ კი იგრძნო არქიდაიკონმა, რომ ყოველგვარი დასაყრდენი მოესპო, რომ მხოლოდ მისი დაბუეებული და ღონეგამოცლილი ხელები-ღა ებლაუქებოდნენ რაღაცას, უბედურმა თვალები დახუჭა და ღარს ხელი უშვა. იგი ჩავარდა.

კვაზიმოდომ დაინახა მისი ჩავარდნა.

ასეთი სიმაღლიდან შეეუღალ ჩავარდნა იშვიათად ხდება. სივრცეში გადავარდნილი არქიდაიკონი ჯერ თავითა და გაშლილი ხელებით ჩაეშვა ქვევით; შემდეგ ჰაერში რამდენჯერმე გადატრიალდა; ქარმა იგი ერთ-ერთი სახლის სახურავისკენ გააქანა და უბედური ზედ დაანარცხა. მაგრამ როდესაც ამ სახურავს მიაღწია, ის ჯერ კიდევ არ იყო მკვდარი. ზარების მრეკელმა დაინახა, თუ როგორ ცდილობდა იგი თავბანდს ფრჩხილებით ჩაბლაუქებოდა და თავი შეეკავებინა; მაგრამ სახურავის სიბრტყე მეტრისმეტად დაქანებული იყო და მას ძალა აღარ ეყო. სწრაფად ჩამოსრიალდა სახურავზე, მოსხლეტილი კრამიტით, და ქვაფენილზე ზღართან მიადინა. აქ იგი აღარც განძრეულა.

მაშინ კვაზიმოდომ თვალი მიაპყრო ბოშა ქალს, რომლის სახრჩობელაზე-ჩამოკიდებული, სულთმიობრძავე სხეული თეთრ სამოსელს ქვეშ უკანასკნელად ჯერ კიდევ თრთოდა და იკრუნჩხებოდა. შემდეგ დაბლა დახედა არქიდაიკონს, რომელიც კოშკის ძირას გამსხარტულიყო და ადამიანის სახე დაჰკარგოდა. გულის სიღრმიდან ამოხეთქილი ქვითინით წარმოთქვა:

— ოჰ, სულ ესაა, რაც მე მიყვარდა!

... ..

კვაზიმოდოს მოკვინება

ჩვენ ეს-ეს იყო ვთქვით, რომ კვაზიმოდო გაჰქრა ლეთისმშობლის ტაძრიდან ბოშა ქალისა და არქიდაიკონის სიკვდილის დღეს. მართლაც, იგი აღარავის უნახავს: არავინ იცოდა, რა დაემართა მას.

ღამით, ესმერალდას დასჯის შემდეგ, ჯალათის თანაშემწეებმა მისი გვამი ჩამოხსნეს სახრჩობელადან და, თანახმად ჩვეულებისა, წაიღეს მონფოკონის აკლამაში.

მონფოკონი, როგორც სოვალი ამბობს, „იყო სამეფოს ყველაზე ძველი და ყველაზე დიდებული სახრჩობელა“. ტამპლისა და სენ-მარტინის გარეუბანთა შორის, პარიზის გალანდიდან დაახლოებით ასსამოც საეწეზე, კურტილიდან ბოძალდის რამდენიმე სასროლ მანძილზე, ერთ დამრეცილ, შეუმჩნეველ, მაგრამ მაინც იმდენად მალალი ბორცვის მწვერვალზე, რომ რამდენიმე ლიეზე დაენახათ იმ არემარეში, აღმართული იყო უცნაური ფორმის ნაგებობა, რომელიც რამდენადმე კელტურ კრომლესსა ჰგავდა და სადაც აგრეთვე აღამიანებსაც წირადნენ მსხვერპლად.

წარმოიდგინეთ ცარცოვანი ბორცვის მწვერვალზე დიდი ქვითნაშენი პარალელებივდი, სიმაღლით თხუთმეტი, სიგანით ოცდაათი და სიგრძით ორმოცი ფუტი, კარებით, გარეთა რამპით და ბაქანით. ამ ბაქანზე აღმართული იყო გაუთული ქვისაგან ნაგები თექვსმეტი უზარმაზარი სვეტი, სიმაღლით ოცდაათი

ფუტი, მკვიდრ საფუძველზე სამი მხრივ კოლონადის სახით ირგვლივ განლაგებული და ერთმანეთთან მაგარი კოჭებით თავშეკრული, რომლებზეც გარკვეული შუალედებით ეკიდა ჯაჭვები, ხოლო ყოველ ჯაჭვზე ჩამოცილებული იყო ჩონჩხები; ირგვლივ იმ არემარეში ვაკეზე — ქვის ჯვარტმა და მისი მეთრეხარისხოვანი სახრჩობელა, რომლებიც თითქოს ცენტრალური სახრჩობელას ორ განშტოებას წარმოადგენდა. ყოველივე ამის ზემოთ ცაში მუდამ ტრიალებდა ყვავ-ყორანთა გუნდი. აი, როგორია მონფოკონი.

მეთხუთმეტე საუკუნის დამლევეს უშველებელი სახრჩობელა, რომელიც 1328 წელს აუშენებიათ, უკვე მეტისმეტად დაძველებულიყო. კოჭები ჭიებს გამოეხრათ, ჯაჭვებს ენაგი მოჰცილებოდა, ბოძები ობისაგან გამწვანებულიყო. გათლილი ქვების საბრჯენი ნაფენი ნაწიბურებთან გაწეულ-გამოწეულიყო და დახეთქილიყო; ბაქანი, რომელსაც კაცის ფეხი აღარ შეხებია, ბალახით დაფარულიყო. ეს ნაგებობა ცაზე შემზარავ სილუეტად აღმართულიყო, ნამეტნავად დამლაშობით, როდესაც მთვარის მკრთალი შუქი ციმციმებდა თეთრ თავისკალებზე. ანდა როდესაც ჩრდილოეთის ქარი უბერავდა და აქეთ-იქით არხევდა ღამის წყვილიდში ჯაჭვებსა და ჩონჩხებს. მარტო ეს სახრჩობელაც კმაროდა, რომ მთელი იმ არემარისათვის პირქუში ელფერი მიეცა.

ქვის ეს მკვიდრი წყობა, რომელიც წარმოადგენდა ამ საზიზლარი ნაგებობის საფუძველს, შიგნით ღრუ იყო. იქ გაუყუთებიათ ძველი, დაზიანებული რკინის ცხაურით დაკეტილი ფართო აკლდამა, სადაც ყრიდნენ არა მარტო მონფოკონის ჯაჭვებიდან ჩამოვარდნილ ადამიანთა სხეულების ნაშთებს, არამედ ყველა იმ უბედურთა გვაშებს, რომლებიც ჩამოეხრჩოთ პარიზის სხვა მუდმივ მოქმედ სახრჩობელებზე...

რაც შეეხება კვაზიმოდოს იღუმალ გაქრობას, აი ყოველივე ის, რის აღმოჩენაც ჩვენ შევძელით.

დაახლოებით ორმა წელიწადმა თუ წელიწადნახევარმა გაიარა იმ ამბების შემდეგ, რითაც დამთავრდა ეს ისტორია, როდესაც მონფოკონის აკლდამაში მოვიდნენ, რათა მოეტებნათ ოლივიე ლე დენის გვამი, რომელიც მანამდე ორი დღით ადრე ჩამოეხრჩოთ და რომელსაც შარლ VIII-მ წყალობა უბოძა, დაეკრძალათ უფრო უკეთეს საზოგადოებაში. სენ-ლორანის სასაფლაოზე, — გულშემზარავ ჩონჩხთა შორის ნახეს ორი ჩონჩხი, რომელთაგან ერთი უცნაურად გადაჭრილობოდა მეორეს. ერთი ჩონჩხი ქალისა იყო, მას ჯერ კიდევ შირჩენოდა კაბის, ოდესღაც თეთრი ქსოვილის, ნაფლეთებად ქცეული ძონძები, ყელზე ჰქონდა დაფნის მარცვლებისაგან ასხმული გულქანდა, ყელსაბამი, აბრეშუმის პაწია ავგაროხით, შემკული მწვანე შუშის მძივებით. გახსნილი და ცარიელი. ეს საგნები იმდენად მცირე ღირებულების იყო, რომ, უეჭველია, თვით ჯალათმაც კი არ მოისურვა მათი წაღება. მეორე ჩონჩხი, რომელსაც მკვიდროდ ჩაეკრა გულში პირიელი, მამაკაცის ჩონჩხი იყო. შენიშნეს, რომ მას ხერხემალი გამრუდებული ჰქონდა, თავი ღრმად იყო ჩამჭვრალი ბეჭებს შორის და ერთი ფეხი უფრო მოკლე იყო, ვიდრე მეორე. მაგრამ მას კისრის მალეების არავითარი დაზიანება, არავითარი გაწყვეტა კეთასთან არ ეტყობოდა. აქედან ცხადია, რომ იგი არ ჩამოეხრჩიათ. მაშასადამე, ადამიანი, რომელსაც ეს ჩონჩხი ეკუთვნოდა, თვითონ მოსულა და აქ მომკვდარა. როდესაც მოიწადინეს მისი მოცილება იმ ჩონჩხისაგან, რომელსაც ის გადახვეოდა, იგი მყისვე ფერფლად იქცა.

თარგმანი ფრანგულიდან მ. ხაჯალიანი და შ. პაპუაშვილისა

პასილ ბიკაჰ

მთელი გულით



გორში ჩასვლის დროს კაცს ყოველთვის ახსენდება დიდი ამერიკელი დემოკრატი პოეტის უოლტ უიტმანის სიტყვები: „უდიდესი ქალაქი ის არის, რომელიც დიდ ადამიანს შობს და მცირე სოფელიც უდიდეს ქალაქად ჩაითვლება, თუ მან დიდი ადამიანი მოგვცა“.

პატარა, ძველისძველმა ქალაქმა გორმა კაცობრიობას მისცა ვ. ი. ლენინის უახლოესი თანამებრძოლი და მისი საქმის დიდი განმგრძობი ი. ბ. სტალინი. ამიტომაც, რომ ქართული სიტყვა „გორი“ ბაგიდან ბაგეზე სიყვარულით გადადის დედამიწის ყველა კუთხეში. ამიტომაც, რომ მის სანახავად შეუწყვეტლად მოილტვიან საბჭოთა ადამიანები, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები, კაპიტალისტური სამყაროს პროგრესული მოღვაწენი.

ი. სტალინის სამშობლო ქალაქის, მისი კერის ნახვა ჩვენს დროში მასობრივ მოვლენად გადაიქცა. ყოველ მნახველს აქ უზომო აღფრთოვანება ეუფლება. ამაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მუზეუმში დაცული შთაბეჭდილებათა წიგნები, დაწერილი სიყვარულის, მაღლობისა და ალტაცების მხურვალე გრძნობით. არ დარჩენილა არც ერთი მნიშვნელოვანი ქართველი პოეტი, რომელსაც დიდი ლირიკული მგზნებარებით, კემშარიტი მღელვარებით გამოთბარი სტროფები არ მიეძღვნას გორისათვის. მათ ლექსებში მძლავრად არის გამოხატული ლენინ — სტალინის პარტიისადმი ერთგულებისა და სიყვარულის უქცნობი გრძნობა, ხალხთა ურღვევი მეგობრობა, საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი ერთუზიანში, მათი ურყევი ნება კომუნისტებისათვის საბრძოლველად, რისი დემონსტრაციაც აქ, ამ ისტორიულ სახლში, ყოველ დღესა და ყოველ საათს ხდება.

ჩვენ ხელთ გვაქვს მრავალი პირველხარისხოვანი პოეტური ქმნილება, რომლებშიაც დიდი მხატვრული ოსტატობით არის დასურათებული გორის გუშინდელი, დღევანდელი და ხვალისდელი დღე, მისი კოლორიტი, ის გარემო, წიაღი, რომელიც ზრდიდა და ავებკაცებდა ყრმა სოსოს გონებას, ფანტაზიას და ნებისყოფას.

მკითხველმა შეიყვარა და შეისისხლხორცა გორზე დაწერილი საუკეთესო ლექსები, პოემები, ბალადები, რომლებშიაც გამოხატულია ყოველი ჩვენგანის ფიქრი და ოცნება. ასეთი ქმნილებანი, ჩვენს პოეზიაში დიდ ნაკადად მოედინება და ამდიდრებს საბჭოთა მწერლობის საუნჯეს.

რა თქმა უნდა, ქართველ პოეტებს ამომწურავად არა აქვთ ასახული ეს თემა, ზოგიერთ ლექსში ვხვდებით გადაჭარბებულ რიტორიკას, ისტორიზმით გატაცებას; მთელი რიგი ავტორები ვერ პოულობენ ზუსტ და აკონკრეტულ სახეებს წარსულისა და დღევანდლობის სწორი შეპირისპირებისათვის, გორის თანამედროვე ცხოვრების ცოცხლად დახატვისათვის, მაგრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა პოეზიამ საკმაოდ ბევრი გააკეთა და შესაფერ სიმაღლეზე აიყვანა გორის თემა.

ქართველ თანამოკალმეებს გაჰყვენენ საბჭოთა პოეზიის გამოჩენილ ოსტატები. ქართველი მკითხველი უკვე იცნობს მოწინავე რუსი საბჭოთა პოეტების მიერ დიდი შთაგონებით დაწერილ ისეთ ნაწარმოებებს, როგორიცაა ნიკოლოზ ტიხონოვის „სახლი გორში“, მიხეილ ლუკონინის „სამარადისოდ მესხობემა მე ეს დღეები“, სერგეი მიხალკოვის „მშობლიურ ქართლის გულო“, ნიკოლოზ გრიბაჩევის „გორში“, ნიკოლოზ ზაბოლოცკის „გორის სიმფონია“, ალექსანდრე მეფიროვის „გორელები უსმენენ მოსკოვს“, ალექსანდრე ყაროვის „ბელადის აკვანი“, ნიკოლოზ სიდორენკოს „ორი სახლი“, აგრეთვე მომე რესპუბლიკების სახელგანთქმული პოეტების იანკა კუბალას, პავლო ტიჩინას, ედი ოგნეცვეტის, გურგენ ბორიანის, პლატონ ვორონკოს და სხვათა ნაწარმოებებს.

მთელს ჩვენ ქვეყანაში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს ჯამბულის შესანიშნავი, გულის სიღრმიდან მომდინარე ლექსები, რომელიც მოხუცმა აკინმა გორში ყოფნის დროს შექმნა და იქვე დაამღერა თავის ლეგენდურ დომბრაზე:

ოცნებით მიფრენ ქალაქ გორში — ეს ქართლის გული
 ბედნიერების სამშობლოა — ზღვა სიხარულის,
 განმსდელი ხალხთა ცრემლებისა, ტანჯვის და წაღლის, —
 მან გამოზარდა მთის არწივი — უღრეო სულით,
 ხალხთა დიდების, მეგობრობის მვედელი ბრძენი —
 სტალინი — მამა, მეგობარი, ბელადი ჩვენი.

გორზე მღერიან ყველა ხალხის რჩეული პოეტები. ამ თემას შეეხო მრავალი საზღვარგარეთელი მწერლის კალამი. ვკითხულობთ ჩები ოლდერიკ ზემეკის, რუმინელი დეშლიუს ლექსებს გორზე და ყველაფერი ნათელი, ახლობელი და მშობლიურია მათში. ასეთივეა ჩები პოეტის სტანისლავ ნეიშანის ლექსი, რომელიც მან სტალინის სახლის შთაბეჭდილებათა წიგნში აღბეჭდა სამახსოვროდ. მათ ეხმაურებიან ჩინელი, კორეელი, ალბანელი, უნგრელი, ბულგარელი, ფრანგი და სხვა ხალხების პოეტები: გორის, მის პატარა სახლის ნახვამ შთააგონა გერმანელ დემოკრატ პოეტს კუბას დაეწერა მომზიბლავი პოემა. ამ ნაწარმოებში იგი ქებათაქებას უმღერის ქართველ დედას, ქართულ მიწას.

ეს პოეტური ნაწარმოებები გამოქვეყნდა ძირითადად უკანასკნელი 10 — 15 წლის მანძილზე. ისინი გაფანტულია სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში, კრებულებსა და წიგნებში.

ეს წერილი ეხება ხუთი ქართველი პოეტის — გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, იოსებ გრიშაშვილის, ალიო მირცხულავას და სიმონ ჩიჭოვანის მიერ გორის თემაზე შექმნილ ნაწარმოებებს.

გალაქტიონ ტაბიძის ლექსი „გორი“ იწყება გარდასულ ისტორიულ ეპოქათა მართალი, უტყუარი წარმოსახვით, წარსულისა, როცა მშვიდობიან ხალხს „მეხად, გრგვინვად“ თავს ატყდებოდა ათასი ჯურის მტერი. მაგრამ გორი გამირულად ხედებოდა განსაცდელს და იღვა „ცეცხლში ბიძმედირკინად“. პოეტი კინემატოგრაფიული სისწრაფით ცვლის წარსულის ბნელ, ტრაგიკულ, მაგრამ ამავე დროს გამირულ, დაუვიწყარ სურათებს, და ყოველი სტროფის ბოლოს რეფრენად ურთავს სიტყვებს: „ასეთი იყო გორი“. ამ სიტყვებში პოეტი ხაზს უსვამს, განაზოგადებს გორის ისტორიულ დამსახურებასა და როლს ქართველი ხალხის ფიზიკური არსებობის, ეროვნული კულტურისა და ენის შენარჩუნების საქმეში. შემდეგ ლექსში გაიფიქრებს ქალაქის უდიდესი მკვიდრის, ყრმა კობას ფიგურა, რომელიც დაფიქრებით გასცქერს შორეულ სივრცეებს:

კაცობრიობის ბრწყინვად ჩანდა ვარსკვლავი შორი.
ყრმა გასცქეროდა, „სძინავთ“ — ასეთი იყო გორი.

ლიახვის იღუმალ ჩხრიალში პოეტს თითქოს ესმის თხრობა კაცობრიობის დიდ ტკივილებზე, სოციალურ უსამართლობაზე, რომელსაც მოჭირნახულე, მომშუშებელი, დამყუჩებელი სჭირდებოდა. ლექსი ცხოვრების ძველი, ექსპლოატატორული სისტემის წყლულებს ბოლომდე ამიშვლებს და მთელი თავისი შემზარავი სახით წარმოგვიდგენს:

მათთვის რა არის ხალხის სისხლი: დაე, იღვაროს,
ოღონდ მტარვალმა იბატონოს და გაიხაროს.

ლექსის თხრობაში უცბად სრული შემობრუნება, გარდატეხა იწყება და ნაბიჯ-ნაბიჯ ნაჩვენებია სტალინის რევოლუციური მოღვაწეობა, მისი ნებისყოფის უდრეკი ძალა, შეუპოვარი ბრძოლა ცარიზმისა და ბურჟუაზიის ყველა ბნელი ძალის წინააღმდეგ. ლაკონურ პოეტურ სახეებში წარმოსახულია სტალინის ბიოგრაფიის რამდენიმე მომენტი, მისი სიმტკიცე ხალხის ბედნიერებისა და განთავისუფლების მოპოვების ნარეკლიან გზაზე.

1901 წლის სექტემბერს ახალგაზრდა სტალინი თავის წერილში „რედაქციისაგან“, რომლითაც იხსნებოდა გაზეთ „ბრძოლის“ პირველი ნომერი, წერდა: „მთელი ხროვა ჩინოვნიკებისა, ცენზორებად წოდებულნი, მიჩენილი ჰყავთ მათ (ლაპარაკია ლეგალურ პრესაზე. ვ. ბ.) და ისინი საგანგებოდ ადევნებენ თვალს, წითელ მელანს და მაკრატელს მიმართავენ, თუ სადმე, თუნდ ჰუჭრუტანიდან გამოსჰქვივის სიმართლის და ჰეშმარიტების სხივი“ (ი. სტალინი. ტ. I, გვ. 5).

„ჰეშმარიტების სხივი“ — ეს იყო, რომ უნათებდა გზას მილიონებს ბრძოლასა და იერიშში, ციმბირსა და საპყრობილის ჯურღმულებში, — გ. ტაბიძემ ამ გამოთქმის ბრწყინვალე პოეტური გამოყენებით დიდ ეფექტს მიაღწია.

ციხე, მუშათა ხიდი, მშვიდი ბათუმის მთვარე,
კლდე კასპიის კიდე, გადასახლების მხარე.
ლტლვა ციხიდან, არე ტაშერფორსისკენ ჰლვივის.
ლენინის ნახვა. ფარი ჰეშმარიტების სხივის.

რა შიშვე გზებით ვლინდ: პრაგა, ლონდონის კარი.
 ხან ტურუხანის ბინდი, ხან პეტერბურგის ქარი,
 ტყე, გაფიქვების ღვარი, ციხე, ციხიანი ციხე.
 ყველგან იმედად არის ქვეშარიტების სხივი.



ასეთი დაუდგრომელი რიტმით, მძაფრი სახეებით არის გამოძერწილი ლენინისა და სტალინის დიადი მეგობრობა, ხალხის განმათავისუფლებელი სოციალური, რევოლუციური ბრძოლის გრანდიოზული პანორამა.

„გორი“ გვირგვინდება საბჭოთა ხალხის ნათელი, ბედნიერი ცხოვრების ჩვენებით.

გალაქტონ ტაბიძე სამამულო ომის წლებში არაერთხელ გამოვიდა თავისი მგზნებარე, მებრძოლი ჩანგით და ზოგიერთ ლექსში გორის მოტივებიც მარჯვედ გამოიყენა. მან ახალი ლექსი გორს მიუძღვნა ომის დამთავრებიდან სამი წლის შემდეგ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მისი „ეგ არის და გორის ციხე!“ ამ ლექსში ავტორმა მახვილი ანალოგიების გზით წარმოგვიდგინა ფაშისმის წინააღმდეგ დამთავრებული გიგანტური ჭიდილის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა და საბჭოთა ადამიანის უძლეველი ძალა, მისი შემოქმედებითი ერთუზიანობი. ამ ლექსიდან გველაპარაკება გამარჯვებული, ლაღი, რწმენითა და მომავლის დიადი გეგმებით აღსაესე, მშვიდობიანი შრომის მოტრფიალე ადამიანი.

ტრადიციულ ქართულ ხატოვან თქმას („ეგ არის და გორის ციხე“) ¹, გ. ტაბიძე საუცხოოდ იყენებს ახალი, თანამედროვე მოვლენების მკაფიოდ ჩვენებისათვის:

ომში ვიყავ, მტერს ბერლინი
 მიეფარებე, მოუფარებე,
 ცხრა მაისით შემოვძახე, —
 ეგ არის და გორის ციხე.

პოეტი ხაზს უსვამს ხალხის ოპტიმიზმს, მის სიყვარულს მშვიდობიანი შემოქმედებისადმი და ხალხიან შრომასა და აღმშენებლობას უმღერის. იგი კარგად გამოხატავს საბჭოთა ადამიანის მაღალ მორალს, ჩვენი იდეოლოგიის ქვეშარიტ სიდიადეს, მისი მიმზიდველობისა და პოპულარობის წყაროებს.

გიორგი ლეონიძის ლექსში „სტალინს“ პირველ სტრიქონშივე ნანიშნებია ლექსის ძირითადი ძარღვი და ნათლად არის გამოხატული ქართველი კაცის სიამაყე:

... აყვავდეს ხალხის აყვანი
 და მიწა ერთი კალათა, —
 შენმა სახელმა ქოხიდან
 ზმელეთი გადაანათა.

გ. ლეონიძის პოეზიაში გორი წარმოდგენილია, როგორც ჩვენი ქვეყნის ცნების კონკრეტული გამოხატულება, მისი დიდების ჯაგარი. ამიტომ, რო-

¹ ჩვენში ყოველ კარგად გაკეთებულ საქმეს შეადარებდნენ გორის ციხეს. ამრიგად, „გორის ციხე“ გადაიქცა სინონიმად სიმკვიდრისა, სიმტკიცისა, უძლეველობისა, სიმაგრისა (იხ. თეოდოსიათა, „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, 1, შოთა ძიძიგურის რედაქციით, და წინასიტყვაობით, გვ. 106).

დესაც ის გორს და მის პატარა სახლს უმღერის, ამით მთელ საქართველოს, უფრო მეტიც, მთელ ჩაგრულ კაცობრიობას, უბრალო ადამიანთა მილიონებს უმღერის.

ლექსში „ბელადის კერა“ პოეტი თავიდანვე ხაზს უსვამს ქართული ისტორიულ ძეგლთა სიმრავლეს. მაგრამ ყველა ისინი, ერთად აღებული, ოდნავადაც ვერ უსწორდებიან „აღიზის ქოხს“, რომელსაც სიყვარულით ეშხაპუნება „ლიახვის შხაპი“, „ზეირთი მტკვარისა“... ამ კერის სიმტკიცის ფუძე და საძირკველი სამშობლოს მხნეობა, სიმაგრე და უძლეველობაა; ის გადაწვდება საუკუნეებს, კომუნიზმის ეპოქის ათასწლეულებს. პატარა ქართული ქოხის უკვდავების ფესვები მშვენივრად აქვს განკვერტილი პოეტს:

ქოხი ქართულთა, აღიზანო,
შენ ვერ დაგაჩუქვს ეამთა გრიალი,
შენი საძირე და საძირკველი
შენი სამშობლოს სიმაგრე არი.

პოეტს აქ შესაძლებლობა მიეცა გადაეხედა ი. სტალინის ყრმობის ხანაში, ოცნებით წარმოედგინა, თუ სარკმლიდან როგორ უცქერდა ყრმა „პირველი დილის დაბრწყინვალებას“, როგორ ხედავდა ჩამორღვეულ ძველ ნანგრევს, ცრემლის ნისლებით გარმობხეულ ამირანის მიმჯაჭველ მთას, როგორ ესმოდა ტანჯულის პირველი კენესა, გაზაფხულის დელვა-ტეხილი... უაღრესად ემოციურ, ლირიკულ სურათებს ქმნის პოეტი.

თავის საყოველთაოდ ცნობილ პოემაში — „სტალინი, — ბავშვობა და ყრმობა“ გ. ლეონიძემ დიდი ლირიკული პათოსით გვიჩვენა ხალხის საოცნებო ყრმის დაბადება, ზრდა, სულიერი მომწიფება და გაკაყება.

პოემის მთელ მანძილზე ავტორი ალტაცების ჰიმნს უგალობს გორის მიწა-წყალს, მის აყვავებულ ბალ-ვენახებს, ციყნათელების შუქით განათებულ ლამეებს და მზის გვირგვინით გაბრწყინებულ დილებს, ბერხემალგადატეხილი ციხის კალთებს და გორიჯერის ამწვანებულ გორაკებს.

გორს აქვს გმირული, სახელოვანი ისტორია, აღსაყვამ ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ნათელი მაგალითებით. გმირული ციხის იერი პოეტს ხალხის უკვდავების იდეას წარმოადგენინებს, იგი ირონიული ღიმილით ჩამოთვლის ყველა იმ გადამთიელ დამპყრობს, რომელთაც აქ ულაშქრიათ, მაგრამ შემდეგ მოუსაველეთში გადაკარგულან, სიცოცხლე კი კვლავ ზეიმობს, ხალხი უკვდავია, მისი მარჯვენის მადლი დაუშრეტელია. ის, რაც ხალხის ინტერესების წინააღმდეგაა მიმართული, უბადრუკი და არარაა, სამარცხენო დაღუბვისათვის განწირული. რაც ხალხის სიცოცხლეს ემსახურება, ის უკვდავია, შარავანდელით შემოსილი! ასეთ ძეგლად თვლის მგოსანი გორის ციხეს:

მისი კედლები ცხელი თონია,
სისხლიან პურის გამოშვებელი
ის ამირანის სახლი მგონია
თავისუფლებით გაუძლომელი.

გასული საუკუნე გორის (და მთელი ჩვენი ქვეყნის) ცხოვრებაში ისტორიული გზაჯვარედინი იყო. გორმაც იყნოსა ახალი იდეები და ფართო ბრძო-

ლის გზაზე გამოვიდა, ეპოქის მოთხოვნათა დონემდე ამოვლდა. და აი, პატრიარქალური ქაპნის კრიალი, ნახირის ბლავილი, ბაზრის გნისი თანდათან წარსულს ჩაბარდა და სცენაზე გამოვიდნენ ახალი ძალები. სოციალური შრომის თესლი გაღვივდა ქართლის გულში, ახალი იმედები, გეგმები დაიბადა გორელ მოქალაქეთა ახალ თაობაში, რომელსაც რევოლუციური ბრძოლის გზა აურჩევია:

ქართლი დგებოდა ძილში გდებულა,
წარსულის ნაღმით ნაშიწისძვრალი,
პირანთებელი ბევრი ძე ჰყავდა,
ბევრი — ციმბირის ყინვით მიმზრალი;
მათი ხმაც რუსთა გუგუნს ერთვოდა,
როგორც ზღვას ერთვის მდინარის ძილი...

პოემის შემდეგს ნაწილებში მაღალმხატვრული ოსტატობით აღწერილია ი. სტალინის დაბადება და ბავშვობა. აქ პოეტი ოსტატურად ხატავს როგორც ქალაქის პანორამის, ისე მის მცხოვრებთა ეთნოგრაფიულ თავისებურებებს, პეიზაჟებს, გორის წილის ფერ-სურნელს. დეტალების სიზუსტე, მათი რეალისტური გააზრება შესაფერის ფონს ქმნის თემის ძირითადი იდეის ოსტატურად გადაჭრისათვის. ცხოვრების მართალი, უტყუარი სურათები გაცოცხლებულია ქეშმარიტი მხატვრული სუნთქვით, კოლორიტის მახვილი გრძნობით, რაც პოემის კითხვის დროს ესთეტიკურ სიამოვნებას გვკვრით.

გორი განუშორებლად თან სდევს გ. ლეონიძის ფანტაზიას, როცა იგი ბალადისებურ ლექსში „ლენინი საქართველოში“ რომანტიკულ ნათელხილვას ეძლევა, წარმოიდგენს გორში სტალინთან ლენინის ყოფნის ოცნებას:

გაიხარებდა გულში სტალინი
არა ბალებით, ზღვითა და შთითა,
არამედ შუბლი რომ გაიჭრილა...
ლენინმა ქართლის ნიავის ფრთითა...

როცა 1941 წლის შემოდგომაზე ჩვენი სამშობლო განსაცდელში იყო, მამულის უძლეველობის სიმბოლოდ პოეტი გორის თავზე გაჩაღებულ ვარსკვლავს თვლიდა:

გულდიდად დგანან სამშობლოს შთები,
შეხის დარტყმასთან დაჯახებული...
და გორის თავზე ბრწყინავს შთიები, —
შენი ვარსკვლავი გაჩაღებული...

გ. ლეონიძეს აქვს ლექსი „ქართული გაზეთი“, რომელიც 1942 წელს არის დაწერილი. ლექსში ნაამბობია იმ მეომრის ბედნიერებაზე, რომელსაც ქართული გაზეთი უშოვია სანგრების თხრილში:

მე — ზღვისოდენა ბედნიერს
თვალწინ დამიდგა თბილისი,
და გორის ციხე მაღალი,
განათებული დილის მზით...

არა სტყუოდა ოცნება,
 გულმა გადასჭრა სიერცენი,
 და რაც მიყვარდა, ერთ სუნთქვად
 მე იმ ფურცელში ვიგრძენი.



ასევე სიყვარულით შესტრფიან გორის ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები და მსოფლიოს ყველა პატიოსანი, მშვიდობისმოყვარე ადამიანები. ყოველივე ეს ნათელ გამოხატულებას პოულობს გ. ლეონიძის ლექსში „დიულა“. დიულა განთავისუფლებული უნგრელი გლეხია, რომელთანაც ჩვენს პოეტს შეხვედრის ბედნიერება ჰქონდა. პოეტი მოგვითხრობს:

სტალინის ტომი მაჩვენა,
 ჩასტკერდა რაღაც თაყვანით;
 მითხრა: ნეტავ, რომ გინახავს
 გორი — სტალინის აკვანი!
 მჯერა მეც მოვინახულე,
 მე შრომით დავიმსახურებ...
 მე ყოველ დღით ყანიდან
 საბჭოთა კავშირს გავუვრებ.

ი. გრიშაშვილის ლექსი „გორის პიონერების კოცონთან“ იწყება ი. ევდოშვილის სიტყვებით: „ბედნიერებო, გამოდით გარეთ“. ეს სიტყვები მართლაც კარგად გამოხატავს საყოველთაო სიხარულის განწყობილებას, რაც ამ ცნობილი ლექსის დაწერის კონკრეტული მიზეზი გახდა.

ეს იყო 1939 წელს, როცა პოეტი პირველად შეხვდა გორელ ბავშვებს პიონერთა და მოსწავლეთა პარკში — პიონერულ კოცონზე. აქ ორგანულ მთლიანობაშია წარმოდგენილი ბედნიერი ახალგაზრდობისა და გორისადმი სიყვარული. მასში მშვენიერად არის აღდგენილი დაუვიწყარი შეხვედრის თბილი ატმოსფერო.

პოეტი აულელებლად ვერ ლაპარაკობს ამ ახალგაზრდობაზე, რომელიც მოქმედების, სამშობლოს საკეთილდღეო შრომისაკენ, ყველაფრის შეცნობა-განჭკვრეტისაკენ მოუწოდებს მათ.

პოეტი აულელებლად ვერ ლაპარაკობს ამ ახალგაზრდობაზე, რომელიც მომავლის გზას კაფავს, — გამარჯვებისა, ლხენისა და ბრძოლის ახალგაზრდობაზე!

და ბუნებრივია, რომ ი. გრიშაშვილს ასოციაციით აგზნდება თავისი ახალგაზრდობაც. — „რა იყო ჩემი წარსული?“ მძაფრი სინანულის გრძნობით კითხულობს პოეტი და ახალი თაობის ბედნიერების შეგრძნება „თვალზე სიამის ცრემლს“ ჰვერის.

აი, სად არის ქვეყნად ედემი!
 აი, სად არის ბედნიერება!

პათეტიკურად შესძახებს და ოცნებით გადადის პატარა, საყვარელი სახლისაკენ, რომლის წიაღში იშვა ი. ბ. სტალინი.

... დაილოცოს ბელადის კრძა
 დასტკბით, აფეთქდით, ლაღად, მგზნებარედ;
 მე მხოლოდ თქვენი სიმღერა მჯერა!
 ბედნიერებო, გამოდით გარეთ!

ი. გრიშაშვილმა ამ ლექსით მშვენივრად გამოხატა თავისი ალტაცება საბჭოთა ახალგაზრდობისადმი და, კერძოდ, მისი ერთი პატარა რაზმის — გორელი პიონერ-მოსწავლეებისადმი. ამ კოცონთან მონაწილე მავშვეებს მართლაც აღმოაჩნდათ ის დიდი სულიერი სიმტკიცე და ღირსებები, რასაც პოეტი მიაწერდა მათ, ბევრმა მათგანმა სამამულო ომის ფრონტზე და ომის შემდგომ ხანში გამოიჩინა თავი და ახალი დიდებით შემოსა სახელი საბჭოთა ახალგაზრდობისა.

დამახასიათებელია, რომ გრიშაშვილის შემდეგი ლექსიც, რომელიც გორისადმი მიძღვნილი — „დიდ სტალინს პატარა გორელებისაგან“, სწორედ ახალგაზრდობას, ნორჩ თაობას, მათ ფიქრებს და ოცნებებს გვისურათებს. ეს ლექსი, რომელიც გამოქვეყნებისთანავე სიმღერად გაიქრა ხალხში, მეტისმეტად პოპულარულია მთელ საქართველოში.

ი. გრიშაშვილმა თავის ამ მელოდიურ ლექსში უაღრესად ინტიმურად, უშუალოდ გამოთქვა ის, რასაც მილიონობით ადამიანი განიცდის. ლექსში არის მუდარანარევი ნატურაც, ლალი თბრობაც. ასეთი ენით მხოლოდ უსაყვარლეს მშობლებს ელაპარაკებიან ღვიძლი შვილები.

ამ ლექსში განახლებული გორის აყვავების კოლორიტული სურათებიცაა დახატული, მასში გორელი ახალგაზრდობა ნაჩვენებია, როგორც სიცოცხლის-მოყვარული, მტკიცე, კვიციანი თაობა, რომელიც პარტიის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების გრძნობით იზრდება.

არ არის შემთხვევითი, რომ ეს ლექსი ფართოდ გავრცელდა მოზრდილ მკითხველთა შორისაც. მართალია, ლექსში მეტყველებენ მცირეწლოვანი გორელები, მაგრამ ის, რასაც ისინი ამბობენ, ყველა საბჭოთა მოქალაქის სიტყვებია, ყოველი პატიოსანი ადამიანის გულიდან მომდინარე სიტყვებია. ამაშია პოეტის გამარჯვებაც. უბრალო, ნათელი, სახოვანი სტრიქონებით, ძალდაუტანებელი ინტონაციით, ფაქიზად შერჩეული რიტმით დახატა პოეტმა უმაღლესი გრძნობა, რომელიც ამშვენებს ჩვენი ეპოქის მოწინავე ადამიანს...



იმ პოეტთა შორის, რომელთაც გორის თემა შესაფერ სიმალღზე აიყვანეს, ალიო მირცხულავა ერთ-ერთი პირველთაგანია. როდესაც ამას ვამბობთ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს მისი ლექსები გორის ციკლიდან — „დაბადება“ „საზეიმო“, „გორი“, „პიონერის ოცნება“, „გორი“ („ოქტომბრელების სიმღერა“).

პირველი ლექსი ამ ციკლიდან „დაბადება“ ავტორმა გამოაქვეყნა ი. ბ. სტალინის დაბადების 60 წლისთავზე. ეს არის ლაღად გაშლილი ეპიკური სურათი. დიხჯად და მახვილგონიერად გამოძერწილი სტრიქონებიდან ჩვენ თვალწინ გაიღვებებს „ჩიხტიკოპში გამოწყობილი“, „უხმოდ მსხდომი დედოფლები“, სარეცელზე მწოლიარე ქართლის დედა, რომელსაც ნუგეშით თავს დაჰკუთრებს შვიდასი წლის რუსთაველი, მამის პორტრეტი და ა. შ. უაღრესად კოლორიტულად არის დახატული მთელი ეს სცენა და ამიტომაცაა, რომ ეგზომ უშუალოდ გვაგრძნობინებს დიადი მოლოდინის დაძაბულ ვითარებას. როცა ეს ლოდინი განსაკუთრებულ სიმალღეს აღწევს, პოეტი მოხდენილად მოიმარჯვებს გრივალისებურ რიტმს. მკითხველი მიჰყვება ამბის სრულ შემობრუნებას და ალტაცებით იმეორებს ბელადის დაბადების ამბავს:



უცებ: კარი, ვით ცისკარი,
 შეირბა და... შექმნეს ღელვა,
 ქარმაც ვეის მახარობლად
 თითქოს რაში მოაგელვა,
 ბავშვის კენესა შემოესმა,
 ვერ დაფარა სარეცელმა,
 გარეთ თოფის ხმა გავარდა,
 ბნელს დაცვა, როგორც ელვა.

ლექსში შემდეგ დიდი ოსტატობითაა დახატული სიამაყის გრძობა, რაც მშობელი მამის გულში პირმშო შეილის დაბადებამ გამოიწვია. ეს სიამაყე შინაგანია, პირველ შემთხვევაში ოდნავ დაფარული, რაღაც ვეჟაკური, მოკლებული მრავალსიტყვაობას.

მაგრამ პოეტმა ამ სიამაყის რკალი გააფართოვა და მამის სიტყვები საერთო, ეროვნულ, საეკოპრიო ხარისხში აიყვანა. როცა დალოცვის სიტყვებს კითხულობთ, ისეთი შთაბეჭდილება გექმნებათ, თითქოს მას მთელი სამყარო, მთელი ცოცხალი ბუნება გუგუნებდეს:

მან იცოცხლოს! გაიფურჩქნოს
 მისი ძალა და იერი,
 მშობელ დედის რძელ შეერგოს
 ეს ცხოვრება წამიერი.
 ჯულაშვილის გვარს მღეროდეს
 მთელი იმერ-ამიერი,
 მან იცოცხლოს! მუდამ იყოს
 მისი მრავალწამიერი!

მან იცოცხლოს გულთ, სულით
 დაფოლადდეს დაირკნოს,
 გაუმრავლდეს შეგობრები,
 მტერი გაწყდეს გაიყინოს.
 დღეს შე გაეხდი ბედნიერი,
 მსურს ვიმღერო და ვიღბნო,
 მან იცოცხლოს — ჯიღე თქვა და —
 ემხიანად შესვა ღვინო.

ლექსის სახეები პლასტიკური, ხელშესახებნი არიან; ფერები ნათელი და მკაფიო. ამიტომ ტოვებს იგი წარუშლელ შთაბეჭდილებას.

ალიო მირცხულავამ დიდი სამამულო ომის წლებში დაწერა პოემა „ფიცი“, რომლის ერთ თავს, არსებითად დამოუკიდებელ ლექსს თავისი დასრულებულობის გამო, ეწოდება „გორი“. ამ ლექსში გორის ცნება ძალიან გაფართოებული სახითაა წარმოდგენილი. მასში ნაჩვენებია, თუ რა პოპულარული და საყვარელი გახდა ამ ქალაქის სახელი მსოფლიოს ყველა პატიოსანი, კეთილი ნების ადამიანის თვალში.

გორის ამალღების გზა პოეტს აგონებს სასწაულს, რამაც არ იცის წინასწარ განსაზღვრული, შემოფარგლული საზომები:

და ბრწყინავს ქობი, — შვის-გულის ძგერა,
 ბრწყინავს შვის ბუდე, შვის საწყაული,
 პატარა ქობი, ქვითიკრის კერა
 ხალხში იზრდება, ვით სასწაული.

ლექსში დიდი ბუნებრივობით არის ნაჩვენები სამამულო ომის დაწყების დროინდელი გორი. აქ, ბელადის სახლის ეზოში, თექვსმეტი რესპუბლიკის შვილები იღებდნენ მტკიცე ფიცს პარტიის საქმისადმი, სამშობლოსადმი, ერთ-გულუბაზე. პოეტი უხვი ეპითეტებით, ნათელი სახეებით გვაცნობს თექვსმეტივე გმირს, რომელთაც ერთი ფიქრი, ერთი სულისკვეთება ამოძრავებთ. ძალიან რთულია ჩამოთვალო ამდენი გმირი, პოეტის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან თითოეულ მათგანს ინდივიდუალური ნიშანი შეუნარჩუნა.

ომისშემდგომ პერიოდში ალიო მირცხულავამ კვლავ სიყვარულით მიმართა თავის ერთ-ერთ უსაყვარლეს თემას — გორს. ამ თემაზეა აგებული „გორი“ („ოქტომბრელების სიმღერა“) და „პიონერის ოცნება“. ამ უკანასკნელში დახატულია ის ამაღლევბელი განწყობილება, რაც გორში ჩამოსულ ადამიანს ეუფლება ხოლმე. ლექსში ნაჩვენებია ახალგაზრდა, ნორჩი თაობის მოკრძალებული პარტიისკემა სტალინის მშობლიური კერისადმი, სადაც, პოეტის მოხდენილი თქმით, „ახლაც გაისმის მისი წკრიალა ხმები“.

ალიო მირცხულავას ლექსები გორზე ღრმადიდური, მაღალმხატვრული პოეტური ნაწარმოებებია, რომლებიც მკითხველს სულიერად ამაღლებენ და აღაგზნებენ სურვილით — კიდევ უფრო მეტი გააკეთოს სამშობლოს სადიდებლად, კომუნიზმის საქმის მთელ მსოფლიოში გამარჯვებისათვის.

კითხვობთ სიმონ ჩიქოვანის ლექსებს „გორი (გორის ციხე)“ და „ქართლის საღამოები“ და გრძნობთ, რომ პოეტისათვის გორის თემა რიგითს თემას არ წარმოადგენს. აი, ეს ზღვარის მოშლა ობიექტსა და ავტორის სუბიექტურ პიროვნებას შორის, ეს შენივთება, ურთიერთშერწყმა ჰბადებს ფრიალ ინტიმურ ატმოსფეროს:

ვეელას გეჰონია სოფლად ჯაგანი
და საალერსო ცეცხლი კერის,
მაგრამ სხვა არის დიდი აყვანი,
შთაგონებელი ხალხის გენის.
სად შემიძლიან, უძღური ლექსში,
შევეხო კალმით ბედნიურ კარებს,
სად შემიძლიან, სამშობლოს ეზო,
მე დაეუბრუნო სამშობლო მზარეს...
მხოლოდ ბუნება მშატებს ძალღონეს,
შემიერთდება მწუხრზე ეივლით,
მომამერწინებს გორზე სტრიქონებს
და ამამლერებს აეთანდილივით.

„ეთანდილისებური“ ამლერება უთუოდ გულისხმობს ღირიკული თქმის იმ სიმაღლეს, რაც „გორის ციხეშიც“ კი ბოლომდე მიულწეველი აღმოჩნდა (ავტორისავე აღიარებით).

„ქართლის საღამოებში“, ჩვენი აზრით, მიღწეულია ამგვარი „ამლერება“. პოეტი ხილულ სამყაროს მთლიანად „თარგმნის“ უშუალო, წიაღისეული განცდის, შთაგონების ენაზე.

ბუნებრივია, რომ ამიტომ ლექსში უზომო სიმდიდრეა ასოციაციებისა. საერთოდ, ს. ჩიქოვანი ღირიკულ განწყობას ხშირად ასოციაციით გამოხატავს. მათი მეშვეობით ჩვენს თვალწინ ცოცხლდება განუყოფელი ფერები წარსულისა, ზღვარი იშლება გარდასულსა და დღევანდლობას შორის, ჩნდება მარადიულობის ნათელი შეგრძნება.

ს. ჩიქოვანის პლასტიკური ფრაზა აფორისტულ სიღრმეს იტევს. სხვა-
წაირად ვერ შეაფასებ მრავალ თემას, რომლებშიაც პოეტის დიდი სულიერი
ძალა მელავენდება. მოვიყვანო ნიმუშებს:

ბუნებას ჰგავს შენი გულის სიღრმე,
ირმის ნახტომს შენი ფეხის ნაქუსლარი“;
„ჩუქურთმას ჰგავს საქართველო უხვი,
და შენს ბუდეს ის მადლობით გვანება“.
„სახლი დგას, თუ საქართველოს კარი“; და სხვ.

ს. ჩიქოვანის ამ ლექსებში მოცემულია პიროვნულისა და საზოგადოებრი-
ვის სრული, ორგანული ერთიანობა. მიუხედავად ამისა, ს. ჩიქოვანის ნა-
გრძნობს ინდივიდუალური ხასიათი აქვს. ეს ლექსები ადამიანური დოკუმენ-
ტებია, ადამიანური გრძნობების გამოსახატულებაა ჩვენი ეპოქის მოქალაქისა.

ი. სტალინის სახელი პროლეტარიატის განმათავისუფლებელ დროშაზე
მარქსის, ენგელსის, ლენინის სახელებთან ერთადაა სამარადისოდ აღბეჭდილი.
დროთა ბრუნვას გაუძლებენ ის პოეტური შედეგებიც, რომლებშიაც
უდიდესი სიყვარულითაა დახატული სტალინის მშობლიური სახე, მისი ცხოვ-
რების დაუვიწყარი ფურცლები, ხოლო გორის თემას ამ ნაწარმოებებში საპა-
ტიო ადგილი უჭირავს.



კომუნისტური გადასვლის უნივერსალური პირობა



სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის ძირითადი წინასწარი პირობების მომზადების საკითხი აქტუალური, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია. კომუნიზმში უკვე აღარ არის შორეული მომავლის საქმე, ჩვენ იგი შევიტანეთ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ჩვენ მას ვაშენებთ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებაში, რომელიც პარტიის XIX ყრილობამ მიიღო, ნათქვამია:

„ამჟამად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთავარი ამოცანები ის არის, რომ ააშენოს კომუნისტური საზოგადოება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზით, განუწყვეტლივ ამალღოს საზოგადოების მატერიალური და კულტურული დონე, ზარღოს საზოგადოების წევრები ინტერნაციონალიზმისა და ყველა ქვეყნის მშრომელებთან ძმური კავშირის დამყარების სულისკვეთებით, ყოველმხრივ განამტკიცოს საბჭოთა სამშობლოს აქტიური თავდაცვა მისი მტრების აგრესიული მოქმედებისაგან“.

კომუნისტურ პარტიას შეუძლია დაისაზოს და გადაჭრას ეს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ამოცანები იმიტომ, რომ იგი მთელ თავის მოღვაწეობაში ემყარება მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას, ემყარება საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების ცოდნას, იყენებს ამ კანონებს მუშათა კლასისა და გლეხობის, მთელი ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ.

კომუნისტური პარტიის პოლიტიკა — ეს არის მეცნიერული პოლიტიკა, რომელიც გამომდინარეობს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობების განვითარების მომწიფებელი ამოცანების გადაჭრის მოთხოვნილებებიდან. მას შემდეგ, რაც ჩვენ ავაშენეთ სოციალიზმი საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობების განვითარების მომწიფებულ, გადაუდებელ ამოცანად დადგა ის, რომ ავაშენოთ კომუნიზმში სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზით. სწორედ ამ ამოცანის გადაჭრისაკენ არის მიმართული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა, მთელი საბჭოთა ხალხის მძლავრი შემოქმედებითი შრომა.

აქედან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამჟამად სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის ძირითადი წინასწარი პირობების მომზადების საკითხს.

იმის შესახებ, თუ რა ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები აქვთ სოციალიზმსა და კომუნიზმს, როგორც ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის ორ საფეხურს; თუ რა აქვთ სოციალიზმსა და კომუნიზმს საერთო და რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან; თუ რა არის საჭირო პირველიდან მეორეში თანდათანობით გადასასვლელად, — ყოველივე ამის შესახებ ჩვენ გვაქვს მარქსიზმის კლასიკოსების — მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის სახელმძღვანელო მითითებანი.

მარქსი და ენგელსი ცხოვრობდნენ იმ ეპოქაში, როცა პროლეტარული რევოლუცია და სოციალიზმის მშენებლობა ჯერ კიდევ არ იყო გადაქცეული

პრაქტიკულ აუცილებლობად. ამიტომ მარქსსა და ენგელსს მხოლოდ ზოგადად, წინასწარი განჭვრეტის წესით შეეძლოთ მოეხაზათ სოციალიზმისა და კომუნიზმის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები და პირველის მერჯულად დასმუხვის გზები.

ლენინი ცხოვრობდა იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში, იმ პერიოდში, როცა ჩვენს ქვეყანაში გაიმარჯვა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. კომუნისტურმა პარტიამ ლენინის ხელმძღვანელობით შეიმუშავა ჩვენი ქვეყნის საუკუნეობრივი ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისა და სოციალისტური საზოგადოების აშენების მეცნიერული პროგრამა. მაგრამ ლენინი ჩვენ დაეკარგეთ მაშინ, როცა მხოლოდ იწყებოდა სოციალისტური მშენებლობა, როცა ჯერ კიდევ არ იყო ცხადი, თუ როგორი იქნებოდა სოციალიზმი დამთავრებული სახით, როცა დღის წესრიგში იდგა არა სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის საკითხი, არამედ თვით სოციალიზმის მშენებლობის საკითხი. ამიტომ ლენინს მხოლოდ ზოგადად, წინასწარი განჭვრეტის წესით, შეეძლო მოეხაზა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პირობები და გზები, მიუთითებდა რა სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის გარდუვალობის შესახებ, ლენინი ამბობდა:

„რა ეტაპებით, რა პრაქტიკულ ღონისძიებათა გზით გასწევს კაცობრიობა ამ უმაღლესი მიზნისაკენ, ეს ჩვენ არ ვიცით და არც შეგვიძლია ვიცოდეთ“ (ლენინი, ტ. 25, გვ. 588).

ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების საკითხი, სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პირობებისა და გზების საკითხი დღის წესრიგში პრაქტიკულად დადგა მაშინ, როცა ჩვენმა დიდმა სამშობლომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინის თანამებრძოლისა და მისი საუკეთესო მოწადის სტალინის მეთაურობით მოიცილა საუკუნეობრივი ჩამორჩენილობის სამოსელი და ააშენა სოციალისტური საზოგადოება.

მარქსის, ენგელსისა და ლენინის მითითებათა საფუძველზე, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის უმდიდრესი გამოცდილების განზოგადების საფუძველზე, მთელი საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ახალი გამოცდილების განზოგადების საფუძველზე სტალინმა შეიმუშავა სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის საპროგრამო დებულებანი. ეს დებულებანი მთელი სისრულით ჩამოყალიბებულია სტალინის გენიალურ ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, რომელიც ახალ საფეხურს წარმოადგენს მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების განვითარებაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა, მისი გეგმები სწორედ ამ საპროგრამო დებულებებს ემყარება.

..... პარტიის გეგმები მომავლისათვის, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენი წინსვლის პერსპექტივებსა და გზებს, — ამბობდა ამხანაგი გ. მ. მალენკოვი პარტიის XIX ყრილობაზე, — ემყარება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მეცნიერებას, რომელიც ამხანაგმა სტალინმა შეიმუშავა“ („საანგარიშო მოხსენება პარტიის XIX ყრილობას“, გვ. 127).

ი. ბ. სტალინი გვასწავლის, რომ სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლა — ეს არ არის უბრალო და მარტივი საქმე, რომ, ვიდრე გადავიდოდეთ კომუნიზმში „საჭიროა გავიაროთ საზოგადოების ხელახალი ეკონომიკური და კულტურული აღზრდის მთელი რიგი ეტაპები, რომელთა განმეჯობაში შრომა მარტოოდენ არსებობის შენარჩუნების საშუალებიდან საზოგადოების თვალში გადა-

იქცევა პირველ საარსებო მოთხოვნილებად, ხოლო საზოგადოებრივი საკუთრება — საზოგადოების არსებობის ურყევ და ხელუხლებელ საფუძვლად“ (სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, გვ. 72).

საზოგადოების ხელახალი ეკონომიკური და კულტურული აღზრდის ამ ეტაპების გასავლელად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ი. ბ. სტალინის მოძღვრებას კომუნისმში გადასვლის სამი ძირითადი წინაპირობის მომზადების შესახებ. სტალინი გვასწავლის, რომ კომუნისმში გადასვლისათვის პირობების მოსამზადებლად აუცილებელია: ჯერ ერთი, უზრუნველყოთ მთელი საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი ზრდა, ამასთან წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდა; მეორე, კოლმეურნეობებისა და, მამასადამე, მთელი საზოგადოების სასარგებლოდ განხორციელებული თანდათანობითი გადასვლების გზით საკოლმეურნეო საკუთრება ავიყვანოთ საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე, ხოლო საქონელმიმოქცევა აგრეთვე თანდათანობითი გადასვლების გზით შეეცვალოს პროდუქტგაცვლის სისტემით; მესამე, მივალწიოთ საზოგადოების ისეთ კულტურულ ზრდას, რომელიც საზოგადოების ყველა წევრისათვის უზრუნველყოფდა მათი ფიზიკური და გონებრივი უნარის ყოველმხრივ განვითარებას, რათა საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა ჰქონდეთ მიიღონ საკმაო განათლება იმისათვის, რომ გახდნენ საზოგადოებრივი განვითარების აქტიური მოღვაწენი, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ, შრომის არსებული დანაწილების გამო მთელ სიცოცხლეში მიჯაჭვული კი არ იყვნენ ერთ რომელიმე პროფესიაზე, არამედ თავისუფლად აირჩიონ პროფესია.

აქედან ცხადია, რომ კომუნისმში გადასვლის მოსამზადებლად, საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელ ზრდასთან და საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე საკოლმეურნეო-ჯგუფური საკუთრების ამალღებასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა საზოგადოების კულტურულ ზრდას.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შედეგად დიდი ღონისძიებანი განხორციელდა საზოგადოების ისეთი კულტურული ზრდისათვის, რაც შესაძლებლობას მისცემდა საბჭოთა ადამიანებს განვითარებინათ თავიანთი ფიზიკური და გონებრივი უნარი, გამხდარიყვნენ საზოგადოებრივი განვითარების აქტიური მოღვაწენი. ჯერ ერთი, ჩვენს ქვეყანაში ლიკვიდირებულა დაპირისპირებულობა ფიზიკური და გონებრივი შრომის ადამიანთა შორის; მეორეც, მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული გონებრივ და ფიზიკურ შრომის შორის არსებობი განსხვავების ლიკვიდაციის გზაზე.

დაპირისპირებულობა, წინააღმდეგობა გონებრივი და ფიზიკური შრომის ადამიანთა შორის ყველა წინანდელი კლასობრივი საზოგადოების დამახასიათებელი თავისებურებაა. განსაკუთრებით გააღრმავა ეს დაპირისპირებულობა კაპიტალისტურმა წყობილებამ. ამ დაპირისპირებულობის ეკონომიკური საფუძველია ფიზიკური შრომის ადამიანთა ექსპლოატაცია გონებრივი შრომის წარმომადგენელთა მხრივ.

საქმე იმაშია, რომ კაპიტალისტური წყობილების დროს გონებრივი და ფიზიკური შრომის ადამიანები ძირითადად ერთმანეთისადმი ანტაგონისტურად დაპირისპირებული კლასების წარმომადგენელნი არიან. გონებრივი შრომის ადამიანები, მაგალითად, საწარმოს ტექნიკური პერსონალი — დირექტორი, ინჟინერი, ტექნიკოსი, ოსტატი და სხვ. ემსახურებიან კაპიტალისტებს, გამოატავენ და იცავენ მათ ინტერესებს. ამიტომ, ცხადია, რომ ფიზიკური შრომის ადამიანები, მუშები, მათდამი მტრულად არიან განწყობილნი.

საქმე იმაშია, რომ კაპიტალისტური წყობილების დროს ცოდნის, განათლების მიღება, გონებრივი შრომის მუშაობა რიგებში ჩადგომა ყველას როდო შეუძლია. განათლება მდიდრების, კაპიტალისტების მონოპოლიაა შედგენს. სწავლა-განათლების საქმე იქ ისეა მოწყობილი, რომ საესებით დაცულია ექსპლოატატორთა ინტერესები. სკოლებსა და სასწავლებლებში ან მდიდრების შვილები სწავლობენ ან ისინი, ვისაც ზრდიან ამ მდიდართა კლასის მორჩილ მსახურებად.

საქმე იმაშია, რომ კაპიტალისტური წყობილების დროს გაბატონებული კლასები მიზნად ისახევენ მუშათა კლასი, მშრომელი მასები სიბნელეში იყოლიონ, არ მისცენ მათ განათლებისა და კულტურის მიღების შესაძლებლობა, რადგან მასებში განათლებისა და კულტურის შეტანა, მუშებისა და გლეხების გონებრივი ჰორიზონტის ამაღლება გააძლიერებდა მათ ბრძოლას ბურჟუაზიის დასამზობად, დააჩქარებდა ბურჟუაზიული წყობილების დაღუპვას.

საქმე იმაშია, რომ კაპიტალისტური წყობილების დროს ჩაგრული კლასების — მუშების, გლეხების შრომის პირობები არ იძლევა განათლების მიღების, კულტურის დონის ამაღლების შესაძლებლობას. მშრომელი მასებისათვის არა მარტო დახურულია სკოლების, სასწავლებლების კარები. ეს კარები ღიაა რომ იყოს, მუშებს და გლეხებს არა აქვთ მატერიალური შესაძლებლობა თავიანთ შვილებს ასწავლონ, უზრუნველყონ ისინი მატერიალურად სწავლის პერიოდში. მუშის ან გლეხის შვილმა, წამოიზრდება თუ არა, ფიზიკურ შრომას უნდა მოკიდოს ხელა, ის უნდა დაეხმაროს მშობლებს, რომ როგორმე თავი ირჩინონ. რაც შეეხება თვით მშობლების განათლებისა და კულტურის დონის ამაღლებას, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. რადგან სამუშაო დღის ხანგრძლივობა, შრომის განსაკუთრებით მძიმე, მომქანცველი ხასიათი, სამუშაოს დაკარგვის მუდმივი შიში ან უმუშევართა რიგებში ყოფნა არ იძლევა ამის არავითარ შესაძლებლობას.

მასების განათლებისა და კულტურის დონის ამაღლების უპირველესი და უმთავრესი პირობაა მათი მატერიალური მდგომარეობის რადიკალური გაუმჯობესება. ადამიანს ჯერ უნდა ჰქონდეს საარსებო მატერიალური პირობები — საკმელ-სასმელი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ბინა, სათბობი და სხვ., იმისათვის რომ, იზრუნოს სწავლა-განათლებაზე. მაგრამ სანამ არსებობს კაპიტალიზმი. სანამ არსებობს იმპერიალიზმი, მანამდე მასების მატერიალურ უზრუნველყოფაზე, მათი მატერიალური მდგომარეობის რაიმე შემსუბუქებაზე და გაუმჯობესებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. პირიქით, კაპიტალიზმის ურყევ კანონად მის იმპერიალისტურ საფეხურზე რჩება მარქსის მიერ აღმოჩენილი კანონი მუშათა კლასის როგორც შეფარდებითი, ისე აბსოლუტური გაღატაკების შესახებ.

ამ კანონის მიხედვით კაპიტალიზმის დროს, სადაც მუშა კი არ იყენებს წარმოების საშუალებებს, არამედ წარმოების საშუალებები იყენებენ მუშას, შრომის საზოგადოებრივი ძალის განვითარების ყველა მეთოდი სრულდება ინდივიდუალური მუშის ხარჯზე, წარმოების განვითარების ყველა საშუალება იჭიკება მწარმოებელზე გაბატონებისა და მისი ექსპლოატაციის საშუალებად, წარმოების განვითარების ეს საშუალებანი ამახინჯებენ მუშას, აქცევენ მას ნაწილობრივ ადამიანად, ხდიან მანქანის დანამატად, უფრო მძიმე ხასიათს აძლევენ შრომას, აცლიან მას შინაარსს. ართმიანი მოშას შრომის პროცესის სულთერ ძალებს, უმოარჩილებენ მას შრომის პროცესში ფრიად წარვიმან, საზიზღარ დესპოტიზმს, მისი სიცოცხლის მთელ დროს აქცევენ სამუშაო დროდ.

ამ კანონის მიხედვით კაპიტალიზმის დროს ზედმეტი ღირებულების წარმოების ყველა მეთოდი არის ამავე დროს დაგროვების მეთოდი, კაპიტალის ზრდის, საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდის მეთოდი. საზოგადოებრივი სიმდიდრის, კაპიტალის ყოველი ზრდა, დაგროვების ყოველი გადიდება კი არის ზედმეტი ღირებულების წარმოების მეთოდის განვითარების საშუალება. მაშასადამე, იმდენად, რამდენადაც საზოგადოებრივი სიმდიდრე მატულობს, რამდენადაც კაპიტალი გროვდება, მუშათა კლასის მდგომარეობაც უარესდება.

ამ კანონის მიხედვით კაპიტალიზმის დროს რაც უფრო დიდია საზოგადოებრივი სიმდიდრე, მოკმედი კაპიტალი, მისი ზრდის მოცულობა და ენერჯია და ამრიგად, რაც უფრო მეტია პროლეტარიატის აბსოლუტური სიდიდე და მისი შრომის საწარმოო ძალა, მით უფრო დიდია რელატიური ჭარბი მოსახლეობა ანუ სამრეწველო საჩუქრეო არმია; რაც უფრო მეტია შრომის ნაყოფიერება, მით უფრო ნაკლებია მოთხოვნა სამუშაო ძალაზე, მით უფრო ნაკლებად უზრუნველყოფილია მუშათა არსებობის პირობა — საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვა სხვისი სიმდიდრის გასადიდებლად, მით უფრო მეტია უმუშევრობა და ნახევრადუმუშევრობა, რომელთა არსებობაც დიდი უბედურებებია არა მარტო უმუშევართა არმიის პირადი შემადგენლობისათვის და მათი ოჯახის წევრებისათვის, არამედ აგრეთვე წარმოებაში ჩაბმული მუშებისათვისაც, რადგან ეს გაელენას ახდენს მათს ხელფასზე, მერყევსა და ცვალებადს ზღის მათს მდგომარეობას, უკარგავს მათ ხვალისდელი დღის რწმენას.

ამ კანონის მიხედვით კაპიტალიზმის დროს საზოგადოების ერთი ნაწილის — უმრავლესობის აუტანელი შრომა, შიმშილი, სიღატაკე და უმუშევრობა არის იმის პირობა, რომ საზოგადოების მეორე ნაწილი — უმცირესობა — განცხრომაში და ფუფუნებაში ცხოვრობდეს. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში საქმე ისე კი არ არის, რომ ერთი და იგივე პირი ჯერ მუშაობდეს და შემდეგ ისვენებდეს, არამედ ისე, რომ ერთი სულ მუშაობს იმისთვის, რომ მეორე სულ უქმად იყოს.

ამ კანონის მიხედვით კაპიტალიზმის დროს „სიმდიდრის დაგროვება ერთ პოლუსზე არის ამავე დროს დაგროვება სიღატაკის, შრომით დატანჯულობის, მონობის, უეციობის, გველურებისა და ზნეობრივი დეგრადაციისა მეორე პოლუსზე, ე. ი. იმ კლასის მხარეზე, რომელიც თავის საკუთარ პროლეტს კაპიტალის სახით აწარმოებს“ (ე. მარქსი, „კაპიტალი“, ტ. 1, გვ. 592).

მუშათა კლასის აბსოლუტური და შეფარდებითი გაღატაკების კანონი მთელი სისრულით იჩენს თავს კაპიტალიზმის განვითარების უმაღლეს და უკანასკნელ საფეხურზე, იმპერიალიზმის პერიოდში, კაპიტალიზმის ლობის, მისი საერთო კრიზისის პერიოდში.

იმპერიალიზმის პერიოდში კაპიტალიზმი აღარ კმაყოფილდება საშუალო მოგებით და არც ზემოგებით, არამედ მოითხოვს მაქსიმალური მოგების მიღებას. მაქსიმალური მოგების მიღება არის მონოპოლისტური კაპიტალიზმის მამოძრავებელი.

მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების უზრუნველსაყოფად იმპერიალისტები ექსპლოატაციას უწყევენ, ალატაკებენ და აჩანაგებენ „თავიანთი“ ქვეყნების მოსახლეობის უმრავლესობას.

მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების უზრუნველსაყოფად იმპერიალისტები იმონებენ და სისტემატურად ძარცვებენ სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით ჩამორჩენილი ქვეყნების — კოლონიებისა და ნახევრად კოლონიების ხალხებს.

მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების უზრუნველსაყოფად იმპერიალისტები ახდენენ სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციას, ამზადებენ და აჩაღებენ უჩაალურ ომებს, ღვრიან მილიონების სისხლს და ამით იძენენ სახალხო მილიარდებს.

იმპერიალიზმის აპოლოგეტები, მისი აშკარა და ფარული დამცველნი, ბურჟუაზიული ეკონომისტები, რეფორმისტები ყველა ჯურის და სახის სოციალ-დამყიდველნი, მათ შორის მემარჯვენე სოციალისტები, რომლებიც ამერიკელ მილიარდერთა სამსახურში არიან, — გამუდმებით გაყვირიან, რომ კანონი კაპიტალიზმის დროს მუშათა კლასის აბსოლუტური და შეფარდებითი გაღატაკების შესახებ სწორი არ არის, რომ მშრომელი მასების მდგომარეობა კაპიტალიზმის დროს, თუმცა ნელა, მაგრამ მაინც უმჯობესდება, რომ უფსკრული შეძლებულთა და ღარიბთა შორის კაპიტალიზმის დროს კი არ ღრმავდება, არამედ მცირდება.

ფაქტები ააშკარავენ ამ მტკიცების მთელ სიყალბეს.

ჯერ ერთი, — იმპერიალიზმის პერიოდში შეუნელებლად იზრდება მუშის სამუშაო ძალის აუცილებელი ხარჯვა როგორც სამუშაო დღის პირდაპირ გადიდების, ისე განსაკუთრებით კაპიტალისტური რაციონალიზაციისა და ინტენსიფიკაციის საფუძველზე. მუშას აიძულებენ უარესად დაძაბულად იმუშაოს, დახარჯოს რაც შეიძლება მეტი ენერჯია. ეს დამლუბველ გავლენას ახდენს მის ორგანიზმზე, სწრაფად გამოყავს იგი მწყობრიდან და განუზღაბებს შიმშილით სიკვდილს. დამახასიათებელია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში 55 წლის ასაკის მუშა უკვე შრომის უნარმოკლებულად ითვლება და მას წარმოების მთელ რიგ დარგებში სამუშაოზე აღარ იღებენ.

მეორე, — მუშათა რეალური ხელფასი განუხრებლად მცირდება, სამუშაო ძალის ღირებულებაზე დაბლაც კი იწევს. იმპერიალისტები მემარჯვენე სოციალისტთა ლიდერების დახმარებით ახორციელებენ „ხელფასის გაყინვის“ პოლიტიკას, მაშინ როცა ფასები მოხმარების პროდუქტებზე შეუნელებლად იზრდება. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების მუშას თავისი ხელფასით ახლა შეუძლია იყიდოს 2-ჯერ ნაკლები კვების პროდუქტები, ვიდრე მეორე მსოფლიო ომამდე. საფრანგეთსა და იტალიაში მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი ომამდელი 1940 წლის ნახევარზე ნაკლებს შეადგენს, ინგლისში 20 პროცენტით დაბალია, დასავლეთ გერმანიაში — 35 პროცენტით. საფრანგეთის მუშათა ორი მესამედი ვერ იღებს იმდენ ხელფასს, რაც დააკმაყოფილებდა საშუალო ოჯახის საცხოვრებელ მინიმუმს. დასავლეთ გერმანიის მუშათა მხოლოდ 7,3 პროცენტი იღებს ისეთ ხელფასს, რაც საცხოვრებელ მინიმუმს აკმაყოფილებს.

მესამე, — იზრდება უმუშევართა, ამ „განწირულ ადამიანთა“ რიცხვი. „ისინი ყოველდღე ცდილობენ მიიღონ სამუშაო, დაეძებენ სამუშაოს, მზად არიან დათანხმდნენ მუშაობის თითქმის ყოველგვარ პირობებს, მაგრამ მათ არ ლებულობენ სამუშაოზე, რადგან ისინი „ზედმეტი“ ხალხია“ (ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 492). სამხედრო წარმოების განვითარების მიუხედავად ახლა კაპიტალისტურ ქვეყნებში ათეულ მილიონობით უმუშევარი და ნახევრად უმუშევარია. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამჟამად არის სულ მცირე 3 მილიონი მთლიანად უმუშევარი და 10 მილიონი ნაწილობრივ უმუშევარი, იტალიაში 2 მილიონი მთლიანად უმუშევარი და უფრო მეტი ნახევრად უმუშევარი, დასავლეთ გერმანიაში 3 მილიონი მთლიანად და ნაწილობრივ უმუშევარი,

იაპონიაში 10 მილიონამდე მთლიანად და ნაწილობრივ უმუშევარი, ინგლისში ნახევარი მილიონი უმუშევარი და სხვ.

მეოთხე, — ძლიერდება ქალაქისა და სოფლის წერილი მწარმოებლების, ხელოსნების, ფერმერების, გლეხების ექსპლოატაციის, გალატაციებისა და განაგების პროცესი. მაგალითად, ამერიკელი მონოპოლისტები აწესებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის შესასყიდ უაღრესად დაბალ ფასებს, ფერმერებს აიძულებენ „ჩალის ფასად“ მიყიდონ მათ კვების პროდუქტები და ნედლეული, ხოლო შემდეგ მონოპოლურ მაღალ ფასებში ყიდიან ამ პროდუქციას. დამახასიათებელია, რომ ფერმერთა წილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საცალო ფასებში 30-40 პროცენტს არ აღემატება. რძე ნიუ-იორკში 4,5-ჯერ, ხოლო ჩიკაგოში 5,5-ჯერ უფრო ძვირად იყიდება, ვიდრე ფერმერებისაგან ყიდულობენ. ასეთი მდგომარეობა იწვევს წერილ მწარმოებელთა გალატაციას, პროლეტარიზაციას, გლეხთა მასები, ფერმერთა მასები კარგავენ საწარმოო საშუალებებს და ავსებენ უმუშევართა რიგებს.

მეხუთე, — მშრომელთა მდგომარეობის გაუარესებას იწვევს გადასახადების მუდმივი ზრდა, რაც დაკავშირებულია კაპიტალისტური ქვეყნების მილიტარიზაციის გაძლიერებასთან. ამერიკის შეერთებულ შტატებში 1937 — 1938 საბიუჯეტო წელთან შედარებით მოსახლეობის პირდაპირი გადასახადები 1952 — 1953 საბიუჯეტო წელს 12-ჯერ და უფრო მეტად გადიოდა, ინგლისში — 2-ჯერ, საფრანგეთში — 2,6-ჯერ. გადასახადების ზრდა ხდება უმთავრესად იმათ ხარჯზე, ვინც მცირე შემოსავალს იღებს. იმათი გადასახადები კი, ვინც დიდ შემოსავალს იღებს, პროცენტულად ხშირად კიდევ მცირდება. პირდაპირ გადასახადებთან ერთად იზრდება არაპირდაპირი გადასახადებიც. მაგალითად, საფრანგეთში არაპირდაპირი გადასახადის ზედრითი წონა სამრეწველო საქონლის ფასში 40 პროცენტზე მეტს შეადგენს. ყოველივე ეს ამწეავებს, აუარესებს მშრომელი მასების მდგომარეობას.

მეექვსე, — მეტად მძიმია მშრომელთა საბინაო პირობები კაპიტალისტურ ქვეყნებში. ბინის ჭირა განუწყვეტლივ იზრდება. მუშა-ხალხი მეტწილად ცხოვრობს ქალაქის განაპირა უბნებში, ბნელ, ნესტიან სარდაფებში, მიწურებში, ნახევრად დანგრეულ ქოხმახებში, ტალახიან, ბინძურ, საცხებათ კეთილმოუწყობელ ადგილებში. მძიმე საცხოვრებელი პირობების გამო განსაკუთრებით დიდია ბავშვთა სიკვდილიანობა, ხშირია იპლივიზი, გავრცელებულია ტუბერკულოზი და მალარია. ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტიც კი იძულებული იყო ელიარბინა, რომ ამ უმდიდრეს კაპიტალისტურ ქვეყანაში 5 მილიონი ოჯახი ქოხმახებში ცხოვრობს, ხოლო 3 მილიონს საზიარო კერა აქვს. ფაქტიური მდგომარეობა ცხადია, კიდევ უფრო უარესია. მარტო ნიუ-იორკში 260 ათასი უსახლკარო ოჯახია, ხოლო ნახევარი მილიონი ოჯახი მიწურებსა და ჯურღმულებში ცხოვრობს. ინგლისში 4 მილიონი ბინა ჯურღმულია და ოფიციალურად არის ცნობილი საცხოვრებლად სრულიად უვარგისად. ამის გარდა, ასიათასობით მუშა-მოსამსახურე საცხებით უსახლკაროა. ასევე მძიმია მშრომელთა საბინაო პირობები სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში. უფრო საშინელი მდგომარეობაა ამ მხრივ კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში.

მაშინ, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშადა კლასის, საერთოდ მშრომელი მასების მატერიალური ცხოვრების დონე დაბლა იწვევს და სულ უფრო აუტანელი ხდება, როცა მშრომელთა მილიონები განწირული არიან ნახევრად-

მშვიდი არსებობისათვის, შიმშილით სიკვდილისათვის, — ერთი მუქა მონოპოლისტების მოგება უმაგალითო სისწრაფით იზრდება.

ნაშინ, როცა იმპერიალისტური ომები, სახალხო მეურნეობის მილიტარიზაცია უდიდესი უბედურებაა მშრომელი მასებისათვის, — მონოპოლისტები ომსაც და სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციასაც უყურებენ, როგორც შემოსავლის გადიდების მძლავრ წყაროს, გამდიდრებას მძლავრ წყაროს.

შემცირებული ოფიციალური მონაცემებითაც კი ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალისტური მონოპოლიების მოგება 1938 წლის 3,3 მილიარდი დოლარიდან 1951 წელს გადიდდა 42,9 მილიარდ დოლარამდე, ე. ი. 13-ჯერ. უდიდეს მოგებას იღებენ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის და სხვა ქვეყნების მონოპოლისტები.

ამრიგად, ფაქტები ახალი ძალით ადასტურებენ კაპიტალიზმის დროს მუშათა კლასის აბსოლუტური და შედარებითი გაღატაკების კანონის მთელ სისწორეს, ადასტურებენ იმას, რომ უფსკრული ერთი მუჭა მდიდრებსა და მილიონობით მშრომელ მასებს შორის კი არ იესება, არამედ უფრო და უფრო ღრმავდება.

ლენინი ჯერ კიდევ 1912 წელს წერდა:

„ცხოვრების სიძვირე მატულობს. მუშების ხელფასი, ყველაზე მედგარი და მუშებისათვის ყველაზე წარმატებითი საგაფიცო ბრძოლის დროსაც კი, გაცილებით უფრო ნელა იზრდება, ვიდრე მატულობს სამუშაო ძალის აუცილებელი ხარჯვა, ხოლო ამავე დროს კაპიტალისტთა სიმდიდრე თავბრუდამხვევი სისწრაფით მატულობს“ (ტ. 18. გვ. 527).

და შემდეგ:

„სურსათ-სანოვავეც, ტანსაცმელიც, სათბობიც, ბინებიც, — ყველაფერი გაძვირდა. მუშა ლატაკდება აბსოლუტურად, ე. ი. წინანდელზე პირდაპირ უფრო ღარიბი ხდება, იძულებულია უფრო ცუდად ცხოვრობდეს, უფრო ნაკლებად იკვებებოდეს, უფრო მეტს შიმშილობდეს, სარდაფებსა და სხვენებს აფარებდეს თავს.“

მაგრამ კიდევ უფრო თვალსაჩინოა მუშების შეფარდებითი გაღატაკება, ე. ი. საზოგადოებრივ შემოსავალში მათი წილის შემცირება. კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რომელაც სწრაფად მდიდრდება, მუშების შედარებითი წილი სულ ნაკლები ხდება, ვინაიდან სულ უფრო სწრაფად მდიდრდება მთლიანობაში“ (იქვე, გვ. 528).

ამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენენ ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც მონოპოლისტთა 1 პროცენტი ფლობს ნაციონალური სიმდიდრის 59 პროცენტს, 12 პროცენტს ეკუთვნის ნაციონალური სიმდიდრის 33 პროცენტი, ხოლო მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის — 87 პროცენტის — წილი ნაციონალურ სიმდიდრეში მხოლოდ 8 პროცენტია.

სიმდიდრის ამ უმაგალითო ზრდით ერთ პოლუსზე და სიღატაკის, გაჩანაგების, შიმშილით დატანჯულობის ზრდით მეორე პოლუსზე აიხსნება ის, რომ კაპიტალიზმის დროს სულ უფრო და უფრო ღრმავდება უფსკრული გონებრივი და ფიზიკური შრომის ადამიანთა შორის.

ამით აიხსნება, რომ კაპიტალიზმის დროს მეცნიერებისა და კულტურის უდიდესი მიღწევებით სარგებლობენ მხოლოდ ერთი მუჭა მდიდრები, მხოლოდ ექსპლოატატორული კლასები.

ამით აიხსნება, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში მშრომელი მასების უდიდესი ნაწილისათვის წერა-კითხვის შესწავლაც კი მიუწევდომელია. მაგალითად, უმდიდრეს კაპიტალისტურ ქვეყანაში — ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი 10 მილიონზე მეტი მოზრდილი ადამიანი წერა-კითხვის უცოდინარია.

ამით აიხსნება, რომ კაპიტალიზმის დროს ფიზიკური შრომის ადამიანები, რომლებიც სიბნელესა და გაჭირვებაში ცხოვრობენ, მტრულად არიან განწყობილი გონებრივი შრომის იმ ადამიანებისადმი, რომლებიც კაპიტალისტებს ემსახურებიან და ხელს უწყობენ მათ მუშათა კლასის; მშრომელი მასების ძარცვაში.

„ყველასათვის ცნობილია ის გათიშვა, — ამბობს ი. ბ. სტალინი, — რომელიც არსებობდა კაპიტალიზმის დროს საწარმოთა ფიზიკური შრომის ადამიანთა და ხელმძღვანელ პერსონალს შორის. ცნობილია, რომ ამ გათიშვის ბაზაზე ვითარდებოდა მუშათა მტრული დამოკიდებულება დირექტორისადმი, ოსტატისადმი, ინჟინერისადმი და ტექნიკური პერსონალის სხვა წარმომადგენლებისადმი, როგორც მათი მტრებისადმი. გასაგებია, რომ კაპიტალიზმისა და ექსპლოატაციის სისტემის მოსპობასთან ერთად უნდა გამჭრალიყო ინტერესთა დაპირისპირებულობაც ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის. და იგი მართლაც გაქრა ჩვენი თანამედროვე სოციალისტური წყობილების პირობებში. ახლა ფიზიკური შრომის ადამიანები და ხელმძღვანელი პერსონალი წარმოდგენენ არა მტრებს, არამედ ამხანაგ-მეგობრებს, ერთიანი საწარმოო კოლექტივის წევრებს, რომლებიც სისხლხორცეულად არიან დაინტერესებულნი წარმოების წარმატებითა და გაუმჯობესებით. მათ შორის წინანდელი მტრობიდან კვალიც კი არ დარჩენილა“ (სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, გვ. 29).

ასევე არ არის და არც შეიძლება იყოს დაპირისპირებულობა და მტრობა კოლმეურნეობის ფიზიკური შრომის ადამიანთა და ხელმძღვანელ პერსონალს შორის. აქაც როგორც ერთნი, ისე მეორენი წარმოდგენენ ამხანაგ-მეგობრებს, რომლებიც სისხლხორცეულად არიან დაინტერესებულნი საბჭოთა ქვეყნის განმტკიცებით და გაძლიერებით, კოლმეურნეობის წარმატებებით და განვითარებით.

ეს იმიტომ, რომ ჯერ ერთი, სოციალისტური წყობილების დროს გონებრივი და ფიზიკური შრომის ადამიანები სხვადასხვა, ერთმანეთისადმი დაპირისპირებული კლასების წარმომადგენელნი კი არ არიან, არამედ ერთი და იგივე ურთიერთმეგობრული კლასებიდან — მუშებიდან და გლეხებიდან არიან გამოსულნი. გონებრივი შრომის ადამიანები — საწარმოთა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელნი, ინჟინრები, ტექნიკოსები, აგრონომები, მასწავლებლები, ექიმები, მეცნიერები და სხვ. გამოხატავენ, იცავენ, რწმენითა და სიმართლით ემსახურებიან მშრომელთა ინტერესებს. იმიტომ, ცხადია, რომ ფიზიკური შრომის ადამიანები არ შეიძლება მათადმი მტრულად იყვნენ განწყობილნი.

მეორე, — ეს იმიტომ, რომ სოციალისტური წყობილების დროს ცოდნის, განათლების მიღება, მეცნიერების დაუფლება, გონებრივი შრომის მუშაკთა რიგებში ჩადგომა არ წარმოადგენს საზოგადოების რომელიმე ერთი კლასის, ერთი ნაწილის მონოპოლიას. სწავლა-განათლების საქმე ჩვენში ისეა მოწყობილი, რომ მშრომელ მასებს უფართოესი შესაძლებლობა აქვთ აიმაღლონ თავიანთი ცოდნისა და კულტურის დონე, ჩადგნენ გონებრივი შრომის მუშაკთა რიგებში.

მესამე, — ეს იმიტომ, რომ სოციალისტური წყობილების დროს საზოგადოების ხელმძღვანელობა — კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა უაღრესად დაინტერესებული არიან მთელი ხალხის განათლებისა და კულტურის დონის ამაღლებით, რადგან რაც უფრო მაღალია შრომელთა შეგნებულობის დონე, რაც უფრო მეტი განათლება და კულტურაა მასებში, მით უფრო წარმატებით გადავჭრით ჩვენს წინაშე მდგომ ამოცანებს, მით უფრო სწრაფი იქნება ჩვენი განვითარების ტემპი, მით უფრო ჩქარა გადავალთ სოციალიზმიდან კომუნიზმში.

მეოთხე, — ეს იმიტომ, რომ სოციალისტური წყობილების დროს მუშებსა და გლეხებს შექმნილი აქვთ შრომის ისეთი პირობები, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს განუხრელად აიმალონ თავიანთი ცოდნისა და კულტურის დონე. ჩვენი ქვეყნის შრომელებისათვის არა მარტო ღიაა მრავალრიცხოვანი სკოლებისა და სასწავლებლების კარები. ამასთან ერთად მუშებს და გლეხებს აქვთ, მატერიალური შესაძლებლობა ასწავლონ თავიანთ შვილებს, უზრუნველყოფილი მატერიალურად სწავლის პერიოდში. საბჭოთა სახელმწიფო თავისი ბიუჯეტის დიდ ნაწილს სახალხო განათლებისათვის ხარჯავს. მაგრამ სწავლის, ცოდნის მიღების ფართო შესაძლებლობა აქვს არა მარტო მოსწავლე ახალგაზრდობას, არამედ იმათაც, ვინც მუშაობს საწარმოში, კოლმეურნეობაში, მშენებლობაზე და სხვ. ამას ხელს უწყობს: ყველაზე მოკლე სამუშაო დღე, რაც ჩვენს ქვეყანაშია; შრომის სულ უფრო და უფრო უკეთესი პირობები, მისი შემსუბუქება, მისი საინტერესო, მიმზიდველი, შინაარსიანი ხასიათი; მრავალგვარი წრებისა და კურსების არსებობა საწარმოებში, კოლმეურნეობებში და სხვ.; დაუსწრებელი უმაღლესი განათლების ფართო ქსელი და ა. შ.

მასების განათლებისა და კულტურის დონის ამაღლების უმთავრესი, ძირითადი პირობა, როგორც უკვე იყო აღნიშნული, მათი მატერიალური მდგომარეობის განუხრელი გაუმჯობესებაა. ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური წყობილების მოსპობასთან ერთად, საბჭოთა წყობილების დამყარებასთან ერთად შეწყვიტა მოქმედება მუშათა კლასის აბსოლუტური და შეფარდებითი გაღატაკების კანონმაც.

ეს იმას ნიშნავს, რომ სოციალისტური წყობილების დროს, სადაც წარმოების საშუალებანი კი არ იყენებენ მუშას, არამედ მუშა იყენებს წარმოების საშუალებებს, შრომის საზოგადოებრივი ძალის განვითარების ყველა მეთოდი, წარმოების განვითარების ყველა მეთოდი მიმართულია ინდივიდუალური მუშის შრომის პირობების ყოველმხრივ გაუმჯობესებისაკენ. წარმოების განვითარების ეს საშუალებანი კი არ ამზინჯებენ მუშას, კი არ აქცევენ მას ნაწილობრივ ადამიანად, მანქანის დანამატად, კი არ ათმევენ მას შრომის პროცესის სულიერ ძალებს; არამედ, პირიქით, ეს საშუალებანი იმდენად არიან მისაღები ჩვენი საზოგადოებისათვის, რამდენადაც ისინი ხელს უწყობენ მუშის ყოველმხრივ განვითარებას, მისი ფიზიკურ და სულიერი ძალების გაშლას, იმას, რომ მუშის მთელი სიცოცხლე სამუშაო დროდ კი არ გადაიქცეს, არამედ მას შეეძლოს მუშაობის შემდეგ დატყუდებული კაცობრიობის კულტურისა და ხელოვნების მიღწევებით, გაერთოს, დაისვენოს, აიმალოს ცოდნის დონე, გახდეს საზოგადოებრივი განვითარების აქტიური მოღვაწე.

ეს იმას ნიშნავს, რომ სოციალისტური წყობილების დროს რამდენადაც მაღალია საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება, რამდენადაც მაღალნაყოფიერ-

რია მუშებისა და გლეხების შრომა, იმდენად მდიდარია საზოგადოება, ხოლო რამდენადაც მდიდარია საზოგადოება, იმდენად მაღალია მუშებისა და გლეხების მატერიალური ცხოვრების დონე.

ეს იმას ნიშნავს, რომ სოციალისტური წყობილების დროს საზოგადოება თავისუფალია კაპიტალისტურ წყობილების ისეთი საშინელი სენისაგან, როგორიც არის უმუშევართა მუდმივი არმიის არსებობა, გლეხობის გაღატაკება და პაუპერიზმი.

სოციალისტური წარმოების მიზანია არა მოგების მიღება, არამედ ადამიანი მისი მოთხოვნილებებით, ადამიანის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

„...მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა, — ესაა სოციალისტური წარმოების მიზანი; უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდა და სრულყოფა, ესაა საშუალება მიზნის მისაღწევად“ (ი. სტალინი, „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, გვ. 84).

სოციალიზმის ამ ძირითადი ეკონომიკური კანონიდან პირდაპირ გამომდინარეობს, რომ საზოგადოებრივი წარმოების განვითარებით და სრულყოფით ერთნაირად დაინტერესებულნი არიან როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი შრომის მუშაკები, რომ დაპირისპირებულობა მათ შორის მოსპობილია.

მაგრამ ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არა მარტო დაპირისპირებულობაა მოსპობილი, არამედ მნიშვნელოვანი ნაბიჯებიც არის გადადგმული მათ შორის არსებული არსებითი განსხვავების ლიკვიდაციის გზაზე.

ჯერ ერთი, ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში წარმოება იმგვარად ვითარდება, რომ იგი წარმოების რიგითი მუშაკისაგან მოითხოვს არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ გონებრივ შრომასაც. უფრო ზუსტად: სოციალისტური საზოგადოებრივი წარმოება მოითხოვს წარმოების რიგითი მუშაკისაგან სულ უფრო და უფრო ნაკლებ ფიზიკურ და სულ უფრო და უფრო მეტ გონებრივ შრომას. მაგალითად, თუ წინათ, წერილი, ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის დროს, წარმოების მუშაკის — გლეხისათვის, რომელიც პრიმიტიული, მამაპური იარაღებით და წესით მუშაობდა, — მაინც და მაინც დიდი განათლება არ იყო საჭირო, თვით წერა-კითხვის ცოდნაც კი არ იყო აუცილებელი, ახლა, როცა სოფლად მსხვილი საზოგადოებრივი კოლექტიური მეორნობაა შექმნილი, როცა სოფელი მომარაგებულია პირველხარისხოვანი მანქანა-იარაღებით, როცა მეურნეობა მეცნიერულ საფუძველზე ვითარდება, წარმოების რიგით მუშაკს ესაჭიროება გაცილებით მეტი ცოდნა, განათლება, კვალიფიკაცია, ესაჭიროება ტექნიკის, აგრონომიის მიღწევათა დაუფლება. იგივე უნდა ითქვას სოციალისტური მრეწველობის მუშაკებზეც. ახალი უმაღლესი ტექნიკა, რომლითაც უხვად არის აღჭურვილი ჩვენი მრეწველობა, წარმოების რიგითი მუშაკისაგან მოითხოვს მეტ ცოდნას, ტექნიკის უკეთესად დაუფლებას, ნაკლებ ფიზიკურ შრომას, მეტ გონებრივ შრომას. სტახანოვური მოძრაობა, რომელიც ახალი ტექნიკის ათვისების საფუძველზე წარმოიშვა, სწორედ მით არის შესანიშნავი, რომ იგი, როგორც ი. ბ. სტალინი ვეასწავლის, ქმნის პირობებს ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაციისათვის, წარმოების რიგითი მუშაკთა ცოდნის დონის ინტენერ-ტექნიკურ მუშაკთა

ცოდნის დონემდე ამაღლებისათვის. ამრიგად, სოციალისტური წარმოების განვითარება მოითხოვს, რომ წარმოების რიგითი მუშაკების განათლების, კულტურის, ტექნიკური ცოდნის დონე ავამაღლოთ წარმოების ხელმძღვანელი მუშაკების, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის დონემდე, რომ თანდათანობით წაიშალოს არსებითი განსხვავება გონებრივი და ფიზიკური შრომის ადამიანთა შორის.

მეორე, სოციალისტური წარმოების განვითარება არა მარტო მოითხოვს გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების წაშლას, არამედ კიდევ ქმნის ხელსაყრელ პირობებს ამ განსხვავების წასაშლელად. ამას მოწმობს სოციალისტური შეჯიბრების, სტახანოვური მოძრაობის განუზრახელი ზრდა, წარმოების რიგითი მუშაკების, — მუშების, კოლმეურნეების სულ მეტი და მეტი რაოდენობის ცოდნის დონის ამაღლება ინჟინერ-ტექნიკოსების, აგრონომების, მექანიზატორების ცოდნის დონემდე. შრომის პროცესების მექანიზაცია, ავტომატიზაცია, ელექტროფიკაცია, რაც სულ უფრო და უფრო ვითარდება ჩვენს ქვეყანაში, ხელს უწყობს იმას, რომ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ყველა უბანზე მძიმე, მომქანცველი ფიზიკური შრომა შეიცვალოს მაღალკვალიფიციური, მიმზიდველი გონებრივი შრომით.

მესამე, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების წაშლას პირობებს უქმნის მასების კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებისათვის ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული ღონისძიებანი. არსად, არც ერთ სხვა ქვეყანაში არ არის და არც შეიძლება ყოფილიყო სწავლა-განათლება ისე ფართოდ გაშლილი, როგორც ჩვენს ქვეყანაში, როგორც სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების დროს. დიდი ხანია ჩვენში ლიკვიდირებულია წერა-კითხვის უკოდინარობა, განხორციელებულია საყოველთაო-საეკლდებულო სწავლება შეიღწლიანი სკოლის ფარგლებში. გაშლილია საშუალო სასწავლებლებისა და ტექნიკუმების ქსელი. ამჟამად მოსწავლეთა რიცხვი სსრ კავშირში შეადგენს 57 მილიონს ანუ თითქმის 8 მილიონით მეტს, ვიდრე ომამდელ 1940 წელს. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, მრავალრიცხოვანი კურსები და სკოლები მოზრდილთათვის, ჩვენი ლიტერატურა, ხელოვნება, კინო, პრესა ჩაყენებულია ხალხთა მასების იდეურ-კულტურული და ტექნიკურ-მეცნიერული ცოდნის დონის ამაღლების სამსახურში.

მეოთხე, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების წაშლას ხელს უწყობს საბჭოთა ინტელიგენციის ზრდა და განვითარება. ამჟამად საბჭოთა ინტელიგენცია უდიდესი არმიია, რომელიც 10 მილიონზე მეტი კაცისაგან შედგება. მარტო სპეციალისტთა რაოდენობა 5,5 მილიონს უდრის, ე. ი. დაახლოებით 2,2-ჯერ მეტია, ვიდრე 1940 წელს იყო. ინტელიგენციის ამ მძლავრ არმიას ყოველწლიურად ემატება ასიათასობით ახალი კადრები. მარტო 1952 წელს უმაღლესმა სასწავლებლებმა გამოუშვეს 221 ათასი ახალგაზრდა სპეციალისტა და ახლად მიიღეს 375 ათასი კაცი. ფართოვდება მეცნიერთა კადრების მომზადება.

ყოველივე ეს ქმნის ხელსაყრელ პირობებს ჩვენი ქვეყნის მძლავრი კულტურულ-ტექნიკური აღმავლობისათვის, ყველა მუშისა და ყველა გლეხის კულტურულ და განათლებულ ადამიანად გადაქცივისათვის, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების საბოლოოდ წაშლისათვის. მაღალია საბჭოთა კავშირის მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონე. რევოლუციამდელ წარსულთან შედარებაც არ შეიძლება, ჩვენ -ისე წინ წავე-

დით ამ მხრივ. ვერც ერთი, თუნდაც ყველაზე მოწინავე კაპიტალისტური ქვეყანა მასების კულტურულ-ტექნიკური დონით ჩვენს სამშობლოს ვერ შეედრება. დიდი ნაბიჯია გადადგმული გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების წაშლისათვის.

მაგრამ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა კულტურული განვითარების ახლანდელი დონე მაინც არ არის საკმარისი სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასასვლელად. არსებითი განსხვავება გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის ჯერ-ჯერობით მაინც რჩება. ამიტომ ი. ბ. სტალინმა სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობად დასახა საზოგადოების ისეთი კულტურული ზრდა, რომელიც ყველა ადამიანისათვის უზრუნველყოფდა მათი ფიზიკური და გონებრივ უნარის ყოველმხრივ განვითარებას. სტალინმა მიგვითითა ისიც, თუ რა არის საჭირო ამ ამოცანის გადასაჭრელად.

„სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, — ამბობს ი. ბ. სტალინი, — რომ შეიძლება საზოგადოების წევრთა ასეთ სერიოზულ კულტურულ ზრდას მივაღწიოთ ისე, თუ სერიოზული ცვლილებები არ მოხდა შრომის ახლანდელ მდგომარეობაში. ამისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, შევამციროთ სამუშაო დღე ყოველ შემთხვევაში 6. შემდეგ კი 5 საათამდეც. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ საზოგადოების წევრებმა მიიღონ საკმარისი თავისუფალი დრო, რაც აუცილებელია ყოველმხრივი განათლების მისაღებად. შემდეგ, ამისათვის საჭიროა შემოღებულ იქნას საყოველთაო-სავალდებულო პოლიტექნიკური სწავლება, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა ჰქონდეთ თავისუფლად აირჩიონ პროფესია და მთელ სიცოცხლეში მიჯაჭვული არ იყვნენ ერთ რომელიმე პროფესიაზე. შემდეგ, ამისათვის საჭიროა ძირფესვიანად გაეაუმჯობესოთ საბინაო პირობები და აემაღლოთ მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი სულ ცოტა ერთიორად; თუ შეტად არა. როგორც ფულადი ხელფასის პირდაპირი გადიდების გზით, ისე, განსაკუთრებით, მასობრივი მოხმარების საგანთა ფასების შემდგომი სისტემატური დაკლების გზით“ (იქვე, გვ. 74-75).

ი. ბ. სტალინის ეს საპროგრამო მითითებანი განსაზღვრავენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მოღვაწეობას. ეს მითითებანი საფუძვლად უდევს საბჭოთა კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიან გეგმას, რომლის დირექტორებიც მიიღო ჩვენი პარტიის XIX ყრილობამ.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმა სერიოზულ ღონისძიებებს ითვალისწინებს იმისათვის, რომ განხორციელდეს მნიშვნელოვანი ცვლილებანი შრომის ახლანდელ მდგომარეობაში.

შრომის ახლანდელ მდგომარეობაში სერიოზული ცვლილება უპირველეს ყოვლისა იმას ნიშნავს, რომ შევამციროთ სამუშაო დღე ყოველ შემთხვევაში 6. შემდეგ კი 5 საათამდეც.

ამემაღ ჩვენს მრეწველობაში არის მ საათიანი სამუშაო დღე, რაც დიდ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სერიოზული მონაპოვარია. ასეთი სამუშაო დღე მუშა-მოსამსახურეებს შესაძლებლობას აძლევს აიმაღლონ თავიანთი ცოდნა და კვალიფიკაცია, აიმაღლონ თავიანთი კულტურული დონე. ეს ასეც არის. მუშათა არა მარტო ერთეულები, არამედ მათი მთელი ჯგუფები უკვე ახლა თავიანთი ცოდნით და კულტურით დგანან ინჟინერ-ტექნიკურ

მუშაკთა დონეზე. ჩვენი ინტელიგენციის რიგები იზრდება არა მარტო ტექნიკელებსა და უმაღლეს სასწავლებლებში აღზრდილი ახალგაზრდობით, არამედ წარმოებაში მომუშავე ადამიანებითაც, რომლებმაც ისწავლეს წრებებში და კურსებზე, ისწავლეს დამოუკიდებლად, მიიღეს უმაღლესი განათლება დაუსწრებელი სწავლების ქსელში. მაგრამ მუშა-მოსამსახურეთა მთელი მასის კულტურულ-ტექნიკური დონის ინტენერ-ტექნიკურ მუშაკთა დონემდე ასაწვავად, ყოველმხრივი განათლების მისაღებად აუცილებელია სამუშაო დღის შემდგომი შემცირება.

სამუშაო დღის ხანგრძლივობის საკითხი სოფლის მეურნეობის თავისებურებათა გამო უფრო რთულად დგას სოფლად, კოლმეურნეობებში. სანამ სოფლად წვრილი, ერთპიროვნული მეურნეობა გვქონდა, გლეხი შრომობდა არა მარტო მ საათს, არამედ თითქმის მთელი მისი დრო სამუშაო დროს წარმოადგენდა და ხეირიანად მაინც ვერ ცხოვრობდა, რადგან მეტად დაბალი იყო წილი შრომის ნაყოფიერება. რაც შეეხება ცოდნის, კულტურის დონის ამაღლებას, ამისათვის მას დრო ნაკლებად რჩებოდა. კაცმა რომ თქვას, დიდ ცოდნას არც მოითხოვდა წვრილი, პრიმიტიული მეურნეობის წარმოება. ამხანაგი სტალინი 1929 წელს აგრარციკოს-მარქსისტთა კონფერენციაზე ამბობდა:

„უკანასკნელ დრომდე გლეხი იძულებული იყო ეჩიჩქნა მიწა ძველი ინვენტარით ინდივიდუალური შრომის წესით. ყველასათვის ცნობილია, რომ წარმოებდა ძველი, ახლა უკვე უფარგისი იარაღებით აღჭურვილი ინდივიდუალური შრომა არ იძლევა იმ სარგებლობას, რაც საჭიროა იმასათვის, რომ გლეხმა რიგიანად იცხოვროს, სისტემატურად გაიუმჯობესოს მატერიალური მდგომარეობა, განავითაროს თავისი კულტურა და გამოვიდეს სოციალისტური წმინდობის ფართო გზაზე“ (თხზ., ტ. 12, გვ. 174).

სოფლად საკოლმეურნეო წყობილების დამკვიდრებამ, მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის შექმნამ, იმან, რომ კოლმეურნეობები შეიარაღებულნი არიან მოწინავე სამანქანო ტექნიკით და მოწინავე აგრობიოლოგიური მეცნიერებით, გადაჭრით აამალა კოლმეურნის შრომის ნაყოფიერება, მისი მატერიალური და კულტურული დონე. თვით მსხვილი, კოლექტიური, გეგმიანი სოფლის მეურნეობის წარმოება მოითხოვს კოლმეურნე გლეხის ცოდნის, კვალიფიკაციის ამაღლებას, სპეციალობის დაუფლებას. ახლა სოფელს აუცილებლად ესაჭიროება მექანიკოსი, ტრაქტორისტი, კომბაინერი, მძღოლი, ელექტროტექნიკოსი, მშენებელი, მეცხოველე, მევენახე, მებაღე, მეცატრუსე, მეკარბლე და სხვ. მართალია სამუშაო დღის ხანგრძლივობა ყველა კოლმეურნეობაში და წლის ყველა დროს ერთნაირი არ არის. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მაღალია შრომის ნაყოფიერება კოლმეურნეობაში, დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სეზონზე, მუშახელით სამუშაოთა უზრუნველყოფაზე და სხვ. მაგრამ ყოველშემთხვევაში სამუშაო დღის ახლანდელი ხანგრძლივობა კოლმეურნეს აძლევს თავისუფალ დროს, რათა მან ისწავლოს, აიმალოს კვალიფიკაცია, კულტურა. ეს ასეც არის. კოლმეურნეთა არა მარტო ერთეულები, არამედ მათი მთელი ჯგუფები უკვე ახლა თავიანთი ცოდნით და კულტურით არ ჩამოუვარდებიან აგროტექნიკურ პერსონალს. ჩვენი ინტელიგენციის რიგები იზრდება მოწინავე კოლმეურნეებითაც, რომლებმაც ისწავლეს წრებებში და კურსებზე, ისწავლეს დამოუკიდებლად, მიიღეს უმაღლესი განათლება დაუსწრებელი სწავლების ქსელში. მაგრამ

კოლმეურნეთა მთელი მასის კულტურულ-ტექნიკური დონის აგროტექნიკური პერსონალის დონემდე ასამაღლებლად, ყოველმხრივი განათლების მისაღებად აუცილებელია სამუშაო დღის შემდგომი შემცირება კოლმეურნეობებში.

რაზეა დამოკიდებული სამუშაო დღის შემცირება 6. ხალხი შემდეგ 5 საათამდე? უპირველეს ყოვლისა და უმთავრესად შრომის ნაყოფიერების დონეზე. რაც უფრო მაღალი იქნება მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის შრომის ნაყოფიერება, მით უფრო მოვახლოვებთ იმ პერიოდს, როცა სამუშაო დღის ეს შემცირება განხორციელდება. ამიტომ მეხუთე ხუთწლიანი გეგმა დიდ ყურადღებას უთმობს შრომის ნაყოფიერების გადიდების საკითხს. გეგმა ითვალისწინებს, რომ მეხუთე ხუთწლედის მანძილზე ძირითადად დამატარდეს მძიმე და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია მრეწველობაში და მშენებლობაზე, დამატარდეს კოლმეურნეობებში მიწდერის ძირითად სამუშაოთა მექანიზაცია, ფართოდ გაჩაღდეს მეცხოველეობის, მებოსტნეობის, მებაღეობის, შრომატევად სამუშაოთა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დატვირთვა-გადმოტვირთვის, გადაზიდვის, მიწის რწყვის, დაჭაობებულ ადგილების ამოშრობისა და ახალი მიწის ათვისების სამუშაოთა მექანიზაცია. სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მოწინავე ტექნიკის დანერგვით, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით, მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებით შრომის ნაყოფიერება ხუთწლედის მანძილზე უნდა გადიდდეს: მრეწველობაში დაახლოებით 50 პროცენტით, მშენებლობაზე — 55 პროცენტით, სოფლის მეურნეობაში — 40 პროცენტით.

შრომის ნაყოფიერების ეს მძლავრი ზრდა ამზადებს პირობებს მომავალში სამუშაო დღის ხანგრძლივობის შესამცირებლად, რათა საზოგადოების წევრებს ექნეთ საკმაო თავისუფალი დრო ყოველმხრივი განათლების მიღებისათვის.

შრომის ახლანდელ მდგომარეობაში სერიოზული იკვლილება, შემდეგ, იმას ნიშნავს, რომ შემოდებულ იქნას საყოველთაო-სავალდებულო პოლიტექნიკურ სწავლება.

საყოველთაო-სავალდებულო პოლიტექნიკური განათლება აუცილებელია იმისათვის, რომ საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა ჰქონდეთ თავისუფლად აირჩიონ პროფესია და მთელ სიცოცხლეში მიჯაჭვული არ იყვნენ ერთ რომელიმე პროფესიაზე. ჯერ კიდევ მარქსი და ენგელსი ლაპარაკობდნენ პოლიტექნიკური განათლების შემოღების აუცილებლობაზე. თუ წინანდელ საზოგადოებათა გაბატონებული ექსპლოატატორული კლასები დაინტერესებულნი იყვნენ იმით, რომ წარმოებას მუშაკი რაც შეიძლება მკვრივად ყოფილიყო მიჯაჭვული ერთ რომელიმე პროფესიაზე, თუ მათთვის ხელსაყრელია, რომ წარმოების მუშაკში განავითარონ მისი ერთი მხარე, ყველა დანარჩენი მხარე კი ჩაახშონ და ადამიანი დაამახინჯონ, — კომუნისტური საზოგადოება, პირიქით, მოითხოვს ყოველმხრივ განვითარებულ მუშაკს, რომელსაც შეეძლება გადავიდეს საქმიანობის ერთი დარგიდან მეორე დარგში. ენგელსი თავის ნაშრომში „კონუნისმის პრინციპები“ წერდა:

„წარმოების საზოგადოებრივი გაძლიერება არ შეიძლება განხორციელდეს იქნეს დღევანდელთა მსგავსი ადამიანების მიერ, რომელთაგან თვითელი

ემორჩილება წარმოების ერთ რომელიმე დარგს, მიჯაჭვულია მასზე, განიცდის ექსპლოატაციას მის მიერ, აეთარებს თავის უნართა მხოლოდ ერთ მხარეს ყველა დანარჩენის ხარჯზე და იცის მთელი წარმოების მხოლოდ ერთი დარგი ან დარგის რომელიმე ნაწილი. უკვე დღეიანდელ მრეწველურმა-სულსუფრო და უფრო ნაკლებ ძალუქს ასეთი ადამიანების გამოყენება. მით უფრო ის მრეწველობა, რომლის გაძღოლა სრულდება ერთად და გეგმავსომიერად მთელ საზოგადოების მიერ, გულისხმობს ყოველმხრივ განვითარებული ნიქის პატრონ ადამიანებს, რომელთაც შესწევთ უნარი გაეყენენ წარმოების მთელ სისტემაში... აღზრდა ახალგაზრდებს მისცემს შესაძლებლობას სწრაფად აითვისონ პრაქტიკაში წარმოების მთელი სისტემა, იგი საშუალებას მისცემს მათ რიგრიგობით გადავიდნენ წარმოების ერთი დარგიდან მეორეში საზოგადოების მოთხოვნილებათა და მათ საკუთარ მიდრეკილებათა მიხედვით. აღზრდა, მასშასადამე, მათ გაანთავისუფლებს იმ ცალმხრივობისაგან, რომელსაც შრომის თანამედროვე დანაწილება თავს ახვევს თვითუღ ცალკეულ ადამიანს. ამგვარად, კომუნისტურ საფუძველზე ორგანიზებული საზოგადოება შესაძლებლობას მისცემს თავის წევრებს ყოველმხრივ გამოიყენონ თავიანთი ყოველმხრივად განვითარებული უნარი“ (ქ. მარქსი, ფ. ენგელსი, „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, გვ. 87-88, 1940 წლის გამოცემა).

აღზრდა, რომელზედაც აქ ენგელსი ლაპარაკობს, ეს არის პოლიტექნიკური აღზრდა. პოლიტექნიკური სწავლება მარქსის მიხედვით ეს ისეთი სწავლებაა, რომელიც „ბავშვსა და მოზარდს აცნობს წარმოების ყველა პროცესის ყველა ძირითად პრინციპს და აძლევს მას ყველა წარმოების უმარტივესი იარაღების გამოყენების ჩვევებს“. ლენინი აზუსტებს და ანვითარებს პოლიტექნიკური სწავლების პრინციპს. ის ამბობს: „პოლიტექნიკური პრინციპი არ მოითხოვს ყველაფრის სწავლებას, არამედ მოითხოვს თანამედროვე ინდუსტრიის საფუძველების სწავლებას საერთოდ“. 1919 წელს პარტიის VIII ყრილობისათვის შედგენილ პარტიის პროგრამის პროექტში ლენინი პარტიის ერთ-ერთ ამოცანად სახალხო განათლების დარგში სახავს „უფასო და სავალდებულო საერთო და პოლიტექნიკური (რომელიც თეორიასა და პრაქტიკაში ბავშვს აცნობს წარმოების ყველა მთავარ დარგს) განათლების გატარებას ორივე სქესის ყველა ბავშვისთვის 16 წლამდე“ (თხზ., ტ.29, გვ.142).

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ეს მითითებანი საფუძვლად უდევს სახალხო განათლების მთელ განვითარებას ჩვენს ქვეყანაში. ამ საქმეში მიღწეული უდიდესი წარმატებანი, ჩვენში განხორციელებული ნამდვილი კულტურული რევოლუცია შესაძლებლობას გვაძლევს დაეისახოთ ახალი გრანდიოზული ამოცანები.

პარტიის XIX ყრილობის დირექტივებით მეხუთე ხუთწლედის დამლევითისათვის უნდა დამთავრდეს შეიდწლიანი განათლებიდან საყოველთაო საშუალო განათლებაზე (ათწლედ) გადასვლა რესპუბლიკის დედაქალაქებში, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში, საოლქო, სამხარეო და უდიდეს სამრეწველო ცენტრებში და მომზადდეს პირობები, რათა შემდგომ ხუთწლედში მთლიანად განხორციელდეს გადასვლა საყოველთაო საშუალო განათლებაზე (ათწლედ) დანარჩენ ქალაქებსა და სოფლებში. ამ ამოცანის განხორციელება დიდა ნაბიჯი იქნება საბჭოთა ხალხის კულტურული დონის ამაღლების გზაზე, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაციის გზაზე.

XIX ყრილობამ მოგვცა უმნიშვნელოვანესი მითითებანი პოლიტექნიკური სწავლების შემოღების საკითხზე. მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დირექტივებში ნათქვამია:

„იმ მიზნით, რომ შემდგომ ამაღლდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სოციალისტური აღმზრდელობითი მნიშვნელობა და იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც საშუალო სკოლას ამთავრებენ, უზრუნველყოფილ იქნას პროფესიების თავისუფალი არჩევის პირობები, დაიწყოს პოლიტექნიკური სწავლება განხორციელება საშუალო სკოლაში და მიღებულ იქნას ღონისძიებანი, რაც საჭიროა საყოველთაო პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასასვლელად“.

პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასვლა კი არ აძვირებს, არამედ, პირიქით, ზრდის მოსწავლეთა მიერ მეცნიერებათა საფუძვლების შეთვისების მნიშვნელობას. ჩვენმა პარტიამ დიდი ხანია დაგმო სკოლის პოლიტექნიზაციის მოწყვეტა მეცნიერების საფუძვლების შესწავლიდან. პოლიტექნიზაციის ამოცანა მკიდროდ უნდა დაუკავშირდეს მეცნიერებათა საფუძვლების სისტემატური და ღრმა შეთვისების ამოცანას.

პოლიტექნიკური განათლება არ ცვლის, არ ეწინააღმდეგება პროფესიულ, სპეციალურ განათლებას. პროფესიული, სპეციალური განათლების მნიშვნელობა და მასშტაბი ჩვენს ქვეყანაში განუხრელად იზრდება. მეხუთე ხუთწლედში უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებიდან ყველა გვარეობის სპეციალისტთა გამოშვება უნდა გაიზარდოს 30-35 პროცენტით. მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგების, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობისათვის სპეციალისტთა გამოშვება უმაღლესი სასწავლებლებიდან უნდა გადიდდეს 1955 წელს 1950 წელთან შედარებით დაახლოებით ერთიორად. მნიშვნელოვნად იზრდება სამეცნიერო და პედაგოგიური კადრების მომზადება.

ამრიგად, პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასვლასთან ერთად ჩვენში განუხრელად იზრდება და ფართოვდება სპეციალისტთა კადრების მომზადება სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარების ამოცანების შესაბამისად.

XIX ყრილობის დირექტივები მეხუთე ხუთწლედისათვის ითვალისწინებენ მოზრდილი მოსახლეობის მზარდ მისწრაფებას თავისი განათლების ამაღლებისაკენ და ამოცანად სახავენ დაუსრრებელი და საღამოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური ზოგადსაგანმანათლებლო სწავლების შემდგომ განვითარებას წარმოებისაგან მოუწყვეტლოვ.

დიდი მნიშვნელობა აქვს კვალიფიკატორი კადრებით სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დარგში დასახულ ღონისძიებებს. ყრილობის დირექტივებში ნათქვამია:

„სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად კვალიფიკატორი კადრების მზრდ. განსაკუთრებით წარმოებაში მოწინავე ტექნიკის დანერგვასთან დაკავშირებით გაუმჯობესდეს ახალგაზრდა კვალიფიკატორი მეშობის მომზადების ხარისხი სახელმწიფო შრომითი რეზერვების სისტემაში, უზრუნველყოფილ იქნას მეშობის მომზადება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება ინდივიდუალური და ბრიგადული სწავლების გზით და საწარმოებში მოწყობილი კურსებისა და სკოლების სისტემის საშუალებით“.

მაშასადამე, როგორც სკოლებისა და სასწავლებლების მოსწავლეთა, ისე წარმოებაში ჩაბმული მოზრდილი მოსახლეობის აღზრდა-განათლების მთელი

სისტემა ემსახურება ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის აღზრდას, რაც აუცილებელია სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასასვლელად.

შრომის ახლანდელ მდგომარეობაში სწავლის უწყვეტი ცვლილება, შემდეგ, იმას ნიშნავს, რომ ძირითადი ნაწილი გაეაუმჯობესოთ საბინაო პირობები და ავამაღლოთ მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი სულ ცოტა ერთიორად.

ჩვენი პარტია და საბჭოთა მთავრობა განუხრელად ზრუნავენ მუშათა და გლეხთა ცხოვრების მატერიალური დონის სულ უფრო და უფრო ამაღლებისათვის. ეს პირდაპირ გამომდინარეობს სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონიდან.

საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ძირითადი მაჩვენებელია ნაციონალური შემოსავლის ზრდა. თუ კაპიტალისტურ ქვეყნებში ნაციონალური შემოსავლის ნახევარზე გაცილებით მეტი ხმარდება პარაზიტულ კლასებს, რომლებიც უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენენ, საბჭოთა კავშირში მთელი ნაციონალური შემოსავალი მშრომელთა კუთვნილებაა. მშრომელთა პირადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ჩვენი იხარჯება ნაციონალური შემოსავლის სამი მეოთხედი, ერთი მეოთხედი კი ხმარდება საერთო-სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საჭიროებებს. აქედან ცხადია, რომ რაც უფრო დიდია ჩვენი ქვეყნის ნაციონალური შემოსავალი, რაც უფრო სწრაფად იზრდება იგი, მით უფრო მაღალია მშრომელთა ცხოვრების დონე, მით უფრო სწრაფად მაღლდება ეს დონე.

ჩვენი ქვეყნის ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპი უმაგალითოა მთელ მსოფლიოში. კაპიტალისტურ ქვეყნებში — ამერიკაში, გერმანიაში, ინგლისში — მათი განვითარების საუკეთესო პერიოდშიც კი ნაციონალური შემოსავლის ყოველწლიური ზრდა არ აღემატებოდა 3 — 8 პროცენტს. საბჭოთა კავშირში კი პირველ ხუთწლედში ნაციონალური შემოსავალი გაიზარდა 85 პროცენტით, მეორე ხუთწლედში — 110 პროცენტით. ასევე სწრაფად იზრდება ნაციონალური შემოსავალი მესამე ხუთწლედში. ომის შემდგომი მეოთხე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო ნაციონალური შემოსავლის ომამდელი დონისათვის გადაგვეკარებინა 38 პროცენტით, ფაქტურად გადაეკარბეთ 64 პროცენტით. 1951 წელს ნაციონალური შემოსავალი 1940 წელთან შედარებით 83 პროცენტით გაიზარდა. მეხუთე ხუთწლედში ნაციონალური შემოსავლის ზრდა გათვალისწინებულია დაახლოებით 60 პროცენტით.

ნაციონალური შემოსავლის ამ ზრდასთან ერთად განუხრელად მაღლდება მშრომელთა მატერიალურ-კულტურული ცხოვრების დონე.

საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების მაჩვენებელია მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასისა და გლეხთა რეალური შემოსავლის მუდმივი ზრდა. ეს ზრდა გამოიხატება მუშა-მოსამსახურეთა ფულადი ხელფასის, გლეხთა ფულადი და ნატურალური შემოსავლის გადიდებით. მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების შემცირებით, სახელმწიფოს მიერ მოსახლეობისათვის სხვადასხვა სახის დახმარების (სოციალური დაზღვევა, სოციალური უზრუნველყოფა, მუშა-მოსამსახურეთა ყოველწლიური შვებულება ხელფასის შენახვით, უფასო შეღავათიანი საგზურები სანატორიუმებსა და დასასვენებელ საბულებში, უფასო სამედიცინო დახმარება, უფასო განათლება საშუალო სკო-

ლაში, სტიპენდიები უმაღლეს სასწავლებელში და სხვ.) გადიდებით. თუ კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი უკეთეს შემთხვევაში ერთ წერტილზეა გაყინული, ზოგჯერ კი მცირდება კიდევ, ხოლო სამრეწველო და სასურსათო საქონლის ფასები განუწყვეტლივ იზრდება, — საბჭოთა კავშირში 1947 — 1953 წლების მანძილზე სახელმწიფო საცალო ფასების სისტემატური შემცირების შედეგად ამჟამად ფართო მოხმარების საგნების ფასები საშუალოდ ერთიორად ნაკლებია, ვიდრე 1947 წლის ბოლოს. 1951 წელს მუშა-მოსამსახურეთა რეალური შემოსავალი დაახლოებით 57 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე 1940 წელს, ხოლო გლეხთა რეალური შემოსავალი — დაახლოებით 60 პროცენტით მეტი.

ჩვენი საზოგადოების წევრების ისეთი კულტურული აღმავლობის მისაღწევად, რაც აუცილებელია სოციალიზმიდან კომუნისმში გადასვლისათვის, საჭიროა მუშა-მოსამსახურეთა ახლანდელი რეალური ხელფასი გაეადიდოთ ერთიორად, თუ მეტად არა, როგორც ფულადი ხელფასის პირდაპირი გადიდების, ისე, განსაკუთრებით, ფართო მოხმარების საქონლის ფასების შემდგომი შემცირების გზით. ასეთივე ზომით და უფრო მეტადაც უნდა გადიდდეს კოლმეურნე გლეხობის რეალური შემოსავალი. მეხუთე ხუთწლიანი გეგმა მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ამ პროგრამის განხორციელების გზაზე. პარტიის დირექტივებით ხუთწლედის მანძილზე მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი უნდა გადიდდეს სულ ცოტა 35 პროცენტით, ხოლო კოლმეურნე გლეხობის ფულადი და ნატურალური შემოსავალი — სულ ცოტა 40 პროცენტით. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მნიშვნელოვნად მივუახლოვდებით მშრომელთა რეალური შემოსავლის გაორკეცების ამოცანის გადაჭრას.

საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ზრდის მაჩვენებელია მშრომელთა საბინაო პირობების სისტემატური გაუმჯობესება. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ექსპლოატატორულ კლასებს — კაპიტალისტებსა და მემამულეებს ჩამოართვა მათი მდიდრული სასახლეები, მოახდინა ქალაქის ძირითადი საბინაო ფონდის ნაციონალიზაცია და მშრომელთა განკარგულებაში გადასცა იგი. რევოლუციის პირველ ხანებში საბჭოთა ხელისუფლებამ ასიათასობით მშრომელი ამოიყვანა მიწურებიდან და სარდაფებიდან და ჩაასახლა ახალ, ადამიანურ ბინებში. არსებული საბინაო ფონდი სამართლიანად განაწილდა, მაგრამ ეს სრულებით არ იყო საკმარისი მშრომელთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. საჭირო იყო ახალი ბინების მშენებლობის გაშლა და მართლაც, საბინაო მშენებლობის მასშტაბი ჩვენს ქვეყანაში იზრდებოდა საერთო სოციალისტური მშენებლობის მასშტაბის ზრდასთან ერთად. ისევე, როგორც ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპი უმაჯალითოა ისტორიაში, საბინაო მშენებლობაც ჩვენში ისეთი ტემპით წარმოიგბს, როგორიც არ არის და არც შეიძლება იყოს კაპიტალისტურ სახელმწიფოებში. ამის შედეგად უკვე არა ასი ათასები, არამედ მილიონები იქნენ დაკმაყოფილებულნი კეთილმოწყობილი ბინებით. ისტორიას ჩაბარდა რევოლუციამდელი ქალაქისათვის დამახასიათებელი ძეშათა გარეუბნები ნახევრად დანგრეული ქოხმახებით, მიწურებით, ჯურღმურებით, ტალახიანი ქუჩებით. ახლა ქალაქის გარეუბნები არანაკლებ კეთილმოწყობილია, ვიდრე ცენტრები. სოფლის მშრომელებმა შესაძლებლობა მიიღეს აეშენებინათ ახალი სახლები. მნიშვნელოვნად გაუმჯობესებინათ თავიანთი საბინაო პირობები. განსაკუთრებით მევეთრად გაძლიერდა სა-

ბინაო მშენებლობა ომის შემდგომ პერიოდში. მარტო ომის შემდგომ წლებში ქალაქებსა და მუშათა დაბებში აგებულია საცხოვრებელი სახლები 155 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობით, ხოლო სოფელ-ქვეყნულ აშენდა 3.800 ათასზე მეტი საცხოვრებელი სახლი.

მიუხედავად საბინაო მშენებლობის ასეთი დიდი მასშტაბისა, ჩვენი ჯერ კიდევ ყველგან იგრძნობა საცხოვრებელი ფართობის მწვავე ნაკლებობა. საცხოვრებელი ფართობის ამ მწვავე ნაკლებობის ლიკვიდაცია, მუშა-მოსამსახურეთა საბინაო პირობების ძირფესვიანი გაუმჯობესება ჩვენი საზოგადოების ისეთი კულტურული ზრდის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რაც საჭიროა სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლისათვის. სწორედ ამიტომ პარტიის XIX ყრილობის დირექტივებით კაპიტალდაბანდებანი სახელმწიფო საბინაო მშენებლობისათვის მეხუთე ხუთწლედში, მეოთხე ხუთწლედთან შედარებით, გაორკეცებულია. სახელმწიფო მშენებლობის ხაზით ქალაქებსა და მუშათა დაბებში მეხუთე ხუთწლედში საექსპლოატაციოდ გადაეცემა 105 მილიონამდე კვადრატული მეტრი საერთო ფართობის ახალი საცხოვრებელი სახლები. გაძლიერდება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, რასაც მოსახლეობა საკუთარი სახსრებით და საჩემწიფო კრედიტის დახმარებით ახორციელებს. გაუმჯობესდება მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურება, გაფართოვდება წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელი, საზღვების თბოფიკაცია და გაზიფიკაცია, ქალაქის ტრანსპორტი. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მნიშვნელოვნად მიუვახლოვდებით მშრომელთა საბინაო პირობების ძირფესვიანი გაუმჯობესების ამოცანის გადაჭრას.

ამრიგად, სამუშაო დღის შემცირება 6, ხოლო შემდეგ 5 საათამდეც, საყოველთაო-საეალდებულო პოლიტექნიკური სწავლების განხორციელება, მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნე გლეხების შემოსავლის ერთიორად და მეტად გადიდება, მშრომელთა საბინაო პირობების ძირფესვიანი გაუმჯობესება, — ასეთია ის აუცილებელი ღონისძიებანი, რამაც სერიოზული ცვლილებანი უნდა გამოიწვიოს შრომის ახლანდელ პირობებში და რაც საჭიროა საზოგადოების მძლავრი კულტურული აღმავლობის მისაღწევად, საზოგადოების ყველა წევრის ფიზიკური და გონებრივი უნარის ყოველმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად.

საბჭოთა საზოგადოების ამ მძლავრი კულტურული აღმავლობის განხორციელების მთავარი პირობაა მთელი საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი ზრდა. რაც უფრო მეტ წარმატებებს მოეპოვებთ ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი წარმოების, ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში, მით უფრო სწრაფად წავა წინ საბჭოთა საზოგადოების კულტურაც. მეორე მხრივ, რაც უფრო მეტ წარმატებებს მოეპოვებთ ჩვენი ქვეყნის კულტურული განვითარების დარგში, მით უფრო სწრაფად წავა საზოგადოებრივი წარმოების აღმავლობა.

ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის ახალი, მძლავრი აღმავლობის დიდი პროგრამა დასახეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მე-5 სესიამ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმმა. ამ პროგრამის განსახორციელებლად მძლავრ შემოქმედებით შრომას ეწევა მთელი საბჭოთა ხალხი. გაჩაღებულია ბრძოლა სახალხო მოხმარების საგნების გამოშვების

მკვეთრად გადიდებისათვის, სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის, საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი გაშლისა და განვითარებისათვის.

ყველა ამ ღონისძიების მიზანია საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებათა რაც შეიძლება უფრო სრულად დაკმაყოფილება, პირობების მომზადება სოციალიზმიდან კომუნისმში გადასასვლელად.

კომუნისმში გადასვლის წინაპირობების მომზადება მიმდინარეობს არა სტიქიურად, არამედ კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის წარმმართველი ხელმძღვანელობით. ჩვენი ქვეყნის როგორც სამეურნეო ცხოვრების, ისე კულტურული ცხოვრების მთელ განვითარებას განსაზღვრავს საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც ემყარება საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების ცოდნას და იყენებს ამ კანონებს საზოგადოების ინტერესებისათვის. კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკა, რაც სოციალისტური წყობილების სასიცოცხლო საფუძველს შეადგენს, ემყარება მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას.

მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება გვასწავლის, რომ ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების მომწიფებელი ამოცანების გადაჭრისათვის აუცილებელია მთელი ძალების, მთელი საშუალებების მობილიზაცია, აუცილებელია ბრძოლა ძველის, დახვეწულის, დრომოკმეულის წინააღმდეგ, ახლის, მოწინაის, პროგრესულის გამარჯვებისა და გამტკიცებისათვის.

საბჭოთა საზოგადოების კულტურული აღმავლობის დარგში დასახული ამოცანების გადაჭრა მოითხოვს შეუწელებელ ბრძოლას კაპიტალიზმის ნაშთების წინააღმდეგ ყოფაცხოვრებაში და ადამიანთა შეგნებაში, მოითხოვს სოციალისტური იდეოლოგიის დანერგვისათვის განუზრუნველ ზრუნვას, რადგან იქ, სადაც სუსტდება სოციალისტური იდეოლოგიის გავლენა, უკვე აღადგება ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენა. პარტიის XIX ყრილობაზე ამხანაგი გ. მ. მალენკოვი ამბობდა:

„ჩვენს საბჭოთა საზოგადოებაში არ არის და არც შეიძლება იყოს კლასობრივი ბაზა ბურჟუაზიული იდეოლოგიის ბატონობისათვის. ჩვენში გაბატონებულია სოციალისტური იდეოლოგია, რომლის ურღვევ საფუძველს მარქსიზმ-ლენინიზმი შეადგენს. მაგრამ ჩვენში კიდევ შემორჩა ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნაშთები, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიისა და მორალის გადმონაშთები. ეს გადმონაშთები თავისთავად როდი კედებიან, ისინი მეტად გამძლე არიან. შეუძლიათ გაიზარდონ, მათ წინააღმდეგ საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა. ჩვენ დაზღვეული არა ვართ აგრეთვე იმისაგან, რომ ჩვენში არ შემოაღწიოს უცხო შეხეთულებებმა, იდეებმა და განწყობილებებმა გარედან, კაპიტალისტური სახელმწიფოების მხრიდან, და შიგნიდან, საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრული ჯგუფების ნაშთების მხრიდან, რომლებიც პარტიას ჯერ კიდევ მთლიანად ვერ მოუსპია. არ უნდა დაეიფიწყოთ, რომ საბჭოთა სახელმწიფოს მტრები ცდილობენ გააერცლონ, გააღვივონ და გააჩაღონ ყოველგვარი არაჯანსაღი განწყობილებანი, იდეოლოგიურად გახრწან ჩვენი საზოგადოების მერყევი ელემენტები“ („საანგარიშო მოხსენება პარტიის XIX ყრილობას“ გვ. 116).

მაშასადამე, სანამ არსებობას განაგრძობენ კაპიტალიზმის ნაშთები ადამიანთა შეგნებაში, სანამ ჩვენში ჯერ კიდევ არიან ბურჟუაზიული მორალის მატარებელი — ცოცხალი ადამიანები — საბჭოთა ხელისუფლების ფარული მტრები, სანამ არ მოსპობილა კაპიტალისტური გარემოცვა, ჩვენი მოვალეობაა

ფხიზლად ვიყოთ, ბოლო მოვეულოთ უდარდებლობას, უზრუნველობას, დოჟლაპიობას, პარადულ განწყობილებას, დროულად შევნიშნოთ და ძირშივე აღვეკვეთოთ მტრის მავნებლური მაქინაციები, შეუწინააღმდეგებელი ბრძოლა ვაწარმოოთ ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების წინააღმდეგ. შრომისადმი არასოციალისტური დამოკიდებულების წინააღმდეგ, საზოგადოებრივი საკუთრებისადმი გაუფრთხილებლობის, მისი ქურდობის, დატაცების, განხიევების წინააღმდეგ.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დაუძინებელი მტრის, საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტის, ბურჟუაზიული გადაგვარებულის ბერძისა და მისი ბანდის გამომგლავნება და განადგურება ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ საჭიროა კიდევ უფრო გავაძლიეროთ პოლიტიკური სიფხიზლე, გადაკრით აღმოვეფხვრაოთ უდარდებლობა და დოჟლაპიობა ჩვენს საკუთარ რიგებში.

შრომელთა პოლიტიკური სიფხიზლის ამაღლებისა და კაპიტალიზმის ნაშთების წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებას. ლენინ-სტალინის დიადი იდეების პროპაგანდის შემდგომი გაუმჯობესება და გაძლიერება იდეოლოგიური მუშაობის სათანადო სიმაღლეზე აყვანის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

საბჭოთა ადამიანების კომუნისტური აღზრდის საქმეში დიდი როლი ეკისრება ჩვენს ლიტერატურას და ხელოვნებას. მწერალი, როგორც დიდი სტალინი გვასწავლის, ადამიანის სულის ინჟინერია. „ადამიანის სულის ამ ინჟინერებით“, ნიჭიერი შემოქმედი კადრებით მდიდარია ჩვენი ქვეყანა. ამიტომაც აქვს თვალსაჩინო წარმატებები ჩვენს ლიტერატურას და ხელოვნებას. მაგრამ ისინი, ეს წარმატებანი, ამჟამად არ არიან საკმარისი. კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ გამოამკლავნა სერიოზული ნაკლოვანებანი საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში. ყრილობამ აღნიშნა, რომ ბევრი ნაწარმოების იდეურ-მხატვრული დონე ჯერ კიდევ დაბალია, რომ ჯერ კიდევ ბევრი იქმნება მდარე, უფერული, ხოლო ზოგჯერ ამკარად ხალტურული ნაწარმოებნი, რომლებიც მახინჯად ასახევენ საბჭოთა სინამდვილეს, რომ შემოქმედებითი მუშაეები ხშირ შემთხვევაში დადებითი მხატვრული სახეებით ვერ გვიჩვენებენ ახალი ტიპის ადამიანებს, მათი ადამიანური ღირსებების მთელ მშვენიერებას, რომ ჩვენი მწერლები და მხატვრები თავიანთ ნაწარმოებებში გაბედულად ვერ ამათრახებენ ნაკლოვანებებს, ავადმყოფურ მოვლენებს, მანკიერებას, რომლებსაც ვხვდებით სინამდვილეში, რომ ამის შედეგად განვითარებული არ არის მხატვრულ ნაწარმოებთა ისეთი სახეობა, როგორცაა სატირა.

„ჩვენმა საბჭოთა ლიტერატურამ და ხელოვნებამ, — ამბობდა ამხანაგი გ. მალენკოვი პარტიის XIX ყრილობაზე, — გაბედულად უნდა გვიჩვენონ ცხოვრების წინააღმდეგობანი და კონფლიქტები, მათ უნდა ჰქონდეთ უნარი გამოიყენონ კრიტიკის იარაღი, როგორც აღზრდის ერთ-ერთი ქმედითი საშუალება. რეალისტური ხელოვნების ძალა და მნიშვნელობა ის არის, რომ მას შეუძლია და კიდევაც უნდა გამოავლინოს და გვიჩვენოს რიგითი ადამიანის მაღალი სულიერა თვისებები და მისი ხასიათის ტიპური დადებითი ნიშნები, შექმნას მისი მკაფიო მხატვრული სახე, რომელიც სამაგალითო და მისაბაძი იქნება ადამიანებისათვის“ („საანგარიშო მოხსენება პარტიის XIX ყრილობას“, გვ, 89).

პარტიის მიერ ლიტერატურისა და ხელოვნების წინაშე დასახულ, ამოცანების გადაჭრისათვის აუცილებელია გავაძლიეროთ ბრძოლა იდეოლოგიური დამახინჯებების წინააღმდეგ, ხალხურის წინააღმდეგ მხატვრულ შემოქმედებაში, აუცილებელია გავაძლიეროთ მუშაობა შემოქმედებითი მუშაკების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის.

ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების წარმატებანი ხელს შეუწყობენ ადამიანთა შეგნებაში, კაპიტალიზმის ნაშთების აღმოფხვრას დააჩქარებენ საბჭოთა საზოგადოების ისეთ კულტურულ აღმავლობას, რაც საჭიროა სოციალიზმიდან კომუნისმში გადასასაველად.

ევროპული რეაქცია და ამერიკული კანიბალიზმი



ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო გერბზე გამოხატულია მარჯვენისაკენ თავმიდრეკილი არწივი, ამ არწივს ცალ ფეხში ზეთისხილის შტო აქვს ჩაბღუჯული, ხოლო მეორეში — ისრების კონა. ზეთისხილის შტო ძველ-თაგანვე მშვიდობის ემბლემად ჰქონდათ მიჩნეული ხალხებს, ისრების კონა — ერთიანობისა.

საკმარისია თვალი გადავაკლეთ ა. შ. შ.-ის არც ისე ზაგრძლივი ისტორიის მთავარ ეტაპებს, რათა დავრწმუნდეთ, რომ ამ სახელმწიფოს მესვეურთა მთელი პრაქტიკა ემსახურებოდა არა მშვიდობისა და ხალხთა სოლიდარობის მაღალ იდეალებს, არამედ ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები იყო მუდამ ომისა და შფოთვის ინიციატორი.

თვით ამერიკის აღმოჩენის პირველადი სტიმული იყო დასავლეთ-ევროპული იმპერიალიზმის დაუცხრომელი წყურვილი ახალ-ახალი ქვეყნების დაპყრობისა და ახალ სიმდიდრეთა მოხვეჭისა.

ჯეაროსნულმა ომებმა გული გაუტეხეს ახლადწამოჩიბულ ევროპულ ბურჟუაზიასა და კათოლიკურ ეკლესიას, რომელთაც ქრისტეს საფლავის განთავისუფლების საფარველქვეშ იერუსალიმს წაასხეს ევროპელი ხალხები, არსებითად მათ ეწადათ მატერიალური რესურსები მოვპოვებინათ პოლიტიკურად და ეკონომიურად გაკოტრებული ევროპისათვის.

ქრისტეფორე კოლუმბზე ადრე, ოქროს მაძიებელთა ოცნებების მესიტყვედ გახდა ფლორენციელი გეოგრაფი და ვარსკვლავთმრიცხველი პაოლო ტოსკანელი, რომელსაც გუმანი ჰქონდა დასავლეთით მიმართული გეზით წაეყვანა თავისი გემი და ინდოეთს ჩასულიყო.

იგი ამ გზით იმედოვნებდა წაწყდომოდა „აზიის უკიდურეს ნაპირთან მდებარე ციპანგუს ქვეყანას“. ეს მრავალნაცადი ფლორენციელი კვბლავი ხანთან მსახურებდა ოდესღაც თურმე და ჩინური წყაროებიდან ამოკითხული ჰქონია. ციპანგუს ქვეყანაში სასახლეებსა და ეკლესიებს ოქროთი ხურავენ, იატაკებზედაც „თითის სისხო“ ოქროს ფენებია დაგებული. პაოლო ტოსკანელის ჩანაწერებით ისარგებლა გენუელმა მეზღვაურმა ქრისტეფორე კოლუმბმა და, როგორც ვიცით, მას ერგო წილად ინდოეთისა და „ციპანგუს მოოქროვილ ქვეყნის“ ნაცვლად ამერიკის კონტინენტი აღმოჩინა. კოლუმბს თან მოჰყვნენ მთელი ევროპის ავანტიურისტები, ოქროს მაძიებელნი. ციხებიდან გაქცეული რეციდივისტები და უმცროსი შვილები ისეთი ოჯახებისაც, რომელთაც მეშვიდრეობის მაიორატული სისტემა ჰქონდათ შემოღებული. ამ ახალ ხმელეთზე ბედის საძიებლად, რომანულ მოდგმის ხალხებმა, სახელდობრ ესპანელებმა და პორტუგალელებმა დაასწრეს ინგლის-საქსებს ამ ხმელეთის დაპყრობა, ამერიკა ჯერაც მთლიანად აღმოჩენილი არ იყო. როცა დაფაცურდა

რომის კურია. კათოლიკური ეკლესიის მამამთავრებისათვის მიღად სასამართლო ამბავი არ იყო ბიბლიური კოსმოგონიის დარღვევა. როგორც ცნობილია, ქრისტიან თეოლოგებს მიწა წარმოდგენილი ჰქონდათ როგორც უკრძამის თეოლოგიით ბრტყელი და მრგვალი სივრცე, რომლის ცენტრში იერუსალიმი იჯულისსმებოდა. რომის პაპისათვის ამ შემთხვევაში მთავარი იყო კათოლიკური ეკლესიის სუვერენობა განუმტკიცებინა ახლად აღმოჩენილ ხმელეთზედაც, ამიტომაც გამოაქვეყნა თავისი ცნობილი ბულა ალექსანდრე VII და კათოლიკურ ესპანეთს დაუმტკიცა «ყველა კუნძული, როგორც აღმოჩენილი, ისე მემრისშიაც აღმოსაჩენი».

იტალიელებსა და ესპანელებზე უფრო ადრე, მე-10 ს. ამერიკის ხმელეთს უწიეს ნორმანებმა, სახელდობრ გრენლანდს, ხოლო ამ კუნძულიდან მისწვდნენ ვინლანდს, სადაც ამერიკული ჯიშის მწარე ვაზი აღმოჩნდა (ეს ნორმანები იყვნენ ისევ და ის მეკობრეები, რომელნიც «ქართლის ცხოვრებაში» ცნობილი არიან, როგორც «ვარანგები». ეს ახლად მოსულები ამოწყვეტეს ამ კუნძულზე მობინადრე ესკიმოსებმა).

ინგლის-საქსებმა და გერმანელმა პროტესტანტებმა რომის პაპის დაუხმარებლად ჩაიგდეს ხელში ჩრდილო-ამერიკის ტერიტორია. მათ თანმიმდევრულად გასწყვეტეს ამერიკის აბორიგენები, ადგილობრივი ტომები და დაეპატრონენ ჩრდილოეთს. როგორც სპეციალისტები გვარწმუნებენ იმ მომენტში, როცა რომანული და ინგლის-საქსური მოდემის ხალხები დაეპატრონენ ამერიკის ხმელეთს, აბორიგენების რიცხვი 100 მილიონს აღემატებოდა, მაგრამ ოთხი საუკუნის მანძილზე დაუცხრომელი ელეთისა და დევნის შედეგად დღევანდელ ამერიკაში აბორიგენი ხალხების რიცხვი ოცდახუთ მილიონს არ აღემატება, სახელდობრ, ჩრდილო ამერიკაში აბორიგენების სულადობა 300.000-მდე დაიყვანეს. ძირითადი მოსახლეობის ამოწყვეტის საკმაოდ ბნელ საქმეში განსაკუთრებით თავი ისახელეს ჩრდილო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. თავის დროზე ინგლისს ეწადა ფეოდალური სახელმწიფოს დაეარსებინა ამერიკის ჩრდილოეთში. ამ სახელმწიფოს კონსტიტუციის პროექტის შედგენა კიდევაც დააკისრეს ცნობილ ფილოსოფოსს ლოკს, მაგრამ ეს პროექტი ქალაქებზე დარჩა.

მეთრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ერთმა ინგლისურმა საზოგადოებამ ზანგებით ვაჭრობის პრივილეგიები მიიღო ინგლისის მთავრობისაგან, რათა ამ მუქთი მუშახელის მეშვეობით დაემუშავებინა თვალუწვდენელი პლანტაციები.

რომანულ და ინგლის-საქსურ ხალხთა შორის ატეხილ ინტერესთა ცილობაში ამერიკის კონტინენტის ათვისების პირველ პერიოდთანვე ჩაება ეკლესია. ერთ მხარეზე რომის პაპის კურია იბრძოდა თავისი ზეგავლენის სფეროს განსაზღვრებად, ხოლო მეორე მხრით ინგლისური პროტესტანტული ეკლესიები.

ეს ბრძოლა, როგორც ცნობილია, ჩრდილო ამერიკაში ამ უკანასკნელი ეკლესიების გამარჯვებით დასრულდა.

არც პროტესტანტული და არც კათოლიკური ეკლესიები თავს არ იტყვიებდნენ ფერადკანიანი ხალხების არაადამიანური ელეთისა და აბსორბირების გამო, რამდენადაც ქრისტიანებს მუდამ სჯეროდათ, თითქოს შავკანიანები წარმოშობილი იყვნენ ბიბლიური ევასა და ეშმაკის შუღლლებისაგან. ოდესღაც ამერიკა დიდ სიმპათიებს აღუძრავდა ასე თუ ისე რადიკალურად მოაზროვნე

ვერონელებს. 1766 წელს, როცა ინგლის-ამერიკის ომი ატყდა, ლაფაიეტმა საფრანგეთიდან თან წაიყვანა მოხალისეების კორპუსი „აჯანყებული კოლონიების“ მისამველებლად. როცა გენერალი ლაფაიეტი თავის ლაშქარს პარიზს მიბრუნდა, პარიზული რადიკალური გაზეთები ხოტბას ასხამდნენ „სციპიო ამერიკანუსს“ — ამერიკელ სციპიონს. არა მარტო იმათ, ვინც პირველად გააკეთებინეს ამერიკული სახელმწიფო გერბი ზეთისხილის შტოთი და ისრების ბლუჯით დამშვენებული, ევროპული ინტელიგენციის რადიკალურად მოაზროვნე წრეებში დიდ ხანს გულუბრყვილოდ სჯეროდათ, რომ ამერიკა იქნებოდა ის ბედნიერი და თავისუფალი ქვეყანა, რომლისთვისაც უცნობი იქნებოდა ევროპის დასავლეთისა და აღმოსავლეთის აბსოლუტური მონარქიებისათვის თანდაყოლილი ტირანია. ა. შ. შ.-ის პრეზიდენტებმა, რომელნიც პირველი პრეზიდენტის, შესანიშნავი მებრძოლის და სახელმწიფო ტრიბუნის — გეორგ ვაშინგტონის შემდეგ საქეთმპყრობელნი გახდნენ, თვალნათლივ დაუმტკიცეს მთელს მსოფლიოს, რომ ჩრდილო ამერიკა ეს „ნოვუს ორბის“, „მონდო სუოვო“, თავისუფლების ნავთსაყუდელი როდია, არამედ სიმდიდრის ღეთების, გაუმძაღარი პლუტუსის ქვეყანაა. თანამედროვე ა. შ. შ.-ის პოლიტიკოსებსა და ჟურნალისტებს წააჰმარა პირზე აყვრიათ ე. წ. მონროეს დოქტრინა. ეს დოქტრინა ეკუთვნის ერთ-ერთ პრეზიდენტს ჯემს მონროეს. მონროეს დოქტრინა: დღესაც მიჩნეულია, როგორც ათი მცნება ჩრდილო ამერიკის პოლიტიკისა. პირველი მუხლი მონროეს დოქტრინისა ასეთია: ევროპულ სახელმწიფოებს არავითარი უფლება არა აქვთ ჩაერიონ ამერიკის საქმეებში, იქვე წერია: ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებსაც მართებთ თავი შეიკავონ ევროპულ სახელმწიფოთა საქმეებში ჩარევისაგან. შემდეგი მუხლი მონროეს დოქტრინისა ასეთია: აღეკვეთოს ევროპის სახელმწიფოებს ამერიკული მიწებისა და კოლონიების მიტაცება, სულ ერთია, შესყიდვის სახით იქნება ეს, თუ ანექსიის ძალით.

მონროეს დოქტრინის მოგვიანებით დამატებულ მუხლში ვკითხულობთ: ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებს მიეკუთვნოს მფარველობა, როგორც შუა-ამერიკის, ისე სამხრეთ ამერიკის მიმართ.

ამერიკა — ამერიკელებს

მონროეს დოქტრინის ამ მუხლს ჩრდილო ამერიკის ახალმა მესვეურებმა კორექტივი უნდა გაუკეთონ და ამ მუხლს უნდა მიაწერონ: არა მარტო ამერიკა, ევროპაც ამერიკელებს, მთელი მსოფლიო ამერიკელებს. ყოველ შემთხვევაში ატლანტიკის პაქტის ინიციატორები ამას უმიზნებენ, ასე რომ მონროეს დოქტრინა უკვე მოძველებული ფორმულაა ამერიკული იმპერიალიზმისათვის.

ა. შ. შ. მუდამ იმის ცდაში არიან, თავისი ჰეგემონია განამტკიცონ ამერიკის მთელ კონტინენტზე. ჩრდილო ამერიკის ადგილობრივ მკვიდრთა თანმიმდევრულ გაყვრისა და აბსორბირების შემდეგ იგი მოწადინებულია როგორც შუა ამერიკის, ისე სამხრეთ ამერიკის შტატებში დასახლებული ესპანელების, პორტუგალელების და ფრანგების დაქვემდებარებას.

გასული საუკუნის მიწურულში ა. შ. შ.-ის პოლიტიკური მესვეურების ინიციატივით გაიმართა პანამერიკული კონგრესი ვაშინგტონში. ამ კონგრესის მიზანი იყო სამი ამერიკის, ე. ი. ჩრდილო ამერიკის, შუა ამერიკის და სამხრეთ

ამერიკის ვაერთიანება. კონგრესის შეფარული მიზანი უნდა ყოფილიყო ჩრდილო შტატების მიერ მთელი ამერიკის ნედლეულის ხელში ჩაგდება, მაგრამ ამ ღონისძიებას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

ჩრდილო შტატებმა მიისაკუთრეს ლუიზიანა და ფლორიდა. შექმნილნი იყვნენ გლოუგის ტექსასი და კალიფორნია, ანექსია უყვეს ჰავაის კუნძულებს მიიტაცეს კუბა და პუერტო-რიკო.

ჩრდილო ამერიკელი კაპიტალი უპირატესობას ლებულობს ბრიტანულ კანადისა და სამხრეთ ამერიკის უმეტეს შტატებში.

ჩრდილო ამერიკის ფლოტი როგორც რიცხობრივად, ისე შეჭურვილობის მხრივაც უთანაბრდება დიდი ბრიტანეთის ფლოტს. ასე რომ, ბრიტანულ ლომა ეს პირველად გაუჩნდა მეტოქე ზღვაზე.

ჩრდილო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ფილიპინების კუნძული მიიტაცა, მრავალი წლის განმავლობაში სისხლში ახრჩობდა თავისუფლების მოყვარულ ფილიპინელებს.

შეერთებული შტატების ფულით მოეწყო აჯანყებები კუბაში, როცა ამ აჯანყებამ გრანდიოზულ მასშტაბებს მიაღწია, ჩრდილო ამერიკის მთავრობა საკმაოდ ცინიკურად მოიქცა: წინადადება მისცა ესპანეთს, დაუყოვნებლივ აელაგმა აჯანყებულნი. როცა ესპანეთმა ეს ვერ შეძლო, დრედნოუტი წარგზავნა ჰავანას, აჯანყებულებმა ამერიკული სამხედრო გემი ააფეთქეს, რის გამოც ზარალის ანაზღაურება მოსთხოვეს ესპანელებს. 1901 წელს ტერორისტებმა მოკლეს პრეზიდენტი მაკ კინლეი. მისი შემცვლელი პრეზიდენტი თეოდორ რუზველტი თუმცა შინაგან საქმეებში შედარებით ჰუმანური სახელმწიფო მოღვაწე იყო, მაგრამ საგარეო საქმეებში განაგრძობდა თავის წინამორბედების იმპერიალისტურ კურსს. ფილიპინების პერმანენტულ აჯანყებებს ბოლო მოუღო რუზველტმა. 1903 წელს ამერიკას დასჭირდა კონცესიები პანამის არხის გასაყვანად. ჩ. ა. შეერთებული შტატების აგენტებმა აჯანყება მოაწყვეს კოლუმბიის მთავრობის წინააღმდეგ. ბოლოს, როგორც იქნა, თავისი გაიტანეს, საგანგებოდ დააარსეს პანამის მარიონეტული რესპუბლიკა.

ამერიკულმა დიპლომატიამ ალიასკა და ალესკის კუნძულები 7 მილიონ დოლარად გამოისტყუა რუსეთის მეფეს.

შემდგომ წლებში მონროეს დოქტრინის უხეში დარღვევა იყო ამერიკული დიპლომატიის დემარშები რუსეთისა და თურქეთის მიმართ.

პირველ იმპერიალისტურ ომში, ჩვენი თაობის თვალწინ, ა. შ. შ.-ის პრეზიდენტმა ვილსონმა ჯვაროსნული ომი გამოაცხადა დემოკრატიის, ერების თავისუფლების, კულტურისა და ცივილიზაციის სახელით.

ასეთი ღებარეი ცინიზმით საქმე ყომარბაზობა ჯერაც არც ერთ სახელმწიფოს მესაჭეს არ უკადრებია.

პრეზიდენტი ისეთი სახელმწიფოსი, სადაც ჯერ არ მოშლილა ზანგების დისკრიმინაცია, ისეთი სახელმწიფოსი, რომელიც უმწეო და უიარაღო ერების ძვლებზეა აგებული, ერთი დაკვრით მოევიღინა კაცობრიობას, როგორც მორალის მასწავლებელი და ახალი წესრიგის დამამყარებელი, როგორც ხალხთა დიდი არეობაგის თავკაცი და სჯულმდებელი. ანალოგიურ გრიმასებს გვიჩვენებდა ექსპრეზიდენტი ტრუმენი, რომელიც ხშირად მოიშველებდა ხოლმე მართლმორწმუნე ქრისტიანის ნიღაბს, ღმერთსა და მის ანგელოზებს უხმობდა თავისი ბნელი საქმეებისათვის შუქის მოსაფენად. ეს ნიღაბი უთუოდ სჭიროდა

ისეთ პრეზიდენტს, რომელმაც თავი ისახელა უბედური კორეელი ბავშვებისა და უმწეო მოხუცების გაყვებით.

პრეზიდენტ უილსონის 14 პუნქტი, მის მიერ განცხადებულ კანტონისადმი გაგზავნილ მორიგ ეპისტოლეში, წარმოადგენდა მონროის დოქტრინის უხეშ დარღვევას.

ამერიკის მიერ ევროპულ საქმეებში ინტერვენციის შედეგი იყო არა დაჩაგრულთა და უფლებაყრილთა შევრდომება, არამედ მიტაცება იმ ოქროს მარაგისა, რომელიც ამ ომის შემდეგ ევროპიდან ამერიკაში გატანილ იქნა. ბოლოს უილსონის ამერიკამ მიისაკუთრა პირველობა მექსიკის ხავთის ექსპლოატაციის საქმეში, მიიღო პროტექტორატი ჰაიტის კუპულისა და ნიკარაგუას მამართ.

უილსონის საკმაოდ ცინიკურ 14 პუნქტს ღირსეული შეფასება მისცა დიდმა სტალინმა:

„იდეალურად მიჩნეული დემოკრატიული რესპუბლიკა ვილსონისა, არსებითად აღმოჩნდა. ისევე როგორც ლენინი ჰიუთითებდა, უაღრესად თავაწყვეტილი იმპერიალიზმის, სუსტი და მცირე ერების, ჩაგვრისა და მოხრჩობის ყველაზე მეტად უსირცხვილო ფორმად“ (ი. ბ. სტალინი. ტ. IV. გვ. 66).

ფაშიზმისა და რასიულ თეორიას გერმანულ ფაშისტებზე ადრე ჰყავდა თავისი აპოლოგეტები ამერიკაში. ოჯენეს გადაღმელ ინგლის-საქსების საარსებო საქმე იყო რასული თეორიების არა მარტო ქადაგება, არამედ კონსექვენცური, თანამიმდევრული გატარება როგორც წარმოების, ინდუსტრიის, პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების ყოველ დარგში, რამდენადაც ამ თეორიების პრაქტიკულად განმამტკიცებლებს სერიოზულად სჯეროდათ, რომ არა მარტო ამერიკული ხმელეთის ამორიგენები — ინდიელები, ესკიმოსები და სხვანი თვით აზიის უძველესი ხალხები — ჩინელები, კორეელები და მალაელები თავს ვერ გაართმევენო ამერიკის მამინერიის როულ მექანიზმებს. მამასადამე, ეს ხალხები, ამ პანამერიკანისტების აზრით, მოწოდებულნი იყვნენ მოეარათ ჩაის, შაქრის ლერწმის, ბრინჯის პლანტაციებისათვის; ისინი ამტკიცებდნენ, ამ ხალხებს დიახაც შეუძლიათ, თავი გაართვან იმ ელემენტარულ პროცესებს, რომელნიც საჭიროა გუმის, პარაგუმის და კაუჩუკის მისაღები საწარმოებისათვის, მაგრამ ამერიკულ მანქანათმშენებელ ქარხნებში ეს ხალხები ვერ გამოდგებიანო. ამიტომაც ამერიკაში ჩამოსულ ჩინილებს ვაშინგტონისა და ნიუ-იორკში იყენებდნენ, როგორც მრეცხავებს თავიანთ „სტიმლანდრებში“ — სამრეცხაოებში. მამასადამე პანამერიკელები ჩინეთისა და ინდოჩინეთის ძველი კულტურის ხალხებს, რომელთაც ევროპელებზე გაცილებით ადრე გააჩნდათ არა მარტო თავის დროზე მოწინავე კულტურა და დიდი ტექნიკური ცივილიზაცია, თვლიან ისეთ გონებაჩლუნგ ადამიანებად, რომელთაც თითქოს არ შეუძლიათ რომელიმე ავტოქარხნისათვის საჭირო დეტალის გამოჩარხვა.

ოდესღაც მთელი ქვეყანა იცინოდა იმის გამო, რომ ზოჯიერთი ინგლისელი მეტიჩარა, სნობი ჟურნალისტი ყოველი ეროვნების კაცს, ლამანშს გადაღმა წარმოშობილს, უცქეროდა, როგორც უკულტუროსა და ევაგინდარას.

პირველი იმპერიალისტური ომის შემდეგ ასეთი სნობისტური ყოყოჩობა დასჩემდათ ამერიკელებს, განსაკუთრებით ა. შ. შტატებიდან ევროპაში ჩამოსულ ვაჭეთის მკლაბნელებს, დიპლომატებსა და ვითომდაც მწერლებს; ისინი ზვიდან დასცქერიან არა მარტო აზიელებს, არამედ თვით ევროპელებსაც.

ნურას ვიტყვიტ ჩინეთის უძველესი ფილოსოფიის, მწერლობის, მხატვრობის, პორცელანის ხელოვნების გამო. ამ დარგებში არამცთუ ამერიკა, დასავლეთი ევროპაც ვერ შეედრება ჩინეთს. ეს არის ოლონდ, ევროპელებს ჯერაც საკმაოდ არა აქვთ შესწავლილი არა მარტო შორეულ კლმოსავლეთის, არამედ წინააზიის ხალხთა კულტურები და ენები. რაც შეეხება ამერიკელებს, ისინი ისეთ ქედმაღლურ პოზიციებზე შედგნენ, სხვა ხალხების შესწავლას მათთვის ბომბების თავზე დაყრა არჩიეს.

შესაძლოა ბევრმა მათგანმა არც იცოდეს, რომ თვით დენთი, რომლის გამოჩენამ და გამოყენებამ უდიდესი ძვრები მოახდინა მთელი კაცობრიობის ისტორიაში, რამდენიმე საუკუნით ადრე ჩინეთში იყო ცნობილი. კაცობრიული კულტურის მეორე დიდზე დიდ ფაქტორს — ქალაღდს ჩინელები აკეთებდნენ ჩვენი წალთალრიცხვის მეორე საუკუნეში. ცნობილია ჩინური სელის ქალაღდები, ბამბუკის ნორჩი ყლორტებისაგან გაკეთებული, ხის მერქნისაგან ნაკეთები ქალაღდი.

ლითონის მკვდლობის ხელოვნება ყველა ხალხზე ადრე ჩინელებს ემარჯვებოდატ, იგივე ითქმის ბრინჯაოს ჩამოსხმაში დახელოვნების შესახებ.

კიდევ ერთი დიდი ფაქტორი, რომელმაც მთელი რევოლუცია მოახდინა კაცობრიული კულტურის ისტორიაში, ეს ვახლავთ ბეკდვისა და სტამბის გამოგონება, რასაც ამაოდ მიაწერდნენ გუტენბერგს. ტვიფარების ამომკრელი საბეჭდი ხელსაწყონი ჯერ კიდევ მიეკისე საუკუნეში გამოიყენეს ჩინელებმა. მეთუ საუკ. ქვის საბეჭდაეებს ხმარობდნენ უკვე, ხოლო ე. წ. „ლუტერებით“ ბეჭდვა პრაქტიკულად ათთვისე მათვე.

პირველი თოფი კანტონში გააკეთეს და შეერთებულ შტატებში წააღებიწეს ამერიკელებმა. ჩინელებვე იყენენ უწარჩინებულესი ისტატები ფაიფურის ფაბრიკირებისა. მათ იგავიუწოდომელი შედეერები შექმნეს ხის, ნეფრიტის, ბროლის და ვერცხლის მასაღებისაგან.

ამერიკელთა შორის უფრო საქმიანნი და სხვა ქვეყნების ვითარებათა მცოდნენი პირიქით ამტკიცებდნენ: აზიის ხალხები უნდა გამოვიყენოთ არა მარტო ჩაის. შაქრის ლერწმის, ბრინჯის პლანტაციების მოსავლელად. გუმისა და კაუჩუკის მრეწველობაში, არამედ ამერიკული მანქანების ფარეშებადაც გამოგადგება ჩინელი ყული, მალაელი და მონღოლი გლები, რადგან ინგლის-საქსური რასა ერთხელაც იქნება მხოლოდ გამოგონებათა რთულ საქმეებზე გადავა და ის უსღლო და წმინდა მექანიკური მომსახურებისათვის ჩინეთიდან, მონღოლეთიდან და ინდო-ჩინეთიდან ჩამორეილი აურაცხელი მუშახელის რეზერვები უნდა გამოვიყენოთ. დღეს ეს ხალხები უკვე შესული არიან დემოკრატიული ქვეყნების ძღვევამოსილ გავრთიანებაში. ასე რომ, ამერიკელ ნეოფაშისტ პოლიტიკოსებსა და იურნალისტებს კოიზი ნაიაარში ჩაოიარათ.

კანიბალიზმი. ე. ი. კაციკამიობა, რომლსაც ძველი ბერძნები ანთროპოფაგის უწოდებდნენ, ტაბუსა და ტოტემის ბნელი ეპოქების სამარცხენო გაღანაში, ჩვენს დღეებამდის მოქვეა აესტრალიის, მელანეზიისა და განსაკუთრებით ცენტრალური აფრიკის ზოგიერთ ჩამორჩენილ ტომებს. ეს საშინელი ჩვეულება არ აღმოიკვეთა ისევე და ასევე იმ ევროპელი ხალხების დაუღვერობით, რომელნიც აესტრალიისა და აფრიკის ხალხებთან მიღიოდნენ არა როგორც ცივილიზატორები, არამედ როგორც მყვლეფელები და წამღლეღები. ჩვენს საუკუნეში გრანდიოზული მასშტაბით გავრკულდა კანიბალიზმი ჩრდილო ამერიკაში არა ესკიმოსების ან ინდიელების წრეებში, არამედ ამერიკუ-

ლი მილიარდერების მთავრობის თეთრ სასახლეში, ამერიკული დიპლომატიის, მწერლობის, ჟურნალისტიკის „მაღალ“ სფეროებში.

რენესანსის დროს ზოგიერთი ჰუმანისტი საქვეყნოდ ქადაგებდა: ცხოველები და ფრინველები ჩვენი უმცროსი ძმები და დებია, ამიტომაც მათ გულმონყაულად მოვექცეთო.

ეს ამბავი ჩვენს ეპოქაში ჟღერს როგორც ბაღის მიაბიტური ტიტინი, ისეთ ეპოქაში, როცა ვითომდაც ცივილიზებული ქვეყანა, რომელსაც „ახალ „სამყაროს“, „თავისუფლების ნავსაყუდელს“ უწოდებდნენ ოდესღაც, გეორგ ვაშინგტონისა და ბენიამინ ფრანკლინის ქვეყანა, კანიზალიზმის კლასიკურ ქვეყნად იქცა.

ა. შ. შ. სატატო ქალაქის — ვაშინგტონის ცენტრში, ცხენზე ამხედრებული გეორგ ვაშინგტონის მონუმენტის გასწვრივ, აღმართულია ოთხი ქანდაკება მშვიდობისა, ომისა, კოლუმბისა და ცივილიზაციისა.

ინგლისელი ისტორიკოსი კარლაილი თავის ცნობილ შრომაში — „საფრანგეთის რევოლუცია“ მოგვითხრობს: „როცა ერთი იაკობინელი გილიოტინისკენ მიჰყავდათ, მან თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში ნაღლიანად ჩაუარა თურმე თავისუფლების ძეგლს, პარიზის ერთ-ერთ მოედანზე დადგმულს, და სასოწარკვეთილად წამოიძახა: „ჰოი, თავისუფლებავ, დახე, რას ჩადიან შენი სახელით“. ჩვენ, თანდამსწრენი ამერიკული კანიზალიზმის გაუგონარი პრაქტიკისა, მაკარტურისა და რიჯუეის მიერ კორეაში მოწყობილ ზოცვა-ელეტისა, ისეთი ამაზრზენი ბარბაროსობისა, რომლის ასაწერად არც ერთ დიდოსტატს სიტყვისა და ფერწერისა ძალა არ ეყოფა, უფრო მეტი აღშფოთებით შეგვიძლია წამოვიძახოთ:

ო, კეთილშობილო რაიონდო და დიდო ტრიბუნო, გეორგ ვაშინგტონო, ცივილიზაციავ, კოლუმბო და თავისუფლებავ, დახეთ, რას ჩადიან თქვენი სახელით უოლ-სტრიტის პანგსტერები. ცივილიზებული კანიზალები!

ჩვენ ყოველდღე ვათვალისწინებდით გაზეთებს, ვკითხულობდით ამერიკელი ჰაერის მეკობრეების მიერ კორეაში ჩადენილი ამაზრზენი მხეცობის ამბებს. ვათვალისწინებდით გასრესილი ბაღების, ქალებისა და მოხუცების ცხედრებს, დანგრეული სოფლებისა და ქალაქების სამწყურბარო ფოტოსურათებს და თავს ვეკითხებოდით ხანდახან:

ხომ არ მოსულა ისეთი დრო, როცა კაცობრიობამ დასწყევლოს ფლორენციელი ვარსკვლავთმრიცხველი და გეოგრაფი პაოლო ტოსკანელი და მამაცი მებრძოლი ქრისტეფორე კოლუმბო? გასულ საუკუნეში, როცა ინგლისელები თავს დაესხნენ ბურებს, მთელი ევროპა აღშფოთდა ამ ძალადობისაგან, მრავალი ქვეყნიდან და მათ შორის საქართველოდანაც წავიდნენ ვაჟაკები ბურების მისამველებლად. ცივილიზებული ევროპა კი გულგრილად შესცქეროდა, თუ როგორ ანადგურებდა ამერიკის ავიაცია კორეის უბედურ ხალხს, ამას ხედავდა ვითომდაც ქრისტეს მოსაყდრე ამ მიწაზე რომის პაპი, დამშვიდებული განაგრძობდა თავის სანიადგო ლოცვების ბუტბუტს წ. პეტრეს ეკლესიაში, რომში, და უნებურად პირზე მოადგებოდა ადამიანს ციკერონისეული სიტყვები: O tempora, o mores! ო, დრონო, ოი, ჩვევანო!

ინკვიზიციის ეპოქაში შუა საუკუნის ბნელმეტყველები ზანგებს თვლიდნენ ბიბლიური ქამის დაწყველილ შვილად, სატანის ორეულად, რომელიც სამხრეთში ისევე გაშავდა, როგორც ზოგიერთი ნადირი, მაგალითად, დათვი ყინუ-

ლისაგან ოკეანეში თეთრდება ხოლმე. ასეთი ობსკურანტიზმის შედეგია ზანგების დისკრიმინაცია ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში. ის ამბავი, რომ ვითომდაც ცივილიზებულ ქვეყანაში ზანგებს განცალკევებული სათავსოები აქვთ მიჩნეული რესტორანებში, სასტუმროებში, ტრამპეაჟებში და თვით წყაროებზედაც, ასეთ წარწერას აკეთებენ: „This seite for white only: „ეს მხარე მხოლოდ თეთრებისათვისაა განკუთვნილი“, სამარცხენოა.

გერმანელი მწერალი პერდერი, რომელიც ჩვენი თანადროულობის თვალსაზრისით არცთუ რადიკალურ მოაზროვნედაა მიჩნეული, თავის შრომაში, „იდეები კაცობრიობის ისტორიის ფილოსოფიისათვის“ ასეთ მოსიყვარულე სიტყვებს მიუძღვნის ზანგს: „მე შეჯანიანი ვარ, მხოლოდ და მხოლოდ პირველყოფილი კაცი. მე ძალოვანად დამდალა სიცოცხლის პირველ სათავემ — მზემ, ყველაფერი, რაც მე გარს მარტყია, ასევე ძლიერად დაუტვიფრავს მას. დახეთ ჩემს მიწას, მოოქროვილი ნაყოფით აღვსილს, დახეთ ცამდის აწვდილ ჩემს ხეებს, ჩემს ძლიერ ცხოველებს. ყველა კავშირი ჰარბი სიცოცხლითაა აღვსილი ჩემს ქვეყანაში და მეც ამიტომ გავხდი სიცოცხლის ქმედობის ცენტრად“.

დიდმა ლენინმა საკადრისი შეფასება მისცა ზანგების დისკრიმინაციას ა. შ. შ.-ში:

„საერთოდ, ზანგების მდგომარეობა ამერიკაში ცივილიზებულ ქვეყნისთვის შეუფერებელი რამ არის. სირცხვილი ამერიკას ზანგების ასეთი მდგომარეობისათვის“ (ვ. ლენინი. ტ. 18, გვ. 509).

ამერიკულ მაშინერიასა და მფრინავ ციხეებზე მეტ საფრთხეს უმზადებს კაცობრიობას ამერიკული ნეოფაშისტური იდეოლოგია, რომელიც წარმოადგენს ევროპული რეაქციის უკუფენას.

ამ უკანასკნელის მთავარი შტაბი იყო ბისმარკისა და მოლტკეს მიერ შექმნილი პრუსიული პოლიციური სახელმწიფო, რომელმაც შეაკოწიწა გერმანიის იმპერია. თავადმა ბისმარკმა თავი ისახელა პოლონეთისა და ელზასის ზალხთა ჩაგვრით, თავისი ცნობილი თეორიით — „სისხლი და რკინა“ და პანგერმანისტული ილუზიებით, რომელნიც ტრამპლინად გაიხადა მანიაკმა ადოლფ ჰიტლერმა.

იგივე ბისმარკი უნდა ჩაითვალოს ვანდალიზმის ფუძემდებლად; საფრანგეთ-გერმანიის ომის დროს ვილჰელმ პირველის სასახლის შიმუწნეარები შემოესივნენ ბისმარკს და შეეკითხნენ: საქმე რომ მისჭირდეს, თავადო, ზარბაზნებს რაიმისის ტაძარს ხომ არ დაუშენთო, „— ალა გერ, კომ ალა გერ, მედამმ“, — „ომში ისევე მოვიტყევიტ, როგორც ომი მოითხოვსო“, — მიუგო ბისმარკმა.

როგორც ვიცით, ბისმარკს არ დასცალდა რაიმისის დანგრევა, მაგრამ გაცოფებული ჰიტლერის შტურმბატალიონებმა არაერთი ბრწყინვალე ძეგლი დალუწეს საფრანგეთსა და ბელგიაში, მათვე შემუსრეს რუსული არქიტექტურის შედეგრები ნოვგოროდში. არც მათ დასცალდათ, თორემ იგივე ბედი მოელოდა მრავალ ბრწყინვალე ძეგლს მთელ ჩვენს კავშირში.

ბისმარკისა და მოლტკეს პანგერმანისტული იდეები ნაყარნახევია გერმანელი ნაციონალისტი ისტორიკოსებისა და ფილოსოფოსების მიერ.

ფაშიზმი სწორედ იქ იწყება, სადაც რომელიმე წინამძღოლი რომელიმე ერისა სხვა ერების ძაგებას მოჰყვება და იმის მტკიცებას შეუდგება, ჩემი ზალხი ყველა ზალხზე უფრო მაღლა დგასო. აქვე იბადება ნიცშესეული „ნებისყოფა

ბატონობისადმი — „დერ ვილდე ცურ მახტ“, ე. ი. სხვაზე გაბატონებისაკენ მიდრეკილი ნებისყოფა, რომელიც თავისთავად თავკიდურია ყოველივე იმპერიალიზმისა და კანონისადმი.

ამავე ნიადაგზე წარმოიშვა გერმანული რასიზმი, „არიელუზმად“ დაყოფა კაცობრიობისა. ფაშისტური იდეოლოგიის გავრცელებას მწერლობაში დიდად შეუწყვეს ხელი ფრიდრიხ ნიცემე, ჰუსტონ ჩემბერლენმა, გრაფ კაიზერლინგმა, ვენელმა „ფსიქოანალიტიკოსმა“ ზიგმუნდ ფროიდმა. არ დაგვავიწყდეს ღონატენ ალფონს ფრანსუა მარკიზ დე სსად, რომელმაც სახელი გაითქვა არა თავისი უნიკო რომანებით „ჟუსტინ“, „ჟიულიენ“ და სხვა. არამედ საკუთარი სხეულისა და თავისი ეროტიული ორგანიზმის ობიექტების წვალებით, რისთვისაც ნაპოლეონ ბონაპარტემ საპყრობილეში ჩააგდო იგი. ამ მარკიზის სახელთან დაკავშირებულია საღიზნო. მისი ღირსეული ორეულია ებრაელი მწერალი ზახერ მახოზ, რომელმაც თავი ისახელა ულტრა-პორნო-გრაფიული მოთხრობებით. ამ უკანასკნელმა წარმოშვა მახოზიზმი.

რეაქციულ-ანარქისტული ინდივიდუალიზმის ლიდერი იყო მაქს შტირნერ, რომელსაც ეკუთვნის ტრაქტატი: „ერთადერთი და მისი საკუთარი საკუთრება“ („დერ აინციგე უნდ ზაინ აიგენტუმ“). ამერიკული სადისტურ-კანონისტიკური ლიტერატურისა და კინოს პროდუქტზე ზეგავლენა მოახდინეს ფრანგმა სიმბოლისტებმა: ბოდლერმა — „ბოროტების ყვაილები“ ავტორმა, არტურ რემპომ, მალარმემ, ფრანგმა რომანისტებმა მირბომ და ანდრე ჟიდმა. ინგლისელმა ესთეტიკოსმა ოსკარ უაილდმა. ესენი იყვნენ აპოლოგეტები სიგივისა, თავის ჩამოხრჩობისა, ჰაშიშით თრობისა, სქესობრივი უტიფრობისა და სხვა. მათ მიერ წამოსროლილი ლოზუნგი „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ მისწვდა ამ უკანასკნელ საუკუნეში ყველა კულტურული ერის მწერლობას. სიკაბუქეში მრავალ თანამედროვეს ჩაგვწყვეტებია ამ აბსურდული თეორიის შხამი. გონებადამჯდარი ადამიანისათვის ეს თეორია ისეთივე უაზრობაა, როგორც ასეთი რამ: ქიმიკოსებმა რომ განაცხადონ ერთ მშვენიერ დღეს — ქიმიკოსებისათვის, ან მათემატიკოსებმა — მათემატიკა მათემატიკოსებისათვის და ა. შ.

უკანასკნელ ათეულ წლებში განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდა ბურჟუაზიული ფრანგი მწერალი ანდრე ჟიდი, ხელმძღვანელი ფრანგული ჟურნალისა: „ლა ნუველ რევიუ ფრანსეზ“.

ლიტერატურულ პროდუქციას თავი რომ დავანებოთ, ზემოხსენებულმა პირებმა მსოფლიო მასშტაბით წაბილწეს მწერლის სახელი და მისი პროფესია. მწერლობა ყოველ დროში და ყოველ ხალხში მიჩნეული იყო მუდამ, როგორც ზნეობრივი სიფაქიზისა და ვაჟაკური სულის რეფლექსი, ამიტომაც განაცხადა დიდმა გოეტემ: უანგარობა — ეგ არის ჩემი შემეცნების უმთავრესი კავშირი.

ერთი წუთით წარმოდგინეთ გოეტეს და შილერის მსოფლმხედველობათა ფონზე (ან მოვიგონოთ შილერის ლექსი: „ყელს მოგეხვევით მილიონებო“, რომელიც საფუძვლად დაედო ბეთჰოვენის ერთ-ერთ სიმფონიას), ანდრე ჟიდის, ნიცმეს, მირაბოს და უაილდის მიერ პერმანენტულად წარმოებული აპოლოგია ავკაცობისა, ზნეობრივი გათახსირებისა, მამათმავლობისა და სქესობრივი აღრევისა.

უზნეო იდეები სარეველა ბალახსა ჰგავანან, თუ წვიმებმა ხელი შეუწყვეს და გამომხშირავე არ გამოუჩნდა ყანებს, ქვეყანას წალეკავს სარეველა ბალახი.

ამ სიავის მწერლობას ნიადაგს უქმნიდა და უქმნის, ევროპისა და ამერიკის კაპიტალისტური ატმოსფერო.

ზიგმუნდ ფროიდის „ფსიქოანალიტიკური“ სისულელებები, რომელთა პერიფრაზაც უხერხულია კეთილად აღზრდალ ადამიანთა წრეში უკრძეხისა და ტაბუს ბნელი ინსტიქტების გამოჩინება თანამედროვე ადამიანის ფსიქიკაში. ფროიდი ფსიქოანალიტიკის თვალსაზრისით ხსნის ჰამლეტის პრობლემას და ევრიბიდეს ტრაგედიის ზოგიერთ საკითხს.

კანბალისტური თეორია უხვ საზრდოს პოულობს გადარეული ნიცშეს ზეკაცის თეორიაში. ეს იყო აპოლოგია უგულო მხეცკაცისა. ამ „ზეკაცებიდან“ გამოჩინქნეს გერმანელი გრუპპენ-ფიურერები და ესესელები. ასეთი გამხეცებული, ვითომდაც ზეკაცების ინკუბატორებია დადგმული ამერიკული კინოს სატახტო ჰოლივუდში, ამერიკული „რიდერს დაიჯესტის“ რედაქციებში. ამავე მიმართულებით მუშაობენ ამერიკელი რომანისტები ჯეიმს ჯონსი და უილინგ ჰემი, რომელთაც საშინელის, ამაზრზენის გამოსახვაში გადაასწრეს ედგარ პოსი და სტივენსონს.

„ნებისყოფა ძალაუფლებისადმი“ და „ბატონკაცური მორალი“ („პერრენმორალ“), რომელიც ვაგიეების პერიოდში იქადაგა ნიცშემ, საფუძვლად დაედო როგორც გერმანელი ფაშისტების, ისე ამერიკელი ნეოფაშისტების პოლიტიკასა და სულიერ ვითარებას. ნიცშემ თავის დროზე აღიარა: ბატონკაცური მორალის იდეები მაშინ ჩამესახა, როცა პრუსიკების პოლკები ვნახეო, 1871 წლის ფრანგ-გერმანელთა ომში მიმავალნი. ანდრე ჟიდსა და ნიცშეს აერთებს ავადმყოფური ეგოცენტრიზმი. ნიცშეს თავის „ექვე ღმომში“ მთელი თავი აქვს ასეთი სათაურით: „იმის შესახებ, თუ რატომ ვარ მე ასე ჭკვიანი“. ერთ ადგილას იგი ასეთი კალამბურის ნებას აძლევს თავის თავს: „ჭრისტეს რომ ჩემოდენი ეცხოვრა, ჩემსავით ჭკვიანი იქნებოდა“. თავის ზარატუსტრას პირობ ნიცშე აცხადებს: „ადამიანისადმი სიყვარული მომკლავდა მე“.

ამ მიზანტროპიას ჰქადაგებდა საფრანგეთში ანდრე ჟიდი, რომელიც უპრინციპობის, მოღალატეობის, ამორალიზმის აპოლოგეტად გამოდიოდა ამ უქანასკნელ; ნახევარი საუკუნის მანძილზე ევროპის მწერლობასა და პრესაში.

„კაცთმოყვარეობა არასოდეს ყოფილა ჩემი საქმე... ჩვენ გვარწმუნებენ. რომ ეგოიზმისაგან ხსნის ერთადერთი საშუალებაა, მასზე უფრო საზიზღარობამ, — ე. ი. ალტრუიზმი, კაცთმოყვარეობა“, წერს იგი.

ანდრე ჟიდი მოექცა მეორე, ნიცშესავით აგრესული ფილოსოფოსის შობენჭაუერის ზეგაუღენის ქვეშ. ცნობილია, რომ არტურ შობენჭაუერი ხელოვნებას თვლიდა, როგორც „ნებისყოფას, ცხოვრების უარყოფისაკენ მიდრეკილს“.

ჟიდი ებიჯონური მორჩილებით ათქმევინებს ამავე აზრს თავის ერთ-ერთ გამირს: „კულტურა ჰკლავს სიცოცხლეს“.

თავისთავად გასაგებია: ნიცშესა და ჟიდის გზაზე თუ წავიდა კაცობრიული კულტურა, იგი უცილოდ მოჰკლავს ცხოვრებას.

თავისი ამორალისტური ქადაგებანი პრაქტიკულადაც გაამართლა ანდრე ჟიდმა ისეთ მძიმე წლებში, როცა ავადსახსენებელი ადოლფ ჰიტლერის შტურმ-ბატალიონები თავს დაესხნენ საფრანგეთს. ნაცვლად იმისა, რომ ასეთ განსაცდელის ეპოს საკუთარ ხალხს წინ წასძლოლოდა, აფრიკაში გაიქცა და სანტიმენტალური დღიურების წერა დაიწყო; გულმოდგინედ ამტკიცებდა: პატრიოტიზმის გრძნობა ისევე წარმატალიაო, როგორც სხვა ადამიანური ვნებები.

ბალზაკმა უცნაური წინათქმის უნარი გამოიჩინა თავის დროზე, გაყიდუ-

ლი ჟურნალისტების, ფულის, სახელისა და კარიერისათვის გაწეული მწერლების პორტრეტები ისეთი სიძლიერით დახატა, ბევრი თანამედროვე ევროპელი და ამერიკელი ჟურნალისტი და მწერალი თავის საკუთარ თავს იცნობს უეჭველად მათში.

„ფულმა გარყვნა ჟურნალისტი ემილ ბლონდე, გაყიდული კალმოსანი, რომელიც თავის კალამს და სინიდისს სიამოვნებით მიჰყიდის ყოველ გამვლულს. იგი მომხიბვლელ კურტიზანს გვაგონებს“. ასეთი მწერლების გამო ბალზაკი წერს: „მათ დიაკური ქომები უფრო მოუხდებოდათ ფეხებზე, ვიდრე ვაჟაკური წალები“. „ლიტერატურის ქვედა ფენებში მწერლობა საყოველთაო მებაღეა, შუათანაში უბრალო კოკოტა, ჟურნალიზმის საროსკიპოდან გამოსული, ზოლო სახელმძღვანელო დიდ ლიტერატურაში — ბრწყინვალე და თავხედი როსკიპი. დადგება დრო, როცა გაზიჟები ლალატის, გაიძვერობის და სიცრუის არენად იქცევა“. ამასაც იგივე ბალზაკი წერდა გასულ საუკუნეში. მაგრამ ზოგიერთ ამერიკელ და ევროპელ ჟურნალისტს კეფაში ზედება ეს სიტყვები დღესაც. ემილ ზოლა და მთელი პლუადა რეალისტი მწერლებისა მე-19 ს. იბრძოდნენ ადამიანის ბუნებიდან მზეციის გაძევებისათვის. როგორც ანდრე ჟიდი და სელინი, ისე ამერიკელი ზოგიერთი რომანისტი და კინოფილმის სცენარისტები უმღერიან ადამიანის ბუნებაში მზეციის გალვიძებას.

ეს ბუღბუღები ისე გალობენ, როგორც მათი პატრონები — ჰარიშანები, მორგანები, მელონები და სხვა ამერიკელი მილიარდერები უკარნახებენ.

დეტექტიური რომანისტიკისა და კინოს აღმავლობა ამერიკაში — ეს საშინელის, შემზარავის ხაზგასმა, მკვლელობის, მოხრჩობის, სადიზმის აპოლოგია ამერიკულ მწერლობასა და კინოფილმებში ნიციშეს, ანდრე ჟიდის, მარკიზ დე სადის რეაქციული აზროვნების უკუფენაა. ამ მომენტით სარგებლობს ამერიკული ჰოლივუდი და შერლოკჰოლმსური ლიტერატურის გამოიმცემელთა მთელი ზროვა. ამავე სათავეებიდან გამომდინარეობს სენსაციური ბუნება ამერიკის უახლესი ლიტერატურისა და კინოსი.

ახალმა ამერიკამ დაივიწყა, ჰუმანისტური ტრადიციები შესანიშნავი ამერიკელი მწერლების — ლონგფელოსის და ბიჩერ სტოუსის; ჰაიავატას სიმღერას და „ბიძია თომას ქოხს“ რომელი ჩვენთაგანის გულში არ აღუძრავს სათნოებით მოსილი სიყვარული ბედისაგან განწირული ფერადკანიანი თანამოქმედების მიმართ. ჩვენს ეპოქაში უთუოდ დიდი ფაქტორია კინო, მაგრამ მას თავისი ადგილი აქვს ხელოვნებათა და დამხმარე ხელოვნებათა იერარქიაში. ნორმალურ კულტურულ ვითარებაში მწერლობის დომინანტა არსებობდა მუდამ. მისი ზეგავლენის სფეროებში შედიოდნენ თეატრი, მხატვრობა და მუსიკა. ბიზე, ვერდი, ვაგნერი, ჩაიკოვსკი და შემანი მწერლობის ინსპირაციებს იღებდნენ სახელმძღვანელოდ. თანამედროვე კინო და თეატრიც ლიტერატურის დომინიონებია და არა მეტროპოლიები. ამერიკული მწერლობის სიძაბუნის ბრაღია, კინოს ზეგავლენის ქვეშ რომ მოექცა იგი. ამერიკულმა ჰოლივუდმა გამრყენელი ზეგავლენა მოახდინა ამერიკულ ლიტერატურაზე, და არა მარტო ამერიკულზე.

სქემატიზმი მიუცილებელი ფაქტორია კინოში, მაგრამ მწერლობაში იგი დამლუპველია. იგივე ითქმის სენსაციურობის გამოც. სენსაცია ერთ-ერთი კომპონენტია კინოფილმისა, მაგრამ სენსაციურ ეფექტებს იწვევენ მხოლოდ ისეთი ქმნილებები, რომელნიც წამიერად ვაიშხუილებენ ხოლმე ლიტერატურის ცარგვალზე და ასეთივე სისწრაფითვე ჰქრებიან.

რეკლამას, თვითრეკლამას და სენსაციას დახარბებული მწერალი, ან სხვა

რომელიმე ხელოვანი, საკუთარ სულმოკლეობასა და შემოქმედებითს უძლეობას ამელავენებს მხოლოდ და ეს გრძნობები იმიტომაც აღეძვრის მას, თავად არ სჯერა თავის ქმნილებათა გამძლეობისა. ქებას დახარბებულ ხელოვანს არი რამ აწუხებს: სულიერი სიცალიერე და დაეკვება საკუთარი ტალანტების მიმართ... ამით აიხსნება ამერიკელი მწერლების გატაცება სენსაციითა და რეკლამით, ნიღაბებით რბენა ქუჩებში და ისეთი ყომარბაზობა, როგორსაც სწადიოდნენ ამ 30 წლის წინათ ჩვენი ფუტურისტები, რომელნიც როიალებს ჰერზე ჰკიდებდნენ და ქალის ლიფს გადაიკვამდნენ ხოლმე.

ამერიკული კინოს უარყოფილი ზეგავლენის ნაყოფია „ამერიკული დებე-შური სტილი“. ლაპიდარობა ნოველაში და სცენაში დიხხაც საჭიროა, მაგრამ ეპიკური ქმნილებებისათვის, განსაკუთრებით რომანისათვის, იგი მომაკვდინებელია. იმიტომაც ვერ დასწერა ჰემინგუემ ნამდვილი რომანი, სწორედ იმიტომაც საკითხავადაც აუტანელია ზოგიერთი ამერიკული დეტექტიური რომანი, არც ამერიკული სტენიზები იკითხება დიდი ხალისით.

ამერიკული კინო უმიზნებს უკულტურო მაცურებელთა მასებს, რომელთაც მხოლოდ სენსაცია აღელვებს. ცნობილია: ყოველი სულიერად გამოფიტული ადამიანი სენსაციას დახარბებულია. ამერიკელ რომანისტებსა და პოლიუდის სცენარისტებს დავალებული აქვთ, ადამიტური, ფროიდის ენით რომ ვთქვათ, „ფსიქონალიტური“ საწყისების გაღვივება. რომის იმპერატორები უფრო მცირე მასშტაბით აკეთებდნენ იგივეს. ვიდრე ომებში წაასხამდნენ ხალხებს, მათ კოლინუეში თავს მოუყრიდნენ და აჩვენებდნენ ლომების მიერ დაგლეჯილ გლადიატორებს. ამერიკული ბიზნესმენები მწერლობისა და კინოსაგან მოითხოვენ ამორალიზმის, მიზანტროპიის ჩანერგვას ახალი თაობის გულში. ამგვარად, პარმიანებს, მორგანებს და ფორდებს და მათ მთავრობას უმზადებდნენ კორეაში, ან სხვა ქვეყნებში, გასაგზავნ კაცისმკვლელების კადრებს. პოლიუდის გაყიდული მწერლები და სცენარისტები უცნაურად გვაგონებენ იმ ფრანგ ჟურნალისტებსა და მწერლებს, რომელთა გამო ბალზაკი ოხუნჯობდა: მათ დიაცის ქოშები უფრო დამშვენდებათ, ვიდრე მამაკაცის წალები...

როდესაც ლიტერატურას სენსაციები და ექსტრაეგანტური მისტიფიკაციები დასჭირდება, ეს ჩვენ გვაგონებს იმ კუქმოშლილ ღორმუცელებს, რომელთაც აპერატივი თუ არ დალიეს, ჭამა არ შეუძლიათ.

ეს ამერიკული დეტექტიური რომანები და „მორდერ მისტერი-სტორი“-ს სერიის ფილმები, ეს ტარზანომანია და მაიმუნების აპოლოგია, ყოველივე მომასწავებელია იმისა, რომ თვით ამერიკული სახელმწიფო დაინტერესებულია ხელოვნურად ჩაუნერგოს ამერიკელ ხალხს კანიბალისტური ვნებები, რათა ამ გზით თავისი ბნელი საქმეები აკეთოს ევროპასა და აზიაში.

მწერლები შუა საუკუნეებში არსებითად მეფეების, პაპების და თავადების ნასუფრალით იკვებებოდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დანტე, სერვანტესი, გოტე, მუდამ ახერხებდნენ კეთილშობილი იდეებისათვის ლაშქრობას. ამასწინათ პრესაში გამოქვეყნდა ინგლისელი მწერლების—ჯეკ ლინდსეისა და პატრიკ ჰოლდრინგის ფრიალ დამაფიქრებელი წერილები. ლინდსეი პირდაპირ აღიარებს: ამერიკული მწერლობისა და კინოს ზეგავლენისაგან უდიდესი საფრთხე მოელის ჩვენს კულტურას; იღუპება ტრადიციები ჩოსერისა და შექსპირისა, მილტონის და შელისა.

ჰოლდრინგი ილაშქრებს ამერიკული ე. წ. „კომიკის“ ბროშურების და ამერიკული ჟურნალის „რიდენს დაიჯესტის“ გამხრწნელ ზეგავლენათა წინააღ-

მდეგ. ჩატამში ბავშვმა რევოლუციით მოკლა პოლიციელი, დამნაშავეს „კომისიის“ ბროშურა უპოვნეს ჯიბეში. ინგლისელ მწერალთა გაერთიანება, რომელშიაც შედიან ისეთი ცნობილი მწერლები, როგორიც არიან: ჯეიმს ჯარლიჯი, ა. კოპპარდ. მიჩისონ და სხვანი, მოითხოვენ, აიკრძალოს ამგვარ მხატვრები კომიქსის სერიისა. ამერიკული კინოს და მწერლობის ასეთი პროდუქციების იმპორტის აღკვეთას მოითხოვენ ინგლისელ ქალთა საზოგადოებანი, მასწავლებელთა კორპორაციები და პარლამენტის წევრები.

უკანასკნელი ორი-სამი ათასეული წლის მანძილზე აღსანიშნავია ორი კარდინალური ტენდენცია კაცობრიობის ისტორიაში: აღმოცენება დიდი იმპერიალისტური კონგლომერატებისა და მათი რღვევა. ამ კონგლომერატების ძალით შეკოწიწების საფუძველი იყო მცირერიცხოვანი ერების გასრევა და, სადაც ეს ვერ ხერხდება, ეს უკანასკნლი ხელმარჯვე დროს უყენებდნენ მჩაგვრელებს და ცენტრისაგან განტოლვილი ენერგია კვლავ ახერხებდა მათ დარღვევას, მათ დაშლას. მაგალითისათვის კმარა დავასახელოთ იმპერია ალექსანდრე მაკედონელისა, იმპერიები რომისა და ბიზანტიისა, იმპერია კარლოს დიდისა, იმპერიები შეროვინგებისა და კაროლინგებისა, ანაციონალური სახელმწიფო — შეროვ რომის იმპერია გერმანული ნაციისა, ნაპოლეონ ბონაპარტეს იმპერია, იმპერიები შავსბურგებისა, იმპერიები შოპენცოლერებისა და რომანოვებისა.

ამათ პარალელურად წინააზიამიც ხდებოდა დიდი ნაციონალური კონგლომერატების აღდგენისა და რღვევის პროცესები. მოვიგონოთ იმპერიები სასანიდებისა და ლაზნევიდებისა შრანში, არაბთა დიდი ხალიფატი, სელჯუქიანთა უზარმაზარი სასულტანო, მონღოლთა მსოფლიო სახელმწიფო, ბოლოს ოტომანი თურქების იმპერია.

ჩვენს თაობებს ჰქონდა ბედნიერება საკუთარი თვალთ ეხილა განადგურება შავსბურგებისა და შოპენცოლერების იმპერიებისა და ოქტომბრის დიდი რევოლუციის მიერ დარღვევა რომანოვების იმპერიისა, დაშლა და დაქუცმაცება ოტომანთა ბარბაროსული სახელმწიფოსი.

კაცობრიული პროგრესის მსვლელობასთან ერთად მე-19 და მე-20 საუკუნეებში ძლიერდებოდა ეროვნული ენერგია მცირერიცხოვანი ერებისა. დიდი ბრიტანეთის იმპერიას გამოეცალა ირლანდია, ავსტრიას — უნგრეთი, ბოსნია, კროატეთი. სერბია და ჰერცეგოვინა, ოსმალეთს — საბერძნეთი, ბულგარეთი. ალბანეთი და რუმინეთი. ლენინის და სტალინის ბრძნულმა ნაციონალურმა პოლიტიკამ კვლავ აღუდგინა ნაციონალური სახელმწიფონი იმ ეჭებს, რომელთა სახელი ამოშლილი იყო მსოფლიოს რუკებიდან.

მცირერიცხოვანი ერებისა და მათი კულტურების აღორძინების და მკვდრეთით აღდგენის ამ ახალ ეტაპზე ატლანტიის ოკეანის გადაღმა ძლიერდება ახალი იმპერიალისტური კონგლომერატი, რომელსაც არსებითად არც კი ჰქონია ჩვენი გაგების ნაციონალური ისტორია, საკუთარი კულტურის დასაცველად წარმოებული ბრძოლებით განმტკიცებული. უჩვეულო მაშინერიით აღჭურვილ ამ იმპერიალისტურ გაერთიანებას სწავია ორი რამ: ააღორძინოს აგონიის ზღურბლთან მოსული მსოფლიო კაპიტალიზმი, გათქვიფოს და აბსორბირება უყოს არა მარტო მცირერიცხოვან ეროვნულ ერთეულებს, არამედ იგი გადანთქვას უპირებს ძველი კულტურის ისეთ სახელმწიფოებს, როგორცაა საფრანგეთი, გერმანია და იტალია. ამ ანაციონალურ გაერთიანებას — ჩრდილოამერიკულ უნიონს, უკვე აღარ აკმაყოფილებს მონროეს დოქტრინა, იგი

ცდილობს, ატლანტიკის პაქტის მეშვეობით პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა წააგლიჯოს ევროპის სახელმწიფოებს.

ამას წინათ საბჭოურ პრესაში გამოქვეყნდა სავსებით უაღმარებელი ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ აპაშულებენ საფრანგეთის შესაძლებელია ზალხს ამერიკული ჟურნალის „ლაიფის“ მკვლავნელები. „ქუჩის მეძავს“ უწოდებენ ეს გათავებდებული რეპორტიორები საფრანგეთს, რომელმაც კაცობრიობას მისცა უბრწყინვალესი ლიტერატურა, ასეთივე მხატვრობა, მუსიკა და ხელოვნება. ამას უბედავენ საფრანგეთს, გამირობითა და პატრიოტიზმით აღვზნებული ნაციონალური ისტორიის პატრონს. ასეთი ქედმაღლური შეყვირება აკადრეს ისეთ ქვეყანას, რომლის კულტურის ექსპონატები, ლუვრის ან ვერსალის მუზეუმის რომელიმე დარბაზში მოთავსებული, მთლად აიწონის ჩრდილო ამერიკის მთელ ცივილიზაციას.

მსოფლიო ისტორია იმის მოწმეა, რომ ყოველი ტირანი, ყოველი სახელმწიფო, რომელიც ოდესმე წაპოტინებია მსოფლიო ჰეგემონიას, უცილოდ დაღუპულა ბოლოს და ბოლოს.

ჩვენს საუკუნეში ისე ძლიერია და კონსოლიდებული კეთილი ნება მშვიდობის მოსურნე ზალხთა და ისე შეუმუსვრელია ეროვნული ინდივიდუალობის შერჩენის უნარი ერთა შორის, რომ ამოდ დაშვრებიან ომის გამჩალებელი კანიბალები. ამერიკელებს თავი მოაქვთ თავიანთი მრავალმილიონიანი ქალაქებით, მრავალტონიანი მანქანებით და მრავალსართულიანი „ბილდინგებით“ — ქორედ — ქორედებით, განსაკუთრებით „უელვორსის ბილდინგით“.

ამას წინათ ერთი იანკი ჟურნალისტის ტრაბახი გადავიკითხე: ესა და ეს ბილდინგი 792 ფუტისა და ერთი წყრთის სიმაღლეაო. 206 მილიონ ტონას იწონისო იგი. მის საერთო ფართობი — არეალ 70 ინგლისურ ეკრს, ან ქეცევას უდრისო, 80.000 ელნათურა ინთებაო ამ სახლში, ორმოცდა სამი ინგლისურ მილის სიგრძე მილებიაო მასში გაყვანილი. 2 მილის სიგრძე ლიფტებია ამ ბილდინგში მოწყობილი, ერთ ნახევარ ეკრის სიფართოვე ფანჯრებია ამ ქორედში ჩასმული, და ა. შ.

ძველი საბერძნეთის სატანტო ქალაქი ათენი ეულვორსის ბილდინგის ფართობზე დაეტეოდა უთუოდ, მაგრამ, როგორც ცნობილია, ჰომეროსი და ფილისი, პლატონი და არისტოტელე ჩრდ. ამერიკაში არ დაბადებულან. შესაძლოა არც ჩვენში მოიპოვებოდეს ისეთი სახლები, რომელნიც 206.000.000 ტონას იწონიან, სმაგიეროდ, არც ლევ ტოლსტოის რომანები დაწერილა ამერიკაში, არც რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. არც ტარას შევჩენკოს პოემები და ზაქარია ფალიაშვილის ოპერები. არც ისეთი არქიტექტურა შეუქმნიათ ჩრდ. ამერიკაში, რომელიც ოდნავ მაინც წააგავდეს მცხეთის სვეტიცხოველს, ვასილი ნეტარის ტაძარს, კიევის სოფიას, ან ეჩმიაძინის რომელიმე ტაძარს.

არასოდეს არც ერთ საუკუნეში ევროპისა და ამერიკის პრემიერსა და არც ერთ სახელმწიფო მოღვაწეს არ წამოცდენია ისეთი კეთილშობილი და ღრმად გააზრებული სიტყვები, როგორიც უთხრა დიდმა სტალინმა ფინეთის დელეგაციას მოსკოვში მკირერიცხოვან ერთა და მრავალრიცხოვან ერების თანასწორუფლებიანობის შესახებ.

ჩვენ ეს სიტყვები იმედს გვინერგავენ, რომ პროგრესული კაცობრიობა არ წავა კანიბალიზმის ბნელ ორწოხებისაკენ, არამედ იგი მიჰყვება იმ ნათელ გზას, რომელიც დაუსახა მას ზალხთა შორის მშვიდობის დიდმა მედროშემ. ი. სტალინმა.

ნიჰამი და საქართველო

ბარდაცვალებიდან 750 წლისთავის ბაშო



ნიჰამი ცხოვრობდა დაახლოებით 1141 — 1203 წლებში, ქალაქ განჯაში. განჯა იმ დროს მსხვილი სავაჭრო ქალაქი იყო. ნიჰამის ოჯახი ეკუთვნოდა ქალაქის ინტელიგენციის მოწინავე ნაწილს. ცნობილი მემკვიდრე დოვლეთშაჰი (XV ს.) თავის „თეზქერეში“ არანაკლები პატივისცემით იხსენიებს ნიჰამის ძმას: „შეიხი (ე. ი. ნიჰამი) იყო ყავამი მოთარზის ძმა, რომელიც პოეტებში ოსტატად ითვლებოდა და ყასიდებს თხზავდა“. ნიჰამიმ, როგორც ეს მისი ნაწარმოებებიდან ჩანს, მიიღო ბრწყინვალე განათლება: კარგად იცნობდა ზუსტ მეცნიერებას, მედიცინას, ფილოსოფიას, იცოდა ენები. არსებობს მოსაზრება, თითქოს მან იცოდა ქართული ენაც. ერთი კი უდავო ფაქტია: საქართველო წარმოადგენდა უახლოეს მეგობრულად განწყობილ ქრისტიანულ ქვეყანას, ხოლო ნიჰამი ამეღვანებს ქრისტიანული სამყაროს საოცარ ნაცნობობას. უკვე აღრეულ ლირიკულ ლექსებში გვხვდება ქრისტიანული სახელები და სახეები. ერთ მეტად საინტერესო ლაზელში „ხარაბათისკენ გავსწიე წუხელ“, ნიჰამი აღწერს პოეტებისა და რაინდების უბანს განჯაში, სადაც უფლება აქვს მივიღეს ყოველ ადამიანს, ჭეშმარიტ ადამიანს, განურჩევლად ეროვნებისა თუ სარწმუნოებისა (ეს იმ შუასაუკუნეებში!):

„ყოველი მხრიდან ესწრებიან აქ — გიაური და არმენიელი, მართლმორწმუნე ქრისტიანი და იუდეველი“...

ერთ-ერთ ყასიდაში ის ურჩევს თავის თავს, მოიქცეს ქრისტესავით, — მიატოვოს ეს ქვეყანა, და ა. შ.

ნიჰამისათვის დამახასიათებელია ეპიკური ჟანრი. ამდენად, ამ სფეროში უფრო უხვი დეტალები გვხვდება. უკვე პირველ პოემაში განთქმული „ხამსედან“ („ხუთეული“) — „მაზნან-ულ-ას-რარში“ („საიდუმლოებათა საგანძფრი“) ნიჰამი გაკვირვებით ახსენებს საქართველოს: წინასიტყვაობაში ის აღიღებს ბაჰრამ-შაჰს, რისთვისაც მას მიაწერს არჩადენილ გმირობებს და უწოდებს „რუმისა და აბხაზეთის დამპყრობს“. ეს, როგორც ჩანს, უმაღლეს ქებას წარმოადგენდა.

უფრო საინტერესოა ამ მხრივ ნიჰამის მეორე პოემა — „ხოსროვი და შირინი“. რადგან პოემის დაწერის თარიღს გარკვეული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, განვიხილოთ ეს საკითხი უფრო დაწვრილებით. საერთოდ მიღებული თარიღია 1180 — 1186 წელი, რაზედაც თითქოს თვით პოეტი მიუთითებს პოემის დასასრულს:

განვლო 570 წლიდან ექვსმა წელმა (ე. ი. 576 = 1181 წ.).

არ დაუსვამს არავის ლამაზების სახეზე ასეთი ხალი...

ყველაფერი გარკვეული იქნებოდა, საქმე აღმოსავლურ ტექსტთან რომ არ გვექონოდა. საქმე ისაა, რომ ამ ბეითს აქვს ვარიანტები, რომლებიც სულ სხვა თარიღს იძლევა. ერთ-ერთი მოაქვს ვ. ბახერს: ^{გარკვეული} ^{ლიტონიკა} 1.

„გავიდა 570 წლიდან ერთი წელი“ (ე. ი. 571 = 1176 წ.)² აქედან გამომდინარე, ვ. ბახერი ათარიღებს ამ პოემას 1176 წლით. მაგრამ ეს თარიღი გამორიცხულია ისტორიულად: პოემა მიძღვნილია ერასუს სელჯუკის თორრიღისადმი (1177 — 1194) და სხვა, უფრო გვიან მცხოვრები პირებისადმი. მეორე ვარიანტი გვაქვს ნიზამის „ხამსეს“ ლითოგრაფიულ გამოცემაში (თეირანი, 1314 წ. პიჯრით).

„გავიდა ხუთასი და ორმოცდაათი და ოცდაათი წელი“ (ე. ი. 580 = 1186 წ.).

წინასიტყვაობის ავტორი ამ თარიღს ამაგრებს იმ ისტორიული პირების ხსენების ფაქტით ნიზამის პოემაში, რომლებიც ამ წლებს უკავშირდებიან (მაგ., შამს-ედ-დინ მუჰამედის გარდაცვალების აღწერა: გარდაიცვალა 1186 წ.; მისი ძმის ყიზილ-არსლანის ტახტზე ასვლის აღწერა: ტახტზე ავიდა 1186 წ., და სხვ.). ამრიგად, ყოველივე ამის გათვალისწინების შემდეგ არც თუ ისე სამართლიანი ჩანს პროფ. ვ. ბერტელსისა და სხვების კატეგორიული მტკიცება: ნიზამიმ ეს პოემა დაიწყო და დაამთავრა 1180 წელსო, ნიზამის შეკვეთა მოუვიდა ამ წელს, მაგრამ პოემის დამთავრება, ჩვენი აზრით, 1186 წლისთვის უნდა ვივარაუდოთ.

პოემის დასაწყისში, შამს-ედ-დინ მუჰამედის შექების დროს, ნიზამი იმავე ხერხს მიმართავს, რაც წინა პოემაში გვექონდა:

„მისი სანაღირო ადგილებია აბხაზეთი² და დერბენდი,

ლაშქრობების კი — ხორეზმი და სამარყანდი“.

როგორც ჩანს, საქართველო განთქმული იყო თავისი სიმდიდრითა და სიმძლავრით.

მეორედ საქართველო იხსენიება შაფურისა და ზოსროვის დიპლომაში. შაფური უყვება მეფეს, რომ არანიდან არმენიამდე მეფობს ვილაც მეფური შთამომავლობის ქალი, შამირა, რომელსაც სიდიადის გამო ტიტულად აქვს „მეჰინ-ბანუ“ (დიდი ქალბატონი). საინტერესოა, რომ ნიზამი ხაზს უსვამს, შამირას აქვსო ყოველივე, გარდა ტახტისა და გვირგვინისა. შემდეგ აღწერილია მისი მოგზაურობა კავკასიის სხვადასხვა ადგილში, მათ შორის, საქართველოში.

ამ შამირას ჰყავს მხოლოდ ძმისწული შირინი, სილამაზით ლეილას მჯობი... ამ ნაწყვეტის ქართულ სინამდვილესთან კავშირის შესახებ ბევრი დაწერილია. ამ ფაქტის უარყოფა მარცხით დამთავრდა. მართლაც, ქართული ისტორიული ვითარების გათვალისწინება ნათელს ჰფენს ნიზამის პოემის ბევრ დეტალს. თამარი გამოცხადებულია ტახტის მემკვიდრედ უკვე 1178 წელს და ნიზამის არ შეეძლო არ სცოდნოდა ეს არაჩვეულებრივი მოვლენა იმ დროისათვის. ამრიგად, თუნდაც რომ ნიზამის თავისი პოემა 1180 წელს დაეწერა, ამ მომენტის აღწერა მასთან სრულიად ბუნებრივია. 1184 წელს თამარი ოფიციალურად აღის ტახტზე, ნიზამიმ კი თავისი პოემა, როგორც ვფიქრობთ, 1186 წელს დაასრულა. პოემაში არის აღწერა იმ მომენტისა, როდესაც შა-

¹ „ნიზამის ცხოვრება და შემოქმედება“... 1871 წ.

² აქაც და შემდეგშიც, ნიზამისთან, ისევე როგორც სხვა იმდროინდელ ისტორიკოსებთან, აფხაზეთი უღბის საქართველოს.

მირა კვდება და ტახტზე ადის შირინი. თამარს ზრდის მამიდა რუსულადანი, რომელსაც ქართველი ისტორიკოსი „შამირამეთს“ უწოდებს (ე. ი. შამირამის, ლეგენდარული სემირამიდას შთამომავალი).

განა შემთხვევით ემთხვევა ეს ეპითეტი ნიჰამის გმირისსა და განა შემთხვევით უკვირს ნიჰამის გამომცემელსა და კომენდატორს ვაჰიდ დასთვერდის, რატომღა ლექსიკონებში ეს სახელი „სინით“, ნიჰამისთან კი „შინითო“? და საერთოდ, რაში სჭირდებოდა ნიჰამის ამ აღმზრდელი — მამიდის შეყვანა პოემაში? არც ერთ წინა ვერსიებში თუ ლეგენდებში შირინის შესახებ ის არ იხსენიება და არც მოქმედების განვითარებისთვის აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. შემდეგ: რა უშლიდა მას დაესვა შამირა ტახტზე? რატომ უსვამს ის ხაზს, რომ მას არა აქვს სწორედ ტახტი და გვირგვინი (ისევე როგორც რუსულადან?). ყოველივე ამას მოითხოვდა საქართველოს ის ისტორიული სინამდვილე, რომლის ანარეკლსაც წარმოადგენს განხილული ნაწყვეტი. რასაკვირველია, არავინ ფიქრობს იმის მტკიცებას, თითქოს შამირა ან შირინი ქართველებია! ნიჰამი უდიდესი პატრიოტია თავისი ხალხის, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას არ შეეძლო გამოეყენებინა თავისი მიზნებისათვის ის საინტერესო სიტუაცია, რომელსაც ადგილი ჰქონდა სწორედ იმ წლებში მეზობელ მოკავშირე საქართველოში. ამ დასკვნასთან მივყავართ როგორც ისტორიულ, ისე ლიტერატურულ ფაქტებს. მხოლოდ ამ ასპექტში იქნება გასაგები, თუ რატომ ემთხვევა ასე საოცრად მისი შეფასება ქალისა რუსთველისეულს:

„მრავალია ნაზი ქალი, რომელიც ლომივით ვაჟკაცია“.

პოემის ბოლოს ნიჰამი აღწერს, თუ როგორ მიიღო საჩუქრად სოფელი ჰამდუნთან. ერთ-ერთმა მოშურანემ შენიშნა, ეს რა სოფელი მიგიღიაო:

„არა აქვს შემოსავალი, ხარჯი კი ქისის დამცლელია.

მისი სანახების მონაწილეა აბხაზთა სამეფო“.

ეს პატარა ციტატი მრავლის მთქმელია: რამდენად ღია იყო იმდროინდელი საზღვრები და რა მძიმე მდგომარეობას უქმნიდა ეს მოსახლეობას; რა კარგად იცოდა ნიჰამიმ არა მარტო ის, თუ რა ხდებოდა დიდ ქალაქებში, სასახლეებში, არამედ ისიც, თუ როგორ ცხოვრობდა ყრუ სოფლებში მდაბიო ხალხი...

თავისი უკანასკნელი, ყოველ მხრივ მეტად საინტერესო პოემის „ისქანდერნამეს“ წერა ნიჰამიმ დაიწყო 1196 წელს. საინტერესოა ეს პოემა, კერძოდ, ჩვენი თვალსაზრისითაც, რადგან აქ რამდენჯერმე და საკმაოდ დაწერილებითაა აღწერილი საქართველო, მისი გეოგრაფიული პუნქტები და პოლიტიკური მოღვაწენი. უნდა აღინიშნოს, რომ ნიჰამისავე სიტყვით, პოემაზე მუშაობისას მან გამოიყენა აგრეთვე რაღაც ქრისტიანული წყაროები. პროფ. დ. კობიძის სამართლიანი თქმით, „ნიჰამის ეპოქის შესწავლასთან ერთად შესწავლილი უნდა იქნეს როგორც ისტორიული, ისე ფოლკლორული და ლიტერატურული წყაროები, რომელთაც იყენებს ნიჰამი თავის ნაწარმოებთა შეთხზვის დროს, ამ ნაწარმოებთა აღნიშნულ წყაროებთან დამოკიდებულების გარკვევის თვალსაზრისით“¹. ცხადია, პირველ რიგში ეს ქართულ წყაროებს ეხება.

პირველად საქართველო იხსენიება მაშინ, როდესაც ისქანდერი (ალექსანდრე მაკედონელი) დაამარცხებს დარიოსს და გაემართება ქააბას დასათვალი-

¹ დ. კობიძე, ნიჰამის პოეტური აზროვნების თავისებურებანი „ლიტერატურული საქართველო“, 1940, № 15.

ერებლად. აქ მას მიეჭრება აზერბაიჯანის ელჩი და წარუდგენს გარკვეულ საჩივარს, სადაც საქართველოზეა ლაპარაკი: საქართველოში ერთი გმირია მაღალი შთამომავლობის, რომელიც როსტომის ბრძოლებს არც კი იხსენიებს; დღეა სახელია ამ გმირი მხედრისა, მძვინვარე ლომის ტანიდან თანმას ამოჭრის...

ამ ნაწყვეტში საყურადღებოა სიტყვა „ქორდ“. რადგან ხელნაწერებში „ქ“ და „გ“ არ განსხვავდება და, ამევე დროს, გვაქვს პარალელი როსტომთან, ჩვენ წაევიკითხეთ ის, როგორც „გორდი“ (გმირი). დაუშვებლად მიგვაჩნია პროფ. ბერტელსის თარგმანი, სადაც მოცემულია „Курд“¹.

„ქურთი“ აქ არაფერ შუაშია. მაგრამ შეიძლება ეს „ქორდ“ „ქართველ“-საც ნიშნავდეს, რაც გვაფიქრებინა XIV ს. ისტორიკოსის კალკაშანდის ცნობამ: „პირველია სახელმწიფო გურჯისა მართლმადიდებელ ქრისტიანთაგან; ამბობს „თა-რიფში“ და იწოდება მუსლიმანებში „ქურდ“ და ქრისტიანებში „ქურჯ“ და დედაქალაქი მისი თბილისი...“².

პროფ. გ. წერეთელი თავის ლექსიკონში ასე განმარტავს ამ სიტყვას: „1) ქურთები, 2) ქართველები (ტერმინი, რომელსაც ხმარობდნენ გარკვეულ ეპოქაში მუსლიმანები ქართველების აღსანიშნავად)“³.

ოღონდ გასარკვევია, ექნებოდა თუ არა ამ ამბავს ადგილი XII საუკუნეშიც. მაშინ ზემოთმოტანილი ადგილი გადაითარგმნებოდა: „არის ერთი ქართველი“... და ა. შ.

ისქანდერი გაემართება საქართველოსაკენ, სადაც მას მეგობრულად დახვდება მელიქი დღეა. რომ აქ მართლაც საქართველოზეა ლაპარაკი, მოწმობს შემდეგი ადგილი:

ასე უთხრა შვილს მოხეცმა დეჰყანმა,
რომ თბილისმა მისგან მიიღო აღშენება:
იმ სამოთხესავეით მორთულ ქვეყანაში
დღედაღამ სიკეთის თესლს თესდა...

კიდევ რამდენჯერმე იხსენიება პოემაში ეს მელიქი დღეა. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა მან ისქანდერის ლაშქრობაში ჩრდილო ტომების წინააღმდეგ. ნიზამი დიდი მხატვრული ძალით აღწერს აზერბაიჯანელების, ქართველებისა და სომხების გაერთიანებულ ბრძოლას გარეშე მტრის წინააღმდეგ. მკვლევართა უმრავლესობა თვლის, რომ აქ პოეტი ასახავს ცნობილ ლაშქრობას X საუკუნეში. მხოლოდ პროფ. ა. კრიმსკი (და ნაწილობრივ ე. პახომოვი) გამოთქვამს ეჭვს, ხომ არა გვაქვს აქ XII საუკუნის ლაშქრობის გამოძახილი⁴. თუმცა აქვე დასძენს, რომ არც ერთ ისტორიულ წყაროში ეს ლაშქრობა ასახული არ არის. როგორც ჩანს, ის არ იცნობდა ქართულ წყაროებს, რომლებიც სავსებით ადასტურებენ მის მოსაზრებას. მართლაც, „ქართლის ცხოვრებაში“ და სხვა წყაროებში დაწერილებით არის აღწერილი სწორედ რომ გაერთიანებული ლაშქრობა შარვანისა და საქართველოსი ჩრდილოეთით. ხოლო ანდრონიკე კომნენის ხსენება ზუსტად ათარილებს ამ ბრძოლას XII საუკუნის 70-ანი წლებით. ბუნებრივია, რომ ქართული წყაროების ზოგი მომენტი ემთხვევა

¹ Низами, Искандер-наме. пер. Е. Бертельса, 1940 гв. 208.

² გ. წერეთელი „არაბული ქრესტომათია“, 1949, გვ. 76.

³ გ. წერეთელი „არაბულ-ქართული ლექსიკონი“, 1951, გვ. 212.

⁴ ამ სიტყვაში არის უმარცლო „უ“.

⁵ А. Крымский, История Персии, ее литературы... ч. II, 1906.

ნიჰამისეულ აღწერას. გასაგებია, აგრეთვე, ქართველი მეფის დუღის ეგოტრი აქტიურობა პოემაში.

ისმება კითხვა: ვინ არის ეს მელიქი დუღი, უფრო სწორედ, ვის გულს-ხმობს აქ ნიჰამი? რაც შეეხება თვით სახელს, ყველგან ავტორი მას ირტინაში ფორმით — „დუღალი“ — ხმარობს, თუმცა პროფ. ე. ბერტელსი რატომღაც ხშირად — Дуґал-ს კითხულობს. არის ეს ბოლო „ი“ ქართული სახელობითი ბრუნვის ნიშანი, თუ სპარსული „იოიე ნესბათ“ (წარმომავლობის იოტი — მაგ. განჯევი — განჯელი, დუღალი — დუღელი...), საკითხავია, მაგრამ რომ ეს სახელი ქართულია, ამას მტკიცება არ სჭირდება. პროფ. კ. კეკელიძემ გამოთქვა მეტად საინტერესო მოსაზრება ამ დუღალისა და დავით სოსლანის იგივეობის შესახებ¹. (იმ საფუძველზე, რომ დუღალი იგივე ოსია). მართლაც, დავითი მეფობს სწორედ იმ წლებში, როდესაც პოემა იწერება, ხოლო მისი ლაშქრობანი ამტკიცებენ, რომ მას ცნობილი სარდლის სახელი ექნებოდა მოხვედრილი.

ერთი გარემოება ელოდება წინ ამ მოსაზრებას: ვთქვათ, ნიჰამიმ იცოდა ყოველივე ეს მეტად სპეციფიკურად ქართული კავშირი დუღალი — ოსია — სოსლანი, მაინც რაიმე რეალური საფუძველი ზომ უნდა ჰქონოდა, დუღალად რომ მოენათლა დავითი? სწორედ რეალური — არა ეთნიკურის, არამედ ისტორიულის თვალსაზრისით, მაგალითად, რომელიმე ქართულ წყაროში ან ძეგლში რომ გვხვდებოდეს „დუღალი“ სოსლანის მაგივრად, ისევე როგორც „შამირა-შამირამეთი“ რუსუდანის მნიშვნელობით. ამ თვალსაზრისით, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა ადგილმა ნიჰამის თანამედროვე ჩახრუხადის „თამარიანიდან“:

მან ათაბეგსა, ზვარაზშვარ შდგესა,
კეთოლ განზრახვით სჯულთ უღდა მცნებად.
კაცი ძლიერი, მხნე, მეცნიერი,
შემძლე მელიქსა თვალთა ფერებად².

ჩვენი აზრით, აქ არ უნდა გვეონდეს არავითარი მალიქშაჰის, არც ნიჰამულ-მულქისა და მისი „სიასეთნამეს“ გამოძახილი. ლაპარაკია დავით სოსლანზე, თუ როგორ ასწავლა მან ჰქუა ზვარაზშვასავით მედგარ ათაბეგს; რა ძლიერია ის, მხნე და ა. შ. უკანასკნელი სტრიქონი კი შეიძლება ნიშნავდეს: ეს დავითი შემძლეა იმისა, რომ თვალთა დვალთა მელიქს შეეფერება, ღირსია იყოს თვალთა მელიქი. მაშინ ზომ არ გვექნება აქ რაიმე ურთიერთობა ნიჰამის მელიქ დუღალთან? თუმცა საკითხის საბოლოოდ გადასაჭრელად ბევრი რამ ჯერ კიდევ გასარკვევია („თვალთა ფერება“ შეიძლება ერთიან გამოთქმას წარმოადგენდეს; საინტერესოა „მელიქის“ ხმარებისა და მნიშვნელობის საკითხი, და სხვ.). მეორე საინტერესო პიროვნებაა ჩვენთვის ბარდის მფლობელი დედოფალი ნუშაბე, რომელსაც პოეტი ასე ახასიათებს:

ქალი, რომელიც მრავალ კაცზე უფრო მოსაზრებელია,
გვართ ზღვაზე ბევრად წმინდაა...
ვაკაცურად ქამარი წელზე შემოურტყამს,
მეფერი წარმოშობით თავი მოაქეს...

¹ კ. კეკელიძე, საქართველო და ნიჰამი განჯელი: „სახალხო განათლება“, 1947, № 39.

² „თამარიანი“ ჩახრუხადისა, 1937 წ., გვ. 48.

ნიშამი, თითქოს საგანგებოდ, ხაზს უსვამს, რომ ნუშაბეს „აქვეს გვირგვინოსნობის უფლება, მაგრამ თვით უგვირგვინოა“. საერთოდ, აქ წინა პოემის („ხოსროვ და შირინის“) გმირი-ქალების გაერთიანებული სახე უნდა გვეჩვენდეს. ამდენად, უფრო მტკიცეა ნუშაბეს სახის კავშირი თამართან და საერთოდ იმდროინდელ ქართველ ქალთან. რომ ნუშაბე არ შეიძლება მოეწყვიტოს ქართულ სინამდვილეს, ისევე როგორც მისი სამშობლოს ისტორია საქართველოსას, მოწმობს ერთი დეტალიც: ტყვეობიდან გამოხსნილ დედოფალს ისქანდერი მიათხოვებს შემოხსენებულ მელიქ დულას. საინტერესოა, ზომ არ გვაქვს აქ თამარისა და დაეით სოსლანის დაქორწინების გამოძახილი? მაშინ განისაზღვრებოდა „ისქანდერ ნამეს“ პირველი წიგნის დაწერის თარიღი. მთელ ამ შინაგან კავშირს ნათლად აგვირგვინებს ის უმაღლესი შეფასება-დასკვნა, რომელიც უშუალოდ ეხმაურება რუსთაველს:

მე ვარ ლომქალი, თუ შენ ხარ ლომკაცი,
ბრძოლის დროს რა მუ და რა ზვადი ლომი...

დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ ამ პოემაში ორჯერ იხსენიება სახელი „ნესტანდარეჯანი“, თანაც ნიშამი იძლევა მის ზუსტ ეტიმოლოგიას („ჩემნაირი არ არის ქვეყნად“).

ნიშამის ყველა პოემის დაკვირვებული შესწავლა უფრო მეტ მასალას მოგვცემს მის მიერ საქართველოს ნაცნობობა-ხსენების დასამტკიცებლად. მაგრამ, ვფიქრობთ, მოტანილი ნიმუშებიც ცხადყოფენ, თუ რა მკიდრო ურთიერთობაშია ისტორიულად მისი შემოქმედება მეზობელ საქართველოს ცხოვრებასთან. ამის შემდეგ კი თავისუფლად შეიძლება მსჯელობა და ძიება წმინდა ლიტერატურული ურთიერთობისა, რაც კიდევ უფრო უხვ შედეგს გამოიღებს.

ეკატერინე გაბაშვილი

ბარდაცვალებიდან 15 წლისთამის ბაშო



ეკატერინე გაბაშვილი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადო მოღვაწეთა და მწერალ ქალთა შორის ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანია. ის დაიბადა 1851 წლის 16 ივნისს, ქალ. გორში. მამამისი, რევაზ თარხნიშვილი, სოფ. ახალქალაქის მცხოვრები იყო. იქ მას საკმაო მამული და მდიდრულად მოწყობილი ოჯახი ჰქონდა. ეკატერინე ადრე დაობლდა დედით.

დედის გარდაცვალებიდან 40 დღის შემდეგ დაობლებული კატო და მისი ძმა — სოსიკო წაიყვანა ბებია ბარბარემ (დედის მხრიდან) გორში. ბარბარეს მამას კარგად მოეწონებოდა მამული ჰქონდა ზემო ქართლში, სოფ. ფლევში (სურამის მახლობლად). მამის ერთადერთი მემკვიდრე ბარბარე იყო, რომელიც გაათხოვეს ვახტანგ ბაგრატიონ-დავითაშვილზე.

ეკატერინეს დედა — სოფიკო დედისერთა იყო. როგორც მწერალი ამბობს თავის ავტობიოგრაფიულ მასალაში, დედამისი ტანად ახოვანი ყოფილა. სიმღერისა და ცეკვის მოყვარული, „გასაკვირველი მოჯირითე და შეუღარბელი მსროლელი“.

მწერლის მამა კი გამოცდილი იურისტი და კანონების ზედმიწევნით მცოდნე ყოფილა. მას ძლიერ ჰყვარებია წიგნების კითხვა, განსაკუთრებით იურიდიული და ისტორიული ხასიათის წიგნებისა.

ეკატერინეს მშობლები თავის დროისათვის მოწინავე ადამიანები იყვნენ. ბებია ბარბარე კი რალაც თავისებური, სასტიკი ადამიანი იყო. რაკი ბარბარეს სიძემ დაობლებული ბავშვების პატრონობა დააკისრა, მოხუცმა ბავშვები გორში გადაიყვანა სიძის კარგად მოწყობილ სახლში.

ბებია ბარბარემ თავისი სასტიკი რეჟიმი არა მარტო მოსამსახურეებზე, არამედ ბავშვებზედაც გაავრცელა. ბუნებით სათნო ეკატერინე მწვევედ განიცდიდა ბებიას სიმკაცრეს. არაერთხელ აცრემლებულა პატარა კატო, როდესაც მოწმე გამხდარა იმისა, თუ როგორ უსამართლოდ ტუქსავდა და ლანძღავდა მისი ბებია გაჭირვებულ გლეხკაცს.

ზაფხულსა და შემოდგომის ეკატერინე სოფ. ფლევში ატარებდა. პატარა კატო სოფლად ეცნობოდა გლეხკაცობის ჭირ-ვარამს. ეს ცოცხალი მასალა შემდეგში მწერალმა გამოიყენა თავის ნაწარმოებებში.

8 წლის ეკატერინე მამამ ჩამოიყვანა თბილისში და გერმანელების სკოლაში მიიბარა. ამ სკოლაში სწავლა-აღზრდის საქმე სათანადო სიმაღლეზე არ იდგა, ამიტომ მამამ კატო ამ სკოლიდან ამბარდნაოეების პატარა პანსიონში გადაიყვანა. ეკატერინემ აქაც ვერაფერი შეიძინა. 12 წლის კატოს ბედმა გაუღიმა და საჩალაქო ინსტიტუტში წილი ერგო მიღებისა. ისიც სახელმწიფო ხარჯზე. თუ გამოცდებს ჩააბარებდა. მამამ კატო მთელი ზაფხული ამბარდნაოეების პა-

ნსიონში დატოვა გამოცდებისათვის მოსამზადებლად. მაგრამ იმდენად სუსტად იყო მომზადებული, განსაკუთრებით რუსულში, რომ უარი უთხრეს ინსტიტუტში მიღებაზე.

ეკატერინე ისევ გორში წაიყვანეს. მომავალი მწერალი გორში მიიბარეს ქუცნა ამირაჯიბის მეუღლეს. ეს ახალი მასწავლებელი დარბაისელი, ბუნებრივად შეგნებული აღმოჩნდა. კატოზე მან დიდი გავლენა იქონია. ეკატერინე გაბაშვილი თბილად იგონებს მას.

ეკ. გაბაშვილმა 1862 წლიდან 1868 წლამდე ფაერის პანსიონში დაჰყო. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ინტელიგენცია დიდად აფასებდა ფაერის პანსიონს, რადგან ეს ერთადერთი კერძო სასწავლებელი იყო, სადაც სწავლის საქმე მაღალ დონეზე იდგა, ქართული ენის სწავლებას ხომ განსაკუთრებული ადგილი ეკავა.

სწავლას მონდომებული კატო გატაცებით დაეწაფა გაკვეთილების ბეჯითად დასწავლას, წიგნების კითხვას. მასწავლებელთა ნათქვამს ანალიზს უკეთებდა თავისი ფანტაზიით და, ამგვარად, ყალიბდებოდა ის, როგორც მომავალი მწერალი.

17 წლის ეკ. გაბაშვილმა 1868 წელს დაამთავრა ფაერის პანსიონი და დაბრუნდა თავის მამის მამულში (ხემო ქართლში), რომელსაც მისი ბებია განაგებდა. სწორედ აქ დაინახა ფაქიზი ბუნების კატომ საშინელი სისასტიკე, რომელსაც იჩენდა ბებიამისი გლეხების მიმართ. მან ასეთი უსამართლობა ვერ აიტანა და იმდენი ეცადა, რომ ბებიას მამის დახმარებით მამულების გამგეობა ჩამოართვა. მაგრამ ეკატერინეს სოფლად დიდხანს არ უცხოვრია, მალე დაბრუნდა გორში.

გორი იმ დროს წარმოადგენდა ხალხოსანთა მოძრაობის, ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრს.

გორში მოქალაქეთა შვილებისათვის ერთი სამოქალაქო სკოლა არსებობდა. დაბალი ფენების ქალიშვილების სწავლების საქმე კი სავალალო მდგომარეობაში იყო და ახალგაზრდა ეკატერინე თარხნიშვილმა სწორედ ამას მიაქცია ყურადღება. მან პირველმა დააყენა დაწყებითი სკოლის გახსნის საკითხი გორში მშრომელთა ფენის შვილებისათვის. ეკ. თარხნიშვილმა ჩამოაყალიბა დაწყებითი სკოლა ქალთათვის და გატაცებით დაიწყო ღარიბი ხალხის ქალიშვილების სწავლება. მაგრამ მას დიდხანს არ მოუხდა გორში ცხოვრება.

1871 წელს რევაზ თარხნიშვილმა მოიყვანა მეორე ცოლი მიქაძის ქალი — და თბილისში გადმოსახლდა საცხოვრებლად. რევაზ თარხნიშვილი კვლავ დიდი მოსიყვარულე და მზრუნველი იყო თავისი კატოსი და ხშირად იწვევდა მას აბილისში. რევაზ თარხნიშვილი მოწინავე ქართველად ითვლებოდა და ცდილობდა მაშინდელ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებთან ახლოს მდგარიყო. ეკატერინესაც ქალაქი იზიდავდა და ხშირად ჩამოდიოდა მასთან. სწორედ ამ დროს ეკატერინე დაუახლოვდა ქართველ ინტელიგენციას. როგორც ცნობილია, 1870 წელს ეკ. გაბაშვილს უკვე ჰქონდა დაბეჭდილი თავისი პირველი მოთხრობა — „გლეხკაცების აზრი სასოფლო სკოლაზე“, სადაც ახალგაზრდა ავტორი სწავლა-განათლების მნიშვნელობაზე ლაპარაკობს. ეკატერინე თარხნიშვილი მწერალთა საზოგადოებაში პირველად 1871 წელს შევიდა — გიორგი წერეთლის ბინაზე — და პირველად აქ გაიცნო ილია ჭავჭავაძე, რომელსაც უნდა წაეკითხა „კაცია-ადამიანი!“ ეკატერინე აქ მოიყვანა პეტრე უმიკაშვილმა. ამ საღამოზევე გაიცნო მან ალექსანდრე გაბაშვილი. ალექ-

სანდრე გაბაშვილი წყნარი ადამიანი იყო. დარბაისელი, დაინტერესებული საზოგადოებრივი აზროვნებით, საზოგადო საქმეებით. ის ამ დროს გატაცებით თარგმნიდა „ჩინეთის მეურნეობას“ და ამუშავებდა მერქობის კულტურის განვითარების პროექტს. ალექსანდრე გაბაშვილი კატოს დაუბრუნებდა.

ეკატერინე ცოლად გაჰყვა ალექსანდრე გაბაშვილს. მერქობის პროექტით გატაცებულმა ალექსანდრე გაბაშვილმა თავის სოფელში მოისურვა ფერმის გამართვა, რისი ხელმძღვანელობაც გამოუცდელ ეკატერინეს დააკისრა, ფერმის საქმე მალე ჩაიშალა და ცოლ-ქმარი იძულებული გახდა ისევ თბილისში დაბრუნებულიყო.

ეკ. გაბაშვილი მე-19 საუკუნის თითქმის პირველი ქართველი მოღვაწე ქალია.

ეკ. გაბაშვილმა მთელი თავისი ნათელი ცხოვრება განვლო ორი მიმართულებით: მხატვრული შემოქმედებით და საზოგადო საქმიანობით.

საქართველოში არ დარჩენილა არც ერთი ახლად წამოწყებული საქმე, რომელშიაც ეკატერინე გაბაშვილს მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს.

პირველად ყოვლისა უნდა აღინიშნოს მისი მუშაობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში.

ეკ. გაბაშვილს მთელი 12 წლის განმავლობაში ირჩევდნენ ამ საზოგადოების გამგეობის წევრად. იგი ეწეოდა დიდ პრაქტიკულ მუშაობას.

მეორე საზოგადო საქმე, რომელზედაც ეკ. გაბაშვილი დიდხანს ზრუნავდა, იყო ქართველ ღარიბ ქალთა კრაკერვის სკოლა სახელოსნო. მწერალს ხშირად უთქვამს, რომ ამ სკოლით დავიწყე ჩემი მოღვაწეობა და სიბერის დროსაც სკოლით ვავათავებო.

ეკ. გაბაშვილი პირველი ქართველი ქალია, რომელიც თავდაღებით და მტკიცედ იცავდა ქალის როლს საზოგადოებრივ საქმიანობაში. ამ აზრს იგი თამამად და დასაბუთებულად ავითარებდა თავის პუბლიცისტურ წერილებში. ამიტომაც ის ითვლება ქალთა წრის ორგანიზატორად და მის ხელმძღვანელად. ეკ. გაბაშვილის მიერ ქალთა წრის ორგანიზაციაში მუშაობა წარმოადგენს მისი ბიოგრაფიის ნათელ ფურცელს.

ქალთა ამხანაგობამ იმ დროს ბევრ კულტურულ საქმეს ჩაუყარა საფუძველი.

თავდაპირველად ქალთა ამხანაგობამ დიმიტრი ყიფიანის ოჯახში კპოვი თავშესაფარი. აქ ჩაისახა მთარგმნელ ქალთა კადრის მომზადებაც და იაფფასიანი სახალხო წიგნების გამოცემის იდეაც. წრემ თავისი იდეური მუშაობა გააძლიერა 1905 წლის რევოლუციის მოლოდინში. ამის შესახებ ეკ. გაბაშვილი „ჩემ სიყმაწვილეში“ წერს:

...1905 წელს, როდესაც რევოლუციის პირველი ცეცხლი აენთო, თბილისის ქალთა კრებებმა და გამოსვლებმა გრანდიოზული ხასიათი მიიღო... პირველმა კრებამ, რომელიც ჩემ სახლში იყო დანიშნული, იმდენი მსურველი გამოიწვია, რომ არამც თუ ჩემი სადგომი, მთელი ქუჩაც სავსე იყო, და რადგანაც ყველანი ძალობდნენ შინ შემოსულას, პოლიციაც კი ჩაერია იმ შიშით, რომ სახლის სიმაგრე ვერ გაუძლებს ხალხსო... მაინც იმდენი შემოვიდა, რომ ლამპებმა ამოსუნთქული ნახშირბადით ჩაქრობა დაიწყო. კრებას დაესწრო ისეთი წრის და ისეთი ხნის ქალებიც, რომლებიც მანამდე არავის ენახა არც საზოგადოებაში და არც ქართულ თეატრში ამ ერთადერთი თბილისელ ქართველ მცხოვრებთა შემავრთებელ პუნქტში“ (ეკ. გაბაშვილის არქივი, კონა №5).

12. „ნათობა“ № 12.



ეკ. გაბაშვილი ქართული საბავშვო ლიტერატურის წარმომადგენელია და მის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის. ეკ. გაბაშვილი საბავშვო ლიტერატურაში საკუთარი იდეებით შევიდა. მან აქაც აღიმალა ხმა არსებული დახვეწებული საზოგადოებრივი ფორმებისა და უსამართლობის წინააღმდეგ.

ეკ. გაბაშვილი ლიტერატურულად აღიზარდა ქართველი კლასიკოსების ტრადიციებზე, მათგან შეითვისა ხალხის სიყვარული, ღრმა პატრიოტული გრძნობები, ჰუმანური და დემოკრატიული იდეები; ეკ. გაბაშვილი გაჰყვა მათი ბრძოლის გზას ადამიანის სულიერად და სოციალურად განთავისუფლებისათვის. ეკ. გაბაშვილმა საკუთარი თვალით დაინახა და შეისწავლა გლეხკაცის ბუნება, მისი შრომის მძიმე პირობები, მისი ბეჩავი მღვთმარეობა და მისი ჩამორჩენილობა, ამის მიხედვით მწერალმა შეიმუშავა საკუთარი შეხედულება ცხოვრებაზე, მის აწმყო-მომავალზე, გამოიმუშავა საკუთარი რწმენა, ეთიკა და მას, როგორც მწერალს, სულიერ მოთხოვნილებად გადაეჭყა ამ გლეხკაცის მღვთმარეობის გაუმჯობესება, მისი დახმარება და მასზე ზრუნვა.

გაბაშვილმა კარგად იცოდა ბავშვის აღზრდის მნიშვნელობა, ის დიდად აფასებდა საბავშვო წიგნს, როგორც ბავშვის სულიერ აღზრდელს. თუ ეკ. გაბაშვილის საბავშვო პროზა დღესაც არა ჰკარგავს ინტერესს, ეს მიეწერება მის ცხოველმყოფელსა და მაღალ იდეებს, მის მხატვრულ ღირსებებს. მწერალი საბავშვო მოთხრობების სიუჟეტს ჩვენი რეალური ცხოვრების მასალიდან იღებდა. ადამიანთა და ბავშვთა ცოცხალ სახეებს ამათ სულიერ სამყაროდან ძერწავდა.

მწერლის საბავშვო მოთხრობები მომხიბვლელი და ჩვენი თაობების სასწავლო მასალაა. მისი „კონა“, „როგორ მიეგება სვიმონიკა ახალწელიწადს“, „ნაკადული“, „მაგდანას ლურჯა“, „თინას ლეკური“, „ჩვენი კაკლის ხე“, „ღვინია გადაიჩეხა“, „მიხედება და მაპატიებს“, „სიყვარულს რა არ შეუძლიან“ — დარჩება ქართული საბავშვო ლიტერატურის კლასიკურ ნიმუშებად.

ეკატერინე გაბაშვილმა შემოთდასახელებული საბავშვო მოთხრობების ლეიტმოტივი ჩამოაყალიბა პირველ სამ საბავშვო მოთხრობაში: „კონა“, (დაიბეჭდა გაზეთი „ივერიში“ 1882 წ. № 4), „როგორ მიეგება სვიმონიკა ახალწელიწადს“ (დაიბეჭდა საბავშვო ჟურნალ „ნობათში“ 1885 წ. №1) და „ნაკადული“ — ლექსი პროზად (დაიბეჭდა საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილში“ 1891 წ. №1).

მწერალმა თავის პირველ მოთხრობაში — „კონა“ თითქოს უჩვენა ადამიანის სოციალურად განთავისუფლებისათვის ბრძოლის გზები, მაგრამ ბრძოლა დროულად არ ჩათვალა. გამარჯვებული გამოვიდა გაბატონებული კლასი. ბარბარეც განიკურნა, ლევანმაც სწავლას მიაღწია, ხოლო კონას განთავისუფლების გზა, ისიც ნამდვილი და საუკუნო, — სიკვდილია. გამარჯვებას მსხვერპლი უნდა. სოციალურად დაჩაგრულ ადამიანებს დიდი მსხვერპლი უნდა გაეღოთ თავის განთავისუფლებისათვის. ასეთია მწერლის დასკვნა.

არანაკლებ ამაღელვებელია პატარა სვიმონიკის თავგადასავალიც.

ეკ. გაბაშვილი აქაც არ ღალატობს თავის მრწამსს. გადმოხვეწილ ადამიანებში დაინახა მაღალი სული, გულთბილობა და ადამიანთა სიყვარული. ღამის

ყარაულმა შეიბრალა უბატრონო, სიცივისგან გაყინული ბავშვი, რომელსაც საკუთარ შეილებიწასგან არ არჩევდა.

ექ. გბბაშვილიწათვის ნათელია, რომ წოდებრივად და ქონებრივად დაბლა მდგომ ადამიანებს გააწწიათ სულის სიმშვენიერი, რითაც ისინი მალღლებიწან და უთანასწორღებიწან მალღლი კლასების ადამიანებს.

ექ. გბბაშვილმა ჩვენი მაშინღელი ცხოვრებიღან დაგვიბბატა შემამარწუნებელი სურათები და თავიღანვე იმოქმეღა ბატარა მკითხველის გრძწობებზე. მან აქვე უჩვეწა, რომ საერთოდ ბიროვნული თავისუფღება აუციღლებელია და ის ყვეღას ესაბირობბა: ღიღს, ბატარას, ბატონს, ყმას, მღიღარს, ღარიბს. მაგრამ მაშინ აბღღაზრღა მწერალი ქალი ვერ იყო მიბვეღრიღი, რა იყო საბირობ კლასობრივი ჩაგვრის მოსპობიწათვის, თუმცა ინსტიწტურად კი გრძწობღდა, რღღაც ქარტეზიღებს უწდა გაღღაგვრღინევა, რომ ეს თავისუფღება მოსუღლიყო. ამიწათვის საბირობ იყო სბვეაგვარი ბრძოღა და გამარჯვებაც მას ღარჩეზოღა, ვიწაც სიმართლის ძღღა და ღონე ეწწებოღა. ასეთიღა მისი აღექსანღრე გოგორაშვილის, აბღღაზრღა ღვეანის სამოქმეღო პროგრამა, ასეთიღა თვით მწერლის პროგრამაც.

მაგრამ უმოქმეღო და რწმენის გარეშე არათერი არ იწწება. ამიტომ მწერალმა თავის ნორჩ მკითხვეღებს ჩაუნერგა უკეთესი მომავლის რწმენა, ცხოვრებისადმი სიყვარული, სიცოცბლისადმი მისწრაფება.



ექ. გბბაშვილის საბავშვო მოთბრობების უმთავრესი თემიღა ძვეღ მებბატონეღა ცხოვრება.

ამ ხასიათის მოთბრობებიღ: „გიორგის საფღავი“, „არ მიღქრწია“, „საბბღღლო სურათი“, „სიყვარულს რა შეუძღიან“, „თინას ღეკური“, „უმზეოღ ღამქწნარი ვარღი“ და სბ.

ექ. გბბაშვილს თავის გმირი ბავშვები — განურჩეღღად წოდებისა — თავღღავიწყებამღე უყვარს, მათ ღახბტვას ღიღი მიშბიღვეღობით ცდიღობს, მათ საბეღებზე აღბექღიღიღა ქვეღთ სავე თვღლები, საიღანაც „რღღაც ქმუნევა, რღღაც არაბავშვური ფიქრწიანობბა და ნღღვეღი გამობქრთის“, გული კი სავე აქვეთ ქვეღმოქმეღებით, სათნოებით, კაცთმოყვარეობითღა და სიკეიით. ამიტოღწ მოუწოდებწ თავიანთ ღეღებსაც, რომღებიც ნაციღღად ბავშვებისადმი მზრუნვეღობისა, თავიანთ სიამოვნებას უფრო მისღღვენ, „მოუსვენარ ცხოვრებბას, საზოგადოებბაში მუღმივ ტრწიღლს, გართობას, შეუყვენებელ აღიღქოთს, ხბბურობას, მორთევა-მოკაზმას უფრო რჩეობენ, ვიღრე საკუთარი შეიღების მოვღასღა და ბატრონობას“.

მოთბრობბაში „სიყვარულს რა არ შეუძღიან“ აეტორბბა კოტეს სიყვარული ანღროსადმი, საერთოდ ადამიანებისადმი, განაზოგაღა და ბატარა მკითხვეღს გარკვეიღთ მოუწოღა მოყვასის სიყვარუღისა და შებრღღებისაღწ, მზოღლოღ ეს გრძწობბა გახღის ადამიანს ადამიანის მალღიერს (რასაც გრძწობღღა ანღრო კოტესადმი) და გაღააქცევს ჩინებულ ადამიანღ.

ამის მსგავსიღა მოთბრობბა: „საბბღღლო სურათი“. წინა მოთბრობბაში თუ მებბატონის შეიღიღა სათნო და შემბრღღე, ამ მოთბრობბაში თვითონ კწეინაღა სათნო და გულკეთიღი.

როგორც წესი, ექ. გბბაშვილი ადამიანთღ თვისიბის გამოვღენას უკავშირებს გარკვეულ მოვღენებს, განსაკუთრებიღთ აბღღწლის წინა ღღეებს.

ახალწლის წინა დღით თავლომ აუარებელი სანოვაგე ყვიდა. მას, როგორც საუკეთესო მყიდველს, დუქნის პატრონი თავს დასტრიალებდა.

სწორედ ამ დროს ამავე დუქანში შემოვიდა შუახნის გლეხკაცი და სამი შაურის „კალფეტი“ მოითხოვა. გლეხმა ყურადღება მიიპყრო თავისი კილოთი და იმ მცირე ფულით, რომელიც მან ასე თავმოწონებით დააგდო დაბლზე: ყველას გაეცინა, გლეხი შეერთა, მოვჭრემ კი იუკადრისა გლეხის სითამამე და „კალფეტი“ არ მისცა. გლეხი გაუძალიანდა. ნოქარმა ხელი სახელოში წაავლო კარში გასაგდებად. გლეხი კვლავ „კალფეტს“ თხოულობდა. მოვაჭრეთ ხარხარი დაიწყეს. აი, აქ კი წინ წამოვიდა თავლო: „თავლოს გულში რაღაც სიმწარემ გაურბინა; მას თითქო პირად შეურაცხყოფად ეჩვენა, რომ თათარმა ქართველ გლეხს, საწყალ ბეჩავ გლეხს, იმგვარი უსამართლობა მიაყენა, რომ ამ უცხო ტომის ხალხმა მის საქციელზე ხარხარი იწყო და უნებლიედ გამოვისარჩლა“. თავლომ ვაქარს შეუტია. გლეხს გამოჰკითხა, რამდენი შვილი ჰყავდა და ამისდა მიხედვით უყიდა ტკბილეული: თავლი, ნაგოზი, ოთხი ყუთი კამფეტი, ხმელი ხილი, ფორთოხალი, ჩაუწყო ცარიელ ხურჯინში, ხელშიც ხუთმანეთიანი ჩაუდო და გახარებული გლეხი შინისაკენ გაისტუმრა.

ადვილი წარმოსადგენია, რა სიხარული და ერიამული იდგა იმ დამეს გლეხის ოჯახში, სადაც სამი შაურის „კალფეტის“ ნაცვლად მომრავლებულ ჯალაბობას ამდენი ტკბილეული მიუვიდა. გლეხი გრიგოლი აქედან ასკვნის: „აი დედამისის ღმერთსა, — ერთი ასიოდ რომ ყოფილიყო იმისთანა ქალბატონი, რამდენი მხიარული ოჯახი იქნებოდა ახლა ჩვენს სოფელშიო!...“

ეკ. გაბაშვილი ყოველ ადამიანში ეძებს კეთილშობილებას და არარსებულშიც ხედავს რაღაც რეალურ საფუძველს. თავლოს კეთილშობილურ მოქმედებასაც სწორედ ეს რეალური საფუძველი გამოუძებნა: მასში ე. წ. ეროვნული თავმოყვარეობა გააღვიძა. თუ გამოვისარჩლა გლეხს, მხოლოდ იმიტომ, რომ ის მასხარად აიგდეს ვაჭრებმა, დასცინეს მის რიხსა და სითამამეს. მართალია, მწერალი ამბობს, რომ თავლო „ბუნებით კეთილი იყო, ცხოვრებისაგან გალაღებულს იშვიათად შეჰხვედრია ფიქრი გაჭირვებაზე“, მაგრამ არ ამტკუნებენ მას, რადგან თავლოსათვის „ჩაგონებითაც არავის ჩაუგონებია, რომ კეთილი საქმე ერთი უპირველესი მოვალეობათაგანია ადამიანისათვისო“ ცხადია, თუ ასეთი იყო თავლო, მაშინ ბუნებრივი იქნებოდა, რომ ძველ მაზარაში გახვეული გლეხი არ შეემჩნია და გამაძლართა და უდარდელთა მორალური ეთიკა დაეცვა და თვითონაც დაეცინა, მაგრამ ეკ. გაბაშვილმა ეროვნული ინსტინქტი მიუყენა თავლოს და კეთილშობილურად აამოქმედა.

ამ მოვლენით ეკ. გაბაშვილმა კვლავ ხაზი გაუსვა იმას, რომ მწერალს სწამს ადამიანის სულის სიდიადე და ეს სული ერთნაირად არის მოთავსებული და გლეგილ ტანისამოსშიც, მდიდრულ მორთულობაშიც, რომ კეთილშობილება ყველგან დაიარება, ის არსებობს, როგორც ცხოვრებისაგან გალაღებულთა, ისე ცხოვრებისაგან დაჩაგრულთა შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ ეკ. გაბაშვილს დაჩაგრულნი უყვარს, მათ დიდ მფარველობას უწევს და მათში პოულობს მაღალ სულსა და კეთილშობილებას. ეკ. გაბაშვილი გლეხკაცის მიბეჯობებულ კერაში მეტ სიცოცხლეს ხედავს, მათში მეტ ნიადაგს პოულობს მეგობრობის, გამტანობის, დაუღალავი შრომისა და პატიოსნებისათვის. მწერალი დიდი სითაქიზით ებყრობა სოფლის ოჯახს და ქალაქის დაბალ ფენათა ცხოვრებას. მწერალს არ გამოჰპარვია ამ ოჯახების

სილატაე, სასოწარკვეთილება, გაჭირვება, მაგრამ ყველა ამას ამსუბუქებს იმით, რომ თითოეულ გაჭირვებულ ადამიანს გამოუჩენს თანამგრძნობს.

ასეთი ხასიათის მოთხრობებია „მაგდანას ლურჯა“, „ლენინა გადაიჩენა“, „მშვიდობის ოჯახი“, „მიხვდება და მპატიებს“, „მამა დაბრუნდა“, „დედის პატარჯენა ხელი“, „ღვთის შვილი“, „ქიაკოვონა ღამეს“, „ახალწელიწადი სასოფლო სკოლაში“, და სხვა.

ამ მოთხრობებში გამოირჩევა „მაგდანას ლურჯა“. ნაწარმოების ფსიქოლოგიური ზემოქმედების ძალის საიდუმლოება იმაში მდგომარეობს, რომ მკითხველი მთავარი გმირის — მაგდანას მოქმედებას, მის სულიერ მღვდლვარებას, დაძაბულ ფაზიკურ შრომას კვალდაკვალ მისდევს. მკითხველი ასკვნის, რომ მშრომელი დედაკაცის გამარჯვება, სიმატლის გამარჯვება აუცილებელია. მწერალი მაგდანათა დაინტერესებული, მისი შრომის და სიმატლის გამარჯვებითაა გატაცებული. მაგდანა ახალგაზრდა დედაა. მას გულს უკლავდა ბავშვების ტირილი შიმშილის გამო. ის „სულ ერთი კვირის დაქვრივებული არც კი იყო, როდესაც მძიმე შავებში გახვეული მაწვნის ქილებითა და რძის კოკით გაემგზავრა ქალაქისაკენ“.

მაგდანაში ავტორი ხედავს ნამდვილ ქართველ დედას, მშრომელ დედაკაცს. ამ კეთილსინდისიერებამ დააჯილდოვა მაგდანა და აპოენინა სახედარი. მაგრამ მაგდანას პატარა ოჯახი დიდ საფიქრებელში იყო: შერჩებოდათ თუ არა სახედარი, ხომ არ გამოუჩნდებოდა მას პატრონი. მათი შიში გამართლდა. სახედარს გამოუჩნდა პატრონი. ეს იყო ჩარჩი მენახშირე.

ექ. გაბაშვილს უყვარს მაგდანა, მისი სალი მსჯელობა ცხოვრებაზე. მაგდანამ იცის, ვინ გამოდის ცხოვრებაში გამარჯვებული. მას თავისი შეხედულება გააჩნია ამის შესახებ: „...ყველა ცდილობდა, ჩემზე წინ წამდგარიყო, მაგრამ მეც თვალი გაეახილე. მეც მივხვდი, რომ ყველაფერში გამარჯვება სიმარჯვესა და სიმხნევეზეა და ხმა ამოვიღე, მივიძარ-მოვიძარ, მეტადრე როცა მომაგონდებოდა, რომ თქვენ აქ უპატრონოდ, მშვირები, ტიტვლები ეყარებით, ცეცხლი შედებოდა ხოლმე გულზე და მაშინ ვინ იყო ჩემი წინ წამდგომი“; — ასე უხსნის მაგდანა თავის შვილებს ცხოვრების ავარჯიანობას.

მაგრამ ე.კ. გაბაშვილი იმდენად არის გატაცებული მაგდანათი, რომ მწერალს უნდა მოსამართლეშიც ადამიანობა გამოეჩინა, მოსამართლესაც დაენახა მაგდანა — მშრომელი ქალი, ერთგული დედა, მზრუნველი ადამიანი, — ეგრძნო მისი ეს ღირსება და ამიტომ სამართლიანი ყოფილიყო მისდამი, გაემართლებინა მშრომელი ადამიანი, გაემტყუნებინა ჩარჩი და აეყია ადამიანი.

არანაკლები სიყვარულითა და სინამდვილით არის აღწერილი ღარიბი გლეხკაცის ცხოვრება მოთხრობაში „ლენინა გადაიჩენა“. მკითხველს არასოდეს დაავიწყდება სურათი, რა სასოებით ისტუმრებს საახალწლოდ მოხუცი გოგია თავის შვილს — ნინიკას შერის გასასყიდად, როგორი შიშით არიგებს ნინიკას მეუღლე ნენე, რათა გაუფრთხილდეს საქონილს, ყინულზე ფეხი არ გაუსხლტეს, ან ბავშვები რამდენ რამეს აბარებენ მამას საახალწლოდ.

ოჯახის მოყვარული ნინიკა ჰპირდება საჩუქარს, თუ 5 მანეთად გაიდიდა შერის. მაგრამ ამ ღარიბ ოჯახს შიში გაუმართლდა. ლენინას ფეხი წაუსხლტა, გადაიჩენა და ერთ კონა შერის ოთხი აბაზიც ვერ ამოაღებინა. ამგვარად, ჩაქრა მოლოდინი.

ე.კ. გაბაშვილი გლეხის შრომას უყურებს თანაგრძნობით და მისი მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლის საშუალებას სწავლაში ხედავს.

ე. გაბაშვილი 1905 წლის რევოლუციის დროს პრაქტიკულ მუშაობაში ჩაება. ქალებს რაზმადეა, კრებებზე გამოდიოდა ქალთა განთავისუფლების საკითხის გარშემო... მაგრამ მას 1905 წლის რევოლუცია რთულად აღიქვამდა და ასეთივე განწყობილებაც შეექმნა. მწერალი სულამ შიშველი, მოსავლის იმედი ბურჟუაზიის დაეხრდილა, ოღონდ მწერალი თვითონვე ცდილობდა ეს გაურკვეველობა თავიდან აეცილებინა და სხვა თემას უძებნიდა თავის საბავშვო მოთხოვნებს.

ე. გაბაშვილმა მეტად პრიმიტიულად დაგვიხატა 1905 წლის რევოლუციის ამბები. ამ პერიოდში მან სამი მოთხრობა გამოაქვეყნა: „რათ წაიყვანეს“, „გივი ლიახვი“ და „22 ოქტომბრის მსხვერპლს — უმანკო ანდრიას“.

პირველი მოთხრობა „სალდათათ“ წაყვანას დაუკავშირა. ბათუმში მომუშავე გიგო, რომელიც ოჯახს ამარაგებდა საჭირო საგნებით და ვენახის ტრუშული ღობის შემოვლასაც აპირებდა, „სალდათათ“ გაიწვიეს და მას „ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნია“. მისი წაყვანა უყვირთ მხოლოდ ბავშვებს. ეს არის მთელი მოთხრობის ავი და კარგი.

მეორე მოთხრობა „გივი ლიახვი“ რევოლუციის სიმბოლოს წარმოადგენს. მაგრამ ამ მოთხრობის დასასრული არ არის მკვეთრი და დასკვნის გამოტანა ძნელია, აღელვებულ ლიახვს რა სიკეთის მოტანა შეუძლია იმ დაჩაგრულთა და ღარიბთა ფენისათვის, რომელიც ასე უყვარს მწერალს! მესამე მოთხრობაში კი აღებულია 1905 წლის რევოლუციის მსხვერპლის — გიმნაზიელის დაღუპვა.

მოთხრობის პირველი ნაწილი სანტიმენტალურია, გულდამწვარი დედა მოთქვამს თავის შვილის დაღუპვაზე. დედის გმინვაზე დამსწრე ხალხი წყევლას უთვლის ანდრიას დამღუპველთ: „წყეული იყვეს, წყეული იყვეს, ვინც შენის უმანკო სისხლით ხელები შეიღება! წყეული იყვეს!“.

გლოვის ხარი შეწყვიტა „სალდათის“ მძლავრმა ხმამ, — მან მოუწოდა: „ნუ სტირი, მშობელო!.. ეგ ერთი ამ ათას სხვას საღრმეთოთა ნაწილია, რომელიც ღვთაებამ მსხვერპლად შეიწირა და რომელთა სისხლი უმანკო კაცთა განთავისუფლებისათვის დაინთხა!.. სახელი შენის ტანჯულის შვილისა, სისხლის ასობით ამოჭრილი იქნება იმ დაფაზედ, რომელიც წაუშლელად გამოიჭედება ხალხის გულში და მტარვალთა გასაგმირ ლახერად გარდაიქცევა“.

ჯარისკაცი ამ პათეტიკურ სიტყვას ამთავრებს ღოზუნგით: „გაუმარჯოს სიმართლეს! გაუმარჯოს თავისუფლებას!“



საბავშვო ლიტერატურაში ე. გაბაშვილი თავისი დროის თითქმის ერთადერთი მწერალია, რომელიც ბუნებას მეტად უტილიტარულად იყენებს. მას ბუნების კომპონენტების ხმარება არ უყვარს არც ფონისათვის, არც სილამაზისათვის. მწერალს ბუნება უყვარს მხოლოდ იმისათვის, რომ იგი სიცოცხლის მიმნიჭებელი და კეთილისმყოფელია.

ასეთ მოთხრობათა შორის ყველაზე წარმტაცი მოთხრობაა „ჩვენი კაკლის ხე“.

ე. გაბაშვილის საბავშვო მოთხრობების ენა სადა და მარტივია. მწერალი იშვიათად იყენებს დამხმარე სიტყვიერებს მთავარი ხაზის გაძლიერებისა და დრამატული სიმძაფრისათვის. ე. გაბაშვილი ერთი მთლიანი სიუ-

მეტის ირგვლივ ტრიალებს. იგი უფრო ხშირად სანტიმენტალიზმს მიმართავს, რათა მკითხველზე ზემოქმედება გააძლიეროს.

თანამედროვეთა დამოკიდებულება მწერლისადმი კარგად გამოუმჯობესდა ე.ვ. გაბაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობის ორმოცი წლისთავზე გამართულ იუბილეზე 1911 წელს. არც ერთ საბავშვო მწერალზე არ დაწერილა იმდენი კრიტიკული წერილი და ბიბლიოგრაფია, რამდენიც დაიწერა ე.ვ. გაბაშვილის შესახებ.

ე.ვ. გაბაშვილის ნიჭის პირველი შემფასებელი იყო ჩვენი დიდი პედაგოგი და ახალი ქართული საბავშვო ლიტერატურის ფუძემდებელი იაკობ გოგებაშვილი. მას ე.ვ. გაბაშვილი ჯერ კიდევ ფაერის პანსიონიდან ახსოვდა და ერთგვარი გულისტყვილით აღნიშნავდა, რომ „ცხრა მთას იქიდან გადმოვარდნილის მაღამ ფაერის პანსიონში, მოკლე ხნის არსებობაში, ქართული ენისა და ლიტერატურის გვარიანი სწავლის მეოხებით, გამოუზარდა ჩვენს ქვეყანას იმისთანა ნიჭიერი და თავისი საშობლოს მცოდნე და მოყვარე პირი, როგორც არის ე.ვ. გაბაშვილისაო“, და უსაყვედურებდა „წმინდა ნინოს ზავედენიას“, რომელიც ქართული სულით და დემოკრატიული მიმართულებით ვერ ზრდიდა არისტოკრატთა შვილებს.

იაკობ გოგებაშვილმა ე.ვ. გაბაშვილის მოთხრობა „საახალწლო ფეშქაში“ ღირსეულად შეაფასა, განსაკუთრებით აღნიშნა მოთხრობის „მსუბუქი კილო, ცოცხალი მიმდინარეობა აზრებისა და მშვენიერი ქართული ენა!“.

1898 წლის „ევალში“ (№29) გ. წ-ქემ (უნდა ვიფიქროთ, გ. წერეთელმა) ვრცელი წერილი მიუძღვნა ე.ვ. გაბაშვილის მოთხრობებს და აღნიშნა მწერლის მოთხრობების ზემოქმედების უნარი პატარა მკითხველებზე: „აზრის მოკლედ გამოთქმა სხვადასხვა გრძობათა, ერთი კალმის მოსმით გამოხატვა, ენის სიმარტივე, რეალური ცხოვრების ნათლად წარმოდგენა — აფუძნებს ყმაწვილის გონებაში ნამდვილ და მრავალ წარმოდგენას საგანზე, მოვლენებზე, აჩვენებს ჰუმანიტარულ აზროვნებას და ათვისებინებს ენის საიდუმლოებას, ერთი სიტყვით, სულს ენისას, ამდიდრებს ლექსიკონს ყმაწვილისას“.

პრესის მაღალმა შეფასებამ მკითხველებში უფრო მეტი პოპულარობა მოუპოვა მწერალს: მისი მოთხრობების კრებულები თითქმის ყოველწლიურად იბეჭდებოდა.

ამ მოთხრობებზე იწერებოდა ვრცელი კრიტიკული წერილები, რომელთა შორის აღსანიშნავია წერილები გრიგოლ ყიფშიძისა („მოამბე“ 1899, №3) და კიტა აბაშიძისა („მოამბე“, 1899, №12).

მიუხედავად ე.ვ. გაბაშვილის შემოქმედების მაღალი შეფასებისა, როგორც გრ. ყიფშიძე, ისე სხვებიც ე.ვ. გაბაშვილს აწერდნენ ტენდენციურობას: „მართალია, ე.ვ. გაბაშვილი ყველა მოთხრობაში ცხოვრების ღვიძლი შვილების მოსარჩლეა, დაუფარავად სახავს მათ ჭირ-ვარაშს, მაგრამ ბევრჯერ ტენდენციურია, გადაჭარბებულ ფერებით იძლევა უსამართლობის სურათებს. საჭიროა მეტი ობიექტურობა, ნაკლებად ჩარევა მოთხრობაში, ნაკლებად გამოჩენა თავისი სიმპათია-ანთიპათიისა. ძალას ატანს თავს, უთუოდ სიბრალული აღძრას მკითხველში, ძალად მუქი ფერებით აქვს დახატული დაბეჩავებული და უგულობა მათდამი გაზვიადებულიაო“.

ვინც იცნობს ე.ვ. გაბაშვილის საბავშვო პროზას, ვერ დაეთანხმება გრ. ყიფშიძეს, რადგან „გადაჭარბებულია ფერებით უსამართლოების სურათების“ გამოხატველ მოთხრობათა დასასრული რაც უნდა სავალალო იყოს, ბოლოს მწე-

რალი იშველებს ქველმოქმედებს, შემბრალებს, მოწყალების გამცემთ უფუოდ მაღალი წრის ადამიანებიდან. ამას გრ. ყიფშიძე ვერ ამჩნევს.

ამბობდნენ იმასაც, რომ ეკ. გაბაშვილი მოთხრობას დასასრულს არ უყუთებს, რომ მწერალი ოსტატურად აგროვებს უამრავ საკითხს და დასკვნას არა ჩანსო.

შეიძლება ეს მართლაც ახასიათებდეს ეკ. გაბაშვილის საბავშვო მოთხრობებს, მაგრამ მწერალი აცდენილია სქემატიზმს და მკითხველს არ უძნელებს დასკვნების გამოტანა.

ამ საყვედურის შესახებ თვით ეკ. გაბაშვილიც შენიშნავს თავის მოგონებაში: „მისაყვედურებდნენ იმაში, თითქოს ჩემი მოთხრობა დაუმთავრებელი მიდიოდა სტამბაში, თუმცა ხელმეორედ გადახედვასაც ვერ ვასწრებდით“. მაგრამ ეკ. გაბაშვილის მოთხრობების ამ ნაკლს დამცველიც ჰყოლია. მაგალითად, დიმიტრი თუმანიშვილი, რომელიც ერთ კერძო წერილში მწერალს სწერს, რომ ეს „თავისებური სტილია და ამგვარი მწერლობა მე უფრო მომწონსო“.

ეკ. გაბაშვილის ნიჭისა და მისი მოთხრობების შეფასება აღბეჭდილია კერძო მიმოწერაში. ესაა პეტრე უმიკაშვილის, იაკობ გოგებაშვილის, აკ. წერეთლის, რაფ. ერისთავის, ანტონ ფურცელაძის, ალ. მიქაბერიძისა და სხვათა წერილები (დაცულია მწერლის არქივში „კონა“ №5). ამ წერილებში ეკ. გაბაშვილი სამართლიანად მიჩნეულია ბავშვის მეგობრად, მათ მოსიყვარულედ და პირველ საბავშვო მწერლად.

საინტერესოა ეკ. გაბაშვილის წერილი დიდი ილიასადმი (ილიაობა დღეს): „ბ-ნი ილია! ყოველი ჩემი ქვეყნის სიყეთე, მისი ნიჭი, გრძნობა, მშვენიერება, ტბილმეტყველება და მრავალი სხვა მისი ქველობა, ისე მტკიცედ არის დაკავშირებული შენს სახელთან ჩემს წარმოდგენაში, რომ მას და შენ განუყრელად ერთგვარადვე შეეხარი და ვავედრებ ზეცას... შენ ღვაწლზე აგებული სასოება იმედს მაძლევს ჩემი ქვეყნის საუკეთესო მომავალზე და გულს მინუგეშებს, რომ თუ დღეს ჩვენს ერს თავის დამამშვენებლად ერთი ილია ჰყავს, მომავალში ამ საგანგებო დვრიტაზე ასობით და ათასობით აღორძინდებიან სახელოვანი მამულიშვილები“.

ეკ. გაბაშვილს ეს ნატვრა აუსრულდა. საბჭოთა ეპოქამ წარმოშვა არა ერთი სახელოვანი მამულიშვილი, ქვეყნის ერთგული ადამიანები, და ახალი, სოციალისტური ცხოვრების მშენებელნი.



გაჭიანუჩიებული ღისკუსია

„ლიტერატურული ძიებანის“ ახლახან გამოსულ VIII ტომში მოთავსებულია პროფესორების ა. ბარამიძის, ე. ყველიძის და ა. შანიძის სადისკუსიო წერილი, რომელიც წარმოადგენს ამ წლინახევრის წინათ ჩემსა და მათ შორის გამართული დისკუსიის გავრძელებას „ვეფხისტყაოსნის“ უკანასკნელი გამოცემის შესახებ. ეს დისკუსია მრავლისმეტყველო იყო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელი თვრამეტი წლის მანძილზე, ე. ი. რუსთაველის იეზილედან მოყოლებული დღემდე, რუსთველოლოგიაში არ ჰქონდა ადგილი მასზე უფრო მნიშვნელოვან მოვლენას „ვეფხისტყაოსნის“ მომავალი მკვლევარები ალბათ არაერთხელ შეაჩერებენ თავიანთ ყურადღებას ამ საკითხზე. ამიტომ არ შეიძლება, საშუალება არ მიეცეთ მხარეებს, გამოთქვან თავისი მოსაზრება. ეს გარემოება ნაწილობრივად ამართლებს კამათის უშვეულო გაქიანურებას.

საკითხის მოკლე ისტორია ასეთია: 1951 წელს ზემოთ მოხსენებული სამი მეცნიერის რედაქციით გამოვიდა „ვეფხისტყაოსანი“, ამ სამეულში ძირითადად ამგვარი მუშაობა ჩატარა: შეადარა პოემის ტექსტი, რომელიც 1937 წელს მრავალი შევლით დაიბეჭდა, საიბილო ტექსტის დამდგენი კომისიის ოქმებს და დაბეჭდა იგი დაახლოებით ამ ოქმების შესაბამისად: გარდა ამისა, შეიტანა ტექსტში ხუთი საყუთარი შესწორება, მე გამოვაქვეყნე წერილი („ლიტერატურა და ხელოვნება“ № 1, 1952 წ.) ამ გამოცემის თაობაზე და მოვიწონე ოქმებთან შედარებით გამოწვეული შესწორებები, თუმცა ეს საქმე, როგორც ტექნიკური ხასიათის შრომა (შესრულებული ასპირანტი მ. ვბრაღიძის დახმარებით), ახალი კომისიისათვის დიდ დამსახურებად არ ჩაითვლია; ყველა ხუთი გასწორება კი ჩავთვალე უმართებულად და, მასხასადავ, ოქსტის დამახინჯებად. კომისიამ გამა პასუხი („ლიტ. და ხელოვნ.“, № 6, რასაც მოჰყვა ჩემი საპასუხო წერილი („ლიტ. და ხელოვნ.“ № 7). კომისია სწორედ ამის პასუხად აქვეყნებს წერილს „ლიტერატურული ძიებანის“ VIII ტომში, მაგრამ იქვე ბეჭდავს ხელმოკრულ თავის პირველ წერილსაც. ახალი წერილი, უმეველად, საჭიროებს პასუხს.

ამ ახალი წერილის გამო ავტორები შენიშნავენ, რომ გახ. „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ იგი „იყო თავის დროზე წარდგენილი, მაგრამ რედაქციამ არ დაინახა საჭიროდ მისი გამოქვეყნება“.

წერილი იწყება ჩვეულებრივი პოლემიკური ტრადიციით, რომ მოწინააღმდეგეს თითქოს ვერ გაუგია, ან არ სურს გაიგოს და სხვ.; შემდეგ კი გამოთქმულია საყესებით მართებული აზრი: „ვეფხისტყაოსნის“ სადავო საკითხები მეცნიერული კვლევა-ძიების საგანია, კამათში გულწრფელობა საჭირო, ჰეშმარიტებისადმი სწრაფე და ერთმანეთის გაყენება... ცოტა ქვეშით კომისია ზრთუნავს, რათა ზემო წერილის წაკითხვამ შევლიძამ არ შეიყვანოს მკითხველი. რომ ყოველივე ეს ცარიელი სიტყვის მასალა, ამის დასამტკიცებლად მოვიგონოთ თუნდაც დ. ჩუბინაშვილთან დაკავშირებული ინციდენტები:

პოემაში ორჯერ გვხვდება სიტყვა „ზეპირ“. კომისიას თავის გამოცემაში ეს სიტყვა ერთგან დაუბეჭდავს დეფინიით („ზეპირ“), მეორეგან კი ერთად („ზეპირ“). მე ვწერდი, რომ „აღნიშნული სიტყვა ორივე შემთხვევაში ერთნაირად უნდა დაიწეროს“. იქვე დავსძინე, რომ პოემაში, „დაწყებული ვახტანგის გამოცემიდან ამ გამოცემამდე, „ზეპირ“ იწერებოდა უდფისოთ (ზღოთ არა გვაქვს დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, რომელსაც, თუ მისი ლექსიკონის მიხედვით ვიმსჯელებთ, შეწლო ეს სიტყვა დავწერა დეფინიით, რა თქმა უნდა ორივე შემთხვევაში ერთნაირად). ამგვარად, მე ჩემს წერილში ვამტკიცებდი, რომ „ზეპირ“ ორივე შემთხვევაში ერთნაირად დაიწეროს და ვვარაუდობდი, რომ დ. ჩუბინაშვილსაც ეს სიტყვა დაბეჭდილი ექნება „რა თქმა უნდა, ორივე შემთხვევაში ერთნაირად“. კომისია ოხუნჯობდა ჩემი სიზარმაცის გამო, რის მიზეზითაც თურმე წიგნსაცემი ვერ მივსულვარ და ვერ შემომიწმენბია ჩუბინაშვილის გამოცემა, და, გულუბრყვილოდ დარწმუნებული იმში, რომ ამ სიზარმაცეს მე ვვარაუდობ შემთხვევაში ვერ დაეძღვები, იცხადებდა: „ნამდვილად კი ჩუბინაშვილს სრულიადც ისე არ უწერია, როგორც ჰქიანამე ვარაუდობს“. მკითხველი აქ უმეველად იფიქრებდა, რომ ჩუბინაშვილის სიტყვა „ზეპირ“ დეწერილი ჰქონია სტადისხანაირად: ერთგან დეფინიით, მეორეგან უდფისოდ.

ამის შემდეგ წიგნსაცემი წუხსელობა შექალებული იყო, მეც წავედი, შევაიწმე და აღ-

მოინდა, რომ ჩემბინაშვილს ეს სიტყვა დაწერილი აქვს ორივე შემთხვევაში ერთნაირად (რასაც მე ვვარაუდობდი) და თანაც უდგენისოდ, ისე როგორც მე მაქვს ჩემს გამოცემაში. მაშასადამე, გამოდის, რომ კომისიამ ამ შემთხვევაში (სხვა შემთხვევებზე ქვემოთ გვექნება ლაპარაკი) აშკარად მოინდომა მკითხველის შეცდომაში შეყვანა. ამას კი სრულიად არ მოეხერხა „შეცნიერული კვლევა-ძიება“, „კამათში გულწრფელობა“ და „ქვეშაობიერებისადმი სწრაფვა“.

შემდეგ კომისია თავის ახალ პასუხში სწერს: „ახალმა კომისიამ უთუოდ კარგი საქმე გააკეთა. მან ახალ გამოცემაში გაასწორა ბევრი მცდარი წაყობვა, რომლებიც საიუბილეო გამოცემაში გაიპარა 1937 წელს. ეს კარგი საქმე უნდა ვაზარებოდა კ. ჭიჭინაძესაც, მაგრამ ეს არ ჩანს...“ ეს განცხადება არ არის მართალი. მე ჩემს პირველ წერილში „კარგი საქმე“ თავად ვუწოდებ ამ წიხინდა ტექნიკურ საქმეს, ე. ი. 1937 წლის გამოცემაში დამშვებულ შეცდომების გასწორებას საიუბილეო ტექსტის დამდგენი კომისიის ოქმებთან შედარების ნიადაგზე. ერთი ვარაუდობა რომ არა, მე ამ საქმის გაკეთების გამო მადლობასაც კი გამოვუცხადებდი კომისიას. თუ რატომ ვაზარებულები მადლობას, ამის გასარკვევად საჭიროა მოვიყვანოთ ციტატი ჩემი პირველი წერილიდან („ლიტ. და ხელოვნ.“, № 1, 1952 წ.): „უნდა ითქვას, რომ საერთოდ, არსებობს „ოთხის-ტყაოსნის“ სამი ძირითადი რედაქცია. პირველია პოემის ხელნაწერი ტექსტი, რომლის ბოლოში მოთხოვნილია გმირების ვარდაცვალების ამბები. მეორე ძირითად რედაქციას წარმოადგენს 1712 წელს დაბეჭდილი ვახტანგ მეფის რედაქცია, რომელიც ამოკლებს პოემას ბოლოში მთელი ათი თავით ხელნაწერების ტექსტთან შედარებით. მესამე ძირითადი რედაქცია შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლების წლებში (დაიბეჭდა 1934 წ.); ეს მესამე ძირითადი რედაქცია ბოლოდება ევროპული ინფორმაციული აზრით და აღემატება ვახტანგის რედაქციას სამი თავით ბოლოში. ამგვარად, „ვეფხისტყაოსნის“ რედაქციის ტიპობრიობას განსაზღვრავს მისი დაბოლოება“. როგორც ცნობილია, ეს მესამე ძირითადი რედაქცია, რომელიც დაიბეჭდა 1934 წელს და რომელსაც არსებითად პოემის მომდგენი გამოცემები იმუჯრებენ, ჩემი რედაქცია არის. ცხადია, რომ ამ რედაქციის ზოგიერთი არასწორი წაყობვის დაზუსტება, გაუმჯობესება თუ მართებული გასწორება მხოლოდ კმაყოფილებას აღძრავს ჩემში. აი სწორედ ამიტომ ზემოაღნიშნული „კარგი საქმის“ გამო მე არა მარტო კმაყოფილებას გამოვთქვამდი (რაც კიდევაც ვაკეთებ), არამედ მადლობასაც ვანუცხადებდი კომისიას, ვიმეორებ, ერთი ვარაუდობა რომ არა.

აი, ეს ვარაუდობაც. პროფ. კ. კეკელიძე და პროფ. ა. შანიძე თავმჯდომარეები იყვნენ იმ კომისიისა, რომელმაც საიუბილეო ტექსტი დაადგინა. ვინ იყო ვალდებული, თუ არა ეს ორი პირი ვინაა, რომ კომისიის მიერ დადგენილი ტექსტი წესიერად დაბეჭდილიყო? უთუოდ მათი უყურადღებობის მიზეზით იგი დაიბეჭდა მრავალი შეცდომით. ახლა თავად ვაღმოვიძინე შეტყევაზე და მოთხოვნა, რომ დამსაზრებლად ჩვეუთვალოთ მათი წინანდელი შეცდომების გამოსწორება. კომისია თანაც მიმხდარა, რომ შეიძლება საიუბილეო ტექსტის დამახინჯებით დაბეჭდვის გამო პასუხისმგებლობის საკითხი ამოკვეთილებას ამ კამათის დროს და ამიტომ წერილის ბოლოში ამგვარ შენიშვნებს აკეთებს: „კომისიის მიერ დადგენილი ტექსტი შეცდომებით დაიბეჭდა 1937 წ., მაგრამ კომისიას ამაში არავითარი ბრალი არ მიუძღვის, რადგანაც კომისიის მიერ დამსაზრებლად ტექსტს დაიბეჭდა კომისიის მონაწილეობის გარეშე“. საიუბილეო ტექსტის დამდგენ კომისიას, რომელიც ამ ერთ წინადადებაში ოთხჯერაა მოხსენიებული, დიახაც არ მიუძღვის ბრალი, აქ დამნაშავენი არიან კომისიის თავმჯდომარეები, რომელთა პირდაპირ მოვალეობას შეადგენდა ზრუნვა იმისათვის, რომ დადგენილი ტექსტი უცვლელად მისულყო მკითხველამდე. სად ვაგონილია, რომ რედაქტორები, მათ მიერ დადგენილი და ხელმოწერილი ტექსტის დამახინჯებით დაბეჭდვის გამო, თავის ვასამართლებლად გაიძახოდნენ — ეს წიგნი ჩვენი მონაწილეობის გარეშე დაიბეჭდაო?!

ჩემს მეორე წერილში მე ეწერდის: „ამ წერილის წერის დროს შევნიშნე, რომ რუსთაველის მთელი რიგი შესანიშნავი, საოცრად შედგენილი სიტყვები კომისიას დედისებით დაუმარცხლავს“. მსგავსად წიგნსაცემში ჩემი წასვლის თუ წაუხველეობის საკითხისა, ახლა ამის გამო ეტეხია კომისიას მთელი ვანგაში: „ქვიჩინაძეს „რეცენზია დაუწერია თურმე არა მთელი ტექსტის შესწავლის შედეგად“, ჭიჭინაძეს „პირველი წერილი ისე დაუწერია, რომ პოემის ახალი გამოცემის ტექსტს არ გასცნობია“, და სხვ. მე დაწერე პოემის ახალი გამოცემის შესახებ არა რეცენზია, არამედ წერილი. ცხადია, რეცენზიასა და წერილს შორის განსხვავებაა. ამიტომ იძულებული ვართ ეს ვანგაშიც მივაკეთოთ იმ პოლემიკური ზერხების კატეგორიას, რომლებიც მიზნად ისახავენ უფრო მკითხველის შეცდომაში შეყვანას, ვიდრე „მეცნიერული კვლევა-ძიების“, „კამათში გულწრფელობის“ და „ქვეშაობიერებისადმი სწრაფვის“ რეალიზაციას. ჩემს სტატიაში მე განვიხილე სარედაქციო წერილში მოყვანილ გასწორებათა ნიმუშები. განსაკუთრებით ზუსტი ახალი გასწორება.

წერილის მომდევნო ამხავეში კომისიის წევრები გვაუწყებენ, რომ თავიანთი გასწორებების მართებულობაში მხოლოდ და მხოლოდ კვიპინაძე ვერ დაარწმუნეს, და ჩემ შივრ მათი მისამართით ნახსენები ნუცას სკოლის ამბავს მევე მიბრუნებენ. ეს განცხადება ერთი მხრით სწორია: მართლაც, რუსთაველის ამჟამად მოქმედ მკვლევართა შორის მხოლოდ კვიპინაძე (წმინტყველი) ისეთ მკვლევარებაში, რომ კომისია ვერ ავრცელებს მასზე აღმინისტრაციულ ზედმეტ მკვლევარებას? მკითხველები თურმე ჩემს წერილებს შეუყვანია შეცდომაში და, რომ გამოიყვანონ ასინა ამ შეცდომიდან, კომისიის წევრები ხელახლა ასაბუთებენ თავიანთი ხელი გასწორების მართებულობას. ამ „დასაბუთების“ ტექსტისტი ასე შეიძლება წავიკითხოთ: რუსთაველის სახელობის ინსტიტუტი ჩვეს ხელთა და „ვეფხისტყაოსანს“ ისე გამოცემთ, როგორც ჩვენ გვინდა!

აი ამის მაგალითები. „დღე ჰგვანდა არ აღესებისა“ — წაკითხვა, რომელიც მოცემულია პოემის ყველა ხელნაწერში, კომისიამ ასე გაასწორა: „დღე ჰგვანდა არს აღესებისა“. მე, ვარდა სხვა საბუთების მოყვანისა, შევნიშნე, რომ ამ გასწორებაში დაშვებულია გრამატიკული შეცდომა, რომ სტროფის ყველა ზმნა მოცემულია წარსულ დროში (დავღე, მოვიღა, ჰგვანდა, შეიქმნა, დაიწვეს) და მათ შორის კომისიამ უდაჯილოდ მოათავსა ზმნა „არს“ თავისი აწმყოფის ფორმით. თანაც დავსძინე, რომ „ვეფხისტყაოსანში“ სიტყვა „ჰგვანდა“ გვხვდება თერამეტრული და არც ერთ შემთხვევაში იგი დაეკვირვებულა არ არის აწმყოფისათან. ამხვე კომისია მიპასუხებს: „არს“ აწმყოფი დროში, სტროფის სხვა ზმნები კი წარსულში. მერე რა? ეს ცოცხალი საბუთის, ცოცხალი დიალოგის გამოხატულებაა“. აი საბუთი, რომლითაც კომისიას განეზრახავს „შეცდომაში შეყვანილი“ მკითხველის დაჯერება. როგორც ამ დასკვნის დროს, ისე წინათ, ეგრეთ წოდებული ყალბი ადგილების გამო კამათის პერიოდში, მე ვერ დავარწმუნე ჩემი მოკამათები იმაში, რომ „ვეფხისტყაოსანის“ ტექსტის დადგენის დროს უპირველესი, უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება პოემის ძველ ხელნაწერებს, რომელთა რიცხვი რამდენიმე ათეულს აღწევს. თუ, მაგალითად, რომელიმე მკვლევარს ესაბიროება ერთი საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ ძველი ხელნაწერებით დადასტურებული ესა თუ ის წაკითხვა სწორია, მაშინ ათი საბუთის მოყვანა დასაბუთება ამ მკვლევარს, რომელიც დაიწყებს მტკიცებას, რომ ეს წაკითხვა ვითომც დამაბნელებელია და ამიტომ უნდა გასწორდეს. მერე-და, როგორ შეიძლება, რომ გასწორებაში გრამატიკული შეცდომა იყოს დაშვებული, რასაც ამ შემთხვევაში აქვს ადგილი?

ერთ-ერთი უმართებელი გასწორების გამო კომისია, არც მეტი, არც ნაკლები, შემდეგ გვაუწყებს თავის ახალ პასუხში: „განა შეიძლება კამათი იმის შესახებ, თუ როგორ სჯობს: „გარეშეში მკვდიან“, თუ „გარე შემომკვიდიან“? არა, არ შეიძლება! მაგრამ ა. კვიპინაძემ იკამათოს, რომდენიც უნდა. „ვეფხისტყაოსანის“ ტექსტის დადგენის საქმეს ამით არ შეიმატება რა“. საინტერესოა, ეს პასუხი კომისიამ კლექტურად გამოიმუშავა, თუ იგი ერთი რომელიმე მისი წევრის დასაბუთების შედეგის? წაკითხვა „გარეშეში მკვიდიან“ დადასტურებულია ყველა ხელნაწერით, ამავე დროს, კომისიის მიერ შედგენილ სიტყვას „შემომკვიდიან“ რუსთაველის პოემა სრულიად არ იცნობს. და განა ამ დონზე კომისიის ანგარიში „ესა სჯობს, თუ ისა სჯობს“ სასაყილო არ არის? „მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის“ მზრუნველ ჩემს მოკამათებს უნდა მოვახსენო, რომ „ესა სჯობს, თუ ისა სჯობს“ მეცნიერული კვლევა-ძიებისაგან შორსაა. მე ჩემს პასუხში ვრცლად ვეხებოდი მეთოდოლოგიურ საკითხს, თუ რა შემთხვევაში და როგორ შეიძლება წაკითხვების გასწორება ძველ ტექსტებში. ჩემს ამგვარ მსჯელობას კომისიამ უწოდა „უშინაასო სიტყვების რახარხი“. რა გავწყობა შეაყარეთ კედელს ცერცვი — ერთიც არ შერჩება მას, ყველა მართლად რახარხით ჩამოცვივდება ძირს.

„დასაბუთად“-ის გამო კომისიას თავისი კვლევა-ძიება ახლა ფილოლოგიიდან ზოოლოგიაში გადააქვს და, რომ დააწყოთ როგორმე თავი კვლევან-საბა ორბელიანის ლექსიკონის უმართებულ გამოყენებით გამოწვეულ უხერხულობას, იცვლავს, თუ რა ნათესაურ ურთიერთობაში იმყოფებიან ერთმანეთთან ყვავი და ყორანი. შემდეგ კომისიის წევრები სწერენ: ერთი ხელნაწერის მიხედვით შოთა ყორანსაც ახივლებსო, და პირდაპირ აცხადებენ: „ჩვენ ამ ხელნაწერის მოწმობას უფრო ვენდობით, ვიდრე სხვა ხელნაწერებისა და გამოცემებისას“. აი გაჯიუტებას როგორც ნაყოფის გამოღება შესაძლებელია! რა ხელნაწერია ეს ხელნაწერი, რომელიც თურმე უფრო სანდო ყოფილა, ვიდრე დანარჩენი ოცდაათი — თვით რუსთაველის ხელით დაწერილი ხომ არ არის? თუ ასეთი ძიებასი ხელნაწერი ჰქონდა კომისიას, რატომ თავად არ იტყობებოდა შიგ ტექსტის დადგენის დროს — სიტყვა „დასაბუთად“ ორ სხვა გასწორებასთან ერთად („შემომკვიდიან“, „ძე“), ხომ სხვისი რჩევით შეაქვს მას ტექსტში? ერთსა და ორ ხელნაწერში ყოველთვის შეიძლება იყოს მცდარი გადახვევა საერთო ტექსტიდან. კომისია გვაუწყებს (პირველ პასუხში): „გარის, ყარში არევა გრაფიკულ ნიშანსაგან შესაძლებელი“, თითქოს პირაქით კი შეუძლებელი იყოს! განა უფრო ადვილი შესაძლებელი არ არის, რომ ერთმა გადამწერმა მიიჩნიოს ყარი ქარად.

ვიდრე ოცდაათმა ვარი ყარად?! კომისიამ ძალიან კარგად იცის შესავსი განცხადებების თასი და, სხვას რომ შეღარაფერს ახერხებს, ისე აბოლოებს ამ მუხლის პასუხს: „ეთიომ შეეცდით და ცუდად გაეასწორეთ? არა გვეონია ჩვენი აზრი, ეს არის და კ. ჰიქინამე და სხვებში, თუ მოსწონთ, ყოჩაღი აყვილონ!“ შიდი და ეკამათე ასეთ მოკამათებში შე ანგარიში გაქუწიე კომისიის განცხადებას: „ყოფილი „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით ითქმის მხოლოდ აღმანიშნებურ“. ეს მართალია. მაგალითად, ქაჯეთის ციხის გუშაგთა შესახებ ნათქვამია: „მაგრა თუ გესმის, გუშაგნი რა ახლო-ახლო ყვივიან!“ ამ კიდევ: „ეძებს, უზახის, უყვიის“, „უყვილია თუ“, „უყვილეს, ვინ ხართ...“ და სხვ. დღაც მე ამ გარემოებამ ანგარიში გაუწიე და შევეცადე, ნესტან-დარეჯანის სიტყვები — „შენთვის მოეკვლევი, გესმევი ყოჩანთა დასაყვიარად“ გამეგო სხვაანადად, ვიდრე იგი ჩვეულებრივია გაგებულად, ეს შესაძლებელი გახდა, და ჩემს პასუხში კიდევაც ვაუწევ მოკლედ კომისიას: „დასაყვიარად, ესე იგი დასაძებებლად, მოსახმობად“. ამნაირი გაუწევით გამოევა, რომ ნესტან-დარეჯანი უთელის ტარიელს: თუ აქ შენ შევდარი გნახე, მე თავს მოვიცლავ, ციხიდან კლდეზე გადავიჩეხები („აქა თავსა გარდაიქცევ, ახლოს მახლან დიდნი კლდენი“) და ქაჯები ყორნებს მოუხმობენ, უყვილებენ ჩემი ლემის შესაძველადო. ტექსტის ამნაირი გაგების შემდეგ სიტყვა „დასაყვიარად“ მიეცეთენება არა ყორნებს, არამედ აღმანიშნებს. ამგვარ გაგებას უქვევლად ზღის პოემის ერთი ადგილი. ფრიდონი თავის შტრების შესახებ ამბობს: „უბუმბო მყავთა და ყორანთა, მათ ზედა ვაქნე ხაღილსა!“ (508). მაგრამ კომისია ამდენ გარჩევაში არ შედის, იგი ერთსა და იმავეს გაიძახის: „შე ვარ და ჩემი ნაბადი, გამთენებელი ლამისაო“, ესე იგი რუსთაველის სახელობის ინსტიტუტი ჩემს ზღადა და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს როგორც მინდა, ისე დავადგინო.

ყველაზე მეტად საინტერესოა კომისიის ახალი პასუხი „მე — დიდებულთა დიდგვართა“ ს გამო. ჩემი მოკამათებები მიპასუხებენ: „ავთანდილის აღმზრდელი როსტევეანია“ და სხვა აღმზრდელი მას არ ჰყოლიაო. ეს განცხადება მხოლოდ უკეთეს შემთხვევაში შეგვიძლია დიდ გულუბრყვილობად მივიჩნიოთ. როსტევეანი იყო ავთანდილის შამიბილი, მისი საერთო აღმზრდელი, მაგრამ როგორ შეძლებოდა, რომ მას მიჩენილი არ ჰყოლოდნენ შეფის კარზე სხვადასხვა დარგის მასწავლებლები, აღმზრდელები? თარსადანიც ხომ მამობილი და აღმზრდელი იყო ტარიელსა, მაგრამ ტარიელი თავის შესახებ ამბობს: „ბრძენთა მიმეცა დასწავლელად ზელ-შვიდეთა ქვევაქმნათად“ (319). ავთანდილს კი, რომელიც ტარიელზე მეტად უფრო განათლებული კაცი იყო, ჩვენი კომისია უსწავლელად უპირებს დატოვებას! იგი ამავე საკითხზე სწერს: „ამს გარდა, გამზრდელად აუცილებლად დიდებულენი როდი იყო; მაგ. ავთანდილი თავის ზელქვეითებს სწერს: „ჩემნი ყმანი, გამზრდელნი და ზოგნი ზრდილნი“. ეს რა ამბავია? თურმე, ნუ იტყვიოთ, კომისიას არ სკოდნია, თუ რა მნიშვნელობით იხმარება „ვეფხისტყაოსნში“ ტერმინი „ყმა!“ ამ ამბის გაგონებაზე არა თუ რუსთაველის ყორანი, მისი შავარდენიც კი იყვილებს, როგორც დავიანათ, ჩემი მოკამათებები მისაყვედურებენ, რომ ამ კამათის დროს მოლანად არ წავიკითხე მათ მიერ გამოცემული პოემის ტექსტი. თვითონ კი დაზარებიათ ავთანდილის პარაჩა წერილის ბოლომდე ჩაკითხვა. იმ თორმეტსტროფიანა წერილის მეთერთმეტე სტროფში კი სწერია: „შერმაღინ ერთგან შეყარა ხასნი და დიდებულენი“ და წავიკითხა მათდამი მიმართული ავთანდილის წერილი, მაშასადამე, ავთანდილის „ყმანი“ უბრალო ყმები კი არ ყოფილან, როგორც კომისიას ჰგონია, არამედ დიდებულები და ხასნი. კომისია მისჯანვე მოყვანილი ცატატით („ჩემნი ყმანი, გამზრდელნი და ზოგნი ზრდილნი“) არცევის პირდაპირ ამის საწინააღმდეგო თაქტს, რასაც თავად ამტკიცებს: როსტევეანს გარდა, ავთანდილს ჰყოლია თურმე სხვა აღმზრდელიც, და ეს მისი აღმზრდელები ყოფილან „ხასნი და დიდებულენი“. ამის შემდეგ ანდაზა დანის გამორჩევის შესახებ, რომელსაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, კომისია ჩემ გამო იყენებს, თავისი ნამდვილი მისამართით უნდა დავაბრუნოთ.

ახლა ეს ვაკითხოთ: ნოთუ კომისიის წევრებმა მართლა არ იციან, თუ რა აზრით იხმარება „ვეფხისტყაოსანში“ ტერმინი „ყმა“? არ იციან კი არა, ძალიან კარგადაც იციან! მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი უქვევლად ზრუნავენ იმისათვის, რომ ჩემი წერილებით შეცდომაში შეყვანილი მკითხველები როგორმე სწორ გზაზე დააყენონ. საჭიროა აქაც ვაკითხოთ: ეს პასუხი კომისიამ კოლეტირურად დაწერა, თუ იგი ერთი წევრის მიერ არის შედგენილი? თუ ერთმა წევრმა შეადგინა, მაშინ დანარჩენმა ორმა, უხერხულ მდგომარეობაში მოხვედრის გამო, პასუხი უნდა მისთხოვოს თავიანთ კოლეგას და არა მე.

ჩემს პირველ წერილში მე ვწერდი: „ამ ნომრით კომისიის აღნიშნული აქვს გრამატიკულად არასწორი წაკითხვის თხემთეტი მაგალითი... ეს მაგალითები სწორად არის დაბეჭდილი წინანდელ გამოცემებში, სათბობილო გამოცემაში კი შეცდომით გაპარულან“. ამაზე კომისიამ მიახსუნა: „ჩვენ არ ვიცით, „ვეფხისტყაოსნის“ რომელ გამოცემას გულისხმობს კ. ჰიქინამე, სადაც

კომოც ეს მაგალითები სწორად არის დაბეჭდილი. მთელი პასუხისმგებლობა ეკისვება, რომ მსგავსი გამოცემა ბუნებაში საერთოდ არ არსებობს". პასუხად მე მიუეთხოვე პოემის ჩემს გამოცემაზე და ნუშარაკით აღნიშნე თხოვნებიდან თორმეტი მაგალითი, რომლებზეც, სწორად და დაბეჭდილი. ახლა კომისია ამის გამო სწერს: ეს თერთმეტი მაგალითი, რომლებზეც იუსტიანე აბულადის 1926 წლის გამოცემიდან აქვს გადმოწერილი". ხედავთ, როგორ სცვლის კომისია საკამათო თემას?! ამას ემგვანებოდა, მაგალითად, შემდეგი ამბავი. ვთქვათ, ივანე ევბენება პეტრეს მე რომ წაღები მაცუო, ასეთი ქვეყანაზე არ მოიპოვებო. პეტრეს გამოაქვს ოთახიდან თავისი წაღები და ევბენება ივანეს— ამ ასეთი წაღებო. ივანე ამაზე უპასუხებს: ვე შენ გიორგიმ გათხოვაო. სად არის აქ ივანეს პასუხში ლოგია? ზუსტად ამ ივანეს პასუხსა ჰგავს კომისიის პასუხი. დაეუფლო, ჯერჯერობით, რომ ეს თერთმეტი წაიკითვა მე პროფ. იუსტ. აბულადის გამოცემიდან გადმოიწერე. მით უარესი კომისიისათვის: მას „ბუნებაში“ ერთი კი არა, ორი ასეთი გამოცემა უფილა— ჩემი და აბულადისა, რითაც ორმაგად ირღვევა კომისიის მტკიცება: „მსგავსი გამოცემა ბუნებაში საერთოდ არ არსებობს".

ახლა აბულადის გამოცემიდან „გადმოწერის“ შესახებ. საქმე ისაა რომ ეს მაგალითები ნაკლები რაოდენობით კარიკაშვილსაც სწორად აქვს დაბეჭდილი. მაშასადამე, ისინი აბულადის კარიკაშვილის გამოცემიდან გადმოწერია. მაგრამ ზოგიერთი მაგალითი მართებულად არის დაბეჭდილი ბროსეს გამოცემაშიც. გამოდის, რომ ისინი კარიკაშვილს ბროსეს გამოცემიდან გადმოუღია. „ვეფხისტყაოსნის“ მართლწერის დადგენის გამო მე პრეტენზია არასოდეს არ განმიცხადებია. რა თქმა უნდა, ჩემი რედაქციის დადგენის დროს მე ამ მხრივ დავეფიარე არსებულ ბეჭდვით გამოცემებს. აბულადის გამოცემა, რამდენადაც სტრაფული შემადგენლობის თვალსაზრისით უფარგისია, იმდენად სჯობს მართლწერით სხვა წინანდელ გამოცემებს. მაგრამ პირდაპირი გადმოწერისა კი რა მოგახსენოთ, მე მრავალ შემთხვევაში მივეცი უპირატესობა სხვა გამოცემების წაიკითხვებს. ის, რაც ტექსტის დადგენაში პირადად მე გამოცემებია, ზუსტად აღნიშნული ჩემს გამოცემაში: 1) გაეასწორე წაიკითხვები, რიცხვით ორმოცდაცხრა (დაწერილებითი განმარტებით 277—290 გვ.); 2) შეიტანე ტექსტში 38 ისეთი სტროფი, რომლებიც არც ერთ წინანდელ ბეჭდვით გამოცემაში არ მოიპოვება (დასაბუთება: XXXI—XXVII გვერდები); 3) აღადგინე პოემის ნაშთული დაბოლოება—სამი თავი, რომლებსაც მანამდე ყველა მკვლევარი ყალბად სთვლიდა. ეს უკანასკნელი მთავარია, იგი ჩემს რედაქციას ძირითად რედაქციის ხასიათს ანიჭებს. გარდა ამისა, ჩემს შემთხვევაში „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ შედეგად ის მოხვება, რომ, ასე თუ ისე, ბოლო მთელი გერგოწოდებული ყალბი ადგენების“ გაუთავებელ ძიებას მკვლევართა მიერ, რის შედეგად პოემის ტექსტი თითქმის ნახევრდებოდა!

კომისია ამაოდ სცვლის, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, კამათის თემას, ამაოდ ავლებს ბანზე სიტყვას, ამაოდ დაიძებს გრამატიკულად უმართებულო ფორმებს ჩემს გამოცემაში, ჩვენი კამათის მთავარი თემა არის ჩემი შემდეგი ორი დებულება:

1) კომისია უმართებულოდ სთვლის თავის გასწორებად იმ წაიკითხვებს, რომლებიც წინანდელ გამოცემებში და, კერძოდ, საიუბილეო ტექსტის დამდგენი კომისიის ოქმებში სწორადა წარმოდგენილი;

2) კომისიამ შეიტანა ტექსტში ზეთი საკეთარი გასწორება, რომელთა შორის ერთიც არაა სწორი და, მაშასადამე, დამახინჯა ტექსტი.

თუ ეს არის ჩვენი დისკუსიის საგანი და არა საწინააღმდეგო ნარებისა და „მცა“ ნაწილაკის საკითხი. მართლწერის ნორმები „ვეფხისტყაოსნისათვის“ ცალკე სადავო საკითხია. არც ეს საკითხი წესიერად გადაჭრილი. როდესაც, მაგალითად, საიუბილეო ტექსტის დამდგენი კომისიის სხლო

1 თუ როგორი „მეცნიერული“ დასაბუთებით ხდებოდა ზოგჯერ პოემის ამი თუ იმ სტროფის გაყალბება, ამის საილუსტრაციოდ არ შემიძლია არ მოვიყვანო ერთი მაგალითი, როდესაც საიუბილეო ტექსტის დამდგენი კომისია იხილავდა ნესტან-დარეჯანის წერილის იმ სტროფს, სადაც სწერია: „ან თავსა კლდეთა ჩაეიქცე, ანუ მოვიკლავ დანითა“, კომისიის თავმჯდომარემ, კ. კვცილიძემ (ახლანდელმა ჩემმა მოკამათემ), განაცხადა (აღნიშნულია სათანადო ოქმში), რომ ეს სტროფი ყალბად უნდა ჩაითვალოს. რადგან ქაჯეთის ციხეში ნესტან-დარეჯანი დანას ვერ იშოვიდა თავის მოსაკლავადო. კომისიის ზოგიერთი წევრის დაუსწრებლობის წყალობით კიდევაც მოხერხდა ამ აუცილებელი სტროფის ტექსტიდან გაძევება. საქმე ცუდად იყო არ იყო ამის გარანტია, რომ შემდეგში ვინმე მკვლევარი არ იტყოდა—ქაჯეთის ციხეში ნესტან-დარეჯანი საწერ-კალამს ვერ იშოვიდა, და მის დიდებულ წერილს მთლიანად ყალბად არ გამოაცხადებდა. ჩემი დაყენებით მიიხიენათ, ამ სტროფის საკითხი ხელახლა განიხილა კომისიამ სრული შემადგენლობით და დაუბრუნა იგი ტექსტს, სადაც მას უნის ნომერი 1302.

მაზე ვიხილავდით ფრანკს „პგია გიშრისა ლარი საღ“ (86), მხოლოდ ჩემმა ზეჟუნა-მწერებამ გადაარჩინა „ქ“ სიტყვაში „პგია“, თორემ პროფ. ა. შანიძის მოთხოვნით, იგი უნდა ამოგვეღო. ამ გრამატიკულ ნორმებს, რომელთა მიხედვით საჭიროა „ვეფხისტყაოსანში“ დაიწეროს „გია“, „ფიცა“, „შემლო“ და სხვა ასეთებზე, ყოველ უნდა გაეხიზნოს კბილი, უნდა შეაღებებ, ეს არის ცალკე საკითხი და ამ დისკუსიის საგანს ის არ შეადგენს.

კომისია აბრაღდ მივდებთ იმ საბჭო, ვითომც შემცდარი წაყითხვის გამო („რაცა შეგვეცილა“ „მასცა ვეცა“ და „ჩემი მწეცა“), რომლებიც თითქოს მე უყრიტკოდ იესტ. აბულაძისაგან ვადმოპოვოს. ნამდვილად ეს ეს წაყითხვები პროფ. იესტ. აბულაძეს და მე დაბეჭდილი გვაქვს მართებულად. მაგრამ კომისიას ტექსტი ვერ გავგვია, რაც მას ზნობად ემართება, და გაუსწორებია, ესე იგი დაუმახინჯებია იგი. სამივე მაგალითის განხილვა აქ შორის წაგვიყვანს, განვხილეთ მხოლოდ პირველი.

როსტევეანი დალონდება ნადიმის დროს. აეთანდლილი და სოგრატო ბჭობენ იმის გამო, თუ რა აწუხებს მეფეს, მაშინ „აეთანდლილ თქვა: სოგრატ, ვეთხოვთ, გვითხრას რაცა შეგვეცილა, გვადროდ რამე სალალობო, რასათვისმცა გავაგებოლა!“ ამ ფრანკის აზრი ასე შეგვიძლია გამოვთქვათ: „აეთანდლილმა თქვა: სოგრატ, ვეთხოვთ მეფეს და მან თავად გვითხრას ის, რაც ჩვენთვის საცილობელი, საეკუო გამხდარა, მაგრამ კითხვა შეგვადროთ სახეშარო ფორმით, მაშინ ჩვენ ის ხომ ვეღარ გავაგებოლებს!“ კომისიას ვერ გაურკვევია სიტყვა „შეგვეცილას“ გრამატიკული მიმართება ამ კონტექსტში და „რაცა შეგვეცილა“ დაუბეჭდავს ასე: „რამცა შეგვეცილა?“ ესე იგი, ვეთხოვთ და რატომღა უნდა შეგვეცილოს მეფე? ეს უაზრობაა. ასე რომ ფოს, მაშინ რაღა მნიშვნელობა ექნებოდა მომდევნო სტრიქონს, რომელშიაც გამოხატულია ზრუნვა სწორედ მის შესახებ, რომ მეფეს არ ეწყინოს ამგვარი შეკითხვა. კომისიას აქ, კვშმარტად, ახალი ფურცელი შეაქვს იუმორის განრში: თავად სასაცილო მდგომარეობაში მოხვედრილი, მე დამკინის უმოწყალოდ. სწორედ ამ აბზაცში მოჰყავს კომისიას ჩემი მისამართით ანდაზა „ქითამა ჩხრიკა, ჩხრიკა და თავის დასაყლავი დანა გამოჩხრიკაო“. გასაგებია, თუ ვინ გამოჩხრიკა ეს დანა.

კომისიას დიდად გაკვირვებია ჩემი მოთხოვნა, რომ წარმოადგინოს მან სრული სია ტექსტში შეტანილი გასწორებებისა, რომელთა რაოდენობა, მისი ანგარიშით, თხზას აღწევს. ის ამის გამო მიპასუხებს: აიღეთ საიუბილეო გამოცემა, შეადარეთ იგი ახალ გამოცემას და თქვენ თვითონ გამოარკვეით, რა გასწორებებიც შეეიტანეთ ჩვენ მასში. ეს პასუხი მე შემდეგს ამბავს მაგონებს: ერთ „ბრძენსა“ ჰკითხეს — რამდენი ვარსკვლავია ცაზეო? „ბრძენმა“ თქვა — ათათათათო; შემკითხველებმა ეს რიცხვი საეკუოდ მიიჩნიეს; მაშინ „ბრძენმა“ უთხრა მათ: თუ ეს გჯერათ, თქვენ თვითონ დაითვალეთო. ნუთუ კომისიამ არ იცის, რომ ძველი ტექსტის ცრტად თუ ბერად სერიოზულ გამოცემაში წაყითხვის ყოველი ახალი გასწორება აღინიშნება ან შესვალა წერტილში, ან ბოლოს? თუ ასეთ აღნიშვნა საჭირო არ არის, მაშ რად დაურთო პროფ. ა. შანიძემ (ამ შემთხვევაში ჩემმა მოკამათემ) ვახტანგისეული რედაქციის გამოცემის შეცდომათა გასწორების ერცელი სია? ამის ნაცვლად, რატომ არ უთხრა მან ჰკითხველებს, ესაე აინტერესებს, თუ რა გამსხვავებაა ვახტანგისეულ რედაქცია და ჩემს გამოცემას შორის, იმან თავად იტყოს თავი — აიღოს და შეადაროს ერთი გამოცემა მეორესო?

დღეისებით რუსთაველის რთული სიტყვების დანაწევრების გამო, რასაც მხოლოდ აღმოთება შეუძლია გამოიწვიოს მკითხველში, კომისია აცხადებს: „ამას ტყესი ეწოდება, ანუ გაყვეთაო“. ეს გაყვეთა ეს არა, სიტყვის დაყვევა არის. მაგალითად, ერთი სიტყვა „მოკაეინწყლავს“ კომისიას ოთხად გაჭრილი დაუბეჭდავს — „მო-ცა-გინ-წყლავს“ (1223). ამ ამბავს მე მართებულად ვეუფად „ნუთას სკოლა“, ვინაიდან სიტყვების ასე დანაწევრება და დაპარცოლა მხოლოდ „დღეიანის“ პირველ ნაწილში გვხვდება. ვახტანგიდან მოცილებული და გამოცემამდე მსგავსი სიტყვები, რომელთა რიცხვი პოემაში რამდენიმე ათეულს აღწევს, შედამ ერთად იბეჭდებოდა. ამ სახით შედგენილი სიტყვები „ვისრამიანშიაც“ გვხვდება, მაგალითად „შემკაებარლები“ (40 გვ.), „მორენუნარდ.“ (48), „მორისუბიქე“ (62), „დარქსენარადა“ (62) და სხვ. თუ კომისია ფიქრობს, რომ მსგავსი სიტყვები აუცლებლად დღეისებით უნდა დანაწევრდეს, მაშინ საკითხავია — რა ზიზებიათა დაბეჭდილი ისინი ერთად 1938 წელს გამოცემულ „ვისრამიანში“. რომლის რედაქტორები არიან იგივე ალ. ბარამიძე და ე. კვეციანი? ასეთ პასუხს ხომ არ მოგვცემენ? 1938 წელს ჩვენ ვერ კიდევ არ ვიცოდით, რომ ამნაირი სიტყვები დღეისებით უნდა დაყოფილიყო, რასაც თურმე ტყესი პრქმეცია, მაგრამ 1951 წელს კი აღნიშნული საკითხი ნათელი გახდა ჩვენთვის! ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ეს დაიარაღებოდა შექმნილი ცოდნა კომისიის წევრებს „ვეფხისტყაოსნის“ შესანიშნავი სიტყვების დასამახინჯებლად არ გამოყენებინათ.

ჩემს პასუხში აღენიშნე, რომ 1941 წელს ჩემი პასუხისმგებლობით გამოსულ „ვეფხის-

ტყაოსანში“ მე, რაც საცხებით ბუნებრივი იყო, ცვლილებების შეტანის უფლება არ მქონდა (ასეთი სპეციალური უფლება მიღო მხოლოდ ამ კომისიამ). მაგალითად, მიუხედავად ჩემს მაღალ-ბული განსაკუთრებული ზომებისა, არ მომეცა ნება, გამესწორებია უბრალო შეცდომა „მუშა მიწვივ მუშაობდეს“ (უნდა ყოფილიყო „მუშაკობდეს“). მაინც რამდენიმე ტექსტი შეცდომა მე თვით გაეასწორე. კომისიის გულდასმით შეუსწავლია ეს გამოცემა (რას ნიშნავს პოლიტიკით გაუცემა!), შონებას გასწორებული წაკითხვები და, მართალია, მადლობას მითვლის ამის გამო, მაგრამ მაინც შენიშნავს — ფიცი მუშას, ბოლო მაკვირებსო. კომისიის აღმოუჩენია აგრეთვე რამდენიმე კორექტურული შეცდომა და მიკვირებს დაუდევრობას. რუსთაველის „მოცალობა“ საძირა ყოფილა თერამ ანა მარტო სიყვარულისთვის, არამედ ზოგიერთი კვლევა-ძიების წარმოებისთვისაც. უნდა მოეხსენო კომისიას, რომ მე ამ გამოცემის კორექტორი არ ვყოფილვარ. ლემა ასეთ ელემენტარულ საკითხზე დაუსრულებელი კამათი. უნდა გვესმოდეს, თუ რას ნიშნავს კომისია ისევ შედავება, თითქოს პროფ. ილია აბულაძემ გაასწორა „თმასა ლელსა“. არ შეიძლება „გასწორება“, როცა საკითხი ძველი ტექსტების გამოცემას ეხება. გასწორება შეიძლება, რა თქმა უნდა, უბრალო კორექტურული შეცდომებისა. მაგრამ როდესაც ვაპრობთ — ესა და ეს გასწორება „ვეფხისტყაოსანში“ გვეუთვნის ანა და ამ მკვლევარსო, მაშინ, დასახელებული წაკითხვა არ უნდა იყოს არც ერთ წინანდელ ბეჭდვით გამოცემაში. მაგალითად, ნ. მარს გვეუთვნის გასწორება „სარატანისა“, ნაცვლად „საროს ტანისა“, სათვლილო ტექსტის დამდგენ კომისიის გვეუთვნის გასწორება „ხასითა ოდენ სამითა“ და სხვ. „თმასა ლელსა“ კი ბევრ წინანდელ გამოცემაშია დაბეჭდილი (მათ შორის ჩემსამიც). ილ. აბულაძემ აღნიშნულა წაკითხვა კი არ გაასწორა, არამედ განმარტა, და ეს ამბავი კომისიამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაიჯეროს.

სახოგადოდ. კომისია გასწორებათა კუთხით საკითხს იშვიათი თვითნებობით ეკიდება. მე აღვნიშნე, მაგალითად, რომ კომისიას არა ჰქონდა უფლება, თავის გასწორებად გამოეცხადებინა წაკითხვა „სამ თვე ვლეს“, რადგან იგი უკვე დაბეჭდილი იყო ჩემს რედაქციაში, რომელიც, სხვათა შორის, სათვლილო ტექსტის დამდგენ კომისიას მიღებული ჰქონდა ერთ-ერთ სახელმძღვანელო წიგნად. ამაზე მოკამათები ახლა მიპასუხებენ: „ასეთ წაკითხვას ხელნაწერი იძლევა, რომელსაც კომისია უფრო ენდობა, ვიდრე კ. კვიციანიის გამოცემასო“. მე იძულებული ვხდები, კიდევ და კიდევ შევთავაზო კვდილს ცერკვი იმ იმედით, რომ ეგებ ერთი მარცხელი მაინც შეჩვენს სადმე. და, ვგონებ, მეათედ ვუწყო კომისიას: არ შეიძლება საკუთარ გასწორებად გამოაცხადო ისეთი წაკითხვა, რომელიც არსებობს წინანდელ ბეჭდვით გამოცემაში, სულ ერთია, დაბეჭდილი წიგნიდან ალბე მას, ხელნაწერში ამოკითხავ, ქვის წარწერაში აღმოაჩინე, თუ ძილში დაგვისიზმრება. გასაგებია, თუ კიდევ საჭიროა ამის განმარტება?

ჩვენ ვეკამათებთ საერთოდ კომისიას, მაგრამ საჭიროა ერთგვარი გაპირებულება. კომისია თავის სარედაქციო წერილში (გვ. 408) აღნიშნავს: „ვეფხისტყაოსნის“ ამ გამოცემის ტექსტი დასაბეჭდად მოამზადა ალ. ბარამიძემ ასპირანტ მ. ბერალიძის დახმარებით.

ტექსტი საბოლოოდ გამართა და სასტამბოდ გააწყო რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ გამოყოფილმა კომისიამ ა. შანიძის, კ. ქვეციანიის და ალ. ბარამიძის შემადგენლობით“.

აქედან ჩანს, რომ ძირითადი მუშაობა ამ გამოცემისათვის პროფ. ალ. ბარამიძეს ჩაუტარებია; მაშასადამე, მეტი პასუხი იმას უნდა დაეთოსო.

ვამთავრებ რა, ჩემი მხრივ, ამ დისკუსიას, აუცილებლად მიმართა, რომ პოემის შემდგომს გამოცემებში ყველა აღნიშნული შეცდომა გასწორდეს.

შინაარსი



მხატვრული ლიტერატურა

მთარ ბეღიძე — ზღვა დიბადა. პოემა	23
ლალო ავალიანი — ახალი პორტოპორტი. რომანი. წიგნი მეორე. ნაწილი პირველი	27
ნიჰაში ბანჯელი — „ლეილი და მეჯენიდან“. თარგმანი ვასო გორგაძისა	71
ელიზბარ უბილაძე — უღელტეხილზე. მოთხრობა	74
მურმან ლეზანიძე — სამგორის მიწაზე. მოთხრობა	101
ვიქტორ ვიშნოვ — პარიზის ლეთისმშობლის ტაძარი. ნაწყვეტები. თარგმანი ფრანგულიდან ე. ხახალიასი და მ. პაპუაშვილისა	112

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ვასილ ბანიძე — მთელი გული	121
გორის ნანიტაშვილი — კომუნისში გადასვლის უმნიშვნელოვანესი პირობა	132
კონსტანტინე ბაშსახურდია — ევროპული რეაქცია და ამერიკული კანიალიზმი	155
ალ. ბმახარია — ნიჰაში და საქართველო	169
ანა ლვინიაშვილი — ვატიკანი გაბაშვილი	175
კონსტანტინე ბივინიძე — გვიანრეზებულ დისკუსია	185



ბეჭდვის სახლი დასაბეჭდად 25/XII-53 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12. უბ 15230. შვკვ. № 1003. ტირაჟი 5,000.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბიბლიოგრაფიკომის ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Грузполиграфиздата при Совете Министров Грузинской ССР: Тбилиси, улица Марджанишвили, № 5.

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელეფონი 3-23-42.